პირველი რვეული

მე არ ვარ შტილერი! – მას შემდეგ, რაც ამ ციხეში ჩამსვეს, – ციხეს მოგვიანებით აღვწერ, – ყოველდღე ამას ვიმეორებ, ვიფიცებ და ვითხოვ ვისკის. სასმელს თუ არ მომიტანენ, უარს ვამბობ ჩვენების მიცემაზე, რადგან ვისკის გარეშე – ეს ხომ უკვე გამოვცადე – მე მე არა ვარ, იოლად ვექცევი ყველანაირი კეთილი გავლენის ქვეშ და მზად ვარ, ვითამაშო როლი, რომელიც მათ ხელს მისცემდა, მაგრამ არაფერი ექნებოდა ჩემთან საერთო, და რადგან ახლა, ჩემს უაზრო მდგომარეობაში (მე მათ თავიანთი პატარა ქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგული მოქალაქე ვგონივარ), მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს – არ მომიქციონ გავლენის ქვეშ და არ მოვდუნდე, რომ ასე ფერებ-ფერებით სხვისი ტყავი არ მომარგონ. უხეშობასაც კი არ ვერიდები, რომ ვერ გამტეხონ, და ვამბობ: რადგან მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთია, რომ სხვა არავინ ვიყო, გარდა იმ ადამიანისა, რომელიც, სინამდვილეში, სამწუხაროდ, ვარ, იმდენჯერ ვიყვირებ, ვისკი მომიტანეთ-მეთქი, რამდენჯერაც ვინმე მოუახლოვდება ჩემს საკანს. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ უკვე განვაცხადე, არ არის აუცილებელი, ვისკი საუკეთესო ხარისხის იყოს-მეთქი, მაგრამ უნდა ისმებოდეს, თორემ, თუ ფხიზელი ვიქნები, როგორც უნდათ, ისე დამკითხონ, მაინც არაფერი გამოუვათ, ყოველ შემთხვევაში, არაფერი ისეთი, რაც სიმართლესთან იქნება ახლოს. ამაოდ! დღეს ეს რვეული მომიტანეს, სავსე ცარიელი ფურცლებით: ჩემი ცხოვრება უნდა აღვწერო!

ალბათ უნდა დავამტკიცო, რომ საერთოდ მიცხოვრია ჩემი ცხოვრება და არა ის, მათი უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერისა.

– უბრალოდ, სიმართლე დაწერეთ, – მეუბნება ჩემი სახაზინო ადვოკატი, – და არაფერი, გარდა მარტივი და წმინდა სიმართლისა. მელანი თუ გამოგელევათ, შეგიძლიათ დაამატებინოთ!

დღეს ერთი კვირა გავიდა იმ სილის გაწვნიდან, რომელმაც ჩემი დაპატიმრება გამოიწვია. საკმაოდ მთვრალი ვყოფილვარ (ოქმის მიხედვით) და ამიტომ მიჭირს აღვწერო, როგორ განვითარდა მოვლენები, როგორ ჩანდა ეს ყველაფერი გარედან.

– მომყევით! – მიბრძანა მებაჟემ.

– თუ შეიძლება, – ვთხოვე, – ნუ გამირთულებთ საქმეს, ჩემი მატარებელი წუთი წუთზე გავა.

– გავა, მაგრამ უთქვენოდ, – თქვა მებაჟემ.

ისე ჩამომხსნა მატარებლის საფეხურიდან, სრულიად გამიქრა სურვილი, მისი კითხვებისთვის მეპასუხა. ჩემი პასპორტი ხელში ეჭირა. მეორე მოხელე, რომელიც მგზავრებს პასპორტში ბეჭედს ურტყამდა, ჯერ კიდევ მატარებელში იყო. მე ვკითხე:

– რამე სჭირს ჩემს პასპორტს?

პასუხი არ გამცა.

– მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ, – გაიმეორა რამდენჯერმე, – და ეს თქვენ ძალიან კარგად იცით.

ჩემს კითხვაზე, პასპორტს რამე ხომ არ სჭირს-მეთქი, საერთოდ არ უპასუხია – ამ დროს ამერიკულ პასპორტზეა ლაპარაკი, რომლითაც ნახევარი მსოფლიო მოვიარე! – შვეიცარიული კილოთი იმეორებდა:
– გთხოვთ, – ვუთხარი, – ჩემო ბატონო, თუ არ გინდათ, სილა გაგაწნათ, ნუ მქაჩავთ სახელოზე. ვერ ვიტან, ასე რომ მქაჩავენ.

– წინ, წინ!

სილა მაშინ გავაწანი, როდესაც ახალგაზრდა მებაჟე, მიუხედავად ჩემი თავაზიანი და მკაფიო გაფრთხილებისა, კანონით ზურგგამაგრებული ქედმაღლობით მარწმუნებდა, მაინც გეტყვიან, ვინც ხარ სინამდვილეშიო.

მისი მუქი ლურჯი ქუდი სპირალისებურად გაგორდა ბაქანზე, უფრო შორს, ვიდრე მოველოდი და ახალგაზრდა მებაჟე, ქუდი რომ აღარ ეხურა და ამიტომ უფრო ადამიანური გამომეტყველება მიეღო, ერთი წამით ისე გაშტერდა, სიბრაზეც კი გაუქრა, და ისე გაშეშდა, რომ თავისუფლად შემეძლო, ისევ მატარებელში ავსულიყავი. მატარებელი ის-ის იყო, დაიძრა. ფანჯრებში გადმოკიდებული მგზავრები ხელებს იქნევდნენ. ერთი კარი ჯერაც ღია იყო. არ ვიცი, რატომ არ ავხტი მატარებელში. შემეძლო, მისთვის პასპორტი ხელიდან გამომეგლიჯა, რადგან, როგორც გითხარით, ახალგაზრდა კაცი ისეთი გაოგნებული იყო, თითქოს იმ გაგორებული ქუდისთვის გაეტანებინოს სული. და როდესაც ის, მისი გახეშეშებული ქუდი გაჩერდა, მხოლოდ მაშინ მოაწვა სრულიად გასაგები სიბრაზე. მე დიდი მონდომებით დავიხარე გამვლელებს შორის, რომ მუქი ლურჯი, შვეიცარიის ჯვრის ემბლემიანი ქუდი ოდნავ მაინც დამეფერთხა, სანამ მივაწოდებდი. ყურები ჭარხალივით გასწითლებოდა. უცნაური იყო; ისე გავყევი უკან, თითქოს ბრდილობა მაიძულებდა მორჩილებას. უსიტყვოდ, ხელიც კი არ მოუკიდია, ანდა რა საჭირო იყო, განყოფილებაში მიმიყვანა, სადაც ორმოცდაათი წუთი მაყურყუტეს.

– გთხოვთ, დაბრძანდით! – მითხრა კომისარმა.

პასპორტი მაგიდაზე იდო. შეცვლილმა ტონმა მაშინვე გამაოცა, ძალიან ცდილობდა, თავაზიანი ყოფილიყო, მაგრამ მაინცდამაინც არ გამოსდიოდა. აქედან დავასკვენი, რომ ამერიკის მოქალაქეობა, ჩემი პასპორტის თითქმის ერთსაათიანი თვალიერების შემდეგ, ეჭვს აღარ იწვევდა. კომისარი, თითქოს მოწადინებულია ახალგაზრდა მებაჟის ხეპრეობა გამოასწოროსო, გაისარჯა კიდეც, რომ ჩემთვის სავარძელი დაედგა.

– როგორც გავიგე, გერმანულად ლაპარაკობთ, – თქვა მან.

– რატომ არ უნდა ვლაპარაკობდე? – ვკითხე.

– გთხოვთ, – გაიღიმა, – დაბრძანდით.

მე მაინც ვიდექი.

– გერმანული წარმოშობის ვარ, – განვმარტე, – გერმანული წარმოშობის ამერიკელი.

მან ცარიელ სავარძელზე მიმითითა.

მატარებელში კეთილი რომ მენებებინა და გერმანულად ლაპარაკი არ დამეწყო, შეიძლება ყველაფერ ამას ავცდენოდი! ერთი შვეიცარიელი გამომელაპარაკა. სილის გაწვნასაც შეესწრო. სწორედ ის მგზავრი, რომელიც, პარიზიდან მოყოლებული, ნერვებს მიშლიდა. არ ვიცი, ვინ არის. ეს კაცი მანამდე არასოდეს მინახავს. პარიზში შემოვიდა კუპეში, ფეხებზე წამომედო და გამაღვიძა, ბარგი დააბინავა, ფრანგულად მოიბოდიშა, ღია ფანჯრამდე გაიკვლია გზა, რომ შვეიცარიულ დიალექტზე დამშვიდობებოდა ვიღაც ქალს. მატარებელი ჯერ დაძრულიც არ იყო, უკვე გამიჩნდა უსიამოვნო განცდა, რომ გამომცდელად მაკვირდებოდა. ამიტომ ჩემს კითხვისგან გაცვეთილ „ნიუ-იორკერს“ ამოვეფარე, რომლის ყველა ხუმრობა უკვე ზეპირად ვიცოდი, იქნებ ჩემი თანამგზავრის ცნობისმოყვარეობა როგორმე დაცხრეს-მეთქი. ისიც გაზეთს კითხულობდა, ციურიხულ გაზეთს. მას შემდეგ, რაც ფრანგულად შევთანხმდით, რომ ფანჯარას დავკეტავდით, ვცდილობდი, უაზროდ აღარ გამეხედა ფანჯარაში ბუნების საცქერლად; რადგან ეს ბატონი, შეიძლება ისე გადასარევი ადამიანი იყო, მაგრამ აშკარად ელოდა საბაბს, რომ საუბარი გაება; იმდენად შეეპყრო ამ სურვილს, რომ საბოლოოდ სხვა აღარაფერი დამრჩენოდა და ვაგონ-რესტორანს შევაფარე თავი, სადაც ხუთი საათი გავატარე და საკმაოდ დავლიე. მანამდე დავბრუნდი კუპეში, სანამ მულჰაუზსა და ბაზელს შორის არ აღმოვჩნდით. სხვა გზა აღარ მქონდა, საზღვარს ვუახლოვდებოდით. შვეიცარიელმა ისევ ისე შემომხედა, თითქოს მიცნობდა. რამ შესძინა უცებ გამბედაობა, რომ გამომლაპარაკებოდა, არ ვიცი. შეიძლება მხოლოდ იმ მარტივმა გარემოებამ, რომ ახლა უკვე მის მშობლიურ მიწაზე ვიმყოფებოდით. უკაცრავად! მკითხა ცოტა დაძაბულმა, ბატონი შტილერი არ ხართ? როგორც აღვნიშნე, რამდენიმე ვისკი მქონდა დალეული, ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა, ხელში ჩემი ამერიკული პასპორტი მეჭირა, შვეიცარიელმა კი, რომელსაც ისევ საკუთარმა დიალექტმა სძლია, ჟურნალი გადაშალა. ჩვენ უკან უკვე იდგა ორი მოხელე, ერთი – მებაჟე და კიდევ მეორე, რომელსაც ბეჭედი ეჭირა. მე პასპორტი მივაწოდე. უკვე ვგრძნობდი, რომ ბევრი მქონდა დალეული და რომ ეჭვის თვალით მიყურებდნენ. ჩემი მცირეოდენი ბარგი წესრიგში იყო. ეს თქვენი პასპორტია? მკითხა მეორემ. ჯერ, რა თქმა უნდა, გამეცინა. აბა, ვისი იქნება-მეთქი? ვკითხე ცოტა გაბრაზებულმა. რა იყო, არ არის წესრიგში-მეთქი? პირველად უყურებდნენ ჩემს პასპორტს ეჭვის თვალით, და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ბატონს თავის ჟურნალში დაბეჭდილ ვიღაცის ფოტოში ვეშლებოდი...

– ბატონო დოქტორო, – მიმართა კომისარმა სწორედ იმ ბატონს, – აღარ შეგაყოვნებთ, მადლობას გიხდით მოწოდებული ინფორმაციისთვის.

სანამ მადლიერ კომისარს კარის სახელური ეჭირა, იმ კაცმა გასვლისას თავი ისე დამიკრა, თითქოს ერთმანეთი გვცნობოდეს. იგი ისეთივე ბატონი დოქტორი გახლდათ, რომლის მსგავსიც ათასობით არსებობს. იოტისოდენი სურვილიც კი არ გამჩენია, მეც დამეკრა თავი. შემდეგ კომისარი შემობრუნდა და ისევ სავარძელზე მიმითითა.

– გთხოვთ, – მითხრა მან, – როგორც ვხედავ, ბატონო შტილერ, საკმაოდ ნასვამი ბრძანდებით.

– იმედი მაქვს, – ისე განაგრძო, წარბიც არ შეუხრია, – მაინც გაიგებთ, რის თქმა მინდა თქვენთვის, ბატონო შტილერ.

თავი გავაქნიე, მან კი მოსაწევი შემომთავაზა, რაღაცნაირი მოკლე სიგარა. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი, რადგან ცხადი იყო, სიგარას მე კი არა, ვინმე ბატონ შტილერს სთავაზობდა. მიუხედავად იმისა, რომ კომისარი ხანგრძლივი საუბრისთვის მოემზადა და დაჯდა, მე, ჩემი მხრივ, კვლავ ფეხზე ვიდექი.

– ასე რატომ აღელდით, როდესაც გკითხეს, ეს თქვენი ნამდვილი პასპორტი იყო თუ არა? – მკითხა და თან ჩემს ამერიკულ პასპორტს ფურცლავდა.

– ბატონო კომისარო, – ვუპასუხე, – ვერ ვიტან, როცა სახელოზე მექაჩებიან. რამდენჯერმე გავაფრთხილე თქვენი ახალგაზრდა მებაჟე. ვწუხვარ, რომ თავი ვერ შევიკავე და სილა გავაწანი, ბატონო კომისარო, რა თქმა უნდა, მზად ვარ ახლავე გადავიხადო თქვენს ქვეყნაში ასეთი საქციელისთვის დაწესებული ჯარიმა. ეს ხომ თავისთავად ცხადია. როგორია ტარიფი?

მან გაიღიმა, სხვათა შორის, კეთილგანწყობით. ეს, სამწუხაროდ, ასე მარტივი არ არისო, დასძინა, თან სიგარას მოუკიდა, გულმოდგინედ, მოკლე ყავისფერი სიგარა ოდნავ დაატრიალა ტუჩებში, დინჯად, საფუძვლიანად, თითქოს დრო თავზესაყრელი ჰქონოდა.

– თქვენ საკმაოდ ცნობილი კაცი ბრძანებულხართ.

– მე? – ვკითხე, – რას გულისხმობთ?

– მე ასეთი ამბების არაფერი გამეგება, – თქვა მან, – მაგრამ ის კაცი, დოქტორი, რომელმაც გიცნოთ, ძალიან მაღალი აზრის ყოფილა თქვენზე.

რაღა დამრჩენოდა. შეცდომა აშკარა იყო, ახლა რაც არ უნდა მეთქვა, ან კეკლუცობაში ჩამეთვლებოდა, ან თავმდაბლობაში.

– რატომ უწოდებთ თავს ვაითს? – მკითხა კომისარმა.

მე ვლაპარაკობდი და ვლაპარაკობდი.

– ეს პასპორტი საიდან გაქვთ? – დაინტერესდა.

საუბარს გემოს ატანდა, თავის ცოტა მყრალ სიგარას ეწეოდა, ცერა თითები აჭიმებში გაეყარა, ჩახუთული დღე იყო და რადგან უკვე აღარ მთვლიდა უცხოელად, არცთუ ისე მოხერხებული ქურთუკი გაეღეღა. გამომცდელი თვალით მიმზერდა და თან საერთოდ არ მისმენდა, რას ვეუბნებოდი.

– ბატონო კომისარო, – მივუგე, – აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, მე მთვრალი ვარ, მაგრამ ვიღაც შემთხვევით გამვლელ ბატონ დოქტორს არ დავრთავ ნებას...

– მან განაცხადა, რომ გიცნობთ.

– საიდან? – ვკითხე.

– ჟურნალიდან, – მიპასუხა; შემდეგ ჩემი აგდებული დუმილით ისარგებლა და გააგრძელა: – თქვენ გყავთ მეუღლე, რომელიც პარიზში ცხოვრობს. ასე არ არის?

– მე? მეუღლე?

– მას იულიკა ჰქვია.

– მე პარიზიდან არ ჩამოვსულვარ, – განვუმარტე, – მექსიკიდან მოვდივარ, ბატონო კომისარო.

მოვახსენე: გემის სახელი, მგზავრობის ხანგრძლივობა, ჰავრში ჩამოსვლის დრო, ვერა კრუზიდან გამომგზავრების დრო.

– კი, ბატონო, ეგ შეიძლება ეგრეა, – თქვა მან, – მაგრამ თქვენი მეუღლე პარიზში ცხოვრობს. თუ სწორად გავიგე, მოცეკვავეა. ძალიან ლამაზი

ქალი უნდა იყოს.

ხმას არ ვიღებდი.

– იულიკა მისი ფსევდონიმია, – მომახსენა კომისარმა, – როგორც ამბობენ, ადრე ფილტვები აწუხებდა და დავოსში ცხოვრობდა. ახლა კი ბალეტის სკოლას ხელმძღვანელობს პარიზში. ასე არ არის? უკვე ექვსი წელია.

მე მას მხოლოდ შევხედე.

– მას მერე, რაც თქვენ უგზო-უკვლოდ დაიკარგეთ.

უნებლიეთ მაინც ჩამოვჯექი, რათა მომესმინა, რა იციან ჟურნალების მკითხველებმა ადამიანზე, რომელიც, თუნდაც მხოლოდ იმ დოქტორის თვალში, როგორც ჩანს, მე მგავს. სიგარეტი ავიღე, კომისარმა კი, რომელსაც იმ დოქტორის მიერ ჩემ მიმართ გამოვლენილი პატივისცემა გადასდებოდა, ცეცხლი მომაწოდა.

– ესე იგი, მოქანდაკე ბრძანდებით.

გამეცინა.

– ასე არ არის? – მკითხა და პასუხს არც დალოდებია, მეორე კითხვა მოაყოლა: – რატომ მოგზაურობთ ყალბი სახელით?

ჩემი ფიცისაც არ სჯეროდა.

– ვწუხვარ, – თქვა და რომელიღაც უჯრიდან ცისფერი ბლანკი ამოქექა: – ვწუხვარ, ბატონო შტილერ, მაგრამ თუკი უარს იტყვით თქვენი ნამდვილი პასპორტის ჩვენებაზე, იძულებული გავხდები, კრიმინალურ პოლიციას გადაგცეთ. მინდა, ეს კარგად გაიგოთ.

თან სიგარას ფერფლი ჩამოაბერტყა.

– მე არ ვარ შტილერი! – ვიმეორებდი, სანამ იგი კეთილსინდისიერად ავსებდა ვრცელ ანკეტებს, თან თითქოს საერთოდ აღარ მისმენდა; ყველანაირი ინტონაციით ვიმეორებდი, საზეიმოდ, საქმიანად: – ბატონო კომისარო, მე არ გამაჩნია სხვა პასპორტი! – ხუმრობითაც: – რა სისულელეა! – თან, მიუხედავად სიმთვრალისა, ძალიან ზუსტად ვგრძნობდი, რაც უფრო ხშირად ვიმეორებდი, მით ნაკლებად მიგდებდა ყურს; ბოლოს ვიყვირე: – არ ვარ შტილერი, ეშმაკსაც წაუღიხართ! –

ვიყვირე და მაგიდას მუშტი დავარტყი.

– კი მაგრამ, ასე რატომ ბრაზობთ?

წამოვდექი და მოვითხოვე:

– ბატონო კომისარო, დამიბრუნეთ ჩემი პასპორტი!

არც კი ამოუხედავს.

– თქვენ დაპატიმრებული ხართ! – გამომიცხადა, თან მარცხენა ხელით ჩემს პასპორტს ფურცლავდა, რომ ნომერი ამოეწერა, გაცემის თარიღი, მექსიკაში ამერიკის კონსულის სახელი და ყველაფერი, რის ცოდნასაც ასეთ შემთხვევაში ცისფერი ანკეტა ითხოვდა, და არცთუ უხეშად მითხრა: – დაბრძანდით.

> ჩემი საკანი – ეს წუთია ფეხსაცმლით გავზომე, რომელიც ოცდაათ სანტიმეტრზე ოდნავ მოკლეა – ისეთივე პატარაა, როგორიც ყველაფერი სხვა დანარჩენი ამ ქვეყანაში, ისეთი სუფთაა, რომ ამდენი სისუფთავისგან სუნთქვა გიჭირს და სული გეხუთება. სწორედ იმიტომ, რომ ვერაფერს დადებ წუნს, ყველაფერი გარემოებას შეესაბამება, მოწესრიგებული და ზომიერია. არც მეტია და არც ნაკლები! ამ ქვეყანაში ყოველივე ასე დამთრგუნველად საკმარისია. ზუსტად გავზომე: სიგრძე 3,10 მეტრი, სიგანე 2,40 მეტრი, სიმაღლე 2,50 მეტრი. ჰუმანური ციხეა, ვერაფერს იტყვი, და სწორედ ამაშია მზაკვრობა. არც ობობას ქსელია სადმე, არც ობია კედლებზე, არაფერი, რაც ადამიანის აღშფოთებას გაამართლებდა. არსებობს დილეგები, რომლებიც ბრძოლით აუღია ხალხს, როცა მათ შესახებ შეუტყვია, აქ არაფერია ბრძოლით ასაღები. ზუსტად ვიცი, რომ მილიონობით ადამიანი ჩემზე უარეს პირობებში ცხოვრობს. ნარი რბილია, გისოსებიან ფანჯარას დილის მზე ადგება; წელიწადის ამ დროს სადღაც თერთმეტ საათამდე. მაგიდას ორი უჯრა აქვს: ბიბლიაც არის და სანათიც. და როცა მოსაქმება მომინდება, საკმარისია, თეთრ ღილაკზე დავაჭირო თითი და შესაბამის ადგილას წამიყვანენ,

სადაც, ძველი გაზეთები კი არ აწყვია, რომ ჯერ წაიკითხო და მერე გამოიყენო, არამედ ტუალეტის რბილი ქაღალდი. და მაინც დილეგია, და არის მომენტები, ღრიალი გინდება. მაგრამ არ ღრიალებ, როგორც არ იღრიალებდი სადმე დაწესებულებაში; მაინც იმშრალებ ხელს პირსახოცით, მიაბიჯებ ლინოლეუმის იატაკზე, ამბობ მადლობას, როცა ისევ ჩაგკეტავენ შენს საკანში. წაბლის ხის შემოდგომისგან გაყვითლებული ფოთლების გარდა ვერაფერს ვხედავ, ვერც მაშინ, როცა რბილ ნარზე ავძვრები ხოლმე, სხვათა შორის, იქ (ფეხსაცმლით) აძრომა აკრძალულია. განსაკუთრებით მტანჯავს, რა თქმა უნდა, გაურკვეველი წარმოშობის ხმები; მას მერე, რაც გავიგე, რომ ამ პატარა ქალაქში ჯერ კიდევ დადის ტრამვაი, მისი გრუხუნის წაყრუებას უკვე ვახერხებ. საშინელებაა მეზობელი რადიოს გაუგებარი ხმა, ნაგვის მანქანების ყოველდღიური გრიხინი და ხალიჩების გამალებული ბერტყვის ხმა, ეზოებიდან რომ მოდის. ამ ქვეყანაში, როგორც ჩანს, ავადმყოფურად ეშინიათ ჭუჭყის. გუშინ გადაწყვიტეს, ბურღის კაკანით გავეხალისებინე; სადღაც გადათხრიან ქუჩას, რომ მერე ისევ მოკირწყლონ. ხშირად მგონია, ერთადერთი მუქთახორა ამ პატარა ქალაქში მე ვარ. თუკი ქუჩიდან შემომავალი ხმებით ვიმსჯელებთ, ბურღი როცა გაჩერდება ხოლმე, მიხვდები, რომ აქ ბევრს იგინებიან და იშვიათად იცინიან. შუაღამისას მთვრალები ღრიალებენ, რადგან ამ დროს ყველა დუქანი იკეტება. ერთხელ სტუდენტები მღეროდნენ, გეგონებოდა, გაგანია გერმანიაში ხარო. სადღაც პირველ საათზე სიჩუმე ისადგურებს. მაგრამ სინათლის ჩაქრობას აზრი არა აქვს, ერთი შორეული ქუჩის ლამპიონი ანათებს ჩემს საკანს. გისოსების ჩრდილები კედელზე იშოტებიან, ჭერზე იკეცებიან და როცა გარეთ ქარია და ქუჩის ლამპიონს აქანავებს, შეიძლება გაგიჟდე მოქანავე ჩრდილების შემყურე. კიდევ კარგი, დილით, როცა მზე ანათებს, გისოსების ჩრდილი იატაკზეა გართხმული.

ჩემი დარაჯი რომ არა, რომელსაც საჭმელი მოაქვს ხოლმე, დღესაც არ მეცოდინებოდა, რა თამაშს მეთამაშებიან აქ. როგორც ჩანს, ყველამ, ვინც გაზეთს კითხულობს, იცის, ვინ იყო შტილერი. ამიტომ, შეუძლებელია რაიმეს ზუსტად დადგენა. ყველა ისე გელაპარაკება, თითქოს შენც უნდა იცოდე და, ამ დროს, თავადაც მხოლოდ დაახლოებით იციან.

– ერთი ხანობა, მგონი, ტბაში ეძებდნენ, – ამბობს ჩემი დარაჯი, – მაგრამ უშედეგოდ, და მერე უცებ თქვეს, ლეგიონერად წავიდაო.

თან წვნიანს მისხამს.

– სხვათა შორის, ამას ახლაც ბევრი შვეიცარიელი აკეთებს, აქაურობა ვისაც ნერვებს უშლის, – მანათლებს იგი.

– რას, სხვა ქვეყნის ჯარში ეწერებიან?

– წელიწადში სამასი!

– რატომ ლეგიონერებად?– ვეკითხები მე.

– იმიტომ, რომ აქაურობა ნერვებს უშლით.

– გასაგებია, – ვამბობ მე, – მაგრამ რატომ სხვის ჯარში? ეს უარესი არ არის?

– რა ვიცი, ჩემთვის სულერთია.

– კარგი, და ცოლი? – ვეკითხები მე,– ადგა და ასეთი ავადმყოფი დავოსში მიატოვა?

– რა ვიცი, იქნებ იმ ქალისთვის ეგრე ჯობდა!

– ასე ფიქრობთ?

– რა ვიცი, ჩემთვის სულერთია, – ამბობს ის, – მას შემდეგ პარიზში ცხოვრობს.

– ვიცი!

– მოცეკვავეა.

– ვიცი!

– ულამაზესი ქალია.

– და ფილტვები რომ აწუხებს?– თანაგრძნობით ვეკითხები.

– მორჩა.

– ეს ვინ თქვა?

– თვითონ იმ ქალმა.

– და თქვენ საიდან იცით ეს ყველაფერი?

– საიდან უნდა ვიცოდე! – ჩემი დარაჯიც იმავეს ამბობს, – ჟურნალებიდან.

მეტის გაგება შეუძლებელია

– ჭამეთ! – ამბობს ჩემი დარაჯი, – ჭამეთ წვნიანი, სანამ ცხელია, და წყობიდან ნუ გამოხვალთ, მისტერ ვაით. ამათაც ეს უნდათ, ამ ბატონ დოქტორებს, ვიცი მაგათი ამბავი!

წვნიანი, ბოსტნეულის წვნიანი, გვარიანია. საერთოდ, მომსახურებას ვერ დაიწუნებ და ჩემს დარაჯსაც, მგონია, რომ კარგი უნდა ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, ის ერთადერთია, ვინც (სხვათა მსგავსად) ბატონო შტილერით კი არ მომმართავს, არამედ მისტერ ვაითით.

უნდა მოჰყვეო! უნდა მოვყვე სიმართლე ჩემი ცხოვრების შესახებ, არაფერი, გარდა მარტივი და წმინდა სიმართლისა. ერთი დასტა თეთრი ქაღალდი, ერთი მელნიანი კალმისტარი, რომელიც სახელმწიფოს ხარჯზე ნებისმიერ დროს შემიძლია შევავსო და ამას დამატებული ცოტა კეთილი ნება: სხვა რაღა დარჩენია სიმართლეს, კალმისტრით რომ გამოვედევნები! და თუკი კეთილსინდისიერად მიყვები ფაქტებს, სიმართლე ვერსად გაგვექცევაო, მეუბნება ჩემი ადვოკატი, ასე ვთქვათ, მოიხელთებ და ვეღარ გაგისხლტებაო. და ნეტავ საით აპირებს გასხლტომას ეს სიმართლე, თუკი დავწერე? ფაქტებში კი ჩემი ადვოკატი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს გეოგრაფიულ სახელებს, თარიღებს, რომელთა გადამოწმება შეიძლება, მაგალითად, მონაცემებს პროფესიის, შემოსავლების შესახებ, სადმე ყოფნის ხანგრძლივობას, შვილების რაოდენობას, განქორწინებების რაოდენობას, რელიგიურ კუთვნილებას და ა.შ.

P. S.

სად ვიყავი 1946 წლის 18 იანვარს?

გასეირნება ციხის ეზოში:

არც ისეთი საშინელებაა, არც ისეთი დამამცირებელია, როგორსაც მოელი. მიხარია, რომ ფეხის გაშლის საშუალება მეძლევა, თუნდაც წრეში სიარულის. ეზო საკმაოდ დიდია. მოკირწყლულ ქვებს შორის ხავსი მოჩანს, შუაში ლამაზი ნეკერჩხალი დგას, კედელზე სუროა ასული და, რასაკვირველია, ბევრს ნიშნავს, რომ პატიმრების ფორმა კი არ გვაცვია, არამედ სამოქალაქო ტანსაცმელი, ის, რაშიც დაგვაპატიმრეს. თუკი სასეირნოდ დადგენილ წრეს ოდნავ გააფართოებ, სახლის ქონგურს დაინახავ, სადაც სარეცხი ფრიალებს, ისე მხოლოდ მოღულუნე მტრედებით სავსე ცა ჩანს სახურავებს ზემოთ. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთ რიგად სიარულის უფლება გვაქვს, ასე რომ, საუბარს წესიერად ვერავისთან გ

გვიყრის. ყველა მხრებს იჩეჩს. უფროსმა ზედამხედველმა ხელიდან გაუშვა მომენტი, როცა შეეძლო, კარტოფილი, უბრალოდ, გადაეგდო; საქმემ, მისდა უნებურად, სერიოზული სახე მიიღო, პრინციპის ამბავი გახდა. მგონია, რომ ეს ყველაფერი ფარსია და უფროსი ზედამხედველიც ძლივს იკავებს სიცილს და სურვილს, ყველანი გაგვიშვას; თან ვფიქრობ, ვინ იცის, სადმე წამების ინსტრუმენტები აქვთ გადანახული და ერთი უმი კარტოფილის მოპარვა საკმარისია, რომ საიდანღაც ცხელი შანთები გამოაძრონ. უცებ ჩემი ებრაელი იწევს ხელს. ყველას სიცილი წასკდება. უფროსი ზედამხედველიც ხვდება, რომ აღიარებითი ჩვენება მხოლოდ შაყირია (იგი პირველად ხედავს ფეხბურთის მოთამაშე ებრაელს) და ეს უარესია, ვიდრე უმი კარტოფილის ქურდობა. ებრაელს უბრძანებს, წინ გამოვიდეს, ის, თავის მხრივ, აღელვებისგან გაფითრებულია. სასჯელი დანარჩენებისთვის: 5 წუთი ჩქარი სიარული. ჩემ წინ სქელი კაცი, რეზინის სათბურასავით რომ თახთახებს, რა თქმა უნდა, პირველივე წრეზე ჩამოგვრჩება, ამიტომ სპირალზე დარბის, რომ გზა შეიმოკლოს, სანამ ზედამხედველი არ ეტყვის, გაჩერდიო. არაადამიანები კი არ არიან. მაგრამ, გასაგებია, რომ წესრიგი აუცილებელია, გარკვეული სერიოზულობაც. ბოლოს და ბოლოს, წინასწარი პატიმრობის ციხეში ვართ... ხანდახან, ჩემს საკანში მარტო რომ ვრჩები ხოლმე, მგონია, რომ ეს ყველაფერი მესიზმრება. განცდა მაქვს, რომ ნებისმიერ დროს შემიძლია ავდგე, სახეზე აფარებული ხელები ჩამოვუშვა და თავისუფლებაში მიმოვიხედო, საპყრობილე მხოლოდ ჩემშია.

– ძალიან ვეცადე, – ამბობს ჩემი სახაზინო ადვოკატი, – რომ თქვენი, იმედია, ხანმოკლე ყოფნა ამ ციხეში რაც შეიძლება სასიამოვნო გამეხადა – ვისკი აქ აკრძალულია! – თქვენ საუკეთესო საკანი გაქვთ ამ დაწესებულებაში, მერწმუნეთ, ყველაზე დიდი არა, მაგრამ ერთადერთია, რომელსაც დილის მზე ადგება; წაბლის ბებერ ხეებს უყურებთ, რაც შეეხება ეკლესიის ზარებს, ვაღიარებ, ძალიან ხმამაღლა რეკავენ, მაგრამ რას ელით ჩემგან, ეკლესიას სხვაგან ხომ ვერ გადავდგამ!

ეს მართალია. ისევე, როგორც ყველაფერი, რასაც ჩემი ადვოკატი მეუბნება. რაღაც ისეთნაირად არის მართალი, რომ ვერც მარწმუნებს და მაინც სულ მე გამოვდივარ მტყუანი. მათი ეკლესიის ზარების ხმა, ლითონის გუგუნი, დღეში ორჯერ, სულ ცოტა ორჯერ იწყება, თუ ქორწილები ან დაკრძალვები არ დაემატა. ისეთი ხმაურია, საკუთარი აზრებიც კი აღარ გესმის, ჰაერი კანკალებს, უხმოდ ზანზარებს, ისეთი ხმაა, მაღალი ტრამპლინიდან რომ გადახტები და წყალს დაენარცხები; ეს ხმა სმენას მიხშობს, წონასწორობას მაკარგვინებს, მათაყვანებს; მაგრამ

ჩემი ადვოკატი მართალია: ეკლესიას სხვაგან ვერ გადაიტანს! და რადგან აღარ ვიცი, რა ვქნა და ვჩუმდები, საქაღალდეს დასწვდება და ამბობს:

– ახლა კი საქმეს მივხედოთ!

ჩემი ადვოკატი კეთილი, ყოველ შემთხვევაში, უწყინარი ადამიანია, კარგი ოჯახის შვილი, ყველანაირად მოწესრიგებული, ჩაცმულობაზეც წესიერება ეტყობა, ცოტა შებოჭილია, მაგრამ მისი ეს შებოჭილობაც მანერად ქცეულა. და, რაც მთავარია, სამართლიანია, ეს ეჭვს არ იწვევს, სამართლიანი – წვრილმანებამდე, შეიძლება გაგაგიჟოს, ისეთი სამართლიანია, თითქოს თანდაყოლილი რწმენა ჰკარნახობდეს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში სამართლიანობა უნდა არსებობდეს, ყოველ შემთხვევაში, შვეიცარიაში მაინც. თან, სულელიც არ არის. ძალიან ბევრი რამ იცის, მისი ცოდნა ლექსიკონივით სანდოა, განსაკუთრებით, რაც შვეიცარიას შეეხება. ასე რომ, არანაირი აზრი არა აქვს, ჩემს ადვოკატს შვეიცარიაზე ველაპარაკო. ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც შვეიცარიას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს, ძირშივე ჩახშობილია უამრავი ისტორიული ფაქტით, რომელთაც ვერ უარყოფ და ბოლოს, თუკი მის შვეიცარიას არ შეაქებ, შენ გამოდიხარ მტყუანი, ყოველთვის მტყუანი ხარ, ისევე როგორც იმ ეკლესიის ზარების შემთხვევაში. შეიძლება მხოლოდ მისი ტემპერამენტის ნაკლებობაა, რაც ასე საშინლად მაღიზიანებს, მისი კორექტულობა, მისი ზომიერება; ჩემზე ჭკვიანია, მაგრამ მთელ თავის ჭკუას იმაში ხარჯავს, რომ შეცდომები არ დაუშვას. ასეთ ადამიანებს ვერ ვიტან! ვერაფერს ვსაყვედურობ, მას სათნო, ყოველ შემთხვევაში, უწყინარი, კაცმა რომ თქვას, სრულიად გონიერი ადამიანი ვგონივარ, კეთილი ნების კაცი, შვეიცარიელი. ამ რწმენით მიცავს და ეს მაცოფებს. ასეთ დროს ქუსლებზე შემოვტრიალდები ხოლმე, იგი ნარზე ზის, მე ზურგს ვაქცევ, უზრდელად ვდუმვარ, ხელებს შარვლის ჯიბეებში ვიწყობ და წაბლის ხეებს გავცქერი, რადგან დიდხანს არ შემიძლია ისეთი ადამიანების ატანა, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება კაცი მოკლან და ამიტომ ჰგონიათ, რომ ვერც მე მოვკლავ კაცს.

– კარგად მესმის თქვენი, – ამბობს, – კარგად მესმის თქვენი! გაბრაზებული ხართ შვეიცარიაზე, რადგან ის საპყრობილით შეგეგებათ, გასაგებია, იმის თქმა მინდა, რომ გასაგებია თქვენი სიბრაზე, მწარეა, სამშობლოს ციხის გისოსებიდან უყურებდე.

– სამშობლო რა არის? – ვეკითხები მე.

– ოღონდ, – ჩემს არცთუ უმნიშვნელო კითხვას გადაახტა, – ნუ გამირთულებთ თქვენს დაცვას, სამწუხაროდ, თქვენი ზოგიერთი გამონათქვამი, რომელიც დაპატიმრებისას წამოგცდენიათ, უკვე პრესაში მოხვდა. რად გინდათ გართულება? თქვენთვის გთხოვთ, შეეშვით ჩვენი ქვეყნის კრიტიკას, ეს ხომ ბოლოს და ბოლოს თქვენი სამშობლოცაა!

– კი მაგრამ, ასეთი რა ვთქვი?

– აქ ხალხი ძალიან მგრძნობიარეა, – მპასუხობს შესაშური გულწრფელობით, თან აშკარად თავს არიდებს შვეიცარიის საწინააღმდეგო გამონათქვამების გამეორებას და განაგრძობს: – ჩვენს საქმეს რომ მივხედოთ: ამასობაში ყველა ოქმი წავიკითხე და ახლა თუ კეთილ ნებას გამოიჩენთ და მოკლედ მაინც მიამბობთ, სად და როგორ გაატარეთ ბოლო ექვსი წელი...

ყოველ ჯერზე ერთსა და იმავეს მეკითხება. არადა, დაფიცებული მაქვს, ვისკის გარეშე ჩვენებას არ ვიძლევი. იმხელა დოსიე ამოაქვს თავისი ტყავის ჩანთიდან, იმსისქე, რომ თუ სამაგრი არ გახსენი, ვერც კი გადაფურცლავ. სახეში შევცინე. დარწმუნებულია, რომ ეს დოსიე ჩემზეა, ვერ ვაჩერებ, საათობით კითხულობს. ვითომ ეს მოწყენილობა, რომლითაც ყოველდღე თავს მაბეზრებს, წამების სახეობა არ იყოს!

– ბატონო დოქტორო, – დღეს შევაწყვეტინე, – მე პირდაპირ მექსიკიდან ჩამოვედი.

– ამას ამტკიცებთ, ვიცი.

– პირდაპირ მექსიკიდან მოვდივარ, – ვიმეორებ, – და მერწმუნეთ, აცტეკების ცნობილი მსხვერპლშეწირვა, ცოცხალ ადამიანს რომ გულს აჭრიან კერპებისთვის შესაწირად, ბავშვური თამაშია იმასთან შედარებით, როგორ გეპყრობიან შვეიცარიის საზღვარზე, თუკი საბუთები არ გაგაჩნია, ან ყალბი საბუთები გაქვს – ბავშვური თამაში!

მას მხოლოდ გაეღიმა.

– ესე იგი, აღიარებთ, ბატონო შტილერ, რომ თქვენი ამერიკული საბუთები წესრიგში არაა?

– მე არ ვარ შტილერი!

– მე მითხრეს, – ისე წყნარად აგრძელებს ლაპარაკს, თითქოს მე არ მეღრიალოს, – რომ თქვენ, სავარაუდოდ – სავარაუდოდ! სხვა არავინ ხართ, თუ არა ანატოლ ლუდვიგ შტილერი, დაბადებული ციურიხში, მოქანდაკე, დაქორწინებული იულიკა შტილერ-ჩუდიზე. ექვსი წლის წინ უგზო-უკვლოდ დაკარგული, თქვენი ბოლო მისამართია შტაინგართენგასე 11, ციურიხში. მე ეს საქმე გადმოვიბარე.

– რომ დაიცვათ ანატოლ შტილერი.

– დიახ.

– ჩემი სახელია ვაითი.

მაგრამ ვერ ვაგებინებ, გინდა ასჯერ გაუმეორე – არ ესმის! ჩვენი საუბარი გრამოფონის ფირფიტას ემსგავსება, ნემსი რომ სულ ერთ ღარში ვარდება და ერთსა და იმავეს იმეორებს გაუთავებლად.

– რატომ, – მეკითხება, – რატომ არ ხართ შტილერი?

– იმიტომ, რომ არ ვარ.

– რას ჰქვია, არ ხართ! – ამბობს იგი, – მე სე მითხრეს.

ბოლოს ვჩუმდები. მისი დრო შეზღუდულია; ეს თუ გადამარჩენს, თავი დავაღწიო ამ კეთილი გულის ადამიანს, რომელსაც თავი ჩემი ადვოკატი ჰგონია და ამიტომ შეურაცხყოფილია, რომ მთელი დოსიე წაიკითხა და მე მაინც არ ვეხმარები. ბოლოს ქაღალდებს ტყავის ჩანთაში აწყობს, საკეტს ეჯაჯგურება, სანამ არ ჩაკეტავს, დგება, ამოწმებს, ხომ არაფერი რჩება – კალმისტარი, სათვალე, და ხელს ისე მართმევს, როგორც ჩოგბურთის მოთამაშეები ართმევენ ხოლმე მოწინააღმდეგეს ხელს წაგებული თამაშის შემდეგ და თან მეუბნება, ხვალ როდის მოვა...

P. S.

შენი უდანაშაულობის მჯერაო. ეს რას ნიშნავს? უეცრად გამიელვა აზრმა, რომ ის უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერი რაღაცაშია ეჭვმიტანილი. ამიტომაც ეძებს ასე გამალებული ეს უწყება თავის დაკარგულ მოქალაქეს, რომ რაღაც საქმე გამოიძიოს.

ქნობელი (ასე ჰქვია ჩემს დარაჯს) ოქროს ადამიანია, ერთადერთი, ვისაც ჩემი მონაყოლის სჯერა. სანამ საკანს ალაგებს, ნარზე ვწევარ, ის კი

მანამ ალაგებს, სანამ წყალი, რომელშიც ტილოს წურავს, სასმელი წყალივით სუფთა არ ხდება. ესენი ყველაფერს გარეგნულს ძალიან სერიოზულად ეკიდებიან, როგორც ჩანს. ამ ქვეყანაში გისოსებსაც კი წმენდენ მტვრისგან.

– თუკი თავადვე ამტკიცებთ, რომ თქვენი მეუღლე მოკალით, – ამბობს ჩემი დარაჯი...

– ადრე, თოთხმეტი წლის წინ, თურმე ბოსტნეულით ვაჭრობდა, ურემი ჰქონია და ცხენი ჰყოლია, რომელსაც სიყვარულით იხსენებს, რიოსლი ერქვაო. ჯერ მეგონა, რომ თავის ცოლზე ლაპარაკობდა. რაც დაქვრივებულა, დარაჯად მუშაობს, მე მეუბნება, ერთადერთი ხარ ჩემი კარიერის მანძილზე, ვინც საკნის ყოველი დალაგებისას არ მარწმუნებს, უდანაშაულო ვარო. აღარ შემიძლია ამის ატანაო, ამბობს, ამ ვითომ წესიერი კაცების ლაყბობისო. ალბათ მართლა გულისამრევია. მეზობელ საკანში, როგორც მისგან ვიგებ, ბანკირი ცხოვრობს, რომელიც საათობით ტირის, შემდეგ საკანში კი სუტენიორი, რომელიც ასევე მხოლოდ მორალს ქადაგებს. ჩემს დარაჯს უხარია, რომ მე ვყავარ, ასე მგონია. მაშინ, ბოსტნეულს რომ ყიდდა და ცოლი რომ თავზე აჯდა, ალბათ წინასწარი დაკავების საპატიმრო სულ სხვანაირად წარმოედგინა. ალბათ ფიქრობდა, იქ ამბებს გავიგებო! მაგრამ შენც არ მომიკვდე! ნამდვილი დამნაშავეების ნახვა თუ გინდა, კინოში უნდა წახვიდე (ასე ამბობს) სხვებივითო... ესმის, რომ ჩემი პირველი მკვლელობის შესახებ საუბარი არ მსიამოვნებს, რადგან ჩემს ცოლს ეხება.

– მაგრამ თქვენი მეორე მკვლელობა? – მეკითხება.

– მეორე მკვლელობა, – ვამბობ და თან ძეხვს კანს ვაცლი, მეორე უიოლესი იყო, მე ხომ უკვე ვიცოდი, რომ მკვლელი ვარ, ამიტომ დიდად არ გამჭირვებია – ჯუნგლებში მოხდა.

– ჯუნგლებში იყავით, მისტერ ვაით?

– ჰო, სწორედ ამის თქმა მინდა.

– უჰ, რა მაგარია! – ამბობს, – უჰ, რა მაგარია!

– იცით, რა არის ჯუნგლები?

– მხოლოდ დოკუმენტური ფილმებიდან, მისტერ ვაით.

– ზუსტად ეგრეა, – ვეუბნები და ერთხანს ვყოვნდები, სანამ საქმეზე გადავალ, – ხომ ვიცოდი, რომ ის შმითცი იამაიკაში დაძრწოდა, მარცხენა ჩექმაში თვეობით დავატარებდი ხანჯალს.

– შმითცი ვინ არის?

– დირექტორი შმითცი! – ვპასუხობ.

– არ ვიცნობ.

– თმის ზეთის განგსტერი! – ვეუბნები მე, – მილიონერი, იცით, როგორი? წესიერ და სამართლებრივ სახელმწიფოში რომ ვერ მოიხელთებ.

– და თქვენ იგი ხანჯლით?

– რა თქმა უნდა.

– უჰ, რა მაგარია! – ამბობს ის.

– ინდიელების ხანჯლით.

სამწუხაროდ, დიდხანს ვერ ჩერდება, რადგან რვა საკანს ემსახურება. ჩემთან ისედაც უფრო მეტად ყოვნდება ხოლმე, ვიდრე მათთან, მორალისტებთან. მართლა ოქროს ადამიანია, ყოველთვის, როცა პატიმრებს ყელში ამოგვდის მათი შვეიცარიული ყველი, ჩემთვის სერველატი მოაქვს, რომელსაც თავისი ფულით ყიდულობს. მართალია, არც სერველატია ჩემი საყვარელი საჭმელი, თანაც ლუდის გარეშე, რაღაცნაირი ნივრიანი ძეხვია, ჭამიდან რამდენიმე საათის მერეც გრძნობ სუნს, როცა უკვე სხვა რაღაცებზე ფიქრობ, მაგრამ თავისთავად მისი ეს ქესტი მიჩუყებს გულს.

ქალბატონმა იულიკა შტილერ-ჩუდიმ, უგზო-უკვლოდ დაკარგულის მეუღლემ, უკეთესი ფოტოები მოითხოვა, რომ ტყუილად არ ჩამოვიდეს პარიზიდან. ორმოცდახუთი წუთი მანათებენ ყოველი მხრიდან და, რა თქმა უნდა, ოფლი მასხამს; თან ბრძანებასაც აყოლებენ:

– ნუ დაიძაბებით!

ვზივარ ჩემს საკანში, ვუყურებ კედელს და ვხედავ უდაბნოს. მაგალითად, ჩიჰუაჰუას უდაბნოს. ვხედავ, რომ უდაბნოს უსასრულო ერთფეროვნება ფერებადაა აფეთქებული, იქ, სადაც არაფერი ყვავის, მცხუნვარე შუადღის ფერებია, დაისის ფერები, საოცარი ღამის ფერები. მიყვარს უდაბნო. არც

ჩიტი ცაში, არც მოწანწკარე წყალი, არც მწერი. ირგვლივ არაფერი, მხოლოდ სიჩუმე, ირგვლივ მხოლოდ ქვიშა და ქვიშა და კიდევ ქვიშა, რომელიც გადაგლესილი კი არ არის, არამედ ქარისგან დავარცხნილი და დატალღულია, მზეში მკრთალი ოქროსავით თუ ფქვილივით ანათებს, ჩაღრმავებები ჩრდილებითაა ამოვსებული, მელანივით ლურჯი ჩრდილით და ცაზე არასდროს ღრუბელი, არასდროს მცირე ფთილაც კი, არც გაქცეული ცხოველის ხმა, მხოლოდ აქა-იქ თითო-ოროლა კაქტუსი, ორღანის მილებივით თუ შვიდტოტა ლამპიონივით აჭიმული, ოღონდ სახლის სიმაღლის, მცენარეა, მაგრამ გაშეშებული და უძრავი, როგორც არქიტექტურული ძეგლი, მწვანე კი არა, უფრო ქარვასავით მოყავისფრო, სანამ მზე დანათის და მხოლოდ შავი სილუეტი ლურჯ ღამეში – ყველაფერ ამას ვხედავ ღია თვალებით. ვერასოდეს შევძლებ ამის აღწერას, არ მესიზმრება, ცხადად ვხედავ და ყოველ ჯერზე მაოცებს ჩვენი ყოფის არარეალურობა. რამდენი უდაბნოა ამ თანავარსკვლავედში, რომლის სტუმრებიც ჩვენ ვართ, აქამდე არ ვიცოდი, მხოლოდ წამეკითხა. არასოდეს გამეგო, რომ ყველაფერი ეს, რითაც ჩვენ ვარსებობთ, ერთი პატარა ოაზისის საჩუქარია, ისეთივე წარმოუდგენელი, როგორიც ღვთის წყალობა. ერთხელ, სადღაც გავჩერდით, შუადღის მომაკვდინებელ პაპანაქებაში, ჰაერი არ იძვროდა, იმ მოგზაურობაში პირველად დავინახეთ ცისტერნა, პირველი ოაზისი. რამდენიმე ინდიელი მოგვიახლოვდა, რომ ჩვენი მანქანა დაეთვალიერებინა, უსიტყვოდ და მორცხვად. ისევ კაქტუსები, რამდენიმე გამომშრალი აგავა, რამდენიმე მომჭკნარი პალმა, ეს იყო ოაზისი. საინტერესოა, რას აკეთებენ აქ ადამიანები. და საერთოდ, საინტერესოა, რას აკეთებენ ადამიანები დედამიწაზე და გიხარია, რომ რაღაც საქმე გაქვს, იძულებული ხარ, ცხელ ძრავას მიხედო. დაჟანგული თუნუქის სახურავის, შორეული და ძნელად წარმოსადგენი ცივილიზაციის გადმონაშთის ქვეშ, ვირი იდგა. გამოუწვავი თიხის ხუთიოდე ქოხის ირგვლივ, რომელთაც, როგორც ათასი თუ ორი ათასი წლის წინ, ახლაც არ ჰქონდა ფანჯრები, რა თქმა უნდა, ბავშვები რუზრუზებდნენ. დროგამოშვებით გზას ვაგრძელებდით. შორს წითელი მთები გამოჩნდა, მაგრამ კი არ გვიახლოვდებოდნენ და ხშირად, აღულებული ძრავას ხმა რომ არა, ვერც მივხვდებოდით, მივდიოდით თუ ერთ ადგილას ვიდექით. თითქოს სივრცე აღარ არსებობსო. ერთადერთი, რაც მიგვანიშნებდა, რომ ცოცხლები ვიყავით, დროის ცვალებადობა იყო. შებინდებისას სახლის სიმაღლე კაქტუსების ჩრდილი ირთხმებოდა ქვიშაზე, ჩვენი ჩრდილებიც. ასეულობით მეტრის სიგრძე ჩრდილები მიქროდნენ ქვიშაზე, რომელსაც ახლა უკვე თაფლისფერი დასდებოდა, დღის სინათლე კი სულ უფრო და უფრო

იცრიცებოდა და გამჭვირვალე სუდარად ეფარებოდა ცარიელ კოსმოსში დაკარგულ დედამიწას. მაგრამ მზე ჯერ კიდევ ანათებდა. და უცებ გამჭვირვალე იისფერი ბინდიდან გამოჩნდა უზარმაზარი მთვარე, ისეთივე ფერის, როგორიც ქვიშის ბორცვები მზის უკანასკნელ სხივებში. მივდიოდით, რამდენადაც ამას ჩვენი ჯიპი ქაჩავდა და თან გვდევდა ამაღლებული განწყობა, რომ მხოლოდ ჩვენ ვხედავდით ყველაფერ ამას; რომ უჩვენოდ, უდაბნოში მოხეტიალე უბრალო მოკვდავების გარეშე, არ იარსებებდა არც მზე, არც მთვარე, არც დედამიწა, არცა სამყარო, არც ცნობიერება და არც სიცოცხლე, იქნებოდა მხოლოდ უსაზღვროება ბრმა ენერგიისა. მახსოვს, რომ ეს შეგრძნება ამაღლებული განწყობით გვავსებდა; და ცოტა ხანში უკანა საბურავი გაგვისკდა.

არასოდეს დამავიწყდება უდაბნო!

ვზივარ ჩემს საკანში, ვუმზერ კედელს და ვხედავ მექსიკას, მექსიკის მცურავ ბაღებს. მოყავისფრო წყალში სილურჯე ირეკლება, გონდოლები თითქმის უხმოდ მისრიალებენ, თითოეული მათგანი ცოცხალი ყვავილებითაა მორთული, მთელი ქარავანი მიცურავს არხებზე, ირგვლივ მარადიული გაზაფხულით სავსე ბაღებია. თაღები, ოღონდ ინდიელების. ვიწრო კანოეში, რომლის კიდე ოდნავ არის ამოწეული მოყავისფრო და ნიჩბების მოძრაობით ატორტმანებული წყლიდან, მოხუცი ინდიელი ქალი წამოწეულა, ჩვილი ბავშვი ზურგზე ჰყავს მოკიდებული, რბილი, ჩუმი ხმით სთავაზობს ხალხს თაიგულს. ისეთი ორქიდეებია, რომელთა მსგავსიც არასოდეს მინახავს, ოსტატურად შეკრული ძველებურ ყაიდაზე. აცტეკების დღესასწაული ყვავილების გარეშე წარმოუდგენელია. მეორე, მულატი კაცი, პულკეს ყიდის, მექსიკურ არაყს, რომელსაც აგავის წვენისგან ხდიან. ჭურჭელს მღვრიე წყალში ავლებს და სასმელს მაწვდი. მაჭრის გემო აქვს, წებოვანი ჩახუთულობის და ტროპიკების სიტკბოსი. ირგვლივ გონდოლებში სხედან ოჯახები ბავშვებით, მთელი თავიანთი ავლადიდება თან აქვთ, კვირაა (როგორც დღეს), ჭამენ, სვამენ და სიამოვნებთ. ახალშეყვარებულები, წელში გამართულები და ხელიხელჩაკიდებულები, სხედან ერთმანეთის გვერდით, მუსიკოსებით სავსე გონდოლა უქირავებიათ გიტარებითა და უზარმაზარი მექსიკური ქუდებით. ყაჩაღებს ჰგვანან, შავგვრემნები არიან, თაფლივით ხმა ამოსდით ყელიდან. ეროვნული მსვლელობაა, ნახევრად ნამდვილი და ნახევრად ხელოვნური და მე ისევ უდაბნო მახსენდება. აი, თურმე რას აკეთებენ ადამიანები დედამიწაზე! ახალგაზრდა გოგო პირქვე წაწოლილა გონდოლის ქიმზე, ორივე ხელი წყლის მდორე მდინარეში ჩაუშვია, გაყურსულა, ამ დროს იქით ხმამაღალი სიცილი ისმის. მაგრამ

უმეტესობა ჩუმადაა, თითქოს გაშეშებულან, ან თვლემენ; ვხედავ სახეებს, უცხო, ლამაზ სახეებს, თითქოს დაკარგული სამოთხიდან, აცტეკების დიდი ქალაქის უკანასკნელ ბინადრებს. ქალაქისა, რომელსაც ყოველი მხრიდან ზღვა ერტყა, რომელშიც შეღწევა მხოლოდ ორი ჯებირიდან შეიძლებოდა, ინდიელების ვენეცია, როგორც მას უწოდებდნენ ესპანელი მემატიანეები. ინდიელებმა არ იცოდნენ, რა იყო ბორბალი, მათთვის წყალი იყო საუკეთესო გზა, ტბა კი სამოთხისებრი უნდა ყოფილიყო; ამბობენ, რომ სანაპიროს ნაწილები წყდებოდა და ყვავილებით დახუნძლულ კუნძულებად მიცურავდა ზღვაში... ინდიელები კი, ყვავილების ხალხი, ტივებს წნავდნენ ბამბუკისგან, ზედ მიწას და წყალმცენარეებს აყრიდნენ, მერე პატარა ხეებსაც კი რგავდნენ და ამ აყვავებულ კუნძულებს აქეთ-იქით დააცურებდნენ. აქედან მოდის სახელი: მცურავი ბაღები. დროთა განმავლობაში ტბა დაჭაობდა, დაშრა და ამ მოკრძალებულ გუბედ იქცა, სადაც ახლა კვირაობით გონდოლები დაცურავენ, ნახევრად ნამდვილები და ნახევრად ხელოვნურები და იმ არაჩვეულებრივი ხალხის აღსასრულსღა გვახსენებენ, ხოლო თანამედროვე მეხიკო, ქალაქი თავისი ცუდი და კარგი ცათამბჯენებით, პირდაპირი გაგებით, ჭაობზე დგას; ჩანს, როგორ ეფლობა მიწაში შენობები, შეუჩერებლად, ყოველ წელს რამდენიმე სანტიმეტრით... ირგვლივ კი მოწითალო მიწას ვხედავ, პირამიდებს, ლავას, მკვდარ გველს ქუჩაში, რომელიც ბორბალს გაუჭყლეტია, და გატრუნულ სვავებს, და ვხედავ აყვავებულ ორქიდეებს ტელეფონის მავთულებზე, მექსიკელი კაცების დიდ, სოკოსავით ქუდებს, მათ თეთრ პერანგებს, გაწითლებულ კანს. ბაზარი მექსიკაში! ფერადი ფილმები გაგახსენდება, მართლა ზუსტად ისეთია, ფერადოვანი, ძალიან ფერადოვანი და მაინც, ნამდვილად დგება მომენტი, როცა უეცარი შიში შეგიპყრობს. ძაღლის ლეშის სუნი დგას. ბავშვები შიშველი უკანალებით სხედან ნაგავში, დამპალ ხილზე. გასაყიდი საქონელი მიწაზე ყრია, თვალწინ მიდგას: ლობიო და მუხუდო, ნიგოზი, ხილი, რომელსაც პირველად ვხედავ ჩემს ცხოვრებაში, გვერდით დევს ტკბილეული, ყველაფერს ბუზი ეხვევა და იქვე თევზი, რომელიც პაპანაქება სიცხეში იხრწნება. შორიახლო დურგალი ბავშვის კუბოებს აკეთებს, ერთმანეთზე შემოუწყვია, გაურანდავი ხისგან გაკეთებული, იაფფასიანი კუბოებია. ქვაფენილზე ფეხმორთხმული გლეხის ქალები ქოთნებს ყიდიან, ინდიელების მოტივებით მოხატულ ქოთნებს, მაგრამ ესეც დაუმუშავებელი და უბრალოა. არაჩვეულებრივი სანახავია უამრავი ყვავილი, მაგრამ მათი სურნელი იკარგება. თუკი ისეთ ადგილს იპოვი, სადაც მზეზე დამპალი ხორცი არ ყარს, მაშინ ფეხსალაგის სუნია და ძალიან უნდა მოერიო თავს, რომ ზიზღი ადამიანებზე არ გადაიტანო. ის,

რასაც მე ვხედავ, ღატაკთა უბანი არ არის, არამედ ბაზარია ღია ცის ქვეშ, და, თუ არ ვცდები, ამ ადგილს ამეჩამეა ჰქვია, ლამაზი ბაზარია, სევდიანი კი არა, მაგრამ ცოტა საშიშია. ამ გახრწნაში არის რაღაც დემონური, თითქოს დაწყევლილია იქაურობა და ეს წყევლა ყველაფერს, რაც ყვავის და სურნელს აფრქვევს, ალპობს, ხრწნის და აყროლებს. ადამიანიც ამ ყველაფერს წინააღმდეგობას საერთოდ აღარ უწევს, მკვდარ ძაღლს აღარავინ აშორებს იქაურობას, მხოლოდ ხანდახან, ისიც ზანტად თუ აუქნევენ ხელს ბუზებს, სანამ ტორტილას ჩაიდებენ პირში. დაკუტებული ფეხები და სხვა სახის ხეიბრობა აქ ჩვეულებრივი ამბავია, მზე და ლაქვარდი თითქოს დაგცინიან. უცნაურად თან მდევს გრძნობა, რა ხდება? მაგრამ არაფერიც არ ხდება! ყველაფერი ძალიან კოლორიტულია, ნაზი ქარვისფერი სინათლე იჭრება დიდ ფარდაგებში, ქვეშ კი უცხო ქალების სახეები მოჩანს; ზევით – ესპანური ეკლესიის ბაროკოს ნარჩენები, სპილენძის ჯვარი, და ყველგან ორქიდეები. და ბანანის პალმების მწვანე ფოთლებს შორის, დაფლეთილი დროშებივით რომ კიდია, ვხედავ პოპოკატეპეტლს, მხრჩოლავი მთის მარადიულ თოვლს, ოღონდ ახლა აღარ ხრჩოლავს, თეთრი კარავი – ულამაზესია. სად დაკარგულა მისი მრისხანება? სადაც უნდა გავაჩეროთ მანქანა საწვავის ჩასასხმელად, ყველგან ვხედავ ვინმე ბრმას, რომელსაც ხელი გამოუწვდია სამათხოვროდ. ყავის პლანტაციებში ერთი ბუზი ბინადრობს, რომელმაც, თუ გიკბინა, ჩირქიან მუწუკს გიტოვებს. მუწუკს მოიშორებდი, ექიმი რომ იყოს, ან ექიმისთვის მისაცემი ფული. შემდეგ იმ ბუზის მატლი ძარღვებში იჭრება, ბოლოს კი თვალებში გადადის, თვალები ერბოკვერცხივით იდღვიბება და მოთეთრო-მოყვითალო ფაფად იქცევა. და შემდეგ დგანან ასე, მოხუცები და ახალგაზრდები, უქონელი ბრმები. ერთ-ერთი არღანს ატრიალებს და მღერის. სახურავებზე სვავები სხედან, დიდი აყროლებული ფრინველები, უკაცრიელ გზებზე თუ მიდიხარ, დაინახავ, როგორ დააცხრებიან გუნდად მძორს, გაჭყლეტილ გველს ან გახრწნილ ვირს ან მოკლულ ადამიანს, რომელიც არავის მოუსაკლისებია. ეს ფრინველები ყველგანაა, შავები და საზიზღრები, ზანტად რომ ჩამომსხდარან სახურავებზე ფერად-ფერადი ბაზრის ირგვლივ. სვავები, მექსიკის ფრინველები.

და მაინც კარგი იყო.

იქ უნდა დავრჩენილიყავი.

საბედნიეროდ, ჩემი პროკურორი (თუ გამომძიებელი, მოსამართლე – ასეთ რაღაცებში ვერ ვერკვევი) სიმპათიური პიროვნებაა, სკეპტიკოსი,

რომელსაც საკუთარ თავშიც ეპარება ხანდახან ეჭვი. სხვათა შორის, პირველი ადამიანია, რომელიც თავაზიანობას იჩენს და აკაკუნებს, სანამ საკანში შემოვა.

– მე ვფიქრობ, – იღიმება, – იცით, ვინ ვარ.

– ბატონი პროკურორი?

რატომ იღიმის, ბოლომდე ვერ ვხვდები. ორივე ხელი პიჯაკის ჯიბეებში ჩაუყვია, ცოტა უხერხულად გრძნობს თავს – ესაა ჩემი პირველი შთაბეჭდილება: რა უნდა აღიაროს ამ კაცმა? – დიდხანს მაკვირდება გამომცდელად, მერე ფიქრებში მიდის, ოღონდ თავის თავზე ფიქრობს და ირგვლივ რა ხდება, არ ესმის, მერე ისეთი დაუფარავი ინტერესით მამოწმებს, მოზრდილ ადამიანებს რომ არ ახასიათებთ და უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ზრდილობა ამის უფლებას იძლევა და რომ მიხვდება, რას აკეთებს, ცოტათი წითლდება.

– ეწევით? – მკითხა და უარყოფის ნიშნად თავი რომ გავაქნიე, სიგარეტი ამოიღო, კვესი მოძებნა და თან დაამატა: – სხვათა შორის, ოფიციალური მისიით არ მოვსულვარ, არავითარ შემთხვევაში არ იფიქროთ, რომ ეს დაკითხვაა. თქვენი გაცნობის სურვილმა მიბიძგა, მოვსულიყავი...

დუმილი.

– მართლა არ ეწევით? – მეკითხება იგი.

– მხოლოდ სიგარას.

– ჩემმა ცოლმა მოკითხვა დამაბარა თქვენთან, – ამბობს და ნარზე ჯდება ძველი მეგობარივით, საფერფლეს ეძებს, მგონი, იმიტომ, რომ მე არ შემომხედოს, – რა თქმა უნდა, თუკი თქვენ მართლაც ბატონი შტილერი ბრძანდებით!

– ჩემი სახელია ვაითი! – ვამბობ მე.

– არავითარ შემთხვევაში არ მინდა გამოძიებას დავასწრო, – ამბობს და ხმაში ბოდიში თუ შვება ეპარება, ეწევა და აშკარად უცებ ვერ ხვდება, ასეთ შემთხვევაში რა უნდა თქვას. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა მოვრჩით სრულიად უსაგნო და ზედაპირულ საუბარს ქუჩის ხმაურზე, განსაკუთრებით, მოტოციკლეტების ხმაურზე და იმ ფაქტზე, რომ ვისკის და, საერთოდ, ალკოჰოლის მოხმარება ციხეში „სამწუხაროდ“

უმკაცრესად აკრძალულია, ყოველგვარი შესავლის გარეშე ამბობს: „მე, ჩემდა თავად, შტილერი არასოდეს მინახავს. ყოველ შემთხვევაში, გაცნობიერებულად. ერთხელ გესაუბრეთ ტელეფონით, გახსოვთ, ალბათ ზარი პარიზიდან იყო, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, თქვენ იყავით თუ არა.

შემდეგ ტონს ცვლის და უცებ შინაურულად მეკითხება:

– მეუღლე მოკალით, მისტერ ვაით?

ვგრძნობ, რომ მასაც არ სჯერა ჩემი. იღიმის, მაგრამ ღიმილი მალე უქრება სახიდან, რადგან ერთმანეთს უსიტყვოდ შევცქერით და მეკითხება, რატომ მოვკალი ჩემი მეუღლე.

– რადგან მიყვარდა, – ვამბობ მე.

– ეს მიზეზია?

– იცით, რა, – ვუხსნი, – ჩემთან ცხოვრება მისგან მსხვერპლის გაღებას ნიშნავდა. ჩემი ყველა ნაცნობიც ასე ფიქრობდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ნაცნობებზე. თავად ხმას არ იღებდა, არ ამბობდა, როგორ ტანჯავდა ჩემ გვერდით ყოფნა. იცით, ძალიან კეთილშობილი ადამიანი გახლდათ და ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ბატონო პროკურორო, ყველა ამას გეტყოდათ. ასეთი კეთილშობილი, ასეთი დახვეწილი ადამიანი, როგორიც თქვენი მეუღლეა, არავინ შეგვხვედრიაო. თან, თითქმის მხოლოდ განათლებულ საზოგადოებაში ვტრიალებდით. სხვათა შორის, მეც ასე ვფიქრობდი. იცით, აღმაფრთოვანებდა. მიზიდავდა ამ ქალის კეთილშობილება. სწორედ ეს გახლდათ მისი უბედურება. ვერც კი გიამბობთ, რამდენჯერ მაპატია, რამდენჯერ!

– რა?

– ასეთი რომ ვარ, როგორიც ვარ.

შიგადაშიგ ისევ სვამს კითხვებს; მაგალითად:

– ხშირად ჩხუბობდით?

– არასოდეს.

– მკვლელობის წინაც არა?

– მით უმეტეს, არა, – ვამბობ მე, – მაშინ ხომ საქმე აქამდე არ მივიდოდა.

ეტყობა, თქვენ გიჭირთ წარმოიდგინოთ ჩემი მოკლული, ბატონო პროკურორო. მას იმდენად არ სჩვეოდა ხმამაღალი სიტყვა, რომ მეც ვერ ვბედავდი ყვირილს. ხომ გეუბნებით, საოცრად კეთილშობილი არსება გახლდათ, ისეთი კეთილშობილი, რომ არცერთ ჩვენს ნაცნობს შეხვედროდა მანამდე ასეთი ადამიანი. წარმოგიდგენიათ, ბატონო პროკურორო, როგორია, როცა ასეთ კეთილშობილ ადამიანზე ხარ დაქორწინებული? ცხრა წელი მტანჯავდა სინდისის ქენჯნა. და როცა კვირაში ერთხელ ყელში ამომივიდოდა ეს ჩემი სინდისის ქენჯნა და, მაგალითად, კედელზე თეფშს მივახეთქებდი, ჩემი ცოლის შემყურეს თავი მკვლელი მეგონა – მისი მკვლელი. დიახ, ასეთი მძიმე ცხოვრება ჰქონდა ამ სათუთ ქალს ჩემ გვერდით.

– ჰმ, – ამბობს იგი.

– სულაც არ არის სასაცილო, – ვამბობ მე, – სიცოცხლის რამდენიმე წელი დამიჯდა, სანამ მივხვდებოდი, რომ მკვლელი ვარ და ბოლოს და ბოლოს დასკვნებს გამოვიტანდი.

– ჰმ, – ამბობს იგი.

– არაფერს უარვყოფ, – ვამბობ მე,– მაგრამ ჩემი სინდისის გაღვიძებას ნუღა დაელოდებით, ბატონო პროკურორო, მე იგი აღარ მაქვს. რაღაცნაირად შემომეხარჯა. სინდისის იმდენი ქენჯნა მქონდა, სანამ ის ცოცხალი იყო. საშინელება იყო მისთვის, უბრალოდ, საშინელება, ჩემ გვერდით რომ უნდა ეცხოვრა.

– და ამიტომ მოკალით?

თავს ვუქნევ.

– გასაგებია, – ამბობს ის.

– ამის ატანა შეუძლებელია, – ვამბობ მე, – არ შეიძლება წლობით გქენჯნიდეს სინდისი, ბატონო პროკურორო, როცა არ იცი, რატომ გქენჯნის სინდისი!

და ა.შ.

არ ვიცი, ესმის თუ არა ჩემი.

კვირაში ერთხელ, ყოველ პარასკევს, შხაპის მიღების უფლებას

გვაძლევენ, ათ-ათი წუთი, ათ-ათი პატიმარი ერთად. სხვანაირად ჩემს მეზობლებს ვერ ვხვდები, სამაგიეროდ, ამ დროს დედიშობილანი ვართ და ორთქლი შიშინებს და მაშინაც თითქმის ვერ ვლაპარაკობთ. ერთ-ერთი, რომელსაც თავი უდანაშაულოდ მიაჩნია, პროტესტის ნიშნად არ ისაპნება. ერთი დაბალი იტალიელი სულ მღერის. შხაპის ქვეშ ძნელია ფიზიონომიის გარჩევა, გაწუწული თმები რომ ესლიპებათ თავზე და საპნის ქაფში რომ ემანჭებათ სახეები; ამას ემატება სრული სიშიშვლე და როცა მიჩვეული ხარ, რომ, ჩვეულებრივ, შიშველს მხოლოდ სახეს უყურებ, ასეთ დროს უნებურად მთელ სხეულს ათვალიერებ, რაც არცთუ ისე სასიამოვნოა. ჰა და ჰა მიხვდე, ეს მუშაა, ეს ინტელექტუალია, ეს სპორტსმენია, ეს ჩინოვნიკია. მთლიანობაში ჩვენი შიშველი სხეულები უხერხული სანახავია, რადგან, საუკეთესო შემთხვევაში, არაფრის გამომხატველია, უმეტესად კი სასაცილო. გერმანელ ებრაელს შევეკარი; ერთმანეთს ზურგს ვუსაპნავთ, ისიც ვერ სწვდება თავის ზურგს და ვთანხმდებით, რომ, წესით, ადამიანი ყოველდღე უნდა ბანაობდეს. უფროსი ზედამხედველი უცებ ცივ ჭავლს უშვებს, რომ გასამშრალებელ ოთახში გაგვრეკოს, რასაც ბიჭური ჟივილ-ხივილი მოჰყვება ხოლმე, იქ კი ყველა ჩუმადაა, იმშრალებს და ჩვილი ბავშვივით ვარდისფერი სახით იყურება, თმაც პატარა ბიჭებივით ასწეწიათ. ჩემ გარდა, როგორც ვხვდები, არცერთი არ ზის მძიმე დანაშაულზე. იმ გარემოების წყალობით, რომ ისინი მე (როგორც „შტილერს“) ანბანის მიხედვით ბოლოში მაყენებენ, გერმანელ ებრაელთან კიდევ ცოტა ხანს ვახერხებ ხოლმე საუბარს. ორივე ვფიქრობთ, რომ შვეიცარიაში პირადი ჰიგიენა მნიშვნელოვან წინააღმდეგობაში მოდის სისუფთავის მანიასთან, რომელსაც სხვა საკითხებში ვაწყდებით. იგი მიყვება თავისი აქაური ბინის შესახებ, სადაც მას, ხელშეკრულების მიხედვით, მხოლოდ შაბათ-კვირას ჰქონდა თბილი წყლით ბანაობის უფლება. შემდეგ სათითაოდ შევდივართ ჩვენს საკნებში, პირსახოცი ყველას კისერზე აქვს შემოხვეული.

დღეს ასეთი წერილი მივიღე:

„ძვირფასო ძმაო!“ – წარმოგიდგენია, ალბათ რომ მას მერე, რაც მაგ კანტონის პოლიციისგან შეტყობინება მომივიდა, თვალი აღარ მომიხუჭავს, ანიც ძალიან ღელავს. ანი ჩემი ძვირფასი მეუღლეა, რომ გაიცნობთ, ნამდვილად შეგიყვარდებათ ერთმანეთი! მაგრამ არ გეწყინოს, რომ მაშინვე ვერ წამოვედი ციურიხში, ამწუთას ეს სრულიად შეუძლებელია. იმედი მაქვს, ავად მაინც არა ხარ, ძვირფასო ძმაო. შენმა ფოტომ შემაშინა, როგორ გამხდარხარ, მართლა ძლივს გიცანი. უკვე

ინახულე მამა მოხუცთა თავშესაფარში? ნუ დაგაბნევს მისი ლაპარაკი, ძალიან დაბერდა და ხომ იცი, როგორია. ალბათ იცი, რომ დედა გარდაიცვალა. ისე, ძალიან არ უწვალია, როგორც, სამწუხაროდ, მოსალოდნელი იყო. მერე ერთად წავიდეთ მის საფლავზე. როცა კანტონის პოლიციის ინფორმაცია ვნახე, რომ აქ ყოფილხარ, პირველ რიგში დედა გამახსენდა, იყო პერიოდები, ყოველ წუთას გელოდა, ოღონდ არ იმჩნევდა, მაგრამ ჩვენ მშვენივრად ვხვდებოდით, რატომ არ იძინებდა გვიანობამდე, ჩუმად იჯდა და სჯეროდა, რომ დღეს საღამოს მოხვიდოდი. დედა ყოველთვის გიცავდა, უბრალოდ, მინდა, იცოდე, და ამბობდა ხოლმე, იმედია, ბედნიერია თავისი ცხოვრებითო.

რასაკვირველია, ძალიან გვაინტერესებს შენი ამბები, ძვირფასო ძმაო, აქ ბევრი არაფერი მომხდარა, მე საქმეთა მმართველი ვარ, ანუ, არგენტინაში ჩემი ფერმისგან არაფერი გამოვიდა, დედას მარტოს ვერაფრით დავტოვებდი მაშინ, თუმცა, მშვენივრად ვართ.

იცი, რომ თქვენმა მეგობარმა ალექსმა თავი მოიკლა? მგონი ასე ამბობდნენ, გაზქურის ქვეშ დაწვაო. თუ ალექსი თქვენი მეგობარი არ იყო? სულ არ მინდა მხოლოდ გარდაცვალების ცნობები მოგაწოდო, პირიქით, მინდა გითხრა, რომ ძალიან გახარებულები ვართ. იულიკას ამბავი ალბათ ჩემგან არ გესწავლება, ახლა ბევრად უკეთ უნდა იყოს, როგორც გაზეთები წერენ. დედას დასაფლავებაზე იყო. მესმის, რომ მას მერე შენ გამო ჩვენი ოჯახის ნახვა აღარ უნდოდა. მგონი, ისევ პარიზში ცხოვრობს. შეიძლება იულიკას უკვე ელაპარაკე კიდეც.

იმედია, არ მიწყენ, სამწუხაროდ, უნდა შევწყვიტო წერა, სწორედ ახლა ხილის გამოფენა გვაქვს, ფედერალური საბჭოდან მოდიან სტუმრები. თითქმის არაფერი მიკითხავს შენი ცხოვრების და მომავალი გეგმების შესახებ. ძვირფასო ძმაო, მალე განთავისუფლებას გისურვებ! გემშვიდობები გულითადად,

შენი ვილფრიდი.

როგორც კი ორი დღე გამომითავისუფლდება, ნამდვილად ჩამოვალ შენ სანახავად, დღეს მინდოდა მხოლოდ მომეწერა, რომ, ცხადია, როცა გენდომება, შეგიძლია აქ, ჩვენთან იცხოვრო“.

არაფერს მიჯერებენ და მგონი, მომიწევს დავიფიცო, რომ თითები, რომლებითაც ვიფიცებ, ჩემი საკუთარი თითებია. მართლა სასაცილოა. დღეს ჩემს ადვოკატს ვეუბნები:

– რა თქმა უნდა, შტილერი ვარ.

გაოგნებული მომჩერებია:

– ეს რაღას ნიშნავს?

უყურე შენ! მის პატიოსან ტვინში სულ პირველად გაიელვებს აზრი, რომ მე მართლაც შეიძლება ვიყო ვინმე სხვა და არა მათი უგზო-უკვლოდ დაკარგული ბატონი შტილერი. მაგრამ ვინ? ვარიანტებს ვთავაზობ: იქნებ – საბჭოთა აგენტი ამერიკული საბუთებით. ხუმრობაში არ მყვება, მისი აზრით, არაფერი, რაც საბჭოთაა, ხუმრობისთვის არ გამოდგება; იქ ყველაფერი ბოროტია, ისევე როგორც, მეორე მხრივ, შვეიცარიული ყველაფერი საუკეთესოა და, ამიტომაც, ასევე არ გამოდგება ხუმრობისთვის. ვთავაზობ: იქნებ SS-ელი ვარ, რომელიც გარკვეული დროით გაუჩინარდა და ახლა ისევ დავალებას ელის, ომის უცნობი დამნაშავე აღმოსავლეთის გამოცდილებით, რომელზეც ამჟამად დიდი მოთხოვნაა. მაგრამ როგორ დავამტკიცო, რომ ომის დამნაშავე ვარ? რაც უნდა მხურვალედ ვირწმუნებოდე, მტკიცებულებების გარეშე აქედან არ გამიშვებენ. ჩემი ადვოკატი იმასაც კი არ მიჯერებს, რომ მექსიკა სჯობია შვეიცარიას. როგორც კი მოყოლას ვიწყებ, ნერვიულდება:

– ჩვენს საქმესთან ეს რა შუაშია!

ჩემს ადვოკატს არ აინტერესებს, როგორ აძრობენ კობრას შხამიან კბილს, რომ მერე ინდიელების ცნობილ გველებთან ცეკვისთვის გამოიყენონ. კიდევ უფრო ნაკლებად აინტერესებს, ინდიელები სიკვდილს როგორ ეგებებიან. არც ის აინტერესებს, ვინ გასცა მექსიკელი რევოლუციონერების დახოცვის ბრძანება. და ის, რომ მექსიკის ცა სვავებს ეკუთვნით, ხოლო მექსიკის სასარგებლო წიაღისეული ამერიკელებს, უბრალოდ, არ სჯერა. მართლა არ არის იოლი, ეს კაცი დღეში ერთი საათით შეიქციო. შუა თხრობაში რომ ვარ და მე თვითონ მაინც რომ ვარ აღფრთოვანებული მონაყოლით, მაწყვეტინებს ხოლმე:

– ორიზაბა სად არის?

ამ დროს თავის ფანქარს ამოიღებს ხოლმე, არ მასვენებს, სანამ ჩემს თავაზიან და მოკლე პასუხს ჩაინიშნავს, მერე მომდევნო კითხვას მოაყოლებს:

– და თქვენ იქ მუშაობდით?

– ეგ მე არასდროს მითქვამს! – ვამბობ მე, – იქ ფულს ვშოულობდი და ვცხოვრობდი.

– როგორ?

– გმადლობთ, მშვენივრად, – ვამბობ მე.

– მე გეკითხებით, როგორ შოულობდით ფულს?

– როგორც საერთოდ შოულობენ ფულს, – ვეუბნები მე, – ყოველ შემთხვევაში, არა საკუთარი შრომით.

– არამედ?

– იდეებით, – ვამბობ.

– უფრო ზუსტად ამიხსენით.

– მე, ასე ვთქვათ, საქმეთა მმართველი ვიყავი ჰასიენდაზე, – ვეუბნები და ვანიშნებ, მოკრძალებული მოგება იყო-მეთქი.

ჩემს ჟესტს თითქოს ვერც ამჩნევს.

– ჰასიენდა რა არის?

– დიდი მამული, – ვამბობ და საკმაოდ დაწვრილებით აღვუწერ ჩემს პოზიციას, რომელიც თვალში არავის ეჩხირებოდა, მაგრამ იქ იყრიდა თავს სავალდებულო ქრთამების ორივე მხრიდან მოდინება, შემდეგ ვაცნობ ჩემს მამინდელ იდეებს და ვუხსნი ორიზაბას ტოპოგრაფიულ მდებარეობას. ორიზაბა სამოთხეს ჰგავდა, ტროპიკულ ზონასთან ახლოს მდებარეობდა, ოღონდ მხოლოდ ახლოს, ცოტა უფრო ზევით და არა ზუსტად იქ, სადაც ყოფნას ვერ ვიტანდი, იმიტომ, რომ ტროპიკებში ჩახუთული ჯაგნარია, უზარმაზარი პეპლები დაფრინავენ, ბლანტი ჰაერია და ნესტიანი მზე, წებოვანი სიჩუმე. სწორედ ამ ზონაზე ოდნავ მაღლა, პლატოზე მდებარეობს ორიზაბა, სადაც მთებიდან მოდის ჰაერი, უკან პოპოკატეპეტლის თეთრი თოვლი მოჩანს, წინ მექსიკის ლურჯი ყურეა გადაშლილი უზარმაზარ ნიჟარასავით, ირგვლივ კი აყვავებული ბაღებია, თითოეული ალბათ შვეიცარიული კანტონის სიდიდისა, გაფურჩქნული ორქიდეებით, რომლებიც აქ სარეველასავით მრავლდება, თუმცა სასარგებლო მცენარეებიც იზრდება: ფინიკის პალმები, ლეღვი, ქოქოსის პალმები, ფორთოხალი და ლიმონი, თამბაქო, ზეთისხილი, ყავა, ანანასი,

კაკაო, ბანანი და ა.შ.

დღეს ჩემი ადვოკატი მოდის:

– მექსიკის შესახებ ბევრი მაინცდამაინც არ გცოდნიათ.

ჩემს ადვოკატს უმეცადინია.

– გუშინ რაც მომიყევით, თავიდან ბოლომდე ტყუილია, აი, ნახეთ, – მეუბნება და მაჩვენებს საქალაქო ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნს: – ჯერ კიდევ ბენიტო ხუარესი იბრძოდა დიდი მემამულეების წოდების გაუქმებისთვის, მაგრამ არ გამოუვიდა. პორფირიო დიასი ჩამოაგდეს, რადგან დიდ მემამულეებთან ერთად მართავდა ქვეყანას, და ამას მოჰყვა სისხლიანი რევოლუციების მთელი ჯაჭვი, ალბათ გეცოდინებათ, რათა მსხვილი მიწათმფლობელობა გაეუქმებინათ. მონასტრები დაწვეს, დიდი მემამულეები დახვრიტეს და ყველაფერი რევოლუციონერების დიქტატურით დამთავრდა. ეს ყველაფერი აქ შეგიძლიათ წაიკითხოთ, ინებეთ. თქვენ კი მიყვებით აყვავებული ჰასიენდას შესახებ, რომელიც იმხელა იყო, რამხელაც შვეიცარიის ერთი კანტონიაო.

– დიახ, შეიძლება უფრო დიდიც, – ვამბობ მე.

ჩემი ადვოკატი თავს აქნევს.

– რატომ მიყვებით ამ ბოდვას? – ამბობს ის, – ხომ უნდა შეიგნოთ, რომ ასე შორს ვერ წავალთ. ყველაფერი ტყუილია! ალბათ მექსიკაში არც არასდროს ყოფილხართ.

– კი, ბატონო, – ვამბობ მე, – ნება თქვენია.

– ვინ შეიძლება ფლობდეს ასეთ ჰასიენდას, – ამბობს ის, – დღევანდელ მექსიკაში, იმ მთავრობის პირობებში, რომელიც დიდი მამულის ფლობას მკაცრად კრძალავს?

– თავად ამ მთავრობის კაცი.

ჩემს ადვოკატს არ უნდა, რომ ამ აზრს ჩაუღრმავდეს. ნერვები ეშლება, როცა უწესობას აწყდება, და, უპირველეს ყოვლისა, იგი, როგორც კანონმორჩილი შვეიცარიელი, ვერ იტანს, როცა უწესობით ერთობიან, იმის მაგივრად, რომ დაგმონ და მკაცრად გაამწესონ რკინის ფარდის მიღმა. თავს იმით იმშვიდებს, რომ მექსიკა კომუნისტური ქვეყანაა, ეს ის

განმარტებაა, რომელსაც მე, ჩემი ცოდნიდან გამომდინარე, ვერაფრით დავეთანხმები. სულ რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მექსიკის სასარგებლო წიაღისეული ამერიკელების ხელშია, ანუ შედარებით დაცულია, დიდი მამულების ფლობისადმი ლტოლვა სულაც არ მიმაჩნია კომუნისტურ მისწრაფებად, არამედ ადამიანურ ვნებად, და რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ, თავისუფალმა ადამიანებმა, ყველაფერზე, რაც ადამიანურია?..

– საქმეს მივხედოთ!

ჩემი ჰასიენდას მინისტრის ისტორია ისეთი სახალისო მგონია, არ შემიძლია არ გიამბოთ: – ის კაცი ფაბრიკანტი იყო, მგონი, საოფისე სავარძლებს აწარმოებდა, ყველა სახელმწიფოს ხომ დიდი რაოდენობით სჭირდება ასეთი სავარძლები. იგი არ იყო ამ სავარძლების ერთადერთი მწარმოებელი. ერთხელაც, ვაჭრობის მინისტრი რომ გახდა და თავად ჩაჯდა სახელმწიფო სავარძელში, რაღაცა ხომ უნდა გაეკეთებინა და გამოსცა ბრძანება, რომელიც კრძალავდა იმპორტს. საშინელ დღეში ჩავარდა ყველა, ვინც საოფისე სავარძლების წარმოებაზე გიჟდებოდა, აღარსად იშოვებოდა ნედლეული. ვაჭრობის მინისტრის მდგომარეობა, გასაგებია, რთული იყო, და როცა იქამდე მივიდა საქმე, რომ ნედლეული გაჭირდა, რაღას იზამდა, კონკურენტების წუწუნს დაემორჩილა და იმპორტის აკრძალვის ბრძანება ორი კვირით შეაჩერა. ამ დროს თვითონ შეერთებულ შტატებში ჰქონდა შეძენილი ნედლეული და საზღვარს იქით გულმოდგინედ დასაწყობებული. კონკურენტებმა საჭირო მასალის შესყიდვა, რა თქმა უნდა, ვეღარ მოასწრეს, ყველა გაკოტრდა და იმითაც ბედნიერები იყვნენ, რომ ერთ საწარმოდ გაერთიანება შესთავაზეს და სულ არ გაქრნენ. ვაჭრობის მინისტრს კი, რომელსაც ვერაფერში მოედავებოდი, აღარ ჰქონდა მოთხოვნილება, სამშობლოს სამსახურისთვის შეეწირა თავი, წავიდა გავერანებულ ჰასიენდაზე, რომლითაც იგი სახელმწიფომ დააჯილდოვა და მოუარა მთელი სულით, გულით და რამდენიმე ათასი მიწის მუშის დახმარებით, რომელთა ულამაზესი ლერწმის ქუდები ჩემთვის დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა. ჩრდილიან ვერანდაზე რომ ვისხედით, მათ თეთრი სოკოებივით ქუდებს აყვავებულ და ავარვარებულ მინდვრებს შორის ვხედავდით. და მალე, მართლაც სამაგალითო გახდა ის ჰასიენდა, ამქვეყნიური სამოთხე...

პროკურორისგან შევიტყვე:

ანატოლ ლუდვიგ შტილერი, მოქანდაკე, ბოლოს მცხოვრები თავის

ატელიეში, შტაინგართენგასეში, ციურიხში, უგზო-უკვლოდ დაკარგული 1946 წლიდან, ეჭვმიტანილია რაღაცაში, რასაც უფრო ზუსტად ვერ განმიმარტავენ, სანამ არ დამტკიცებულა, მე ვინ ვარ. როგორც ჩანს, საქმე წვრილმანს არ ეხება. შპიონაჟი? წარმოდგენა არა მაქვს, რატომ მივყავარ ვარაუდს ამ მიმართულებით, მაგრამ, ისე, რა მენაღვლება, მე ხომ შტილერი არა ვარ. როგორც უნდა უნდოდეთ მათ! ეტყობა, დამნაშავეობა იქით იყოს და, როგორც ჭადრაკის პარტიაში ხდება ხოლმე, ერთი პატარა პაიკი აკლიათ, რომ მთელი ეს ამბავი მოამთავრონ. ნარკოტიკებით ვაჭრობა? გუმანით ვგრძნობ, რომ საქმეს პოლიტიკური სუნი ასდის, თუმცა, ფედერალური პოლიციის ეჭვი (მგონია, რომ ამას პროკურორის სახეზე ვკითხულობ) სუსტ საფუძველზე დგას; მხოლოდ ის ფაქტი, რომ ადამიანი უეცრად გაქრა, ცხადია, სპეკულაციებისკენ გიბიძგებს.

P. S.

მოგვიანებით (ამასობაში ისევ წავიკითხე ბიბლია) თვალში მხვდება, რომ ორივენი, ჩემი ადვოკატიც და პროკურორიც ხანდახან მეკითხებოდნენ, რუსული თუ ვიცი. კითხვა, რომელზეც, ჩემდა სამწუხაროდ, უარყოფით პასუხს ვიძლეოდი. რუსული, ამბობენ, არაჩვეულებრივი ენააო, ვფიქრობ, საერთოდ სლავური ენები... ამის თქმა აქ ხომ შეიძლება?

ესღა მაკლდა! ახლა უნდათ იმ პარიზელ ქალბატონს შემახვედრონ; სურათების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქერა თუ მოწითალო თმა აქვს, გარეგნულად ეშხიანი ჩანს, ცოტა გამხდარი, მაგრამ მოხდენილი. მას, ისევე როგორც დაკარგული პირის ძმას, ჩემი ფოტო გაუგზავნეს. იგი ამტკიცებს, ჩემი მეუღლეაო, და თვითმფრინავით ჩამოვა.

გასეირნება ციხის ეზოში: მარტო ვარ! ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ეჭვები მეძალება. შეღავათიანი მოპყრობა იმის ნიშანია, რომ გადაწყვეტილების მიმღებ ბატონებს ჯერ კიდევ (ან კიდევ უფრო მეტად) თავიანთი დაკარგული შტილერი ვგონივარ. ზედამხედველის გარეშეც კი მტოვებენ, შესაბამისად, არ არის აუცილებელი, წრეში ვიტრიალო, სკამზე ვზივარ, მზეზე, და პატარა ტოტით ქვიშაში ვხატავ. მაგრამ არ უნდა დამავიწყდეს, მერე ხაზები ფეხსაცმლით წავშალო, თორემ ხელოვნება ეგონებათ და კიდევ ერთი სამხილი, რომ მე ვარ ის დაკარგული. შემოდგომა დგება. აქა-იქ, მოკრიალებული ციდან უცებ ნეკერჩხლის ყვითელი ფოთოლი ვარდება ქვიშაში. ცასაც ეტყობა; მისი სილურჯე ფერმკრთალდება, გამჭვირვალე ხდება. ცოტა სუსხია, განსაკუთრებით,

ღილაობით. დიდი სივრცეა განმარტოებისთვის და ფიქრისთვის. მტრედები ღუღუნებენ და როდესაც იქაურობას ეკლესიის ზარები შეაზანზარებს, მონაცრისფრო ვერცხლისფერი ღრუბელივით აიჭრებიან ცაში. აფარფატებული ფრთების ჩრდილი გადაუვლის ჩუმად გალავანს. ჯერ წყალსადინარებზე და სახურავის ღარებზე ჩამოსხდებიან, შემდეგ ისევ ჩამოსრიალდებიან ჩემს წყნარ ეზოში, სკამის ირგვლივ დაგოგმანებენ და ღუღუნებენ.

მე მას ისიდორის პატარა ამბავს მოვუყვები. ნამდვილ ამბავს.

ისიდორი აფთიაქარი იყო, შესაბამისად, პატიოსანი ადამიანი, მაგრამ ფულსაც გვარიანად შოულობდა. რამდენიმე შვილი ჰყავდა და საუკეთესო წლებს ითვლიდა; აღნიშვნაც ზედმეტია, რომ ერთგული მეუღლე გახლდათ, მაგრამ მაინც ვერ იტანდა, სულ რომ ეკითხებოდნენ, სად დადიხარო. ეს მართლა აცოფებდა, ოღონდ ჩუმად ბრაზობდა; გარეგნულად არაფერს შეიმჩნევდა. ჩხუბად არც ღირდა, რადგან, რეალურად, როგორც ვთქვი, ბედნიერი ცოლქმრობა ჰქონდათ. ერთ მშვენიერ ზაფხულსაც, მაშინ ეს მოდაში იყო, მაიორკაზე გაემგზავრნენ და თუ ცოლის მუდმივ შეკითხვებს არ ჩავთვლით, რომელიც მას გულში აბრაზებდა, ყველაფერმა საუკეთესოდ ჩაიარა. ისიდორი მაშინვე ძალიან მოსიყვარულე ხდებოდა, როგორც კი არდადეგები ეწყებოდა. ლამაზმა ავინიონმა ორივე ძალიან მოხიბლა. ხელკავით დასეირნობდნენ. ისიდორი და მისი მეუღლე, რომელიც ძალიან სასიამოვნო ქალბატონად უნდა წარმოიდგინოთ, ზუსტად ცხრა წლის ცოლ-ქმარი გახლდნენ, როცა მარსელში ჩავიდნენ. ხმელთაშუა ზღვა ისე ბრწყინავდა, როგორც პლაკატებზე გინახავთ. და, აი, მაშინ, როცა მეუღლე უკვე მაიორკისკენ მიმავალ გემზე ასულიყო, ისიდორმა გაზეთის ყიდვა მოინდომა; ქალი გაბრაზდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. შეიძლება, ისიდორი ცოტათი ცოლის ჯიბრზე იქცეოდა ასე, თავს რომ აბეზრებდა შეკითხვებით, სად მიდიხარო. ღმერთია მოწმე, ისიდორმა ეს არ იცოდა; უბრალოდ, რადგან გემი ჯერ გასვლას არ აპირებდა, ქუჩას ტაატით გაუყვა, როგორც ეს კაცებმა იციან ხოლმე. როგორც გითხარით, ცოლის ჯინაზე მთლიანად ჩაეფლო ფრანგული გაზეთის კითხვაში და მაშინ, როცა მისი მეუღლე მართლაც ულამაზესი მაიორკისკენ გაემგზავრა, ისიდორს გაზეთიდან თავი არ აუწევია, სანამ აგუგუნებულმა საყვირმა არ შეაკრთო და უცებ არ მიხვდა, რომ საკუთარი ცოლის გვერდით კი არ იყო, არამედ საკმაოდ ჭუჭყიან სატვირთო გემზე, რომელიც სავსე იყო ყვითელ ფორმაში ჩაცმული კაცებით და რომელსაც ასევე ასდიოდა ორთქლი. ამ დროს აუშვეს ბაგირები. ისიდორმა მხოლოდ იმასღა მოჰკრა თვალი, როგორ

რჩებოდა შორს ნავსადგური. ვერაგი სიცხის ბრალი იყო თუ ფრანგი სერჟანტის მიერ ნიკაპში ნათავაზები მუშტის, ისიდორმა გონება რომ დაკარგა, ნამდვილად არ ვიცი; სამაგიეროდ, გავბედავ და დარწმუნებით ვიტყვი, რომ ისიდორს, აფთიაქარს, უცხო ლეგიონში უფრო მძიმე ცხოვრება ექნებოდა, ვიდრე მანამდე. გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ყვითელი ციხესიმაგრე, სადაც ისიდორი გამოაწრთეს, უკაცრიელ უდაბნოში იდგა, უდაბნოში მზის ჩასვლა ძალიან შეუყვარდა. რასაკვირველია, ხანდახან, როცა ძალიან დაღლილი არ იყო ხოლმე, თავის მეუღლეზეც ფიქრობდა და ალბათ მისწერდა კიდეც წერილს, მაგრამ წერა აკრძალული ჰქონდათ. საფრანგეთი ჯერ კიდევ იბრძოდა თავისი კოლონიების შენარჩუნებისთვის, ასე რომ, ისიდორი იმდენ ადგილას მოხვდა დედამიწაზე, მანამდე რომ ვერც იოცნებებდა. მას, ბუნებრივია, ისევე დაავიწყდა თავისი აფთიაქი, როგორც სხვები ივიწყებენ თავიანთ კრიმინალურ წარსულს. დროთა განმავლობაში ის ქვეყანაც აღარ ენატრებოდა, რომელიც, საბუთების მიხედვით, მის სამშობლოს წარმოადგენდა. და მხოლოდ მის კეთილსინდისიერებას თუ მივაწერთ, რომ მრავალი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ დილას ბაღის ჭიშკარში შეაბიჯა წვერიანმა და გამხდარმა ისიდორმა; ტროპიკულ ქვეყნებში რომ ახურავთ, ისეთი ჩაფხუტი იღლიაში ამოეჩარა, რომ თავისი საკმაოდ უჩვეულო სამოსით მეზობლები არ აეღელვებინა, რომელთაც ისიდორი დიდი ხნის მკვდარი ეგონათ. რასაკვირველია, ქამარში რევოლვერიც ჰქონდა გაჩრილი. კვირა დილა იყო. მისი მეუღლის დაბადების დღე. როგორც უკვე მოგახსენეთ, ცოლი უყვარდა, მერე რა, რომ ამდენი წლის მანძილზე მისთვის ერთი ბარათიც არ მიუწერია. ერთი წამით შეყოვნდა, თვალწინ წამომართულიყო მისი სახლი, ზუსტად ისეთი, როგორიც დატოვა, ბაღის დაუზეთავი კარებიც ისევ ისე ჭრიალებდა, როგორც ადრე. სახელურს ხელი მოჰკიდა და შეიცადა. ხუთივე შვილმა შორიდანვე დაიწყო ყვირილი: „მამიკო!“ თითოეული მას ჰგავდა რაღაცით, მაგრამ ყველანი შვიდი წლით გაზრდილიყვნენ და მათი ნახვა ეუცხოვა. უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდა. და ისიდორმა შეაბიჯა, როგორც ნამდვილმა მამაკაცმა, რთულ ბრძოლებში გამობრძმედილმა, და იმედი ჰქონდა, რომ მისი საყვარელი მეუღლე, თუკი იგი სახლში დახვდებოდა, ანგარიშის ჩაბარებას არ მოსთხოვდა. მინდორი გადაიარა, თითქოს არაფერი შეცვლილიყოს და ისევ თავისი აფთიაქიდან დაბრუნებულიყოს და არა აფრიკიდან ან ინდოჩინეთიდან. მეუღლე ენაჩავარდნილი იჯდა მზის ახალი ქოლგის ქვეშ. ისიდორს არც ის ძვირფასი ხალათი ენახა მანამდე, რომელიც მას ემოსა. მოსამსახურე გოგონამ – ესეც სიახლე გახლდათ – უმალ გამოიტანა კიდევ ერთი

ფინჯანი წვერიანი კაცისთვის, რომელიც აშკარად და, ამავე დროს, უსაყვედუროდ, ოჯახის ახალ მეგობრად აღიქვა. აქ როგორ გრილაო, თქვა ისიდორმა და აკაპიწებული სახელოები ჩამოიწია. ბავშვებს უხაროდათ მისი ჩაფხუტით თამაში, რაც, რა თქმა უნდა, უჩხუბრად ვერ ჩაივლიდა და როდესაც ახალი ყავა მოიტანეს, იდილია სრულყოფილი გახდა – კვირა დილა, ეკლესიის ზარების ხმა და სადღესასწაულო ტორტი. მეტი რა უნდა ნდომოდა ისიდორს! ახალი მოსამსახურე გოგონა, რომელიც დანა-ჩანგალს აწყობდა, ისიდორს სათვალავში საერთოდ არ ჩაუგდია და ცოლს მოეხვია. „ისიდორ!“ – წარმოთქვა ქალმა და აღელვებისგან ყავის დასხმაც კი ვეღარ შეძლო, ასე რომ, ამის გაკეთება წვერიან სტუმარს თავად მოუხდა. „რა იყო?“ – ჰკითხა მან ნაზად და მასაც შეუვსო ფინჯანი. „ისიდორ!“ – გაიმეორა ქალმა და თვალზე ცრემლი მოადგა. ისიდორი ცოლს ისევ მოეხვია. „ისიდორ! – ჰკითხა მან, – სად იყავი ამდენ ხანს?“ კაცს ერთი წუთით გონება დაებინდა. ფინჯანი დადგა; ოჯახურ ცხოვრებას გადასჩვეოდა, ვარდის ბუჩქის წინ წამოიმართა, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეყო. „რატომ არასდროს მომწერე ერთი ბარათი მაინც?“ – ჰკითხა ქალმა. ისიდორმა გაოგნებულ ბავშვებს უსიტყვოდ გამოართვა თავისი ჩაფხუტი, ჩვევაში გადასული გაწაფულობით ერთ წამში მოირგო თავზე, რაც ალბათ წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებდა შვილებზე – მამიკო ჩაფხუტით და რევოლვერის ბუდით – და ეს ყველაფერი არა მარტო ნამდვილი იყო, არამედ ხმარებისგან აშკარად გაცვეთილიც, და როდესაც მეუღლემ წარმოთქვა: „იცი, რა, ისიდორ, ასე მართლა არ უნდა მოქცეულიყავი!“ ისიდორს უკვე ყელში ამოსვლოდა მშობლიური კერა, უცებ ამოიღო რევოლვერი ქამრიდან (ესეც ალბათ ჩვევაში გადასული გაწაფულობით, ასე მგონია), სამჯერ ესროლა ფუმფულა, ჯერ კიდევ ხელუხლებელ და ბეზეთი მორთულ ტორტს შუაგულში. ალბათ წარმოგიდგენიათ, როგორ მოითხვრებოდა იქაურობა. „ისიდორ!“ – იყვირა მეუღლემ, მისი ხალათი თავიდან ბოლომდე ნაღების შხეფებით იყო მოწუწული, და რომ არა უმანკო ბავშვები, რომელთა თვალწინაც გათამაშდა ეს სცენა, ქალს მთელი ეს ვიზიტი, რომელიც ალბათ ათ წუთს ძლივს თუ გაგრძელდა, ჰალუცინაცია ეგონებოდა. ხუთი შვილით გარშემორტყმული ქალი ნიობს ჰგავდა, მან მხოლოდ ისღა დაინახა, როგორ გავიდა ისიდორი, უპასუხისმგებლო ისიდორი, დინჯი ნაბიჯით ჭიშკარში, თავზე ის აუტანელი ჩაფხუტი ეხურა. ამ შოკის შემდეგ საბრალო ქალს ტორტის დანახვა აღარ შეეძლო, ისე რომ ისიდორი არ გახსენებოდა. ამ მდგომარეობამ ძალიან დაასაწყლა და ჯერ ერთმა და შემდეგ უკვე რამდენიმე ადამიანმა ერთხმად ურჩია განქორწინება. მაგრამ ამ მამაც

ქალს ჯერ კიდევ შერჩენოდა იმედი. ვინ იყო დამნაშავე, ხომ ისედაც ცხადი გახლდათ. მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდა იმედი, რომ ისიდორი მოინანიებდა. მხოლოდ თავისი ხუთი შვილისთვის ცხოვრობდა, რომლებიც ისიდორისგან ჰყავდა და ახალგაზრდა ადვოკატს, რომელიც არცთუ პირადი დაინტერესების გარეშე სტუმრობდა და განქორწინებას აჩქარებდა, პენელოპესავით ერთი წელი ახლოს არ იკარებდა. და მართლაც, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ისევ მის დაბადების დღეზე, ისიდორი კვლავ დაბრუნდა, ჩვეულებრივ მიესალმა, ჩამოჯდა, აკაპიწებული სახელოები ჩამოიწია და ბავშვებს ისევ მისცა უფლება მისი ჩაფხუტით ეთამაშათ, ოღონდ ამჯერად, სიამოვნება, რომ ბავშვებს მამიკო ჰყავდათ, მხოლოდ სამ წუთს გაგრძელდა. „ისიდორ! – ჰკითხა მეუღლემ, – ახლა სადღა იყავი?“ ისიდორი წამოიმართა, მადლობა ღმერთს, აღარ უსვრია, არც უდანაშაულო ბავშვებისთვის გამოურთმევია თავისი ჩაფხუტი, არა. ისიდორი მხოლოდ წამოდგა, სახელოები ისევ აიკაპიწა, ბაღის ჭიშკარში გავიდა და აღარასდროს დაბრუნებულა. განქორწინების ქაღალდს მისმა საწყალმა მეუღლემ აუცრემლებლად ვერ მოაწერა ხელი, მაგრამ რა გაეწყობოდა, ისიდორი კანონით დადგენილ ვადაში არ გამოჩენილა, მისი აფთიაქი გაიყიდა, მეორე ქორწინება მოკრძალებულად მიედინებოდა და კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სამოქალაქო ბიუროშიც გაფორმდა. მოკლედ, ყველაფერი ისე მშვიდად მიდიოდა, როგორც წესია. ეს კი მოზარდი ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი იყო. პასუხი კითხვაზე, სად ატარებდა მამიკო სააქაოში დარჩენილ სიცოცხლეს, შვილებს არასდროს მიუღიათ. არც ბარათი. დედიკოს არც უნდოდა, რომ მათ მამიკოს ამბავი ეკითხათ; მასაც ხომ არასდროს ჰქონია მამიკოსთვის რაიმეს კითხვის უფლება...

ვისკის ფული არა აქვთ, მაგრამ მექსიკაში დეპეშის გაგზავნის – კი, ბატონო. შვეიცარიის წარმომადგენლობას უნდა დაადასტურებინონ, რომ არა მხოლოდ დამპალი და მივარდნილი მექსიკური დასახლება, სახელად ორიზაბა, არსებობს, არამედ, მთელი რიგი აყვავებული ჰასიენდებისაც, და რომ ზოგიერთ მათგანში მართლაც სახლობენ ყოფილი მინისტრები და რომ ზოგის სიდიდე ციურიხის კანტონისას აღემატება, ზოგის კი, არც აღემატება. მაგრამ, სხვათა შორის (ასე მამცნობს ჩემი ბეჯითი ადვოკატი), შვეიცარიის წარმომადგენლობა ვერ ადასტურებს, ნამდვილად უმუშავია თუ არა რომელიმე ჰასიენდაზე ოდესმე შვეიცარიის მოქალაქეს.

– ა, აბატონო, – ვეუბნები მე, – ხომ ხედავთ!

– რას?

– რომ მე არ ვარ შვეიცარიის მოქალაქე, ბატონო დოქტორო, და, ამდენად, ვერც თქვენი დაკარგული შტილერი ვიქნები.

სულ ასე ხდება – ერთ-ერთი ჩვენგანი სხარტად აზროვნებს, მაგრამ მოსაუბრის დარწმუნებას მაინც ვერ ახერხებს – ჩემი ადვოკატი ტყავის ჩანთას იღებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიგარას მაწვდის, რომელიც საკუთრივ ჩემთვის უყიდია, სამწუხაროდ, ჩემი საყვარელი მარკისა არ არის, მაგრამ მაინც გული მიჩუყდება.

– პატიოსან სიტყვას გართმევთ – მართლა იყავით მექსიკაში? – მეკითხება იგი, – ხუმრობის გარეშე!

რა უცნაურია: ისეთი წვრილმანიც კი, როგორიც ერთფრანკიანი სიგარაა, მაშინვე მავალდებულებს და მჩუქებელს უსიტყვოდ ზურგს ვეღარ ვაქცევ კითხვაზე პასუხის ნაცვლად... მართლა ვიყავი თუ არა მექსიკაში! ყველას შეუძლია თქვას, ვიყავიო, მაგრამ, მე მგონი, ყველა ვერ უამბობს ჩემს ადვოკატს, რა დღეში აგდებს პლანტაციაში ამ სიგარის ზედა ფენის მოპოვება საწყალი მკრეფავის ზურგს; ეს არის ფოთოლი, რომელიც ბუჩქის ქვედა ძირში იზრდება, უფრო უხეში, ვიდრე ზედა ფოთლები, მიწისგან გაშავებული, ქვიშიანი და მოუდრეკავი და იოლად ტყდება. მკრეფავს კი მხოლოდ უზადო საქონელში უხდიან ფულს. ამ ეგრეთ წოდებული ქვიშიანი ფოთლებისგან აკეთებენ ხარისხიან სიგარებს. მხოლოდ უზადო საქონელს აქვს ფასი...

– ჰო, ჰო, – ამბობს ჩემი ადვოკატი, – ეგრეა, მაგრამ ჩემს კითხვასთან ეს რა შუაშია?

ვეწევი. ვუყვები, როგორ ვმუშაობდი ურუაპანის თამბაქოს პლანტაციაში. მძიმე დრო იყო. დილიდან დაღამებამდე – მუხლებზე. სხვანაირად ქვიშიან ფოთოლს ვერ მოკრეფ. მუხლებზე რომ დგახარ, მაშინაც უნდა დაიხარო, რომ საუკეთესო ფოთლები იპოვო. ერთხელ, არასოდეს დამავიწყდება, ბუჩქიდან ბუჩქამდე მივხოხავდი, თავზე მექსიკური ჩალის ქუდი მეხურა და სხვა მკრეფავებს ვერ ვხედავდი. ტყუილად ველოდი ზედამხედველის სტვენას. მიუხედავად ჩემი ეკონომიკური მდგომარეობისა, სიცხის გაძლება, უბრალოდ, აღარ შემეძლო, გასამრჯელო უკვე სულერთი იყო. გოგირდის მყრალი სუნი სულ უფრო ძლიერდებოდა. უცებ შიშმა შემიპყრო და ვიყვირე, ზუსტად ჩემ უკან, ნაცრისფერი მიწიდან ყვითელი კვამლის პატარა ღრუბელი ამოვიდა. ამაოდ ვეძახდი სხვა მუშებს,

ძირითადად ინდიელებს, უკვე ყველა გაქცეულიყო. ფეხები სიცხისგან მეწვოდა, და გავიქეცი, მაგრამ საით გინდა გაიქცე? ყველგან კვამლი ამოდიოდა, თითქოს მამაკაცების თავყრილობაა და ყველა სიგარას ეწევაო, და უცებ დავინახე, როგორ დაიბზარა მიწა, სრულიად უხმოდ, და ამ ნაპრალებიდან გოგირდის ყროლი ამოდიოდა. სადღაც მივრბოდი, სანამ სუნთქვა არ შემეკრა და სირბილი ვეღარ შევძელი, უკან ვიყურებოდი, რომ დამენახა ჩვენი პლანტაცია, რომელიც იზვირთებოდა, იზნიქებოდა და უკვე გორაკად ქცეულიყო. საოცარი სანახაობა იყო, მაგრამ სიცხე და კვამლი გაქცევისკენ მიბიძგებდა. სოფელს შევატყობინე ეს ამბავი. ქალებმა შვილები შეაგროვეს და აქვითინდნენ; კაცებმა გადაწყვიტეს დეპეშა გაეგზავნათ ვულკანად გადაქცეული პლანტაციის მფლობელისთვის; რამდენიმე დღისა და ღამის შემდეგ, რომელიც სოფელმა შიშსა და ძრწოლაში გაატარა, პლანტაციის ადგილას მოზრდილი მთა წამოიმართა, გახვეული მოყვითალო და მომწვანო ორთქლსა და ბურუსში. სოფელი ვეღარც მუშაობდა და ვეღარც იძინებდა. მზე ისევ ისე ანათებდა, მაგრამ გოგირდის სუნი არ ნელდებოდა; შხამიანი და ცხელი გოგირდის სუნის გადამკიდე, ჯობდა, საერთოდ არ გესუნთქა, უღრუბლო ცაზე მთვარე ანათებდა, მაგრამ მაინც ჭექდა და ქუხდა. პატარა ეკლესია გადაჭედილი იყო, ზარები განუწყვეტლივ რეკდა, მათ რეკვას ხანდახან თუ გადაფარავდა მთის გრგვინვა. დეპეშაზე არავის უპასუხია, ამიტომ გადარჩენაზე თავად უნდა ეფიქრათ. ცეცხლის უზარმაზარი ენები ამოდიოდა კვამლიდან, რომელიც მთვარეს აბნელებდა. და მერე წამოვიდა ლავა, მდორედ, მაგრამ შეუჩერებლივ, ჰაერში ცივდებოდა და შეშდებოდა, შავი ფაფა მოთეთრო ორთქლის აბუყბუყებული შხეფებით. მხოლოდ ღამით ჩანდა ამ გაქვავებული ფაფის შინაგანი სიმხურვალე, სახლის სიმაღლე ლავა ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა. დღეში ათი მეტრით. თავგზააბნეული ჩიტები გახელებულები დაფრინავდნენ, ბუდეს ვეღარ პოულობდნენ, ტყეები კი, უკიდეგანო ტყეები, გავარვარებული ქვა-ღორღის ქვეშ იძირებოდა. სოფელი დაიცალა. მე მგონი, არავინ დაღუჭულა. ატირებული ბავშვები მკლავზე ან ზურგზე მოეკიდათ, ფუთებში მცირედი ავლადიდება გამოეკრათ და ასე მიედენებოდნენ დაფეთებულ საქონელს, ვირები ყროყინებდნენ და რაც უფრო გამეტებით ურტყამდნენ, მით უფრო ჯიუტობდნენ. ლავა კი დინჯად მიცურავდა სახლებს შორის, ავსებდა მათ, შთანთქავდა. მე კი, რადგან გადასარჩენი საქონელი არ მყავდა, ვიდექი გორაკზე და ვუყურებდი, როგორ მოდიოდა ლავა. გველივით მოსისინებდა, თუკი სადმე წყალს წააწყდებოდა, იქვე აშრობდა და კანიც გველივით უელავდა, ფოლადისებრი ნაცრისფერი კანი. ტკაცუნა კანი

გადაეკრა რბილ, ცხელ და მობუყბუყე შიგთავსზე. ბოლოს ეკლესიასაც მისწვდა; პირველი სამრეკლო მუხლში გადატყდა და თავისსავე ნანგრევებში ჩაიმარხა, მეორე გადარჩა და დღესაც ისევე დგას – პატარა ეკლესიის სამრეკლო – ერთადერთი, რაც იმ სოფლისგან გადარჩა... სოფელს პარიკუტინი ჰქვია. დღეს ამ სახელს ახალ ვულკანს ეძახიან... – ამით ვამთავრებ თხრობას, – და თუკი როდისმე მოხვდებით მექსიკაში, ძვირფასო დოქტორო, წადით ამ პარიკუტინში, გზები არაფრად ვარგა, მაგრამ წასვლა მაინც ღირს, განსაკუთრებით, ღამე. გავარვარებული ქვები ხუთასი მეტრის სიმაღლეზე ამოიტყორცნება, თან იქაურობა ზანზარებს, როგორც ზვავის დროს, მერე კრატერიდან კვამლი ამოდის, უზარმაზარ ყვავილოვან კომბოსტოს ჰგავს, მაგრამ შავი და წითელია, რადგანაც ქვემოდან სიმხურვალე ანათებს. სულ ცოტა ხნის წინ ხშირად ამოაფრქვევდა ხოლმე, ექვსი წუთის, ათი წუთის, სამი წუთის ინტერვალით, თითოეული ამოფრქვევა განსხვავებული გახლდათ, ავარვარებული ქვები სხვადასხვა სილუეტს ქმნიან და მანამდე ქრებიან, სანამ მიწაზე დაენარცხებიან. უმაღლესი კლასის ფოიერვერკია, მერწმუნეთ. მაგრამ მთავარი ლავაა! მკვდარი ნაცრის უკუნეთიდან, მთვარის შუქიც რომ ვერ ერევა მის სიშავეს, ამოასხამს ხოლმე ალისფერი ლავა, როგორც სისხლი დაჭრილი შავი ხარის სხეულიდან. ეს ლავა ძალიან თხელი და თხევადი უნდა იყოს, შურდულივით ეშვება მთაზე, ნელ-ნელა კარგავს სიკაშკაშეს, სანამ მეორე ამოფრქვევა წამოეწევა; მუგუზალივით ვარვარებს, მზესავით კაშკაშებს, ღამეს ანათებს, მომაკვდინებელია მისი სიმხურვალე, რომელსაც სიცოცხლეს ვუმადლით, რადგან ის ათბობს ჩვენი პლანეტის გულს. ეს აუცილებლად უნდა ნახოთ! ჩვენს სულში, ახლაც ზუსტად მახსოვს, სიხარულის ისეთი ყიჟინა იღვიძებს, მხოლოდ ყველაზე თავდავიწყებულ ცეკვას რომ შეუძლია მოგგვაროს, გაოგნება და აღფრთოვანება გეძალება; ალბათ იგივე გრძნობა იპყრობთ უგუნურ ადამიანებს, როცა სხეულიდან თბილ გულს იკვეთენ.

ჩემი ადვოკატი რაღაცას ინიშნავს.

– პარიკუტინი? – მეკითხებ, – როგორ იწერება?

– როგორც გამოითქმის.

კიდევ რაღაცებზე ვსაუბრობთ. სიგარას მაინცდამაინც მიჩვეული არა ვარ, მაგრამ თავისთავად ძალიან კარგი სიგარაა. საქმეზე (როგორც იგი თავის ქაღალდის დოსიეს უწოდებს) ისევ ვერ გადავდივართ.

– ბატონო დოქტორო! – დერეფანში მივაძახებ, – პლანტაციაში ჩემს მუშაობას ნუ გამოიკვლევთ, ბატონო დოქტორო, ამაოდ გაირჯებით, თქვენი შვეიცარიული წარმომადგენლობაც ვერაფერს იპოვის.

– რატომ?

– ლავის გამო.

ის მაინც გააგზავნის დეპეშას.

მე არ ვარ მათი შტილერი. რა უნდათ ჩემგან! მე ერთი უბედური, უსახური, უმნიშვნელო ადამიანი ვარ, რომლის უკანაც აღარ დგას ცხოვრება, საერთოდ არანაირი ცხოვრება. რა აზრი აქვს ჩემს ტყუილებს? ოღონდ დამიტოვონ ჩემი სიცარიელე, ჩემი არარაობა, ჩემი სინამდვილე, რადგან აქედან გაქცევა შეუძლებელია და ისინი რასაც მთავაზობენ, სწორედ გაქცევაა და არა თავისუფლება, გაქცევა რაღაც როლში. რატომ არ მეშვებიან?

ბატონი დოქტორი ბონენბლუსტი (ეს ჩემი ადვოკატის გვარია) აეროპორტში დახვდა პარიზელ ქალბატონს, რომელსაც თავი ჩემი მეუღლე ჰგონია და მისი პიროვნებით ძალიან მოხიბლული ჩანს.

– მინდოდა თქვენთვის შემეტყობინებინა, – ამბობს ჩემი ადვოკატი, – რომ ქალბატონი კარგად ჩამოფრინდა, რა თქმა უნდა, მოკითხვას გითვლით.

– გმადლობთ.

– ახლა სასტუმროშია.

ჩემი ადვოკატი აღელვებისგან ვერ ჯდება, ტრიუმფისგან ხელებს იფშვნეტს, თითქოს ეს პარიზელი ქალბატონი ყველაზე მძიმე არტილერია იყოს, რომელმაც ჩემი კაპიტულაცია უნდა გამოიწვიოს.

– ბატონო დოქტორო, – ვეუბნები მე, – არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ ქალბატონებმა მინახულონ, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გაგაფრთხილოთ, მე ადვილად ვიღგზნები, თავს ვერ ვიკავებ, განსაკუთრებით წელიწადის ამ დროს.

– მე ეს მას ვუთხარი.

– მერე?

– ქალბატონი დაჟინებით ითხოვს თქვენთან პირისპირ საუბარს. ორშაბათს, 10 საათზე აქ იქნება. დარწმუნებულია, რომ თავის ქმარს უკეთ იცნობს, ვიდრე ის თავის თავს და აღვირახსნილობა, მისი აზრით, მოგონილი მიზეზია; მის ქმარს სულ უნდოდა ასეთი ყოფილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა, ამბობს ქალბატონი და დარწმუნებულია, რომ მარტოც გაგიმკლავდებათ.

ისევ სიგარას მთავაზობს.

– ორშაბათს, ათ საათზე? – ვამბობ მე, – კი ბატონო.

ქნობელი, ჩემი დარაჯი, ნელ-ნელა ბრაზდება, კითხვებს რომ ვუსვამ იმ პარიზელი ქალბატონის შესახებ, რომელიც აცხადებს, რომ ჩემი ცოლია.

– ხომ გეუბნებით, – ბურტყუნებს, – ელეგანტური ქალია. და მისი სურნელი მთელ დერეფანში დგას.

– თმა?

– წითელი, – მპასუხობს, – ასკილის კონფიტიურივით წითელი.

უკეთეს აღწერას ვერ მთავაზობს, არ შეუძლია, თუმცა ყველა კითხვაზე მპასუხობს; რაც უფრო მეტი მესმის იმ ქალის შესახებ, მით უფრო ნაკლებად წარმომიდგენია, როგორია.

– მიირთვით! – მეუბნება დარაჯი, – თქვენ თვითონ არ ნახავთ? იქნებ სულ არ იყოს თქვენი მოსაწონი, თუმცა ისევ ირწმუნება, რომ თქვენი მეუღლეა.

– ჩემი მოსაწონი! – მეცინება, – მომიყოლია თქვენთვის პატარა მულატი გოგოს ამბავი?

– არა.

– ჩემი მოსაწონი ის იყო, – ვამბობ მე.

– მულატი გოგო?

– რიო გრანდეს სანაპიროზე ვიყავი, – ისეთი ტონით ვიწყებ მოყოლას, რომ ქნობელი მაშინვე ჯდება, – უცებ, – პური არა გაქვთ? – ჩემს თავს მევე ვაწყვეტინებ, – ქნობელი მაშინვე დგება და მაგიდაზე ნახევარ პურს მიდებს; სქელ ნაჭერს ვიჭრი, ვკბეჩ, ქნობელი კი ისევ ჯდება, მე

ველოდები, პირი სანამ ცოტათი დამიცარიელდება; შემდეგ ვაგრძელებ, – უცებ – ცეცხლთან ვიყავით ჩაცუცქულები, რადგან უდაბნოში საშინლად ცივი საღამოები იცის, რა თქმა უნდა, შეშა არსად მოიპოვება, ამიტომ ძონძებს ვწვავდით, რომელიც უფრო ყარდა, ვიდრე გვათბობდა და კონტრაბანდისტებთან ვბჭობდით, როგორ უნდა გადავეყვანეთ ჩუმად ღამე საზღვარზე, რადგან მე ისევ მეძებდნენ – უცებ წითელი კლდეებიდან ამოიწვერა!

– ვინ?

პირი პურით მაქვს გამოტენილი და, რა თქმა უნდა, ვერ ვაგრძელებ, თან წვნიანიც მანამ უნდა ამოვხვრიპო, სანამ ცხელია.

– ვინ? – მეკითხება ქნობელი, – ვინ ამოიწვერა კლდეებიდან?

– ლიმუზინი, – ვაღირსე პასუხი და თავს ვერ ვიკავებ, კიდევ ერთ ლუკმას ვაკბეჩ უგემრიელეს პურს, – რა თქმა უნდა, მოპარული ლიმუზინი. სხვათა შორის, შესანიშნავი სანახაობა იყო, ოქროსფერი მტვრის დროშას ჰგავდა, საღამოს მზის უკანასკნელი სხივების ფერს კი არა. ლიმუზინი, რომელიც უდაბნოში მიქროდა, ნავივით ირწეოდა და ადი-ჩადიოდა ქვიშის ტალღებზე.

– გასაგებია.

– რასაკვირველია, დაინახა ჩვენი კოცონი.

– მერე?

– გასროლა! – ვამბობ მე, – მაგრამ ტიპი თან მიქრის და ჩვენ, რა თქმა უნდა, გვგონია, რომ ამერიკული პოლიციაა. კიდევ გასროლა, გასროლა და კიდევ გასროლა! – და ვინ ზის შიგ?

– ვინ?

– ჯო.

ჩემს წვნიანს ვხვრეპ.

– მისი ქმარი.

– მულატი გოგოსი?

– ცხადია.

– უჰ, რა მაგარია!..

– ზანგი, – ვაგრძელებ მოყოლას, – ისე, კარგი გულის ადამიანია, მაგრამ ცოლი თუ წაართვი, მაშინ ცხადია, არა. ასე გამოგვეცხადა სიბნელეში, მარტო მისი ქათქათა თეთრი კბილები მოჩანდა – გაუმარჯოს!

– მერე?

– რომ იცოდე, ერთმანეთი გვიყვარდა.

– თქვენ და მულატ გოგოს?

– ვკითხე, მე გიყვარვარ თუ ის-მეთქი. ზუსტად გაიგო, რასაც ვეკითხებოდი და თავი დამიქნია. და გასროლა. და არცერთი სიტყვა ჯოს შესახებ.

– მოკვდა? – მეკითხება ის.

– ადგილზე.

– უჰ, რა მაგარია!..

– მაკოცა, – ვამბობ მე, – აი, ვინ იყო ჩემო მოსაწონი.

ქნობელი კიდევ ერთხელ მივსებს თეფშს წვნიანით; ისეთივე ყურადღებიანია, როგორიც მიმტანები არიან ხოლმე მდიდრების მიმართ.

– ზანგები მიყვარს, – ვამბობ მე, – მაგრამ ვერ ვიტან ცოლიან კაცებს, გინდაც ზანგები იყვნენ. სულ ანგარიში უნდა გაუწიო, არ შემიძლია. რა თქმა უნდა, მაშინვე გადავედით საზღვარზე.

– მექსიკაში?

– ფარები არ აგვინთია, რიო გრანდე მარცხნივ დაგვრჩა, სავსე მთვარე მარჯვნივ.

– ეს იყო თქვენი მესამე მკვლელობა?

– მგონი...

წესით, არ შეიძლება, რომ ქნობელი ჩემს საკანში ამდენ ხანს

ყოვნდებოდეს; სხვებს ამის გამო გაცივებული საჭმელი ერგებათ ხოლმე. ჩემს დარაჯს უკვე ხელში უჭირავს სათლები, არ ვიცი, რაღას ელოდება.

– ადამიანი მტაცებელი ცხოველია, – ცოტა განზოგადებულად ვამბობ, – მერწმუნეთ, ქნობელ, ყველაფერი დანარჩენი მლიქვნელობაა.

მაინც არ გადის.

– ახლა რომ ვუფიქრდები, – ვამბობ მე, – პირველად რომ ვნახე ფლორანსი – აალებულ სამხერხაოში!

– ფლორანსი ვინ არის?

– ჩემი მულატი გოგო.

– ჰო, რა თქმა უნდა.

– ეს ორეგონში იყო, სულ ზემოთ, – ვამბობ მე, – სანაპიროზე ვიყავი სათევზაოდ, რადგან ფული არ მქონდა, რომ რამე სხვა მეჭამა და თან ჯერ ისე არ ვიყავი დაცემული, რომ მექურდა. მაშინ თავი ჯერ კიდევ პატიოსანი კაცი მეგონა! მიუხედავად იმისა, რომ დღეები გადიოდა და თევზს ვერ ვიჭერდი, ერთი ცალიც ვერ დავიჭირე; ხუმრობა ხომ არ არის ოკეანეში თევზის დაჭერა, ისიც კლდოვან სანაპიროზე რომ დგახარ და ტალღები გეხეთქება. მზაკვრული თამაშია: საათობით დგახარ შენს რიფზე, მშრალად, გეხეთქება ქაფიანი ტალღები, მაგრამ ვერ გწვდება, თავს ისე დაცულად გრძნობ, როგორც მოქალაქე და უცებ მოვარდება ტალღა, რომელიც, ღმერთმა იცის, რატომ, უფრო მაღალია, ოთხი მეტრით მაღალი; შორიდან თუ ვერ დაინახე, მოეხეთქება შენს რიფს და გადაგრეცხავს, გინდ პატიოსანი კაცი იყავი და გინდ არა, დაგფქვავს კლდეებს შორის, მერე იტივტივებს შენი გვამი და ვერც ვერავინ ამოგიცნობს... უღრუბლო შუადღე იყო, იქ ვიდექი, ტალღების ხათქუნისგან დაყრუებული, და უცებ ვხედავ, რომ ჩემ უკან, ნაპირზე, რაღაც ხრჩოლავს, ისე მაგრად, ჩემო კარგო, რომ მზის დაბნელება გეგონებოდა. ალბათ დიდი სამხერხაოდან მოდის-მეთქი, მაშინვე ვიფიქრე, აბა, სხვა რა უნდა ყოფილიყო იმ უკაცრიელ ადგილას. წარმოიდგინეთ, ოცი მილის რადიუსში ერთი სახლიც კი არ დგას, მხოლოდ კლდეები და ცხვრები, მეტი არაფერი და ფოლადის ბაგირი, რომლითაც ველური ტყეებიდან მოჭრილ მორებს აცურებენ, მე ბორცვზე ვქოშინებ, ცა სავსეა მფრინავი ნაპერწკლებით. ცეცხლის ასეთი მოვარდნა არასოდეს მინახავს, ტკაცა-ტკუცი გაუდის, სახანძრო, რასაკვირველია,

არსად ჩანს, მხოლოდ ქალები დგანან და ბღავიან, ფრჩხილებს იჭამენ და ღმერთს ევედრებიან, რომ ჩააყენოს თავისი ქარი. ცეცხლის ჩასაქრობი წყალი არ არსებობს, კვირადღეა და კაცები სადღაც შორს არიან, კეგლს თამაშობენ, აქ კი ცაში მეწამული დროშები ფრიალებენ და ტკაცა-ტკუცი გაუდით. საოცარი სანახაობაა, სახურავებიდან ცეცხლი ამოდის, უძლური ხარ, წინ მთელი ოკეანეა გადაშლილი და ზედ ქარი მძვინვარებს, შეუბერავს მშრალი ხის შტაბელებს და ისეთი სიმხურვალე ტრიალებს, ასი ნაბიჯის მოშორებითაც ვერ უძლებ და შუაგულში კიდევ ბენზინით სავსე ცისტერნა დგას.

– უჰ, რა მაგარია!

– ვეკითხები იმ გოგოს, ხომ არ გაგიჟდი-მეთქი, ყოველ წამს შეიძლებოდა ის ცისტერნა აფეთქებულიყო, ის კი მაინც თავის ქოხში შევარდა.

– ვინ?

– შიგ გამძვინვარებულ კვამლში და ბოლში, – ვამბობ მე, – მულატი გოგო.

– უჰ, რა მაგარია!

– და მე უკან გავედევნე!

– ცხადია.

– რანაირად არის ცხადი? – ვამბობ მე, – სრული სიგიჟე იყო, მაგრამ უცებ ვიფიქრე, იქნებ ბავშვის გადარჩენა უნდა-მეთქი. არასოდეს დამავიწყდება, ჩემო კარგო, როგორ ვიდექი იმ ქოხში, ზევით ყავარი იწვის, ბებერი ზანგი მაიმუნივით დარბის ცეცხლმოკიდებულ სახურავზე და ბაღის უბადრუკი შლანგით ცდილობს აალებული ყავარის ჩაქრობას, ფიცარ-ფიცარ, წყლის ჭავლი უფრო შორს ვერ სწვდება. სასაცილო სანახაობაა, შიგნით კი ისეთი კვამლი დგას, მართლა დაიხრჩობი. არის ვინმე? ვყვირი: არის აქ ვინმე? და უცებ ვხედავ მას – დგას გაშეშებული და მოთქვამს, ხელები თეძოებზე შემოუწყვია, არ ინძრევა, მულატი გოგო, გეუბნებით, ჩემო ძვირფასო ქნობელ, საოცარი ქმნილება, ჯიშიანი ცხოველივით ლამაზი, თვრამეტი წლის, საოცარი ქმნილება! ირგვლივ სხვა დანარჩენი, რასაკვირველია, ნაგავია, გადასარჩენადაც არ ღირს, ლოგინები და ჭურჭელი. ისე გავცოფდი, რომ ვეცი და შევანჯღრიე!

– რატომ?

– მაცივარი გადაარჩინეო! – მითხრა, – არც კი იოცნებო-მეთქი, – ვუყვირე. ბანზე კი ის ბებერი ზანგი ისევ წუწაობს პატარა შლანგით და ზევიდან გვწუწავს. – შენ რა გინდა? – მეკითხება გოგო. – შენ მინდიხარ! – ვყვირი მე და გარეთ ვექაჩები, ის კი იცინის თავისი ქათქათა კბილებით და მეუბნება, მე ქმარი მყავსო! ჩქარა, წამოდი! ვეუბნები. მანქანა გყავს? მეკითხება. მანქანის მეტი რა არის, ვფიქრობ მე და როცა მკლავები შემომხვია, რომ უკეთ ამეყვანა ხელში, სახურავიც ჩამოინგრა და ცეცხლი ააგიზგიზა. დაშავებულები რომ გამოჰყავთ, ისე გამოვიყვანე იქიდან, ქუჩაში მდგარ პირველივე მანქანაში ჩავსვი და გავაქანე. პლაიმაუთი იყო მისი მფლობელი, ალბათ ვაჭარი იქნებოდა. გვერდით რომ ჩავუქროლე, ვერც კი მიხვდა, რომ მის მანქანაში ვიჯექი, ყველა ბენზინის ცისტერნას მიშტერებოდა, რომელიც ყოველ წამს შეიძლებოდა აფეთქებულიყო.

– და თქვენ, მისტერ ვაით, იქიდან მოქუსლეთ!

არაჩვეულებრივი სანახავია, როგორ უხარია ქნობელს, როცა იგებს, რომ ვიღაცას რაღაცა გამოუვიდა; მთელი სახე უბრწყინავს.

– ოთხი საათის შემდეგ, – ვეუბნები მე, – კალიფორნიის მხარეს, წყნარ ყურეში ვისხედით და ვთევზაობდით, კაციშვილი ვერ გვიპოვიდა. ჰო, მართლა, რა გქვია? ვკითხე. ფლორანსი! მიპასუხა მან, ალუბლებივით თვალები ჰქონდა, ყავასავით კანი. ჯო მოგკლავს, თუ გვიპოვაო, მითხრა მან. მე გამეცინა – ჩვენ მანქანა გვყავს! – ვუთხარი და ვუჩვენე, როგორ უნდა გახსნა ლოკოკინა, რომ თევზისთვის სატყუარად გამოგადგეს.

მერე ქნობელს გარედან ეძახიან და იძულებულია, დამტოვოს, ხელში გასაღებების ასხმა უჭირავს და მეკითხება:

– თევზი დაიჭირეთ?

– თანაც როგორი, – მკლავებს ვშლი და სიგრძეს ვაჩვენებ: – ااااامხელა.

ჩემი პროკურორი, ამჟამად ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ჩემი გასაჭირი შეიძლება გულწრფელად გავანდო, უკვე მემშვიდობება; მეუღლესთან ერთად (რომელიც ისევ მოკითხვას მითვლის) ათი დღით მიემგზავრება არდადეგებზე, პონტრესინაში. ერთმანეთს საუკეთესო სურვილებით ვემშვიდობებით.

წითელი თმა აქვს, დღევანდელ მოდასთან შედარებით, ძალიან წითელიც კი მაგრამ, არა ასკილის კონფიტიურის, უფრო სპილენძის თუ დაფშვნილი აგურისფერი. ძალიან უცხო. ნაზი კანი აქვს, ალებასტრივით, ჭორფლიანი.

ასევე ძალიან უცხო, მაგრამ ლამაზი. და თვალები? მე ვიტყოდი, ბრჭყვიალა, წყლიანი, მაშინაც, როცა არ ტირის. და მოლურჯო-მომწვანო, როგორც ფანჯრის შუშის კიდეები, მაგრამ ღრმა და ამიტომ გაუმჭვირვალე. სამწუხაროდ, ისე გაუპარსავს წარბები, რომ ერთი წვრილი ხაზიღა დაუტოვებია, რაც მის სახეს გრაციოზულ სიმტკიცეს კი მატებს, მაგრამ თან ნიღაბივით მიჰკვდომია ზედ გაოცებული გამომეტყველება. ძალიან კეთილშობილი ცხვირი აქვს, განსაკუთრებით, გვერდიდან რომ უყურებ, და ნაზი ნესტოები. ჩემი გემოვნებისთვის, ტუჩები ცოტა თხელი აქვს, ვნებიანობა კი არ აკლია, მაგრამ ვნება უნდა გააღვიძო. შეკრული ტანი აქვს (შავ კოსტიუმში), ცოტა ბიჭური, ეტყობა, რომ მოცეკვავეა, უფრო სწორად, ყმაწვილური, რაც მისი ხნის ქალს მოულოდნელ მიმზიდველობას ანიჭებს. ძალიან ბევრს ეწევა. მის ძალიან თხელ ხელს, რომლითაც ნახევრად მოწეულ სიგარეტს აქრობს, სისუსტე ნამდვილად არ ეტყობა, პირიქით, არის მასში გაუცნობიერებელი ძალის საკმარისი დოზა. ამ დროს თავად ალბათ ფიქრობს, რომ ფრიად ნაზი და უმწეოა. ძალიან ჩუმად ლაპარაკობს, რომ მოსაუბრეს ღრიალის საშუალება არ მისცეს. უნდა გაჩვენოს, რომ მოფრთხილება სჭირდება. ეს პატარა ხრიკიც, ვფიქრობ, გაუცნობიერებელია. ამ დროს თავბრუდამხვევ სურნელს აფრქვევს, როგორც ეს უკვე მომახსენა ქნობელმა; სუნამო ძვირფასი მარკის უნდა იყოს, მაშინვე პარიზი გახსენდება, ვანდომის მოედნის საპარფიუმერიოები.

– როგორ ხარ?

მისი სტილი, კითხვას კითხვითვე უპასუხოს, ბევრ ქალს ახასიათებს და ჩემთვის ნაცნობია; ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყო, რომ ხაფანგში არ გამაბას და არ დავიჯერო, რომ ოდესმე შევხვედრივარ.

– ველარ მცნობ? – მეკითხება.

აკვიატებული აზრი, რომ მისი უგზო-უკვლოდ დაკარგული ქმარი ვარ, სრულიად არ არის ნათამაშევი; ეს მის თვით ყველაზე უწყინარ გამონათქვამშიც კი იგრძნობა.

– აღარ ეწევი? – მეკითხება.

მერე – რადგან ამ შეკითხვებით საუბრის აგება შეუძლებელია, ოღონდ შეკითხვებსაც ვერ დაარქმევ, რადგან მათზე მხოლოდ ერთადერთ პასუხს ელის, რაც გინდა თავი იმართლო, აზრი არა აქვს, ყურიდან ყურში უშვებს – მე მას ვუყვები ისიდორის პატარა თავშესაქცევ ისტორიას, ოღონდ

ვუსადაგებ ჩემი მშვენიერი სტუმრის სიტუაციას, ანუ ვაკლებ ხუთი შვილის ამბავს და შემოქმედებითად ვუდგები სიზმარს, რომელიც ცოტა ხნის წინ დამესიზმრა: ისიდორი, რამდენჯერაც გამოჩნდება, ტორტს კი არ ესვრის, არამედ ყველას თავის ნაიარევ ხელებს აჩვენებს... რა გიჟური სიზმარია!

– ეჰ, – ოხრავს ჩემი ქალბატონი, – საერთოდ არ შეცვლილხარ, შენთან სერიოზულად საუბარი შეუძლებელია, სისულელეები რომ არ ილაპარაკო, არ შეგიძლია!

ჯერ სასაცილოა, მერე უსიამოვნო, მაგრამ რაღაცნაირად გულის ამაჩუყებელიც: ეს პარიზელი ქალბატონი ბის ჩემს ნარზე, გამოკვანწული შავ კოსტიუმში, სიგარეტს სიგარეტზე ეწევა, ნამდვილად არ არის სულელი, და სულ არ გიჭირს, წარმოიდგინო, რომ სიამოვნებით გაატარებდი მასთან საუბარში მთელ ნაშუადღევს კი არა, მეტსაც. განსაკუთრებით მომაჯადოებელია მისი ოდნავ დაღლილი, რატომღაც მწარე ღიმილი, ცნობისმოყვარეობა გიპყრობს, გაიგო, რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს სიმწარე და უნებურად ისევ მის ტუჩებს უყურებ და თან გახსენდება, რომ შენც გაქვს ტუჩები. მაგრამ, როგორც ჩანს, თავს ვერ აღწევს აკვიატებულ აზრს, რომ მე მიცნობს. უბრალოდ, არ სჯერა, რომ მე შეიძლება ვინმე სხვა ვიყო და არა მისი დაკარგული შტილერი. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავისი ქორწინების შესახებ ლაპარაკობს, რომელიც, როგორც ვხვდები, მთლად ისეთიც არ უნდა ყოფილიყო, როგორსაც ქორწინებისგან მოელი. რამდენჯერმე ვამჟღავნებ სინანულს, როცა, ბოლოს და ბოლოს, სიტყვას ჩავიგდებ ხელში – სულმოუთქმელად კი არ ლაპარაკობს, პირიქით, მცირეოდენი შეყოვნებებით, რომლებსაც სიგარეტის ვნებიანი ქაჩვით ავსებს, შიგადაშიგ დიდხანს მწარედ დუმს ხოლმე, მაგრამ დუმილის დარღვევას უფრო ვერ ვბედავ, ვიდრე სიტყვების ნიაღვრის შეწყვეტას, – ვეუბნები:

– ვფიქრობ, გაგაფრთხილებდნენ, მადამ, რომ მკვლელს ესაუბრებით.

უადგილო ხუმრობას რომ წაუყრუებენ ხოლმე, ისე იქცევა.

– მე მკვლელი ვარ, – ვიმეორებ, როგორც კი კვლავ მეძლევა შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის პოლიცია უძლურია ეს დაადგინოს. მე ჩემი მეუღლე მოვკალი.

ამაოდ!

– სასაცილო ხარ! – ამბობს იგი, – მართლა სასაცილო ხარ, მართლა.

ნახევარი ცხოვრება გავიდა, არ მინახიხარ, შენ კი ისევ სისულელეებს როშავ, ბავშვივით იქცევი!

უნდა გამოვტყდე, რომ მისი სერიოზულობა საკუთარ თავში ცოტა მაეჭვებს. თუმცა, იმაში არა, რომ მეუღლე მოვკალი, მაგრამ აღარ ვიცი, შევძლებ თუ არა ეს უბედური ქალბატონი აკვიატებული აზრისგან გავათავისუფლო. რა უნდა, ბოლოს და ბოლოს, ჩემგან! მეც სერიოზულად ვცდილობ, დავარწმუნო, რომ ჩვენ შორის ქორწინება არასოდეს შემდგარა. სერიოზულად ვცდილობ, მიუხედავად იმისა, რომ ნარიდან წამოხტა და ჩემს საკანში ბოლთას სცემს, წითელ თმას იჩეჩს, ჩემს გისოსებთან ჩერდება, თან ეწევა, თხელი ხელები მოტკეცილი კოსტიუმის ვიწრო ჯიბეებში ჩაუყვია, შემოდგომისგან გაყვითლებულ წაბლის ხეს მდუმარედ გაჰყურებს. მის სახეს ვერ ვხედავ.

– მადამ, – მივმართავ და მის სიგარეტს ვიღებ, – თქვენ ჩამოფრინდით, რათა თქვენი დაკარგული მეუღლისთვის მიგეტევებინათ. ამ სერიოზულ და საზეიმო მომენტს, მესმის, რომ წლობით ელოდით და გასაგებია, რომ თქვენთვის მძიმე დარტყმაა, რომ მე არ ვარ ის კაცი, რომელთან შესახვედრადაც თქვენ პატიების დაუოკებელი სურვილით ისწრაფოდით. მე ის არ ვარ, მადამ.

პასუხად მხოლოდ ბოლი გამოუშვა.

– მე ვფიქრობ, – ვამბობ და მეც ვეწევი,– ყველაფერი დღესავით ნათელია, ამაზე საუბრის გაგრძელებას აზრი არ აქვს.

– რა არის დღესავით ნათელი? – მეკითხება იგი.

– რომ მე არ ვარ თქვენი დაკარგული ქმარი.

– რას ჰქვია, არ ხარ? – არ მიყურებს, ისე მეკითხება.

– მადამ, – არანაკლები სერიოზულობით ვეუბნები, – ნამდვილად გული მიჩუყდება, თქვენს მონათხრობს რომ ვუსმენ უიღბლო ქორწინების შესახებ, მაგრამ ნუ გეწყინებათ, რაც უფრო მეტს გისმენთ, მით უფრო ნაკლებად მესმის, უფრო სწორად, საერთოდ არ მესმის, ჩემგან რა გინდათ. ჩემგან: მე ჩემი მეუღლე მოვკალი, როგორც გითხარით, თქვენ კი, მადლობა ღმერთს, უიღბლო ქორწინებას ასე მშვენივრად გამკლავებიხართ. გულწრფელად გეუბნებით, არ მესმის, რა უნდა მაპატიოთ?

დუმილი.

– თქვენ პარიზში ცხოვრობთ? – ვეკითხები.

უცებ სახე ეცვლება, ოდნავ ეხსნება, აღარ აწერია უსიტყვო გაოგნება. ახლა კიდევ უფრო მშვენიერია, ვიდრე მანამდე, უფრო ცოცხალი; მასთან ერთ შეხვედრაზე ნამდვილად არ ვიტყოდი უარს, ნამდვილ შეხვედრაზე. ისეთი სახით მიყურებს, მინდა შუბლზე ვაკოცო, უცებ მინდება, და იქნებ უნდა მექნა კიდეც, გინდაც არასწორად გაეგო; ერთი წამით მიპყრობს ეს სურვილი, მაგრამ მერე თითქოს ისევ ექუფრება სახე და ისევ იმ აკვიატებულ აზრს იმეორებს:

– ანატოლ, რა ხდება შენს თავს?

ისევ ვიმეორებ:

– ჩემი სახელია ვაითი.

სათქმელს მიტრიალებს, თითქოს მე ვიყო აკვიატებული აზრით შეპყრობილი. მოკიდებულ სიგარეტს გისოსებიანი ფანჯრიდან აგდებს (რაც ისევე უმკაცრესადაა აკრძალული, როგორც ბევრი სხვა რამ) და ჩემ წინ დგება. ცხადია, ხელს არ მკიდებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მე მოვკიდებ ხელს, უცებ მომეძალება სინანული და პატიებას ვთხოვ. და მართლაც, ცოტა ხნით, უბრალოდ, განიარაღებული ვარ, ვიცინი, თუმცა სასაცილო არაფერია. გინდა ჯუჯას ვგავდე, გინდა მინოტავრს ან კიდევ არ ვიცი, ვის, მაინც არაფერი შეიცვლებოდა, მას, უბრალოდ, არ შეუძლია სხვა ვინმე აღიქვას, გარდა თავისი უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერისა.

– არ მეგონა, თუ გამელოტდებოდი, – ამბობს, – მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ არ გიხდება! – რატომ არასდროს მომწერე?

ვდუმვარ.

– ისიც კი არ ვიცოდი, ცოცხალი იყავი თუ მკვდარი.

მე ვდუმვარ.

– სად იყავი ამდენი წელი?

მე ვდუმვარ.

– დუმხარ!

მე ვდუმვარ.

– უბრალოდ, გაქრი! – ამბობს იგი, – უბრალოდ, დაიკარგე! და მაინცდამაინც მაშინ! შეიძლებოდა მოვმკვდარიყავი.

ერთხელ ვაწყვეტინებ:

საკმარისია!

უკვე აღარ მახსოვს, კიდევ რაებს ვლაპარაკობდი, მაცალა, სანამ არ ვეცი, და მაინც ისეთი შეუვალი იყო თავის აკვიატებულ აზრში, რომ ნებისმიერი ჩემი გაფართხალება, გინდა სიცილი და გინდა კანკალი, მისთვის მტკიცებულებას უდრიდა და დაუღალავად იმეორებდა, გპატიობო. ხელი ვტაცე, ისე შევანჯღრიე, რომ თმიდან სარჭები პანტაპუნტით სცვიოდა, ნარზე დავახეთქე ქალბატონი და დარჩა ასე გადამსკდარი ბლუზით, მონგრეული კოსტიუმით, გაწეწილი თმითა და გაოგნებული უმანკო სახით, ველარც დგებოდა, რადგან მუხლით ვიდექი ნარზე, მარცხენა ხელით ისე ვუჭერდი გახურებულ მუშტებზე, რომ ტკივილისგან თავისი საოცრად ლამაზი თვალები დახუჭა. მშვენიერია მისი გაშლილი თმა, სურნელოვანი, აბრეშუმივით მსუბუქი. ნარბენივით გულამოვარდნილი სუნთქავდა, ღია პირით. წინა კბილები მშვენიერი აქვს, ზოგი დაპლომბილი, მაგრამ სადაფი ლამაზად უბრწყინავს. და რადგან მეორე ხელით მისი ნაზი ნიკაპი მეჭირა, ვერც ხმას იღებდა. მე მას ვაკვირდებოდი როგორც ნივთს, სრულიად საღი თვალით, როგორც ქალს, უცხოს, როგორც უცნობ ქალს. ჩემი დარაჯი ქნობელი რომ არ შემოსულიყო საფერფლის შემოსატანად...

გაქცევა შეუძლებელია. მე ეს ვიცი და ჩემს თავს ყოველდღე ვუმეორებ. გაქცევა შეუძლებელია. გავიქეცი, რომ ვინმე არ მომეკლა და მალე მივხვდი, რომ სწორედ გაქცევის მცდელობა უდრის მკვლელობას. ერთადერთიღა დამრჩენია: თვალი გავუსწორო ამ სიმართლეს, მიუხედავად იმისა, რომ არავინ იზიარებს სიმართლეს, რომ მე სიცოცხლე მოვკალი.

ბოდვაა! ჩემი ცხოვრება უნდა მოვყვე, მაგრამ როცა ვცდილობ, ვინმეს რაღაც გავაგებინო, მეუბნებიან, ბოდვაარ! (ახლა ის მაინც ვიცი, საიდან მოიტანა ჩემმა ადვოკატმა ეს სიტყვა, რომელსაც დამცინავი ღიმილით აზავებს.) მისმენს, სანამ ოკლენდში ჩემს სახლზე ვუყვები, ზანგებზე და

სხვა ამბებზე. როგორც კი ნადვილ ისტორიაზე გადავდივარ, როგორც კი ვცდილობ, ის მოვუყვე, რაც ფოტოებით ვერ დასტურდება, მაგალითად, რა ხდება, როდესაც ადამიანი საფეთქელში გაიქანებს ტყვიას, ჩემი ადვოკატი ფრჩხილების წმენდას იწყებს, ჩასაფრებულია, რომ საუბარი რაღაც უმნიშვნელო კითხვით გამაწყვეტინოს:

– ოკლენდში გქონდათ სახლი?

– დიახ, – მოკლედ ვამბობ, – რატომ მეკითხებით?

– სად არის ოკლენდი?

– სან-ფრანცისკოს მოპირდაპირე მხარეს.

– აჰა, – ამბობს ჩემი ადვოკატი, – მართლა?

სიგანე ოთხი მეტრი ჰქონდა და სიგრძე – ცამეტი (ჩემი ადვოკატი მონაცემებს ინიშნავს, მხოლოდ ეს მიზანი ამოძრავებს!). თუ ზუსტად გაინტერესებთ, უფრო ხის სახურავიანი ქოხი ეთქმოდა. ერთ დროს ხელზე მოსამსახურეების პატარა საცხოვრებელი იყო, რომელიც ფერმას ეკუთვნოდა. ფერმა ქალაქმა შთანთქა, ქოხი კი გადარჩა, მაგრამ გაპარტახდა. იქვე იდგა უზარმაზარი ხე, ევკალიპტი, მისი ვერცხლისფერი ბდღვირი არასოდეს დამავიწყდება. ირგვლივ მხოლოდ სახურავები და სხვა არაფერი, ტელეფონის მოღრეცილი ანტენებით სავსე ცა და მეზობელი ზანგების მოფრიალე სარეცხი. თუკი ძალიან ზუსტად აღვწერ, ჩემგან მარჯვნივ ჩინელები ცხოვრობდნენ. არც პატარა უღრანი ბაღი უნდა დაგვავიწყდეს. კვირაობით ზანგების ხის ეკლესიიდან სიმღერის ხმა მოდიოდა. ისე სულ სიჩუმე იყო, სამარისებული სიჩუმე; ხანდახან ხრინწიანი სირენა ისმოდა პორტიდან, ჯაჭვების ისეთი ჟღარუნი, რომ ძვალსა და რბილში დაგივლიდა. სხვათა შორის, ეს პატარა ხის სახურავიანი ქოხი მე არ მეკუთვნოდა, ვქირაობდი. მაშინ საერთოდ არ მქონდა ფული. ქირის გადახდა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ კატისთვის უნდა მეჭმია. კატებს ვერ ვიტან. მაგრამ, სამაგიეროდ, სამზარეულო – ქურა და მაცივარი მქონდა, რადიოც კი. კატის საჭმელი კი გამზადებული იდგა წითელ ქილებში. ცხელ ღამეებში ხშირად გაუსაძლისი იყო ეს სიჩუმე; ბედნიერი ვიყავი, რომ რადიო მაინც გამაჩნდა.

– და იქ სულ მარტო ცხოვრობდით?

– არა, – ვამბობ, – კატასთან ერთად.

კატის ამბავს არ ინიშნავს... ამ დროს, დარწმუნებული ვარ, ის კატა იყო პირველი მერცხალი. პატრონები მას Little Gray-ს ეძახდნენ, საჭმელს ყოველთვის სამზარეულოში მიართმევდნენ. ამ ტრადიციას ვერაფრით გავაგრძელებდი, თუნდაც მხოლოდ სუნის გამო. ვხსნიდი ქილას, საზიზღარ მასას გარეთ, ბაღში გადმოვყრიდი თეფშზე, მაგრამ განებივრებული კატა არ მემორჩილებოდა. ახტებოდა ღია ფანჯრის რაფაზე! მწვანე თვალებს აკვესებდა და შემომსისინებდა. ასეთ პირობებში როგორ უნდა წამეკითხა? ავდგებოდი და გავტყორცნიდი ხოლმე ამ ბრჭყალებიან გუნდას კალიფორნიულ ღამეში და ყველა ფანჯარას ვკეტავდი. კნავილით მოადგებოდა ფანჯარას და დაჯდებოდა; რომ შევხედავდი, შემომისისინებდა, საათობით, კვირაობით გრძელდებოდა ასე. საჭმლის ჭმევა არცერთხელ არ გამომიტოვებია, ეს ხომ ჩემი მოვალეობა იყო, ჩემი ერთადერთი მოვალეობა მაშინდელ ცხოვრებაში. ის კი შემთხვევას არ უშვებდა, რომ სახლში შემომძვრალიყო, ღია ფანჯარას თუ დაინახავდა (მთელ ზაფხულს დაკეტილ ფანჯრებში ხომ ვერ გავატარებდი!). ჩემთვის ბედნიერად რომ ვიჯექი, მომეპარებოდა და ფეხებზე მელაქუცებოდა ხოლმე. ეს ამბავი ნამდვილ ბრძოლად იქცა. სასაცილო ბრძოლა იყო, ვინ ვის აჯობებდა, საშინელი ბრძოლა იყო. მთელი ღამეები არ მეძინა, რადგან ჩემი ქოხის ირგვლივ დაძრწოდა და კნაოდა და მთელ სამეზობლოს ამცნობდა, რა საშინელი ადამიანი ვარ. ერთხელაც შემოვიყვანე და მაცივარში ჩავკეტე, მაგრამ მაინც ვერ დავიძინე. როცა გული მომილბა, უკვე აღარ სისინებდა, რძე გავუთბე, მაგრამ ამოარწყია. მისი მზერიდან სიკვდილი იმუქრებოდა. შეეძლო ჩემთვის ყველაფერი ჩაეშხამებინა – ქოხი, პატარა ბაღი; როცა იქ არ იყო, მაინც ვგრძნობდი მის არსებობას და იმდენი ქნა, რომ შებინდებისას მის საძებნელად გავეშურე. ზანგებს ვეკითხებოდი, Little Gray ხომ არ გინახავთ-მეთქი, ისინი ღონიერ მხრებს იჩეჩდნენ. თერთმეტი დღე და ღამე არ გამოჩენილა. ერთ ცხელ საღამოს, როცა ჰელენი მყავდა სტუმრად, ფანჯრის რაფაზე შემოხტა. My Goodness!

ჩემს ადვოკატს ეღიმება:

– მაგრამ ისე, მარტო ცხოვრობდით, არა?

– არა, – ვამბობ მე, – ჰელენთან ერთად.

– ჰელენი ვინ არის?

– ჰელენი ქალია! – ვბრაზდები, როგორ ახერხებს, უმნიშვნელო დეტალებში გამხლართოს და ვბრაზდები მის ფანქარზეც, რომლითაც

სასწრაფოდ ინიშნავს ჰელენის სახელს.

– გულახდილად ილაპარაკეთ, – ამბობს მას მერე, რაც ქალებზე საკმაოდ გიჟური ისტორიები გადმოვულაგე და მარწმუნებს: – რასაკვირველია, ასეთ საკითხებს ფრთხილად მოვეკიდები, ყოველ შემთხვევაში, ქალბატონ შტილერთან კრინტს არ დავძრავ.

ოღონდ რამე წამოაყრანტალოს!

ბიბლია წავიკითხე.

(ქალბატონ იულიკა შტილერ-ჩუდისთან დაპირისპირების უკადრისი სიზმარი: გარედან ვიყურები ფანჯარაში და ვხედავ, როგორ დადის კაფეში პატარა მაგიდებს შორის ახალგაზრდა კაცი, ეტყობა, ის უგზო-უკვლოდ დაკარგული, ხელისგულებს მაღლა სწევს, რომ ყველას დაანახოს ბაცი წითელი ლაქები, გაუთავებლად ჰყვება თავის ამბავს, მაგრამ არავინ უჯერებს. რა უხერხულია! მე გარეთ ვდგავარ, როგორც გითხარით, პარიზელი ქალბატონი ჩემ გვერდით დგას, მაგრამ ვერ ვცნობ; ოდნავ დამცინავად მეუბნება, ის დამღიანი მეწვრილმანე ჩემი ქმარიაო, თავის ხელებსაც მაჩვენებს, მასაც ორი ბაცი წითელი ნაიარევი აქვს. როგორც ვხვდები, ერთ რამეზე ვერ შეთანხმებულან – ვინ არის ჯვარი და ვინ – ჯვარცმული, ოღონდ ამას არცერთი არ აღიარებს; ვიღაცები პატარა მაგიდებთან სხედან და ხელში ჟურნალები უჭირავთ...)

ჩემს დარაჯს აინტერესებს, ვინ არის ჰელენი. ეს წუთია, პროკურორის კაბინეტში მოჰკრა ყური ამ სახელს. ჩემმა დარაჯმა უკვე იცის, რომ ის ამერიკელი სერჟანტის ცოლი იყო. ისიც იცის, რომ ის სერჟანტი ერთხელ დილაადრიან ჩამოვიდა ჯარიდან და ბინაში დაგვადგა თავზე... ისეთი დაღლილი ვარ, კიდევ ერთ მკვლელობაზე ლაპარაკი აღარ შემიძლია და მხოლოდ ამას ვამბობ:

– არაჩვეულებრივი კაცი იყო.

– მისი ქმარი?

– ცოლს აძალებდა, ფსიქოანალიტიკოსთან წადიო, ქალი კი იმავეს ითხოვდა ქმრისგან.

– მერე?

– სულ ესაა.

ჩემი დარაჯი გაწბილებულია. სულ უფრო და უფრო ვხვდები, რომ ამაშიც არის რაღაც კარგი. სწორედ გამაწბილებელი ისტორიები ჰგვანან ნამდვილ ამბებს, არც ნამდვილი დასასრული რომ აქვთ და, შესაბამისად, არც ნამდვილი აზრი.

ახალი მეტი არაფერია.

P. S.

რისი იმედი აქვთ, იმ ადგილების სანახავად რომ მივყავარ, არ ვიცი. როგორც ჩანს, გეგმა, რომ მათი უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერის ატელიეში წავეყვანე, უკუაგდეს, ან გადადეს, რადგან დავპირდი, რომ იმ ტიპს, რომელმაც ამ ხათაბალაში გამხვია, იქაურობას დავულეწავდი. ახლა ვიგებ, რომ დავოსში უნდათ ჩემი წაყვანა. რისთვის?

ყველაფერს შეიძლება მოჰყვე, გარდა ნამდვილი ცხოვრებისა. ეს შეუძლებლობაა, რომელიც გვაიძულებს, დავრჩეთ ისეთებად, როგორადაც ჩვენი თანამგზავრები გვხედავენ და გვირეკლავენ. ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ ჩვენ გვიცნობენ; ისინი, რომლებიც თავს ჩემს მეგობრებს უწოდებენ და არასოდეს მაძლევენ უფლებას, შევიცვალო, თითოეულ სასწაულს (რომელსაც ვერ მოვყვები, რაც არ ითქმის და რასაც ვერ დავამტკიცებ) მიბიაბრუებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მითხრან:

– მე შენ გიცნობ.

ჩემი ადვოკატი წყობიდანაა გამოსული, ადრე თუ გვიან ეს მოსალოდნელი იყო, მართალია თავს იკავებს, მაგრამ თავშეკავება ფერის დაკარგვად უჯდება. დილა მშვიდობისა არ უთქვამს, ხმას არ იღებს, მუხლებზე ტყავის ჩანთა უდევს, მიყურებს გამოუძინებელ თვალებში და მელოდება, ცოტათი მაინც როდის მოვეგები გონს და ცოტათი მაინც როდის გამეღვიძება ცნობისმოყვარეობა, რომ თავისი აღშფოთების მიზეზი გამაცნოს.

– თქვენ ცრუობთ, – ამბობს იგი.

ალბათ მოელის, რომ გავწითლდები; მაინც ვერაფერი გაიგო.

– ამის შემდეგ როგორღა გენდოთ? – წუწუნებს, – თქვენი პირიდან ამოსული თითოეული სიტყვა ეჭვს იწვევს ჩემში, უკიდურეს ეჭვს, მას მერე, რაც ეს ალბომი ჩამივარდა ხელში – ინებეთ! – ამბობს, – თქვენ თვითონ შეხედეთ ამ ფოტოებს!

მართლაც ფოტოებია, ვაღიარებ, ჩემსა და იმ დაკარგულ შტილერს შორის გარკვეული გარეგნული მსგავსება არსებობს, არ უარვყოფ, მაგრამ მე ჩემს თავს მაინც ძალიან განსხვავებულად ვხედავ.

– რატომ ცრუობთ? – ისევ და ისევ მეკითხება, – როგორ უნდა დაგიცვათ, თუკი მეც კი არ მეუბნებით სრულ სიმართლეს?

ვერაფრით იგებს.

– საიდან გაქვთ ეს ალბომი? – ვეკითხები მე.

პასუხს არ მცემს.

– ბედავთ და მარწმუნებთ, ამ ქვეყანაში არასოდეს მიცხოვრია და ვერც კი წარმომიდგენია თქვენს ქალაქში ცხოვრებაო!

– ვისკის გარეშე არაფერი გამოვა, – ვამბობ მე.

– ინებეთ! – ამბობს ის, – აგერაა!

ხანდახან ვცდილობ, დავეხმარო.

– ბატონო დოქტორო, – ვამბობ მე, – გააჩნია, რას ვგულისხმობთ ცხოვრებაში! ნამდვილი ცხოვრება, ცხოვრება, რომელიც ცოცხალ მოგონებებში დაილექება და არა მხოლოდ გაყვითლებულ ალბომში. ღმერთია მოწმე, არ არის აუცილებელი, ადამიანის ცხოვრება დიდებული იყოს, ან ისტორიული, ან დაუვიწყარი. ხომ გესმით ჩემი, ბატონო დოქტორო? ჭეშმარიტი ცხოვრება ბევრნაირი შეიძლება იყოს, მაგალითად, ერთი ძალიან უბრალო დედის, ან დიდი მოაზროვნის ან რაიმეს დამაარსებლის, რომელიც მსოფლიოს ისტორიაში დარჩება. მაგრამ ეს არაა მთავარი, ჩემი აზრით, ჩვენი მნიშვნელობა არაა მთავარი. ძნელი სათქმელია, რა განსაზღვრავს ცხოვრების ნამდვილობას. მე ამას სინამდვილეს ვუწოდებ, მაგრამ ან ეს რაღაა! თქვენ შეიძლება მითხრათ, ეს ისაა, როცა ადამიანი თავისი თავის იდენტურია. სხვა შემთხვევაში მას არ უარსებია! შეხედეთ, ბატონო დოქტორო, ამას ვგულისხმობ: ცხოვრება, გინდაც იგი უბადრუკი ყოფილიყო, გინდაც ბოლოს მხოლოდ დანაშაულით დასრულებულიყო, მწარეა, როცა მისგან დანაშაულის გარდა არაფერი ილექება, მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში, ხანდახან ასეც ხდება, მაგრამ ამიტომ სვავებივით ხომ არ უნდა დავესიოთ ერთმანეთს! მართალი ბრძანდებით, ბატონო დოქტორო, ეს ყველაფერი მოვლენებს ზუსტად ვერ

აღწერს. გესმით ჩემი? ბუნდოვნად ვლაპარაკობ, ტყუილების მოყოლა ბევრად მიადვილდება. დალექვაც მხოლოდ სიტყვაა და მეტი არაფერი, ვიცი, და იქნებ მხოლოდ ისეთ რამეებზე ვლაპარაკობთ, რაც გვაკლია, რასაც ვერ ვიგებთ. ღმერთი არის დანალექი! იგი არის ჭეშმარიტი ცხოვრების ჯამი, ყოველ შემთხვევაში, ხანდახან ასე მგონია. სიტყვაც დანალექია? იქნებ ცხოვრება, ნამდვილი ცხოვრება, უბრალოდ უტყვია – და არც სურათებს ტოვებს, ბატონო დოქტორო, საერთოდ არაფერს უსულოს...

მაგრამ ჩემს ადვოკატს უსულოც აკმაყოფილებს.

– ინებეთ! – მეუბნება, – ნახეთ, როგორ აჭმევთ გედებს, თქვენ და მხოლოდ თქვენ, უკან კი, ხომ ხედავთ, ციურიხის დიდი ტაძარი მოჩანს! ინებეთ.

უარყოფას აზრი არ აქვს. უკან (ცოტა ბუნდოვნად) მართლაც მოჩანს პატარა ეკლესია, ანუ ტაძარი, როგორც ჩემი ადვოკატი ამბობს.

– მართლაც ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რას ვუწოდებთ ცხოვრებას, – ვიმეორებ მე.

– აგერ! – ამბობს ჩემი ადვოკატი და ისევ ალბომს ფურცლავს, – ინებეთ: – ანატოლი თავის პირველ ატელიეში, ანატოლი პიც პალუზე, წვევამდელი ანატოლი გადაპარსული თმით, ანატოლი ლუვრის წინ, ანატოლი ესაუბრება ქალაქის მესვეურს პრიზების გადაცემის ცერემონიალზე.

– მერე? – ვეკითხები მე.

სულ უფრო ნაკლებად ვუგებთ ერთმანეთს. სიგარა რომ არა, რომელიც, მიუხედავად ჩემზე გაბრაზებისა, მაინც მომიტანა, ალბათ საერთოდ აღარ დაველაპარაკებოდი ჩემს ადვოკატს და ვინ იცის, ასე აჯობებდა. რა მოაქვს ამ დაკითხვებს? ამაოდ ვცდილობ, გავაგებინო, რომ სრული სიმართლე არც მე ვიცი, მეორე მხრივ კი, სულაც არ ვაპირებ, ქალაქის მესვეურებს და გედებს დავამტკიცებინო, ვინ ვარ სინამდვილეში და თუ კიდევ ერთ ალბომს მოიტანს ჩემს საკანში, იქვე ვუქცევ ნაკუწებად. ამაოდ! ჩემი ადვოკატი არაფრით ელევა იმ აზრს, რომ მე ლამის ვალდებული ვარ, ვიყო შტილერი, მხოლოდ იმისთვის, რომ მან ჩემი დაცვა მოახერხოს და ჩემს ყველა მცდელობას, სხვა არავინ ვიყო, გარდა საკუთარი თავისა, სულელურ თამაშს უწოდებს. შეხვედრა ისევ ორმხრივი ღრიალით მთავრდება.

– მე არ ვარ შტილერი! – ვყვირი მე.

– მაშ ვინ ხართ, – ყვირის ის, – ვინ?

P. S.

მისი სიგარა უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს. ეს წუთია მოვაკბიჩე გამოფიტული წვერი, მოვწიე პირველი განსაკუთრებით მშრალი და სურნელოვანი ნაწილი და გამაოცა სიგარის არომატმა, ისევ გამოვიღე პირიდან და ყურადღებით დავაკვირდი. „დანემანი“! ჩემი საყვარელი მარკა! Legitimos! აი, ასეთი ტიპია ეს ჩემი ადვოკატი.

გუშინ დავოსში. ზუსტად ისეა, როგორც თომას მანმა აღწერა, თან მთელი დღე წვიმს. მაინც უნდა გამატარონ ერთ კონკრეტულ პრომენადაზე. იულიკა მაძალებს, ციყვებს შეხედეო, ჩემი ადვოკატი კი ნაძვის გირჩებს მაწოდებს, უყნოსეო. თითქოს უარვყოფდე, რომ ნაძვის გირჩები სურნელოვანია! შემდეგ, ერთ კონკრეტულ რესტორანში ლოკოკინები უნდა მივირთვა, ვინ არ იცის, რომ ლოკოკინა ძალიან გემრიელია, მაგრამ მერე ნივრის სუნად ყარხარ. იულიკა და ჩემი ადვოკატი, ვამჩნევ, დროდადრო ერთმანეთს უყურებენ და რაღაცნაირად ელიან, რომ მე ან აღსარებად დავიღვრები, ან ცრემლებად მაინც. მე კი ამ დროს სიამოვნებას მანიჭებს, რომ გაქათქათებულ სუფრასთან მივირთმევ. რადგან საუბარი არ გამოგვდის, მექსიკის ამბის მოყოლას ვიწყებ, ეს მთები ირგვლივ, ძალიან პატარა კია, მაგრამ პოპოკატეპეტლს მაგონებს, კორტესის უღელტეხილს-მეთქი და მექსიკის დაპყრობა ისევ ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ისტორიად მიმაჩნია-მეთქი.

– ალბათ – ამბობს ჩემი ადვოკატი, – მაგრამ ჩვენ აქ იმისთვის არ მოვსულვართ, რომ კორტესის და მონტესუმას ისტორია გვიამბოთ!

იმ სანატორიუმის ჩვენება უნდოდათ ჩემთვის, სადაც ადრე იულიკა იწვა; ამასობაში ის სანატორიუმი დამწვარა, რამაც ჩემს ადვოკატს სასო წარუკვეთა. სადილის შემდეგ – ყავა, ალუბლის ლიქიორი და სიგარა ასარჩევად. მიკვირს, რაში ხარჯავენ ფულს. ეს პატარა გასეირნება ორასი შვეიცარიული ფრანკი მაინც დაჯდებოდა. მე და ჩემი ადვოკატი ციხის მანქანით ვმოგზაურობთ (ამას ემატება მძღოლის და ჟანდარმის ხარჯი), იულიკა მატარებლით. უკეთესი ამინდი რომ ყოფილიყო, მშვენიერი იქნებოდა აქაურობა, უეჭველად. ქვევით, ხეობაში პატარა მატარებელს გავუსწარით. იულიკა ხელს გვიქნევს.

ჩემი შიში: გამეორება!

ქალბატონმა იულიკა შტილერ-ჩუდიმ მარჯვენა ყურს ზემოთ ჩემი ძველი ნაჭრილობევი აღმოაჩინა და აინტერესებს, საიდან გაქვსო. არ მასვენებს. მე ვამბობ:

– ერთს ჩემი ტყვიით მოკვლა უნდოდა.

– არა, – დაიჟინა, – სერიოზულად.

მე მას ერთ ამბავს ვუყვები.

P. S.

რაც უფრო ხშირად ვხედავ იულიკას, მით უფრო ვხვდები, რომ სულ არ არის ისეთი, როგორიც პირველი ნახვისას მომეჩვენა. მაგრამ, როგორია, ვერ გეტყვით. ხანდახან მოულოდნელად განაზდება ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემი ადვოკატი აქ არ არის. მისი ქალწულებრივი უმანკოება თავბრუს გახვევს, გადმონაშთი სიყმაწვილისა, რომელიც მას არ გამოუცდია, სახე, თითქოს პირველქმნილი, გაცოცხლებული განგების მიერ. ასეთ დროს თავადაც გაკვირვებულია, შავ კოსტიუმსა და პარიზულ ქუდში გამოკვართული ქალბატონი, მუდამ სიგარეტის კვამლში გახვეული, თითქოს გაოცებული, რომ აქამდე ვერც ერთმა მამაკაცმა ვერ შეიცნო. არ მესმის ამ დაკარგული შტილერის! მის ქალურ მწიფე სხეულში უჩუმრად პატარა გოგონა ბუდობს, ხანდახან ისეთი ლამაზი, რომ გულს აგიჩქროლებს. ნუთუ ეს შტილერმა ვერ დაინახა? არ არსებობს რამე ქალური, რაც ამ ქალს შესაძლებლობის დონეზე მაინც არ გააჩნდეს, შეიძლება დაფარულია, ხოლო მის თვალებში (როცა წამიერად შტილერი არ ვგონივარ ხოლმე) ისეთი ნაპერწკალია აშკარა მოლოდინისა, რომ ეჭვიანობ იმ კაცზე, რომელიც მას გააღვიძებს.

გამეორება! არადა, ვიცი: მთავარია, მოახერხო და ცხოვრებას გამეორების მიღმა კი არ ელოდე, არამედ გამეორება, გამოუვალი გამეორება, ნებაყოფლობით აღიარო (მიუხედავად იძულებისა) შენს ცხოვრებად: ეს მე ვარ!.. მაგრამ ისევ და ისევ (აქაც გამეორებაა) საკმარისია ერთი სიტყვა, ერთი გამომეტყველება, რომელიც მაშინებს, ერთი პეიზაჟი, რომელიც რაღაცას მახსენებს, და ყველაფერი ჩემში იქცევა გაქცევად, გაქცევად იმედის გარეშე, რომ სადმე მივალ, მხოლოდ გამეორების შიშით.

დღეს, შხაპის მიღებისას, პატარა ებრაელი თან ისაპნებოდა და თან მეუბნებოდა, ალბათ უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს, ცოტა ხანში თავს ჩამოვიხრჩობო. მე გავიცინე და ვურჩიე, ამას ნუ იზამ-მეთქი. შემდეგ ყველამ სათითაოდ გავიარეთ კორიდორი, კისერზე შემოხვეული პირსახოცით.

უახლესი ამბავი:

– ცოტაც და, – ამბობს ქნობელი, – ბოლოს და ბოლოს მიიღებთ თქვენს ვისკის, მისტერ ვაით, შეიძლება ამ კვირაშიც კი!

ვკითხე, რას გულისხმობ-მეთქი, გაჩუმდა; იმწუთას მივხვდი, რომ რაღაც ისეთს მოჰკრა ყური, რისი თქმის უფლებაც არ აქვს. ბოლოს, ხელში წვნიანის ჭურჭელი უჭირავს და მაინც მეუბნება:

– როგორც ჩანს, ქალბატონს ძალიან მოეწონეთ.

– მერე?

– ასეა თუ ისე, ქალბატონმა გირაო გადაიხადა, – მოგუდული ხმით ამბობს, – სოლიდური თანხა!

– რისთვის?

– როგორ რისთვის, მისტერ ვაით, თქვენთვის! – იღიმის და თვალს მიკრავს, – იმისთვის, რომ იმ ქალბატონთან გაისეირნოთ!

დღეს კიდევ ერთხელ (უკანასკნელად!) ვეცადე, დავხმარებოდი ჩემს ბეჯითი ადვოკატს, რომელიც ამ საოცარ გაუგებრობაში მოხვდა ჩემ გამო და ასე რომ ირჯება, თანაც ფუჭად, ამდენ უსიამოვნებას რომ აწყდება და რომლის ასე მადლიერიც ვარ ყოველდღიური სიგარის გამო.

– იცით რიპ ვან ვინკლეს ზღაპარი? – ვკითხე და სიგარას გამშრალი წვერი მოვაკვნიტე.

პასუხის მაგივრად ცეცხლი მომაწოდა.

– ამერიკული ზღაპარია, – ვუთხარი პირში სიგარაგაჩრილმა და ამიტომ ცოტა გაურკვევლად, – პატარა ვიყავი, როცა წავიკითხე, ანუ ათწლეულების წინ, მგონი სვენ ჰედლინის წიგნში. იცით ეს ზღაპარი?

ამ დროს (ეს მნიშვნელოვანია) მისი ვერცხლისფერი კვესი ანთებული

მეჭირა და სურნელოვან სიგარას, ჩემს ერთადერთ განცხრომას წინასწარი პატიმრობის საკანში, არ ვუკიდებდი, არა, მიუხედავად დიდი ცდუნებისა, კითხვას ვუმეორებდი:

– არ იცით ეს ზღაპარი?

– რა?

– რიპ ვან ვინკლეს ზღაპარი?

ცალ ხელში მოსაკიდებლად გამზადებული სურნელოვანი სიგარა მეჭირა და მეორე ხელში კვესი, რომელიც, რამდენჯერაც ჩაქრებოდა, თავიდან ვანთებდი, ერთ მომენტში უკვე მოედო კიდეც სიგარას ცეცხლი და მოქაჩვაღა აკლდა, მაგრამ ბოლო წამს გადავიფიქრე – რიპ ვან ვინკლეს მეშვეობით, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩემი სიგარა – მოვახერხე მეიძულებინა ჩემი ფუსფუსა ადვოკატი, რომ მოესმინა, ყურადღებით მოესმინა ჩემთვის.

ზღაპარი დაახლოებით ასეთია:

რიპ ვან ვინკლე, იმ უშიშარი ვან ვინკლეების შთამომავალი, რომლებმაც ერთ დროს ჰენდრიკ ჰუდსონთან ერთად ამერიკა აღმოაჩინეს, დაბადებიდან მცონარე იყო, მაგრამ, ამავე დროს, როგორც ჩანს, კეთილი ადამიანი, რომელიც იმიტომ კი არ თევზაობდა, რომ თევზი დაეჭირა, არამედ იმიტომ, რომ ეოცნება, რადგან თავი გამოჭედილი ჰქონდა ისეთი აზრებით, რომლებსაც მის ყოფასთან საერთო არაფერი გააჩნდა. მისი ყოფა კი იყო კარგი ცოლი, რომელიც სოფელში ყველას ან ეცოდებოდა, ან მოსწონდა და რომელსაც მასთან ნამდვილად არ ჰქონია დალხენილი ცხოვრება. რიპი მშვენივრად ხვდებოდა, რომ აუცილებლად უნდა სცოდნოდა ხელობა, რაიმე კაცური ხელობა და ამიტომ თავს მონადირედ ასაღებდა, რადგან ამ ხელობის უპირატესობა ის იყო, რომ მთელი დღეები შეეძლო ისე ეხეტიალა, არავინ გადაჰყროდა. უმეტესად ხელცარიელი ბრუნდებოდა, ერთი მტრედიც კი არ მოჰქონდა სახლში, მხოლოდ სინდისის ქენჯნით იყო ხოლმე დამძიმებული. მისი პატარა სახლი ყველაზე უბადრუკი იყო მთელ სოფელში, ბაღზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ვერსად ხარობდა სარეველა ისე ღონივრად, როგორც ვინკლეს ბაღში და სულ მისი თხები იყვნენ, გზა რომ ებნეოდათ და ხევში იჩეხებოდნენ. მაინცდამაინც არაფერზე დარდობდა, რადგან ღრმა სულიერი სამყარო ჰქონდა თავისი წინაპრებისგან განსხვავებით, რომელთა თვალებიც მოქმედების დაუცხრომელ ჟინს აფრქვევდნენ ძველი

სურათებიდან. მთელი დღეების განმავლობაში იჯდა თავისი უბადრუკი სახლის წინ, ნიკაპი მუჭში მოექცია და იმაზე ფიქრობდა, რატომ არ ვარ ბედნიერიო. ცოლი და ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ ბედნიერი არ იყო. მეტს მოელოდა საკუთარი თავისგან, ორმოცდაათი წლის იყო და კიდევ რაღაცას მოელოდა, მის კარგ ცოლს და ამხანაგებს ამაზე ეღიმებოდათ. მხოლოდ ბაუცს, მის ბანჯგვლიან ძაღლს ესმოდა პატრონის და კუდს აქიცინებდა, როცა რიპი თოფს წაავლებდა ხელს, რომ ციყვებზე სანადიროდ წასულიყო. მძიმე, უხვად მოსევადებული თოფი წინაპრებისგან ერგო მემკვიდრეობად. მათ ალბათ ჩუმად ეღიმებოდათ, როცა რიპი თავის ნადირობაზე ჰყვებოდა; ყოველთვის მეტი გადახდენოდა თავს, ვიდრე გაესროლა. და რადგან მოყოლილი ამბებით შიმშილს ვერ მოიკლავდნენ, მის ცოლს, ორი შვილის დედას, ეს ყველაფერი უკვე ყელში ამოსვლოდა; აღარაფრის ერიდებოდა, ლანძღავდა, უსაქმური ხარო, მას კი ამის ატანა არ შეეძლო. ამიტომაც რიპი, რომელსაც თავისი ამბები სადმე უნდა მოეყოლა, თითქმის ყოველ საღამოს სოფლის დუქანში იჯდა, სადაც რამდენიმე მსმენელი ყოველთვის ჰყავდა, თუმცა მისი მონაყოლით, როგორც ვთქვით, შიმშილს ვერ მოიკლავდი; როცა ნადირობაზე ჰყვებოდა, რიპს თავისი შესანიშნავი თოფისა და ფეხებთან ჩაცუცქული დაღლილი ძაღლის გარდა სხვა მსმენელი არც სჭირდებოდა. იქაურებს იგი ძალიან უყვარდათ, რადგან რიპი არავის უშავებდა რამეს, პირიქით, თითქოს დამფრთხალი იყო ცხოვრებისგან და ძალიან სჭირდებოდა, რომ ხალხს ჰყვარებოდა. ცოტას მგონი სვამდა კიდეც. და თუ არავინ უსმენდა, არც ეს ანაღვლებდა მაინცდამაინც; შუაღამემდე სახლში მაინც არ ბრუნდებოდნენ რიპი და მისი ძაღლი, რომელიც კუდს უკანა ფეხებში მოიქცევდა ხოლმე, როგორც კი იგრძნობდა, რომ ქალბატონი ვან ვინკლე უახლოვდებოდა. ყოველ საღამოს, როცა რიპი ჩექმებს იძრობდა, იწყებოდა ლაპარაკი, უაზრო ლაპარაკი, რომელიც მასაც ისევე არ ესმოდა, როგორც მის ძაღლს, და, რა თქმა უნდა, ცხადი იყო, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს ცხადი უკვე წლების განმავლობაში იყო... ერთხელაც რიპი და მისი ერთგული ძაღლი ისევ ციყვებზე სანადიროდ გაეშურნენ, გამართული ნაბიჯით, სანამ სოფელი ხედავდათ, შემდეგ რიპი, ჩვეულებისამებრ, შეისვენებდა ხოლმე, ცოტას მოაჭამდა თავის საგზალს, ბაუცი კი დადარაჯებული იდგა, ემანდ ვინმე ხომ არ უახლოვდებოდა გორაკს. ჯილდოდ, ბაუცი, როგორც წესი, პატარა ძვალს იღებდა ხოლმე, რიპი კი ჩიბუხს მოუკიდებდა, რომ თავისი ჭკვიანი ძაღლისთვის, რომელიც გალოკილ ძვალს ღრღნიდა, სულის მოთქმის საშუალება მიეცა. მერე ჩანჩალით გაუყვებოდნენ ისევ გზას, გადაივლიდნენ მოციმციმე

ჰუდსონის თავზე ფართოდ გადაშლილ ბორცვებიან ველს, იქაურობა ულამაზესი იყო, დღესაც ულამაზესია, და ციყვებიც ბლომად დახტოდნენ. ღმერთმა იცის, რატომ აჩვენებდა თავს რიპი ყველას მონადირედ! ფიქრებში ჩაფლული მიხეტიალობდა ტყეში; ფიქრებში, რომელიც არასდროს გაუზიარებია ვინმესთვის. აქ კურდღლებიც დარბოდნენ და ირემიც კი! რიპი შედგა და გაოცებულ ცხოველს დაჟინებით უმზერდა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, თოფი მხარზე ეკიდა, პირში ჩიბუხი გაეჩარა. ირემი, რომელმაც იგი, როგორც ჩანს, მონადირედ ვერ აღიქვა, აპირებდა წყნარად მოეძოვა ბალახი. შენ ხომ მონადირე ხარ! შეუძახა რიპმა თავს და უცებ თვალწინ დაუდგა დუქანი, საღამოობით რომ სტუმრობდა ხოლმე, შემდეგ ერთგული ცოლი და თოფი მოიმარჯვა. დაუმიზნა ირემს, რომელიც მას თვალებში უყურებდა, გამოჰკრა კიდეც სასხლეტს თითი, მაგრამ თოფში დენთი არ აღმოჩნდა! რა უცნაური იყო, ძაღლი ყეფდა, თუმცა თოფს არ გაუსროლია და რიპმა იმავე წამს გაიგონა ძახილი ხევიდან: რიპ ვან ვინკლე, რიპ ვან ვინკლე! მძიმე ტვირთისგან აქოშინებული უცნაური კაცი ამოძვრა უხილავი, კლდოვანი ხევიდან, მოკუნტული მოდიოდა და სახე არ უჩანდა, მაგრამ მისი ტანსაცმელიც კმაროდა გასაოგნებელად, ისეთი ზედატანი ეცვა, როგორც ძველ სურათებზეა ხოლმე გამოხატული, განიერ შარვალს ფერადი თასმები დაუყვებოდა, იმგვარი ცანცარა წვერიც არ აკლდა, მის წინაპრებს რომ ამშვენებდა ერთ დროს. მხარზე კი სასმელით სავსე მოზრდილი კასრი შემოეგდო. რიპს დიდხანს არ დასჭირვებია პატიჟი. შენ ბრდილობიანი ადამიანი ხარ! უთხრა ცანცარა წვერიანმა კაცმა. შენ გულისხმიერი ადამიანი ხარ! და ამ სიტყვებით, რომელიც რიპს ძალიან ესიამოვნა, კასრი გადაუგორა მხრებზე, რიპმა კი ზედმეტი კითხვებისგან თავი შეიკავა. ჯერ მაღლა ადიოდა გზა, მერე ისევ დაბლა ჩადიოდა, სხვა ხევში, ისეთ ადგილას აღმოჩნდა, რომელიც მანამდე არასდროს ენახა. ბაუციც, მისი ერთგული ძაღლიც, უცხოდ გრძნობდა თავს, ფეხებზე ეკვროდა თავის პატრონს, წკავწკავებდა. რადგან ხევიდან ჭექა-ქუხილივით გრუხუნი ამოდიოდა. ბოლოს მიაღწიეს იმ ადგილს. რიპმა ატკივებული მხრებიდან კასრი ჩამოიღო, წელში გაიმართა და მიმოიხედა. ეს რიპ ვან ვინკლეა! გამოაცხადა ცანცარა წვერიანმა კაცმა და რიპი უცებ ნიდერლანდურ ქუდებში გამოწყობილი, საზეიმო გამომეტყველებით გახევებულსახიანი და ძველებურდალალებიანი მოხუცი მამაკაცების საზოგადოების შუაგულში აღმოჩნდა. ხმას არავინ იღებდა, მხოლოდ რიპმა დაუკრა მათ თავი. როგორც აღმოჩნდა, კეგლის მოთამაშეთა საზოგადოება იყო. ამიტომ ისმოდა გრუხუნი ხევიდან! რიპს კათხები შეავსებინეს, თითოეულმა მათგანმა გვარიანი ყლუპი მოსვა და მერე

ხანში შესული ბატონები ისევ კეგლს მიუბრუნდნენ უსიტყვოდ, ხოლო რიპი, რომელსაც უნდოდა ზრდილობა გამოეჩინა, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, კეგლის დაწყობას შეუდგა. მხოლოდ შიგადაშიგ ახერხებდა თითო ყლუპის გადაკვრას. ღვიის არაყი იყო, მისი საყვარელი არაყი! მაგრამ ისევ აქეთ-იქით იტყორცნებოდა კეგლი და ყოველ ჯერზე ისეთი გრუხუნით, რომ მთელ ხევში ისმოდა ექო. რიპს მოსვენება არ ჰქონდა, გრუხუნს და გრიალს ბოლო არ უჩანდა. დააწყობდა თუ არა ოდნავ მოყანყალე და მძიმე კეგლს, როგორც საჭირო იყო, და მიუბრუნდებოდა თუ არა ღვიის არაყს, შემდეგი ბატონი ჩადგებოდა ბილიკში, მარცხენა თვალს მოჭუტავდა, რომ კარგად დაემიზნებინა და გრუხუნით გააგორებდა ქვის ბურთს. უნდა ითქვას, საკმაოდ უცნაური საზოგადოება გახლდათ, ხმას არავინ იღებდა და რიპიც ვერ ბედავდა ეკითხა, როდის გაათავისუფლებდნენ ამ იძულებითი სამუშაოსგან. მათი სახეები, ნიდერლანდური ქუდებითა და ძველებური დალალებით, ისეთი ღირსებით იყო სავსე! მხოლოდ მაშინ, როცა რიპი ბოლო კეგლს დგამდა ხოლმე, მტანჯველი გრძნობა ეუფლებოდა, რომ ზურგს უკან დასცინოდნენ, მაგრამ ხომ ვერ შემობრუნდებოდა, რომ შეემოწმებინა. გაასწორებდა თუ არა ბოლო მოყანყალე კეგლს, უკვე მომდევნოს გრუხუნი ესმოდა და გვერდზე რომ არ გამხტარიყო, ფეხები გაეჩეჩქვებოდა. ამ კატორღას ბოლო არ უჩანდა. არყიანი კასრი, ეტყობა, უძირო იყო, რიპს ისევ და ისევ უნდა შეევსო კათხები, ისინი ისევ და ისევ მოსვამდნენ ხოლმე და ისევ და ისევ უსიტყვოდ უბრუნდებოდნენ თამაშს – გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო: რიპს უნდა გაეღვიძა!.. მზე უკვე ჩადიოდა ყავისფერ ნისლში, როცა რიპი წამოიმართა და თვალები მოისრისა. სახლში დაბრუნების დრო დამდგარიყო, სასწრაფოდ უნდა წასულიყო. მაგრამ ამაოდ იხმობდა სტვენით თავის ძაღლს. ცოტა ხანს ჯერ კიდევ ბურანში მყოფი რიპი ხევში იხედებოდა და კეგლის მოთამაშე ნიდერლანდურქუდებიან, ძველებურდალალებიან კაცებს ეძებდა, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ არ არსებობდა! შორს, როგორც ყოველთვის, ციმციმებდა განიერი ჰუდსონი და ოღონდ ძაღლი დაბრუნებულიყო თავისი ჩვეული წკავწკავით და რიპი საერთოდ აღარ იფიქრებდა თავის სიზმარზე. გზაში მოისაზრებდა, რა მოეყოლა სოფელში. საკუთარი მონათხრობები ცოტათი იმ მოყანყალე კეგლებს აგონებდა, კეგლებს, რომლებსაც ის აწყობდა, რომ შემდეგ სხვებს წაექციათ. ბაუცის კვალი არსად ჩანდა! ბოლოს რიპმა ბალახიდან თავისი თოფი აიღო, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, თოფი ღვიაში იყო გახლართული. უარესიც, თოფი ჟანგს დაეფარა, ეს იყო დედამიწაზე ყველაზე უბადრუკი თოფი! ხის კონდახი დამპალიყო. რიპმა თავი გააქნია, თოფი რამდენჯერმე შეატრიალა ხელში, შემდეგ შორს მოისროლა და

წამოდგა. მზე უკვე ჩადიოდა. რიპს არ სჯეროდა, რომ უსულო ძვლები, რომლებიც ფუთასთან ეყარა, მისი ერთგული ძაღლის უკანასკნელი ნაშთი იყო, ბაუცის ჩონჩხი, მაგრამ, აბა, სხვა რა უნდა ყოფილიყო? ცხადია, არ ესიზმრებოდა, ნიკაპი მოისრისა და ხელში წვერი შერჩა, მკერდამდე წვერი, მოხუცის წვერი. წლები გასულიყო. მაინც რამდენი? ყოველ შემთხვევაში, გვიან იყო. შიმშილმა და ალბათ ცნობისმოყვარეობამაც, რამდენი დარჩენოდა ამ ქვეყანაზე იმ სულელური კეგლის თამაშის შემდეგ, რიპი თავის მშობლიურ სოფელში ჩაიყვანა, მაგრამ სოფლის გზები და სახლები ვეღარ იცნო. სულ უცხო ხალხი დადიოდა! მხოლოდ მისი სახლი იდგა ისევ ისეთივე უბადრუკი, როგორც ყოველთვის, ცარიელი, ფანჯრებს შუშები აღარ ჰქონდა. შიგ ქარს დაედო ბინა. სად იყო ჰანე, მისი ცოლი? ნელ-ნელა ძრწოლა შეეპარა. ძველი დუქანი, სადაც ყველაფერს გაიგებდა, აღარსად ჩანდა. დაკარგული და ეული, აბნეული, შეშინებული და უცხო ბავშვებით გარშემორტყმული, თავისი ამხანაგების ამბავს კითხულობდა. ან სასაფლაოზე მიუთითებდნენ, ან მხრებს იჩეჩდნენ. ბოლოს (ჩუმი ხმით) იკითხა საკუთარ თავზე, იქნებ ვინმეა ცოცხალი, ვინც რიპ ვან ვინკლეს იცნობდაო? ყველამ გაიცინა. რიპ ვან ვინკლეს, ციყვებზე მონადირეს, კარგად იცნობდნენ და მანაც მოისმინა გასაოცარი ამბები იმ კაცზე, რომელიც, ბავშვმაც კი იცის. ოცი წლის წინ უფსკრულში ჩავარდნილა თუ ინდიელებს ჩავარდნია ხელში. რაღა უნდა ექნა? მორიდებით მოიკითხა ჰანეს, ციყვებზე მონადირის ცოლის ამბავი და როცა უთხრეს, დიდი ხნის წინ გადაჰყვა დარდსო, ტირილი დაიწყო და წასვლა დააპირა. თქვენ თვითონ ვინ ხართო? ჰკითხეს მას და მაშინ მოეგო გონს. ღმერთმა იცის! თქვა: ღმერთმა იცის, გუშინ მეგონა, რომ ვიცოდი, ვინ ვარ, მაგრამ დღეს, როცა გამოვფხიზლდი, საიდან უნდა ვიცოდე? ირგვლივ მდგომებმა თითებით შუბლზე დაიკაკუნეს და რიპი ამაოდ უყვებოდა მათ კეგლის თამაშის საოცარ ისტორიას, მოკლე ისტორიას, როგორ გაეპარა ძილში მთელი ცხოვრება. ვერავინ გაიგო, რისი თქმა უნდოდა, ისიც სხვანაირად ვერ ახსნიდა თავის ამბავს და ხალხი ისევ თავის გზას გაუყვა, მხოლოდ ერთი ახალგაზრდა და საკმაოდ ლამაზი გოგო დარჩა. რიპ ვან ვინკლე მამაჩემი იყო! უთხრა მან. რა იცი მის შესახებ? ერთი ხანობა თვალებში უყურებდა და ალბათ ცდუნებას ებრძოდა, ეთქვა მისთვის, მამაშენი ვარო, მაგრამ იყო კი იგი, რასაც მისგან მოელოდნენ, ციყვებზე მონადირე, ამბებით დახუნძლული კაცი, ამბებით, რომლებიც სულ ყანყალებდნენ და ეცემოდნენ, როცა სხვები იცინოდნენ? ბოლოს უთხრა: მამაშენი მკვდარია! და იმ ახალგაზრდა გოგომაც მიატოვა, რამაც გული ატკინა, მაგრამ ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. ნუთუ ტყუილა გაიღვიძა? კიდევ რამდენიმე წელი

იცხოვრა სოფელში, უცხოდ დარჩა უცხო სამყაროში და არც ელოდა, რომ დაუჯერებდნენ, როცა ჰენდრიკ ჰუდსონზე ჰყვებოდა, ქვეყნის და მდინარის აღმომჩენელზე, და მისი გემის ეკიპაჟზე, რომელიც დროდადრო ხევში იკრიბებოდა და კეგლს თამაშობდა და როცა ამბობდა, იქ უნდა ეძებოთ თქვენი ბებერი რიპ ვან ვინკლეო, ყველას ეღიმებოდა. კი, ცხელი ზაფხულის დღეებში მართლაც ისმოდა გრუხუნი და ქვების გაგორების ყრუ ხმა მთებს იქით, კეგლის ჭახაჭუხს რომ ჰგავდა, მაგრამ უფროსებს ეს ჩვეულებრივი ჭექა-ქუხილი ეგონათ და ალბათ არც ცდებოდნენ.

ესეც ზღაპარი.

– მერე? – მკითხა ჩემმა ადვოკატმა, როცა მოყოლა დავამთავრე და ბოლოს და ბოლოს სიგარას მოვუკიდე, – ეს რა შუაშია ჩვენს საქმესთან? სექტემბრის ბოლოს დიდი მოსმენა იწყება და თქვენ ზღაპრებს მიყვებით? ზღაპრებს! და ამით უნდა დაგიცვათ?

– აბა, სხვა რითი?

– ზღაპრები! – წუწუნებს, – იმის ნაცვლად, რომ ერთხელ მაინც მომიყვეთ ზუსტი, შიშველი და გამოსადეგი სიმართლე!

P. S. – ჩემს ადვოკატს ვთხოვე, ახალი რვეული მომაწოდოს, რადგან ეს უკვე მალე გაივსება. ჩემი სიბეჯითე ახარებს. ჯერ არ წაუკითხავს, რას ვწერ და მისი სერიოზული იმედი, რომ ამ რვეულით ჩემს ცხოვრებას, ასე ვთქვათ, თავის ჩანთაში მოათავსებს, ნელ-ნელა მაფიქრიანებს.

ციურიხი შეიძლებოდა მშვენიერი პატარა ქალაქი ყოფილიყო. იგი ლამაზი ტბის ქვედა ბოლოში მდებარეობს, ტბის ბორცვიანი ნაპირები ფაბრიკებით არ არის დამახინჯებული, სამაგიეროდ, გადატვირთულია ვილებით, და რადგან გუშინ, სეირნობისას, ასეთი კარგი ამინდი იყო, – სექტემბრის სილურჯე მოვერცხლისფრო ბურუსს ერეოდა, – ქალაქით მართლაც მოვიხიბლე, არა მხოლოდ ქალბატონი იულიკას ხათრით. იულიკას გულუხვი გირაო საშუალებას მაძლევს, ყოველ კვირას გავისეირნო, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ პუნქტუალურად დავბრუნდები ჩემს ციხეში. ეს ჩემს ადვოკატს შევფიცე და, სამაგიეროდ, თავიდან მოვიშორე. მაგრამ ფიცზე უფრო, ბუნებრივია, იულიკას ვუწევ ანგარიშს – თუ გავიქცევი, იმ თანხას დაკარგავს, მე კი მის ანაზღაურებას ვერასოდეს შევძლებ. სხვათა შორის, ერთი ან ორი ჭიქა ვისკი ნებადართულია! მართლა არაჩვეულებრივად გამოიყურება ეს ქალი, ხშირად მხვდება თვალში – მისი ალისფერი თმა მზეზე, თავზე პატარა, თეთრი პარიზული

ქუდი, მოხდენილი სხეული, უბრალოდ, მოხიბლული ვარ.

ერთხელ, ისევ მაღაზიის ვიტრინის სარკეში ვხედავ და თავს ვერ ვიკავებ, ვტრიალდები, ნიკაპში ვწვდები და ვკოცნი.

– ციურიხში ვართ! – ამბობს ის.

ყველაზე მეტად მათი პატარა ქალაქის მდებარეობა მხიბლავს, ორივე მხრიდან ბორცვებში ჩაფლული, გარშემორტყმული ნამდვილი ტყეები გასეირნებას გთავაზობს, შუაში კი ბრწყინავს პატარა მწვანე მდინარე დიდი ოკეანეების მიმართულებას განიშნებს (როგორც ყველა მდინარე) და ამიტომ მუდამ სიცოცხლის წყაროა, შორს, უცხო ნაპირებისკენ წასვლას განდომებს. ალბათ სასიამოვნო იქნება სამი კვირა გაატარო ციურიხში, ოღონდ არა ციხეში, განსაკუთრებით წელიწადის ამ დროს. ქუჩაში ბევრი უცხოელია, ლაპარაკზე ხვდები. ტყუილად კი არ აქვს ციურიხს თეთრ-ლურჯი გერბი; სილაჟვარდის კაშკაშა სინათლე, რომელსაც თოლიების სითეთრე გასდევს, იქ მაცხოვრებლებსაც თავს ატკივებს, ციურიხს მართლაც აქვს რაღაც ჯადოსნური, მხოლოდ მისეული, რომელიც უფრო ჰაერში უნდა ეძებო, ატმოსფერო რაღაცნაირად ბრწყინავს და უცნაურ წინააღმდეგობას ქმნის იქაურების მოღუშულ ფიზიონომიებთან. ეს ქალაქი თავისი საზეიმო ელფერით ისეთივე კოპწია და მოხდენილია, როგორც მისი გერბი – ლურჯ-თეთრი ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე. ალბათ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ქალაქი, რომლის მთავარი მომხიბვლელობა მის ლანდშაფტშია, ყოველ შემთხვევაში, გესმის უცხოელების, ნაპირზე რომ გადმოდიან და ფოტოაპარატებს აჩხაკუნებენ, სანამ იტალიისაკენ გააგრძელებენ მოგზაურობას, და ალბათ იქაურებსაც გაუგებ, რომლებიც ამაყობენ, როცა უცხოელები ბევრ ფოტოს იღებენ. მათი ვიწრო ტბა, დაახლოებით მისისიპის სიგანის, მოღრეცილი ცელივით ლივლივებს მწვანე, გორაკებიან ლანდშაფტში. ტბა სამუშაო დღეებშიც სავსეა პატარა აფრიანი ნავებით. მიუხედავად საქმიანი რიტმისა, ამ ციურიხს, საქმიანი ადამიანების შეხვედრის ადგილს, კურორტის იერიც აქვს. საბედნიეროდ, ალპები ისე ახლოს არაა, როგორც ეს საფოსტო ბარათებზე ჩანს; ღირსეული სიშორიდან ადგანან თავზე გვირგვინად წინამთებს, თითქოს მოლურჯო ღრუბლების და ფხვიერი თოვლის ნამქერიაო. შეიძლება იულიკას არ უჩვენებია ქალაქის ჩვეულებრივი უბნები; ვერ ვიხსენებ, სადმე მათხოვარი შეგვხვედროდეს, ან ხეიბარი. ადამიანებს ელეგანტური არა, მაგრამ ხარისხიანი ტანსაცმელი აცვიათ, არავინ შეგეცოდება, და ქუჩები სულ სუფთაა, დილიდან დაღამებამდე. რადგან

არც მათხოვრები გვაწუხებენ და არც განსაკუთრებული ძეგლ-ნაგებობები გვაწყვეტინებენ საუბარს, თითქმის ერთი საათი ვსეირნობთ. მეთოდი, რომლითაც ისინი თანამედროვე საგზაო მოძრაობის მოწესრიგებას ცდილობენ, უცხო თვალისთვის იოლი გასაგები არ არის. მაგრამ ჟანდარმები ძალიან მონდომებულები და ძალიან სერიოზულები არიან და მათთვის, უპირველეს ყოვლისა, როგორც ჩანს, სამართლიანობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოძრაობა. ყოველ გზაჯვარედინზე გიჩნდება განცდა, რომ მორალს გიკითხავენ. რაც უფრო უახლოვდები ტბას, მით უფრო არავის მოხვდები თვალში, თუ კარგ გუნებაზე ხარ და შუა ქუჩაში ხმამაღლა იცინი. იქ უცხოელები, ასე ვთქვათ, თავიანთ საკუთარ ატმოსფეროს ქმნიან, რომელიც შემდეგ ციურიხის ატმოსფერო ჰგონიათ. ვატყობ, რომ ამ გარემოში იულიკაც უფრო თავისუფალია, და მიადვილდება წარმოვიდგინო, როგორია იგი პარიზში. დედამისი უნგრელი იყო, მაგრამ მისი მშობლიური ქალაქი ციურიხია. და ცოტა ზედმეტად ბრაზდება, როცა იგებს, რომ ქალაქის მერი სათანადოდ ვერ იქცევა და, მაგალითად, ჩარლი ჩაპლინს უარს ეუბნება მიღებაზე. თხუთმეტი წუთი მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს. ლამაზ ინდოელ წყვილს ვხედავ, ალბათ რომელიმე კონგრესის სტუმრები არიან. აქ ბევრი კონგრესი ტარდება, კაცმა რომ თქვას, ბევრი საერთაშორისო ამბავი ხდება, ქალაქი სავსეა დიდი და მტვრიანი მანქანებით და გერმანელი ტყავისშარვლებიანების ჯოგებით და ყველა მიმტანი ამერიკულად ლაპარაკობს. ამ პატარა ქალაქის რაობის შემადგენელი ნაწილია რაღაც ზოგადპლანეტური, რაც, უცხოელისთვის, როგორც აღვნიშნე, ძალიან სასიამოვნოა; პროვინციულია, მაგრამ არა მოსაწყენი. პროვინციულია თავისი ფურტვენგლერის კონცერტებით, ჟან ლუი ბაროს გასტროლებით, რემბრანდტიდან პიკასომდე ყველას გამოფენებით, გერმანელი ემიგრანტების თეატრალური ხელოვნებით, თომას მანის რეზიდენციით, მაგრამ პროვინციულია საკუთარი მოაზროვნეებითაც, რომლებიც სადღაც მსოფლიოში რაღაცას აღწევენ, სანამ მათი დიდება ნელ-ნელა სამშობლოსაც არ მოსწვდება, რომელსაც, თავისთავად, დიდების შექმნა არ შეუძლია, სწორედ იმიტომ, რომ პროვინციულია; ანუ ისტორიისგან დაცლილი. მაგრამ რაში მედარდება! უცხოელისთვის ერთი სიამოვნებაა ამ პატარა ქალაქში სეირნობა, თან ფულიც თუ გაქვს, და ჩემთვისაც რა მშვენიერი დღე იქნებოდა, იულიკას ისევ რომ არ აეკვიატებინა, რომ მე მისი უგზო-უკვლოდ დაკარგული მეულლე ვარ.

ერთ ადგილას გაჩერდა.

– აქ! – ამბობს და თითით ბრინჯაოს ფიგურას მაჩვენებს, რომელიც,

რახან ქალაქს შეუსყიდია, ამიტომ უკეთესი არ გამხდარა. რაღაც სკულპტურაა, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის არაფრისმთქმელი და გზის გაგრძელება მინდა, მაგრამ იულიკა სახელოზე მქაჩავს და მაჩვენებს კვარცხლბეკს, რომელზეც საკმაოდ დიდი ასოებით წერია: ა. შტილერი (საბედნიეროდ, აზრი არ გამომითქვამს. მათი დაკარგული შტილერის ნამუშევრებზე აზრს რომ გამოვთქვამ ხოლმე, თვითკრიტიკად აღიქვამენ და დამატებით სამხილად, რომ მე შტილერი ვარ)... მეორედ, როცა იულიკას ისევ წამოუვლის სახელოზე მოქაჩვის შემაწუხებელი სურვილი, საბედნიეროდ, ქანდაკებას ვერ ვხედავ, მხოლოდ გედებს, ნამდვილი გედების ნამდვილ ჯარს, მზეში რომ თეთრად ფარფატებენ. მწვანე წყალში მათი ბუმბული დაცურავს. იულიკა ისე მაყენებს, რომ უკან ეგრეთ წოდებული დიდი ტაძარი გამოჩნდეს; ვხვდები. ზუსტად ისე, როგორც ალბომშია! ამით რისი დამტკიცება უნდა, არ ვიცი. ბოლოს უბრალოდ შუა ქუჩაში (საფეხმავლო ზოლზე) ვჩერდები; ტყუილად მეჭიდება ისევ სახელოზე, ჯიუტ ვირს რომ გაუბრაზდებიან, ისე ბრაზდება, როცა ვეკითხები:

– აქ ვისკი სად იშოვება?

– აქ ვერ გავჩერდებით!

აქეთ-იქიდან მოტოციკლები გვიზუილებენ, ტაქსი მისიგნალებს, შემდეგ ყველაფერს მისაბმელიანი სატვირთო მანქანის ხმაური გადაფარავს და იულიკა ცარცივით გაფითრებულია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ისევ მწვანე ანთია. უცნობი გამვლელი, რომლისთვისაც არაფერი დამიშავებია, ისეთი აღშფოთებული სიტყვებით მლანძღავს, თითქოს იმ ქვეყანაში, რომელსაც ყოველდღე თავისუფლებით მოაქვს თავი, საკუთარი სიცოცხლის გარისკვა ამორალობა იყოს.

...მოგვიანებით, ღია რესტორანში ვსხედვართ ჭრელი ქოლგის ქვეშ და იულიკას ვეკითხები:

– ისე, როგორ ცხოვრობ პარიზში?

მეც უკვე შენობით ველაპარაკები, გირაოს გამო კი არა, ღმერთია მოწმე, უბრალოდ ასეთი მოთხოვნილება მაქვს, უნებლიეთ. რა საოცარია ხოლმე, ინტიმურობის ტალღა რომ გადაგივლის, თითქოს ჯადოსნური ჯოხი შეეხო მთელ სამყაროს, და ისიც უცებ იწყებს ფარფატს, ძალიან ჩუმად, მაგრამ ამ სიჩუმით ფარავს ყველა ხმას. უნებურად, მოულოდნელი სიახლოვით მთვრალი, ჩვენი მცირე შეხების გარდა რომ ვეღარაფერს

აღვიქვამ, მხარზე ვადებ ხელს. მთელი ნეტარი წამის განმავლობაში, სანამ ეს ახალი „შენ“ ჩვევად არ იქცა და ჟღერადობა არ დაკარგა; ამ დროს ხომ ყველა ადამიანი შენიანი გგონია, მიმტანის ჩათვლით, რომელსაც ვისკი მოაქვს. განცდა გიჩნდება, რომ ამ ქვეყანაზე უკვე აღარ გჭირდება თავის მოჩვენება, განცდა, რომ გეპატიება თავქარიანობა და გეცინება შენს საპყრობილეზე! იმ შემთხვევებში, როცა ეს „შენ“ მომწიფებული და მაინც სიცოცხლით სავსე ქალია; ბუნებრივი, სხვათა შორის, მხიარულებაში შეზავებული არცთუ სერიოზული ან დაუოკებელი მოთხოვნილება კი არა, უფრო აზარტული ცნობისმოყვარეობა მიპყრობს, კიდევ რომელ კაცებთან ვინაწილებ ამ „შენ“-ს. როდესაც პარიზზე ჰყვება, ბალეტის სკოლაზე, რომელიც სულაც არ არის მონასტერი, კაცს არასდროს ახსენებს, არავითარი ფრანსუა, არავითარი ანდრე, არც პიერი, არც ჟაკი და არც არავინ. ამორძალების პარიზი; რას უნდა ნიშნავდეს? ბოლოს პირდაპირ ვეკითხები:

– ბედნიერი ხარ პარიზში?

ამის კითხვა ხომ შეიძლება?

– ბედნიერი! – მპასუხობს, – რას ნიშნავს ბედნიერი?

ძალიან უცნაურია. რატომღაც ქალბატონი იულიკა შტილერ-ჩუდი ვერ იტანს, რომ ჯანმრთელი და ბედნიერი მგონია, მაშინვე დავოსზე იწყებს ლაპარაკს და ჰყვება იმ აშკარად საშინელ პერიოდზე, რომელიც იუგენდსტილის ზეთილსხილისფერ, მწვანეფანჯრებიან უკაცრიელ ვერანდაზე გაატარა, სადაც შტილერმა, მისმა დაკარგულმა ქმარმა, იგი უბრალოდ მიატოვა. კიდევ ერთხელ ვისმენ ამ ამბავს. ეჭვქვეშ არ ვაყენებ მისი წარსულის საშინელებას, მაგრამ ვხედავ მის ბედნიერ აწმყოს, მის სახასიათო სახეს, რომელსაც ქათქათა სუფრიდან ანარეკლი სხივები სცენის პროჟექტორებივით ანათებს. მე იგი მწყურია. ველოდები, როდის დააღწევს თავს წარსულს, რომლის პატიებაც გადაწყვეტილი აქვს და იმისთვის, რომ პატიება შეძლოს, ეს წარსული კარგად უნდა გაისიგრძეგანოს და როდის დაბრუნდება ჩვენი ისედაც დროში შეზღუდული ნაშუადღევის აწმყოში.

– ჩემო ძვირფასო იულიკა, – ვამბობ მე, – მთელი ამ ხნის განმავლობაში მიყვები, რა საზიზღრად მოიქცა შენი შტილერი. ვინმე გეკამათება? მან დაგაავადა, როგორც შენ ამბობ, სიკვდილამდე მიგიყვანა, მიგატოვა, კინაღამ მოკვდი, და მაინც, ვხედავ, რომ მხოლოდ მას ეძებ – ვერ პატიობ, რომ გადარჩი და აქ ზიხარ და მშვენივრად ხარ?

ეს ხუმრობა არ იყო, არა, მე თვითონ მივხვდი. ჩემთვის არ შემოუხედავს, რაღაც ამოიღო თავისი თეთრი პარიზული ჩანთიდან, გაყვითლებული ბარათი. ალბათ ჩემი გამოსვლის საპირისპიროს დასამტკიცებლად! პატარა წერილი იყო, რომელიც შტილერმა, იმ საზიზღარმა, მაშინ გაუგზავნა დავოსის სანატორიუმში. მომაწოდა, წაიკითხეო. ქაღალდის პატარა ნაგლეჯი იყო, გაქუცული ქაღალდი, ბლოკნოტიდან ამოხეული ფურცელი, უჯრედებიანი, გაკრული ხელით ფანქრით ნაწერი, კალიგრაფიამ ჩემში უსიამოვნო რეაქცია, ზიზღი გამოიწვია.

– მერე? – ვკითხე ცოტა დაბნეულმა.

ისე გამალებული ანთებდა ასანთს, რამდენჯერმე გადაუტყდა. იმ მოკლე ტექსტზე კომენტარი, იმ უკანასკნელ ტექსტზე, რომელიც თავისი უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერისგან მიიღო, ზედმეტად მიაჩნდა. ეწეოდა.

– იულიკა, – ვთქვი მე და გაცრეცილი ქაღალდი დავუბრუნე, – მე შენ მიყვარხარ.

უხმოდ გაიცინა, უემოციოდ, ურწმუნოდ.

– მე შენ მიყვარხარ, – გავიმეორე და კიდევ რაღაცების თქმა მინდოდა, რაც არც მის და არც ჩემს წარსულს არ ეხებოდა, არამედ ჩვენს შეხვედრას, ჩემს იმწუთიერ განცდებს, ჩემს იმედებს იმ მომენტს მიღმა, მაგრამ არ მისმენდა. ჩუმად იყო, მაგრამ მაინც არ მისმენდა, მხოლოდ ყურადღებიანი მსმენელის პოზა მიეღო. გონებით დავოსში იყო, ეს აშკარად ეტყობოდა, და ჩემი ლაპარაკის დროს ტირილიც კი დაიწყო. ჩემთვისაც სამწუხარო იყო – ორი ადამიანი ზის ერთმანეთის პირდაპირ, თვალი თვალში აქვთ გაყრილი და ერთმანეთს ვერ აღიქვამენ. „იულიკა?“ დავუძახე და, როგორც იქნა, ლამაზი სახე ჩემკენ მოატრიალა. მაგრამ მე კი არ მხედავდა, არამედ შტილერს! ხელი მოვკიდე მის წვრილ ხელს, რომ გამომეფხიზლებინა. ცდილობდა, ჩემთვის მოესმინა. რამდენჯერაც ვეფიცებოდი, მიყვარხარ-მეთქი, იღიმებოდა, ალბათ მისმენდა, მაგრამ არ ესმოდა, რისი თქმა მინდოდა. მას მხოლოდ ის ესმოდა, რასაც შტილერი ეტყოდა, ახლა რომ ჩემს სავარძელში მჯდარიყო. ჩემთვის მტკივნეული იყო ამის განცდა. წესით, ენა უნდა ჩამვარდნოდა! ვუყურებდი მის ხელს, რომელიც ჩემთან ახლოს იდო და რომელსაც უნებურად გავუშვი ხელი და გამახსენდა ის საშინელი სიზმარი ჭრილობებზე. იულიკამ მთხოვა, გააგრძელე მოყოლაო. რისთვის? უცებ მეც საშინელი უიმედობა ვიგრძენი. ჩემსა და ამ ქალს შორის, როგორც ჩანს, ყველანაირი საუბარი მანამდე მთავრდება, სანამ დაწყებულა. და ჩემი ნებისმიერი

შესაძლებელი მოქმედება უკვე წინასწარ არის განჭვრეტილი, გაუცხოებულია ჩემი იმწამიერი არსისგან, რადგან აუცილებლად შეფასდება როგორც შესაფერისი ან შეუფერებელი, მოსალოდნელი ან მოულოდნელი მოქმედება დაკარგული შტილერისა და არასოდეს – როგორც ჩემი. არასოდეს – როგორც ჩემი!.. მიმტანს რომ დავუძახე, ნაზად, მზრუნველობით მითხრა:

– ნუ დალევ ამდენს!..

ეს სიტყვები რომ გავიგონე, გამოგიტყდებით, შევკრთი, მაგრამ თავს მოვერიე. რა ჰგონია ამ ქალბატონს? ჯერ ერთი, საერთოდ აღარ ვაპირებდი დალევას. და რომც დამეპირებინა! რა ჰგონია, რომ შეუძლია ისე მომექცეს, როგორც იმ თავის შტილერს? და უცებ მომინდა, ჯინაზე კიდევ ერთი ვისკი დამელია. არ ვქენი. რადგან ჯინაზე ის იქცევა, ვინც მართლა დამოუკიდებელი არ არის. გამეცინა: მეცოდებოდა. მივხვდი: მთელი ეს მისი საქციელი მე კი არ მეხება, არამედ ფანტომს და ფანტომში თუ ეშლები ვინმეს (ალბათ კაცი, რომელსაც ის ეძებს, ბუნებაში არ არსებობს), ვერაფერს გახდები; ვერ აღმიქვამს. სამწუხაროა! ვფიქრობდი მე.

– არ გეწყინოს, – თქვა მან, – მაგრამ მართლა არ უნდა დალიო ამდენი. მე ხომ შენთვის კარგი მინდა.

სამწუხაროდ, მიმტანი მოსვლას აგვიანებდა.

– არაფრის შეკვეთა აღარ მინდოდა, – ვუთხარი განელებული წინააღმდეგობის გრძნობით – და იულიკამ გაიცინა, მე კი ამან ცოტა გამაღიზიანა და დავამატე: – ცდები, ჩემო ძვირფასო, მართლა არაფრის შეკვეთა აღარ მინდოდა, გადახდას ვაპირებდი! – მაგრამ, სამწუხაროდ, ფული არ მაქვს...

ამასობაში, თითქოს სხვანაირად არც ელოდაო, უკვე ამოეღო თავისი წითელი, მაროკოული რბილი ტყავის საფულე (როგორც ეტყობა, შტილერის დროსაც ხშირად უწევდა ამის გაკეთება) და იდაყვის ქვეშ შემიცურა, რომ მე გადამეხადა. რა უნდა მექნა! გადავიხადე. შემდეგ თავისი წითელი მაროკოული ტყავის საფულე დავუბრუნე, ავიკრიფე და ვუთხარი:

– წავიდეთ!

ზუსტად ექვსზე ისევ ციხეში.

P. S.

მივხვდი: სინამდვილის აღწერისთვის საჭირო ენა არ გამაჩნია. ვწევარ ჩემს ნარზე, უძილობაში გადის საათები, ვცდილობ, ვიფიქრო, რა უნდა ვქნა. დავნებდე? ტყუილს თუ ვიტყვი, იოლია, ერთადერთი სიტყვა, ეგრეთ წოდებული აღიარება და „თავისუფალი“ ვარ, ჩემს შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ მომისჯიან, ვითამაშო როლი, რომელსაც ჩემთან საერთო არაფერი აქვს. მეორე მხრივ: როგორ უნდა დაამტკიცო, ვინ ხარ სინამდვილეში? მე ეს არ შემიძლია. თავად კი ვიცი, ვინ ვარ? ეს არის ამ პატიმრობიდან გამოტანილი შემაშფოთებელი დასკვნა: მე არ გამაჩნია ენა ჩემი სინამდვილის აღსაწერად!

დღეს, შხაპის მიღების დროს, პატარა ებრაელი, ზურგის გასაპვნაში რომ დავუმეგობრდი, არ ჩანს. ჩემს შენიშვნაზე, მიხარია მისი გათავისუფლება-მეთქი, წარბს სწევენ. ჭკვიანი კაცი იყო და ჭორი, თავი მოიკლაო, ძალიან მაწუხებს. რასაკვირველია, მაინც ათნი ვართ ჯგუფში და ერთმანეთისთვის ზურგი რომ არ გაგვესაპნა ხოლმე, მის გაუჩინარებას ვერც შევამჩნევდი. კაცმა რომ თქვას, არც მომისაკლისებია (ეს საპნობანა რაღაცნაირად მეუხერხულებოდა კიდეც). ის მაწუხებს, რომ ჭკვიანი ადამიანები სიკვდილის მოახლოებას ვერ გრძნობენ და როცა ვიხსენებ მის არა მხოლოდ აზრიან, არამედ იდუმალებით მოცულ მზერას, ვერ ვიჯერებ, რომ ამ კაცმა არ იცოდა, რა ელოდა. ახლა მგონია, ალბათ ის იყო ერთადერთი, ვისთვისაც შემეძლო ჩემი გამოცდილება გამენდო-მეთქი – ჩემი ენით აუწერელი შეხვედრა ანგელოზთან.

ისევ ის ნაცნობი გრძნობა: დგახარ ფანჯრის კიდეზე (ცეცხლმოკიდებულ სახლში), ერთადერთი, რაც გადაგარჩენს, ფრენა უნდა შეგეძლოს. და სხვა შანსი რომ არ არის, თუ უცებ ფრენის უნარი არ გაგიჩნდა. ამ დროს ზუსტად იცი: ფანჯრიდან ქუჩაში გადახტომა ვერ გიშველის, თვითმკვლელობა ილუზიაა. ეს იმას ნიშნავს, უნდა გჯეროდეს, რომ ფრენა შეგიძლია, რომ სიცარიელე დაგიჭერს, რომ ფრთები არ გჭირდება, გადახტები სიცარიელეში, უცხოვრებელ ცხოვრებაში, ხელიდან გაშვებული ცხოვრების დანაშაულში, სიცარიელეში, რომელიც ერთადერთია, რაც მუდამ ნამდვილია, რაც ჩემია, რაც დამიჭერს, რომ ძირს არ დავენარცხო...

მეორე რვეული

ჩემმა ადვოკატმა უკვე წაიკითხა, რაც აქამდე დავწერე და არც კი გაბრაზებულა, უბრალოდ თავი გააქნია. ამით ვერ დაგიცავო, მითხრა და რვეული ჩანთაშიც კი არ ჩაუდია.

მე მაინც ვაგრძელებ წერას.

(პირში კი მისი მოტანილი სიგარა მიდევს.)

მშვენიერ იულიკასა და დაკარგულ შტილერს შორის ურთიერთობა ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ სუიტით დაიწყო (ახალგაზრდა მოცეკვავის გასაღიზიანებლად, ასევე ახალგაზრდა და თან იულიკაზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილით მოწადინებულმა შტილერმა ამ მუსიკას საპნის ბუშტის ჯადოსნობა, ვირტუოზული იმპოტენცია, ილუმინირებული ლიმონათი, დაწინაურებულთა კიტჩი და ა.შ. უწოდა), და იულიკას ბოლო მინიშნებებს თუ ვენდობით, მთელი მათი ცოლქმრობა „მაკნატუნას„ სუიტად დარჩა. იულიკა მაშინ ბალეტს ცეკვავდა. ერთ ძველ ფოტოზე, რომელიც გაკვრით დამანახვა, პაჟის თუ პრინცის როლს ასრულებს, ბედნიერი ჩანს თავის კოსტიუმში, რომელიც მართლაც საოცრად უხდება; ვერ გაძღები მისი ყურებით, ისეთი მოხდენილი ყოფილა მაშინ. მის დიდ და საოცრად ლამაზ თვალებში, ძალიან ფართოდ გახელილ თვალებში, დღევანდელისგან განსხვავებით, უცნაური შეცბუნება ჩანს. თითქოს შიშის ლიბრი გადაჰკვრია, არ ვიცი, თავისი სქესის ეშინია, რომელსაც ეს მშვენიერი კოსტიუმი მხოლოდ დროებით იცავს, თუ კაცის, რომელიც სადღაც კულისებს მიღმა მისი ვერცხლისფერი კოსტიუმის გახდას ელის. იულიკა მაშინ ოცდასამი წლის იყო. ნებისმიერი ოდნავ გამოცდილი მამაკაცი – შტილერი, ეტყობა, ასეთი არ იყო – აუცილებლად მარტივად ამოიცნობდა ამ არაჩვეულებრივ ქმნილებაში უაღრესად ფრიგიდულ ქალს და საკუთარ მოლოდინსაც შესაბამისად დააცხრობდა. ბალეტის სამყაროში მაშინ იულიკაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. რამდენი მამაკაცი იქნებოდა მზად, კარგი სახელის მატარებელი ციურიხელი, ნამდვილი პიროვნება, უმალ დაქორწინებულიყო იულიკაზე, რომ არა ხელოვნება (ბალეტი), რომელიც ამ უცნაური და ამიტომაც განსაკუთრებით მომხიბვლელი გოგონასთვის მაშინ უკვე მთავარი იყო, იმდენად, რომ ყველაფერი, რაც ხელოვნებას არ უკავშირდებოდა, მისთვის ხელის შეშლას ნიშნავდა. ცეკვა იყო მისი ცხოვრება! იულიკას ჩუმი ხითხითი მამაკაცებს აბნევდა და სერიოზულ საუბარს შეუძლებელს ხდიდა, იულიკა კაცებს ახლოს არ იკარებდა და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მონაზონივით ცხოვრობდა, თუმცა, არ ცხრებოდა ჭორები, სინამდვილეში ცივსისხლიანი მაცდურიაო, იულიკას ამაზეც ეღიმებოდა. რატომ არ აძლევდნენ

საშუალებას, ისეთი ყოფილიყო, როგორიც იყო? არასოდეს დაუტოვებია თეატრი ხელში ცოცხალი ყვავილების გარეშე, არასოდეს დაუტოვებია თეატრი ჩუმი და გულწრფელი შიშის გარეშე, რომ გარეთ მორიგი თაყვანისმცემელი ელოდებოდა, ამ ყვავილების გამომგზავნი, იქნებ სტუდენტი, ან პრიალა მანქანიანი მამაკაცი. იულიკას მანქანების ეშინოდა. საბედნიეროდ, თაყვანისმცემლები იულიკას უმეტესად ვერ ცნობდნენ; თავზე, სკოლის მოსწავლესავით, ნაქსოვი ქუდი ეხურა, რომელიც წითურ თმას უფარავდა, უცებ ჩაუქროლებდა ყველას. როცა პროჟექტორების სინათლეში არ იდგა, ერთი შეუმჩნეველი გოგონა იყო. ზღვის ცხოველივით, რომელიც მხოლოდ წყალში იღებს ჯადოსნურ ფერებს, იულიკაც მხოლოდ ცეკვაში ავლენდა თავის ჰაეროვან სილამაზეს, ყველაზე მეტად ცეკვაში, შემდეგ დაქანცული იყო ხოლმე. გასაგებია, სულის ამოხდამდე ცეკვავდა. მაშასადამე, იღლებოდა და არ გაემტყუნებოდა, რომ მომლოდინე თაყვანისმცემლებს ეუბნებოდა, დაღლილი ვარო. მხოლოდ შტილერს ეგონა მუდამ, იულიკა მხოლოდ ჩემთანაა დაღლილიო. რა აზრი ჰქონდა, ძალით რომ წაიყვანდა ხოლმე ერთი ჭიქა ღვინის დასალევად, უფრო სწორად, ჩაის დასალევად, იულიკა ღვინოს არ სვამდა. შტილერი ბევრს ლაპარაკობდა ხოლმე, როგორც ჩანს, ეგონა, ჩემი მოვალეობაა საუბარი შედგესო. დაქანცული იულიკა ხმას არ იღებდა. შტილერი ესპანეთის ამბებს ჰყვებოდა, ახალი დაბრუნებული იყო ესპანეთის სამოქალაქო ომიდან და უკვე გაესამართლებინა შვეიცარიის სმხედრო ტრიბუნალს. იულიკას შტილერი ეცოდებოდა, იმიტომ კი არა, რომ საპატიმრო ელოდა და ამით ცოტა გამაღიზიანებლად ამაყობდა, არამედ უბრალოდ ეცოდებოდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ. საკმარისი იყო ოდნავ გაეღიმა, რომ შტილერს მაშინვე შიში იპყრობდა, სერიოზულად არ აღმიქვამსო, ხელს შუბლზე იდებდა ან პირზე იფარებდა და იულიკა რომ ხელკავზე უარს ეტყოდა და ისე გაუდგებოდნენ სახლისკენ მიმავალ მოკლე გზას, გუნება უფუჭდებოდა, იულიკას სახლის კართან უამრავ ბოდიშს იხდიდა, თავი მოგაბეზრეო, რაც თავადვე აღიზიანებდა. არადა, იულიკას მასავით არავინ მოსწონდა. შტილერი იყო პირველი, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი იმ რამდენიმე კაცს შორის, ვისაც მშვენიერი იულიკასგან ოდესმე ბარათი მიუღია, სულ რამდენიმე პწკარი, რომელშიც წერდა, სამწუხაროდ, ძალიან დაღლილი ვიყავიო და მომავალი შეხვედრის შესაძლებლობაზე მიანიშნებდა. იულიკა ხვდებოდა, როგორ ეტრფოდა მას ეს ახალგაზრდა კაცი, და თან იცოდა, რომ შტილერი მასზე არავითარ შემთხვევაში არ იძალადებდა; ძალადობისთვის მას რაღაც აკლდა, და იულიკას სწორედ ეს ხიბლავდა. და მოსწონდა, რომ ეს კაცი, ახლახანს

ესპანეთის ფრონტზე ნამყოფი, ხმელი და თან ღონიერი, იულიკაზე ერთი თავით მაღალი, საერთოდ არ ელოდა მისგან ბოდიშს, როცა თითქმის ერთ საათს ალოდინებდა თეატრის წინ, პირიქით, თავად იხდიდა ბოდიშს დაჟინებისთვის და კვლავ შიში იპყრობდა, თავს ხომ არ ვაბეზრებო. ყველაფერი ეს იულიკას ძალიან მოსწონდა, როგორც აღვნიშნეთ. ყოველ შემთხვევაში, საქებარ სიტყვებს არ იშურებს, როცა წარსულ დროში ლაპარაკობს დაკარგულ შტილერზე. მარტი იდგა, სოფელში გაისეირნეს, ნაზი იულიკასათვის გზა გრძელი, რთული და ჭუჭყიანი აღმოჩნდა, მიწა ჯერ კიდევ ძალიან სველი იყო, თუმცა თბილი მზე ანათებდა. შტილერმა აიჩემა, მინდორი გადავჭრათო, იულიკას მარცხენა ფეხსაცმელი რბილ ჭაობში ჩარჩა და შტილერმა ხელი წააევლო, რომ წინდისამარა არ აღმოჩენილიყო ჭუჭყში და მაშინ აკოცა პირველად. იულიკა დარწმუნებული იყო, რომ კოცნას კოცნითვე უპასუხა. სხვათა შორის, შტილერს ეს მეტად აღარ უქნია, რომ ქალი არ შეეწუხებინა, მაგრამ გზა რომ გააგრძელეს, ძალიან მხნედ გრძნობდა თავს, პატარა ბიჭივით ამტვრევდა ტირიფის ტოტებს და მოღეღილ პალტოზე ირტყამდა. იულიკა მას ძმასავით უყურებდა, და ესეც მოსწონდა. შტილერს არ აწუხებდა, რომ იგი ბუნების წიაღშიც მხოლოდ ბალეტზე ლაპარაკობდა, განსაკუთრებით, ბალეტის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე, დირიჟორებზე, დეკორაციების მხატვრებზე, დალაქებზე, ბალეტმაისტერებზე; ეს გახლდათ მისი სამყარო. სხვა თაყვანისმცემლებს ადრე უსაყვედურიათ, მხოლოდ ჭორებით გაქვს თავი გამოტენილიო. შტილერი ასე არ ეუბნებოდა. მისი მოსმენა დიდ ძალისხმევად უჯდებოდა, ხანდახან მოაბრუნებდა, ნახე, რა ლამაზი ხედიაო, მაგრამ იულიკას ყურადღება ვერც ამით გადაჰქონდა სხვა რამეზე, მერე შტილერს რცხვენოდა ხოლმე, რომ ასე ცოტა რამ იცოდა ბალეტის ხელოვნებაზე. შემდეგ ძალიან უბრალო დუქანში მიირთვეს ლორი და პური, შტილერს, ეტყობა, ასეთი ადგილები უყვარდა, და იულიკას სიამოვნებდა, რომ პირველად შეხვდა მამაკაცს, რომლისაც არ ეშინოდა. იგი ისევ თავისი ესპანეთის ომის შესახებ ჰყვებოდა. რადგან ამ გასეირნებიდან სულ რამდენიმე დღეში იღლიაში ამოჩრილი კონფედერაციის კუთვნილი პლედით უნდა გამოცხადებულიყო სადღაც, რომ მისჯილი რამდენიმე თვე მოეხადა. ერთმანეთს დიდხანს ვერ შეხვდნენ. იულიკამ ბევრი ბარათი მისწერა. სიმორცხვის გამო, წერილებში პირდაპირ არ გამოხატავდა სიყვარულს, მაგრამ შტილერისნაირი მგრძნობიარე ადამიანი ალბათ შეამჩნევდა, რას გრძნობდა მშვენიერი იულიკა, და რას ვერ გამოხატავდა სიტყვებით სიმორცხვის გამო. ყოველ შემთხვევაში, ქალბატონ იულიკა შტილერ-ჩუდის დღესაც დაკარგული შტილერისადმი თავისი ნაზი და გულითადი

სიყვარულის უტყუარ საბუთად მიიჩნია ის წერილები.

ერთ წელიწადში დაქორწინდნენ.

უცხოს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს ორი ადამიანი, იულიკა და დაკარგული შტილერი, საბედისწეროდ შეეფერებოდნენ ერთმანეთს. მათ ერთიმეორე თავიანთი შიშის დასაძლევად სჭირდებოდათ. სამართლიანად თუ უსამართლოდ, იულიკას გულის სიღრმეში ეშინოდა, ქალი არა ვარო. და, ეტყობა, შტილერსაც მოსვენებას არ აძლევდა შიში, რომ რაღაც აკლდა. თვალშისაცემია, რომ ამ ადამიანს სულ ეგონა, საბოდიშოდ მაქვს საქმეო. საიდან მოდიოდა ეს შიში, იულიკამ არ იცის. იგი საერთოდ არ ახსენებს შიშს, როცა დაკარგულ შტილერთან თავის უბადრუკ ქორწინებაზე ჰყვება; მაგრამ თითქმის ყველაფერი, რასაც ჰყვება, იმას მოწმობს, რომ ეგონა, ჩემს შტილერს მხოლოდ სინდისის ქენჯნით, ხელმოცარულობის შიშით დავაკავებო. ეტყობა, ეგონა, ნამდვილი და თავისუფალი მამაკაცი ჩემთან არ გაჩერდება, არ მოვეწონები და არ ვეყოფიო. მგონია, რომ შტილერიც ებღაუჭებოდა იულიკას სისუსტეს; სხვა ქალი, ჯანმრთელი ქალი, მას ან ძალის გამოვლენას მოსთხოვდა ან მიატოვებდა. იულიკა მას ვერ მიატოვებდა. ის ხომ იმით ცოცხლობდა, რომ გვერდით ჰყავდა ადამიანი, რომლისთვისაც მუდამ შეეძლო ეპატიებინა.

* * *

მაგრამ მე ვეცდები, ამ რვეულებში მხოლოდ ის აღვწერო, რასაც ქალბატონი იულიკა შტილერი-ჩუდი მე და ჩემს ადვოკატს თავად გვიყვებოდა თავისი ქორწინების შესახებ და მეტი არაფერი ; თანაც ისე, რომ მისი მოლოდინიც გავამართლო, იქნებ მაშინ მაინც აღარ ვეგონო თავისი მეუღლე: მსუბუქი ტუბერკულოზი, მართლაც მხოლოდ მსუბუქი, საგანგაშო არაფერი, ბევრი წლით ადრე დაუდგინა თეატრის ექიმმა და მუდამ ურჩევდა, ზაფხული აუცილებლად მთაში გაატარეო. ეს კარგი რჩევა იყო, მაგრამ ფული იყო საჭირო და შტილერი, მისი ქმარი, მაშინ თავისი მოქანდაკეობით ფულს საერთოდ ვერ შოულობდა, თითქმის ვერაფერს, ყოველ შემთხვევაში იმდენს ვერა, რომ თავისი საწყალი მეუღლე დასასვენებლად გაეშვა. იულიკას არასდროს უსაყვედურია, დირექტორის ხელფასი რატომ არა გაქვსო. იულიკამ შტილერს ექიმის რჩევაც კი დაუმალა, რომ არ ეგრძნობინებინა, მცირე შემოსავალი გაქვსო. სამაგიეროდ, მისგანაც მოელოდა მეტ მოფრთხილებას. მათი ცოლქმრობის პირველი წლები არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო.

იულიკა თეატრში თვეში ექვსას ოც ფრანკს იღებდა, თუკი შტილერსაც გაუღიმებდა ბედი და ერთ ფიგურას მაინც გაყიდდა, ქალაქის შადრევნისთვის ან ისე, საქმე კარგად მისდიოდათ. იულიკა ხომ მოკრძალებული ადამიანი გახლდათ. იგი მთელი არსებით ხელოვანი იყო და ამიტომ არასოდეს მოსთხოვდა სერიოზულად კაცს, რომელიც უყვარდა, შენს მოწოდებას და ნიჭს უღალატე და ცოლს უკეთესი პირობები შეუქმენიო; მხოლოდ ხუმრობით თუ ეტყოდა ასეთ რამეს. რამდენად ნიჭიერი იყო იგი, მისი დაკარგული შტილერი სინამდვილეში, ამ საკითხზე აზრები, ეტყობა, თავიდანვე იყოფოდა, და არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც იგი არასდროს მიუჩნევიათ ხელოვნად. იულიკას, რა თქმა უნდა, სწამდა მისი. ყოველ შემთხვევაში, შტილერი გამწარებული მუშაობდა. ის ვერაფერს უპირისპირებდა იულიკას საბალეტო წარმატებას და ეს ცოტათი აწუხებდა, მიზეზი კი ალბათ ისიც იქნებოდა, რომ შტილერი ადამიანებს გაურბოდა, ყველგან იულიკა ქალი ყურადღების ცენტრში, მას კი იულიკას მეუღლედ აღიქვამდნენ. მაშინდელი შემოსავლის პირობებში შვილებს ვერ იყოლიებდნენ; იულიკას მთელი წელი გაუცდებოდა. შტილერს მამობის დაუცხრომელი სურვილი სულაც არ აწუხებდა, მაგრამ ხანდახან უცნაური განცდა იპყრობდა, რომ ცოლი მის გამო ამბობდა უარს შვილების ყოლაზე, მერე ფიქრს შეატრიალებდა, იქნებ სწორედ იულიკასთვის იქნებოდა შვილები უფრო მნიშვნელოვანიო. რატომ სწორედ იულიკასთვის? შტილერი ფიქრობდა, რომ ბავშვი აქცევდა მას სრულყოფილ ქალად, და რომ მან ეს ვერ შეძლო. ეს უბრალოდ მისი აკვიატებული აზრი ჩანდა, რომელიც ბავშვის ხსენებაზე აგონდებოდა. მაინც რა უნდოდა იულიკასგან? ეჩვენებოდა, რომ შტილერი მის ხელოვნებას სათანადოდ ვერ აღიქვამდა და შეიძლება გაუცნობიერებლად შურდა კიდეც მისი წარმატების და ამიტომაც აყენებდა იულიკას მუდმივად ბავშვის თემის წამოჭრა ცუდ გუნებაზე. თავად ქალი ხომ კმაყოფილი იყო? ერთხელაც, ცოლმა პირდაპირ უთხრა, როგორც ხელოვანს შეურაცხყოფას მაყენებო. შტილერი დადუმდა. განსაკუთრებით, როცა დააყოლა, ტუბერკულოზიანი დედის შვილი რად გინდაო. ასე დასამარდა ბავშვის თემა. სამაგიეროდ, შტილერმა ახლა მისი ტუბერკულოზი აიჩემა, შესაფერისი დრო იყო თუ შეუფერებელი, სულ ახსენებდა, ექიმთან წადიო. საწყალი იულიკა დახველებას ვეღარ ბედავდა, ისე უშლიდა ნერვებს მისი გაფრთხილება. რას ერჩოდა ეს კაცი? გულის ამაჩუყებელი იყო შტილერი, მაგრამ ტვინს იღრღნიდა ეჭვით, იულიკა სრულყოფილი ცხოვრებით ვერ ცხოვრობსო. წალი ნამდვილად ვერც უსასრულო სეირნობების თანამგზავრად გამოდგებოდა და ვერც თანამეინახედ, შტილერის ნაცნობები რომ

იკრიბებოდნენ ხოლმე დასალევად და ღამეებს რომ ათენებდნენ; მას მოფრთხილება სჭირდებოდა, ღმერთია მოწმე, მაგრამ კაცმა რომ თქვას, იულიკა საკმაოდ კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით. შტილერი რატომ არ იყო კმაყოფილი? როცა რეპეტიციის დროს ამინდი ფუჭდებოდა, შტილერი მას თეატრის შესასვლელთან ელოდებოდა, იულიკას თბილ პალტოს ახვედრებდა და ქოლგა და შალიც არ ავიწყდებოდა; მართლაც გულის ამაჩუყებელი იყო, როგორ ედგა სადარაჯოზე მის ჯანმრთელობას, რომელსაც, სამწუხაროდ, ასეთი გაფრთხილება სჭირდებოდა. მას მხოლოდ ის აღიზიანებდა, სულ რომ ექიმთან მიერეკებოდა. ეგონა, აღარ უნდა თავად იზრუნოს ჩემზე, სიყვარულს მაკლებსო, და უფრო ჯიუტდებოდა. ეგონა, იმიტომ მიშვებს, იმიტომ მიმერეკება, იმიტომ მაიძულებს ექიმთან წავიდე, რომ თავად დაიმშვიდოს სინდისი, რომ მის მამაკაცურ ეგოიზმს ანგარიში აღარ გავუწიოო; იულიკას აღაშფოთებდა, როცა შტილერი ეკითხებოდა, ექიმთან თუ იყავიო. შეიძლება მისი მხრიდან ასეთი საქციელი დაუდევრობას ჰგავდა, მაგრამ გასაგებია; იგი ყოველთვის მგრძნობიარე არსება იყო. წლობით ცეკვავდა სცენაზე რისკის ფონზე, რომ ყოველ წუთას შეიძლებოდა იქვე ჩაკეცილიყო. ყველას აოცებდა მისი ენერგია, დირექტორს, მთელ დასს, მთელ ორკესტრს, მხოლოდ შტილერს არა. მას ეს იდიოტობად მიაჩნდა! ალბათ ეშინოდა, სერიოზულად არ აღმიქვამენო, და მანამ იქცეოდა უხეშად, სანამ იულიკა არ აქვითინდებოდა. ცოლის აღარაფერი მოსწონდა, სულ რაღაცას ეჯიჯღინებოდა, მაგალითად, თუკი სამზარეულოსკენ მიდიოდა და თან ჭურჭელს არ წაიყოლებდა, გაჯიქდებოდა და უმტკიცებდა, ნახევარი ძალით შეგიძლია იცხოვრო, თუკი ცოტა ჭკუასაც დაატან, ან ჩემგან ისწავლიო. რა უნდა ეპასუხა იულიკას? შტილერის ასეთი დაწვრილმანება ასევდიანებდა. შტილერს, ამ თითქოსდა განათლებულ და მოაზროვნე ადამიანს, შეეძლო საათობით იმაზე ელაპარაკა, რომ იულიკამ სუფრიდან სამზარეულომდე გზაზე თან არ წაიყოლა ჭურჭელი. იულიკა თავზე ხელს წაივლებდა ხოლმე. შტილერს შეეძლო ამ თემაზე ეფილოსოფოსა, მაშინ როცა რეპეტიციებისგან და სახლის საქმისგან დაღლილ ქალს წაქცევას აღარაფერი უკლდა. მეორე წუთას შტილერი ისევ გადასარევი მოგეჩვენებოდა. მაგრამ გაღიზიანების მომენტები გროვდებოდა. ერთხელ, როცა საწყალ იულიკას მაღალი სიცხე ჰქონდა, მაგრამ სპექტაკლის გაცდენა არ უნდოდა, რადგან იცოდა, რა მნიშვნელოვანი იყო მისი როლი იმ დღეს, შტილერმა მის უკითხავად აიღო ტელეფონი, პირდაპირი გაგებით გადააბიჯა მას, დარეკა თეატრში და უთხრა, ჩემი ცოლი ავადაა და სამწუხაროდ, ვერ იცეკვებსო, ასეთ თავნებობას

რომელი ხელოვანი მოითმენდა. მაინც რა ეგონა თავი შტილერს! იულიკამ კი, ქმარს ტელეფონი ხელიდან გამოგლიჯა, ტაქსი გამოიძახა და თეატრში მაინც წავიდა. ეს გახლდათ მათი ცოლქმრობის ერთ-ერთი პირველი ჩხუბი, ცოტა ხანში ტაქსიც მოვიდა. შტილერმა სადარბაზოში მიაძახა: „მოიკალი თავი, მე რა მენაღვლება, მოიკალი თავი, ოღონდ მერე მე არ დამაბრალო...“ ასეთ მომენტებში იულიკას მისი ეშინოდა. შტილერს ამ დროს ავიწყდებოდა, რომ მდიდარი ოჯახის ქალიშვილზე კი არ დაქორწინებულა, არამედ – განათლებული ოჯახის შვილზე. იულიკას დედა უნგრელი ჰყავდა, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი, რაღაცნაირად არისტოკრატული, აწ გარდაცვლილი მამა კი დესპანი გახლდათ ბუდაპეშტში. შტილერი კი დაბალ ფენას წარმოადგენდა (ეს უნდა ითქვას), არა, საერთოდ ვერ დაარქმევდი ფენას, მხოლოდ ერთხელ უხსენებია მამინაცვალი, რომელიც სადღაც მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობდა, საერთოდ არ ახსენებდა მამას, დედა კი რკინიგზელის ქალიშვილი ყოფილა. რა უცნაურია და რა საზიზღრობაა, რომ ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს და უცებ ასეთი რამეები მათ ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელობას იძენს, მაგრამ, რას იზამ, ეგრეა. ბუნებრივია, იულიკა არასდროს, თითქმის არასდროს ძრავდა კრინტს ამ თემაზე. მაგრამ ურთიერთგანსხვავებას გრძნობდა, მაგალითად, შტილერი სადარბაზოში რომ აღრიალდებოდა ხოლმე, მაშინ. ალბათ რა საშინელება იქნებოდა. შტილერი ასეთ თავშეუკავებლობას მერე ყოველთვის განიცდიდა, ბოდიშს იხდიდა და კარგ რაღაცებს იგონებდა, რომ თავისი საქციელი გამოესწორებინა, ან იულიკას საყვარელ კერძს მოამზადებდა, ან აბრეშუმის შარფს აჩუქებდა, რადგან იულიკას ძველი დაჰკარგვოდა, ან სხვის ეზოში მოპარულ იასამნის ტოტს მიართმევდა, სპექტაკლის შემდეგ თეატრში რომ მიაკითხავდა. ყველაფერი ისევ გამოსწორდებოდა ხოლმე, მთლიანობაში საკმაოდ ბედნიერი ცოლქმრობა ჰქონდათ – სანამ ის ქალი გამოჩნდებოდა.

ეს დაახლოებით შვიდი წლის წინ მოხდა.

იულიკა აზრზე არ იყო. იგი ამას ვერც წარმოიდგენდა. ახალგაზრდა, თავის ქმარზე უზომოდ შეყვარებული ქალი ვერც წარმოიდგენდა, რომ შტილერს ასეთი ღალატი შეეძლო; როგორც გითხარით, საერთოდ არც უფიქრია. საწყალი იულიკა, როგორ ეთაყვანებოდა თავის პროფესიას და თავის ქმარს, მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა შტილერმა შეწყვიტა მისი მუდმივი სიცხის სერიოზულად აღქმა; მართალია, ყოველ საღამოს ეკითხებოდა სპექტაკლიდან დაბრუნებულს, რამდენჯერ აიწია ფარდაო, მაგრამ ხმაში უკვე ცოტათი დაცინვა შეჰპარვოდა. იმავე ტონით შეეძლო

ეკითხა: შენი ტუბერკულოზი რას შვება? ანდა, როცა იულიკა რომელიმე კრიტიკოსის გაუგონარ თავხედობაზე ჰყვებოდა, სტატიაში არც კი მომიხსენიაო, შტილერი, მისი მეუღლე, უნამუსო განსახიერება ვითომ სამართლიანობისა, ეუბნებოდა, ასე სერიოზულად ნუ მიიღებ, ალბათ დაუდევრობით გამორჩი, სულ ეგ იქნებაო. მაგრამ ყველაზე მეტად იულიკა იმან დააფიქრა, რომ შტილერმა უცებ თავისი მოქანდაკეობა დააყენა ყველაფერზე მაღლა და დღეებს ატელიეში ატარებდა, ერთხელ მთელი კვირა იქ ცხოვრობდა, სანამ ერთ მშვენიერ დილას იულიკამ ატელიეში არ მიაკითხა. შტილერი სტვენა-სტვენით ამშრალებდა ჭიქებს, იულიკა მიხვდა, წინა საღამოს სტუმარი ჰყოლოდა, მაგრამ კითხვის მოერიდა. იატაკზე თმის სარჭი ეგდო, უსიტყვოდ აიღო და ჩუმად დადო მაგიდაზე, ორი ბოთლი „შატონეფ დუ პაპი“, არცთუ იაფი ღვინო, მაგრამ რა, იულიკას დაწვრილმანება არ სჩვეოდა, მის ღია ფერის შარვალზე შავი თმის ღერი – განა ეს რამეს ამტკიცებდა? შტილერმა გაიცინა. ამ დროს, იულიკას გულისწასვლის მიზეზი ქმრის ღამეული სტუმარი არ ყოფილა, მისი ზედაპირულ-მანუგეშებელი ღიმილი, მისი სადისტური სინაზე, რომლითაც ეჭვიანი იულიკას გამხნევებას ცდილობდა, სრულიად უადგილო ჩანდა, ღმერთია მოწმე, მისი უხეშობაც, თმის სარჭის გამო ისტერიკულ სცენებს არ მოგაწყობინებო; ეს ყველაფერი სრულიად უადგილო იყო. საწყალი იულიკა სლუკუნისგან დიდხანს ვერ იღებდა ხმას. „იულიკა?“ ბოლოს და ბოლოს, მგონი მიხვდა, რომ თმის სარჭი ქალის სლუკუნთან არაფერ შუაში იყო. „რა გჭირს? იულიკა? თქვი, რა მოგივიდა!

იულიკა ექიმთან ყოფილიყო.

„მართლა?“ – ჰკითხა მან. ქალი ეცადა თავი ხელში აეყვანა, – „მერე?“ ჰკითხა მან. შტილერი მის გვერდით იჯდა დივანზე, ხელში ჯერ კიდევ ეჭირა ჭიქა და ტილო, სასოწარკვეთილი იულიკა კი სლუკუნისგან თრთოდა, ფრჩხილები ისე ჩაერჭო ბალიშებში, ლამის გაეხია. ასე არასდროს უტირია. შტილერმა კი, ეტყობა, არ იცოდა, რა ექნა. ტილო გადადო და თავისუფალი ხელით თმაზე ეფერებოდა, თითქოს ნაზი მოპყრობით სიკვდილს გადაარჩენდა. რა დროს ექიმთან სიარული იყო! მის მხიარულ სტვენას ეს ხელს უშლიდა. იულიკამ ბალიში დახია, შტილერმა კი მხოლოდ ეს ჰკითხა: „მაინც რას ამბობს ექიმი?“ – მისი თანაგრძნობა (იულიკა დღესაც ასე ფიქრობს) აუტანელი მოეჩვენა, ნაზი ყურადღება, მეგობრული მზრუნველობა, თან ხელში წინა საღამოს ნახმარი ჭიქა; იულიკას მიერ ბორძიკით, მახრჩობელა ხველებითა და სლუკუნით ძლივს ამოთქმულმა ახალმა ამბავმა, რაც შეიძლება მალე

დავოსში, დავოსის სანატორიუმში უნდა წავიდეო, მას მხოლოდ ერთი მშრალი კითხვა დააცდენინა: „რამდენი ხანია, რაც ეს იცი?“ „მალე ერთი კვირა იქნება!“ – უპასუხა მან და ეგონა, შტილერი მიხვდებოდა, რა საშინელი იქნებოდა ეს ერთი კვირა. „უკვე ერთი კვირაა! – თანაგრძნობის მაგივრად ჰკითხა: – და რატომ აქამდე არ მითხარი?“ შტილერი საშინლად იქცეოდა. „მართალია? – ესეც კი ჰკითხა, – მართალია, მართალი?..“ იულიკამ ალბათ ჯერ ხმამაღლა გაიცინა, მერე სასწრაფოდ წამოდგა, შეხედა და დაინახა, როგორ უყურებდა შტილერი: თითქოს ფინტი ყოფილიყოს, იაფფასიანი გაზვიადება, რომ როგორმე მისთვის წინა საღამოს სასიამოვნო მოგონება ჩაეშხამებინა. იულიკამ იყვირა: „წადი, წადი, თავიდან მომწყდი!“ შტილერმა თავი გაიქნია. „წადი, გთხოვ, გადი აქედან!“ „იულიკა, – თქვა მან, – ეს ჩემი ატელიეა“. მისი სიმშვიდე, დამცინავი ტონი ისეთი არაადამიანურობა იყო, ქალი რომ ვერც წარმოიდგენდა, დიახ, შტილერი იცინოდა კიდეც, როცა ის ეუბნებოდა, შეიძლება მოვკვდეო. იცინოდა! და საწყალი იულიკა, თითქმის ერთი კვირა რომ მარტო დაატარებდა თავის სამედიცინო დიაგნოზს, თვალებს და ყურებს არ უჯერებდა: შტილერმა წინა საღამოს ნახმარი ჭიქის გამშრალება განაგრძო, თითქოს ეს ჭიქა ყოფილიყოს ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მყიფე, მისი ზრუნვის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი, მერე კი, ნაზი ტონით მოინდომა გაეგო, ის კი არა, რა საშინელებები წარმოიდგინა აფორიაქებულმა იულიკამ, არამედ რა უთხრა ექიმმა, ზუსტად, საქმიანად, სიტყვასიტყვით. „ხომ გეუბნები, პირდაპირ დავოსში, პირდაპირ სანატორიუმშიო, მითხრა, თორემ მერე გვიანი იქნებაო“. კარგა ხანი დასჭირდა, სანამ შტილერის გონებას მთელი სიგრძე-სიგანით მისწვდა ეს ამბავი. რა ტრიალებდა მის თავში, არ გაუმხელია, არა, მხოლოდ ტუჩი მოიკვნიტა და იქვე მოიკუნტა, დაპატარავდა, იულიკას უცებ უმწეო თვალებით შეაცქერდა. სულ იმას არ ეუბნებოდა, ფილტვები გაიშუქეო? ცოლმა ხომ მხოლოდ მისი სურვილი შეასრულა, მეტი არაფერი. რატომ აშტერდებოდა ასე? მარცხენა ფილტვი იყო. როგორც ჩანს, ექიმი იულიკას ძირითადად ამშვიდებდა და სამედიცინო ტერმინოლოგია არ გამოუყენებია. მას უთქვამს, ბევრი მაგალითი ვიცი, როცა პაციენტები სრულად განკურნებულან, თავად ვარ მოწმეო. ადამიანური თვალსაზრისით, არაჩვეულებრივი კაცი იქნებოდა ის ექიმი. ტყუილად არაფერს შეჰპირებია, იულიკას, როგორ პიროვნებას, სერიოზულად აღიქვამდა. ისიც კი უთქვამს, სრულიად შესაძლებელია აბსოლუტურად სასოწარკვეთილი მოცეკვავე ერთ მშვენიერ დღეს ბალეტსაც დაუბრუნდესო. გარანტია არ მიუცია, რა თქმა უნდა. ერთადერთი, რის გარანტიასაც გაძლევ, როგორც პასუხისმგებლობის

მქონე ექიმი, უდროო სიკვდილია, თუკი სასწრაფოდ სანატორიუმში არ გაემგზავრებიო. იულიკა მაშინ ოცდაშვიდი თუ ოცდარვა წლის იქნებოდა. სხვათა შორის, უკვე იცოდა კიდეც თავისი სანატორიუმის სახელი, იცოდა, რომ ტყეში, ლამაზ ადგილას იდგა, იცოდა დაახლოებითი ფასიც, რომლის დიდ ნაწილსაც ჯანმრთელობის დაზღვევა დაფარავდა. მისი ქმარი, შტილერი როდისმე შეწუხებულიყო და გაეგო, რომ ასეთ რამეს ჯანმრთელობის დაზღვევა ფარავდა, სანატორიუმში დიდი ხნის წასული და დღეს ალბათ უკვე გამოჯანმრთელებულიც იქნებოდა. სხვათა შორის, ეს დაუდევრობა შტილერს არ უარუყვია. იულიკას უწყინარი შენიშვნა, მისდა გასაოცრად, აშკარად გულზე მოხვდა, გაოგნდა. ცოტაც და შტილერი ატირდებოდა. ახლა იქით უნდა ენუგეშებინა ცოლს. შტილერს მხრებზე მოეხვია, რაც მორცხვი იულიკას მხრიდან დიდი ამბავი იყო, მით უმეტეს, ახლა უამრავი სხვა საქმე ჰქონდა. რაველის „ვალსი“ და დე ფალას „სამწვერა“, ეს ორი ღვთიური ბალეტი იქნებოდა მისი ბოლო პრემიერა მეორე დღეს, ამა და ამ რიცხვის ხუთშაბათს შტილერს იგი დავოსში უნდა წაეყვანა. იულიკამ მას უკვე მონიშნული თარიღი თავის ციცქნა კალენდარში აჩვენა. რა არ მოსწონდა? შტილერი დივნიდან ისე წამოდგა, კალენდარში წესიერად არც ჩაუხედავს, გამშრალებული ჭიქა სამზარეულოს ნიშს მიახეთქა, ჭიქა დაიმსხვრა, გაფითრებულ და წვრილ ტუჩებში სიგარა გაირჭო და შარვლის ჯიბეებში ხელებჩაყოფილი ატელიეს დიდ ფანჯარასთან ქანდაკებასავით გაშეშდა. იულიკასთვის ზურგი შეექცია, თითქოს მისი ბრალი იყო, დავოსში რომ უნდა წასულიყო. უფრო მეტიც: თითქოს, სასოწარკვეთილმა იულკამ ეს ყველაფერი იმიტომ დაიმართა, რომ მისთვის ჩაეშალა გეგმები და მეტი არაფერი. „რატომ არაფერს ამბობ?“ ჰკითხა ქალმა. „მაპატიე“ – უპასუხა მან და ჭიქა იგულისხმა, რომლის გატეხამაც იულიკა შეაკრთო, მაგრამ ქალისთვის ჭიქა სულერთი იყო. „რაზე ფიქრობ ამდენ ხანს?“ – შტილერი კარადასთან მივიდა, ჯინის თითქმის ცარიელი ბოთლი გამოიღო, უკანასკნელი წვეთები ჩაწურა ორ პატარა ჭიქაში და იულიკას თითქოს ნუგეშის ნიშნად შესთავაზა. ცოლმა უზრდელად არა, მაგრამ გადაჭრით უთხრა უარი. ყელში ამოსვლოდა მისი მგრძნობიარე ქესტები, როცა ჯინით ან მოპარული იასამნის ტოტით ცდილობდა რაღაცის გამოსწორებას. გრძნობდა, რომ შტილერი თავად ტკბებოდა საკუთარი მგრძნობიარე ქესტებით და თავი ნაზი მეუღლე, მზრუნველი მეგობარი, სანდო მცველი, დიდსულოვანი კაცი ეგონა, ოღონდ ეს ყველაფერი რაღაცნაირად იაფფასიან პოზას ჰგავდა, რადგან ბევრი წლის განმავლობაში ერთხელაც არ დაინტერესებულა, იხდიდა თუ არა ჯანმრთელობის დაზღვევა სანატორიუმის ხარჯს; ეს ჩვენს კარგ შტილერს არასოდეს მოსვლია

თავში აზრად. „გმადლობ, მე არა“, – უპასუხა იულიკამ. „რატომ არა?“ „ალკოჰოლი ვერაფერს შეცვლის“. შტილერმა თავისი ჭიქა გადაკრა. „არა“, თქვა მერე და მისი ჭიქაც ერთი მოსმით მიაყოლა. „არა, ეს, რა თქმა უნდა, შენი ბრალი არ არის, იულიკა, რომ სანატორიუმში უნდა წახვიდე“. „ეს მე არასდროს მითქვამს!“ „ყველაფერი ჩემი ბრალია, – ჯიუტად განაგრძო, – შენ არაფერზე იდარდო, ჩემო ძვირფასო, ესე იგი, დავოსში მიდიხარ, შე საწყალო, და მე აქ ვრჩები, ქალაქში, მე, ჯანმრთელი – ჩემი სინდისის ქენჯნა შენთვის საუკეთესო სასთუმალია“. თან საწყლად გაიცინა. „ეს რაღას ნიშნავს? – ჰკითხა იულიკამ, – სულ ასე ლაპარაკობ“. შტილერმა ჯინის ცარიელი ბოთლი აიღო, თითქოს თავზე ისხამსო, მაგრამ დამშვიდებული ჩანდა, მერე კი ბოთლიც სამზარეულოს ნიშისკენ გასტყორცნა, ნამსხვრევები აქეთ-იქით გაიფანტა. ეს საქციელი იულიკას დღემდე ვერ დაუვიწყებია. ეგოიზმის დაუფარავი გამოხატულება უგზო-უკვლოდ დაკარგულის მხრიდან, მეც ასე ვაფასებ მის საქციელს.

* * *

ერთხელ, ხუმრობით, ცოტა შექეიფიანებულ შტილერს მეგობრების წრეში უთქვამს: „არაჩვეულებრივი ცოლი მყავს, სულ მიხარია მისი ნახვა და ყოველთვის, როცა ვხედავ, თავი ქონიანი, ოფლიანი, აქოთებული მეთევზე მგონია კამკამა ქალთევზას ფონზე!“ ეს ქორწინებიდან ცოტა ხნის მერე მომხდარა... შთაბეჭდილება მრჩება, უგზო-უკვლოდ დაკარგულ შტილერს, მიუხედავად იმისა, რომ მონუსხული იყო იულიკათი, ამ ქალის არსებაში რაღაც ვერ ამოუცნია, ეტყობა, საერთოდ ვერ აღმოუჩენია – კერძოდ, მისი ფრიგიდულობა. და ასეთი რამ რომ არსებობს, არა ავადმყოფური, არამედ, პირიქით, როგორც სრულიად ბუნებრივი მოვლენა, მგონი არც თავად მშვენიერ იულიკას სცოდნია. ნეტა დღეს თუ იცის? ცოტა ხნის წინ გაოგნებული დარჩა, როცა სხვათა შორის ვახსენე სამეცნიერო თეზისი, რომ ბუნების მთელ სამყაროში არცერთ მდედრობით არსებას, ადამიანის გარდა, არ აქვს ე.წ. ორგაზმის განცდის უნარი. ამ თემაზე საუბარი არ გაგვიგრძელებია. როგორც ჩანს, მშვენიერი იულიკა იმას, რომ მამაკაცის ვნება ცოტათი ზიზღს ჰგვრიდა, თავისთვის, ჩუმად განიცდიდა, მართლა განიცდიდა, თუმცა ეს ნამდვილად არ არის მიზეზი, თავი სრულყოფილ არსებად არ ეგრძნო, ხეიბარი ვარო, ეფიქრა ან სულაც ცუდი ხელოვანიო. ამ ქალში რაღაცა, განსაკუთრებით, როცა თავის დაკარგულ შტილერზე ლაპარაკობს, გულისამაჩუყებელი სიჯიუტით თავის მოტყუებას ჰგავს და გაფიქრებინებს, რომ მისი ექიმის მიერ ბეჭდით დამოწმებული და საოცრად ძვირიანი ტუბერკულოზიც მთლად სარწმუნო არ არის. რატომ ვერავის დაელაპარაკა იულიკა?

ალბათ ცოტაა ქალი, რომელსაც მსახიობობის გარეშე შეუძლია თავდავიწყებული ვნების განცდა, მამაკაცთან შეხვედრისგან რომ მოელის, ან ჰგონია, უნდა მოელოდეს, ასე წაუკითხავს რომანებში, რომლებიც მამაკაცებმა დაწერეს და რომლებშიც სულ ამას აღწერენ; თან, ქალები, პატივმოყვარეობის გამო, ერთმანეთთან ხშირად ტყუიან; და ვინ იცის, იქნებ მშვენიერი იულიკა ზედმეტად გულწრფელი იყო, თან შეშინებულიც, ამიტომ არაფერს ამბობდა, პრინცებისა და პაჟების კოსტიუმებს გადაიცვამდა და სიმარტოვის გამოქვაბულს აფარებდა თავს, სადაც ვერც ერთი მამაკაცი ვერ დაედევნებოდა. ასე რომ, რა გასაკვირია, თუ ბალეტი და ყველაფერი, რაც ბალეტს უკავშირდება, გინდაც ეს პატარა ქალაქის თეატრისთვის დამახასიათებელი საშუალო დონის ბალეტი ყოფილიყო, ყველაფერს ერჩივნა, მათ შორის, შტილერსაც. ვერც ლესბოსელობის რამდენიმე უიღბლო მცდელობას შეუცვლია რამე. ბალეტი დარჩა მისი ვნების ერთადერთ ობიექტად. სხვა ქალებს ბალეტი არ სჭირდებათ, რადგან შვილები ჰყავთ და კაცებს იტანენ, როგორც აუცილებელ გამნაყოფიერებლებს, მერე თავიდან იშორებენ და ბედნიერები არიან თავიანთ შვილებთან. მათთვისაც შვილები იგივეა, რაც ბალეტი ბალერინასთვის; დედები მხოლოდ თავიანთ შვილებზე ლაპარაკობენ, მაშინაც, როცა ვითომ სხვის შვილებზე ლაპარაკობენ, საკუთარ თავზე უარს ამბობენ, ეტყობა, საკუთარ თავს უკვე შვილებში ეფერებიან, შემდეგ კი ამას დედობრივ სიყვარულს, შვილებისთვის ყველაფრის გაღებას და ბოლოს ბავშვის აღზრდასაც კი უწოდებენ. სინამდვილეში, ეს წმინდა ნარცისიზმია. მშვენიერი იულიკას შემთხვევაში ფრიგიდული ქალის ნარცისიზმი იმ უპირატესობით მაინც გამოირჩეოდა, რომ სხვა ცოცხალ ადამიანზე არ ძალადობდა, მხოლოდ ხელოვნებაზე, ჩაიკოვსკი და რიმსკი-კორსაკოვი, ხანდახან რაველი და ჰო, კიდევ სტრავინსკი იყო მისი ობიექტი და არა ბავშვები, რომელთაც მხოლოდ ერთი დედა ჰყავთ. მაგრამ ქალბატონი იულიკა შტილერი-ჩუდი ალბათ აიფოფრებოდა, მისთვის პირდაპირ რომ მეთქვა, ძირითადად ეჭვის თვალით ვუყურებ ქალს ხელოვნებაში-მეთქი; ალბათ ტყუილად გავირჯებოდი, თუ მის დარწმუნებას შევეცდებოდი, რომ ეს ქალის დაკნინება სულაც არ არის და, მეორე მხრივ, არც ხელოვნების დაკნინებაა. ალბათ დაკარგული შტილერი გაუცნობიერებლად ასევე ფიქრობდა (სხვა რა ინტერესი უნდა მქონდეს, რომ მას დავეთანხმო); ოღონდ ამას საყვედურად გამოხატავდა, სინაზეში შეფუთულ საყვედურად, რომ იულიკა მასთან ვნებას არ განიცდიდა, იულიკას ხომ საყვედურობდა და, სულელურია, მაგრამ თავის თავსაც. ვითომ ყველა ქალი იმისთვის ყოფილიყოს შექმნილი, რომ ამ გაგებითაც გაუწიოს

მამაკაცს პარტნიორობა! როგორც გითხარით, თვალში საცემია, და ნიშანდობლივიც, რომ ამ კაცს სულ ეგონა, ბოდიში მაქვს მოსახდელიო; როგორც ჩანს, თავისი მამაკაცურობის მარცხად მიაჩნდა, რომ მშვენიერი ბალერინა, რომელიც უფრო გულწრფელი იყო, ვიდრე სხვა გოგონები, მისი კოცნის ქვეშ არ დნებოდა. იულიკას სიცივე შემაშფოთებელი იყო, მაგრამ ნამდვილი. ცივად იმიტომ კი არ იქცეოდა, რომ ის აღეგზნო, პირიქით, ქალი უფრო ცდილობდა, ნებას დაჰყოლოდა, რომ ის ნაკლებად აღგზნებულიყო, ოღონდ ძალიან მალევე ხვდებოდა, რომ ეს დაყოლა მასში ზიზღს იწვევდა და ეს ზიზღი, რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა დაემალა. იულიკას ხომ მისი წყენინება არ უნდოდა. იულიკას ხომ მისი დაკარგვა არ უნდოდა. შტილერი ხომ ყველა სხვა მამაკაცს ერჩივნა. მეორე მხრივ კი, არაფრით არ შეეძლო ველური აღტყინება და ნეტარება გაეთამაშებინა, რომლისაც პატივმოყვარე მამაკაცს ყოველთვის სჯერა, რა გინდაც ცუდად ნათამაშევი იყოს. ქალის სიყვარულის და საკუთარი მამაკაცურობის დასტური მას აუცილებლად სჭირდება! რა საზიზღრობაა! და ამასთან შედარებით რა სიამეა იდგე სცენაზე; ათასობით უცხო თვალის მზერას გრძნობდე სხეულზე, სხვადასხვანაირ მზერას, გიმნაზიის მოსწავლეების და წესიერი ცოლიანი მამაკაცების მზერას, რომლებიც მის საცეკვაო ოსტატობაზე მეტად სხვა რამეს ხედავდნენ, და მართლაც, იულიკასთვის სულერთი იყო, როცა შტილერი, მისი ქმარი, თავის ძლიერ და მოქანდაკეობისგან ოდნავ გაუხეშებულ ხელს სხეულზე ადებდა. მისი უღონო თავისმართლება, დაღლილი ვარო, ხშირად შტილერს ხალისს უკარგავდა. შტილერს თავი სინაზის განსახიერება ეგონა და იულიკას დაღლილობა არ ესმოდა. შტილერს ყველაფერი თავისი ბრალი ეგონა!.. იულიკას თითქოს ტვირთი მოეხსნა მხრებიდან, როცა თეატრის ექიმმა უთხრა, ფილტვზე რაღაც გჭირს და თავს უნდა გაუფრთხილდეო. სცენის მტვრიანი ჰაერი იულიკასთვის ნამდვილად არ იყო სასარგებლო, მაგრამ მისი პროფესიის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ამიტომაც თავს უფრო მეტად გარეთ უნდა გაჰფრთხილებოდა. ასე უთხრა ექიმმა. ასე რომ, ეს მშვენიერი იულიკას აჩემება კი არ იყო, არამედ გონიერი საქციელი, როცა მეტ ანგარიშგაწევას დაზოგვას და სიმშვიდეს ითხოვდა. მის ჯანმრთელობაზე იყო ლაპარაკი! რას იზამ, იულიკა ნაზი, განსაკუთრებით ნაზი ქმნილება გახლდათ; ამიტომ, რა, ნაკლებად უყვარდა თავისი შტილერი? მაგრამ მასაც მეტი გულისხმიერება ჰმართებდა.

როგორც ჩანს, შტილერს სულ უფრო და უფრო ნაკლებ ესმოდა საკუთარი მეუღლის. მისი ეგოიზმი იქამდე მიდიოდა, რომ ექიმისგან

დადასტურებულ დაღლილობასაც საკუთარ თავზე იღებდა, მხოლოდ საკუთარ თავზე და ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ ბინიდან უსიტყვოდ გადიოდა, კარს იჯახუნებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ იულიკა ეუბნებოდა, დაღლილი ვარო. შინ გვიან ღამე ბრუნდებოდა და თან დუქნის საშინელი სუნი მოჰყვებოდა, ისეთი ოხშივარი ამოსდიოდა პირიდან, მართლაც გაუსაძლისი იყო. ანდა იტყოდა: ერთი შენი თავი მანახა, რომ დაღლილი არ იყოო! ხმა საყვედურით, ბრაზით ჰქონდა სავსე. რა უნდა ექნა იულიკას? სხვათა შორის, არასდროს უთქვამს, შენ ხომ ქალი არა ხარო! მაგრამ იულიკა კარგად გრძნობდა, რომ შტილერი მას სხვა ქალებს ადარებდა. შტილერს ჭკუიდან გადაჰყავდა, და საკუთარი თავისთვის, მისთვის და მთელი სამყაროსთვის საპირისპირო რომ დაემტკიცებინა, ალბათ სხვა გზა არ არსებობდა, გარდა დაუფარავი ფლირტაობისა, რაც მას სრულიად არ ახასიათებდა. შტილერმა მიიყვანა აქამდე. მას უგემოვნობად მიაჩნდა, როგორ აძლევდა იულიკა გაარშიყების უფლებას შემთხვევით გადაყრილ მამაკაცებს, განსაკუთრებით ისეთს, რომელსაც ბედი მალევე დააშორებდა. იულიკას კი სიამოვნებდა, როცა ეუბნებოდნენ, რა ლამაზი ხარო და თან მის ხელოვნებას აქებდნენ. ამაზე შორს არც მიდიოდა. შტილერი დიდხანს არ ეჭვიანობდა, უბრალოდ გაოგნებული იყო, როცა იულიკა, განსაკუთრებით, რესტორანში ყოფნისას, ან რესტორნის წინ, ქუჩაში, როცა ვინმეს ემშვიდობებოდა, კოცნას არ იშურებდა. შტილერი მერე ეკითხებოდა ხოლმე, დარწმუნებული ხარ, რომ ყველას აკოცეო? ამას ჯერ ბავშვურ თამაშად იღებდა, ერთხელ კი გაცოფდა; რომელიღაც მეჯლისის შემდეგ მოხდა – იულიკა, ეს გრაციოზული ფერია, ხან ერთ კაცს ეჯდა მუხლებზე და ხან მეორეს და არ იღლებოდა „ლამაზი ქალის“ როლის თამაშით; შტილერი პალტოთი ხელში ელოდებოდა და, როგორც სჩვეოდა, ვულგარულად გამოხატავდა, რომ ამის შემხედვარეს გული ერეოდა. ძალიან ჭკვიანი და მართლაც საინტერესო მამაკაცები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც მშვენიერ, თანაც მომხიბვლელობითა და იუმორით დაჯილდოებულ, თავისი სილამაზით მოკეკლუცე იულიკას ეარშიყებოდნენ; შტილერს ყოველთვის ეგონა, რომ მის ცოლს ძირითადად მეტ-ნაკლებად ჰომოსექსუალ კაცებთან ჰქონდა საქმე და მისი ღიმილი, გასაგებია, რომ იულიკას შეურაცხჰყოფდა. მან არ იცოდა, როგორ უნდა შეეტყო კაცისთვის ჰომოსექსუალურობა. და ალბათ ამ ღიმილის ბრალიც იყო, რომ საწყალი იულიკა არ ცხრებოდა და იმაზე მეტად ირჯებოდა, ვიდრე ეს მის ხასიათში იყო; და ასე აღმოჩნდა ახალგაზრდა, მამაკაცურობით გამორჩეული ყმაწვილის მკლავებში, რომელიც სარეკლამო სააგენტოში მრჩევლად მუშაობდა და თან გადასარევი პატარა სახლი ჰქონდა

ასკონასთან. ეტყობა, შტილერი არ ელოდა, რომ იულიკა ამას გაბედავდა. მან იცოდა, რომ სარეკლამო სააგენტოს მრჩეველი, მისი ნაცნობი, დიდი ხანია ეტრფოდა ბალერინას და შტილერს ახლა ალბათ ისიც წიწკნიდა, რომ პირველად თავად შეახვედრა ერთმანეთს. ამოწშებდა, იულიკა ქალი იყო თუ არა? და მერე, როცა საქმე შორს წავიდა, კინაღამ გონება დაკარგა ჩვენმა კარგმა შტილერმა. ვერონალზე შეჯდა, რომ მთელი დღეები ეძინა და თავის ატელიეში ჩაიკეტა. ახლა უკვე იულიკას მიაჩნდა ეს უგემოვნობად. ალბათ შტილერს ეშინოდა, რომ კაცი გამოჩნდა, ნამდვილი მამაკაცი; და მიზეზი არ ჰქონია, მაგრამ ხანჯლის ალესვა დაიწყო. თავის საცოდავ წერილებში წარმოედგინა, რომ იულიკა, მისი ბალერინა, დედა გამხდარიყო და ბავშვის ეტლით დასეირნობდა ლაგო მაჯორეს სანაპიროზე. მისი საქციელი იულიკასთვის ისეთივე მომაბეზრებელი იყო, როგორიც თავად ეს ხანმოკლე სასიყვარულო ისტორია, რომელმაც ალბათ სულ რაღაც ერთი კვირა გასტანა ასკონაში. სარეკლამო სააგენტოს ახალგაზრდა მრჩეველს მკაცრი განრიგი ჰქონდა, სულ აქეთ-იქით დაფრინავდა, იულიკას კი, ბუნებრივია, ამასობაში რეპეტიციები ელოდა. შტილერი ყოველ მეორე დღეს ეკითხებოდა, ასკონაში რატომ არ მიდიხარო; თან ისე უყურებდა ხოლმე, თითქოს იულიკას მის რომელიმე კითხვაზე პასუხი ემართა, კითხვაზე, რომელსაც იულიკა მართლა ვერ ხვდებოდა. მაინც რისი გაგება უნდოდა შტილერს? იულიკასთვის ეს სალაპარაკოდაც არ ღირდა, ისედაც თავშეკავებული და მორცხვი არსება იყო, საუბარი უჭირდა და ბოლოს იფიქრა, შტილერიც მიხვდება, რომ ყველაფერი დამთავრდაო. მაგრამ, როგორც ჩანს, შტილერი ვერ მიხვდა, ანდა დარწმუნებული არ იყო. სარეკლამო სააგენტოს მფრინავი მრჩეველი მისთვის დარჩა დიდ კაცად, რომელმაც იულიკას გაბედნიერება შეძლო. ამაში მაშინვე დარწმუნდა, როგორც კი პირველად ეცა შიშის ელდა და ვერ ამჩნევდა, რომ იულიკა საერთოდ არ შეცვლილიყო. ალბათ ეგონა, თავს მაჩვენებს, ბედნიერებას მალავს, რომ მე დამზოგოსო, არადა, იულიკას, ყველაფერ იმის მერე, რაც შტილერმა გაუკეთა, მცირედითაც არ ნდომებია მისი დაზოგვა. ასე ჩასაფრებული ცხოვრობდა შტილერი კიდევ თვეობით, ერთხელ მისი ჩანთაც კი გაქექა, რომ რამე ენახა, თუნდაც სტრიქონის ნაგლეჯი, წერილი, ასკონაში წასასვლელი ბილეთი, ციცქნა კალენდარში ჩანაწერი. მაგრამ რეპეტიციების, დალაქთან და კბილის ექიმთან ვიზიტების გარდა ვერაფერი იპოვა. წარმომიდგენია, რა მომაბეზრებელი იქნებოდა იულიკასთვის, რომ შტილერი ისევ ამ ამბავს მოეცვა, განსაკუთრებით მომაბეზრებელი იქნებოდა, რომ ქმარი საყვედურს არ გამოთქვამდა, მაგრამ დევნილის გამომეტყველებით ელოდებოდა რაღაცას, მხსნელ

სიტყვებს. რა უნდა ეთქვა მისთვის იულიკას? ერთხელ, როცა შტილერმა პირდაპირ ჰკითხა, რას წარმოადგენს შენთვის სარეკლამო სააგენტოს მრჩეველიო, იულიკამ უპასუხა: „შტილერ, შენ მე გამაგიჟე, აღარ ვილაპარაკოთ ამაზე, ხომ დავბრუნდი, ნუღა გამაგიჟებ!..“ ასეა თუ ისე, იულიკა ფიქრობდა, ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაც შტილერს ასმაგად არ გაეკეთებინოსო, და ახლა მისი ჯერი იყო, გაებედნიერებინა სახლში დაბრუნებული ცოლი.

შემდეგი რამდენიმე თვე მშვენიერი აღმოჩნდა.

შტილერი, რომელსაც ვიღაცისგან გაეგო, რომ სარეკლამო სააგენტოს მფრინავ მრჩეველს უკვე დიდი ხანია სხვა მეგობარი ქალი ჰყავსო, იულიკას თეატრის წინ ელოდა ხოლმე, ბრინჯს ამზადებდა ვალენსიურად და აღარ სწყინდა, როცა რეპეტიციისგან დაღლილი იულიკა ოდნავ ან საერთოდ ვერ სინჯავდა მის გაკეთებულ კერძს. გულშემატკივრობდა, რადგან საშინლად იყო დაპირისპირებული რეჟისორთან და მისი მხარე ეკავა; ექიმის რჩევას ითვალისწინებდა და უფრთხილდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა – რამდენიმე თვის მანძილზე. მერე, როგორც ჩანს, ისევ წამოუარა ეგოიზმმა და იქით ელოდა იულიკასგან ბრუნვას, ისევ უსიტყვოდ გადიოდა სახლიდან, კარს გაიჯახუნებდა და თვრებოდა, მაგალითად, იმიტომ, რომ დაღლილ იულიკას თავი არ ჰქონდა ესმინა, როგორ ლაპარაკობდა საათობით მოქანდაკეობაზე. მეორე დღეს თავს უფლებას აძლევდა, აღენიშნა, შენი ლოთობა ძვირი გვიჯდებაო. შტილერს მისი ლაპარაკიც სწყინდა და დუმილიც. როგორ უნდა მოჰქცეოდა იულიკა ნაზად კაცს, როცა გრძნობდა, რამდენი ბოღმა ჩაეხვია გულში. ერთ დილასაც, საუზმისას, შტილერმა ჰკითხა, რატომ მოჰყევი თეატრში, რომ ჩემი ახალი პალტო, ამერიკელი ჯარისკაცის პალტო შენი ფულითაა ნაყიდიო. იულიკამ კითხვა ვერ გაიგო. „რატომ უყვები ასეთ რამეს მთელ დასს?“ – ჰკითხა და თან ბრაზისგან კანკალებდა, წვრილმანზე აიფოფრა. „მერე რა მოხდა?“ – ჰკითხა იულიკამ. შტილერმა ხელიდან გაზეთი გამოჰგლიჯა და ნახევარი საათი უხსნიდა, რაც მოხდა. მისი მსჯელობა უზნეობა იყო. იულიკას ცრემლები მოაწვა, და რადგან შტილერი არ ჩერდებოდა, იყვირა: „გადი, გთხოვ, აქედან გადი!“ შტილერი არ გავიდა, თუმცა კარგად ხედავდა, მისმა უზნეო მსჯელობამ როგორ იმოქმედა იულიკაზე. „მაშინ მე წავალ!“ – თქვა იულიკამ, მაგრამ შტილერმა არ გაუშვა. „შენი დანახვა აღარ მინდა!“ – ყვიროდა კუთხეში მიმწყვდეული ქალი, „უზნეობაა, რასაც ამბობ, საზიზღრობაა!“ სხვათა შორის, ამჯერად ერთადერთხელ იყო, თითქმის ერთადერთხელ, რომ აღშფოთებულმა იულიკამ ასეთი გამოთქმები იხმარა. მიხვდა შტილერი, როგორ

უსამართლოდ მოექცა ამ ქალს? ბოდიშის მოხდა თავში აზრადაც არ მოსვლია. და ნაპრალი ღია დარჩა. და რადგან იწვნია, როგორ არ რცხვენოდა შტილერს წვრილმანის გამო ასეთი მდაბიო ქცევა, უკვე საერთოდ უჭირდა მასთან ლაპარაკი. ჩამოწოლილი დუმილი კი იზრდებოდა, ეს უარესი იყო, ვიდრე კინკლაობა. შტილერი საერთოდ ვერ ხვდებოდა, როგორ აწყენინა იულიკას. ქალის ქმედებას თუ უმოქმედობას ისე იგებდა, როგორც ეს მის ეგოიზმს უკეთ ელამუნებოდა, ჯიუტად და ურყევად.

და კიდევ ერთი რამ!

იულიკას მაშინ ძაღლი ჰყავდა, ფოქსი. ჩვეულებრივ ეს ძაღლი ჰყავთ ხოლმე უშვილო წყვილებს, ფოქსლაინს ეძახოდნენ, უფრო სწორად, ფოქსლის, ასე უფრო შეესაბამება ამ ქვეყნის ენას, სხვათა შორის, მშვენიერი ენაა. მაინცდამაინც კეთილხმოვანიაო, ვერ იტყვი, მაგრამ უბრალოა მიწიერი და კარგად თუ მიუგდებ ყურს, არც ისე უხეშია. იულიკას ძაღლი, ცხადია, უყვარდა, აბა, რატომ ეყოლებოდათ; ყველაზე დიდი ბედნიერება ესაა, ძაღლი თუ გიყვარს, გყავს და თუ არ გიყვარს, არავინ გაძალებს ყოლას. შტილერს არასდროს ესმოდა, როგორ შეიძლებოდა ფოქსლის ასეთი სიყვარული და ვერც ვერაფერს კითხულობდა მის თბილ თვალებში. იულიკას დედობრივ მოთმინებას დასცინოდა, როცა ფოქსლი ხელებს ყნოსავდა, და ამიტომ ყველგან აგვიანებდნენ, ძაღლს ქილიკით წმინდა ცხოველს ეძახდა. ყველამ იცოდა, რომ იულიკას დაგვიანება სჩვეოდა, მაგრამ არავის სწყინდა, ფოქსლი ისეთი სასაცილო იყო. რესტორანში, მისი პატრონის სილამაზის წყალობით, რომლის წინაშეც ყველა მეტნაკლებად კარგად აღზრდილი მიმტანი უძლური იყო, ფოქსლის უფლება ჰქონდა ისევე დამჯდარიყო რბილ სკამზე, როგორც შტილერს. შტილერი რომ ამას ვერ ეგუებოდა, მისი სადარდებელი იყო, მისი სიკერპის გამოვლინება. რატომ უნდა დაეტოვებინა იულიკას, რომელიც ისედაც ძალიან ცოტას ჭამდა, ძვირფასი სუკის ნახევარი თეფშზე? თანაც, ამის თქმა დამავიწყდა, უმეტესად ხომ იულიკა იხდიდა, სამაგიეროდ, შტილერს თავისი ღვინო არ აკლდა. იგი არაფერს ამბობდა, მაგრამ იულიკას მაინც ეგონა, ფოქსლის გამოქომაგება სჭირდებაო. ფოქსლი ამას გრძნობდა. ძაღლი იულიკას მხარეს იყო. შტილერს ეს ალბათ აბრაზებდა, ისინი უმრავლესობაში რომ იყვნენ, იულიკა და ფოქსლი, ორივეს უხვად ხვდებოდა აღტაცებული მზერა ყოველი მხრიდან, ყველა გადამწყვეტ საკითხში უპირატესობა მათ მხარეს იყო. არა, ეს საყვარელი ძაღლუკა შტილერს განა როდისმე უცემია; ესღა გვაკლდა! მაგრამ შტილერს ფოქსლი არ უყვარდა,

საერთოდ არ იმჩნევდა, ვითომ არც არსებობსო. სახლში რომ შეაბიჯებდა და გახარებული ძაღლი ფეხებზე შეახტებოდა, შტილერი წერილების თვალიერებას იწყებდა, მხოლოდ თავისი ფოსტა აინტერესებდა, თითქოს ვინმე მეცენატს ფული გამოეგზავნოს. ერთხელ ვიღაცამ ისევ რომ აღნიშნა, იულიკა, რა საყვარელი ძაღლი გყავთო, შტილერმა უპასუხა, კი, ძალიან საყვარელია, ისეთი ტკბილია, მალე მისგან კონფიტიურს გავაკეთებთო! შტილერი უბრალოდ ეჭვიანობდა ძაღლზე, ოღონდ კი არ ტყდებოდა, რაღაც თეორიას იგონებდა, რომელსაც ცოცხალ ფოქსლისთან საერთო არაფერი ჰქონდა და კვლავ იულიკას სულიერ სამყაროზე ლაპარაკობდა (და არა ფოქსლის სამყაროზე), რომელზეც წარმოდგენა არ ჰქონდა. რატომ არ უშვებდა, მაგალითად, შტილერი ძაღლს არასოდეს თავის ატელიეში? მერე უკვირდა, რომ თვეები, ხანდახან მთელი წელი ისე გადიოდა, მისი ცოლი ფეხს არ დაადგამდა ატელიეში და ნაწყენი იყო, ჩემი შემოქმედება საერთოდ არ აინტერესებსო. იულიკამ მართლა არ იცოდა, სად უნდა მიება ფოქსლი ატელიეში, რომ ძაღლს არაფერი დაშავებოდა, თუ უცნობ ქუჩებში საწანწალოდ უნდა გაეგდო, ოღონდ შტილერს კიდევ ერთხელ ეწუწუნა, არაფერი გამომდის, წინ ვერ მივდივარო? შტილერი, ეტყობა, მართლაც მიმოზის განსახიერება იყო. წლების განმავლობაში რეპეტიციებს რომ ესწრებოდა და ჩანახატებს აკეთებდა, ხომ თავადაც ხეირობდა. ისე რომ ვთქვათ, რატომ უნდა მდგარიყო იულიკა უაზროდ მის მტვრიან ატელიეში, სადაც შტილერი წლების განმავლობაში ერთსა და იმავეს აკეთებდა და სადაც შეიძლება გაციებულიყო კიდეც? ეგოიზმი შტილერს ისე უბრმავებდა თვალებს, რომ ასეთ რამეებზე ვერც ფიქრობდა. მაინც რაღას ელოდა იულიკასგან? მისი ნაწყენი პოზა, რაც არ უნდა თავაზიანად დაემალა, საწყალი იულიკასთვის ტვირთი იყო. შტილერს ანაღვლიანებდა, რომ ის, ბალერინა, კრინტს არ ძრავდა, როცა შტილერი თავის მეგობრებთან ერთად ღამეებს ათენებდა და მოქანდაკეობაზე ლაპარაკობდა. თანაგრძნობის ნაკლებობად მიიჩნევდა და თავში არასდროს მოსვლია აზრად, იქნებ იულიკა, რომელსაც ქანდაკების არაფერი გაეგებოდა, ბუნებრივი მოკრძალებულობის გამო იყო, ხმას რომ არ იღებდა, ხასიათიც ხომ ასეთი ჰქონდა, თავშეკავებული და მორცხვი. როცა მისი ამხანაგები ბოლოს და ბოლოს წავიდოდნენ, შტილერი უხეშობას იწყებდა: რამე უბრალო წვნიანი მაინც შეგეძლო მოგემზადებინა, ეს მაინც გექნაო, გაბრაზებული ეტყოდა. იულიკას თავში აზრადაც არ მოსდიოდა მათი მომსახურება. და იმ დღიდან, როცა ახალი ქალი გაიჩინა, შტილერის გულისხმიერების მარაგიც ამოიწურა; პირდაპირი გაგებით: შტილერი გიჟდებოდა, რომ იმ თავის ვერანდაზე

მჯდარ იულიკას ის კი არ ენატრებოდა, არამედ ფოქსლი და სერიოზულად უკვირდა, რომ ცოლი, სნეული და მიტოვებული, ნაზ წერილებს არ სწერდა დავოსიდან, მართლა, საერთოდ არ სწერდა არაფერს, თუ არ ჩავთვლით პატარა ბარათს, რომელშიც შტილერს ქალაქში რაღაცის ყიდვას სთხოვდა; იულიკას ხომ წერა, უბრალოდ, არ შეეძლო! და როდესაც ერთხელ, იმ ზაფხულს, თვითონ რომ კვირობით არ მიეწერა, არ მორიდებია თავი იაფფასიანი მიზეზით ცივად ემართლებინა და უთხრა, შენც ხომ არ მოგიწერია ჩემთვისო...

და ა.შ.

სულაც არ მაქვს სურვილი, მშვენიერ იულიკასა და მის უგზო-უკვლოდ დაკარგულ შტილერს შორის მომრიგებელი მოსამართლის როლი ვითამაშო; მაგრამ სულ რომ იმ ტანჯულ დროზე ჰყვება, ბუნებრივია, ცდილობ გამოიცნო, რა რასთანაა კავშირში, თუნდაც, უბრალოდ, საუბრის თემა რომ შეინარჩუნო, დაახლოებით ისე, კროსვორდს რომ ავსებ. აბა, სხვა რა უნდა ვაკეთო ამ საკანში!.. ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ დაკარგული შტილერის კროსვორდის შესავსებად აუცილებელია მშვენიერი იულიკას ერთი პატარა გამონათქვამი გავიხსენოთ, რომელიც, წესით, დიდი ხნის წინანდელი უნდა იყოს. თვითონ იულიკა მას არ ახსენებს. ერთი სრულიად უწყინარი გამონათქვამია. უმნიშვნელო სიტყვები. და მაინც, ვიგებ, რომ შტილერმა დღემდე ვერ მოინელა, სულ უფრო და უფრო ვერ ინელებს. რაღაცნაირად ამ პატარა, სრულიად ერთი ციცქნა და იულიკას მიერ დიდი ხნის დავიწყებულ გამონათქვამთან კავშირში უნდა იყოს, შტილერი კრიალა ფერიასავით იულიკასთან თავს აყროლებულ მეთევზედ რომ გრძნობდა. ეს ფრაზა იულიკამ პირველ ღამეს თქვა. როგორც ჩანს, შტილერი მხოლოდ მიმოზა არ იყო, ავადმყოფურად ეგოისტი და შესაბამისად მგრძნობიარე, და სიტყვები, რომლებიც იულიკას ნებისმიერი მამაკაცისთვის შეეძლო ეთქვა, თავის თავზე მიიღო; ამას გარდა, საშინლად იცოდა გულში ჩახვევა, ეს კი საწყალი იულიკასთვის აუტანელი იყო. უეცრად, დიდი ხნის მერე, შტილერს ისევ ამოასხა! არადა, იულიკას, როგორც ირწმუნება, პირველი ღამის ნათქვამი ის პატარა ფრაზა დიდი ხანია დავიწყნოდა. შტილერმა კი ვერაფრით მოინელა, ეს რამდენიმე სიტყვა შუბლზე კაენის დამღად ესვა და არც ის შველოდა, იულიკა სხვა ადამიანების თვალწინ ნაზად რომ უსწორებდა და შუბლიდან უწევდა აჩეჩილ თმას. იულიკა ნაზად ექცეოდა. და ალბათ მაშინ მხოლოდ ის თქვა, რასაც სხვა გოგოც იფიქრებდა კაცთან პირველად ყოფნისას. შტილერს ამდენი ხომ უნდა გაეგო. ესმოდა კიდეც. მაგრამ ალბათ ის ტანჯავდა, რომ ეს იყო ერთადერთი ფრაზა,

რომლის თქმაც იულიკამ პირველი შეხების მერე შეძლო. და უცებ, ამდენი ხნის შემდეგ, ისევ ეს ძველი ამბავი ჩაიხვია; თვალებზე ეტყობოდა, როგორ ღრღნიდა შიგნიდან ეს ამბავი, როგორ ეკუმშებოდა სული და თავს იყრიდა ამ ერთადერთ წერტილში, როგორ ფარავდა ყველაფერს ამ ერთი პატარა, უწყინარი და სრულიად მშრალი ფრაზის ექო. და სწორედ მაშინ, როცა იულიკა განსაკუთრებულ სინაზედ იღვრებოდა ხოლმე, უცებ შეაკრთობდა ის, რაც ბევრი წლის წინ ამოუვიდა პირიდან. შტილერს თავი წაბილწულად მიაჩნდა. ისე იქცეოდა, თითქოს იულიკას იგი ეზიზღებოდა და სწორედ მაშინ გაურბოდა, როგორც ვთქვით, როცა ცოლს განსაკუთრებული სინაზე შემოაწვებოდა; შტილერი სპორტული მოცურავე უნდა ყოფილიყო; რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველდღე გადაცურავდა ტბას წინ და უკან, განურჩევლად იმისა, წვიმდა თუ არა, ხშირად ოქტომბერშიც: თავს იგვემდა. იულიკა ამას აჩემებას უწოდებდა, ამ ვითომ სპორტსმენობას. მაგრამ ეს შტილერს სჭირდებოდა, რომ თავი კარგად ეგრძნო. მას წყლით სავსე ტბა სჭირდებოდა, როგორც ჩანს. ვერ იტანდა, როცა ოფლიანობდა. და როცა ხალხში იყო და ოფლი დაასხამდა, ან იგრძნობდა, საცაა გავოფლიანდებიო, იუმორის გრძნობას მთლად კარგავდა, დამუნჯებული და საქციელწამხდარი იჯდა და სხვის საუბარსაც კი ვეღარ უგდებდა ყურს. ასეთ დროს ისეთი შიში ჩაჰბუდებოდა თვალებში, რომ იულიკას გული უჩუყდებოდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ გამოაყარა. ძირითადად, ეჩვენებოდა. მერე უცებ კმაყოფილებით იხსენებდა უცხო ქალბატონს, რომელსაც პიც პალუს მთაზე მისთვის ოფლიან სახეზე ეკოცნა. პიც პალუ იყო მისი მწვერვალი, დაუვიწყარი, განუმეორებელი, გრანდიოზული. ხორციელი შეუთავსებლობა, ეტყობა, მხოლოდ საკუთარ სხეულთან ჰქონდა. შტილერი აღფრთოვანებული იყო აუზში მოცურავე ბავშვებით, ბავშვების კანით, და მას ბალეტში მონაწილეთა სხეულებიც ხშირად აღაფრთოვანებდა. მისი აღტაცება ტკივილნარევი იყო, მას თან სდევდა ხეიბრის უიმედო ლტოლვის განცდა. შტილერი ოცდაათს გადაცილებული მამაკაცი იყო; მაგრამ თუკი ქალი (უხელთათმანო) ხელით ხელზე შეეხებოდა და ცოტათი შეაყოვნებდა, მერე შუბლიდან გაშეშებულ თმას გადაუწევდა, იმიტომ კი არა, რომ ცოტა მოეწესრიგებინა, არამედ იმიტომ, რომ მისი თმა შეეგრძნო, მისი ვიწრო შუბლი რომ შეეგრძნო, პატარა ბიჭივით იბნეოდა და ქალებს ეს უფრო იზიდავდა. როგორც იტყვიან ხოლმე, იგი იყო მამაკაცი საუკეთესო შანსებით, რომელსაც თავისი შანსების არ სჯეროდა. და შტილერს ეს უფრო აბნევდა, არა ეგრეთ წოდებული შანსი, არამედ შიში, რომ ვინმეს სულელი ეგონებოდა; სულ ეჭვები ღრღნიდა, ვერ იჯერებდა, რომ ქალი, რომელიც ხელზე

ეხებოდა, მის მიმართ ზიზღს არ განიცდიდა. ეს უბედური კაცი, ხშირად არა, მაგრამ ალბათ ხანდახან ყოველდღიური შხაპის შემდეგ, რომელიც მხოლოდ წამიერად აძლევდა სისუფთავის შეგრძნებას, სარკის წინ იდგა და აკვირდებოდა, რას უნდა გამოეწვია იულიკას, მისი კრიალა ფერიას ზიზღი და ვერაფერს პოულობდა, რაც მას თავად არ შეეზიზღებოდა. შტილერს ძალიან მოსწონდა კაცები, დაუღალავად ხატავდა მათ; ქალებსაც. მხოლოდ მას, სახელად შტილერს, არ გაუმართლა და მამაკაცის სხეულში დააბინავა განგებამ და ამით მისთვის ყველაზე სანუკვარი რამ შეურაცხყო; ეს მას იულიკამ, ამ გულწრფელმა ადამიანმა ღიად უთხრა, უწყინრად, მშრალად; და ძალიან ცუდი ის იყო, რომ ეს მისი ერთადერთი გამონათქვამი აღმოჩნდა... მოკლედ, შტილერს მგონი მართლაც რაღაც აჩემება ჰქონდა და საწყალი იულიკა, თავის მხრივ, საოცრად ნაზი არსება, ბუნებით მორცხვი და საუბარშიც პატარა გოგონასავით თავშეკავებული, რას გააწყობდა; მისი ნამდვილი ბუნება შტილერმა ვერასოდეს შეიცნო, იულიკასთვის იოლი არ უნდა ყოფილიყო ოდნავ ნევროტიკულ მეუღლესთან ცხოვრება. როგორც ჩანს, სხვებიც ასევე ფიქრობდნენ, კერძოდ, რომ შტილერმა ვერ შეიცნო იულიკას ჭეშმარიტი ბუნება, და ისეთი მეგობრებიც მოიძებნებოდნენ, შტილერს რომ აფრთხილებდნენ, ოღონდ ამით მხოლოდ მის უმადურობას იმკიდნენ. შტილერი ამას ვერ იტანდა. ასეთი საუბრის შემდეგ იტყოდა ხოლმე, ეჰ, ეშმაკსაც წაუღია ხალხი, სხვის ოჯახურ ცხოვრებაში რომ ერევიან ვითომ კეთილი განზრახვით და ჰგონიათ, კეთილი განზრახვა საკმარისია იმ საქმეში კეთილი განზრახვით ჩასარევად, რომლის მხოლოდ ერთი მესამედი იციანო. შტილერისთვის ასეთი მეგობრული სიტყვა კმაროდა, რომ ამბავი მოემთავრებინა; მან ყოველთვის ყველაფერი ყველაზე უკეთ იცოდა. ეუბნებოდნენ, საწყალ იულიკას უბრალოდ კი არ უყვარხარ, იმაზე მეტად უყვარხარ, ვიდრე იმსახურებო. შტილერი მხოლოდ თუ უპასუხებდა: ძალიან კარგი ქენით, რომ მითხარითო! სინამდვილეში კი, არც აფიქრდებოდა, რამე გულთან ახლოს მიეტანა. მისი ეჭვი, რომ იულიკას საერთო ნაცნობები დაგეშილი ჰყავდა, ისეთივე უსამართლო იყო, როგორიც ხშირად მისი საქციელი ამ ქალის მიმართ, რომელიც, მე ასე მგონია, ალბათ არავის გაუზიარებდა თავის ამბავს, ისეთი მორცხვი იყო. ხალხი მათ ურთიერთობას საკუთარი თვალით ხედავდა. შტილერს ამის ატანა არ შეეძლო. დიდხანს მეგობრობდნენ ერთ სასიამოვნო წყვილთან, ქმარი ვეტერინარი იყო, ცოლი კი ცნობილი პედიატრი, ორი ნამდვილად განათლებული ადამიანი, გულითადი და გულისხმიერი; მათ შტილერი ბევრ რამეს უმადლოდა, არა მხოლოდ ხშირ და უგემრიელეს სადილებს, არამედ იდეებს, ციურიხის საზოგადოებაში შეყვანას, ერთხელ

შეკვეთაც კი მიაღებინეს. შტილერს ეს ადამიანები ძალიან მოსწონდა, პედიატრი და ვეტერინარი, სანამ ერთხელ ქალმა, რომელსაც მარტო შეხვდა, ის კი მანამდე იულიკას შეხვედროდა მარტო, შტილერს არ მოახსენა, რასაც ფიქრობდა. კერძოდ, რა არაჩვეულებრივი ადამიანია იულიკაო, როგორი დახვეწილი და შინაგანი კულტურის მქონეო, მე, პედიატრს, ცხოვრებაში ასეთი ადამიანი იშვიათად შემხვედრიაო. შტილერმა მაშინვე გააწყვეტინა: „და ამას რატომ მეუბნებით?“ პედიატრმა ხუმრობით უპასუხა: „გულწრფელად გეტყვით, შტილერ, ხანდახან ვფიქრობ, რა დააშავა იულიკამ, რომ თქვენი ცოლია!“ და გაიცინა, რომ ეგრძნობინებინა, ვხუმრობო. შტილერი შემცბარა და ყინულივით გაცივებულა. „სერიოზულად! – განაგრძო მან და მართლა მეგობრულად უთხრა, – იმედია, მანამ მიხვდებით, სანამ გვიან იქნება, სანამ დაბერდებით, შტილერ, რა არაჩვეულებრივი ქალი გყავთ გვერდით, როგორი ძვირფასი ადამიანი, მართლა, სერიოზულად, ნამდვილად მთელი გულით ვისურვებდი, შტილერ, თქვენი გულისთვისაც!“ მაგრამ, როგორც ჩანს, შტილერს სიმართლის ატანა არ შეეძლო; ეს საუბარი რესტორანში შედგა, და შტილერმა მიმტანი მოიხმო, სანამ ქალი, პედიატრი, ისევ იულიკაზე ლაპარაკობდა. შტილერმა ისე გადაიხადა, პასუხი არ გაუცია. ხოლო შემდეგ, ყოველთვის, როცა პედიატრის და ვეტერინარის ეს მაგარი წყვილი სადმე დაპატიჟებდათ, შტილერს არასდროს ეცალა და ეს იყო მისი ერთადერთი პასუხი, ყველაზე იაფფასიანი პასუხი. იულიკა მართალი იყო, რომ შტილერის საქციელი არ მოსწონდა და ახლა მან დაიწყო პედიატრის და ვეტერინარის წყვილის დაპატიჟება; ერთხელ, როცა შტილერი სახლში დაბრუნდა, შემოსასვლელშივე იცნო ოთახიდან გამოსული ხმები და მაშინვე უნდოდა გაბრუნება. იულიკამ ძლივს აღკვეთა ეს საშინელი თავისმოჭრა; შტილერი ვახშამს დაესწრო, მაგრამ შემდეგ, ატელიეში უნდა წავიდეო, გამოაცხადა. უბრალოდ, გაიძურწა. დევნის მანიას შეეპყრო; შტილერი ნამდვილად ცდილობდა, მეგობრების მიმართ კეთილგანწყობილი ყოფილიყო, მაგრამ ისინი, რა თქმა უნდა, გრძნობდნენ მის უკუგდებას, შებოჭილობას. მერე კი ამ ჩვენს კარგ შტილერს უკვირდა, რომ ირგვლივ სიმარტოვემ დაისადგურა. არავის უყვარს ნაჩხუბარ წყვილთან სტუმრობა, დაძაბულობა ჰაერში ტრიალებს, გინდაც არაფერი იცოდე, და სტუმარს ხშირად უჩნდება განცდა, რომ ცეცხლის შეწყვეტის მდგომარეობას ესწრება, თავი სამაშველო ხიდი ჰგონია, ფიქრობს, რომ ბოროტად იყენებენ რაღაც მიზნისთვის და საუბარი იძაბება, გვიან საღამოს ბარიერი ირღვევა, უცებ ხუმრობაც უხამსი ხდება, ცოტა შხამიანიც, სტუმარი იმაზე მეტს ხვდება, ვიდრე მასპინძლებს სურთ,

გაამჟღავნონ; მოკლედ, რაღა დანაღმულ ველზე გივლია და რაღა ასეთ წყვილთან წასულხარ სტუმრად; და თუკი ბომბი არ სკდება, სიტუაციას მაინც ატყობ, ყველაფერი უკიდურესი თავშეკავების ფასად უჯდებათ. და რაც უნდა გულით ამბობდნენ მასპინძლები, რამდენი ხანია ასეთი სასიამოვნო საღამო არ გაგვიტარებიაო, გესმის, მაგრამ აღარ გიჟდები, ნეტა კიდევ დამპატიჟონო, და უნებურად ბევრი წინაღობა ჩნდება და მერე მართლაც ვეღარ პოულობ თავისუფალ საღამოს. რა თქმა უნდა, კრიზისში მყოფ წყვილთან ურთიერთობას არ წყვეტ. მაგრამ შეხვედრები სულ უფრო იშვიათი ხდება და მერე, ძალაუნებურად, შენც გავიწყდება იმ წყვილის დაპატიჟება შენს წვეულებაზე. შედეგი ესაა; შტილერს გაოცების საბაბი არ ჰქონდა, ისე იქცეოდა ყველა კეთილგანწყობილ ადამიანთან. საბედნიეროდ, შეიძლება ითქვას, იულიკას ბალეტი მაინც ახარებდა, უპირველეს ყოვლისა, მუშაობა. სცენაზე პროექტორები რომ აინთებოდა, სრულ თავისუფლებას განიცდიდა, სხვა ადამიანი ხდებოდა, ბედნიერი ადამიანი, ბედნიერების განსახიერება. შტილერი რეპეტიციებზეც აღარ აკითხავდა. თავის საქმეში იყო შემძვრალი. იმანაც არ უშველა, რომ ერთხელ, დილით, იულიკას მეგობრის ქმარი, ვეტერინარი გამოეცხადა ატელიეში სალაპარაკოდ, როგორც კაცი კაცთან, თან სასაყვედუროდ არ მისულა. ერთი წინადადებაც კმაროდა: „მე ვფიქრობ, შტილერ, თქვენს მეუღლეს უსამართლოდ ექცევით“. შტილერმა უპასუხა: „მართალია, აბა, თქვენ რას ელოდით?“ მისი ტონი წმინდა წყლის პროვოკაცია იყო. „როდესმე გინახავთ, რომ უსამართლობის გარდა რამე გამეკეთებინოს?“ ვეტერინარი ყველანაირად ეცადა, მაგრამ შტილერმა ზედ არ შეაფურთხა, თავისი მასტეხინის წმენდას შეუდგა, კარგად იყავიო, უთხრა და სტუმარი კარამდეც კი არ მიუცილებია. მართლა შეეპყრო დევნის მანიას, ყველა, ვინც იულიკას ემეგობრებოდა, თავის მტრად მიაჩნდა. რა უნდა ექნა იულიკას! შტილერი ეცოდებოდა. იგი თავად ირიყავდა თავს. რას არ ეცადა იულიკა! თავიდან იუმორით უდგებოდა, როცა შტილერს მოსწონდა ისეთი კაცის როლის თამაში, რომელსაც ვერავინ უგებს და ხშირად, როდესაც გაიფხორებოდა, დამბლადაცემულს ჰგავდა, შეიბოჭებოდა და ხმას არ იღებდა, მოწყენილობას შეიძლება მოეკლა, უკარება, უხალისო, გულგრილი ხდებოდა ხოლმე და არაფერი ეცხო მამაკაცისა, რომელსაც ქალის გაბედნიერება შეუძლია, ასეთ დროს იულიკა მხარზე დაადებდა ხოლმე ხელს და გაუცინებდა:

– ჰო, ჰო, შე საწყალო!..

* * *

ზაფხული დავოსში, ცხოვრება იუგენდსტილის ვერანდაზე, სადაც თივის სუნი იდგა და ციყვები დახტოდნენ, იოლი ნამდვილად არ ყოფილა. იქ, მაღლა, იულიკაც ალბათ ისე გრძნობდა თავს, როგორც ყველა ახალბედა: სულ პირველი შოკის, ორი თუ სამი ღამის შემდეგ, გაქცევას რომ გადაწყვეტენ და მერე საშინელი გრძნობა ეუფლებათ, და ყოველ ჯერზე სიკვდილისთვის ემზადებიან, როგორც კი შალის პლედში გაეხვევიან სულ ერთსა და იმავე ვერანდაზე წამოსაწოლად. მერე იულიკაც შეუმჩნევლად მიეჩვია განსხვავებულ ყოველდღიურობას, ხანდახან ტკბებოდა კიდეც უსაქმურობით, საერთოდ აღარაფერი რომ ჰქონდა საკეთებელი. სიმშვიდე იყო ერთადერთი, რაც მას მოეთხოვებოდა. იულიკასთვის დიდი ხანია სიცოცხლეს ასეთი სიამოვნება აღარ მიენიჭებინა. ეს დავოსი არც ისეთი საშინელება აღმოჩნდა, ჩვეულებრივი ხეობა იყო, მწვანე, მშვიდი, შეიძლება ცოტა მოსაწყენი, ციცაბო ტყეებით და ვაკე იალაღებით, აქა-იქ ქვიანი მთის ნაკადული მოედინებოდა, მოკლედ, ჩვეულებრივი ლანდშაფტი იყო, დიდი არაფერი. სიკვდილისცელიანი ჩონჩხი არსად ჩანდა, არა, ბალახს კრეჭდნენ, აქედან თივის სურნელი მოდიოდა, იქიდან წიწვის, სადღაც საქონლის ფუნას აგროვებდნენ, ვერანდის წინ ფიჭვებში კი ანცი ციყვი დახტოდა. დღისით თავი ალბათ არდადეგებზე გეგონებოდა. როგორც ჩანს, იულიკას იქ ყოფნა ძალიან გაუადვილა ერთმა მეზობელმა, რომელიც ყოველდღე თხუთმეტი წუთით ჩამოუჯდებოდა ხოლმე ფერხთით. ის კაცი გადარჩენილად ითვლებოდა, სეირნობის უფლება ჰქონდა და იულიკასთვის მინდვრის ყვავილები მოჰქონდა; ახალგაზრდა იყო, იულიკაზე უმცროსი, მაგრამ სანატორიუმის ვეტერანი გახლდათ, ძალიან გულისხმიერად ზრუნავდა ახალბედებზე. მას მოჰქონდა იულიკასთვის ისეთი წიგნები, შტილერი რომ ვერასდროს მოუტანდა, ანუ სრულიად ახალი სამყარო გაუხსნა და თანაც რა სამყარო! იულიკა კითხულობდა პლატონს, სოკრატეს სიკვდილს, უჭირდა, თუმცა სანატორიუმის ახალგაზრდა ვეტერანი ეხმარებოდა, თანაც ყოველგვარი მენტორული ტონის გარეშე, ვითომ სხვათა შორის, როგორც სჩვევიათ ადამიანებს, თავად რომ ძალიან იოლად ითვისებენ და ვერ წარმოუდგენიათ, ვინმეს შეიძლება ჭკუა არ ეყოს რაღაცის გასაგებად. მომხიბვლელი იყო თავისი ვიწრო, მუდამ ჭკვიანური სახით და დიდი თვალებით; ამ დროს ნამდვილად არ ყოფილან ერთმანეთზე შეყვარებულები. სავარაუდოდ, იულიკა მას ბალეტზე უყვებოდა, ხოლო სანატორიუმის ახალგაზრდა ვეტერანი, რომელსაც გარდაცვლილების კოსტიუმები ეცვა, ალბათ იმ ადამიანებზე, რომელთა ხველაც იულიკას ესმოდა ხოლმე, ოღონდ არცერთი მათგანი სახეზე არ უნახავს; მათი ცხოვრების მთელ ისტორიას

არ მოუყვებოდა, ალბათ მხოლოდ პატარა სახალისო ამბებს, არაფერს პირადულს. იულიკას ეს სიამოვნებდა, თავიდან მისი ოდნავ უცერემონიო ტონი ეუცხოებოდა, სანამ არ მიხვდა, რომ მოსწრებული ხუმრობა არ გამორიცხავს გულითადობას, პირიქით, გულითადობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა, შეიძლება უფრო უშუალო და გულწრფელიც კი. მოკლედ, იულიკა სიხარულით ელოდა ყოველდღიურ თხუთმეტ წუთს და ერთხელ, როცა სანატორიუმის ახალგაზრდა ვეტერანი არ გამოჩნდა, ძალიან განიცადა. ნეტა რა მოხდა? არც არაფერი. ოჯახმა ჩამოაკითხა, სულ ეს იყო. მეორე დღეს ისევ მოვიდა, იულიკას რენტგენის სურათი მოუტანა და რაღაცებს უხსნიდა. მისი სურათი იყო? არ უთქვამს. იულიკას აჩვენა, რას ეძახიან „ჩრდილს“ და ისე უხსნიდა სურათის შინაარსს, სანამ იულიკას ჩონჩხი სილამაზედ არ მოაჩვენა, ზედ გრაფიკული ნამუშევარივით არ შეახედა, უხილავი გულის გამჭვირვალობითაც არ აღაფრთოვანა და ნეკნებსა და ხერხემალს შორის იდუმალი ღრუბლების სილამაზითაც; კარგად თუ დააკვირდებოდი, დაკარგული მზის ჩამავალ შუქზე გაფანტულ ნაირ-ნაირ ფორმას აღმოაჩენდი. დაბოლოს, როდესაც ის თავხედი გამოუტყდა, ეს შენა ხარო, რენტგენში გაშუქებულ იულიკა შტილერ-ჩუდის საერთოდ აღარ შეშინებია. საიდან ჰქონდა ეს სურათი? გუშინ მოვიპარე, ექიმს რომ ველოდებოდიო; ამ სანატორიუმს ცოტა ანცობა არ აწყენს, აქ ყველა ძალიან სერიოზულია, ალბათ სხვაგანაც, მაგრამ აქ განსაკუთრებითო. იულიკას შტილერი გაახსენდა. მის ფერხთით გატარებული ასეთი თხუთმეტი წუთი იულიკას უფრო მეტად აინტერესებდა, ვიდრე შტილერის მოვალეობის მოსახდელად რეგულარულად გამოგზავნილი არაფრისმთქმელი წერილები. მისი სიტყვაუხვი დუმილი. რა უნდა ეპასუხა იულიკას ამ წერილებზე! ერთადერთი კარგი: მათი გამოჩენა ექიმებსა და ექთნებს აწყნარებდა; რადგან უკვირდათ, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უკვირდათ, რომ ბატონი შტილერი არასდროს ჩამოდიოდა იულიკას მოსანახულებლად. იულიკა მას იქით ექომაგებოდა, ხშირად იმეორებდა, ჩემი ქმარი ჩამოვაო! დროულიც იქნებაო! – ფიქრობდა მთავარი ექიმი, – ერთხელაც თქვენს მეულლეს მატარებლების განრიგს ამოვუწერ, თუ თავად ვერ პოულობსო!.. იულიკა ყველას ძალიან უყვარდა და დღისით, განსაკუთრებით, კარგი ამინდი თუ იყო, დრო სწრაფად გადიოდა. სანატორიუმის ახალგაზრდა ვეტერანი, კათოლიკური სემინარიის სტუდენტი, მართლაც ციდან მოვლენილი ძღვენი იყო. იულიკას აცვიფრებდა მისი ამხელა ცოდნა და ცოდნასთან შერწყმული ახალგაზრდული სიანცე. იგი იყო ყველაზე განსწავლული ადამიანი, რომელსაც იულიკა ოდესმე შეხვედროდა და ხშირად თავი წერა-კითხვის

უცოდინარი ეგონა, თუმცა, მეორე მხრივ, იმასაც გრძნობდა, რომ მოწიფული ქალი იყო. როგორც ვთქვით, იგი ჯერ კიდევ ბიჭი იყო. ყოველ შემთხვევაში, იულიკას ძალიან სიამოვნებდა მის ფერხთით ჩამომჯდარ ყმაწვილთან საუბარი, მისი ცოდნა, მისი ბიჭურობა. თუკი ისეთ რამეს ჰკითხავდი, რაც არ იცოდა, ისევე ხალისობდა, როგორც ფოქსლი, რომელსაც ქვას ან ნაძვის გირჩს გადაუგდებდნენ; რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდებოდა და ზუსტად იცოდა, სად და რა ეწერა იმ საკითხზე. მან აუხსნა იულიკას პირველად თანამედროვე ფიზიკა მართლა ძალიან საინტერესოდ მოეჩვენა, ყველაფერს მეცნიერული სიზუსტით უხსნიდა. შტილერი ვერასდროს შეძლებდა მისთვის აეხსნა თუნდაც ატომის აგებულება, გინდაც იმ წამს მოესმინა მოხსენება ამ თემაზე და თავად აღფრთოვანებულიყო. აქ იულიკას ყველაფერი ესმოდა, თითქმის ყველაფერი. კიდევ, იულიკამ გაიგო, რა მნიშვნელობა ჰქონდა ღვთისმშობელს, მდედრობითის გაწმინდანებას, რაზეც მას, როგორც პროტესტანტს, წარმოდგენა არ ჰქონდა. ამ ყველაფერს ისეთი დამაჯერებელი ცოდნით უყვებოდა სანატორიუმის ახალგაზრდა ვეტერანი, რომ გაუცნობიერებელი ადამიანიც იოლად მიჰყვებოდა მონათხრობს და გადამწყვეტ მომენტებს და აზრთა მდინარებას იოლად იგებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შტილერს ოდესღაც ესპანეთში კომუნისტების მხარეს ებრძოლა, იულიკამ პირველად მაშინ მოისმინა საქმიანი და უემოციო მონათხრობი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავდა კომუნიზმის იდეა, რა მოდიოდა ჰეგელისგან, რა ვერ გაიგეს სწორად ჰეგელთან, რა იგულისხმება დიალექტიკაში, რა არის კომუნიზმის ქრისტიანული მომენტი, რა ანტიქრისტიანული, რა არის სეკულარიზაცია, ტრანსცენდენცია; მგონი არაფერი არსებობდა დედამიწაზე, რაც ამ ახალგაზრდა, ვიწრო სახიანმა და თვალებჩაცვენილმა იეზუიტმა უბრალოდ არ იცოდა და რასაც სხარტად, ზუსტად, ზედმეტი ემოციის გარეშე ვერ მოყვებოდა, თან სახალისოდ, იულიკა სულ იცინოდა, სულერთია, ღვთისმშობელზე იყო საუბარი თუ სინათლის აბსოლუტურ სიჩქარეზე, მისი უემოციო მოხსენება თვალსაჩინოებას არ საჭიროებდა. იულიკას სიამოვნებდა, რომ მას არაფერი მოეთხოვებოდა. შტილერი სულ რაღაცას ახვევდა თავს, შეხედულებებს, რომელთაც მერე თავად უარყოფდა, მაგრამ მაშინ, როცა თავად აღფრთოვანებული იყო ამ შეხედულებით, იულიკას ისე აწვდიდა, რომ ვერ შეეპასუხებოდი. სულ სხვანაირი ჩანდა ეს ახალგაზრდა კათოლიკე! იულიკას შეპასუხების სურვილი საერთოდ არ უჩნდებოდა. იწვა თავის ვერანდაზე, ისე იწოვდა მის მონაყოლს, როგორც ტყიდან მონაქროლ ჰაერს. ამ ყოველდღიური სტუმრისგან გაიგო ალბათ იულიკამ შემთხვევით ის ცნობილი

მოსაზრება, რომ არსიყვარულის ნიშანია, ანუ ცოდვაა, როდესაც შენი მოყვასის ან საერთოდ ადამიანისგან დასრულებულ კერპს ქმნი, რათა უთხრა: შენ ასეთი და ასეთი ხარ და მორჩა! ალბათ ეს იყო მოსაზრება, რომელიც მშვენიერმა იულიკამ უშუალოდ გამოთქვა. განა ასე არ იყო, რომ შტილერმა, მისმა ქმარმა, შეიქმნა იულიკასგან კერპი?.. მოკლედ და კონკრეტულად, იულიკას მოწყენილობა არ იპყრობდა, და სანამ დღის სინათლეს ხედავდა, სულერთია, მზე ანათებდა თუ წვიმდა, ავადმყოფობას იოლად იტანდა.

ალბათ ღამე ასე არ იქნებოდა.

იულიკა ამაზე თითქმის არ ლაპარაკობს, მაგრამ მაინც ვხვდები, რომ განსაკუთრებით დილაობით, როდესაც ოთახში ექთანი შემოდიოდა, სინათლე ისევ ენთო და აწეწილ საწოლში იგი სრულიად ღონეგამოცლილ, ცივ ოფლში გალუმპულ, მთვლემარე იულიკას პოულობდა. ავადმყოფის ტემპერატურის მრუდი ცხადჰყოფდა, რამდენად ემორჩილებოდა საწყალი იულიკა გაფრთხილებას, არავითარ შემთხვევაში არ აღელდეო. იულიკა ცოტა მოშტერო სანიტარს, რომელიც მას ჰბანდა, ახალ თეთრეულს უგებდა და სათბურა და ჩაი მოჰქონდა, არაფერში უტყდებოდა, რომ ისევ და ისევ და ისევ არ გადაედოთ გასეირნების ნებართვა, რომელსაც უკვე კვირები იყო, ჰპირდებოდნენ. ასეთი საშინელი ღამეების დროს ალბათ იულიკას თვალწინ თავისი შტილერი ედგა იმ დაუვიწყარ პოზაში, წინა ღამის ნახმარ ჭიქებს რომ ამშრალებდა, შარვლის ჯიბეში თავისი ღამეული სტუმრის თმის სარჭს რომ იდებდა, ოღონდ იულიკამ ისევ არ დაიწყოს ამაზე ლაპარაკიო და მერე როგორ მიახეთქა კედელს წინა საღამოს ნახმარი ჭიქა, იულიკამ რომ უთხრა, სასიკვდილო სენი შემეყარაო... მეტი არაფერი...

შტილერი ახლა უკვე წერილებსაც აღარ იწერებოდა.

საინტერესოა, ნუთუ სხვამ მაინც არავინ უთხრა ამ შტილერს (რადგან საწყალმა იულიკამ თავად ვერ მისწერა), რა დღეში იყო იქ, ზევით, დავოსში მისი ცოლი, რომელიც, მიუხედავად სხვა ქალის არსებობისა, მაინც მისი ცოლი იყო და იმდენად კი უყვარდა, რომ უნდოდა, მას მონატრებოდა. მაგრამ შტილერს ხომ არ შეეძლო ვინმეს პირისპირ დალაპარაკებოდა; იმ რამდენიმე ნაცნობმა, რომელმაც ეს დააპირა, ბუნებრივია, თავი დაანება და ახალი ნაცნობები, რომლებიც შტილერს ალბათ ჰყავდა, ისევე ვერ წარმოიდგენდნენ, რა საშინელ ღამეებს ატარებდა იულიკა, როგორც თავად შტილერი... ან საერთოდ ვინმემ

უწყოდა ეს? საწყალი იულიკა არავის უტყდებოდა. ეტყობა, მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცოდა, კერძოდ, სანატორიუმის ახალგაზრდა ვეტერანმა. და ისიც ისე მსუბუქად და ხალიასიანად ლაპარაკობდა ამ თემაზე, როგორც თავის საეკლესიო მამებზე, სინათლის აბსოლუტურ სიჩქარეზე (რომელიც არ ორმაგდება, როცა სინათლის ორი სხივი ერთმანეთს ჩაუქროლებს) და სიჩქარის მიმატებისა და გამოკლების კლასიკურ კანონზე, რომელიც, თურმე, მაინცდამაინც სინათლის შემთხვევაში არ მოქმედებს, და ბუდიზმზე. იგი ისევ იჯდა მის ფერხთით, ამგვარი მეცნიერული ცოდნით დახუნძლული, ქანცგაცლილი იულიკა ცდილობდა, მისთვის ყური დაეგდო, და უყვებოდა, ერთ ჟურნალში ციურიხელი პროფესორის, შერერის ფრაზა წავიკითხე და ძალიან მომეწონაო, კერძოდ: მასა არის ენერგია ბანკის გაყინულ ანგარიშზეო. „ხო სასაცილოა?“, ჰკითხა იულიკას. „კი, მართლაც სასაცილოა!“ უპასუხა იულიკამ. „ასეა!“ განაგრძო მან, ტონი საერთოდ არ შეუცვლია, ისევ ჟურნალში იფურცლებოდა, „დღისით აქ ჭადრაკს თამაშობენ ან კითხულობენ, ღამე ტირიან, თქვენ არა ხართ ერთადერთი, იულიკა, მერწმუნეთ. ყველა ასეა. თავიდან, ასე, პირველი კვირები და თვეები გაოგნებული ხარ, რა სილამაზეა ირგვლივ, თივა და წიწვები და ციყვები და მისთანები, მერე მაინც თავზარი გეცემა. ბალიშში თავჩარგული ტირი და არ იცი, რა გატირებს, მაგრამ ტირილი საზიანოა, მარტო ის ვიცით, რომ ჩვენი გავარვარებული სხეული ფერფლად იქცევა. და შემდეგ, ადრე თუ გვიან, ყველა გაქცევაზე ფიქრობს. განსაკუთრებით, ღამე, როცა მარტო ხარ; საოცარი გეგმები ფუთფუთებს თავში, ზოგს თავი ნაპოლეონი ჰგონია და ზოგსაც ჰიტლერი, მაგრამ რუსეთამდე ვერავინ ჩადის, ჩვენნაირები ქვევით, ხეობაშიც კი ვერ ჩადიან, იულიკა, ოთხი საათი უნდა იმგზავრო მატარებლით, ლანდკვარტში გადაჯდე, უმარტივესია. ზოგი ყოველ წელს ცდილობს, ჩუმად იდებენ ჯიბეში კბილის ჯაგრისებს, ექთანს ეუბნებიან, ტუალეტში მივდივარო და მატარებლით ხეობაში ჩადიან, ზოგი შორს მიდის, ზოგიც ვერა, გააჩნია, ვის როგორ გაუღიმებს ბედი, ან როგორი ამინდია, მერე ცუდად ხდებიან, ჰგონიათ, რომ იხრჩობიან და უსიტყვოდ ბრუნდებიან უკან სასწრაფო დახმარების მანქანით. „So what?

აგვისტოში შტილერი მაინც გამოჩნდა, გაუფრთხილებლად და საერთოდ, იულიკა ფიქრობს, რომ მთავარი ექიმი მისი გამოჩენის მანერამ უფრო გააოცა, ვიდრე დიდი ხნის გამოუჩენლობამ. კერძოდ, შტილერი ისე იქცეოდა, თითქოს მის მშვენიერ იულიკას ამ იუგენდსტილის ვერანდაზე სრულიად უსაფუძვლოდ აჩერებდნენ. მაშინვე მოსთხოვა ექთანს, რომ

მისი ცოლისთვის გასეირნების უფლება მიეცათ, სულ მცირე, ერთი საათით. მიზეზი: შტილერს იულიკასთან სალაპარაკო ჰქონდა. რა მომხდარიყო? ვერანდაზე, სადაც, ეგონა, მარცხნიდან და მარჯვნიდან ყური აქვთ მოდებულიო, საუბარს ვერ წამოვიწყებო. ბერეტი მოიხადა, მაგრამ თავისი ამერიკელი ჯარისკაცის პალტო, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ ატარებდა, რადგან სხვა პალტო არ გააჩნდა, არ გაუხდია. იულიკამ ჰკითხა:

– როგორ ხარ?

შტილერი შებოჭილი ჩანდა, ბერეტს ხელებში ჭმუჭნიდა, გაღიზიანება ეტყობოდა, თითქოს ამ სანატორიუმში ყველას მისთვის უნდა გაეწია ანგარიში, რადგან იულიკასთან ცალკე ლაპარაკი სურდა. იულიკას მეგობრულ კითხვას, როგორ ხარო, წაუყრუა. ცოტა ხანში, მთავარი ექიმის ჩვეული შემოვლისას, შტილერმა ისევ გაიმეორა თხოვნა იულიკასთან ერთად გასეირნების ნებართვის შესახებ. მთავარი ექიმი ცოტა გაოგნდა, მაინცდამაინც ავადმყოფის თანდასწრებით, პირდაპირ უნდა ეთქვა, რომ მის მდგომარეობაში გასეირნებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო? იულიკა ხომ კვირების განმავლობაში ელოდებოდა გასეირნების ნებართვას. უბრალო უარი, მოკლე და კონკრეტული, რასაც შტილერი იმსახურებდა, ალბათ უადგილო იქნებოდა ისედაც სასოწარკვეთილი იულიკას თანდასწრებით. არა, რა უნდა ეთქვა მთავარ ექიმს? განზე იყურებდა, თითქოს არ უნდოდა, მისი ნათქვამი გაეგონათ და ჩუმად დართო ნახევარი საათით გასეირნების ნება, კარგი, ორმოცდახუთი წუთი იყოსო, მაგრამ შტილერს სთხოვა, გარეთ, კორიდორში დამელოდეთ, თქვენთან სალაპარაკო მაქვსო...

იულიკამ რამდენიმე თვის განმავლობაში პირველად დატოვა სანატორიუმი, რომელიც მისთვის რაღაცნაირად ლოკოკინას სახლად ქცეულიყო. უცნაური განცდა დაეუფლა, უცებ თავისი ვერანდის იქით რომ აღმოჩნდა. თავს უფრო სუსტად გრძნობდა, ვიდრე ეგონა. ხელკავით მიჰყვებოდა შტილერს, იგი ოდნავ იჭერდა ხელით, ოღონდ ისე არა, რომ ინვალიდი ჰგონებოდა ვინმეს. ნელ-ნელა გაუყვნენ ბილიკს, რომელსაც იულიკა ასე ხშირად უყურებდა თავისი ვერანდიდან (როცა წამოჯდებოდა ხოლმე, რომ ბილიკი დაენახა). საწყალი იულიკასთვის ნამდვილი სენსაცია იყო, ცრემლები მოაწვა, სიხარულის ცრემლები. ფეხქვეშ მიწას გრძნობდა, შეეძლო ნაძვის გირჩისთვის წაევლო ხელი, თითებზე ფისის სურნელი ეგრძნო, ეს ყველაფერი ისეთ ბედნიერებას ანიჭებდა, რომ შტილერმაც კი იგრძნო; ასე იყო თუ ისე, საუბარს მაინც არ იწყებდა.

– მაინც რა გითხრა ჩვენმა მთავარმა ექიმმა?

შტილერს არ უნდოდა გამხელა.

– მითხარი! – სთხოვა იულიკამ.

შტილერი დაბნეული ჩანდა.

– რა მითხრა? – ამოიღო ბოლოს და ბოლოს ხმა, – მითხრა, არავითარ შემთხვევაში არ ანერვიულოო. მეტი არაფერი. ძალიან სიტყვაძუნწია ეგ შენი მთავარი ექიმი. წესით, არ უნდა სეირნობდესო, მითხრა, შენი მდგომარეობა უფრო სერიოზული ყოფილა, ვიდრე მეგონა.

– გასაგებია, – თქვა მან.

– ჰო.

– მე არაფერს მეუბნებიან!

– ჰო, – დაამატა შტილერმა, რომ იულიკას ყურადღება სამედიცინო თემიდან გადაეტანა, ალბათ ასე ჯობდა, გაიღიმა, ბოროტად არა, მხოლოდ უცნაურად, სევდიანად, – და მერე, რა თქმა უნდა, მითხრა, როგორი დახვეწილი და არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ, სუსტი და ძალიან მოსაფრთხილებელი, ძვირფასი ადამიანი. ყველას მოთხოვნილება უჩნდება, ეს მომახსენოს. ალბათ იდიოტი ვარ!

– კარგი რა, შტილერ! – გაიცინა იულიკამ.

– არა, – თქვა მან, – ალბათ მართლა იდიოტი ვარ, კარგია, რომ გნახე. რაღაცები მელანდება, როცა ერთმანეთს ვერ ვხედავთ, მე, ყოველ შემთხვევაში, ასე ვარ.

იულიკამ კითხვა გაუმეორა:

– რას აკეთებ იქ, ქვევით?

– აჰ, არაფერს, – ჩაიბურტყუნა მან.

– ფოქსლი ერთხელ მაინც თუ გინახავს?

– არა.

– სულ მუშაობ?

შტილერს საუბრის სურვილი მაინცდამაინც არ ჰქონდა.

– კი, – გაიმეორა მან, – სულ ესაა, რაც მითხრა: რომ ძალიან დახვეწილი არსება ხარ და იმსახურებ, კაცმა ხელის გულზე გატაროს; და რომ როგორმე უნდა ვეცადოთ, რამეზე არ ინერვიულო. ეს გაწყენს, შენი მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია... იულიკა, ეს, მგონი, სამჯერ მითხრა.

ასე, ხელკავით, იულიკასთვის და შტილერისთვის უჩვეულოდ, რაღაცნაირი დუმილით, თითქოს ყველაფერი მნიშვნელოვანი უკვე ნათქვამი ყოფილიყოს და ახლა მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, აგვისტოს უღრუბლო დღით და მსოფლიოში გამოჩენილი ჰაერით დამტკბარიყვნენ, მისეირნობდნენ კლასიკურ პრომენადზე, რომელიც სავსე იყო ნაძვის გირჩებით და საკმაოდ თავხედი ციყვებით, და რომელიც იულიკამ და ჩემმა ადვოკატმა ამას წინათ მაჩვენეს; მართლაც მშვენიერი პრომენადი იყო, ტყეს მდელო ენაცვლებოდა. ქვევით, ქალაქში, საშინელი ბუღი იდგა, ჩახუთული ჰაერი, ჭექა-ქუხილის წინ რომ იცის ხოლმე, რომელიც არასდროს იწყება, და ისე ცხელოდა, ოფლი გასხამდა, აქ, ზევით, საერთოდ არ ოფლიანობდი. შტილერი ტკბებოდა იქაურობით. მდელოებს სურნელი ასდიოდა. ამასობაში ძალიან შორს ვერ წავიდნენ, საწყალი იულიკას გამო. შტილერმა თავისი ყავისფერი ამერიკელი ჯარისკაცის პალტო გაიხადა, მართლაც პრაქტიკული რამ გახლდათ, და მშრალ და რბილ, მზით გამთბარ, ნაძვის წიწვებით მოფენილ მიწაზე დასხდნენ. უბრალოდ, არაჩვეულებრივი იყო. რა საჭიროა საუბარი! ფიქრობდა იულიკა. და თითქმის არც უსაუბრიათ. შეუძლებელი აღმოჩნდა რამეზე ელაპარაკათ, სანამ მთავარი არ იქნებოდა ნათქვამი. ბოლოს იულიკამ ჰკითხა: „რა იყო, რა უნდა გეთქვა ჩემთვის?“ სადღაც, შუადღის სილაჟვარდეში უხილავი ქვის გრუხუნი ისმოდა. მწერები ზუზუნებდნენ. მთები ვერცხლისფრად გარინდულიყვნენ. იულიკა ამაოდ ელოდა, რომ შტილერი რამეს იტყოდა. ის თითებში წითელ მიწას ფშვნიდა, სანამ იულიკამ, ღმერთია მოწმე, შარზე არ იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ რამე ეთქვა, სრულიად უწყინრად დაანახვა, როგორ ისვრიდა მიწით ცოტა გრძელ ფრჩხილებს. ჩვენმა კარგმა შტილერმა, ამ მამრმა მიმოზამ, შენიშვნა იწყინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია (მოგვიანებით გაიხსენა ერთ წერილში). დაფშვნილი მიწა უსიტყვოდ დაყარა ძირს, ხელები დაიფერთხა, ძირიდან წვრილი ტოტი აიღო და ფრჩხილები გაიწმინდა; ეს იულიკას არ მოუთხოვია. უცნაურად გაიჟღერა მისმა მოულოდნელმა შეკითხვამ: „როდისმე გყვარებივარ?“ რა უნდა ეპასუხა იულიკას! მაგრამ შტილერი სათითაოდ იწმენდდა ყველა ფრჩხილს და ჯიუტად მოითხოვდა

პასუხს თავის უცნაურ, ციდან მოტანილ კითხვაზე. „ეს რა შუაშია ჭუჭყიან ფრჩხილებთან?“ ოდნავ ხუმრობით ჰკითხა იულიკამ და დაინახა, სიბრაზისგან როგორ უთრთოდა ტუჩები შტილერს: „აქ იმისთვის ჩამოხვედი, რომ ეგ გეკითხა?“ ორივე მიხვდა, რომ ეს ტონი უადგილო იყო, კარგს არაფერს მოასწავებდა, მშვიდი ტყის დიდებულებას არ უხდებოდა. შტილერი საერთოდ ვერ ხვდებოდა, რას ნიშნავდა საწყალი იულიკასთვის, პირველად შეეხედა ამ ტყისთვის სხვა თვალით და არა ვერანდიდან, რას ნიშნავდა, თავი დაეღწია იუგენდსტილის შუშის გალიისთვის, ახალგაზრდა იეზუიტის მოტანილი მინდვრის ყვავილების ნაცვლად, თავად დაეკრიფა ყვავილები, ისევ ჩაეცვა დავიწყებული საგარეო კაბა და არ ყოფილიყო გახვეული აქლემის ბეწვის პლედში. ნახევარი საათი უკვე გასულიყო. შტილერი ეწეოდა, ოღონდ იულიკას მოწევის ნებართვა სთხოვა, იულიკა კი ბალახის ღეროს იყრიდა კბილებში.

– შენი ქალბატონი როგორ არის?– ჰკითხა იულიკამ.

– ვისზე მეკითხები?– ჰკითხა მან.

– ისევ შეყვარებული ხარ?

მართლაც, იულიკა შეძლებისდაგვარად უმსუბუქებდა მდგომარეობას, მაგრამ შტილერი ნამდვილი ლაჩარი იყო; კრინტი არ დაუძრავს, რომ იმ ქალბატონს (როგორც ეს მოგვიანებით გაირკვა) თითქმის ყოველდღე ხვდებოდა. მხოლოდ შეხედა იულიკას და გაჩუმდა. რას ელოდა მუდმივად ამ ქალისგან? იულიკა ახლა თბილ ბალახზე იწვა, დაღლილი ამ პატარა გასეირნებისგან; გასაგებია, რომ დაიღლებოდა, მაგრამ მაინც დაჰყრდნობოდა მარჯვენა იდაყვს, რომ წამოწეულს უკეთ დაენახა იქაურობა, ტუჩებში გრძელი ბალახის ღერო უქანავებდა. გრძნობდა, რომ შტილერი გამომცდელად აკვირდებოდა მის წითელ თმას, ნატიფ ცხვირს, გარუჯულ კანს (ალებასტრის სიფერმკრთალე იულიკას, მგონი, უფრო უხდება) და უსაცხო ტუჩებს, მის მკერდსაც, მთელ მის სხეულს, ბალერინას სხეულს; შტილერი ისე გამომცდელად აკვირდებოდა, თითქოს პირველად ხედავდა ქალს. ვინმეს აღარებდა? შტილერი ძალიან შეყვარებული ჩანდა, ფიქრობდა იულიკა, მასში შეყვარებული, თან დაბნეული. ნეტა რატომ? იულიკამ ჰკითხა: „რა იყო?“ უცებ (იულიკას ღღესაც ეღიმება, ამას რომ იხსენებს) შტილერმა ხელი დაავლო, როგორც ტარზანმა, რაც, ღმერთია მოწმე, ნამდვილად არ ყოფილა, მოქანდაკის უხეშ ხელებში მოიმწყვდია მისი ნატიფი სახე და გაუგებარი ვნებით

აკოცა, რასაც, ბუნებრივია, საპასუხო კოცნა ასე მარტივად ვერ მოჰყვებოდა, თან ქალის დასუსტებული სხეული ისე მიიზიდა, თითქოს გაჭყლეტას უპირებსო. იულიკას მართლა ეტკინა, მაგრამ მაშინვე არ უთქვამს. ასე დაჟინებით რატომ უმზერდა? ერთხანს აცალა. მაგრამ ეს რას ნიშნავდა? იულიკა თავს იკავებდა, რომ არ გასცინებოდა, მაგრამ შტილერმა ესეც შეამჩნია. „შენ? – იყვირა,– შენ!“ მართლა ისე ყვიროდა, თითქოს იულიკა ხეობის მეორე მხარეს ყოფილიყო წამოწოლილი. კბილებიდან მოქანავე ბალახის ღერო გამოჰგლიჯა, რომელიც იულიკას სრულიად გასაგები უხერხულობის შესანიღბი რეკვიზიტი იყო. აღარც ახსოვდა, რომ ბალახის ღერო ჰქონდა გარჭობილი კბილებში. რას უშავებდა ეს უწყინარი ღერო? შტილერს თვალები აუბრწყინდა, აუწყლიანდა და როცა მიხვდა, რომ ცრემლი მოაწვა, თავი ქალის კალთაში ჩარგო და ორივე ხელით მოეხვია; იულიკას უცებ თვალი მოსწყვიტა გადაშლილმა ლანდშაფტმა, შორს მდებარე სანატორიუმმა, სოფელ დავოსის ცნობილმა პატარა ეკლესიამ, პატარა წითელმა მატარებელმა, რომელიც სტვენით გამოსრიალდა ტყიდან. რა მისი ბრალი იყო, რომ ყველაფერ ამას ხედავდა? შტილერი მის კალთაში ქვითინებდა, ალბათ ასე ქვითინებენ ომის ტყვეობიდან დაბრუნებულები, სადგურში რომ ჩამოდიან. იულიკა კაცის სახის სიმხურვალეს გრძნობდა. თან აინტერესებდა, ხომ არ ხედავდნენ მათ სანატორიუმიდან. შტილერს ხელები კი არა, კლანჭები ჰქონდა და იულიკას, ბუნებრივია, ეცინებოდა, ეუხერხულებოდა კიდეც, რომ შტილერი მის უკანალს იყო ჩაბღაუჭებული. ბოლოს, რადგან ქვითინს არ წყვეტდა, კისერზე დაადო ხელი, ოფლიან კისერზე, ხელი მისი მშრალი თმისკენ გააცურა და ელოდებოდა, როდის დაწყნარდებოდა. შტილერი არაფრით დაწყნარდა. არ უნდოდა. ცდილობდა კიდეც (სასაცილოა ამის თქმა), კალთაზე ეკბინა, ძაღლივით ეკბინა, მაგრამ ისეთი გახევებული იყო იულიკას მანჩესტერის ქვედაკაბა, რომ ვერ მოახერხა. „მოდი! – თქვა იულიკამ, – გეყოფა“. დღესაც არ იცის, რა უნდა ექნა მაშინ დავოსის პრომენადზე. უკვე კარგა ხანია ხედავდა, რომ მათკენ ორი უცნობი მოსეირნობდა, ნელა, მაგრამ მაინც უახლოვდებოდნენ, და უბრალოდ უხერხული იყო, როგორც იქცეოდა შტილერი, თანაც ეს ყველაფერი იულიკას თეატრს აგონებდა, მორტიმერს თუ კლავიგოს, ზუსტად ვერ გაიხსენა. მაგრამ უხერხული ნამდვილად იყო. შტილერი ახლა მკვდარივით იწვა მისი მანჩესტერის კალთაში, მძიმედ და გაუნძრევლად, აღარ ქვითინებდა, ხელები განზე გაეშალა; მოწყვეტილი, როგორც დაკმაყოფილებული მამაკაცი. „ვიღაცები მოდიან!“ ძალიან თბილად უთხრა იულიკამ. ვიღაცები უკვე თითქმის ას მეტრზე მოახლოებოდნენ, შტილერი ვერ შეეწინააღმდეგებოდა. წამოიწია, სახე

ისე გასივებოდა, როგორც წყლიდან ეს-ესაა ამოსულ მყვინთავს, აქეთ-იქით არ გაუხედავს და არ შეუმოწმებია, მართლა თუ უახლოვდებოდნენ ვიღაცები. ორივე ხელი სახეზე აიფარა, სანამ ამ ვიღაცებმა, ორმა მოხუცმა ქალბატონმა, უკნიდან არ ჩაუარეს, მერე ხელები ჩამოწია, მუხლებზე ჩამოკიდა და ხეობაში გაიხედა, ალბათ თავისი მდგომარეობა ძალიან ტრაგიკულად მოეჩვენა; ყოველ შემთხვევაში, მის შემყურე იულიკას სხვა არაფერი მოჰფიქრებია და მუდამ აწეწილი თმა შუბლიდან გადაუწია, თან გაუღიმა:

– ჰო-ჰო – შე საწყალო!..

შტილერს სათქმელი არაფერი ჰქონდა, მხოლოდ წამოდგა, მოჩურთული შარვალი აიწია და ისე, რომ იულიკას ადგომაში არ დახმარებია, ამერიკელი ჯარისკაცის დაკუჭული პალტო ძირიდან აიღო, მერე იულიკას ხელი გაუწოდა, რომ დაჰყრდნობოდა და სანატორიუმში დააბრუნა, იქ შეჰპირდა, რომ იმდენ ხანს დაიცდიდა სანატორიუმში, სანამ ისევ არ შეფუთავდნენ და ვერანდაზე არ გააგორებდნენ. ეს ამბავი ოცი წუთიც არ გაგრძელებულა. მაგრამ როდესაც ექთანმა კორიდორში გამოიხედა, ბატონი შტილერი აღარსად ჩანდა. ისე წავიდა, არც დამშვიდობებია…

ეს იყო მათი ბოლოსწინა შეხვედრა.
ქნობელი, ჩემი დარაჯი, უკვე ტვირთად მაწევს. გაზეთის მკითხველივით ელოდება ყოველდღე ჩემი ცხოვრების ისტორიის გაგრძელებას, მე კი მისი მეხსიერება შავ დღეში მაგდებს.
– მაპატიეთ, მისტერ ვაით, ასე ვერ იქნება, თქვენ ხომ ჯერ თქვენი ცოლი მოკალით?
– დიახ.
– შემდეგ დირექტორი შმითცი?
– დიახ.
– ეს ხომ ჯუნგლებში მოხდა! თქვენ თქვით, იამაიკაზეო. მერე კი გამოჩნდა ის კაცი, პატარი მულატი გოგოს ქმარი და ამის მერე გაიპარეთ მექსიკაში – და მერე? – მეკითხება და ხელში წვნიანის ჭურჭელი უჭირავს,
– მექსიკიდან კი აქ ჩამოხვედით.
– დიახ.
– ჰო, მაგრამ ის ორი მკვლელობა როდისღა ჩაიდინეთ? თქვენ ხომ თქვით, ხუთი კაცი მოვკალიო.
წვნიანს ვხვრეპ და ვეუბნები:
– იქნებ მხოლოდ სამი იყო.

– ხუმრობა იქით იყოს, – მეუბნება ქნობელი და როგორც ჩანს, ამ საკითხში იუმორი არ ჰყოფნის; ტვირთად მაწვება... მე მხოლოდ ამასღა ვამბობ:
– ადამიანის, ან, სულ ცოტა, მისი სულის მოსაკლავად მრავალი გზა არსებობს, ამ უკანასკნელს მსოფლიოში ვერანაირი პოლიცია ვერ ამჩნევს. სულის მოკვლისთვის ერთი სიტყვაც კმარა, სწორ მომენტში გამომჟღავნებული პირდაპირობა. ან ღიმილი. ნეტა ის კაცი მანახა, ვისაც ღიმილით ვერ მოკლავ ან დუმილით. ასეთი მკვლელობები, ცხადია, ნელა მიმდინარეობს. არასდროს დაფიქრებულხართ, ჩემო ძვირფასო ქნობელ, რატომ აინტერესებს ადამიანების უმრავლესობას ასე ძალიან ნამდვილი მკვლელობა, თვალსაჩინო და მტკიცებულებითი მკვლელობა? ხომ ცხადზე უცხადესია: რადგან, ჩვეულებრივ, ჩვენ მიერ ყოველდღე ჩადენილ მკვლელობებს ვერ ვხედავთ. რამხელა შვებაა, როცა ერთხელაც თოფი გავარდება, როცა სისხლი მოთქრიალებს ან როცა ვინმე ნამდვილი საწამლავისგან კვდება და არა მხოლოდ ქალის დუმილისგან. წინა ეპოქები, მაგალითად, რენესანსი, იმით იყო არაჩვეულებრივი, რომ ადამიანის ბუნება მოქმედებაში ვლინდებოდა; დღეს ყველაფერი შიგნითაა ჩახვეული – ასეთი შიგნიდან მკვლელობის მოყოლას დრო სჭირდება, ჩემო ძვირფასო ქნობელ, დრო სჭირდება, ბევრი დრო!
– მაინც რამდენი? – მეკითხება იგი.
– საათები და დღეები.
ჩემი დარაჯი მპასუხობს:

– მისტერ ვაით, შემდეგ კვირას თავისუფალი ვარ.

ესე იგი, იულიკამ, მიუხედავად დუმილისა, იცოდა, რომ შტილერს იმ ზაფხულს სხვასთან ჰქონდა ურთიერთობა. ურთიერთობა შეიძლება არ არის რომანტიკული სიტყვა, მაგრამ რატომ უნდა მოეძებნა იულიკას (თუკი ამაზე უფიქრია) უფრო ნაზი სიტყვა ამ ამბის აღსაწერად? მოკლედ, იცოდა. მაგრამ რას გახდებოდა ის საწყალი, ავადმყოფი, შუშის ვერანდაში გამოკეტილი? საერთოდ, ვერაფერს.
ვერაფერს მოთმინების, მოთმინებისა და კიდევ მოთმინების გარდა... ახლა, მით უმეტეს, ფიქრობდა საწყალი იულიკა ხანდახან, ხელოვნების მეტი აღარაფერი დამრჩენიაო და ხშირად ათვალიერებდა შვეიცარიული ჟურნალის გარეკანს (მეგობრებმა გამოუგზავნეს), რომელზეც მშვენიერი იულიკას, მოცეკვავე იულიკას ფოტო იყო დაბეჭდილი. იულიკა მარტოდმარტო! კარგი ფოტო უნდა ყოფილიყო, დეგას ნახატივით, მთრთოლვარე შუქი რომ ეცემა ბალერინების ფარფატა კაბებს. სხვათა

შორის, ფოტო გასულ ზამთარს იყო გადაღებული; იულიკას აღარც ეგონა, რომ თავის დროზე ამხელა ამბით გადაღებულ ფოტოს როდისმე დაბეჭდავდნენ. მაგრამ ახლა, აგვისტოს ბოლოს დაბეჭდეს, სწორედ ახალი სეზონის გახსნის წინ. ფოტო ასეთი იყო: იულიკა უკნიდან მოჩანდა, მარცხენა ფეხი აწეული ჰქონდა, შუქი მარცხენა პროფილს ეცემოდა; ნარნარა მკლავები კოკორივით გაშლილი ხელებით მთავრდებოდა, უნაკლო ფოტო იყო. ქვეშ ტექსტი: როგორც სჩვევიათ ხოლმე, ცოტა უაზრო, მაგრამ მთლად არასწორიც არა, ეს კი, ამ ჟურნალის შემთხვევაში, უკვე ბევრს ნიშნავდა. სხვათა შორის, სულაც არ იყო უმნიშვნელო ჟურნალი; იულიკას ცოტა გააჟრიალა, ტირაჟი რომ გაიგო. რამდენი იულიკა იყო უკვე ამ ქვეყანაზე, იულიკა კიოსკში, იულიკა მატარებელში, იულიკა შინ, იულიკა კაფეში, იულიკა ელეგანტური მამაკაცების პალტოს ჯიბეში, იულიკა წვნიანის თეფშთან, ყველგან იულიკა, იულიკა კარავში, სადღაც პლაჟზე, იულიკა საშუალოზე უკეთესი სასტუმროების დარბაზებში, მაგრამ ყველაზე მეტი ჯიხურში, ამ ქვეყნის ყველა ჯიხურში, უცხოეთშიც კი, მთელი კვირის განმავლობაში; მერე კი, მოგვიანებით, იულიკა კბილის ექიმების მოსაცდელში, მაგრამ ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაშიც, როცა გინდოდა, გამოითხოვდი და იულიკა ეკიდა ვიღაცების საწოლებს ზემოთ მარტოსულ ოთახებში. იულიკა ამით არ ამაყობდა, ნამდვილად არა, ოღონდ გაოგნებული იყო, რამდენჯერაც ხელში აიღებდა ამ ცოტა იაფფასიან ქაღალდს, მაგრამ უხაროდა, რომ არაჩვეულებრივი ფოტო გამოვიდა, მოცეკვავის ამპლუაში უნაკლო გახლდათ. ლამაზი რომ იყო, ძალიან ლამაზიც კი, იულიკას არ გამოჰპარვია. როდის, ნეტავ როდის შეძლებდა ისევ ცეკვას? თვალები დახუჭა და უკან გადაწვა, ცდილობდა, წარმოედგინა, როგორ დგამს ნაბიჯს დეგას ბალერინას კაბაში გამოწყობილი ის იულიკა ცარიელი სცენის დახაზულ ზედაპირზე, როგორ გახვეულა სიბნელეში და პროჟექტორების მოლურჯო სინათლის ნიაღვარში აშლილ მტვერში, რომელიც მას ყველაფერ მიწიერზე აღამაღლებს, ყველა ადამიანური ტვირთისგან ათავისუფლებს; და მერე, როცა პირველი ფარდა გვერდზე გასრიალდება, იულიკა უკვე ფეხის წვერებზე დგას; და როცა მეორე ფარდა, მძიმე ფარდა რვა წამს მოუნდება, სანამ გაშრიალდება და კარიბჭეს გააღებს, კარიბჭეს იმ სხვა სიბნელისკენ, სადაც წინა რიგებში მსხდომთა განათებული სახეები მოჩანს; და მერე, როცა ორკესტრი, რომელიც უკვე დიდი ხანია უკრავს, მის ფეხებთან, როგორც უფსკრულიდან ამოიჟღერებს, მთელი ძალით აგუგუნდება; აჰ, ეს მუსიკა ქარბორბალასავითაა, იულიკას ირგვლივ დატრიალებულ ქარბორბალასავით, მას სხვები მხოლოდ ხედავენ, მაგრამ ვერ

იხელთებენ; და მერე, როდესაც ჩირაღდნები გახურდება და ის ნათურებიც აკაშკაშდება, რომლებიც ე.წ. ხიდზეა, იულიკას სინათლე თვალს მოსჭრის და ვეღარაფერს შეიგრძნობს ირგვლივ არსებული სამყაროდან, მხოლოდ თავის სივრცეს, მის მოლოდინში გარინდულ სივრცეს; ისეთ რამეს გრძნობს, რასაც სხვაგან არსად – ნეტარებას, ენითაღუწერელ ნეტარებას, რომელსაც შიშისგან გადაყლაპავს; და მერე, როგორ უკრავს თავს (როგორც ჟურნალის ყდაზე) და იცის, რომ ახლა მისი თვალების ციმციმს ბოლო იარუსზეც ხედავენ; და მერე, და მერე დგამს პირველ ნაბიჯებს, თითქოს მთელ მუსიკას ახლა მხოლოდ მის სხეულში დაებუდებინოს სიმებიანი საკრავების ბეჯითი მუსიკოსები, რომელთაც დაკვრის დროს სახეზე თმა ჩამოშლიათ, ჩასაბერი საკრავების მუსიკოსები გაბერილი ლოყებით, ცნობილი დირიჟორი, რომელსაც წეროს ფრთებივით უფრიალებს ფრაკი და მხოლოდ იულიკასკენ აქვს მიპყრობილი მზერა, მხოლოდ იულიკასკენ; მონდომებული კონტრაბასისტი ბიჭები, მეტყეველებივით რომ ხერხავენ ინსტრუმენტს, სიმპათიური ბიჭი დასარტყმელ ინსტრუმენტზე, ნერვიულად და მორჩილად რომ ელოდება, როდის მოვა მისი ჯერი. ღმერთო ჩემო, რა ხმებს გამოსცემენ, მუსიკალური თემები ერთმანეთში გადადის, ეს ღრიანცელი, რომელიც არ წყდება, მაგრამ მუსიკა იულიკაშია, მის სხეულში ბუდობს, მისი სხეულიდან იშვება: ხელშესახებად, აშკარად. და მაინც: იულიკა თავის წარმოდგენაში პირველ ნაბიჯებს მაინც ვერასოდეს გასცდა. რა უცნაურია! რაღაცამ შეუშალა ხელი იულიკას ოცნებას – ციყვი იყო, რომელიც მისი ვერანდის წინ ხეზე იჯდა, მხოლოდ ციყვი, რომელსაც გამოხრული გირჩი ჩაუვარდა და თითქმის შეუმჩნეველი ხმა გამოსცა, თუ ხეობაში მიმავალი პატარა მატარებლის ნაცნობი საყვირი, თუ გლეხის ურმის ღრჭიალი, ამოწეული მუხრუჭით რომ მიექანებოდა ციცაბო დაღმართზე, თუ ქვედა ვერანდიდან ვიღაცის სუსტი ხველების ხმა, ანდა მცხობელი ბიჭის კისკისი, რომელსაც ეს-ესაა ახალი ფუნთუშები მოეტანა, უკვე შემოხტომოდა თავის ველოს და პოპულარული სიმღერის მელოდიის სტვენით ტყეში ეფარებოდა თვალს. პატარა მიზეზიც საკმარისი იყო, რომ იულიკას ბალეტზე ოცნების ძაფი გასწყვეტოდა. მოცალეობის ჟამს, სხვა საქმე რომ არ აბრკოლებდა და შეეძლო თავიდან დაეწყო ოცნება და ისევ წარმოედგინა, როგორ ეხვეოდა პროექტორების მოლურჯო შუქში, მაინც არაფერი გამოსდიოდა და პირველი ნაბიჯების იქით ოცნებას ვერ აგრძელებდა. აუხსნელი იყო, რატომ. არადა, უამრავი ბალეტი იცოდა ზეპირად, თითოეული ნაბიჯი. ამაოდ იღებდა ხელში იმ სულელურ ჟურნალს და არ ეჯერა, რომ ეს ფარფატა არსება თავად იყო, არსება, რომელსაც იულიკა მოეხვეოდა, ქაღალდის რომ არ ყოფილიყო, ისე

მოიმწყვდევდა მკლავებში, როგორც შტილერი ჩაეხუტა ამას წინათ. ცრემლები მოაწვა, ცრემლები, რომელიც იულიკამ თავისი კარიერის დასასრულს დაუკავშირა და ამიტომ ამ ცრემლებს ცუდი გემო ჰქონდა. ხშირად ეძალებოდა მუსიკის მონატრება. და როცა ბოლოს და ბოლოს ნება დართეს და მუსიკამ გაიჟღერა ახალგაზრდა იეზუიტის ნაშოვნი პატარა, შავი პლასტმასის ჯადოსნური ყუთიდან, და როდესაც ორივე ერთად უსმენდა სასურველ მუსიკას, ოღონდ ჩუმად, რასაკვირველია, მაგრამ მკაფიო და საკმაოდ სუფთა ხმას, მუსიკას, რომელზეც იულიკას ამდენჯერ უცეკვია, აღმოჩნდა, რომ ცალკე მუსიკას სიამოვნებით უსმენდა, რაც ბალეტის შემთხვევაში ასე არ იქნებოდა. უბრალოდ, ცეკვა იულიკასთვის უცებ იქცა გარდასული დროის გართობად,– თუმცა თავად ამას კიდევ დიდხანს არ აღიარებდა, – არაჩვეულებრივ თამაშად, რომელსაც იგი ვეღარ შეძლებდა, შინაგანად ვეღარ შეძლებდა. ამან იულიკა შეაშინა. ნუთუ მართალი იყო შტილერი, რომელსაც მისი წარმატების ცოტათი შურდა და იულიკას ცეკვა-თამაშს ისე უყურებდა, როგორც სხვა რაღაცის სანაცვლოდ გამოგონილ გასართობს? იულიკას ამის არ სჯეროდა, არც ახლა დაიჯერა. ცეკვის უნარი დაუბრუნდებოდა, ამის სწამდა. მაგრამ ახლა, დიდი მადლობა, მაგრამ საბალეტო მუსიკის მოსმენა აღარ სურდა, სხვას, რასაც გინდა, მოუსმენდა, რა ფირფიტებიც უნდა ეშოვა ახალგაზრდა იეზუიტს, ყველაფერს. ახალგაზრდა იეზუიტი მუსიკაშიც კარგად ერკვეოდა! იულიკას კი აწუხებდა, რომ შინაგანად ასე შორდებოდა ბალეტს. ნეტა ეს იმ გაწბილების ბრალი ხომ არ იყო, რომელიც იმ ზაფხულს განიცადა კოლეგებისგან? თეატრიდან არავის მოუნახულებია თავის ვერანდა-საპყრობილეში. ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თავ-პირს იმტვრევდნენ, რომ იულიკას მისალმებოდნენ, ყველანი მეგობრები იყვნენ, რომელთაც ისე უთრთოდათ გული იულიკას დანახვაზე, რომ შორიდან ეძახდნენ, იულიკა, ჩემო ძვირფასო, როგორ ხარო, არადა, დილას ერთხელ უკვე ნანახი ჰყავდათ ერთმანეთი. მართლაც საოცარი ხალხია; შტილერს მათი მაინც არასდროს ესმოდა. მაგრამ შტილერი სამართლიანი არ იყო. არ შეიძლებოდა ეს ხალხი მათი ადამიანური ერთგულების მიხედვით შეგეფასებინა. ამ ხალხის გულითადობა წამიერი აღფრთოვანებით განისაზღვრება. მათ ხომ იულიკა მართლაც უყვარდათ, ყველას, ბალეტის ქალებს ალბათ ნაკლებად, რადგან შურდათ იულიკას განუმეორებელი თმისა, მაგრამ კაცებს, შეიძლება ითქვას, ყველას უყვარდა: მომღერლებსაც, დირექციის ზოგიერთ წარმომადგენელსაც კი, გარდა ამისა, სახელოვან დირიჟორებს, რომლებიც ხანდახან აკითხავდნენ იულიკას ჩახუთულ და ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელ

გარდერობში, ხელზე ეამბორებოდნენ, მოყანყალებულ სავარძელში სხდებოდნენ და წინასწარმეტყველებდნენ, უცხოეთში დიდი კარიერა გელისო. ჰოდა, სად იყვნენ ახლა? ერთხელ ბარათი მიიღო, პრემიერის შემდეგ მოქეიფე საზოგადოებას გამოეგზავნა, ეს პრემიერა იულიკას გარეშეც არნახულ წარმატებად ქცეულა, ბარათზე რამდენიმე სიტყვა ეწერა, მოკლედ ეუბნებოდნენ, ძალიან გვაკლიხარო, სახუმარო ბარათი იყო, მხოლოდ სახელებით აწერდნენ ხელს, მეგობრებისგან მოკითხვაო. და მერე, კი, რამდენიმე პატარა ბარათიც მოვიდა, სასიამოვნო ბარათები, რეპეტიციის დროს დაწერილი, ანუ მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჭორები კოლეგებზე, სულ სასიამოვნო ამბები. და უეჭველია, იულიკას რომ შესძლებოდა გამომძვრალიყო თავისი პლედიდან და თეატრში მისულიყო, ყველა გარდერობიდან სიხარულის გადაძახილი იქნებოდა, კოცნით დაახრჩობდნენ, ისე ჩაიხუტებდნენ, როგორც შვეიცარიის ველორბოლის ფინიშზე მისულ გამარჯვებულს; იქნებოდა ერთი ხელის ჩამორთმევა და თვალებში ღრმად ჩახედვა, ზოგიერთი გულშიჩამწვდომად ეტყოდა, იცი რა, იულიკა, რასაც ახლა გეტყვი, შეიძლება ბანალურია, მაგრამ მე მართლა ასე ვფიქრობ, იულიკა, ძალიან მაკლდი ამ თვეების განმავლობაში, შენნაირი კოლეგა, იულიკა, იცი, რა, არ მინდა სენტიმენტალური მოგეჩვენო, მაგრამ რამდენჯერ მიფიქრია, იცი, რა კარგი იყო ჩვენს იულიკასთან ერთად, ახლა კი საწყალი გოგო იქ ზევით წევს, ღმერთო ჩემო, რამდენჯერ მიფიქრია შენზე, დამიჯერე, შენნაირი ჯიგარი, იცი რა, მაგრამ ეს ხომ ისედაც იცი, ღმერთო ჩემო, რა კარგია, რომ დაბრუნდი! მერე კიდევ ერთი კოცნა, ერთი გადახვევა, როგორც ორესტესა და ელექტრას შორის. და იულიკაც ყველაფერს დაიჯერებდა, აბა, რა, და მართალიც იქნებოდა. შტილერს ამ ადამიანების არასოდეს ესმოდა. შტილერი, კაცმა რომ თქვას, ყოველთვის ბიურგერი იყო, გინდ ესპანეთის ომში ყოფილიყო, გინდ არა. თეატრის ხალხის ატანა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მათთან ერთად მუშაობ და სანამ მათთან ერთად მუშაობ, მაშინ ხარ მათთვის განუყრელი. და არსებობს ძველი ქრისტიანობის მომენტები, მარტო კულისებში რომ ნახავ, მაგალითად, პრემიერის წინ რომ გგონია, ყველა ისე იქცევა, თითქოს ერთმანეთთან მარადისობას შეედუღაბებინოს, ყველა ასეთია ამ დროს. არადა, ტუბერკულოზით დასნეულებაც არ არის აუცილებელი, რომ ამ გულითად ადამიანებს სამიოდე თვეში სრულიად დაავიწყდე; საკმარისია, რაღაც დრო არ იცეკვო, ან ერთ მშვენიერ დილას მიხვიდე და გამოაცხადო, რომ სულ სხვა რამ გაინტერესებს, მაგალითად, ეკლესიის მამები ან სინათლის აბსოლუტური სიჩქარე; საკმარისია, მათი შემდეგი პრემიერა არ გეგონოს კაცობრიობისთვის ეგზომ მნიშვნელოვანი

მოვლენა და უკვე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდები; არა, გარდერობიდან კი არ გაგაგდებენ, რა თქმა უნდა, არა, ესენი ხომ ზრდილობიანები არიან, როცა ნერვები არ ეშლებათ, მაგრამ ეს ის ხალხია, რომელსაც თეატრის გარდა, სხვა თემაზე მოსაუბრე ადამიანები არ აინტერესებს. შეგიძლია მოუყვე, რომ ცალი ფილტვი დაკარგე, საერთოდ აღარ გაქვს, თავს მოგაჩვენებენ, რომ გისმენენ, ჩუმი და საქმიანი გამომეტყველებით, თან სარკეში იყურებიან და თვალიდან გრიმს იშლიან და ბოლოს, ჭუჭყიან ბამბას რომ გადააგდებენ, გკითხავენ: „დღეს დაესწარი წარმოდგენას?“ ესენი კომედიანტები არიან, არც აქვთ მეტის პრეტენზია, მსახიობები, მარტო ეს შეუძლიათ თავიანთი ნიჭის წყალობით. იულიკა ასეთი განსხვავებული იყო? ასევდიანებდა, რომ საკუთარმა თავმაც ულალატა... ერთხელ ერთი კოლეგა ესტუმრა, ოცი წუთი იდგა მის ვერანდაზე, ბევრი სისულელე მოჰყვა, ბოლო ფესტივალზე მომხდარი ამბები, რომელიც იულიკასთვის დაახლოებით ისეთივე მიუწვდომელი იყო, როგორც ვაგონებით რბოლა ანტიკურ ხანაში. იმ კაცმაც ჩასჭიდა ხელები, ტრაგედიისთვის დამახასიათებელი მზერით უყურებდა, ოღონდ განიცდიდა, ნაღდად. საბურავი გახეთქოდა, ასე რომ, თავისი „ფოლკსვაგენი“ (იულიკამ არც კი იცოდა, რომ ახლა „ფოლკსვაგენიც“ ყოლია) ხელოსანთან მიეყვანა, ამიტომ შეჩერებულიყო დავოსში, დღესვე უნდა დავბრუნდე ქალაქშიო და ამიტომ მეჩქარებაო, სამწუხაროდ, სამწუხაროდო. სამაგიეროდ, თქვა, რა კარგად გამოიყურება იულიკა, უკეთ, ვიდრე ოდესმეო. ეს დაწყევლილი თეატრის მტვერი, აბა, და დირექცია რომ არაფერს აკეთებს ამის საწინააღმდეგოდ და საერთოდ, დირექცია! დაემშვიდობა იულიკას, უკვე ათი წუთი დამაგვიანდაო და ნაღდად ვიცი, მალე გამოჯანმრთელდებიო და როგორ მიხარია, რომ კოლეგებს მოვუყვები, იულიკამ ყველა მოგიკითხათ-მეთქიო. იულიკა ბალიშებში ჩაეშვა. ის კი, გასული არ იყო, სტვენით ისევ წამოაგდო, ხელი დაუქნია, საყვარელი, „ფოლკსვაგენიანი“ კოლეგა. იულიკამაც დაუქნია ხელი. ოღონდ იმ მომენტში, დღესაც ზუსტად ახსოვს, ეგონა, მთელ სამყაროს დაემშვიდობა, არარსებულ სამყაროს, დაემშვიდობა თავის საკუთარ სამყაროს, პროექტორის მოლურჯო შუქის ნიაღვარს, რომელსაც აღარ შეეძლო იგი, იულიკა, უწონოდ ეფარფატებინა ჰაერში.

იულიკა ძალიან მარტოსული იყო.
რაც უფრო გრძნობდა, როგორ იფერფლებოდა მისი სუსტი სხეული ფთილასავით, მით უფრო ეძალებოდა მამაკაცის აქამდე უცხო და დამაბნეველი მოთხოვნილება, ძილშიც არ ასვენებდა სურვილი და თან

იცოდა, რომ ამ დროს შტილერი ღალატობდა. ამან დააწერინა იულიკას წერილები, რომლებსაც ვერასდროს გააგზავნიდა, არა, ვერაფრით გააგზავნიდა. იგი შტილერზე არც ოცნებობდა, უფრო ექიმებზე, მცხობელის შეგირდებზე და კაცებზე, რომლებიც მანამდე არასდროს ენახა. სანატორიუმის ახალგაზრდა ჭკვიანსახიანი ვეტერანი იულიკას მონაზონივით ექცეოდა, მეტიც, უსქესო ადამიანივით, ისე იჯდა ხოლმე ყოველდღე მისი ვიწრო საწოლის ფერხთით, რომ იულიკა ფეხებით მის სითბოს გრძნობდა. არაფრით წასცდებოდა თავშეკავებული სინაზეც კი. იულიკა თუ სთხოვდა, ბალიშებს შეუსწორებდა და შემთხვევითაც არ შეეხებოდა ხოლმე. თან იულიკას ეროსზე ელაპარაკებოდა, ისევე მხიარულად და მშრალად, როგორც კომუნიზმზე, თომა აქვინელზე, აინშტაინზე, ბერნანოსზე, ზუსტად ასევე ელაპარაკებოდა ეროსზე. ხომ არსებობს გარკვეული უშუალობა, რომელიც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ნათქვამის საქმედ ქცევა გამორიცხულია. იულიკამ არ იცოდა, რა ეთქვა. მოკლედ, ისეთი ტონით ლაპარაკობდა ახალგაზრდა კაცი ეროსის საოცარი ფენომენის შესახებ, რომელსაც იგი, იულიკას გასაოცრად, უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგრამ თან მხოლოდ ხელზე თუ შეეხებოდა ოდნავ, მისალმების ან დამშვიდობების ნიშნად. იულიკა კეთროვანი იყო თუ რა? ამ დროს ეს საოცრად განსწავლული ახალგაზრდა არ თაკილობდა ისეთ ადამიანებთან ლაზღანდარობას, მინდორში ლეიბებს რომ ბერტყავდნენ, თავშეუკავებლად ლაზღანდარობდა. იულიკას ვერაფერი გაეგო მისი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კი მათ შორის მტკივნეული გაუცხოება მოხდა, ამაზე საუბარი იულიკას არ სიამოვნებს. სანატორიუმის ახალგაზრდა ვეტერანს ზედმეტი მოუვიდა, იულიკას უთხრა, მორჩი, ნუ უყურებ შენს ქმართან და საერთოდ ადამიანებთან ურთიერთობას როგორც რეაქციას, ერთხელ მაინც გამოიჩინე ინიციატივა და დაანებე თავი მაგ შენი ინფანტილური უმანკოებით ტკბობასო. მაგარი ნათქვამი იყო! სხვათა შორის, იულიკამ კარგად ვერ გაიგო, რას გულისხმობდა და მას განმარტება მოუხდა, არ ესიამოვნა, მაგრამ მაინც.

– მოკლედ, – გაიღიმა მან, – მე მგონია, ჩემო საყვარელო და სათაყვანებელო იულიკა, რომ თქვენ არ გინდათ გაიზარდოთ, არ გინდათ პასუხისმგებლობა აიღოთ საკუთარ ცხოვრებაზე და ეს ძალიან სამწუხაროა.
– ვერ გავიგე, რას გულისხმობთ? – ჰკითხა იულიკამ.
– ვინც თავის თავს სულ მსხვერპლის როლში ხედავს, მგონია, ვერასოდეს აჯობებს საკუთარ თავს, ეს კი არაჯანსაღია. მიზეზი და

შედეგი არასდროს ნაწილდება თანაბრად ორ პიროვნებაზე, განსაკუთრებით, ქალისა და კაცის შემთხვევაში, გინდაც ხანდახან ასე ჩანდეს, იულიკა, რადგან ქალი თითქოს უმოქმედოდაა. ერთი რამ მხვდება თვალში: ყველაფერს, რასაც თქვენ აკეთებთ ან არ აკეთებთ, მაგალითად, იმით ამართლებთ, რა გააკეთა ან არ გააკეთა თქვენმა ქმარმა. ეს ხომ, მაპატიეთ გამოთქმა, მაგრამ ინფანტილიზმია. რატომ გეუბნებით ამას! თქვენც მშვენივრად იცით, იულიკა, რომ ესე არ არის, არსად მსოფლიოს ისტორიაში, და ნუ ეცდებით ჩემს გაცურებას მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენზე ახალგაზრდა, ფაქტობრივად, პატარა ბიჭი ვარ. ცხოვრების მიმართ მუდამ ასეთი განწყობა ერთ მშვენიერ დღეს თქვენც მოგბეზრდებათ, იულიკა.
ამ დღიდან მოყოლებული, იულიკა მას ცოტათი დასცინოდა: ჩემი ბრძენიო! ეძახდა, ამას კი ის ვერ იტანდა. ორჯერ თუ სამჯერ გააცდინა იულიკასთან ვიზიტი, რადგან იულიკამ თავის ცხოვრებაში ჩარევა არ დაანება, რადგან ახალგაზრდა კაცს, როგორი სხარტიც უნდა ყოფილიყო, გამოცდილებიდან გამომდინარე, ვერ ეცოდინებოდა, მაგალითად, ცოლქმრული საკითხები, განსაკუთრებით, შტილერთან ცოლქმრული ურთიერთობა, რომელიც თვალით არ ენახა. იულიკამ საუბარი ეკლესიის მამებზე და ფარდობითობის თეორიაზე გადაუტანა და ამგვარად და სამწუხაროდ (როგორც იულიკა ამბობს) ამ შეხვედრიდანაც არაფერი გამოვიდა. ახალგაზრდა კაცი მაინც მოდიოდა ხოლმე, ფერხთით დაუჯდებოდა, სასაცილო რაღაცებს უყვებოდა, ცოტა თავხედურად, სულ უფრო და უფრო ლაღად, რაც უფრო უახლოვდებოდა სიკვდილი, რომელსაც იმ რბილ და თბილ სექტემბერში საერთოდ არ ელოდა. იულიკა ვერაფრით იჯერებდა, როცა მიხვდა, რომ ცდილობდნენ, მეზობელი ოთახი რაც შეიძლება ჩუმად დაელაგებინათ. საბედნიეროდ, ძილის წამალი დაალევინეს. მთელი ღამე ამუშავებდნენ ოთახს ორთქლით. იულიკა ჭკუაზე არ იყო. სიკვდილს აქ და ასე არ ელოდა, ასე სხვათა შორის, ასე უჩუმრად, ასე უხმოდ, ასე უბრალოდ, უეცრად და ყოველგვარი მინიშნების გარეშე, ასე უსამართლოდ, კითხვისას შემთხვევით რომ ჩაგიქრება ღამის სანათი. და მართლაც, მის შესახებ აღარავინ ლაპარაკობდა. ექთანი და ექიმი იულიკას დაჟინებულ კითხვებს უყრუებდნენ, თითქოს მის მეზობელს, დიდრონთვალებიან, ჭკვიანსახიან ახალგაზრდა იეზუიტს რამე უკადრებელი ჩაედინოს. ყველაფერი დანარჩენი ჩვეულ კალაპოტში მიედინებოდა; პატარა მატარებელი ხეობაში გაჰკიოდა, გაზეთები მოდიოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, იულიკამ, როცა, ჩვეულებისამებრ, თავის ვერანდაზე იჯდა და რაღაცნაირად ისევ თავის ყოველდღიურ მნახველს ელოდა, ახალი

მეზობლის მშრალი ხველა გაიგონა. სექტემბრის ლურჯი დღე იდგა. იულიკა შეძრწუნებული იყო.

* * *

იულიკა ლანდკვარტამდე ჩავიდა, იმ სადგურამდე, სადაც სხვა მატარებელში უნდა გადამჯდარიყო და ყველაფერი ისე მშვენივრად გამოვიდა, თითქოს გაქცევა კი არა, ჩვეულებრივი მოგზაურობა ყოფილიყოს. არავის გაუჩერებია, არავინ დაჰკვირვებია განსაკუთრებულად, უფრო სწორად, იმაზე მეტად, ვიდრე მისი მშვენიერი წითელი თმის გამო აკვირდებოდნენ ხოლმე. მატარებელი ცოტა ხნით გაჩერდა კლოსტერში, დაახლოებით შუა გზაზე და იულიკას უსასრულოდ მოეჩვენა ის ოთხი წუთი, როგორც ლტოლვილებს ეჩვენებათ უსასრულოდ ბარიერის დაკეტვა. იულიკა გაზეთს იყო ამოფარებული, მაგრამ ვისაც არ უნდა შემოეხედა მისი მეორე კლასის კუპეში, ყველა აშინებდა. პატარა მატარებელი ჯერ კიდევ იდგა; რას აკეთებდნენ ამდენ ხანს? იულიკა ვერ იჯერებდა, რომ არავის უცვნია, არავის დაუკაკუნებია მხარზე და უკითხავს: ეს რას ნიშნავს, ჩემო ძვირფასო იულიკა, რას ნიშნავს? სარკინიგზო მიმოსვლის წესებში ვერ ერკვეოდა და ამიტომ საწყალს ეს დაყოვნება ასე ესმოდა: მას ეძებენ, სანატორიუმიდან დარეკეს, ახლა ვიღაც ვაგონ-ვაგონ დადის რომ საწყალს ჩაავლონ. იულიკამ სახეზე საკიდზე ჩამოკიდებული პალტო გადაიფარა, მატარებელში მძინარეებმა რომ იციან, ისე. წინ ვიღაც კაცი დაუჯდა; ფეხსაცმელებით მიხვდა, რომ კაცი იყო. მისი მთავარი ექიმი? უკვე წარმოიდგინა ექიმის თანაგრძნობით სავსე, კეთილი და თან შეუბრალებელი ღიმილი: ქალბატონო იულიკა, ქალბატონო იულიკა, ჯობს შევეშვათ ასეთ საქციელს! როგორც იქნა, დაიძრა პატარა მატარებელი და იულიკამ ოდნავ გადასწია სხვისი თვალისგან დამცავი პალტო, ვითომ გარეთ გახედვა მინდაო, სინამდვილეში, აუცილებლად უნდა გაეგო, ვინ იყო მისი მდევარი. ხელში გერმანელი შერჩა, თვალი შეავლო თუ არა იულიკას წითელ თმას, უკიდურესად ზრდილობიანად გამოიღო პირიდან სიგარა და ჰკითხა, კვამლი ხომ არ შეგაწუხებთო. მიხვდა, რომ იულიკას ავადმყოფი ფილტვები ჰქონდა? არა, რა თქმა უნდა არა, ჩემო ბატონო! ცოტა მოუქნელად და ზედმეტი მონდომებით უპასუხა იულიკამ: პირიქით! რა სისულელე მოუვიდა, რომ მწეველთა ვაგონში ჩაჯდა. იულიკა, ლტოლვილი იულიკა ვერაფრით დაუშვებდა მოკლე, სასიამოვნო, უმნიშვნელო საუბარსაც კი, გერმანელმა უნებლიეთ რომ წამოიწყო. იულიკას უკვე ყურში ესმოდა ასეთი საუბრებისას ძალაუნებურად წამოჭრილი კითხვები: ციურიხში ცხოვრობთ? არდადეგებიდან

ბრუნდებით? დავოსში ცხოვრობთ? იულიკა უხეშად მიტრიალდა ფანჯრისკენ, თითქოს გერმანელს უსირცხვილოდ ჩაეხედოს მისთვის უბეში და ამით მოსპო შესაძლო საუბრის შანსი. არადა, გერმანელი მხოლოდ უჩვეულოდ რბილ ოქტომბერზე ლაპარაკობდა. მერე კი, მადლობა ღმერთს, ისევ წიგნი აიღო ხელში, ერნსტ იუნგერის „მარმარილოს კლდეებზე“, წიგნი, რომელიც იულიკასთვის აწ განსვენებულ ახალგაზრდა იეზუიტს არასოდეს ურჩევია და თან გულმოდგინედ განაგრძო სიგარის მოწევა. „მარმარილოს კლდეებზე“, – სიტყვები, რომლებიც იულიკას ბოლო დროს აბნევდა, სიგარის კვამლი კი საზიზღრობა იყო. იულიკამ გერმანელს სთხოვა, ოდნავ გამოაღეთ ფანჯარა, არა, კვამლის გამო კი არა, უბრალოდ, უკეთ რომ გავიხედო გარეთო. იულიკამ ფანჯარაში გადაიწია, თმები ქარში უფრიალებდა, სუნთქვა უჭირდა, ჯანმრთელსაც კი გაუჭირდებოდა ამ მდგომარეობაში სუნთქვა, მაგრამ მთავარი სხვა რამ იყო: პატარა მატარებელს საკმაოდ თავზეხელაღებულად მოსდევდა მუქი „სიტროენი“, ზუსტად ისეთი, მის ექიმს რომ ჰყავდა, გრძელ მოსახვევებში, სადაც მატარებელი მოკლე გვირაბებში გადიოდა, მანქანა უკან რჩებოდა, შემდეგ ისევ ეწეოდა, სულ უფრო და უფრო ახლოს მოდიოდა, ჩაკეტილ შლაგბაუმთან შეჩერდებოდა და მერე ისევ ეწეოდა მატარებელს. ექიმი იყო? იულიკამ თავისი აალებული თმა შიგნით შემოსწია და გერმანელს სთხოვა, ახლავე ფანჯარა დაკეტეთო. ამასობაში მუქმა „სიტროენმა“ მატარებელს გაუსწრო; მისი ექიმი ალბათ ლანდკვარტში პერონზე დახვდება, მცირე ბარგს ჩამოართმევს და გაუღიმებს, ფიქრობდა იულიკა. „ქალბატონო იულიკა, ქალბატონო იულიკა, მოდი, არ გვინდა, იქით დგას ჩემი „სიტროენი“! მაგრამ ჰოი, საოცრებავ, ლანდკვარტში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, მებარგულიც კი არსად ჩანდა. მარმარილოს კლდეების კაცმა, რომელსაც იულიკას უხეშობის მიუხედავად, თავაზიანობა არ დაუკარგავს, ბარგი ჩამოართვა, პატარა მოედანი გადაჭრა და ჰკითხა: „ციურიხში ცხოვრობთ?“ იულიკამ პასუხად მებარგული აიყვანა. მერე კი, უცებ და სრულიად დაუფიქრებლად ტელეფონის კაბინაში შევიდა, ალბათ თავად იყო განცვიფრებული, ნებისმიერ კაბინაში შეეძლო შესვლა, როგორც თავისუფალ ადამიანს და ეცადა, შტილერისთვის დაერეკა, მაგრამ ამაოდ; ყურმილი არავინ აიღო. ესე იგი, უბრალოდ, არ არის მართალი, თითქოს იულიკას ნდომებოდეს მოულოდნელად დასდგომოდეს თავზე. მთელი მოგზაურობის განმავლობაში, უცნაურია, მაგრამ არცერთი წამით არ უფიქრია, რომ ის სხვა შეიძლებოდა იქ ყოფილიყო. მერე მეორედ და მესამედაც ეცადა შტილერისთვის დაერეკა; ასევე ამაოდ. გერმანელი ოდნავ შეურაცხყოფილი იყო, ბაქანის მეორე

ბოლოში, ფეხიფეხგადადებული იჯდა სკამზე და თავის „მარმარილოს კლდეებზეს“ კითხულობდა, კიდევ კარგი, სიგარას მაინც აღარ ეწეოდა. სამწუხაროდ, ციურიხი-პარიზი-კალეს მატარებელი ცოტას იგვიანებდა, თორემ იულიკა ალბათ მატარებელში ასვლას მოასწრებდა. შეტევა ხველების გარეშე დაეწყო (ამბობს ის), უბრალოდ, სულ უფრო მეტად უჭირდა სუნთქვა, მაგრამ თავს ირწმუნებდა, მღელვარების ბრალიაო, ლტოლვილის ბუნებრივი მღელვარების ბრალიო, თან სიხარული, ბუნებრივი იმედგაცრუებაც, რომ შტილერი არც ატელიეში პასუხობდა და არც შინ. ძალიან ღრმად ჩაისუნთქა, ძალიან ნელა, ძალიან მშვიდად. მებარგული ჟურნალის საყიდლად გააგზავნა, განსაკუთრებით ის შვეიცარიული ჟურნალი უნდოდა, თითქოს, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არსებულიყო ზღაპრული შანსი, რომ ყდაზე ისევ იულიკას ეცეკვა, და თავის მომცრო ბარგზე ჩამოჯდა. ვერავინ შეამჩნია, რომ თავბრუ დაეხვა. იულიკას ეგონა, ვიხრჩობიო, ციურიხი-პარიზი-კალეს შემომავალი მატარებლის ხმაურიღა გაიგონა, წარწერებიც კი გაარჩია, მაგრამ ეს იყო და ეს. იმ მომენტში, ბუნებრივია, ირგვლივ ყველა საკუთარი მოგზაურობით იყო დაკავებული, ვაგონის საფეხურებს აწყდებოდნენ, ორივე ხელში ბარგი ეკავათ და გეგონებოდა, ეს მატარებელი ყოფილიყოს გზა სიცოცხლისკენ, ბაქანი კი უეჭველი სიკვდილი. იულიკა ბაქანზე დარჩა... სამი საათის შემდეგ, სასწრაფოს მანქანით მგზავრობის შემდეგ, ისევ თავის თეთრ საწოლში იწვა, მიუხედავად სათბურებისა, ცახცახებდა და უხაროდა, რომ ლაპარაკს არავინ სთხოვდა. ექთანს სიტყვა არ დასცდენია, მთავარი ექიმის მითითებებს ემორჩილებოდა, მაგრამ სახეზე ეწერა, რომ ლანდკვარტში გამგზავრება სიზმარი კი არ იყო, არამედ სრულიად ნამდვილი უაზრობა. მთავარ ექიმს, როგორც ჩანს, ესმოდა, რატომ ჩაიდინა ამ უბედურმა ქალბატონმა იულიკამ ასეთი სისულელე. იგი, ცხადია, ავადმყოფზე არ ბრაზობდა, არც სულელ ექთნებზე, რომელთაც რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ შეამჩნიეს იულიკას გაუჩინარება; ექიმი შტილერთან დაკავშირებას ცდილობდა. უშედეგოდ. მოგვიანებით დეპეშა გაუგზავნა და მოსთხოვა, სასწრაფოდ დავოსში ჩამოდიო. და საწყალ იულიკას, გონზე რომ მოვიდა, ისევ იქით მოუწია თავისი ქმრის დაცვა. მას კი იმ დეპეშაზეც არ უპასუხია. იულიკას შტილერის მეგობრების მისამართი სთხოვეს და შტურცენეგერის მისამართი მისცა. მერე, როცა გაირკვა, რომ იმ დროს ბატონი შტილერი თურმე პარიზში ბრძანდებოდა და თავისი ცოლისთვის არც შეუტყობინებია, სანატორიუმში ყველა გაოცდა. სიმართლე უნდა ითქვას: უხერხული, აღმაშფოთებელი შთაბეჭდილება გამოიწვია, იულიკას პირში კი არ ეუბნებოდნენ, მაგრამ, ამას რა თქმა

უნდა, ყველას სახეზე ამჩნევდა. შტილერი პარიზში! ყველანი როგორ ელოლიავებოდნენ იულიკას და უბედური ქალი ვისგან აღარ იღებდა საჩუქრებს – ყვავილებს, ტკბილეულობას, სამკაულიც კი აჩუქეს მეორე ვერანდიდან სოლიდარობის და გულითადობის ნიშნად. სანატორიუმის ახალგაზრდა ვეტერანი ახსენდებოდა, რომელიც აუცილებლად იწინასწარმეტყველებდა, რომ მისი საქციელი უსიტყვო, მაგრამ საყოველთაო დაგმობას გამოიწვევდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, შეცდებოდა, არც ის იყო მართალი, რომ იულიკას სამყაროსადმი ინფანტილური დამოკიდებულება ჰქონდა და არც ამ საკითხში იქნებოდა მართალი. პირიქით, გულის ამაჩუყებელი იყო, როგორ ეფერებოდა ყველა! მხოლოდ, ის, სანატორიუმის ახალგაზრდა ვეტერანი დუმდა…

იულიკას მდგომარეობა კატასტროფული იყო.
და მერე, ჰოო, მერე შტილერის ის საშინელი წერილი მოვიდა პარიზიდან, ქაღალდის ნაგლეჯი, რომელიც ქალბატონმა იულიკა შტილერ-ჩუდიმ ამას წინათ ხელჩანთიდან ამოიღო და მაჩვენა, ქაღალდის ნაგლეჯი, გაკრული ხელით, ფანქრით დაწერილი შვიდი თუ რვა სტრიქონი, თანაგრძნობის არცერთი სიტყვა, სინანულის არცერთი სიტყვა, ნუგეშის სიტყვაც კი არა, თითქოს იულიკას უიღბლო გაქცევის მიზანი ლანდკვარტში წაქცევა ყოფილიყოს და თითქოს მხოლოდ იმიტომ იყო ავად, სასიკვდილოდ გადადებული, მხოლოდ შპრიცებიღა რომ აცოცხლებდა, რომ შტილერი სინდისს შეეწუხებინა. ქაღალდის ის ნაგლეჯი უბრალოდ გროტესკული იყო; იმ სტრიქონებს სინდისის ქენჯნის არაფერი ეტყობოდა, ღმერთია მოწმე, იმ ნაგლეჯის ყველა სიტყვიდან გამოსჭვიოდა უსირცხვილო „მე ვარ მთავარი“ და ცინიკურობამდე მისული „მე ყველაფერში მართალი ვარ“.
(სამწუხაროდ, ის ბარათი თან არ მაქვს.)

იულიკას მხოლოდ შპრიცებიღა აცოცხლებდა, როგორც გითხარით, და მართლაც თითქმის სამი გრძელი კვირა გავიდა, სანამ შტილერი მის ვერანდაზე გამოჩნდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ თავზე ელაპარაკა, ესპანეთში დამარცხებაზე, ანუ ისეთ ამბავზე, რომელიც ათწლეულის წინ მომხდარიყო და არც ახლა წამოსცდენია ნუგეშის სიტყვა, ისიც კი არ უკითხავს, როგორ ხარო, არადა, იულიკას მდგომარეობა კატასტროფული იყო, არც ტემპერატურის მაჩვენებელი დაფისთვის შეუხედავს, არა, შტილერი მხოლოდ საკუთარ თავზე ლაპარაკობდა: თითქოს იგი ყოფილიყო მთავარი, იგი, შტილერი, ჯანმრთელი შტილერი!
* * *

აქ რაღაც უნდა დავამატო.
შტილერი, თავის დროზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესპანეთის სამოქალაქო ომში იმყოფებოდა, მოხალისედ საერთაშორისო ბრიგადაში, მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო. ცოტა გაუგებარია, რამ გააღვიძა მასში მებრძოლი სული. შეიძლება ბევრმა რამემ ერთად – ცოტა რომანტიკული კომუნიზმი, რომელიც მაშინდელი ბიურგერული ინტელექტუალებისთვის უცხო არ იყო, სრულიად გასაგები მოთხოვნილება, გასულიყო და მსოფლიო ენახა, მოქმედების, ისტორიული და ზეპიროვნული მოვალეობის მოხდის მოთხოვნილება; შესაძლებელია, ნაწილობრივ მაინც, ეს ყოფილიყო საკუთარი თავისგან გაქცევაც. საბრძოლო ნათლობა ტოლედოს მისადგომებთან მიიღო (უფრო სწორად, ვერ მიიღო!), სადაც ფაშისტები ალკაზარში გამაგრებულიყვნენ. ახალგაზრდა შტილერს მდინარე ტახოზე პატარა ბორნის დაცვა ევალებოდა, რადგან მებრძოლების ნაკლებობას განიცდიდნენ, საქმეს მარტო უნდა გასძღოლოდა. სამი დღე ისე გავიდა, არაფერი მომხდარა. მაგრამ მერე, გამთენიისას, მეორე ნაპირზე, როგორც იქნა, გამოჩნდა ფრანკოს ოთხი ესპანელი. შტილერმა მათ ბორანი ისე დაუთმო, ერთი არ გაუსროლია, არადა, რა უნდოდა ბორანზე მყოფი ოთხი მტრის მოკვლას, სამალავიც კარგი ჰქონდა და საკმარისი დროც, მთელი რვა წუთი. მან კი რა ქნა? აცალა ნაპირზე გადმოსვლა, სამალავიდან გამოვიდა, იარაღი შემართული ჰქონდა, ისინი თუ გახსნიდნენ ცეცხლს, ესე იგი შტილერი მზად იყო, დაეხვრიტათ. მაგრამ ფრანკოს ესპანელებსაც არ უნდოდათ სროლის ხმას გაეთქვა მათი ადგილსამყოფელი და არ გაუსროლიათ, ახალგაზრდა შტილერი განაიარაღეს, რუსული ავტომატი ტახოში გადაუგდეს, საკუთარი შარვლის ქამრით გაკოჭეს და ბუჩქებში ჩააგდეს; ორი დღის მერე, წყურვილისგან დაოსებული იპოვეს მისიანებმა; როცა პასუხი მოსთხოვეს, კომისარს უმტკიცებდა, რუსულმა ავტომატმა არ გაისროლაო... და მართლაც, ეს პატარა ისტორია იყო სულ პირველი, რაც იულიკამ მისი პირიდან მოისმინა და იულიკას კარგად ახსოვს ის საღამო შტილერის ატელიეში, ის ავბედითი საღამო ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ სუიტის შემდეგ, როცა ცოტა თავზეხელაღებული ხელოვანების და მათი თაყვანისმცემლების ბანდამ მოიტაცა მშვენიერი იულიკა და იღლიაში ამოჩრილი ბოთლებით დააცხრნენ ღამით თავზე ახალგაზრდა შტილერს ატელიეში. შუაღამე უკვე გადასული იყო, პატარა ქალაქში – ყველაფერი დაკეტილი; ესპანეთიდან ახალდაბრუნებული შტილერის ატელიეში ჯერ კიდევ ენთო სინათლე. აბა, წავედითო! იმ საღამოს ნახეს პირველად ერთმანეთი იულიკამ და შტილერმა. შტილერი ისე ჩუმად იდგა მხიარული

საზოგადოების შუაგულში, რომელსაც მისი ატელიე შეევსო, რომ იულიკას შტილერი თავიდან მეტსახელი ეგონა. მერე ვიღაც ჩააჯინდა, ტოლედოს მაგარი ისტორია მოჰყევიო. შტილერს არ უნდოდა მოყოლა, თავს კი არ იფასებდა, მართლა არ უნდოდა და ეტყობოდა, როგორ არ ესიამოვნა, როცა მისმა ერთმა მეგობარმა, ახალგაზრდა არქიტექტორმა, სახელად შტურცენეგერმა თვითნებურად დაიწყო მოყოლა. შტილერს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, უნდა ჩარეულიყო, ამბავი განევრცო და ბოლომდე მოთხრო. ამბავი რუსული ავტომატისა, რომელმაც არ გაისროლა, მგონია, რომ ახალგაზრდა ბალერინას მაინცდამაინც არ აინტერესებდა; იგი მონათხრობზე მეტად მთხრობელს აკვირდებოდა, ახალგაზრდა მოქანდაკეს, რომელიც თხრობისას თითებით მავთულს გრეხდა, მერე გვერდზე აგდებდა, მაგრამ თითებს მაინც ვერ ასვენებდა; იულიკას ის რაღაცნაირად შეეცოდა. უცებ მოყოლისას სახე გაუშეშდა. ის, რასაც ახალგაზრდა მოქანდაკე ჰყვებოდა, უშუალო მოგონება კი აღარ იყო, არამედ სახალისო ისტორია. მის ვრცელ მონათხრობს უხერხული სიჩუმე მოჰყვა. შტილერმა ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, ხმას არავინ იღებდა. ერთმა საყვარელმა, ფერმკრთალმა, ჰუტკუნა და აბსოლუტურად მშვიდობისმოყვარე საოპერო მომღერალმა გულუბრყვილო კითხვა დასვა: „კი მაგრამ, რატომ არ გაისროლეთ?“ კაცმა რომ თქვას, ეს სხვებსაც აინტერესებდათ. გასაგებია, რომ პატივს სცემდნენ მის გამბედაობას, სამალავიდან რომ გამოვიდა, პატივს სცემდნენ გამოვლილ ტანჯვას, ორი დღე გაკოჭილი რომ ეგდო თაკარა მზეში, მაგრამ საოპერო მომღერალი თითქოს მათ გულში იჯდაო: რატომ არ ისროლა შტილერმა? შტილერის განმარტება უშუალო არ იყო, ხშირი გამეორებისგან გაცვეთილი ჩანდა, კერძოდ: ფაშისტები მეზიზღება, თორემ ისე ხომ არ წავიდოდი მოხალისედ ესპანეთის სამოქალაქო ომშიო, მაგრამ იმ სისხამ დილას ტახოზე, როცა პირველად იდგა საზიზღარი მტრის პირისპირ, ის ოთხი ფაშისტი, უბრალოდ, ადამიანებად აღიქვა და ვერაფრით ესროდა ადამიანებს, არ შეეძლო. წერტილი!.. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ისევ აფუილებდნენ სიგარებს ხელოვანები და მათი თაყვანისმცემლები, ატელიეში ლურჯი კვამლის ბუღი იდგა. საოპერო მომღერალი პასუხმა დააკმაყოფილა; მეც ვერ ვისროდიო, თქვა. სხვებმა ჭიქები გამოცალეს, არაფერი უთქვამთ. და არც ის გამოდიოდა, რამე სხვაზე ელაპარაკათ, მაგალითად, „მაკნატუნას“ სუიტაზე. სიჩუმემ მოიცვა იქაურობა, სანამ შტილერის მეგობარმა, ახალგაზრდა არქიტექტორმა, სახელად შტურცენეგერმა არ გამოხატა მასპინძლის მიმართ გულწრფელი აღტაცება; მან მის საქციელს ადამიანურობის ზეიმი უწოდა, კონკრეტული მოვლენის იდეოლოგიაზე გამარჯვება და ასე შემდეგ; რა სიტყვები აღარ

იპოვა აღტაცების გამოსახატად. არავინ შესწინააღმდეგებია მის საქებარ სიტყვებს და თავად შტილერს, რომელიც აშკარად უხერხულად გრძნობდა თავს, ოდნავაც არ გასჩენია სურვილი, ამ ისტორიას უფრო ღრმად ჩასწვდომოდა, მხიარულება ერჩივნა, კიდევ ერთი ბოთლი გახსნა და როგორც კარგ მასპინძელს სჩვევია, დაინტერესდა, ხომ ყველას ჰქონდა სასმელი, მათ შორის, კუთხეში მჯდარ მშვენიერ იულიკასაც, რომელიც პირველად მოხვდა მის ატელიეში და დიდი და საოცრად ლამაზი თვალებით იყურებოდა აქეთ-იქით, ბევრს არ სვამდა, საერთოდ არ ლაპარაკობდა; მისი წვლილი, როგორც ხშირ შემთხვევაში, მისი წითლად აბდღვიალებული მშვენიერი თმა იყო... როგორც ჩანს, შტილერი თავისი ამბით ყოველთვის წარმატებას იმკიდა. იულიკას ამ ისტორიის მოსმენა, ჯერ როგორც შტილერის მეგობარს და მერე როგორც მის ცოლს, ბუნებრივია, ხშირად მოუწია. ეს ხომ კარგი მეუღლის მოვალეობაში შედის, არ დაამთქნაროს და არ შეაწყვეტინოს ქმარს, როცა ამ უკანასკნელს თავისი საზეიმო გამოსვლა აქვს. შტილერისთვის ეს იყო ტახო და მისი ბორანი. მხოლოდ კომუნისტები იჭმუხნებოდნენ, როცა საუბარი შეეხებოდა ადამიანურობის გამარჯვებას იდეოლოგიაზე, მაგრამ შტილერის ხათრით არაფერს ამბობდნენ; დიდი-დიდი მსმენელებისთვის მიემართათ კითხვით, რა აზრისანი იქნებოდნენ, თუკი ადამიანურობა გაიმარჯვებდა იდეოლოგიაზე; იმ შემთხვევაში, თუ საქმე ფაშისტებთან არ გვექნებოდა. მაგრამ ასეთ საუბრებს შტილერთან უკვე აღარაფერი ჰქონდა საერთო. და კომუნისტებიც ისედაც უკვე იშვიათობას წარმოადგენდნენ; ყოველ შემთხვევაში, მისი ნაცნობების წრეში. მაგრამ ყველა სხვა საზოგადოებაში, როგორც ვთქვით, შტილერი თავისი ესპანური ამბის მოყოლისას მუდამ პატივსაცემ კაცად წარმოჩინდებოდა. სხვანაირად რომ ყოფილიყო, რატომ მოჰყვებოდა ასე ხშირად ამ ამბავს? ამიტომაც იულიკასთვის დღემდე გაუგებარია, რატომ საუბრობდა შტილერი, მისი უგზო-უკვლოდ დაკარგული ქმარი, დავოსში მათი ბოლო შეხვედრისას უცებ „ესპანეთში დამარცხების“ შესახებ. რატომ დამარცხება? იულიკას ამ კითხვაზე პასუხი არ მიუღია. წლების განმავლობაში თავად არ ითხოვდა იულიკასგან, რომ მისი საქციელი ესპანეთში სამაგალითოდ ჩაეთვალა? ახლა კი უცებ დამარცხებაო. ამბავი, რომელიც სასწორის პინაზე შეაგდო როგორც უბედურების დასაწყისი, როგორც წყევლა, როგორც უბედური ვარსკვლავი, რომლითაც შტილერს თავისი უიღბლო ქორწინების ახსნა ეწადა. რატომ?

* * *

მათი ბოლო შეხვედრა: ნოემბერი იდგა, შტილერის ვიზიტის გარეშეც

საკმარისად სევდიანი. უკვე მოეთოვა. იულიკა თავის იუგენდსტილის ვერანდაზე ჩვეულებრივზე მეტად შეფუთნილი იწვა, ხელებიც კი აქლემის ბეწვის პლედის ქვეშ ჩაეყო, ძალიან ჰგავდა მუმიას. მხოლოდ თავს ამოძრავებდა, ნაცრისფერ ნისლს გასცქეროდა, მაგრამ ახლო მდგარი ფიჭვის ჩონჩხის გარდა ვერაფერს ხედავდა, ის კი, ნაცრისფერი ნისლის ბურუსში გახვეული შიშველი ჩონჩხი რენტგენის სურათს აგონებდა. და ეს იყო მისი ერთადერთი ხედი. ცა ტყვიასავით ჩამოწოლილიყო და ჭუჭყიანი ნისლის ბურუსს ამოევსო ხეობები. ვერც კი მიხვდებოდი, სად იყო მზე. მთის ნაცნობი მწვერვალები თითქოს ისე გამქრალიყვნენ, როგორც წყალში ჩაგდებული წამალი და აღარაფერი დარჩენილიყო რუხი და მღვრიე ფაფის გარდა. იულიკა ფიქრობდა, მოწყენილობა მხოლოდ უტვინო ადამიანებს ახასიათებთ, ანუ მე არაო. მაგრამ უტვინობა არაფერ შუაში იყო, პირიქით, იქნებ ეს აუტანელი მოწყენილობა იყო სწორედ გასაჭირის ყველაზე ნამდვილი ფორმა, რაც იულიკას აქამდე განუცდია, როცა მართლა აღარ იცი, როგორ მოკლა შემდეგი საათი, მარადიულობის ეს ჯოჯოხეთური გემო, როცა იმწუთის იქით ვერაფერს ჭვრეტ.. შტილერი უსიტყვოდ იჯდა ვერანდის მოაჯირზე და თოვლიან ქარბუქს გასცქეროდა. გაუპარსავი და ფერმკრთალი, ღამენათევი, პირიდან ალკოჰოლის ოხშივარი ამოსდიოდა, ნივრის სუნი შორიდანაც იგრძნობოდა. „კი მაგრამ, რა ჭამე?“ – ჰკითხა იულიკამ. „ლოკოკინები“. შტილერს საერთოდ არ უკითხავს იულიკასთვის, როგორ ხარო. სხვათა შორის, ქალაქიდან კი არ ამოსულიყო, არამედ პონტრესინადან. ისეთი სიჯიუტით და ნიშნის მოგებით მოახსენა, თითქოს საწყალ იულიკას ეიძულებინა მთელი ზაფხული თავის მართლება. შტილერი პონტრესინადან ამოვიდა, ანუ სხვა ქალთან ბრძანდებოდა. და მერე, ნიშნის მოგებით აღიარების შემდეგ, ისევ დადუმდა, იულიკასთვის აღარც შეუხედავს, სიგარეტი გაირჭო და კვამლი ნაცრისფერ ბურუსში გაუშვა. ტუჩები უკანკალებდა. იულიკა მიზეზს ვერ ხვდებოდა. „პარიზში როგორი იყო?“ ჰკითხა ქალმა. ამაზე მხოლოდ ის უპასუხა, პარიზში დამესიზმრეო (თითქოს ესეც იულიკას მოწყობილი ყოფილიყო). იულიკას სულ მუდამ ეზიზღებოდა სიზმრების მოსმენა, რომლებსაც როგორც გინდა, ისე ახსნიდი და, რა თქმა უნდა, საერთოდ არ აინტერესებდა, პარიზში რა დაესიზმრა, არამედ სინამდვილეში რას აკეთებდა. მაგრამ შტილერი თავის სიზმარს ჰყვებოდა და თან დაწვრილებით: „სადღაც ვიყავით ხალხში, რატომღაც გაბრაზებული ვიყავი, არ ვიცი, რატომ, რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ხმა გამიქრა, რაც უფრო ხმამაღლა მინდოდა მეთქვა, უარესად მიწყდებოდა, არადა, აუცილებლად უნდა მეთქვა, საშინელება იყო. რადაც უნდა დამჯდომოდა, უნდა მეთქვა. შენი ღიმილი დავინახე და

ვიყვირე; შენ იღიმებოდი, აი, ზუსტად ისე, როგორც ახლა; იცი როგორ, მართალი ადამიანები რომ იღიმებიან, ისე; მე მაინც ვყვიროდი, შენ გახვედი, ვერ შეგაკავე, თითქოს ის ხალხიც ფიქრობდა, რომ ასე ყვირილი არ შეიძლებოდა; საშინლად ვიქცევი, ვიცი, გონს მოეგე და გაეკიდეო, მეუბნებიან, ანუგეშე და მოაბრუნეო. ვგრძნობ, რომ მართალი არ ვარ, ჰოდა, მივდივარ, ქუჩებში გეძებ და სადღაც ბაღში გპოულობ, ლუქსემბურგის ბაღში მგონი, რა მნიშვნელობა აქვს, გაზაფხულია, მწვანე ბალახზე ზიხარ და იღიმები, ვცდილობ დაგახრჩო, ორივე ხელს გიჭერ, მთელი ძალ-ღონით, მაგრამ ამაოდ, თან ვიცი, რომ გვიყურებენ, გახრჩობ, მაგრამ ხელიდან მისხლტები, – შენ მხოლოდ იღიმი...“

იულიკას, რა თქმა უნდა, კრინტი არ დაუძრავს. ცოტა ხანში ექთანი მოვიდა, რომ იულიკასთვის ეკითხა, ხომ არ შეგცივდათო. იულიკამ თავაზიანად უთხრა მადლობა; მართალია, პირიდან ცოტა ორთქლი ამოსდიოდა, მაგრამ იმდენი სათბურა და პლედი ჰქონდა, ნამდვილად არ სცივოდა. ექთანი რომ გავიდა, შტილერმა თქვა:
– გუშინ დავშორდით ერთმანეთს – მე და სიბილე – გუშინ, პონტრესინაში.
– სიბილე ვინ არის?– ჰკითხა იულიკამ.
– ახლა კი ჩვენს შორისაც დამთავრდა ყველაფერი, იულიკა, და თან სამუდამოდ, იმედია, გესმის.
იულიკა ჩუმად იყო.
– სამუდამოდ, – გაიმეორა მან.

ალბათ ცოტა კომიკური იყო, ჯერ ერთი, როგორ საყვედურობდა იულიკას, რომელიც სინამდვილეში ამ ვერანდაზე იწვა, რატომ იღიმებოდი ჩემს პარიზულ სიზმარშიო და მეორე, ისე შეატყობინა თავისი გადაწყვეტილება, თითქოს მათი ურთიერთობა ყოფილიყოს კაცობრიობის ისტორიაში პირველი, რომელიც დაინგრა; გეგონებოდა, სანატორიუმში სიკვდილი არაფერია მისი შვიდთვიანი რომანის პონტრესინაში დასამარებასთანო. ასევე ცოტა კომიკურად ჟღერდა, როგორ აღიარა ვიღაც ქალის სიყვარული, რომლის სახელიც სიბილე ყოფილა და როგორ გაილაღა დაგვიანებულ გულწრფელობაში. შტილერის სახეზე კითხულობდა, როგორ აბნევდა მისი რეაქცია, იულიკა აქლემის ბეწვის პლედზე დაცვენილ თოვლის ფიფქებს უბერავდა სულს. სხვა რა დარჩენოდა? რასაც შტილერი ჰყვებოდა, თითქმის ემთხვეოდა იმას, რასაც იგი ზაფხულის განმავლობაში ეჭვობდა და ამიტომ საწყალი იულიკასთვის იმ წუთას დიდ შოკს აღარ წარმოადგენდა; მან ხომ დიდი ხანია იცოდა, რომ ქმარი ღალატობდა. სასოწარკვეთილი შტილერი კი იულიკას იუგენდსტილის ვერანდაზე სცემდა ბოლთას და ზედმეტად

დაწვრილებით ჰყვებოდა თავის ისტორიას, იქნებ მოყოლით მაინც გაეხანგრძლივებინა დაკარგული ზაფხულის განცდები.
– ჰო, მოკლედ, ასეა, – ამოღერღა ბოლოს და ბოლოს.
– მერე?
არ არის მართალი, თითქოს იულიკას ნიშნის მოგებით ჩაეცინოს ან, საერთოდ, მის დასანახად გაეღიმოს. შტილერი მგონი ისევ ოცნებებში იყო. მეორე მხრივ, საწყალ იულიკას ვერავინ მოსთხოვდა, ცრემლებად დაიღვარე, რადგან „სიბილე“ წარსულს ჩაჰბარდაო. ახლა რაღას ელოდა მისგან შტილერი? იულიკამ ისევ თოვლის ფიფქებს შეუბერა, სულ ეს იყო, და შტილერის მიერ გადმოგდებული სიტყვა, მშრალი შენიშვნა, ჩვენი ურთიერთობაც დამთავრებულიაო, კარგად გაიგონა, მაგრამ ლოგიკური კავშირი ვერ ამოიცნო, რაც უნდა ყოფილიყო, მის კანონიერ მეუღლეზე იყო საუბარი. შტილერი ვერანდის მოაჯირზე იჯდა, ქარბუქს გასცქეროდა და თითქოს ფიჭვების ჩონჩხებს ელაპარაკებოდა. მისი მძვინვარე ტონი არც ამ მომენტს გამოეწვია, არც ამ ადგილს და არც მისი საწყალი იულიკას მდგომარეობას. შტილერის სიტყვები დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული, მარტო ყოფნისას მოფიქრებული და ახლა ყოველგვარი ცოცხალი კონტექსტის გარეშე ერთმანეთის მიყოლებით ჩამოთვლილ წინადადებებად ჟღერდა, რომელთაც იგი შეგნებული სისასტიკით აფრქვევდა, რაც უფრო სასტიკად, მით უკეთესი; ეს ყველაფერი თითქოს უცხოს ბრძანებას ემორჩილებოდა, რომელიც შტილერმა თავის თავს დაუწესა დავოსისკენ გზაზე ან ლოკოკინების ჭამის დროს – ბრაზიანი მამაკაცური ბრძანება. იულიკა უსმენდა, მაგრამ ამ განცდას ვერ იშორებდა: ვინ გაიძულებს ამ საშინელი უაზრობის ლაპარაკს, ჩემო კარგო შტილერ, ეს ხომ შენ არ ხარ! ის კი ისეთი ულმობელი იყო, როგორც საწყალი ჯალათი, რომელიც იმ მომენტში, როცა მსხვერპლს საკუთარი თვალით დაინახავს, არ უნდა შედრკეს, ბრძანება უნდა შეასრულოს; ამიტომაც შტილერი თითქმის არ უყურებდა იულიკას და სივრცეში, ქარბუქში, ნაცრისფერი ფიჭვებისკენ იცქირებოდა. და იულიკა, რაც უფრო მეტს უსმენდა, მით უფრო ცხადად გრძნობდა: ასე არ არის, ჩემო კარგო შტილერ, ყველაფერი პირიქითაა!.. შტილერი დაუსრულებლად ლაპარაკობდა. „ესპანეთში ის დამარცხება რომ არა“, – თქვა მან, – სრულყოფილი და ნამდვილი მამაკაცივით შეგხვდებოდი და ბევრად ადრე მიგატოვებდი, იულიკა, ალბათ ჩვენი პირველი კოცნისთანავე და ამ საცოდავ ცოლქმრობას ორივენი ავცდებოდით. ყველაზე მწარე ეს არის, ხვდები? უნდა გვცოდნოდა, რომ არ გამოგვივიდოდა. არადა, საკმარისზე მეტი ნიშანი შეგვხვდა გზაზე, მაგრამ გამბედაობა არ გვეყო, რომ დაგვენახა. დღეს უკვე ვიცი:

სინამდვილეში, ალბათ არც არასდროს მყვარებიხარ, მე მიყვარდა შენი უკარება ხასიათი, შენი სინაზე, შენი უთქმელობა, რომელიც მაიძულებდა გამეგო შენი და სახელი დამერქმია. საოცარი ამოცანა იყო! თავს ვირწმუნებდი, რომ გჭირდებოდი. და შენი მუდმივი მოთენთილობა, შენი უსასრულო სიფერმკრთალე, შენი მიდრეკილება ავადმყოფობისკენ, სწორედ ეს იყო, რაც თურმე მჭირდებოდა, ადამიანი, ვისაც მოფრთხილება უნდა, რომ მე უფრო ძლიერი გამოვჩენილიყავი. მეშინოდა ჩვეულებრივი საყვარლის, გესმის, ჯანმრთელი და ჩვეულებრივი გოგოსი, რომელსაც უნდა, რომ მოეხვიო და თვითონაც შეუძლია მოგეხვიოს. საერთოდ, სულ შეშინებული ვიყავი! შენ გაქციე ჩემს გამოსაცდელ ობიექტად. ამიტომაც ვერ მიგატოვე. შენი გაღვიძება, შენი გაფურჩქვნა იყო მისია, რომელსაც სხვა თავის თავზე არ აიღებდა, რა სიგიჟე იყო. შენი გაღვიძება ავიღე ჩემს თავზე – და, პირიქით, დაგაავადე; ცხადია, რატომ უნდა გამოჯანმრთელებულიყავი ასეთი კაცის გვერდით; შიში, რომ ჩემ გვერდით უბედური იქნებოდი, უფრო მბოჭავდა, ვიდრე ბედნიერება, რომლის მოცემაც შენ შეგეძლო“.

რაღაც მომენტში იულიკამ ჰკითხა:
– ესპანეთში დამარცხება რა შუაშია?
პასუხი არ მიუღია.
– რა თქმა უნდა, ყველაფერს გრძნობდი, – თქვა შტილერმა, – რა თქმა უნდა! ხომ თავისთავად ცხადია. პირველივე საღამოდან მოყოლებული; შენ ჩემი ჩუმი შიში გიყვარდა. მოგწონდა, ჩემო ძვირფასო, კაცი, რომელიც უბრალოდ კი ვერ მოვა და მოგეხვევა, არამედ კანკალებს, შეშინებულია, რაღაცნაირად გატეხილია, ჰგონია, რომ შენით უნდა დაამტკიცოს თავისი ვარგისიანობა, კაცი, რომელსაც თავიდანვე სინდისი აწუხებს, იდიოტი, რომელიც მუდამ საკუთარ თავს აბრალებს, როცა რამე ისე ვერ გამოდის. ასე არ იყო? ამინდზეც კი მე ვაგებდი პასუხს. თვალწინ მიდგახარ, იულიკა, როგორ ყოფ ხელს გარეთ და ცას კი არ უყურებ, არამედ მე: ახლა წვიმა წამოვა! მე კი შენს მზერას ვიტანდი.
იულიკა საუბარს აცდიდა.
– ასე არ იყო? – ჰკითხა შტილერმა, – მთელი ამ წლების განმავლობაში რატომ ერთხელ არ წახვედი ექიმთან? მაშინ ხომ ამ უბადრუკ ვერანდაზე არ იწვებოდი, იულიკა. რატომ არ გინდოდა ჯანმრთელი ქალი ყოფილიყავი? სისულელეა, იულიკა, მაგრამ ასეა: შენ არ გინდოდა ჯანმრთელი ყოფილიყავი. უგულოდ მთვლიდი, სიხარულით რომ გეტყოდი, საერთოდ არ გაქვს სიცხე-მეთქი. ბრაზდებოდი. გაიხსენე უთვალავი საღამო, შენს ოთახში შეიყუჟებოდი და წამოწვებოდი ხოლმე,

რომ მუდამ გვხსომებოდა: საწყალი იულიკა! რომ არ გინდოდა ვინმეს სხვა, ჯანმრთელი ქალებისთვის შეედარებინე. ამისი გეშინოდა ყველაზე მეტად. ვიცი: ძალიან დამქანცავი რეპეტიციები გქონდა, ჰო, ჰო, და მე რა მენაღვლებოდა, თიხაში ვიტიტყნებოდი. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვმუშაობდი თუ არა, ფაშასავით თავისუფლად ვცხოვრობდი. ვიცი, შენი საქმის შედარება არ შეიძლება სხვასთან, არც პედიატრის სამუშაოსთან, გასაგებია, და საერთოდ, უსამართლობაა, მოელოდე და გინდოდეს, რომ სხვებზე სათუთი არ იყო. ის ანგარიშგაწევა, რასაც შენ შთანთქავდი (ყველა მხრიდან), უსირცხვილობა იყო. და როგორ გემორჩილებოდა ყველა, მარტო მე, შენი იდიოტი კი არა, ყველა, ვინც შენზე შეყვარებულიც კი არ იყო. ერთმა ღმერთმა უწყის, რისთვის გიხდიდნენ ბოდიშს. და როცა საზოგადოებაში ჩაგთვლემდა, რადგან შენს ბალეტზე არ საუბრობდნენ, რა მამაცი ქალიაო, ყველა ამბობდა; რაღაცას წაგაფარებდნენ, რომ არ გაყინულიყავი, რადგან შენ თვითონ ხომ ესეც არ შეგეძლო, სამარიტელების საზოგადოება გეხვია თავზე, და მერე ჩურჩულით ვლაპარაკობდით, ვინ არ იცოდა, რომ მეორე დღეს მძიმე რეპეტიცია გქონდა! ყველამ ერთად დათვური სამსახური გაგიწიეთ, იულიკა, მეც, მათ შორის. და თუ მე ვერ ვხვდებოდი, რატომ ყოყმანობდი, მოგემზადებინა თუ არა ჩვენი მეგობრებისთვის წვნიანი, ჩემი ბრალი იყო, რა თქმა უნდა, ცოლი ისეთი უნდა მიიღო, როგორიც ღმერთმა მოგართვა. სულ მავიწყდებოდა, რა სათუთი ხარ, როგორი მოფრთხილება გჭირდება! და მერე, მეგობრები როგორც კი წავიდოდნენ, ძალ-ღონეს იკრებდი და სამზარეულოში გადიოდი, დაღლილობისგან ფეხზე ვერ იდექი და ფოქსლის რძეს უთბობდი. რადგან თავად ხარ ფოქსლი!

ქადაგად დავარდნილმა შტილერმა ამგვარი საყვედურების ისეთი კორიანტელი დააყენა, სულ ერთიმეორეზე უფრო წვრილმანების გამო, რომ იულიკას განცვიფრების მეტი აღარაფერი დარჩენოდა.
– ისევ დუმილს აფარებ თავს! – თქვა მან, – შენ გგონია, რომ სიყვარულის და ერთგულების განსახიერება ხარ, ვიცი, მე კი მგონია, რომ ნამდვილი ნარცისი ხარ. და ქედმაღლობის განსახიერება! პირველ რიგში ქედმაღლობის. მუხლებზე დაგიჩოქე. იულიკა, შენ წინაშე ვქვითინებდი, როგორც ხანდახან სჩვევიათ კაცებს, შენი მრცხვენოდა, შენ წინაშე ვინანიებდი და შენ კი მაპატიე, შენ ხომ სულ რაღაცას მპატიობდი, ვიცი, ერთი წამით არ შეძრულხარ, ერთი წამით არ გიფიქრია, ხელი არ აგკანკალებია, იქნებ შენ მანადგურებ. ან რატომ უნდა აგკანკალებოდა? შენ ხარ ის, ვინც ითმენს, ეს ყველა ჩვენმა ნაცნობმა იცის, კეთილშობილი არსება, რომელიც საყვედურებს არ

მოგაძახებს, არა, საყვედურები მე უნდა მეთქვა ჩემი თავისთვის. შენ საყვედურებით ხომ არ გაისვრიდი ხელს. მაგრამ დაფიქრდი: ერთხელ მაინც გამიქარწყლე ეს გრძნობა, როცა მეგონა, რომ ყველაფერი ჩემი ბრალი იყო? შენ მპატიობდი. ამით კი საყვედურის სამართლიანობას აღიარებდი. მთავარი ეს იყო. ქალი რომ გპატიობს, ამაში რაღაც საეჭვოა, ჩემო ძვირფასო, ეს შენთვის უცხოა, შენთვის ყველაფერი უცხოა; მე ამას მხოლოდ ჩემი მიმოზულობით აღვიქვამ და ამან შეიძლება ისევე დაგღუპოს, როგორც ტუბერკულოზმა... მე ვლაპარაკობ და ვლაპარაკობ, იულიკა, შენ კი თოვლს უბერავ სულს!

შტილერმა გააგრძელა:
– ჰო, ხანდახან ჩემს თავს ვეკითხებოდი, ამდენი წლის განმავლობაში რატომ ერთხელ არ წამოვხტი და სილა არ გაგარტყი. სერიოზულად, ეს არის შეცდომა, რომელსაც ველარ გამოასწორებ. შეცდომა იყო, დარწმუნებული ვარ. რამდენ რამეს ავცდებოდით! მაგალითად, შენს უაზრო მოგზაურობას ლანდკვარტში, ასე მგონია. დარწმუნებული ვარ, თავიდანვე იცოდი, რომ საღმე შუა გზაზე ჩაიკეცებოდი, მაგრამ რაღაც არ უნდა დაგჯდომოდა, ჩემი სინდისის ქენჯნა უნდა დაგემძიმებინა. ცდები! და მაინც საშინელებაა: სულ სხვა მიზეზით, მაგრამ მართლა ჩემი ბრალია, რომ ახლა ამ სანატორიუმში წევხარ. ახლა უკვე აღარ მოგიწევს ჩემთვის პატიება. ხშირად ვფიქრობ: რომ არ ამომერჩიე ჩემი პიროვნების დადასტურების ობიექტად, არასოდეს მოგივიდოდა აზრად, შენი ავადმყოფობით მიგეჯაჭვე და ერთმანეთი სრულიად ბუნებრივად გვეყვარებოდა, რა ვიცი, ან სრულიად ბუნებრივად დავშორდებოდით. შენ ისეთ კაცს უნდა შეხვედროდი, რომელსაც სინდისის ქენჯნა არ აწუხებს და დიდი მოთმინებითაა აღჭურვილი, დიდი მოთმინებით, ისეთ კაცს მაინც, რომლის დაპყრობაც და შენარჩუნებაც მხოლოდ ბუნებრივი სიყვარულით შეიძლება. ვინ იცის, ჩემო ძვირფასო იულიკა, როგორი ჯანმრთელი შეიძლებოდა ყოფილიყავი – სულ ყოველთვის!..
შტილერი გაჩუმდა.
– მერე? – ჰკითხა იულიკამ.

შტილერი მიაშტერდა.
– ესე იგი, ასეთი გგონივარ! – უთხრა იულიკამ, – შენ შეიქმენი ჩემგან კერპი, ვხედავ, დასრულებული და საბოლოო კერპი და მორჩა. ახლა კი სხვანაირად აღარ გინდა დამინახო, მესმის, ასე არაა?
შტილერმა სიგარეტი გაირჭო.
– ბოლო დროს მეც ბევრ რამეზე დავფიქრდი, – თქვა იულიკამ და მაშინაც არ შეუწყვეტია თოვლის ფიფქებისთვის სულის ბერვა, როცა თავად

ლაპარაკობდა, – ტყუილად არ გვეუბნება ერთ-ერთი მცნება: ნუ შეიქმნი კერპს! ყველა კერპი ცოდვაა. იგია სწორედ სიყვარულის საპირისპირო, ხედავ, რას შვრები ახლა ამ ლაპარაკით! არ ვიცი, გესმის თუ არა. როდესაც ადამიანი უყვართ, მას გზას არ უკეტავენ და მიუხედავად მოგონებებისა, უბრალოდ, უნარი აქვთ გაოცდნენ, თავიდან გაოცდნენ, რა სხვანაირი ყოფილა ეს ადამიანი, რა მრავალფეროვანი და არა უბრალოდ, ასე, დასრულებული კერპი, რომელიც შენ შეიქმენი შენი იულიკასგან. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრა: ასე არ არის. იხლართები შენს ლაპარაკში – ნუ შეიქმნი ჩემგან კერპს! სხვას ვერაფერს გიპასუხებ.
შტილერი გაუაზრებლად ეწეოდა.
– ეგ საიდან მოიტანე? – მხოლოდ ეს ჰკითხა. მასთან საუბარი უკვე შეუძლებელი იყო. მხოლოდ თავისი ესმოდა. პონტრესინადან ჩამოვიდა მყარი გადაწყვეტილებით, რომ ყველაფერი ძირშივე მოესპო.
„სიყვარული? – ჩაიცინა, – მოდი, სიყვარულზე ნუ ვილაპარაკებთ, ჩვენს შემთხვევაში ეს უადგილოა, ნურც ერთგულებაზე – ალბათ შენც დიდი ხნის წინ მიმატოვებდი. იულიკა, შესაძლებლობა სულ გქონდა, ვიცი, ოღონდ გაკლდა რწმენა, რომ ნამდვილ მამაკაცს შეინარჩუნებდი. მოდი, ღიად ვილაპარაკოთ! ჩვენი შედარებითი ერთგულება სხვა პარტნიორთან მარცხის შიშით იყო გამოწვეული, ზუსტად ახლა გამოვცადე ეს, მეტი არაფერი. თავს ნუ მოვიტყუებთ! ახლა ჩვენს შორისაც ყველაფერი დამთავრებულია. მე ვფიქრობ, იულიკა, ერთმანეთს უკანასკნელად ვხედავთ.

იულიკა ატირდა.
– საზიზღრობაა, – თქვა შტილერმა მშრალად, – რომ ეს მაინცდამაინც ამ სანატორიუმში უნდა მომხდარიყო. შენ ჯერ კრიზისიდან არ გამოსულხარ, როგორც ექიმმა მითხრა. მაგრამ იქნებ კარგიცაა, იულიკა, რომ დღეიდან იცი, უეჭველად იცი, რომ ჩემზე შენი ავადმყოფობა შთაბეჭდილებას აღარ ახდენს. შენთვის ეს შეიძლება უსინდისოდ ჟღერდეს, მაგრამ სინამდვილეში მუდამ გამოუთქმელი საყვედურით გიმზერდი, სასაცილო იყო, ისე გიწევდი ანგარიშს, მეგონა, მუდამ რაღაც უნდა გამომესწორებინა, რაღაც უთქმელი, გესმის? და ახლა, მგონი, პირველადაა, რომ ვდგავარ შენ წინაშე და შენზე არ ვარ გაბრაზებული. ახლა ვიცი, რომ შენ გამო არ იყო, ნამდვილი ცხოვრებით რომ ვერ ვცხოვრობდი. მადლობა ღმერთს, ახლა ვიცი! ცრემლები შენს თვალებში, იულიკა, მუქარაა, რომელიც აღარ მოქმედებს. ადრე თუ გვიან ყველანი დავიხოცებით.

იულიკამ უპასუხა:

– ახლა მინდა, რომ მარტო დამტოვო.
შტილერი კიდევ ერთხანს იდგა მის საწოლთან, სიგარეტი გარეთ გადაეგდო და ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეყო. ცოტა დაბნეული იყო. და მერე, თითქოს იულიკა კუბოში წოლილიყოს, მხოლოდ შუბლზე აკოცა, არც ჰქონია მისი მკლავების მოლოდინი, და სწრაფად დატოვა ზამთრის სუსხიანი ვერანდა... მას შემდეგ (როგორც იულიკა ჰყვება) იგი მისთვის უგზო-უკვლოდ დაიკარგა. შტილერი დეკემბერში კიდევ ერთხელ ნახეს ქალაქში. მერე კი, გამოფენის შემდეგ, შუაღამის ლოთაობის შემდეგ, იგი სხვებისთვისაც დაიკარგა; თავიდან ვერც შეამჩნიეს, ნელ-ნელა მიხვდნენ, რომ აღარ ჩანდა კაფეში და სხვა ადგილებში, სადაც საერთოდ ხედავდნენ ხოლმე და ყველა მხრებს იჩეჩდა, როცა ვინმე სხვათა შორის მოიკითხავდა მის ამბავს. კიდევ კარგა ხანს იცადეს, იანვარი იყო უკვე, როცა ვიღაცამ, ვინც დაკეტილმა ატელიემ შეაფიქრიანა, პოლიციას შეატყობინა. პოლიციამ უშედეგოდ გაჩხრიკა მისი უჯრები და დღესაც, ამ ამბიდან ექვსი თუ შვიდი წლის თავზეც, არ იცის იმაზე მეტი, ვიდრე მაშინ იცოდა.

მესამე რვეული

გუშინ (შუალედში) – გამგზავრება კონფედერაციის იარაღის საცავში მათი უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერის აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით. ერთ-ერთ ბარაკში დიდი ხნის ლოდინი. მოწევა აკრძალულია! კონფედერაციის შარვლების ფუთაზე ვზივარ. ფეხზე დგომა არ შეგიძლიაო? ტყავის სუნი დგას, ქაფურის და იქვე მდებარე თავლებიდან – ცხენების. ახალგაზრდა, გაპრიალებულ ჩექმებში გამოწყობილ, ცოტა უხერხულ მდგომარეობაში მყოფ ლეიტენანტს, ჩემსავით რომ მოჰბეზრებია ლოდინი, სიტყვის მასალად ვეკითხები:
– აქ ისევ ინახავთ ცხენოსნების რაზმს?
– არა, – მოკლედ მპასუხობს.
როგორც იქნა, მოაქვთ შეკრული პაკეტი, რომელშიც მათი დაკარგული შტილერის გავერანებული ფორმა დევს და მიბრძანებენ, გახსენიო. შევცდი, არ უნდა მექნა; რაც მეტ ზრდილობას გამოიჩენ, მით უფრო იჯერებენ, რომ მეც შეიძლება ისე მომექცნენ, როგორც შტილერს. რადგან ამ ქეციან, მაგრამ თან სასაცილო ზურგჩანთას მე ვხსნი და ყველაფერი, რაც რიგით შტილერს ეკუთვნოდა, ძირს იყრება, რა თქმა უნდა, მე მიწევს აკრეფა. ვამბობ:

– ბატონებო, მე რა შუაში ვარ?
– აბა, წინ.

იარაღის საცავის ორი კონფედერაციელი მცველი, ჩასუქებული და მთელი ცხოვრება ქაფურის სუნთქვით გაფითრებული, სამხედრო ტონს სიტყვაძუნწი და ბრაზიანი კილოთი ანაცვლებს. პირდაპირ არ მომმართავენ! შემდეგ ნაცრისფერ პალტოს წვიმიან სინათლეზე გახედავენ, ახალგაზრდა ლეიტენანტს უყურებენ, რომლის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არავის ეპარება და ჩემს გაოგნებას ელოდებიან.
– აი, ვერაფერს ამჩნევთ? ჰა?
ქსოვილი ტარაკნების გამოჭმულია, მთელ სიგრძეზე დაუხვრეტიათ. ქსოვილს ხელში ვსინჯავ და ვეუბნები:
– წყალგაუმტარი ისედაც არ ყოფილა.
ისე მიყურებენ, თითქოს კომუნისტი ვიყო, არადა, უბრალო სიმართლის მეტი არაფერი მითქვამს. მუნჯი გუშაგივით გაშეშებული ახალგაზრდა ოფიცრის საწვიმარს ვკიდებ ხელს.
– აი, ასეთი უნდა იყოს! – ვამბობ.
შემდეგ კონფედერაციული თოფის ლულაში მახედებენ. ჩახედვას მაიძულებენ. რა უცნაურია, ვემორჩილები. ნეტავ რატომ? ვიყურები უცხო თოფის ლულაში, თითქოს ჭოგრიტი იყოს, მაგრამ ვერაფერს ვხედავ, ნაცრისფერი შუქით სავსე ხვრელია, მეტი არაფერი. და ისევ ელიან, რომ დანაშაულის გრძნობისგან ბეტონის მიწა გამისკდება. პატარა სარკე მოაქვთ.
– ახლა მაინც ხედავთ რამეს?

ვხედავ ჟანგს. ამასობაში, არ მიკითხავს, რა ღირს კონფედერაციული თოფის ლულა და ახალგაზრდა ოფიცრის მოხსენება, რომელსაც ზრდილობის გულისთვის ვისმენ, სრულიად არ მიღვიძებს ინტერესს. ასი წელი არ ვაპირებ კონფედერაციული თოფის ყიდვას. რევოლვერი, კიდევ ჰო, ან პისტოლეტი; მაგრამ რა თავში ვიხლი ამსიგრძე თოფს? მეჩვენება, რომ ახალგაზრდა ლეიტენანტი მეჩვენება, რომ თავს უხერხულად გრძნობს, ძალიან მცოდნე ვგონივარ; სულ იმეორებს:
– თქვენ ხომ ამის ახსნა არ გჭირდებათ.
მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, თითქოს იარაღის საცავის მცველებთან თავად ჰქონოდეს გამოცდა ჩასაბარებელი, ეუხერხულება, მაგრამ ბოლოს მაინც მიხსნის; რაღაცნაირად მგონია, უნდა მაჩვენოს, რომ სინამდვილეში მასაც უფრო ამაღლებული ინტერესები აქვს, მაგრამ აქ რა უნდა ქნას, ამ იარაღის საცავში, ხანდახან კოკისპირულ წვიმას თუ

გახედავს ფანჯრიდან – ამასობაში მცველები სულ უფრო და უფრო მეტი ზიზღით მაკვირდებიან და ჩემი ალალი გულგრილობის მიუხედავად, ყველაფერს მაგიდაზე აწყობენ, რაც, მათი აზრით, ომის წარმოებისთვისაა საჭირო. ესენია: ორი ჯაგრისი, დანა-ჩანგალი, ნაცრისფერი ძაფის კოჭი, უხეში საპონი, ღილების გარკვეული რაოდენობა, თითოეულ მათგანს შვეიცარიული ჯვარი ამშვენებს, ჯარისკაცის ქვაბი, მათარა, რომლის საცობიც არ ყროლდება, ფეხსაცმლის თასმები, ფუნჯი თავისი ფუტლარით, რკინის ჩაფხუტი, ეგრეთ წოდებული ჰალსტუხი, ხიშტი ქარქაშით, ასევე, სამი ნემსი, რომლებიც ამ უპასუხისმგებლო შტილერს ასევე დაუჟანგავს, მოკლედ, მთელი მაგიდა გაივსო და ყველაფერ ამას საკმაოდ გაოცებული, მაგრამ თან ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ვაკვირდები.

– იმედია, არ დამჭირდება თქვენთვის მოხსენების წაკითხვა, – თქვა ახალგაზრდა ლეიტენანტმა, – თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ზარალი თქვენ უნდა აანაზღაუროთ.
– მე? – გამეცინა, – მე რატომ?
– აბა, ვინ?
ლაპარაკს არ მაცლიან. მათი უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერის სამხედრო ფორმაც უნდა ჩამაცვან. ხმის ამოღებას ვერ ვახერხებ; ამაშიც ვლინდება მათი ძალაუფლების ნაწილი, რომელსაც, ჩემდა გასაოცრად, ვემორჩილები, მართალია, ჭოჭმანით, მაგრამ მაინც. თავში აზრადაც არ მოსდით, რომ ფორმის ჩაცმაში დამეხმარონ და საყელოს საკიდს რომ ვერ ვპოულობ, მხოლოდ ამას მეუბნებიან: წინ! არც ჩემს უწყინარ შენიშვნას პასუხობენ, ეს ფორმა სიქას გაგაცლის, სანამ მტერი შემოგეფეთება-მეთქი. მანეკენივით აქეთ-იქით მატრიალებენ.
– გამხდარხართ, – ამტკიცებს ახალგაზრდა ლეიტენანტი, რომელიც ცხოვრებაში პირველად მხედავს: – ტანზე გკიდიათ.
ამასობაში ერთ-ერთი მცველი საკიდთან მიდის, სხვა ფორმას გამოაძრობს და მესვრის:
– ეს მოიზომეთ!
– რატომ? – ვეკითხები, მაგრამ პასუხს ისევ არ მცემენ, სამაგიეროდ, სხვა ზომის ფორმას და ახალგაზრდა ოფიცრის მოხსენებას ვღებულობ: რომ სანამ ორმოცდარვა წელი შემისრულდება, შვეიცარიის ჯარში ვირიცხები, სამხედროვალდებული ვარ სამოცი წლის ჩათვლით, რასაკვირველია, უფლება მაქვს საზღვარგარეთ წავიდე, მაგრამ ვალდებულებაა, სახელმწიფოს დავეკითხო შვებულებაში წასვლის წინ და დავეთხოვო ჩემი ოლქის კომენდანტს (ადამიანი არ არსებობს,

რომელიმე ოლქში რომ არ იყოს ჩაწერილი), უნდა მოვიქცე ისე, როგორც სახელმძღვანელოში წერია. გარდა ამისა, სამხედრო აღჭურვილობა, რომელსაც თითოეულ შვეიცარიელს ანდობენ, შვებულების დროს სადმე სხვენზე კი არ უნდა ეგდოს, არამედ უნდა ჩაჰბარდეს საცავს, რათა მცველებმა თვალყური ადევნონ, რომ ჩრჩილმა არ შეჭამოს, შემდეგ – უცხოეთში ჩავალ თუ არა, მაშინვე უნდა გამოვცხადდე შვეიცარიის დესპანთან, რათა არ ავირიდო სამხედრო გადასახადი, შესაბამისად, მასაც უნდა დავეთხოვო იქიდან წამოსვლისას და ა.შ…

– ბატონო ლეიტენანტო, – ვეუბნები, – თქვენი შვეიცარიული უწყებების მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად! მაგრამ მე, ჩემდათავად... ვინ გაცლის ლაპარაკს! ამ სამ თავში მხოლოდ ერთი მიზანია: შტილერი სამხედრო მზადყოფნაში უნდა იყოს. თავს ვერ ვიძვრენ, სამხედრო ფეხსაცმლის მოზომება მიწევს, სხვათა შორის, უნაკლო საქონელია. მოზომება არ კმარა; ახალგაზრდა ლეიტენანტი ამბობს:
– თავი კარგად უნდა იგრძნოთ ამ ფეხსაცმელში!

თავს ზევით ძალა არ არის.
და მერე, სულ ბოლოს, მიბრაზდებიან კიდეც. ხელი მოგვიწერე, რომ თოფი და ახალი ფეხსაცმელი ჩაიბარეო. წესრიგი აუცილებელია, მესმის. ახალგაზრდა ლეიტენანტს, რომელსაც, ვატყობ, უფრო მნიშვნელოვანი დავალების მიღება სწადია, კალმისტარი გამოვართვი და ანკეტაზე დავწერე: ვაითი, ჯეიმს ლარკინსი, ნიუ მექსიკო, აშშ.
– ვაითი – როგორ, ვაითი?
კალმისტარი დავუბრუნე.
– My name is White
ერთმანეთს საყვედურით შეხედეს.
– თქვენ რიგითი შტილერი არ ხართ? – მკითხა ახალგაზრდა ლეიტენანტმა, რომელსაც ხელში უკვე ჩემი ნამდვილი ხელმოწერა ეკავა, საცავის კაცების მხარეს თავი გააქნია, მათი ბრალი ნამდვილად არ იყო. მათ ეს კაცი, უბრალოდ, გამოუგზავნეს. ვინ? რატომ? ვეცადე, სიტუაცია განმემუხტა და ამეხსნა.
– არსებობს ეჭვი, – ვუთხარი მე, რომ მე ვარ ის უგზო-უკვლოდ დაკარგული ბატონი, მაგრამ ეს ეჭვია.
მხოლოდ ეჭვის საფუძველზე, ცხადია, ვერ აღმჭურვავდნენ. ლეიტენანტმა ეს მათ აუხსნა, მე კი მიბრძანა, ფეხსაცმელი გაიძრეო, არადა, ეს ფეხსაცმელი რა კარგად მოვირგე.
– ღმერთო ჩემო! – აღმოხდა საცავის მცველს, – რატომ თავიდანვე არ გვითხარით!

მათი სიბრაზის შემხედვარეს, მიხაროდა, რომ ბრაზი ჩაფხუტზე და ჭურჭელზე გადმოანთხიეს, თავის მართლებას აღარ მოვყევი. არ მაცალეს ხმის ამოღება და რა მექნა?! მათი სიბრაზე გასაგები იყო; ამიერიდან აღარაფერზე მქონდა ხელის ხლების უფლება. არც თოფზე და არც ფეხსაცმელზე, არადა, როგორ მომეწონა ეს ფეხსაცმელი; მათ კი ახლა მთელი გუდა თავად უნდა ჩაელაგებინათ. მე მხოლოდ, Sorry-მეთქი, ვუთხარი. მაგრამ ახალგაზრდა ლეიტენანტი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა; თავი ვერ შეიკავა და ცოტა ხანს კიდევ მესაუბრა. საშინლად აინტერესებდა ამერიკა. კიდევ ერთხელ მომიბოდიშა; მისთვის მიუღებელი იყო, რომ შვეიცარიაში ამერიკელს ასეთი რამ შეემთხვა და სამხედრო პატივით მომესალმა. მე კი ხელი ბერეტთან მივიტანე, რომ არ დამექნია და იმ ორმა, ციხის მანქანაში რომ მელოდებოდა, და რომელთაც ახალგაზრდა ლეიტენანტის ზრდილობიანი მოპყრობა არ გამორჩენიათ, ისე მიმიღო, როგორც არასდროს, ასევე ზრდილობიანად, თითქოს ფულს ვაჩუქებდი; ერთ-ერთმა ნაცრისფერი მანქანის გისოსიანი კარებიც კი დამიჭირა, სანამ მეორე ცეცხლს მაწვდიდა და ამ სცენას ისღა აკლდა, ეკითხათ, საით ისურვებთ, რომ წაგიყვანოთო.
ვილფრიდ შტილერი, ძმა, დამწუხრებული ყოფილა, რომ მის ძმურ წერილს არასოდეს ვუპასუხე. მივწერ, როგორც კი შევძლებ.
დღეს კვირაა და ქნობელი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მესტუმრა, თეთრი პერანგი აცვია და ჰალსტუხი უკეთია, ჩემი მეოთხე მკვლელობის შესახებ უნდა ვუამბო. სულაც არ მეპიტნავება. მაგრამ არაფერი გამომდის, რამე უნდა მოვუთხრო.

– ეს ტეხასში მოხდა, – ვამბობ, – სადაც ჯერ კიდევ კოვბოიდ ვმუშაობდი.
– კოვბოიც იყავით?
– რატომაც არა?
– უჰ, რა მაგარია!
ერთხელ, ზაფხულის ერთ დილას, პრერიაში, კოვბოის ყოველდღიურობით გაბეზრებულმა, ცხენი იმაზე შორს გავაჭენე, ვიდრე ჩვეულებისამებრ, ვიდრე შეიძლებოდა. ფიქრებში ვიყავი ჩაფლული (რა ფიქრებში, ჩემს მსმენელს არ აინტერესებს) და უმიზნოდ მივჯირითობდი. მერე ჩორთზე გადავედი. ხუთი საათის შემდეგ, ისე, რომ უკან ერთხელაც არ მომიხედავს, წითელ კლდეებს მივაღწიე, რომელთაც, რამდენიმე კვირა იყო, დაბლობის ჰორიზონტზე ვხედავდი. ჩემი შავი ცხენიდან ჩამოვხტი, იქვე მუხის ტოტზე მივაბი და მაღლა ავფორთხდი, მინდოდა კიდევ უფრო ზემოდან დამენახა უსასრულო, ფართო დაბლობი, რომელიც უკან მოვიტოვე და რომელიც მომწვანო მოვერცხლისფრო ოკეანესავით

ლივლივებდა. ცხელი, ზუზუნა შუადღე იდგა. წყურვილი მახრჩობდა. ამაოდ ვეძებდი წყაროს, იქაურობა გამომშრალი კირისგან შედგებოდა და უცებ, იმ დროს, როცა ჩექმებით ვთელავდი გამოფიტულ ეკალ-ბარდებს, ღიობს მივადექი, კლდის ნაპრალს, რომელიც ზვიგენის დაფჩენილ ხახას ჰგავდა, უზარმაზარი იყო და ღამესავით ბნელი. ჩემს არცერთ ამხანაგს არ მოეყოლა ამ მღვიმის შესახებ. სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე ამ ბორცვიან, ველურ ბუნებაში შესასვლელი, რომელსაც მხოლოდ ძალიან ახლოდან თუ შეამჩნევდი. იქნებ აქ მაინც ყოფილიყო წყალი. სამარისებული სიჩუმე იდგა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ გადავდგი პირველი ნაბიჯები, რომ ცნობისმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა და შევაბიჯე ბნელ ნაპრალში, ფრთხილად ვებღაუჭებოდი უკანასკნელ ტოტებს, ვცდილობდი, კისერი წამეგრძელებინა და სიბნელისგან დაბრმავებულს, გადახსნილ ხახაში ჩამეხედა. არავის უბრძანებია მღვიმეში შესვლა; მაინც სული მეხუთებოდა და ჩემი აღმოჩენა არ მასვენებდა. ჩექმის ქვეშ ქვა მოწყდა, ხტუნვა-ხტუნვით ჩავარდა ქვევით, სულ უფრო და უფრო შორიდან სწვდებოდა ყურს მისი გრიალი, ხმა არ წყდებოდა, მე კი, კოვბოი კი ვიყავი, მაგრამ ფერი დავკარგე. მეჩვენებოდა მოხტუნავე ქვის ხმა, თუ მართლა მესმოდა? შიშისგან სუნთქვა შემეკრა, მაგრამ თავს მოვერიე, რომ უკან არ გავქცეულიყავი. ირგვლივ სამარისებული სიჩუმე იდგა. მხოლოდ საკუთარი გულის ბაგა-ბუგი მესმოდა. შემდეგ ხმამაღლა დავიძახე: არის აქ ვინმე? და უაზრო შიშით შეპყრობილი, თითქოს ჩემი საკუთარი ხმა არ ყოფილიყოს, თითქოს დრაკონი მიპირებდა გადაყლაპვას, ფართხა-ფურთხით ამოვძვერი ზევით, თან ეკლიან ბუჩქებს ვეჭიდებოდი. ექო უკან მომდევდა, მზე რომ დავინახე, საკუთარ თავზე გამეცინა. უფრო სწორად, ვეცადე საკუთარ თავზე გამეცინა. რადგან აქ, შუადღის პაპანაქებაში, მხოლოდ მწერების ნაცნობი ზუზუნი ისმოდა, მაღალი ბალახი ქარში შრიალებდა და თვალწინ ტეხასის დაბლობი, ის მიწა გადაშლილიყო ოკეანესავით, რომელსაც ყოველდღე ვხედავდი. მაინც ცოტა შემზარავი იყო, თითქოს ისევ მესმოდა მოხტუნავე ქვის ხმა.

ღამე იყო, ჩვენს რანჩოს რომ მივაღწიე. თავი თავხედური ტყუილით ვიმართლე, ჩემს მღვიმეზე კრინტი არ დამიძრავს, ჯიმისთვისაც კი სიტყვა არ მითქვამს, ჩემი საუკეთესო მეგობრისთვის, ჩემ გვერდზე რომ ეძინა. ჰამაკზე მომქაჩა, უნდოდა გაეგო, მართლა სად დავიკარგე მთელი დღე, მე კი არ გავუქარწყლე შური და რწმენა, რომ იქ, იმ თითქმის უკაცრიელ ველებზე (თვეები ისე გადიოდა, კაცების, ცხენებისა და საქონლის მეტს ვერავის გაღაეყრებოდი) თავისუფალ გოგონას გადავაწყდი. ჯიმმა

გვერდში ერთი მითავაზა, უნდოდა გამოეხატა, გულით ვიზიარებ შენს სიხარულსო, და თან ასევე გულით დამიწუნა საქციელი. მაგრამ მე ჩემი მღვიმის ამბავი მაინც არ გავთქვი.
რანჩოზე მკაცრად გვამუშავებდნენ, ცოტანი ვიყავით, ერთი ჩვენგანი კი ავად იყო; ორი კვირა ველოდი შემდეგ თავისუფალ დღეს.
რასაკვირველია, ჯერ წესიერად გათენებულიც არ იყო, რომ ისევ ჩემი მღვიმისკენ გავქუსლე (ძალიან შორიდან მოვუარე, რომ კვალი ამებნია), ფარნით შეიარაღებული, რომ მღვიმის უკუნეთში შემეღწია, ყველაფრისთვის მზად ვიყავი, ერთი რამის გარდა – რომ ჩემს მღვიმეს ვეღარ ვიპოვიდი. უკვე ნაშუადღევი დამდგარიყო, მე კი ისევ ზევით-ქვევით დავაბოტებდი, იქნებ შესასვლელი სულ ახლოს იყო, იქნებ ერთ მილში, ირგვლივ სულ ერთნაირ გორაკებს და ტაფობებს ვხედავდი, ისეთივე ნარებს, კაქტუსებს, აგავებს, მათ შორის კი – იმ დაწყევლილი შხამიანი მუხების ეკალ-ბარდებს. ქანცგამოცლილმა და იმედდაკარგულმა გავაჭენე უკან, მღვიმე ვერ ვიპოვე. კიდევ უფრო მჯეროდა, რომ ამ მღვიმეში ზღაპრული საგანძური ინახებოდა, შეიძლება ოქრო, ესპანელების მიერ მოხვეჭილი და დაკარგული; აქ არ ჩაიარეს თავგადასავლების მაძიებელმა ვასკეს კორონადომ და ქაბეზა დე ვაკამ? ყველაზე ცოტა, რაც იქ შეიძლებოდა მეპოვა, ისტორიული მნიშვნელობის ნივთები იქნებოდა, მაგრამ იქნებ ინდიელების ძვირფასი თვლებიც, ამომწყდარი ტომის მთელი საგანძური. საღ გონებაზე ყველაფერი შესაძლებელი ჩანდა. ჩემი მეგობარი, რა თქმა უნდა, იღრიჭებოდა, დაღლილ-დაქანცული საღამოს ჩემს ჰამაკში უსიტყვოდ რომ ჩავეშვი. რა ჰქვია იმ გოგოს? მკითხა, მე კი ვუპასუხე: ჰაზელი! და მეორე გვერდზე გადავბრუნდი.

ასე გავიდა რამდენიმე კვირა.
კლდეებში მიმალული ჩემი მღვიმე ნამდვილ ზმანებად მექცა, ცხადში ვერაფრით ვპოულობდი, თუმცა რამდენჯერმე წავედი ცხენით იმ მიდამოში; ყოველთვის თან მქონდა ფარანი და ლასო, კარბიდით სავსე ჩანთა და კიდევ ერთი აბგა, რომელშიც საგზალი მედო და მე თვითონაც აღარ მჯეროდა ჩემი აღმოჩენის, როცა უცებ, ერთ საღამოს, უკვე რომ ბინდდებოდა და უკან დაბრუნების დრო მოსულიყო, ღამურების ღრუბელი დავინახე. თითქოს მიწიდან ამოფრინდა მილიონობით ღამურა. ჩემი მღვიმიდან ამოფრინდნენ!.. ფარანი და ლასო თუ გაქვს, რომელიც მთამსვლელივით შეგიძლია კლდის წვეტზე ჩამოკიდო, არც ისე ძნელია პირველ, უზარმაზარ ქვაბულში ჩასვლა. როგორც სინათლის უკანასკნელ სხივებში შევიცანი, თითქმის ნოტრ-დამის ტაძრისხელა იყო. ჩემი ფარანი

მცირე სალოცავებს ანათებდა, მაგრამ დრაკონების ცეცხლისმფრქვეველი თვალები და გოგირდის ოხშივარი, ცხადია, არსად შემხვედრია. მეამაყებოდა, რომ ამხელა მღვიმე აღმოვაჩინე, მაგრამ თან ცოტათი იმედგაცრუებულიც ვიყავი, რომ უკვე დამთავრდა ჩემი საიდუმლო მისია და უცებ – ეს წამი არასოდეს დამავიწყდება! – ჩემი ფარნის შუქი თითქოს მიწამ შთანთქა. შიშისგან სუნთქვა შემეკრა, ფეხებთან ქვესკნელს დაეღო პირი, განძრევას ვერ ვბედავდი, დარწმუნებული ვიყავი: ფარნის შუქი ძირს აღარ ეცემოდა. ზევით ავიხედე, რომ დღის სინათლე დამენახა, მაგრამ უკვე ღამე ჩამოწოლილიყო დედამიწაზეც; მხოლოდ რამდენიმე ვარსკვლავი მოჩანდა, მიუწვდომელ სიშორეში სუსტად მოკიაფე ვარსკვლავი, ირგვლივ კი პირქუში კლდეების სიშავე იდგა და, რომ გამახსენდა ქვესკნელში დაგორებული ქვების გრუხუნი, უკან ნაბიჯის გადადგმაც ვეღარ გავბედე, მეგონა, ერთი ნაბიჯიც და, გადავიჩეხებოდი. ბოლოს დავიჩოქე, ფარანი ლასოს შევაბი და ქვევით ჩავანათე, რომ საშიში უკუნეთი შემესწავლა; ფარანი სიცარიელეში ქანაობდა. ცოტა ხანში (ხვრელის პირას ვიდექი მუხლებზე, როგორც გითხარით, და საკუთარი გულის ბაგა-ბუგის მეტი არაფერი მესმოდა) მღვიმე შევიცანი, ისიც უზარმაზარი იყო, მაგრამ ნოტრ-დამს არ მაგონებდა, უფრო ზმანებას, სრულიად სხვა სამყაროს, არა ღამურებით შეფენილ კლდეს, არამედ ასობით და ათასობით ბრჭყვიალა ქვის სვეტებიან ზღაპარს. აღმოჩენა ეს იყო, თუ იყო! კარგი მცოცავისთვის ამ ზღაპარში ჩასვლა რა ბედენა იქნებოდა, მაგრამ უკან როგორ ამოვიდოდი? ოღონდ ერთ რამეს ცხადად ვგრძნობდი: ახლა თუ უკან დავიხევ, მთელი ცხოვრება ვინანებ და დავიტანჯები. შიში გამბედაობამ და სიამაყემ შეცვალა. ძალიან ფრთხილად, დიდი მონდომებით (ოღონდ უკან დაბრუნებაზე არ ვფიქრობდი), გვარიანად დაკაწრულმა, ბოლოს და ბოლოს ნახტომით ჩავაღწიე იმ საოცარ სიღრმეში, საიდანაც ვარსკვლავებიც კი აღარ მოჩანდა. ჩემი ერთადერთი იმედი ფარნის მკრთალი შუქი იყო. ძალიან აღელვებული ვიყავი, მაგრამ ისე ფრთხილად და გონივრულად ვმოქმედებდი, თავადვე მიკვირდა. ის კლდე, რომელზეც უკან უნდა ავცოცებულიყავი, მაშინვე მოვნიშნე ჩემი ფარნის ჭვარტლით, ისე დავაწერე დიდი ერთიანი, თითქოს ვიღაცას ესწავლებინოს. მხოლოდ მერეღა მოვავლე თვალი იქაურობას. საითაც არ გავიხედავდი, ლაბირინთი მოჩანდა. ფარნით შეიარაღებული მივიწევდი წინ, ისეთი ბედნიერი ვიყავი, თითქოს სანუკვარი მიზნისთვის მიმეღწიოს და თან თავზარდაცემული, თითქოს დასასრულს ვგრძნობდი, თითქოს ეს იყო ფასი, რომელიც ჩემი ცნობისმოყვარეობისთვის უნდა გადამეხადა – ვეღარასდროს დავბრუნებულიყავი დედამიწაზე, ვეღარასდროს მეხილა

მზე, ვარსკვლავები, რომელთაც ცოტა ხნის წინ ვხედავდი და ვერც ის მკრთალი მთვარე, ვეღარასდროს გამეჭენებინა ცხენი მინდვრებში, ვერ შემეყნოსა ბალახი, ვეღარ დამენახა ადამიანი და ვეღარავის გაეგონა ჩემი ხმა.

დავიძახე: ვინმე არის მანდ? და მერე, How are you?
წესიერი ექოც კი არ ისმოდა. ყოველ ათ ნაბიჯში ვტოვებდი ნიშანს ჭვარტლით. ზევით, დედამიწაზე, ალბათ უკვე გათენდა-მეთქი, ვფიქრობდი. ერთხელ ვცადე, მომესინჯა, ვიპოვიდი თუ არა ზევით ასასვლელ კლდეს (ნიშანი ნომერი პირველი), ჩემი ნიშნულები საკმარისი იყო თუ არა. საკმარისი აღმოჩნდა. მაგრამ ოფლმა დამასხა, როცა ნიშანი ნომერი პირველი ისევ ვიპოვე, არადა, იქ, ცხადია, საკმაოდ გრილოდა. მაკანკალებდა და რაღაც უნდა მექნა, თან დავმშვიდდი, თითქოს არიადნეს ძაფი მეპოვოს, მეორე მხარის შესწავლას შევუდექი, ზევით ავცოცდი, გაბედულად, მაგრამ ფრთხილად (არცერთხელ არ დამვიწყებია ჭვარტლით ნიშნის დასმა), მაკრთობდა თითოეული მოცურებული ნაბიჯის ექო, რომელიც მამცნობდა, რამხელა იყო ეს გამოქვაბული, ეს უკუნეთი დედამიწის წიაღში, საიდუმლოებებით დახვრეტილი, რომელშიც ძეხორციელს არ შეედგა ფეხი და ჩემი ფარანი იყო პირველი სხივი, რომელსაც ამ ზღაპარში შეეღწია, პირველი შუქი, რომელსაც გაენათებინა მთელი ეს დარბაზები და ბრჭყვიალა სვეტები? უკან, ჩემი ფარნის შუქი რომ მოწყდებოდა, ყველაფერი უკუნეთში იძირებოდა, თითქოს არც უარსებიაო, და ვერ მიხვდებოდი, კლდეების უკუნეთი იყო თუ სიცარიელის უკუნეთი. სამარისებურ სიჩუმეში ათასწლეულების წიაღიდან წვეთავდა. ნეტა რა მინდოდა? ალბათ მსურდა იმ მღვიმეში შემეღწია, საიდანაც გზა აღარსად მიდიოდა, სადაც ეს შეუცნობელი სამყარო მთავრდებოდა, სადაც ქვები, რომლებიც ჩემი ჩექმის ქვეშ სწყდება მიწას, უფრო ღრმად აღარ ვარდება. ასეთ ადგილამდე ვერ მივაღწიე. ისე შემაშინა ადამიანის ჩონჩხმა, რომელსაც უცებ დაეცა ჩემი ფარნის შუქი, რომ ყვირილი აღმომხდა, გაქცევაც კი დავაპირე, მაგრამ ფეხი რაღაცას წამოვდე, ჩემი ფარნის ერთი მინა დაიმსხვრა და სახე გამიჭრა. მეგონა, ხაფანგში გავები და ამ ჩემი წინამორბედივით აქედან ვეღარ გავაღწევდი, შესაბამისად, არჩევანი მქონდა შიმშილით სიკვდილსა და ჩემს ლასოზე თავის ჩამოხრჩობას შორის, გონი და სხეული წამერთვა; დავჯექი, თბილი სისხლი პირში ჩამდიოდა, მთელი გონება უნდა მომეკრიბა, რომ ჩონჩხი, რომელსაც მრგვალად ანათებდა ფარანი, უცებ ჩემი საკუთარი არ მგონებოდა. რაღაცნაირად დამავიწყდა დროის გამოთვლა, არ ვიცოდი, კიდევ რამდენ ხანს მეყოფოდა ფარნის

სინათლე და ალბათ იმ ჩონჩხმა გადამარჩინა (ახლა ასე მგონია). უკან დახევის გარდა, აღარაფერზე ვფიქრობდი. არც ვიცი, ინდიელი იყო თუ თეთრკანიანი, ვინც ჩემზე ადრე იხილა ეს მღვიმეები; უცებ მივხვდი, დრო აღარ მქონდა, რომ ამ კითხვაზე პასუხი მეპოვა. საღამოვდებოდა, გასასვლელს რომ მივაღწიე. მზე ღამურების მკივანა ღრუბლის უკან იფერფლებოდა და ზევით, დედამიწაზე, გეგონებოდა, არაფერი მომხდარაო. ჩემი ცხენი წყურვილისგან ჭიხვინებდა. ქანცგაცლილი, ქვიშაში და სისხლში ამოთხვრილი დავეგდე თბილ მიწაზე და ჭამას შევეცადე. ისე მეშინოდა, ჩემი წანამორბედივით მეც შიმშილით არ მოვმკვდარიყავი, ჯერ საგზლისთვის ლუკმაც კი არ მომეკლო. ცხვრის ამძაღებული ხორცი ცხონებად მომეჩვენა (მაშინ უკვე ყელში მქონდა ამოსული ცხვრის ხორცი). მიუხედავად იმისა, რომ საღამოს ბინდი იდგა, მაინც არ ვაქრობდი ფარანს, თითქოს მეშინოდა, ფარანს თუ ჩავაქრობ, ირგვლივ ყველაფერი ჩაქრება-მეთქი, მთვარეც, რომელიც იისფერი მდელოდან ამოიწვერა და ვარსკვლავებიც, რომლებიც პრერიას დაჰნათოდა, და მთებს მიმალული მზეც, რომელიც ახლა ოკეანეზე ეკიდა და ჩინეთს ათბობდა.

რანჩოში იწყევლებოდნენ.

ძნელი, ის კი არა, შეუძლებელიც იყო, ჯიმისთვის მოგეყოლა, რა ვნახე, იმდენად უხეიროდ ვიცოდი გეოლოგია. მაინც ავუხსენი: კირის კლდეებია, იმდენად მკვრივი, რომ გასაოცრადაა გადაშლილი. ჯიმი ჩემს შეფასებებს არ ენდობოდა, არადა, შემდგომში გამოიკვლიეს ის მღვიმეები (დღესდღეობით ტურისტები იქ კარლსბადიდან, ნიუ მექსიკოს შტატიდან, ავტობუსით ჩადიან) და სულ სხვა მასშტაბები დაადგინეს: დიდი დარბაზი ექვსასი ფუტის სიგანისაა, სამას ორმოცდაათი ფუტის სიმაღლის, კილომეტრზე მეტის სიგრძის და მიწიდან შვიდასი ფუტის სიღრმეზე მდებარეობს და თან, სულაც არ არის ყველაზე ქვედა მღვიმე. ოდესღაც, მიწისქვეშა მდინარე, რომელმაც ეს კლდე გამოშიგნა, თავად დაშრა. რატომ დაშრა, არ ვიცი. უზარმაზარი მდინარე უნდა ყოფილიყო, რიო გრანდეზე ოთხჯერ დიდი, წყნარად მიედინება ახლომახლო ხეობებში. შეიძლება მდინარე, რაც უფრო ხრავდა კლდეს, სულ უფრო და უფრო ღრმად ჩაედინებოდა და სადღაც ჩაიკარგა, შეიძლება კლიმატი შეიცვალა და ვეღარ იკვებებოდა, არ ვიცი, ფაქტია, რომ დაშრა ეს მიწისქვეშა მდინარე და მღვიმეები, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე გამორეცხა, ცარიელი დატოვა. შრეები ირღვეოდა, რაც მღვიმეებს კიდევ უფრო აფართოებდა, ალბათ მანამდე ჩამოინგრეოდა ხოლმე, სანამ ერთი შრე უფრო გამძლე არ აღმოჩნდებოდა და ჭერად არ იქცეოდა.

ჩამონგრევის შედეგად წარმოშობილი ქვა-ღორღი აღარსად ჩანს, ნაწიბურები გაქვავებულმა წვეთებმა გადაფარა. მერე კი, აი, რა მოხდა: წვიმის მცირედი ნაჟური, რომელიც პატარა ნაპრალებში და ნახეთქებში მწვანე ზედაპირიდან აღწევდა, ცარიელ გამოქვაბულებში წვეთავდა და ორთქლდებოდა და მერე იწყებოდა მეორე ნაწილი: მღვიმეების მოვარაყება, რადგან კირი, წყლის აორთქლების შემდეგ, ისევ გამოიყოფა. ასე იქმნება სტალაქტიდები, წვეთოვანი ქვა, რომელიც ჭერზე კიდია და ასევე სტალაგმიტები, წვეთოვანი ქვა, რომელიც ქვევიდან ზევით იზრდება, ისეთი ზომის წარმონაქმნებია, რომ გეოლოგების ვარაუდით, მათი შექმნის პერიოდი ორმოცდაათიდან სამოც მილიონამდე წელია. დროის ამ მონაკვეთებს, რომელთა გამოთვლა ადამიანს შეუძლია, მაგრამ დროის მისეული შეგრძნებით ვერ წარმოისახავს, ფანტაზიითაც ვერ სწვდება, ეონებს უწოდებენ. ძალიან ძნელი გადმოსაცემია, რა წარმოიშვა იმ მღვიმეებში – წვეთ-წვეთად, ოღონდ მთელი ოკეანის წვეთები დასჭირდებოდა და ერთი ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ მისი რამდენიმე მილიმეტრით გაზრდას თუ ყოფნის. ჯიმს ჩემი არ სჯეროდა, არადა, მაშინ მხოლოდ ზედა მღვიმეების შესახებ ვუყვებოდი. რაც უფრო ღრმად შედიხარ, მით უფრო არაჩვეულებრივი და წარმოუდგენელია, მით უფრო მდიდრულია წარმონაქმნები, რომლებიც ჭერიდან ჩამოზრდილა როგორც ალებასტრის ფარდა, მოთეთრო, მოყვითალო, ჩვენი ფარნების შუქში აბზინვარებული, მაგრამ მარტო ფარდები კი არა, მთელი ტაძრები კიდია ზევიდან, გოთური ტაძარი თავდაყირა, შემდეგ უცებ სპილოს ძვლის კატარაქტა, მდუმარე და გაქვავებული, თითქოს დრო გაჩერებულაო. მერე უცებ მოჩანს ზვიგენის კბილები, ჭაღები, წვერები, სადღაც იქით დროშებით სავსე დარბაზია, მარადიული ისტორიის მუზეუმი, კლასიკური ბერძნული ნაოჭასხმული ქანდაკებებივით ფიგურები, მათ შორის კი, ჩრდილოეთის დრაკონების კუდები. ყველაფერი, რაც ადამიანის გონებას წარმოუდგენია, აქ მეორდება ქვაში და ინახება მარადიულობისთვის. და რაც უფრო ღრმად ჩადიხარ, მით უფრო მდიდრულია მღვიმეების ძირიდან ამოსული წარმონაქმნები, მარჯნის რიფები, ჯერ დათოვლილი ნაძვების ტყეში დადიხარ, მერე უცებ პაგოდა შემოგხვდება, კეთილი სულები, ან ვერსალის გაქვავებული შადრევანი, გააჩნია, საიდან უყურებ, გარდაცვლილთა უცნაური აკლდამები; ჰადესი, როგორშიც ორფეოსმა შეაბიჯა; არც გაქვავებული ქალბატონების ნაკლებობაა, რომლებსაც მალე შთანთქავს მათივე პირბადეები, ქარვის პირბადეები, ადამიანური სიყვარული მათ ვეღარ დაიხსნის, მომწვანო ტაძარში კი დუმფარები ყვავის, მაგრამ ისინიც ქვისაა, ცხადია, ყველაფერი ქვის. ზოგ ნაპრალს

ფარნის შუქი ვერ სწვდება; ჩააგდებ ქვას და შიშისგან შეშდები, როცა მისი ხმა აღარ აღწევს შენამდე და ხვდები, რომ ლაბირინთს ბოლო არ უჩანს, რომც მოახერხო და უფსკრული გადალახო, ძირს ვერ უპოვი. და მაინც გიზიდავს. და წელში იხრები, რომ ხმლების ქვეშ გაიარო და ხვდები არარსებული დედოფლის დარბაზში; მისი ტახტიდან მარმარილოს ძაფები წვეთავს, ზევით კი მკრთალად ელავს ბალდახინი. რას არ ნახავ აქ, ფალოსის უზარმაზარი მონუმენტებიც მრავლადაა, მთელი ჯარია, მათ შორის კი თითქოს ყვავილოვან კომბოსტოზე დააბიჯებ, პატარა ჯოხებს ეჭიდები, რომლებიც შეიძლება ჩიტის ან ბოთლის ყელი იყოს, მცენარეები და ცხოველები, ადამიანის ზმანება, აქ ყველაფერია, როგორც მეტაფორების მიწისქვეშა არსენალში. უკანასკნელი მღვიმე, რომელშიც მე შევაღწიე, სულ სხვანაირია: ფილიგრანული, ფაიფურის შროშანების სარკოფაგი, კლდე აღარსად იგრძნობა, მით უმეტეს, აღარც ჩანს, მხოლოდ სტალაქტიდები, გლუვი და შუშისებური, მხოლოდ ორნამენტები, მთელი არაბული სამყარო. ჰო, ერთმანეთს ერწყმის ზედა და ქვედა, დაკიდული და ამოწვერილი, ერთმანეთს ეხუტება, მარმარილოს ჯუნგლია, უხმო და სუნთქვაშეკრული, როგორც კოსმოსი, მაგრამ დრო მაინც იგრძნობა. ეონების ეს ქმნილებაც უნდა დასრულდეს და ჩაქრეს, ესეც წარმავალია.

შემდეგ ჯერზე ჯიმთან ერთად წავედი.
ორნი ვიყავით და თან უკეთ აღჭურვილები, ვიდრე მანამდე (ორი ფარანი, ასოცი საათის სამყოფი საწვავი, თითქმის ერთი კვირის საგზალი, რაც მთავარია, ცხვრის ხორცი, ვაშლი და არაყიც, გარდა ამისა, სამი ლასო, ცარცი, რომ თეთრად აღგვენიშნა გზები და საათი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო), ამიტომ კარგა გვარიანად გავცდით ჩემი წინამორბედის ჩონჩხს და მივაღწიეთ ეგრეთ წოდებულ
-ს, სადაც ის უბედური შემთხვევა მოხდა. ეს იყო ჩვენი ერთობლივი თავგადასავლის სამოცდამეშვიდე საათზე, ანუ, მესამე დღეს, თუკი დღეებს ისე დავთვლიდით, როგორც ზევით, დედამიწაზე ითვლიან და არა წამებს და ეონებს, და ეს იყო არცთუ შორს იმ ადგილიდან, სადაც დღეს ტურისტებს ლანჩს სთავაზობენ, სანამ ლიფტით დააბრუნებენ მზის სინათლეზე. ჯიმს ფეხი გაუსრიალდა და რამდენიმე მეტრით ქვევით ჩაცურდა, გმინავდა და მაშინვე მე დამადანაშაულა, ლასოთი კარგად არ დამიჭირეო, რაც სისულელე იყო; მე ხომ მასზე წინ მივდიოდი და ჩემს მეგობარზე ნაკლებ საფრთხეში არ ვიმყოფებოდი. თავად უნდა გამოეჩინა სიფრთხილე. მაგრამ ნერვები ორივეს დაჭიმული გვქონდა, ამიტომაც ვკინკლაობდით, თუმცა, რა თქმა უნდა, მაშინვე შევრიგდით. ჯიმმა,

მგონი, მარცხენა ფეხი მოიტეხა. ახლა რა იქნებოდა? გავამხნევე, არაყი მივაწოდე და ვფიქრობდი, რა ვქნათ-მეთქი. ზურგზე მოკიდებულს წავათრევდი, მაგრამ კედელს რომ მივადგებოდით, მაშინ რას ვიზამდი? ზურგმოკიდებული კაცით ზევით ვერ ავცოცდებოდი. მეც დავლიე არაყი და ვუთხარი: ოღონდ არ აღელდე, ჯიმ, როგორმე აგათრევ ზევით-მეთქი! დავათვალიერეთ ფეხი, არყითაც დავამუშავეთ; იქნებ მოტეხილი არც იყო და მხოლოდ ნაღრძობი ჰქონდა. მისი ტკივილებისა და ჩემი გონიერების მიუხედავად, ჯიმმა დაიჟინა, ჩექმა ისევ უნდა ჩავიცვაო. ნუთუ მართლა ეშინოდა, რომ იქ მივატოვებდი? აქამდე თითქმის არ გვძინებია, ცოტა დასვენებამ და არაყმა დაღლილობა გვაგრძნობინა. ჩემი გეგმა წმინდა გონებას ემყარებოდა: უნდა ჩაგვექრო ფარნები, რათა საწვავი დაგვეზოგა და რამდენიმე საათი დაგვეძინა, მერე ახალი ენერგიით გავდგომოდით გზას უკან. გზა ნამდვილად მტკივნეული იქნებოდა ჯიმისთვის, მეც არაქათს გამომაცლიდა. კიდევ სამი დღის საგზალი გვქონდა, სინათლის საქმე უფრო ცუდად იყო. ჩვენი მეორე ჩხუბი იმიტომ დაიწყო, რომ ჯიმს ფარნის ჩაქრობა არ უნდოდა. არადა, თითოეული საათი, რომლისთვისაც საწვავი გვექნებოდა, შეიძლება უმნიშვნელოვანესი ყოფილიყო! მე მას ვუთხარი: ახლა თუ გონს არ მოუხმობ, ჩვენი საქმე წასულია-მეთქი! ჯიმმა მიპასუხა: ჩამასხამ არაყს და რომ დამეძინება, მიმატოვებ, ამას მეუბნება გონიო. გამეცინა, მისგან ასეთ უნდობლობას არ ვიმსახურებდი, ჯერ არ ვიმსახურებდი. რამდენიმე საათის შემდეგ, რადგან არცერთს გვეძინა და ორივე ვკანკალებდით, ვუთხარი: ადექი, ავიდეთ მაღლა-მეთქი! კისერზე ჩამოვიკიდე, გამწარებული იყო, მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ტკივილისთვის გაეძლო, კოჭლობდა, მაგრამ ბარგი არ ჩამოუხსნია, არც ფარანი, არც საგზალი, არც ლასო. წინ უკეთ მივიწევდით, ვიდრე გვეგონა; სადაც გვერდიგვერდ ვერ გავივლიდით, ჯიმი ოთხზე მოხოხავდა; რადგან ვიცოდი, ეშინოდა, არ გავპარვოდი, წინ მას ვუშვებდი. ცარცის ნიშნულები ძალიან გამოგვადგა, თუმცა, რამდენჯერმე დავიბენით და არასწორ კუთხეში გავუხვიეთ, გზის აბნევა შემდგომ შეცდომებს იწვევდა და შვებით ამოვისუნთქავდით ხოლმე, როცა რამდენიმე საათში ისევ იმ ნიშნულს მაინც მივადგებოდით, საიდანაც გზა აგვერია. იმასაც მალე მივხვდით, რომ ცალ ფეხზე ხტუნაობა და ხოხვა კედელზე ცოცვისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. მაგრამ ჩვენ (დღევანდელი ცოდნის მიხედვით) შვიდასი ფუტის სიღრმეში ვიმყოფებოდით! ვაღიარებ, მეშინოდა იმ მომენტის, როცა მივხვდებოდი, რომ ვერ დავეხმარებოდი ჩემს მეგობარს თითქმის ვერტიკალური კედლების დაძლევაში; რა უნდა მექნა? დაახლოებით ორმოცდაათი

საათის სინათლეღა დაგვრჩენოდა, თუ ჯიმი არ მატყუებდა; საათი მას ჰქონდა. მაჩვენე-მეთქი, ვუთხარი. ჯიმი დაიღრიჭა და ციფერბლატი შორიდან დამანახვა: ა, ბატონოო. დავეჭვდი, საათი ხომ არ გადასწია-მეთქი, მაგრამ რაში სჭირდებოდა? სიცრუით იქაურობას ვერ გაანათებდი. რა თქმა უნდა, მეცოდებოდა მტკივანი ფეხის გამო, მაგრამ ახლა ფეხი აღარ იყო მთავარი. ახლა მთავარი იყო დრო. ვიცოდი, რამდენი საათი დამჭირდებოდა მარტოს დედამიწაზე დასაბრუნებლად? ფეხის ამბის მერე ლუკმა არ ჩაგვედო პირში.

დღეს Rock of Ages-ს ეძახიან იმ ადგილს, სადაც გათამაშდა ჩვენი მეგობრობის ბოლო სცენა. ჯიმი უცებ ატირდა:

აქედან ვეღარასდროს გავაღწევო. სისულელეა, სისულელეა-მეთქი, ვუპასუხე. კედელზე ჯიმის თოკით ათრევის პირველი და მეორე მცდელობის შემდეგ – საშინლად ეშინოდა, შეიძლება სამართლიანადაც, რომ მე ზევით ავძვრებოდი და თოკს ჩავეხსნებოდი – ორივენი მხოლოდ ქანცგაწყვეტილები კი არა, დაშავებულებიც ვიყავით. მე შუბლზე მქონდა ნაკაწრი. არ ვიცი, ჯიმმა შიშისგან მოქაჩა თოკს, რადგან ეგონა, რომ ჩავეხსნებოდი, თუ გლუვ ქვაზე მოსრიალდა ცალ ფეხზე მდგარი; ასეა თუ ისე, ერთი მოქაჩვა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქვევით ჩავეთრიე თავს იკლავდა, ძალით არ მიქნიაო, მაგრამ იმ ჭრილობაზე უარესი, საიდანაც სისხლი მარცხენა თვალში ჩამდიოდა, გადატყავებული ხელები იყო. კინაღამ ჭკუიდან გადავედი. ახლა ჯიმი მეუბნებოდა, სისულელეა, სისულელეაო. მისმა სიმშვიდემ დამაეჭვა, მიუხედავად უმოწყალო დაღლილობისა, ჩასაფრებული ცხოველივით ფხიზლად ვიყავი, სანამ ჯიმი ხელებს მიხვევდა, თავისი პერანგის სახელოც კი გაიმეტა. გული ამიჩუყდა, მაგრამ ეს რას მარგებდა! ხან მე ვიქცეოდი გულისამაჩუყებლად და ხან ჯიმი, რიგრიგობით, აიწონა-დაიწონასავით. ამასობაში დრო გადიოდა. და ერთხელაც, როცა საშინელი სიჩუმე დავარღვიე და ვკითხე, რომელი საათია-მეთქი, ჯიმმა საათი არ მაჩვენა, ეს კი იმის ნიშნად მივიჩნიე, რომ ერთმანეთისთვის უკვე ღია ბრძოლა გვქონდა გამოცხადებული. დახმარება იქით იყოს. ჯიმმა მკითხა, ასე დაჟინებით რატომ მაკვირდებიო. მეც იგივე ვკითხე. ერთხელაც, როცა ერთხანს დაჟინებული აღარ ვაკვირდებოდი, ჩუმად შეუდგა ცხვრის ხორცის ჭამას. რაც კუჭში გაქვს, იმას ვერავინ წაგართმევსო, ფიქრობდა ალბათ და მართლაც, გვიახლოვდებოდა საათი, როცა აბგაში მხოლოდ ერთი კაცის სამყოფი ხორციღა დარჩებოდა, უფრო ძლიერის. მოტეხილი ფეხი და, ჰო, ორი გადატყავებული ხელი, ტკივილი რაღას მიქვია, ბოლოს და ბოლოს გაუძლებ და მაინც აცოცდები, ეცდები, იქნებ მარტოსაც გეყოს

ძალა და დაბრუნდე დღის სინათლეზე, დაუბრუნდე ცხოვრებას. მაგრამ ეს მანამ უნდა მომხდარიყო, სანამ კიდევ შეგრჩენოდა ძალა, სანამ ერთი ფარნის სამყოფი საწვავი მაინც დარჩენილიყო.

ჯიმმა მკითხა, რა განგიზრახავსო, კითხვითვე ვუპასუხე, რას ველოდებით-მეთქი? მე, ჩემი მხრივ, მშიოდა, მაგრამ ხორცს ვიზოგავდი, ამ ტაქტიკის წყალობით, იქნებ დავლოდებოდი, შიმშილით როდის გასავათდებოდა და მერე მე აღმოვჩენილიყავი უფრო ძლიერი, ამწუთას კი მეშინოდა, რომ ცხვრის ხორცით კუჭამოყორილი ჯიმი მაჯობებდა; მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ტაქტიკა თვალის მოხუჭვის უფლებას არ მაძლევდა, თორემ ჯიმი გამძარცვავდა და დავიღუპებოდი. ასე რომ, არ ვიცი, რამდენი საათი ვუთვალთვალებდით ერთმანეთს ასე დაძაბულები და თან ვსაუბრობდით ჩვენს გეგმებზე, იქ, ზევით, მწვანე დედამიწაზე რომ უნდა განგვეხორციელებინა, მწვანე მიწაზე; ჯიმს გული ქალაქისკენ, განსაკუთრებით, ნიუ-იორკისკენ და ქალებისკენ მიუწევდა, ჩვენს რანჩოზე ხომ დიდი ხანია ქალი არ ენახა, მე კი (იმ საათებში) მებაღის ხელობა მიტაცებდა, სადმე, ნაყოფიერ მიწაზე. ნეტა რა გვინდოდა ამ ღმერთისგან მიტოვებულ სიბნელეში! ორივე ფარანი ჯერ კიდევ ანათებდა; ჯიმი მართალი იყო, საწვავს ვფლანგავდით, იდიოტურად ვფლანგავდით. მაგრამ თავისას რატომ არ აქრობდა? არ მენდობოდა

და იმიტომ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ისევ და ისევ ჩვენს მეგობრობაზე ლაპარაკობდა, მაინც უშვებდა აზრს, რომ მე ჩემს ერთადერთ მეგობარს მომაკვდინებელ უკუნეთში მივატოვებდი. ვკითხე, ფეხი როგორ გაქვს, ძალიან გტკივა, თუ გშია, თუ გწყურია-მეთქი. „ჯიმ! – მიპასუხა მან, – იმ დროს მეც ჯიმს ვუწოდებდი თავს, ამერიკაში ყველას ჯიმი ჰქვია – ჯიმ! – მითხრა მან: – ერთმანეთი არ უნდა მივატოვოთ, გესმის, ჭკვიანურად უნდა მოვიქცეთ“. მაშინ ჩააქრე შენი ფარანი-მეთქი, ვუთხარი, მან კი მიპასუხა, დრო აღარ გვაქვს, ჯიმ, უნდა წავიდეთ, უნდა ვეცადოთო. ჩემი შეფასებით ხუთი საათის შემდეგ მეორე მღვიმეს მივაღწიეთ, მაგრამ ისეთი არაქათგამოცლილები ვიყავით, რომ მაშინვე დავწექით. საგზლის აბგა თავქვეშ ამოვიდე და თასმა მარჯვენა ხელზე შემოვიხვიე, რომ მაშინვე გამღვიძებოდა, როგორც კი ჯიმი ჩემი უკანასკნელი ლუკმის მოპარვას შეეცდებოდა. რომ გამეღვიძა, აღმოვაჩინე, რომ ჩემი ფარანი გაეტეხა, იდიოტურად ვფლანგავთ საწვავსო და იმიტომ. თან

მთხოვა, დარჩენილი ხორცის ნახევარი მიწილადეო; ღნაოდა, მშიერს ხომ არ მომკლავო! ერთადერთი ფარანი ჩვენ წინ აღმართულ თითქმის

ვერტიკალურ კედელს ანათებდა, ეს იყო ის მზაკვარი ადგილი, რომელიც მე ერთხელ მარტომ უკვე დავძლიე; ჯიმს ხოხვისგან არაქათი გამოცლილი ჰქონდა და პირდაპირ

ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი: ჯიმ, მომეცი ფარანი, გიტოვებ ხორცის ბოლო ლუკმას და ვეცდები მარტომ დავძლიო ეს კედელი-მეთქი. უაზრობა იყო თოკზე ჩამოკიდება და თან მეორე ძალამიხდილის თრევა, მე გადატყავებული ხელებით, ის მოტეხილი ფეხით და წინ კედელი, რომელზეც მაიმუნივით უნდა გეცოცა. მე ვუთხარი, ჯიმ, თუ მოვახერხე და ზევით ავედი, შენც გადარჩები, ხომ იცი, მოვალთ და აქედან ამოგიყვანთ-მეთქი. მან მიპასუხა, ქვევით რომ ჩავარდე და ჩემი ფარანიც წაიყოლოო? ვუყვირე: „და შენ, ჯიმ, შენ რომ ჩაცურდე მაგ შენი მოტეხილი ფეხით და მეც ჩამიყოლო, როგორც წინაზე, ღმერთო მაღალო, შენ რა ხეირი, ორივე თუ ქვევით დავეცემით?“ არაფრით არ მაძლევდა ფარანს. ჯიმ! აქ, ამ სიბნელეში ვერ დამტოვებ მარტოს, ამას ვერ იზამო, მითხრა. ყოველთვის, როცა ერთ-ერთი ჩვენგანი თავისი ეგოიზმის ღიად გამოხატვას ბედავდა, მეორე მორალის დაწყევლილი პოზიციიდან პასუხობდა. ვიცი, რომ მეც ზუსტად ასე ვიქცეოდი. ჯიმ! ვუთხარი, ვერ მომთხოვ, რომ აქ შენთან ერთად შიმშილით ამომხდეს სული, ჯიმ, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ფეხი მოიტეხე და ცოცვა არ შეგიძლია, ნუ მომთხოვ ამას, ჯიმ, თუ ჩემი მეგობარი ხარ. კიდევ ერთხელ, ამჯერად ბოლოჯერ აგვიჩუყდა გული, ვიხსენებდით რანჩოზე ერთად გატარებულ დროს, ყველაფერს, რაც კარგი გაგვიკეთებია ერთმანეთისთვის, და მართლაც, ჩვენი მეგობრობა ნაღდი იყო, ამ უქალობაში გატარებული კოვბოური თვეების განმავლობაში ისეთი სინაზე გაჩნდა ჩვენ შორის, როგორიც კაცებს შორის იშვიათი არ არის, მაგრამ ჩემთვისა და ჯიმისთვის უცხო იყო. და ახლაც, თან ფარანი ისე მაგრად ჩაებღუჯა, რომ ვერ გამოვგლეჯავდი, თან მეორე, მარცხენა ხელით, თმას მაშორებდა სისხლიანი შუბლიდან და, ცოტაც და, ერთმანეთს ჩავეკონებოდით და გულამოსკვნილი ავტირდებოდით ფარნის ინტერესი რომ არ გვქონოდა ორივეს. ვვარაუდობ, რომ მხოლოდ ექვსი ან შვიდი საათიღა გაანათებს, შემდეგ ჩვენი მარაგი ამოიწურება. ზედა მღვიმემდე ასვლას, სადაც, საუკეთესო შემთხვევაში, დღის შორეული სინათლის იმედი შეიძლებოდა მქონოდა, ჩემი გამოცდილებით, ასევე შვიდ ან რვა საათს მოვუნდებოდი, გზის აბნევა სათვალავში არ ჩამიგდია. გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო და თან ახლა, აქ, ამ კედლის წინ. ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა! ორივეს გვეწადა სიცოცხლე, რაც შეიძლება ღირსეული, მაგრამ მას თუ ჩემი მოკვლა უნდოდა ჩემივე ღირსებით? კიდევ ერთხელ გავიმეორე: მომეცი

ფარანი, ჯიმ და ჩემს უკანასკნელ ლუკმას დაგიტოვებ. ჯიმმა გაიცინა, ისე გაიცინა, პირველად გავიგე მისი ასეთი სიცილი, მისმა სიცილმა შემაშინა. „ჯიმ! – შეძრწუნებულმა ვკითხე: – რას აპირებ?“ სიტყვაც არ უთქვამს, ჩემს კითხვას პასუხი მოქმედებით გასცა, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. თავისი მოტეხილი ფეხით კედლისკენ ხტუნვა-ხტუნვით დაიძრა. აშკარად მზად იყო, როლები გაეცვალა, თავად ჰქონოდა ერთადერთი ფარანი, თავად ეცადა კედლის დაძლევა და ჩემთვის სამაგიეროდ ხორცი დაეტოვებინა. „ჯიმ!“ ვუთხარი და სანამ კედლამდე მიაღწევდა, ხელი ვტაცე. მწვანე სტალაქტიდის კატარაქტასავით კედელზე ხელის ჩასაჭიდს ეძებდა, უკვე მიეგნო ჩვენი თეთრი ნიშნისთვის, რომელიც გასასვლელის აღსანიშნად დავსვით. თავი დამანებეო, მითხრა. შიშისაგან მოქმედებით გასცა, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. თავისი მოტეხილი ფეხით კედლისკენ ხტუნვა-ხტუნვით დაიძრა. აშკარად მზად იყო, როლები გაეცვალა, თავად ჰქონოდა ერთადერთი ფარანი, თავად ეცადა კედლის დაძლევა და ჩემთვის სამაგიეროდ ხორცი დაეტოვებინა. „ჯიმ!“ ვუთხარი და სანამ კედლამდე მიაღწევდა, ხელი ვტაცე. მწვანე სტალაქტიდის კატარაქტასავით კედელზე ხელის ჩასაჭიდს ეძებდა, უკვე მიეგნო ჩვენი თეთრი ნიშნისთვის, რომელიც გასასვლელის აღსანიშნად დავსვით. თავი დამანებეო, მითხრა. შიშისაგან სისულელეებს ვროშავდი: თუკი როდისმე ჩემი მეგობარი ყოფილხარ და ა.შ. იმ მომენტში, მოქანავე ფარნის შუქზე, რომელიც ჯიმს მეორე მხარეს გაშვერილ ხელში ეჭირა, რომ არ ვწვდომოდი, დავინახეთ ჩვენამდე დაღუპული ადამიანის მოკუნტული ჩონჩხი. ის აქ სრულიად მარტო (ან იქნებ მაშინაც ორნი იყვნენ?), ცხოველივით დაიღუპა. იმ მომენტში, როცა ჩვენს ჩუმ და დაგროვილ სიბრაზეს ვეღარაფერი დააკავებდა, მხოლოდ ერთი რამ რჩებოდა – ინსტინქტი – ბრძოლა მუშტებით; მეგობრების გამეტებული ბრძოლა საშინელი იყო, მაგრამ ხანმოკლე, რადგან ვისაც პირველს დაუცდებოდა ფეხი, მისი საქმე წასული იყო, ჩაიძირებოდა უკუნეთის ნაპრალებში, დაიმსხვრეოდა და სამუდამოდ დადუმდებოდა.

* * *

– აბა, – ვეუბნები ქნობელს, ჩემს დარაჯსა და მსმენელს და ბოლოს და ბოლოს ჩემს საკვირაო სიგარას წვერს ვაჭრი, – როგორ მოგეწონათ ეს ისტორია?

ქნობელი მომშტერებია.

– ცეცხლი გაქვთ? – ვეკითხები.

ესეც კი არ ესმის.

– არ ვიცი, – ვამბობ რამდენიმე ნაფაზის მერე, – ორი მეგობრიდან

რომელმა დაიწყო ის საშინელი ჩხუბი, ალბათ ვინც უფრო გულწრფელი იყო, იმან, ფაქტია, რომ მხოლოდ ერთმა ამოაღწია მღვიმიდან, ალბათ უფრო ძლიერი რომელიც იყო, იმან. მისი სახელი ცნობილია, მემორიალურ ქვაზეც კი წერია რკინის ასოებით: Jim White. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთ პუბლიკაციაში, რომელსაც დღეს ტურისტებზე ყიდიან, წერია: James Larkin (Jim) White, a young cowboy who made his first entry trip in 1901

ქნობელი ცოტა დაბნეული ჩანს.
– თქვენ ხართ ჯიმ ვაითი? – მეკითხება.
– არა, – ვიცინი მე, – არა! მაგრამ მეც იგივე გამოვიარე – ზუსტად იგივე.
ქნობელი იმედგაცრუებული ჩანს.
გირაოთი მოპოვებული მეორე დღე იულიკასთან ერთად.
შეხვედრისას ცოცხალი შთაბეჭდილება დამრჩა: ეს ის ქალი არ არის! ამ ქალს იმ მოსაწყენ ისტორიასთან, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში ასე თუ ისე შევკრიბე, საერთო არაფერი აქვს. ორი ერთმანეთისგან განსხვავებული იულიკა არსებობს. ეს არ არის მისი ისტორია! და ა.შ.
– რა იყო? – რამდენჯერმე მეკითხება, – რა დაგემართა? სულ ასე რატომ მიყურებ?
დღეს ჩემზე ბევრად უფრო შეუბოჭავია. აღფრთოვანებულია ჩემი წინადადებით, აფრიანი ნავი ვიქირავოთ-მეთქი. ხელკავით მივსეირნობთ. არც კი ვიცი, რაზე ველაპარაკო და მიხარია, რომ აფრითა და საჭით ვარ დაკავებული, სანამ ბანანივით ყვითელ კაბაში გამოწყობილი ქალბატონი იულიკა შტილერ-ჩუდი, მცირე დაფიქრების შემდეგ, მოქანავე ნავში ხტება და ცოტა შეწუხებულია, სად მოვათავსო თეთრი ხელჩანთა და პეპელასავით პარიზული ქუდი, ისე რომ არ გაფუჭდეს და არ გაჭუჭყიანდესო. ახლა მოხდენილად ზის მეორე სკამზე და გაშლილ ხელებს დაჰყრდნობია. ნავს რომ ვატრიალებ, მეორე მხარეს ინაცვლებს. შემდეგ ისევ ნეტარებას ეძლევა, წითელი თმა კი ქარში უფრიალებს. რა სხვანაირია! შუა ტბაში, რომლის ბორცვიანი, თითქმის უწყვეტად დასახლებული და მუდამ ახლო ნაპირი ჯადოსნურ შემოდგომაში იკარგება და რაღაცნაირად მეტი სივრცის განცდას ქმნის. პირველად ვართ ასე თუ ისე მარტონი. ნეტა ამას თუ აცნობიერებს? ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ ველით, რომ უცებ ჩემი დარაჯი, ჩემი კეთილი ქნობელი დაგვადგება თავზე საფერფლეებით... მერე (ჩემს საკანში) ამაოდ ვცდილობ დავინახო მისი მომღიმარი პირისახე; ვიცი, როცა იცინის, მინდა ხელებში მოვიმწყვდიო მისი ციდან გამოგზავნილი

საჩუქარივით მოუხელთებელი სახე, და მერე მშრალი გონება მაფხიზლებს: არ არსებობს რამე, რისი ჩადნობაც არ შეიძლებოდეს ამ სიცილში! ალბათ იულიკაც იმავეს გრძნობს. არ მახსოვს, რის შესახებ, მაგრამ ასეთი რამ თქვა:

– იცი, როცა ასე მარტო ვარ და ყველაფერი მახსენდება, ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ მხოლოდ ამაზე ვერ იცინი, ან ბოროტად და მწარედ იცინი და მერე იმავე რაღაცებზე შეიძლება მწარედ იტირო. ჰაერი თითქმის არ იძვრის, უცებ ტანთ ვიხდით და თავით ვხტებით მწვანე, მზეზე მოლიცლიცე ტბაში. წყალი საკმაოდ ცივია, თავის ნებაზე მიშვებული, მოქანავე ნავის ირგვლივ ვცურავთ და ბავშვებით ვჭყუმპალაობთ. მერე უკვე, ნავზე ასულები, სიცივისგან აკანკალებულები და აბურძგლულები თბილ მზეზე ვწვებით, იულიკა ამბობს:
– უფრო გამხდარი ხარ!
ვისზე მეტად გამხდარი? ჩვენი იდილიის ხათრით, მის შენიშვნას დაკარგულ შტილერს არ ვუკავშირებ, არამედ იმ იდუმალებით მოცულ მამაკაცს პარიზში, რომელზეც, სასაცილოა, მაგრამ ნაკლებად ვეჭვიანობ, ვიდრე მის შტილერზე. და რადგან ირგვლივ ორთქლის გემები დაცურავენ, მანამდე გვიწევს ჩაცმა, სანამ მთლიანად გავშრებით. ქარის მიმართულების ცვლილების გამო, უკანა გზაზეც ქარის საწინააღმდეგოდ მივცურავ, ციხეში მაგვიანდება. იულიკას ტაქსითი მივყავარ... ახლაც (საღამოს, ჩემს ნარზე) თვალწინ მიდგას წყლის წვეთები მის ხელებზე, ალებასტრივით თეთრ შუბლზე, ამას დაამატეთ კისერთან სველი თმის ანტიკური კულული.

P. S.
მალე ერთი კვირით პარიზში აპირებს წასვლას, თავისი ბალეტის სკოლის გამო. მომენატრება!
დამესიზმრა:
შტილერის სამხედრო ფორმა მაცვია, ჩაფხუტიც მახურავს და იარაღიც მიჭირავს. მესმის ბრძანებები: რაზმო, სწორდი! იარაღი მხარზე! წინ, ნაბიჯით იარ! ცხელა, მიწა ქვიანი და ოღროჩოღროა. ომი დაიწყო. ზუსტად ვიცი, სიზმარში, 1939 წლის 2 სექტემბერია. მაგრამ არ აღვიქვამ როგორც წარსულს, ისევე, როგორც წარსულად ვერ აღიქვამ, როცა სიზმარში ისევ სკოლის მერხთან ზიხარ. უკნიდან ვიღაცის ხმა მესმის, ნერვიულად ყვირის. ერთი ჯარისკაცი მწყობრში არ დადის, რატომ ხმას არ იღებს? გაჭიმულები ვდგავართ. ასმეთაურს სიბრაზისგან სახე გაჰფითრებია. „თქვენ!“ იძახის და ჩემზე აჩვენებს და მართლაც მესმის, როგორ ვამბობ: რიგითი შტილერი. რა უცნაურია, სიზმარშიც კი ვერ

აღვიქვამ თავს რიგით შტილერად, მაგრამ სწორედ ასე ვუწოდებ თავს: რიგითი შტილერი. ასმეთაურს ტუჩები უცახცახებს. შენნაირებისთვის ომში სრულიად განსაკუთრებული პოსტები არსებობს; გასაგებია? და როცა ომი დაიწყება, მე (რიგით შტილერს), არავინ მომეფერება; გასაგებია? გაჭიმული ვდგავარ, იარაღი მხარზე, და გავიგე, რომ ეს შვეიცარიელი ასმეთაური შტილერს რატომღაც ვერ იტანს, ნება მისია, და იმ ფიცის გამო, რომელიც სამშობლოს წინაშე დავდეთ, მარტივად მომკლავს, ყოველგვარი ფერების გარეშე – ბრძანების საფუძველზე…

P. S.

ჩემი ადვოკატი აშკარად ბრაზდება, როცა სხვათა შორის ვუყვები სიზმარს. სამხედრო თემაზე ვსაუბრობთ. მას არ აკმაყოფილებს, რომ ზავის ხათრით (ჩემსა და ჩემს ადვოკატს შორის ზავს ვგულისხმობ) სამხედრო საქმეს აუცილებელ უბედურებად ვაღიარებ. სამხედრო საქმე, როგორც ჩანს, შვეიცარიაშიც წმიდათაწმიდაა და ჩემი ადვოკატი ვერ დაუშვებს, რომ ამ თემაზე ცუდ სიზმარს ვნახულობ. მიმტკიცებს, რომ სინამდვილეში შვეიცარიელი ოფიცერი არასდროს მისცემს თავს უფლებას, ასე უკადრისად დაემუქროს ვინმესო. „ამაზე თავს ვდებ! – აცხადებს შვეიცარიელი ოფიცრის, სავარაუდოდ, მაიორის სიამაყით, – ამაზე თავს ვდებ!“ რამდენჯერმე იმეორებს.

პასუხი ბატონ ვილფრიდ შტილერს, უგზო-უკვლოდ დაკარგულის ძმას – სამწუხაროდ, არც ამჯერად შემინახავს ასლი! დაახლოებით ასე მივწერე: თქვენი დაკარგული ძმისადმი მიწერილმა გულითადმა წერილმა ჩემზე ძლიერ იმოქმედა, ბატონო შტილერ. მან დედა გამახსენა და თვალზე მეც ცრემლი მომადგა, მაპატიეთ, რომ ამდენ ხანს ვერ გიპასუხეთ. მთელი ჩემი ცხოვრება უაზროდ გაიფლანგა. არ მწყინს, რომ ჩემს ცხოვრებაზე არ მეკითხებით, პირიქით, მადლობელი ვარ ამისთვის და თქვენი ძმური მიპატიჟებისთვისაც; ჩემი ძმა გამახსენეთ და ისიც, რომ საკუთარი ძმაც უგულებელვყავი ამ ცხოვრებაში. იშვიათად ვჩხუბობდით, არასდროს ყოფილა ეს ჩხუბი ხანგრძლივი ან სერიოზული, რადგან მნიშვნელოვანი, ეტყობა, არაფერი გვაკავშირებდა. ხანდახან ერთად მივდიოდით სალაშქროდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ძმები ვიყავით, კარავში ვცხოვრობდით მშვიდად და უსიტყვოდ ვისხედით კოცონთან. რატომ მგონია, რომ ჩემი ძმაც უგულებელვყავი? მეგობრები ერთმანეთს უნდა უგებდნენ, რომ მეგობრობა გამოუვიდეთ; ძმები კი მაინც ძმები არიან და თქვენ მართალი ბრძანდებით, მნიშვნელობა არა აქვს, მე ვინ ვარ, ნეტა ნამდვილი ძმა ვყოფილიყავი!

ცინცხალი ამბავი: ამერიკული პასპორტი, რომლითაც ნახევარი მსოფლიო

შემოვიარე, ყალბია. განა ეს ჩემს ადვოკატს რამდენიმე კვირის წინ არ ვუთხარი? როგორც ჩანს, გაუგებრად ვლაპარაკობ. თითოეული სიტყვა თან არასწორია და თან სწორი, ეს არის სიტყვის არსი და თუკი ვინმეს უნდა, ან ყველაფერი დაიჯეროს ან არაფერი.

არც ჩემს პროკურორს (გუშინ დაბრუნდა პონტრესინადან) აინტერესებს მექსიკის ამბები, სამაგიეროდ, ძალიან აინტერესებს ნიუ-იორკი, ამ დროს სამსახურეობრივი წნეხისგან თავისუფლდება და მეგობრული ტონით მესაუბრება:
– ჩემს მეუღლეს ხომ ძალიან უყვარდა ნიუ-იორკი.
– გასაგებია, – ვამბობ მე.
– რივერსაიდ დრაივზე ცხოვრობდა.
– რას ამბობთ, – ვამბობ მე.
– იცით, ეს ქუჩა სად არის?
– ცხადია, – ვამბობ მე.
– 108-ე ქუჩასთან.
– აჰ, ეს ხომ კოლუმბიის უნივერსიტეტთანაა.
– სწორია! – ამბობს ის.
– კარგი უბანია, ჰუდსონს გადაჰყურებს, ვიცი, – ვამბობ მე.
და ა.შ.

თავიდან მეჩვენება, რომ ამ საუბრებით უნდა შეამოწმოს, მართლა ვიცი თუ არა ნიუ-იორკი, მართლა მიცხოვრია თუ არა იქ. ამასობაში ეს გამოცდა ჩავაბარე. თაიმზ სკვერი და მეხუთე ავენიუ, როკფელერის ცენტრი, ბროდვეი, ცენტრალური პარკი და ბატერი, ეს ის ადგილებია, რომლებიც ჩემმა პროკურორმა თავად ნახა, როცა ხუთი წლის წინ ნიუ-იორკში იყო ერთი კვირით.
– „რეინბოუ ბარი“ იცით? – მეკითხება.
თავს ვუქნევ, ოცნებას ვაცლი და რადგან ვაფასებ კაცებს, რომელთაც ოცნება შეუძლიათ, არ ვუსწორებ. „რეინბოუ ბარი“, სადაც, როგორც ჩანს, ჩემმა პროკურორმა დაუვიწყარი საღამო გაატარა, არ არის მანჰეტენის ყველაზე მაღალი ბარი. ემპაირ სტეიტ ბილდინგი ხომ უფრო მაღალია, მაგრამ სიტყვას არ ვაწყვეტინებ. ვგრძნობ, რომ ჩემი პროკურორის ცხოვრებაში ეს კულმინაციური მომენტი იყო. „რეინბოუ ბარში“ შეხვდა თავის მეუღლეს რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ.
ახლა მე ვეკითხები:
– „ბოუერი“ იცით?
– ეგ სად არის? – მეკითხება.
– მესამე ავენიუზე.

– არა.

„ბოუერი“, ერთ დროს ნიდერლანდური სახელი ჰქვია კვარტალს, სადაც პოლიციაც კი აღარ შედის, ეს არის დაკარგული ადამიანების ტერიტორია, ოღონდ მანჰეტენის გულში; შეუხვევ თუ არა სასამართლოს მარმარილოს სასახლესთან, მართლაც, 100 ნაბიჯში აღმოჩნდები მიუსაფარი ადამიანების სამყაროში – მთვრალების, ხელმოცარულების, ყველანაირად გადაგვარებული ხალხის, ადამიანების, რომლებიც ცხოვრებამ გახადა ასეთი. მათთვის ციხეც ზედმეტია; ვინც „ბოუერიში“ მოხვდება, იქაურობას თავს ვეღარ დააღწევს. მაფხულობით საწვიმარ ღარში და ქვაფენილზე წვანან; ჭადრაკის ცხენივით უნდა იხტუნაო, რომ არავის წამოედო. მამთრობით შიგნით არიან და რკინის ღუმელთან ქუჩდებიან, თვლემენ, ჩხუბობენ, ხვრინავენ და სულ ერთსა და იმავე ამბებს ჰყვებიან ან ერთმანეთს სცემენ, და იქაურობა ყარს იაფფასიანი ალკოჰოლის, ბენზინის და დაუბანელი ფეხის სუნით. ერთხელ ვიღაც ვნახე, არასდროს დამავიწყდება. ღამის სამი საათი იყო, როცა, ჩვეულებისმებრ, ბლეკისგან სახლში მივდიოდი ხოლმე; გზას ვჭრიდი და მეგონა, ამ დროს ქუჩაში აღარავინ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ძალიან ციოდა. ზევით თბილი სინათლით განათებულფანჯრებიანი მოძველებული მატარებელი მიგრუხუნებდა; ქუჩაში აქოთებული ნაგავი ეყარა, ძაღლები იქექებოდნენ. ის ტიპი რომ დავინახე, მატარებლის რკინის ბოძის უკან დავიმალე. თავზე შავი ცილინდრი ეხურა, დიპლომატებს, მექორწინეებსა და განგსტერებს რომ ახურავთ, ისეთი; სახე სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. ისე, ჰალსტუხი ეკეთა, თეთრი პერანგი ეცვა, შავი პიჯაკი, და სულ ეს იყო. ქვევით დედიშობილა გახლდათ. წვრილ, მონაცრისფრო-მოიისფრო ბებრულ ფეხებზე წინდის დამჭერები და ფეხსაცმელი ეცვა. ეტყობა, გალეწილი მთვრალი იყო. იგინებოდა, ძირს ეცემოდა, გაყინულ ქვაფენილზე ხოხავდა; ფარებანთებულმა მანქანამ ჩაიქროლა, მადლობა ღმერთს, არ გადაუვლია. როგორც იქნა, თავისი შარვალი იპოვა, ქუჩის ფარანს ჩაეჭიდა, რომ წამომდგარიყო და ფეხი შავ შარვალში ჩაეყო, გასრიალდა, ისევ გაყინულ ქვაფენილზე გაიშოტა. რასაკვირველია, ვიფიქრე, ხომ არ დავეხმარო-მეთქი, მაგრამ შემეშინდა, ისეთ შარში არ გავეხვიო, როგორის თავიც არ მაქვს-მეთქი. ამასობაში ბებერმა მოახერხა და მარცხენა ფეხი გაუყარა შარვლის ტოტში; გულში ყველაფერი საუკეთესო ვუსურვე და გაცლა დავაპირე. საიდანღაც ხმები მომწვდა, თავად კაცები არ დამინახავს, დამცინავი, ზიზღით სავსე ხმები, ეტყობა, ამ უბედურს დასცინოდნენ. ისევ ჩემი რკინის ბოძის დამცავ ჩრდილში შევიმალე; ზევით მატარებელი გრუხუნებდა. მეორე ტოტში

ფეხის გაყოფის მცდელობისას ისევ გაცურდა და ისევ დედიშობილა აღმოჩნდა ძირს, ხროტინებდა. შავი ცილინდრი ქარმა გაიტაცა. ძაღლმა დაყნოსა, მაგრამ არ განძრეულა. მაკანკალებდა და გადავწყვიტე, ბოძიდან ბოძს მოვფარებოდი და იქაურობას გავცლოდი. ქუჩის მეორე მხარესაც ჩაიარეს ვიღაცებმა, მაგრამ არც ისინი დახმარებიან. ყველა ფიქრობს, შარია! ბოლოს სამარიტელმა იქით უნდა ამტკიცოს, რომ მკვლელი არ არის, ალიბით და მთელი ამბებით. ამას ბლეკის ვერ გავუკეთებდი! ერთი კვარტლის იქით უკვე მატარებელში ავიდოდი და ოც წუთში სახლში ვიქნებოდი, ბლეკი ალბათ უკვე რეკავდა, რომ ღამე მშვიდობისა ესურვებინა. შორიდან ის კაცი მიწაზე დაგდებულ მუქ გუდას ჰგავდა, ის იყო ერთადერთი, რაც საშინელ ქარს ვერ მიჰქონდა. უცებ ვიღაც ტიპი გაჩნდა ჩემ გვერდით და ხელი მხარზე დამადო; გაუპარსავი იყო, მელოტი, და ჩაწითლებული, თევზივით თვალები ჰქონდა, სხვა მხრივ, უსიმპათიო სახეს ვერ იტყოდი, სიგარეტი მთხოვა. და ცეცხლიც. თავი დამანება და ავენიუს აუყვა, დაინახა მუქი გუდა ქვაფენილზე, მიუახლოვდა, მე ამას ვერ გავბედავდი, და გზა გააგრძელა. ზევით ისევ გრიხინებდა მატარებელი. ბოლოს მაინც გავბედე და მთვრალს მივუახლოვდი. აღარ ინძრეოდა, მუცელზე იწვა, სიცივისგან გალურჯებული, და მეჩხერი თმაც სისხლიანი ჰქონდა. კეფაზე ჭრილობა დავინახე, შევანჯღრიე, ხელი ავუწიე; მკვდარი იყო. მისმა სახემ გამაოგნა, გავიქეცი და არსად გამიცხადებია, თუმცა ჩემი საკუთარი მამა აღმოჩნდა.

– თქვენი მამა?
იღიმის ჩემი პროკურორი. ეტყობა, არ სჯერა, ისევე როგორც არ სჯერა, რომ მეუღლე მოვკალი. თითქოს ზუსტად არ გაეგონოს, ისევ მეკითხება:
– თქვენი მამა?
– მამინაცვალი, – ვამბობ მე, – მაგრამ, მაინც.
თუმცა ჩემი პროკურორი მაშინაც ბევრად უკეთ მეპყრობა, როცა ჩემი არ სჯერა, ვიდრე ჩემი ადვოკატი; მაშინაც არ აღშფოთდება ხოლმე, როცა სიმართლის ჩვენეული გაგება ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა. სიგარეტს ბერტყავს და ამბობს:
– ასეთი კვარტლები ჩემს ცოლს, რასაკვირველია, არ უნახავს.
სულ თავის ცოლზე ლაპარაკობს.
– ყოფილხართ ფაიერ აილენდზე?
– დიახ, რატომ მეკითხებით?
– ძალიან ლამაზიაო, ჩემი ცოლი ამბობს, საერთოდ, ნიუ-იორკის მთელი შემოგარენი ლამაზიაო.

– ძალიან ლამაზია.
– ჩემს ცოლს, სამწუხაროდ, საკუთარი მანქანა არ ჰყავდა, – მიხსნის, – მაგრამ ხშირად გადიოდა ხოლმე ქალაქიდან, რამდენადაც ვიცი, მეგობრებთან ერთად.
– კი, ეს აუცილებელია, – ვამბობ მე.
– თქვენ გყავდათ საკუთარი მანქანა?
– მე, – მეცინება, – არა.
ჩემი პასუხი რატომღაც ახარებს, ამშვიდებს, აგულიანებს და რაღაც ისეთი აზრისგან ათავისუფლებს, რომელსაც ზუსტად ვერ ვხვდები.
– არა, – ვუდასტურებ, – საკუთარი მანქანა არასდროს მყოლია, მთელ იმ ზაფხულს საწყალი დიკის მანქანით დავდიოდი, დიკი ავად იყო და იწვა. ეს ნათქვამი რატომღაც აღარ ახარებს და ვგრძნობ, რომ საკმაოდ აინტერესებს ჩემი შაბათ-კვირის გასეირნებები. ზაფხულში ხომ ნიუ-იორკი, ორი აზრი არაა, აუტანელია და ვისაც ოდნავ საშუალება აქვს, თავისუფალია თუ არა, ქალაქიდან გადის. კვირაობით ვაშინგტონის ხიდზე ასობით ათასი მანქანა მიგორავს, სამ რიგად, ქალაქელების მთელი არმია, რომელსაც ბუნებაში მოხვედრა სწადია. არადა, ბუნება გზის ორივე მხარესაა, ტბები, მწვანე ტყეები, მოვლილი და დავარცხნილი კი არა, ველური, შემდეგ უკიდეგანო მინდვრები, ერთ სახლს ვერ დაინახავ, თვალის მომჭრელი სილამაზეა, დიახ, ნამდვილი სამოთხეა; მაგრამ არ ჩერდებიან, გვერდზე ჩაუქროლებენ. ბრჭყვიალა მანქანების მდინარეში რომ დგახარ, სადაც ყველა იცავს დადგენილ სიჩქარეს, ორმოცი თუ სამოცი მილი საათში, შუა გზაზე ხომ ვერ გაჩერდები და გადმოხტები მანქანიდან, რომ ფიჭვის გირჩი დაყნოსო. მხოლოდ მას შეუძლია გვერდით ბალახზე გადასვლა, ვისაც რაღაც გაუფუჭდება, შეუძლია კი არა, უნდა გადავიდეს, რომ ხელი არ შეუშალოს ნაკადის მდინარებას, მაგრამ თუ არაფერი გაგფუჭებია და მაინც გადახვედი, ჯარიმა არ აგცდება. ასე რომ, გააგრძელეთ გზა, ესაა მთავარი! გზები ბრწყინვალეა, რა თქმა უნდა, თანაბარ ზოლებად მიედინებიან მწვანე მარტოობის ვრცელ და ოდნავ ბორცვიან ლანდშაფტში. ეჰ, უნდა შეგეძლოს მანქანიდან გადმოხტომა და ისეთ ადგილას აღმოჩნდებოდი, ჟან-ჟაკ რუსოსაც რომ შეშურდებოდა. რა თქმა უნდა, არის გზიდან გასასვლელები, ჭკვიანურად დაგეგმილი, რომ გზაჯვარედინს ასცდე და სიგნალის გარეშე უსაფრთხოდ გადახვიდე ტრასიდან და ფართო წრის დარტყმით მოხვდე გვერდით ქუჩაზე; ამ ქუჩებს მიჰყავხარ დასახლებამდე, ინდუსტრიულ ადგილამდე, აეროპორტამდე. მაგრამ ჩვენ უბრალო ბუნებაში გვინდა მოხვედრა. ამიტომ ვუბრუნდებით მანქანების მდინარეს. ორი თუ სამი საათის შემდეგ ნერვები მეშლება. რადგან ყველა

სადღაც მიდის, მანქანა მანქანაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობს ადგილები, რომელიც ამ უაზრო მოგზაურობისთვის, ერთხელაც იქნება, დაგაჯილდოებს. როგორც ვთქვი: ბუნება იქვეა, ხელის ერთ გაწვდენაზე, მაგრამ ვერ სწვდები, ფეხს ვერ ადგამ; ისე ჩაგიქროლებს გვერდზე, როგორც ფერადი ფილმი ტყეებით, ტბებითა და გემებით. ჩვენ გვერდით „ნეში“ მოძრაობს ჭყიპინა რადიოთი: ბეისბოლის რეპორტაჟია. ვცდილობთ, გავასწროთ და მეზობელი გამოვიცვალოთ, დაბოლოს ვახერხებთ კიდეც. ახლა „ფორდის“ გვერდზე მივდივართ და ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია გვესმის, ამ წუთას არც ეს გვინდა, უბრალოდ, ახლა მინდა ვიცოდე, საით მივყავართ ამ მოძრაობას. ნეტა მთელი კვირადღე ასე მიგორავენ? ალბათ. დაახლოებით სამი საათის შემდეგ ეგრეთ წოდებულ საპიკნიკე ადგილზე გავდივართ, რომ ფეხი მაინც გავმართოთ. ძალიან მოკრძალებულ ფასს იხდი ბუნებაში შესასვლელად, იდილიური ტბა გვხვდება, დიდი მინდორი, სადაც ბეისბოლს თამაშობენ, ულამაზესი ხეებით სავსე ტყე, ისე კი, ბრჭყვიალა მანქანების მთელი პარკია, მანქანებს შორის ჰამაკები კიდია, პატარა მაგიდები დგას, რეპროდუქტორებიცაა და სახანძროს პუნქტებიც, ყველაფერი ეს ბილეთში შედის. ერთ მანქანაში ახალგაზრდა ქალს ვხედავ, რომელიც ჟურნალს კითხულობს: How to enjoy life

სხვათა შორის, ერთადერთი არაა, რომელიც კომფორტულ მანქანაში ჯდომას ამჯობინებს. ბანაკი ძალიან დიდია; ცოტა ხანში ვპოულობთ ოდნავ ციცაბო ფერდობს, სადაც მანქანა არ დგას და არც ხალხი ჩანს; რადგან, იქ, სადაც მანქანა ვერ მივა, ადამიანსაც არაფერი ესაქმება. მთლიანობაში შესასვლელი ბილეთი გამართლებულია: ტყეში სანაგვე ურნები დგას, სასმელი წყლის სოკოებიც არის, ბავშვებისთვის – საქანელები; ზედამხედველიც ფასში შედის. რომანტიული სახლი კოკა-კოლათი და საპირფარეშოებით ასევე შეესაბამება საყოველთაო მოთხოვნილებებს. იქვეა პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი, ვინმე თითს თუ გაიჭრის, ტელეფონი, რომ ყოველთვის შეგეძლოს ქალაქთან დაკავშირება და სამაგალითო ბენზინ-გასამართი სადგური; ყველაფერია, ყველაფერი ნამდვილ და სხვა მხრივ ხელუხლებელ ბუნებაში, სივრცეში, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს. ჩვენ ვეცადეთ, ფეხი დაგვედგა; შესაძლებელია, მაგრამ იოლი არ არის, არ არსებობს ბილიკები ფეხით მოსიარულეთათვის და იღბალმაც უნდა გაგიღიმოს, რომ იპოვო ქუჩა, სადაც მანქანას გადააყენებ. შეყვარებული წყვილი, რომელსაც წინ დუმფარებიანი წყალი გადაშლია, ერთმანეთს ტბის ნაპირზე კი არ ეხუტება, არამედ მანქანაში, როგორც მიღებულია. მათი

რადიო ისე ჩუმად უკრავს, მალე აღარც გვესმის. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამ და უღრანი ტყის სიჩუმეში აღმოჩნდები, პეპლები დაფარფატებენ და სრულიად შესაძლებელია, პირველი ადამიანი იყო, ვინც იმ ადგილას ფეხი დადგა; ტბის სანაპიროზე არცერთი

ნავსადგომი არ არის, არცერთი ქოხი, არანაირი კვალი ადამიანის შემოქმედების, კილომეტრების მანძილზე მხოლოდ ერთ მეთევზეს ვხედავთ. დაგვინახა თუ არა, მოდის, საუბარს გვიბამს და მაშინვე ჩვენ გვერდით ჯდება, რომ თევზაობა გააგრძელოს, რომ მარტო არ იყოს. ოთხი საათისთვის ისევ იწყება მანქანების ნაკადი, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით და ბევრად უფრო ზოზინით: ნიუ-იორკი იბრუნებს თავის მილიონებს.

საცობებს ვერ ასცდები. ცხელა, ელოდები და ოფლად იღვრები, ელოდები და ცდილობ, ერთი მანქანის სიგრძეზე მაინც წაიწიო წინ, მერე ოდნავ იხსნება გზა, ნაბიჯის სიჩქარით მიდიხარ, მერე გზა თავისუფალია, მერე ისევ საცობი. ხედავ ოთხასი, ხუთასი მანქანის რიგს, მზეზე ელვარებენ, ზევით ვერტმფრენები

ტრიალებენ, გაჭედილ კოლონაზე ეშვებიან და რეპროდუქტორებით აცხადებენ, რომელი ქუჩებია ნაკლებად გაჭედილი. ასე გრძელდება სამი თუ ოთხი, თუ ხუთი საათის განმავლობაში, სანამ ნიუ-იორკამდე ჩავაღწევთ, დახოცილები, შხაპს ვნატრობთ, თუმცა დიდი შვება ვერ მოაქვს და გვიხარია სუფთა პერანგი, გრილი კინო. შუაღამისასაც ისე ცხელა, თითქოს ღუმელში შესულიყავი და ოკეანე ნესტს უგზავნის მოციმციმე ქალაქს. ღია ფანჯარაში ძილზე ფიქრიც ზედმეტია. მანქანების საბურავების ხმა საერთოდ არ წყდება, სანამ ძილის წამალს არ მიიღებ. დღე და ღამე მოძრაობაა…

– ვიცი, – მეუბნება პროკურორი ჩემი დაწვრილებითი მონათხრობის შემდეგ – ვიცი, ჩემმა ცოლმაც ზუსტად ასე გამოსცადა.
– ჰო, არა?
– ზაფხული ნიუ-იორკში საშინელებააო, ამბობს ჩემი ცოლი.
– ყველა ამას ამბობს.
– უბრალოდ საშინელებაა.
– და მაინც, გასაგიჟებელი ქალაქია, – ვამბობ ბოლოს, – მაგარი ქალაქია! როგორც იქნა, მისვამს იმ კითხვას:
– ვინ გახლდათ ასეთი ექსკურსიების დროს? თუ სწორად გავიგე, მარტო არ ყოფილხართ ხოლმე.

– არა.

– შეიძლება გკითხოთ?
– ბატონო პროკურორო, – ვამბობ მე, – თქვენი მეუღლე არ ყოფილა.
იცინის და მიყურებს.
– პატიოსან სიტყვას გაძლევთ, – ვამბობ მე.
უცნაური დაკითხვებია.
ვილფრიდმა მიპასუხა:
– ღრმად პატივცემულო ბატონო! თქვენმა გუშინდელმა წერილმა, ალბათ წარმოიდგენთ, ძალიან დამამწუხრა, რადგან ბატონი დოქტორი ბონენბლუსტი, რომელიც აქ უკვე იმყოფებოდა, რათა ჩემი ძმის ფოტოალბომი საქმეში ჩაედო, დარწმუნებული გახლდათ, რომ თქვენ მართლაც ჩემი ძმა ხართ და თქვენი ციხიდან გათავისუფლება მხოლოდ რამდენიმე დღის საკითხია, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ან ჩემი ძმა არანაირად ხართ გარეული სმირნოვის მაშინდელ საქმეში. მე ბატონ დოქტორ ბონენბლუსტს მაშინვე მოვახსენე, რომ ჩემს ძმას, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ, პოლიტიკის და, მით უმეტეს, შპიონაჟის განხრით არ უმუშავია-მეთქი. ბოდიშს გიხდით უადგილო წერილისთვის, რომელიც ადრე მოგწერეთ. რაც შეეხება თქვენთან ჩამოსვლას, რისგანაც თავის შეკავებას მთხოვთ, რათა შესაძლო გაუგებრობა გამოვრიცხოთ, სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ, რომ გამომძიებელი მოსამართლის წერილის მიხედვით, შესაბამისი სამსახურები მაიძულებენ, შეგხვდეთ თქვენ, ვვარაუდობ, რომ ამის შესახებ გაცნობეს. ალბათ წარმოიდგენთ, როგორი აღელვებულები ვართ ამჟამად, ღრმად პატივცემულო ბატონო, გაიგებთ ჩემს აჩქარებას და მომიტევებთ. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მოკლე, მაგრამ, ჩემ მიერ შექმნილი გაუგებრობის მიუხედავად, ასეთი თანაგრძნობით სავსე წერილისთვის, ალბათ თქვენთვის ამ ბარათის დაწერა იოლი არ იქნებოდა. იმ იმედით, რომ თავი არ მოგაბეზრეთ, ნება მიბოძეთ, გავიმეორო, რომ სიამოვნებით გიმასპინძლებთ ჩვენთან ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ძმა არ ბრძანდებით. გითვლით სალამს თქვენ და ბატონ დოქტორ ბონენბლუსტს ღრმა პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით თქვენს მიმდინარე საქმეში. ვილფრიდ შტილერი. დიპლომირებული აგრონომი.

იულიკამ სმირნოვის საქმის შესახებ არაფერი იცის, არაფერი ზუსტი. პოლიტიკური საქმე ჩანს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ, როგორც ამბობენ, დიდი აურზაური გამოიწვია, იმხელა, რომ საზოგადოებამ ვეღარ

გაიგო, რა მოხდა სინამდვილეში…

დღეს, სამწუხაროდ, წვიმს!
გირაოთი მოპოვებულ ნაშუადღევს მის სასტუმროში ვატარებთ. იულიკას მაინც რაღაც დაავიწყდა სასტუმროში, პარიზში სასწრაფოდ გასაგზავნი წერილი და მე, რასაკვირველია, მივყვები. როცა კონსიერჟი სრულიად არაორაზროვანი მზერით მიმითითებს, დარბაზში დაიცადეთო, იულიკა არც კი წითლდება, ისე ეუბნება, ეს ბატონი ჩემი ქმარიაო! ამის გაგონებაზე კონსიერჟი თავის მხრივ წითლდება, ბოდიშს ჩაიბურტყუნებს და პირადად მაცილებს ლიფტამდე როგორც საპატივცემლო პიროვნებას. იულიკას ნათქვამს გამოუვალ მდგომარეობაში ნათქვამ ტყუილად ვიღებ, ანუ სიამოვნებით. ლიფტში მარტო რომ ვრჩებით, ხაზგასმით ვუქებ საზრიანობას, მაგრამ მოგვიანებით, მის ოთახში, ამაზე აღარ ვლაპარაკობ, რაც ალბათ შეცდომა იყო. ნეტა იულიკას მართლა თუ ვუყვარვარ? ახლა ისღა მაკლია, ვიეჭვიანო! იმ კაცის სახელი, პარიზში რომაა და რომელსაც იულიკა სასწრაფო და ამსისქე წერილებს სწერს, დმიტრიჩია, ალბათ ფრანგი რუსია, ძველი ემიგრაციის წარმომადგენელი, ჟან-ლუი დმიტრიჩი. თავად არ უთქვამს; წერილზე დავინახე, რომელიც, შევედით თუ არა ოთახში, თეთრი ხელჩანთის ქვეშ შეაცურა, რომ ისევ არ დავიწყნოდა, მე კი ჩუმად ვნახე, სანამ იულიკა სარკის წინ იდგა და თმას დინჯად ივარცხნიდა, მერე კი ფერ-უმარილს ისვამდა.

ისევ დამესიზმრა სამხედრო ფორმა.
სეირნობა ციხის ეზოში, რომლის მართკუთხა ფართობი ძველი ეკლესიების ჯვარედინ ფორმას მაგონებს. ვის არ ჰქონია ხანდახან სურვილი, ბერი გამხდარიყო! სადმე სერბეთში ან პერუში, რა მნიშვნელობა აქვს, ყველგან იგივე მზე დაგვნათის, სულ ერთი როა, ესაა თავისუფლება; ვიცი. და ჩემი ციხის ეზოს ეს მართკუთხედი, შემოდგომის ტოტებითა და მოღუღუნე მტრედებით, განსაკუთრებით კი, ზანტი ფიგურით, პეიზაჟში შეტანილ საკუთარ წვლილს ვგულისხმობ, ისევ მაგონებს უფრო დიდ და ქანდაკებებით სავსე, მაგრამ ასევე ფასადებითა და სახანძრო კედლებით გარშემორტყმულ ბაღს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ნიუ-იორკში. მაშინ უფრო თავისუფალი ვიყავი, ვიდრე დღეს? შემეძლო წავსულიყავი, სადაც მინდოდა და მაინც საზიზღარი დრო იყო; ვერც ვიტყვი, რომ ის დრო მენატრება ან ჩემი ცხოვრების რომელიმე სხვა დრო.
P. S.
იულიკა: – ან უგზო-უკვლოდ დაკარგულმა შტილერმა უბრალოდ, მოგვატყუა, როცა ეს ქალი ცივ ქალთევზას შეადარა, ან მისი ბრალია, თუ

იულიკა ნამდვილი ქალი არ იყო – ან: იულიკამ იმ დაკარგული შტილერის შემდეგ ისეთი რამ განიცადა, რამაც ძირფესვიანად შეცვალა. რა?

P. S.
იქნებ აგენტია, ის ჟან-ლუი დმიტრიჩი, ანდა საცეკვაო სკოლის მამასახლისი, სამოცდაჩვიდმეტი წლის ხრონცი, და მისი წერილი ცოტა ხნის წინ იმსისქე იმიტომ იყო, რომ შიგ საბუთები იწყო, რომელზეც იულიკას ხელი უნდა მოეწერა – აბრზე არა ვარ! – იქნებ ქალების მკერავია, ეს მესიე დმიტრიჩი, ან მდგმური, რომელსაც ხელშეკრულება გაუგზავნა, ან მისი ექიმი, ან ადვოკატი, ათასი ვარიანტი არსებობს... ჩემი მეგობარი, პროკურორი, ღვთის საჩუქარია. მისი ღიმილი ვისკის მიცვლის. ოდნავ იღიმის, პარტნიორს არაფერს ავალდებულებს და თავისთვის ყოფნას ანებებს. რა იშვიათია ასეთი ღიმილი! ვისაც ერთხელ ცხოვრებაში უტირია და საკუთარ თავს გამოსტყდომია, ვიტირეო, მხოლოდ მას შეუძლია ასეთი ზუსტი და გაუდღაბნავი და თან არადამამცირებელი ღიმილი.
ბატონი დოქტორი ბონენბლუსტი, ჩემი სახაზინო ადვოკატი, რა თქმა უნდა, მართალია: – ასჯერ რომ მოვუყვე, როგორ გაანადგურა ცეცხლმა კალიფორნიაში რედვუდის სამხერხაო, როგორ იხატავს სახეს ამერიკელი ზანგი გოგო ან რა ფერია ნიუ-იორკი საღამოს თოვლში და ქარბუქში (ასეთიც არსებობს), ანდა როგორ უნდა მოახერხო, რომ ბრუკლინის ნავსადგურიდან დოკუმენტების გარეშე მოხვდე ქვეყანაში, ეს მაინც არ ამტკიცებს, რომ მე თავად ვარ იქ ნამყოფი. ჩვენ რეპროდუქციის ეპოქაში ვცხოვრობთ. ჩვენი პირადი მსოფლხატის უდიდესი ნაწილი საკუთარი თვალით არასდროს გვინახავს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საკუთარი თვალით კი გვინახავს, მაგრამ არა იქ, იმ ადგილას; ჩვენ ტელემაყურებლები, ტელემსმენელები, ტელემცოდნეები ვართ. არ არის აუცილებელი, როდისმე გახვიდე ამ პატარა ქალაქიდან, იმისთვის, რომ დღემდე ყურში გედგას ჰიტლერის ხმა, სამი მეტრის მანძილიდან გენახოს სპარსეთის შაჰი და იცოდე, როგორ გაჰკივის მონსუნი ჰიმალაიზე და რა ხდება ზღვის დონიდან ათასი მეტრის სიღრმეში. დღეს ყველას შეუძლია ამის ცოდნა. ამისთვის რა, როდესმე ჩამიყვინთავს ზღვაში; ან (შვეიცარიელებივით) გამივლია ევერესტის სიახლოვეს? ადამიანის შინაგანი სამყაროც ასეთია. დღეს ყველას შეუძლია ამის ცოდნა. მე რომ მკვლელის ინსტინქტი კ.გ. იუნგისგან არ მისწავლია, ეჭვიანობა მარსელ პრუსტისგან, ესპანეთი ჰემინგუეისგან, პარიზი ერნსტ იუნგერისგან, შვეიცარია მარკ ტვენისგან, მექსიკა გრემ გრინისგან, სიკვდილის შიში ბერნანოსისგან და შინ ვერდაბრუნება კაფკასგან და ყველაფერი

დანარჩენი თომას მანისგან, ეშმაკმა დალახვროს, როგორ უნდა დავუმტკიცო ჩემს ადვოკატს? მართალია, ნამდვილად არ არის საჭირო ეს ბატონები წაკითხული გქონდეს, ეს ყველაფერი უკვე ჩვენშია ნაცნობების საშუალებით, რომელთაც ეს ცოდნა, თავის მხრივ, სხვათა პლაგიატობით მოიპოვეს. მაინც როგორი ეპოქაა! არაფრად აღარ ითვლება ხმალთევზა თუ გინახავს, მულატი გოგო თუ გყვარებია, ყველაფერი ეს დილის დოკუმენტურ ფილმებშიც ხდება და საკუთარი აზრის ქონა, ეჰ, ღმერთო ჩემო, დღევანდელ ეპოქაში უკვე იშვიათობაა, იშვიათობაა შეხვდე ადამიანს, რომელსაც მიუსადაგებ პლაგიატის რომელიმე პროფილს; უკვე პიროვნებად ითვლება, ვინც სამყაროს ჰაიდეგერის, და მხოლოდ ჰაიდეგერის თვალით უყურებს, ჩვენ კი, დანარჩენები, დავცურავთ კოქტეილში, რომელიც თითქმის ყველაფერს შეიცავს; რომელიც ელიოტმა შეგვიზავა, ყველაფერი ვიცით და როგორც აღვნიშნე, აღარც ხილული სამყაროს ჩვენეული აღქმა წარმოადგენს რამეს. ჩვენთვის დღეს (რუსეთის გამოკლებით) აღარ არსებობს terra incognita ჰოდა, რა საჭიროა ამდენი ლაყბობა! ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ იქ იყავი. ჩემი ადვოკატი მართალია. და მაინც!

ვფიცავ:
არსებობს მულატი გოგო, სახელად ფლორანსი, ნავსადგურის მუშის შვილი, მე მას ყოველდღე ვხვდებოდი და რამდენჯერმე ვესაუბრე კიდეც, ოღონდ ჩვენ გვყოფდა კუპრის ძველი კასრებისგან გაკეთებული ღობე, რომელზეც იზრდებოდა ჟოლო. იგი არსებობს, ჯეირანივით მონარნარე ფლორანსი, მე იგი მესიზმრებოდა, ცხადია, სრულიად ველურ სიზმრებში; მაგრამ მეორე დღეს მაინც არსებობდა რეალობაში. საკმარისი იყო, მაღალი ქუსლების კაკუნით გამოევლო ფიცარნაგზე, რომ უმალ მივაწყდებოდი ჩემი ხის ქოხის ნახვრეტებიან ფარდას, რომ როგორმე თვალი შემევლო მისთვის, ძირითადად უკვე დაგვიანებული იყო ხოლმე; მაგრამ მერე ველოდებოდი, როდის გამოვიდოდა ისევ წყლის სათლით ხელში, მღვრიე წყალს ჩემს ღობეს შეასხამდა, თავს დამიქნევდა და მეც გამოვდიოდი ვნებით დაბნელებული. იგი მეტყოდა: გამარჯობა! და მე ვეტყოდი: გამარჯობა! ვერც კი ვბედავ აღვწერო მის ყავისფერ სახეზე გადაფენილი თეთრი ღიმილი; ეს ღიმილიც ხომ გვინახავს დოკუმენტურ ფილმებში, ჟურნალებში, ან კიდევ აქ, ამ პატარა ქალაქის ვარიეტეში, ვიცი, ხოლო მისი უცნაური ხმა, თითქმის მისნაირ ფირფიტებზეც არსებობს... და მერე, როცა ვითომ სრულიად შემთხვევით მეც ბაღში აღმოვჩნდებოდი, ფლორანსი მეტყოდა: „What about your cat? ერთხელ, თვეების წინ, ფლორანსს ჩემს საზიზღარ კატაზე ვკითხე, ხომ არ

გინახავს-მეთქი, ეს ის პატარა ურჩხულია, საშინლად რომ კნაოდა და ერთ საღამოს, სწორედ მისი საყვედურით სავსე კნავილის გულისთვის, მაცივარში ჩავკეტე; ეს ამბავი, მგონი უკვე მოგიყევით. ფლორანსმა, რა თქმა უნდა, მაცივრის ინტერმეცოს შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ალბათ ხვდებოდა, როგორ ვდუღდი შიგნიდან ამ შავ კატასთან ბრძოლის გამო (კატა ნაცრისფერი იყო, Little Gray ერქვა, მაგრამ ღამე, ჩემი დახურული ფანჯრების წინ, შავი ჩანდა) და მითხრა, მეტი სიყვარული აჩვენე ამ კატასო. მაგრამ ჩემი სიყვარული ფლორანსს ეკუთვნოდა; ამას ძალიან კარგად გრძნობდა ის, კატა. და ალბათ ფლორანსიც... როცა ფლორანსი შინ არ იყო, როცა მისი არაჩვეულებრივი ხმა არ ისმოდა, უბანში ბარიდან ბარში დავდიოდი, რომ მეპოვა, საკმაოდ ხშირად წარუმატებლად. მაგრამ ერთხელ მართლა ვიპოვე.

ხომ ვიცით, როგორ ცეკვავენ ზანგები. მისი პარტნიორი ნახევრად მუქი US-Army-Sergeant
იყო. მაყურებლებმა მათ გარშემო შეკრეს წრე და ისინიც ცეკვავდნენ და წრეში მდგომმა აღფრთოვანებულმა ხალხმა ტაშის დაკვრა დაიწყო, სულ უფრო და უფრო უმატებდნენ რიტმს, ბოლოს თავბრუდამხვევ სიჩქარეს მიაღწიეს. US-Army-Sergeant, მაღალი ბიჭი ლომივით ვიწრო თეძოებით, რეზინის ორი ფეხით და ვნებისგან ნახევრად გაღებული პირით, ექსტაზისაგან გახელებული თვალებით, ბიჭი, რომელსაც მიქელანჯელოს „მონების“ გულ-მკერდი და მხრები ჰქონდა, სრულიად დაიცალა, გასავათდა; ფლორანსმა მარტომ განაგრძო ცეკვა. რომ შემძლებოდა, ამ დროს უნდა ჩავმხტარიყავი წრეში. ფლორანსი ისევ მარტო ცეკვავდა; უცებ ვიღაც ჩაუხტა, შემოაბრუნა, ოდნავ შეეხო თითებზე, წრე დაარტყა, რომ მერე გაშლილი ხელი მოეკიდა და სწრაფი მოძრაობით დაეშვა პარკეტზე, მაგრამ ჯერ თეძოებზე მოხვია ხელი და ზევით ატყორცნა, თავი კინაღამ ჭერს მიარტყმევინა; ამ დროს ფლორანსმა ისეთი დიდებული, სულიერი ტრიუმფის გამომხატველი ჟესტი გააკეთა ხელით, რომ საკუთარი არაფრის მთქმელი სხეულის პატრონს თავი ხეიბარი გეგონებოდა, ფლორანსი კი იატაკზე დაეშვა როგორც უწონო ჩიტი; ახლა მხოლოდ უსიერი ტყის ყრუ გუგუნი ისმოდა, ჩუმი ტორტმანი, თავბრუდამხვევი სიჩუმე, ის კიდევ ცეკვავდა. მესამე მოცეკვავეც მოინელა, მეოთხეც. და უცებ, საერთოდ არ ეტყობოდა დაღლა, ფლორანსმა გაიცინა და ცეკვა შეწყვიტა. ბავშვივით ლაღმა, ბავშვივით ბედნიერმა, ბავშვივით, რომელიც კარუსელზე დასვეს და ჯერ კიდევ გამოჰყოლია ქროლით გამოწვეული სიხარული, პატარა მაგიდებს შორის გაიარა, ალბათ ფერუმარილის დამატება უნდოდა, უცებ დამინახა და

მითხრა: „გამარჯობა!“ და მეც ვუპასუხე: „გამარჯობა!“ და ესეც კი მითხრა: „Nice to see you! და ჩემი ტკბილ-მწარე

დაბნეულობისთვის ნუგეში იყო მისი სიტყვები; რადგან ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ამ გოგონას ღირსი არ ვიყავი.

და მით უფრო ველტოდი მას.
და მერე, ერთ ცხელ კვირაღღეს, ისევ გავიგონე მისი მაღალი ქუსლების დიდი ხნის მონატრებული კაკუნი, ფარდაში გავიხედე და რა დავინახე: მამამისი, ნავსადგურის მუშა, შავ კოსტიუმში გამოწყობილი, თან ოფიციანტს ჰგავდა და თან მღვდელს, ცოცხით დადიოდა, უკანა ბაღში აქა-იქ რაღაცას ალაგებდა, ბუჩქებზე კი ჭრელი ლენტები შეებათ, ჩემი კუპრის კასრების ღობეც ჭრელი ლენტებით მოერთოთ, ხოლო ფლორანსი, ზედმეტად გადაპრანჭულ საღამოს კაბაში გამოწყობილი, თუთიყუშივით ჭრელი, სავარძელს მოათრევდა სახლიდან. ეტყობა, ბაღში აწყობდნენ წვეულებას. ფლორანსის დედა, ისიც ტიპური დედა იყო, უზარმაზარი ტორტით გამოგოგმანდა სახლიდან, ტორტი თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდაზე დადგა, ზევიდან შავი ქოლგა დაამაგრა, რომ ტორტი მზეში არ დამდნარიყო, ხოლო ირგვლივ ყვავილები შემოუწყო. მე ფარდის უკან მიმალული ვიზიარებდი მათ აღტყინებას. მაშინ, როცა ნავსადგურის მუშის ერთადერთი საზრუნავი ის იყო, რომ კიბე სუფთა ჰქონოდა და ბაღში პატარა ფინცლიც კი არ გდებულიყო, არც წვრილი ტოტი და, მით უმეტს, ძველი თუნუქის კოლოფი (კოლოფი ღობის იქით, ჩემკენ მოისროლა), ასანთის ღერიც კი, მოკლედ, სანამ მამა ცოცხის სამსახურში იდგა, დედას და ქალიშვილს უამრავი საქმე ჰქონდათ; მაგიდაზე დადგეს კრიუშონით სავსე ჯამი და მასაც ქოლგა მიაფარეს, სხვადასხვანაირი ზომის და ფორმის ჭიქები გამოიტანეს, და ნელ-ნელა სტუმრებიც მოვიდნენ, ოჯახები სხვადასხვა ასაკის ბავშვებით, მდედრობით სქესს საღამოს ჭრელი კაბები ეცვა და უკანა ბაღი მალე ვოლიერს დაემსგავსა, მამრობით სქესს კი, ცხადია, შავი და თეთრი პერანგები. ვიღაც „ნეშით“ მოგრიალდა, მაგრამ ორი წლის წინანდელი მოდელი არ იყო, იმ ტიპს რქის სათვალე ეკეთა. ძალიან ცხელოდა. მისალმების გარდა, როგორც ჩანს, მათ მოდგმას ერთმანეთისთვის სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდა. US-Army-Sergeant ასევე უაზროდ ერჭო. თავქოჩორა და დიდთვალება პატარებიც კი – ბიჭუნები თეთრ პერანგებში, გოგონები ფერადი ლენტებით მოკლე კიკინებზე, ყველანი ისე წესიერად იქცეოდნენ, სამაგალითოდ. უფროსები დასხდნენ, ფეხები გაასწორეს, ზოგი სიგარას ეწეოდა. ზოგიერთ ქალბატონს ფერის გამო ზანგს ვეღარ უწოდებდი, მაგრამ მათი ზანგობა სახეების პლასტიკაში

ამოიცნობოდა, კბილებშიც, ძალიან წვრილ კოჭებში, უპირველეს ყოვლისა კი მიხრა-მოხრის ცხოველურ გრაციოზულობაში – ხელის მტევანი არასოდეს მოძრაობს მარტო, ეს მოძრაობა მკლავიდან მოედინება და თავიც არასდროს ტრიალდება ისე, რომ მოძრაობა ზურგიდან არ ამოდიოდეს და მხრებს არ გაივლიდეს; ნელი თუ სწრაფი, თითოეული მოძრაობა სრულყოფილებაა, გაუცნობიერებელი და ცმუკვის გარეშე, ისე, რომ სხეულის სხვა ნაწილი არ შეშდება. მოძრაობა მოედინება, ან მიიჩქარის, ან ყუჩდება, ყოველთვის თანხვედრაშია თავის თავთან. მოკლედ, ფლორანსივით გოგოების გვერდით, რომელთაც უკვე გადაელახათ ხუჭუჭა თმის ასაკი, იდგნენ ამ მოდგმის სხვა წარმომადგენლებიც, მონაცრისფრო-შავკანიანი აფრიკელები მონაცრისფრო-იისფერი ტუჩებით, კრივის ხელთათმანებივით ხელებით, მამები, რომლებიც მათ განხუჭუჭებულ ქალიშვილებს ცოტა ეუხერხულებოდათ. ახალი „ნეშის“ პატრონი, ეტყობა, ტონს იძლეოდა, ძალიან ცხელოდა, როგორც გითხარით, მაგრამ არავის გაუხდია შავი პიჯაკი, და ეს მოსაწყენი, ჩვეულებრივი, უაზროდ პირში სიგარით დგომა და ლაპარაკი, ამდენი ბავშვის წესიერი საქციელი, ცირკში გაწვრთნილი ცხოველების ნომრებს რომ მაგონებდა, ნათესაური საამებელი სიტყვები, საერთო ჯამში, ის, რომ არაფერი არ ხდებოდა, შებოჭილობა და უხალისო მცდელობა, აჩვენონ, რომ ოჯახურად ფლობენ ბრდილობიანი მოქცევის წესებს, ეს სრულყოფილი კარიკატურა თეთრკანიანი წვრილი ბიურგერული საზოგადოებისა, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს აფრიკაზე, ეს იყო მათთვის მთავარი მოვლენა; ახლა მართლა თეთრკანიანებივით იქცეოდნენ. როცა ჩემს კარზე დაირეკა და ნავსადგურის მუშა მამამ კრიუშონზე დამპატიჟა, რა თქმა უნდა, მათთან გადავედი, ოღონდ მეც ჩავიცვი თეთრი პერანგი და ყველაზე მუქი პიჯაკი, რაც გამაჩნდა. ყველამ მითხრა: Nice to see you! და უფრო ახლოს თუ გავუბამდი საუბარს: How do you like America?

ლომივით ვიწრო თეძოებიანი და მიქელანჯელოს მონების მხრებიანი US-Army-Sergeant,\nროგორც შევიტყვე, აქ მხოლოდ შვებულებას ატარებდა, ისე კი ფრანკფურტში იყო, რათა ამერიკა რუსების მოახლოებისგან დაეცვა; ახლა მე შეევეკითხე: How do you\nlike Frankfurt?[16]\nდა ისე დაიხარჯა ქება-დიდებაში, რომ მივხვდი, მისთვის ყველა ევროპელი ერთი იყო. მერე, როგორც იქნა, ჩემი საოცარი ფლორანსიც მოვიდა, კრიუშონიანი ჭიქა მომაწოდა და მითხრა:

This is Joe, my husband!

მივულოცე.
– And what about your cat?

იმ დღეს დაქორწინდნენ და ჯო კიდევ სამი კვირა დარჩა შვებულებით, ანუ ფლორანსი კიდევ სამი კვირა არ გამოჩენილა მამამისის სახლში... ისეთი შეყვარებული ვიყავი, ვეღარ ვითმენდი, ფლორანსი წირვაზე მაინც არ მენახა; ახლა უკვე ვიცოდი, რომელ ეკლესიაში დადიოდა. ამ ეკლესიას Second Olivet Baptist Church
ერქვა და ბარაკს წარმოადგენდა, სხვა საწყობებისგან ძლივს განირჩეოდა, სამაგიეროდ, გოთური სტილის ხის ფასადი ჰქონდა, ჩემი შეფასებით, დაახლოებით ოციანი წლების, ჩვენი საუკუნის ოციანი წლების. შიგნით, სცენაზე, მიკროფონიდან მარცხნივ და მარჯვნივ ორი დიდი დროშა ეკიდა, ამერიკული და თეთრი, და ისე, შავ პიანონოს თუ არ ჩავთვლით, ისეთივე მოტიტვლებული იყო, როგორიც სპორტული დარბაზი. მრავალრიცხოვანი მრევლი უცნაურად ბუტბუტებდა, სულ წინ კი ღია ფერის გამოსასვლელ კოსტიუმში გამოწყობილი ზანგი იდგა, კითხვებს სვამდა და ყოველი წინადადება სიტყვა „ცოდვას“ შეიცავდა, ხალხი თავს აქნევდა, ზოგიერთი წამოიძახებდა: O yes, my Lord, o yes! კითხვები, რომელთა წარმოთქმაც ჩვეულებრივი ტონით იწყებოდა, მცირედი ცვლილებებით მეორდებოდა, ხმას არ უწევდა, მაგრამ რაც უფრო ხშირად მეორდებოდა, მით უფრო დაჟინებით ჟღერდა. საიდანღაც ვიღაც ახალგაზრდა ქალმა წამოიყვირა: I know, my Lord, I know! უმეტესობა ბუტბუტებდა, ზოგიერთი ანგარიშმიუცემლად იყურებოდა ზევით, ის ქალი კი ხმამაღლა გაჰკიოდა, უკვე დასრულებულ წინადადებებს გაჰყვიროდა, გმინავდა, იფიქრებდი, შველა სჭირდებაო. ღია ფერის გამოსასვლელ კოსტიუმში გამოწყობილი კითხვის დამსმელი, შეუჩერებლად რომ იმეორებდა კითხვებს, უკვე ადამიანი კი აღარ იყო, არამედ ცოცხალი ფუტლარი ხმისა, რომელიც მრევლზე იღვრებოდა, მისი კითხვები შეძახილად იქცა, შემდეგ სიმღერად, ბოლოს კი ისეთ ყვირილად, რომ ძვალსა და რბილში დამიარა, ხმამაღლა და ტკივილით. მობუტბუტე მრევლი თავჩაღუნული პასუხობდა, თითქოს შორიდან, მათი ბუტბუტი ექოსავით ისმოდა, ზოგს ხელები სახეზე აეფარებინა. ის ქალი, რომ გმინავდა, ახალგაზრდა ზანგი გოგო აღმოჩნდა, ახლა ფეხზე წამომხტარიყო, ქალური ქუდი ეხურა, თეთრხელთათმანებიანი ხელები ცაში აღეპყრო, ზედ კი წითელი ჩანთა უკონწიალებდა. My Lord![21] გაჰკიოდა, My Lord,\nmy Lord! და მერე, რადგან არავის შეუკავებია, მუხლებზე დაეცა, ჩემს მზერას მოეფარა, ისე ზლუქუნებდა, როგორც ალბათ წამების საკანში ზლუქუნებენ, უკიდურესი ტანჯვის ხმებს

გამოსცემდა, ექსტაზისგან ძნელად თუ გაარჩევდი; მისი ხმა ტირილში გადაიზარდა. ლოცვა კი, მისგან დამოუკიდებლად, იმით დასრულდა, რომ კითხვების დამსმელის ხმა, რომელიც სულ უფრო და უფრო დაჟინებული ხდებოდა, საბოლოოდ გასხივოსნებულ უხმობაში ჩაიკარგა – ამას მოჰყვა სუნთქვის შეკვრის, ღონის გამოცლის მომენტი; შემდეგ კი განმუხტვა, ჩემ წინ ხალხმა ისევ ამოყო თავი, ვიღაც დედაკაცი პიანინოზე უკრავდა საკმაოდ მხიარულ მელოდიებს, ეკლესიის მსახურებმა ჩამოიარეს და ფერადი მარაოები ჩამოარიგეს, ზედ ეწერა, რომ ეს მარაოები დალაქის around the\ncorner[22]) შემოწირულობა იყო და ყველამ დაინიავა... ფლორანსი არ მინახავს, სამაგიეროდ, ჯო ვნახე, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი. კედელთან იდგა, ხელები ერთმანეთზე გადაეჭდო, თითქოს არაფერი, რაც იქ ხდებოდა, მას არ ეხებოდა, თითქოს ფრანკფურტის სიმაღლიდან უყურებდა ამ ხალხს. საშინლად ცხელოდა. ერთი თვითკმაყოფილი მღვდელი მიკროფონთან იდგა და შესვენების დროს გვახსენებდა, რომ ღმერთმა, თავის დროზე, ისრაელის გაჭირვებული ბავშვებიც გადაარჩინა და რომ ღმერთმა ძალიან კარგად იცის, რა ძნელია დღეს ერთი დოლარის შოვნა, ამიტომაც არ რისხავს ღმერთი ორჭოფებს, რადგან ღმერთს უკიდეგანო მოთმინება აქვს, ამიტომაც ეძლევათ ორჭოფებს შესაძლებლობა, რამე ჩააგდონ თასში. ამასობაში მრევლი ისე მხიარულად და თავისუფლად ალაპარაკდა, როგორც საზოგადოება, რომელშიც ყველა კარგად გრძნობს თავს. როდესაც ფულის შეგროვებამ იმ ეტაპს მიაღწია, რომ ღმერთი დღეისათვის კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, იმ დედაკაცმა პიანინოზე ისეთი ენერგიული მუსიკა დაუკრა, თავი ცეკვაზე გეგონებოდა, მერე ხმას დაუწია, როგორც კი დარბაზში სიჩუმე დაამყარა და წირვას ფონად ძლივს გასაგონი, თითქმის უხმო, მხოლოდ რიტმისაგან შემდგარი ჯაზი დაუფინა. მუსიკა ოსტატურად ჩერდებოდა მაშინ, როდესაც

მღვდელი საზეიმო გზავნილებს აფრქვევდა: ღმერთმა იცის, რომ ჩვენ საწყალი ხალხი ვართ, მაგრამ ღმერთი გაგვიძღვება აღთქმულ ქვეყანაში, ღმერთი დაგვიცავს კომუნიზმისგან... ირგვლივ მარაოები ფრიალებდა, რომლებიც დალაქმა რეკლამის მიზნით დაარიგა და მზის სხივებში მტვერი ცეკვავდა. გაზის სუნი იდგა, ოფლის და სუნამოსი. გახეულ ფარდაში შემოსულ მზეზე ვიხრუკებოდი, შავ აბრეშუმში გამოწყობილი ქალის გვერდით ვიჯექი, მეორე მხარეს ბებერი, ჭაღარა ზანგი მეჯდა, ბიძია თომა, რომელიც აკანკალებული ხელით თავის ანც შვილიშვილს ამშვიდებდა, რომელმაც მე, უცხო, ვერ ამიტანა. ჩემ წინ ახალგაზრდა მუშა იჯდა, ისე უსმენდა ქადაგებას, როგორც ჯარისკაცი

ფრონტის უკანასკნელ ამბებს. შორს ვხედავდი გოგონას ყავისფერ, საკმაოდ ღია ფერის და ლამაზ ყელს, რომელზეც საოცარი რაოდენობის თეთრი პუდრა დაფენილიყო (აჰ ეს სანუკვარი ოცნება, იყო თეთრი, ეს ოცნება, გქონდეს სწორი თმა, მთელი ცხოვრების ამოცანა, იყო სხვანაირი და არა ისეთი, როგორიც ღმერთმა გაგაჩინა, ეს დიდი სიძნელე, მიიღო საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ხარ, მე ეს კარგად ვიცოდი და ახლა ჩემს საკუთარ გაჭირვებას გარედან ვუყურებდი, ვხედავდი ჩვენი ოცნებების აბსურდულობას, იყო სხვანაირი და არა ისეთი, როგორიც ხარ!)... ლოცვის შემდეგ, როდესაც ისევ დავსხედით, გაიღო გვერდითა კარი და ეზოდან, საიდანაც გაზის აყროლებული სუნი მოდიოდა, ანგელოზების გუნდი შემოფრინდა, თეთრ კაბაში გამოწყობილი ოციოდე ზანგი გოგონა. ფლორანსიც მათ შორის იყო, კიდევ იყო ოცამდე ზანგი ბიჭი, თეთრ პერანგებში, შავი ჰალსტუხებით, ყველას შავი წიგნი ეჭირა ხელში. სცენა გაივსო. ჯერ პიანინო და მერე ხმები ისეთი ტრიუმფის შეგრძნებით აჟღერდა, თითქოს სწორედ ამწუთას აღთქმულ ქვეყანაში მოვხვედრილიყავით; ჯერ ჩუმად, ზაფხულის მდელოსავით აზუზუნდა, თითქოს შორიდან სწვდებოდა ყურს უძველესი დატირების ნაკადი, ყრუ და მონოტონური, როგორც ტალღები, რომელიც ჯერ სადღაც გუბდება და მერე ყველაფერს წალეკავს. შემდეგ ხმები აგუგუნდა, აბობოქრდა, გრანდიოზული ხმები იყო, ხან მინავლდებოდა, იღვრებოდა, მაგრამ არ შეწყვეტილა, ვნების უსასრულო ნიაღვარი, მისისიპივით ფართო, კაცის წკრიალა დაფდაფივით ხმა, ძლიერი და მარტოსული, იმედით გაბრწყინებული, მერე კი დარჩა უცნაური შრიალი, ზაფხულის ავარვარებული მინდვრის ჩუმი ზუზუნი, სიცხე დარბაზში, მზეზე აცეკვებული მტვერი, გახეულ ფარდაში შემოჭრილი მზე, გაზის, ოფლისა და სუნამოს სუნი. სამი კვირის შემდეგ ჯო გაქრა.
ისევ მესმოდა ხოლმე მაღალი ქუსლების კაკუნი, ფლორანსი აქ იყო, გათხოვილი, მაგრამ აქ იყო და ერთხელ ფანჯარაშიც კი შემომძახა; მე ციცაბო კიბეზე ისე ჩავქროლდი, საოცრებაა, მაგრამ არ დავცემულვარ, ოღონდ კიბეს მოაჯირი მოვაგლიჯე, მივვარდი კუპრის კასრების ღობეს, ფლორანსი მაყვლის ბუჩქების იქით იდგა.
– What about your cat? – მკითხა მან.
ის ურჩხული ხელზე ესვა.
– D’you know she’s hurt? – თქვა მან, – awfully hurt!
დინგზე ჭრილობა ჰქონდა.
– And you don’t feel any pity for her? – თქვა მან, – you are cruel, you don’t love her.
ამ სიტყვებით ურჩხული გადმომაწოდა.

– You should love her!
– Why should I?
– Of course, you should!
ეს იყო ჩემი ურთიერთობა მულატ გოგოსთან, რომელსაც ერქვა ფლორანსი და დღესაც, მაღალი ქუსლების კაკუნს რომ გავიგონებ, ფლორანსზე ვფიქრობ; სამწუხაროდ, ამ დროს ყოველთვის მახსენდება კატაც.
იულიკამ პარიზში გამგზავრება გადადო, რათა ჩვენი გირაოთი მოპოვებული ნაშუადღევი არ გაგვიცდეს და რადგან ნამდვილად ცოდვას ჩავიდენთ, ოქტომბრის ამ ოქროსავით დღეს თუ არ გამოვიყენებთ. კრინტი აღარ დაუძრავს თავის ძველ ქორწინებაზე!
ეს რაღაცნაირად მაფორიაქებს.
სმირნოვი საბჭოთა აგენტი იყო, რომელიც გავლით იმყოფებოდა შვეიცარიაში. დამახასიათებელი ნიშნები უცნობია. მიუხედავად ამისა, შვეიცარიის ფედერალურ პოლიციას ჰგონია, რომ ამ სმირნოვს, სახელად შეფს, უნდა მოემზადებინა ერთი პოპულარული ყოფილი კომუნისტის მკვლელობა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ შვეიცარიაში იმყოფებოდა. დამხმარეები და დამხმარეების დამხმარეები, როგორც მიღებული იყო, მეტსახელებით ფიგურირებდნენ; ერთს ერქვა „უნგრელი“, მეორეს „შვეიცარიელი“, ამ უკანასკნელს ამ სმირნოვთან 1946 წლის 18 იანვარს ციურიხში გაუმართავს მოლაპარაკებები, და, სავარაუდოდ, აკრძალული შპიონაჟითაც ყოფილა დაკავებული. ამ დღიდან ძალიან მალე ციურიხის საქალაქო პოლიციამ შტილერის საეჭვო გარემოებებში გაუჩინარება გამოაცხადა. მას შემდეგ, შტილერი შვეიცარიის ფედერალური პოლიციის ბოლო იმედია. ეს შტილერი არ იყო, ფრანკოს წინააღმდეგ რომ იბრძოდა? და რადგან ანტიფაშიზმი ერთხანს შვეიცარიაში კარგ ტონად ითვლებოდა, დღეს კი საკმარისია, რომ საბჭოელების მეკავშირეობაში ეჭვმიტანილად გამოგაცხადონ…

მე რაში მეხება!
P. S.
იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შვეიცარია არა მარტო პატარა ქვეყანაა, არამედ მსოფლიოს განვითარების შედეგად კიდევ უფრო პატარავდება, ჩემს ადვოკატს იუმორის გრძნობა საერთოდ არ გააჩნია. ეს ჩვენს საუბარს ხშირად ართულებს. ის (გასაგებია) მომავლის წინააღმდეგია. ყველანაირი ცვლილება აშინებს. წარსული უფრო ეიმედება; ამ დროს, მშვენივრად იცის, რომ წარსული კი არ მოდის, არამედ მომავალი, და ეს ცოდნა მას მომავლის მიმართ კიდევ უფრო

ცუდად განაწყობს. რამდენად წარმოადგენს ჩემი ადვოკატი ამ საკითხში ქვეყნისთვის ტიპურ აზროვნებას, არ ვიცი. ხშირად ჰგონია, რომ თავს ვესხმი, არადა, სულაც არაა ასე, მერე საშინლად თვითკმაყოფილი ხდება.

– ჩვენი ქვეყნის სიდიდე, – ამბობს ის, – ფართობში არ იზომება და არც მოსახლეობის რაოდენობაში; ჩვენი ქვეყნის სიდიდე მისი სულიერების სიღიადეშია.
ეს მართალია, და ჩემში წინააღმდეგობას ის იწვევს, ასეთი თვითკმაყოფილებით და უაპელაციოდ რომ ჰგონია, რომ შვეიცარიელებს არასოდეს აკლდათ სულიერი სიდიადე. შეურაცხყოფაზე გადავდივარ, ვერაფერს ვუხერხებ მის თვითკმაყოფილებას, ვეკითხები, დამიმტკიცე ეს სულიერი სიდიადე-მეთქი, ქედს ვიხრი ისტორიული პიროვნებების მთელი ჯარის წინაშე, რომელთა სახელებსაც ჩემი ადვოკატი მომაყრის ხოლმე; ამ დროს, მე ხომ ისტორიული პიროვნებების შესახებ არ დამისვამს კითხვა, არამედ აშკარად შვეიცარიული სულიერი სიდიადის დღევანდელი მტკიცებულებები მაინტერესებს. ჩემი ადვოკატი ამას პირად შეურაცხყოფად იღებს.

– თქვენი ზიზღი შვეიცარიის მიმართ ავადმყოფურია!
– რა შუაშია ზიზღი?
– თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ შვეიცარიელი არ ხართ და ამიტომ არც შტილერი ხართ, – მეუბნება იგი, – მაგრამ ვერ მომატყუებთ; თქვენი ზიზღი შვეიცარიის მიმართ ნამდვილად არ ამტკიცებს, რომ შვეიცარიელი არ ხართ. პირიქით! – ყვირის, რადგან მე მეცინება, – სწორედ ამით გასცემთ თავს!
ჩემი ადვოკატი ცდება; მე შვეიცარია არ მეზიზღება, მე მეზიზღება სიცრუე. ეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ერთ შედეგამდე მივყავართ, პრინციპულად სხვა რამეა. როგორც ტუსაღს, ალბათ განსაკუთრებული მგრძნობელობა მაქვს მათი ლოზუნგის – თავისუფლების – მიმართ. ეშმაკმა დალახვროს, რას უშვებიან ამ თავიანთ საარაკო თავისუფლებას? თუკი რაიმე ძვირი მოეჩვენებათ, ისე ფრთხილად იქცევიან, როგორც ვინმე გერმანელი ქვეშევრდომი. მართლაც, ვის აქვს ფუფუნება, ჰყავდეს ცოლი და შვილები, ოჯახი მთელი თავისი ამბებით და, ამავე დროს, ჰქონდეს თავისუფალი შეხედულება არა მხოლოდ უმნიშვნელო საკითხებზე? ამისათვის ფულია საჭირო, იმდენი ფული, რომ არ იყო დამოკიდებული შეკვეთებზე, კლიენტებზე და საზოგადოების კეთილგანწყობაზე. ვისაც იმდენი ფული აქვს, რომ შეუძლია თავს უფლება მისცეს, გააჩნდეს თავისუფალი მოსაზრება, უმეტეს შემთხვევაში ისედაც ეთანხმება ქვეყნის მდგომარეობას. რას

ნიშნავს ეს? ამ ქვეყანასაც ფული მართავს, ამას ნიშნავს. მაშ, სადღაა მათი სახელოვანი თავისუფლება, რომელიც დაფნის გამომშრალი ფოთოლივით გაურჭიათ სარკის უკან; რატომ ვერ ვხედავთ მას ყოველდღიურ სინამდვილეში? ჩემი ადვოკატი თავს აქნევს.

– სასამართლოს წინაშეც ასე თუ ილაპარაკებთ, – მეუბნება სრულიად იმედდაკარგული, – პრესის წინაშე...
ესაა საქმე.
– მხოლოდ საკუთარ თავს დააზიანებთ, – ამბობს იგი.
ალბათ საერთოდ არ არსებობს ისეთი თავისუფლება, რომელიც ამ ქვეყანაში არისო, რომ გვიმტკიცებენ; არსებობს მხოლოდ განსხვავება არათავისუფლებათა შორის და სიამოვნებით ვაღიარებ, რომ მათ არათავისუფლების შედარებით რბილი ფორმა აქვთ. მე არ დამხვრეტენ. ამისთვის ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ ვალდებული არ ვარ, მათი ქვეყნისთვის ტიპური სიცრუე მომწონდეს. იგი ამას სხვანაირად უწოდებს, ვიცი, სიცრუის ყველაზე საშიში ფორმაა, კერძოდ, როდესაც აღგიმართავს დროშა პრეტენზიით, იყო წმინდა და ხელშეუვალი; იგი ამას სამშობლოს სიყვარულს უწოდებს. სისულელეა ჩემი მხრივ, რომ სერიოზულად ვიშლი ნერვებს. ამ შვეიცარიელებთან შეუძლებელია თავისუფლებაზე ლაპარაკი; მარტივად თუ ვიტყვი, ვერ იტანენ, როცა ეჭვქვეშ აყენებ მას, თავისუფლებას, და როდესაც თავისუფლებას არ უყურებ, როგორც შვეიცარიულ მონოპოლიას, არამედ პრობლემას. საერთოდ ყველანაირი პირდაპირი შეკითხვის ეშინიათ; მათი ფიქრი მხოლოდ იმხელაზე წვდება, სადამდეც გამზადებული პასუხები აქვთ, პრაქტიკული პასუხი, პასუხი, რომელიც მათ სარგებლობას მოუტანს. ამდენად, სრულიად არ ფიქრობენ, მხოლოდ თავს იმართლებენ. ვერანაირ გარემოებაში ვერ ბედავენ, ეჭვით შეხედონ საკუთარ თავს. განა ეს სულიერი მონობის ნიშანი არ არის? მშვენივრად შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ ერთ დღეს საფრანგეთი ან დიდი ბრიტანეთი შეიძლება დაინგრეს, მაგრამ შვეიცარია არა, ღმერთი, თუ კომუნისტი არ გახდა, ამას არასდროს დაუშვებს, რადგან შვეიცარია ხომ თვით უმანკოებაა. სხვათა შორის, დავაკვირდი, რა ხშირად იშველიებს შვეიცარიის გასამართლებლად ჩემი ადვოკატი რუსების ბოროტმოქმედებას, ჰიტლერისას არა; როგორ ელამუნება მის შვეიცარიულ გულს და გონებას ის საშინელი ფაქტი, რომ სადღაც სხვაგან არსებობს საკონცენტრაციო ბანაკი. რისი დამტკიცება უნდა ამით თავის ქვეყანასთან მიმართებაში? ერთხელ ვბედავ და ვეუბნები:

– ბედი გქონიათ, ბატონო დოქტორო, რომ მაშინ ჰიტლერი თქვენს სუვერენიტეტსა და აქედან გამომდინარე, თქვენს ბიზნესს დაემუქრა; ამან

არ მისცა საშუალება ადგილობრივი ფაშიზმის განვითარებას. მაგრამ ნუთუ სერიოზულად გჯერათ, რომ შვეიცარიის ბიურგერული საზოგადოება ერთადერთი იყო მსოფლიოში, რომელიც არ გადაიხრებოდა ფაშიზმისკენ, თუკი ფაშიზმი მის ბიზნესს კი არ დაემუქრებოდა, არამედ, პირიქით, გაზრდიდა? ეს გამოცდა ჯერ კიდევ წინ გაქვთ, ძვირფასო დოქტორო, და დიდი ინტერესით ველი.
ამის გაგონებაზე თავის ტყავის ჩანთას ალაგებს.
– როგორც თავისუფალი შვეიცარიელი, – იწყებს და უცებ ისევ ნაწყენი ჩანს, – რატომ იცინით?
თავისუფალი! თავისუფალი! თავისუფალი! ამაოდ ვთხოვ, ერთხელ მაინც გამიმხილოს: თავისუფალი რისგან? და, რაც მთავარია: თავისუფალი რისთვის? უბრალოდ ამბობს, თავისუფალი ვარო, და მეც, ამ ნარზე რომ ვზივარ და თავს ვაქნევ, მეც თავისუფალი ვიქნებოდი, მეტი გონიერება რომ გამომეჩინა და მათი უგზო-უკვლოდ დაკარგული შვეიცარიელი ვყოფილიყავი. ხელი კარის სახელურზე უდევს, მზადაა გააბიჯოს თავისუფლებაში და უწყინრად შეწუხებული მეკითხება:

– რატომ აქნევთ თავს?
განსჯა უნდა შეგეძლოს. და გამოხატვა უნდა შეგეძლოს, რომ აღარაფერი დარჩეთ გარდა სიმართლისა. მე მხოლოდ ვხედავ, რომ მოქალაქეობრივი თავისუფლება, რომლითაც თავს ასე იწონებენ, თითქოს ეს იყოს ადამიანის თავისუფლების მწვერვალი, სინამდვილეში საკმაოდ საეჭვოა და ვხვდები, რომ ისინი, მთლიანობაში, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოთა შორის, ისეთივე მონები არიან, როგორც ვინმე პატარა დიდებს შორის, ნამდვილად ასეა. მხოლოდ მათი მნიშვნელობა დაკარგული მდგომარეობის (მათი დღევანდელი უისტორიობის) წყალობით შეიძლება მოეჩვენოთ, რომ დამოუკიდებლები არიან და კიდევ მათი ვაჭრული გონიერების წყალობით, რომელიც ფულის გამო აიძულებთ ძლიერთა მიმართ ზრდილობიან ქცევას, და ვისაც ძლიერთა საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რადგან მათით არსებობს, ის თავს მუდამ თავისუფლად და დამოუკიდებლად იგრძნობს. მაგრამ რა შუაშია ეს ყველაფერი თავისუფლებასთან? მე ხომ ვხედავ მათ სახეებს; თავისუფლები არიან? ჯერ მარტო მათი სიარულის მანერა, მახინჯი მანერა; ეს თავისუფალი ადამიანის სიარულია? და მათი შიში, მომავლის შიში, შიში, რომ ერთ დღეს შეიძლება სიღარიბეში აღმოჩდნენ, ცხოვრების შიში, შიში, რომ სიცოცხლის დაზღვევის გარეშე მოკვდებიან, ყველაფრის შიში, შიში, რომ მსოფლიო შეიძლება შეიცვალოს, მათი პანიკური შიში ნებისმიერი სულიერი რისკის მიმართ – არა, ისინი არ

არიან ჩემზე უფრო თავისუფალნი, აგერ ნარზე რომ ვზივარ და ვიცი, ნაბიჯი თავისუფლებისკენ (რომელსაც ჩვენ მაგივრად ჩვენი წინაპრები ვერ გადადგამენ) მხოლოდ მაშინაა უზარმაზარი, როდესაც ყველაფერს უკან იტოვებ, რაც აქამდე მყარ საფუძვლად მიგაჩნდა, და ეს ის ნაბიჯია, რომელსაც ვერავინ შეაჩერებს, თუკი მე მისი გადადგმის ძალას ვიპოვი: კერძოდ, ეს არის ნაბიჯი რწმენისკენ, ყველაფერი დანარჩენი, თავისუფლება კი არა, ლაყბობაა. მაგრამ ჩემი ადვოკატი იქნებ სწორედ ამიტომაა მართალი: რატომ უნდა ვუთხრა ეს იქ შეკრებილ პრესას? რისთვის ავრიო მონასტერი? რატომ მივაყენო ხალხს შეურაცხყოფა? საბოლოო ჯამში ხომ მხოლოდ ჩემი საქმეა, როდისმე თავისუფალი ვიქნები თუ არა, თავისუფალი მათგანაც; ეს მხოლოდ ჩემი საქმეა.

ისევ და ისევ ვასკვნი, რომ ჩემს პროკურორთან, ჩემს ბრალმდებელთან უკეთ გამომდის საუბარი, ვიდრე ჩემს ეგრეთ წოდებულ ადვოკატთან. ასეთი საუბრები ნდობის ატმოსფეროს ქმნის, რაც სულაც არაა უხიფათო. დღეს თავისი მეუღლის, სიბილეს ფოტოს მაჩვენებს, სიბილე სულ მოკითხვას მითვლის. დიდხანს ვსაუბრობთ ქორწინებაზე, რა თქმა უნდა, სრულიად ზოგადად. ჩემი პროკურორი ფიქრობს, რომ ცოლქმრული ცხოვრება (როგორც ჩანს, გარკვეულმა გამოცდილებამ ეჭვი გაუჩინა) სრულიად შესაძლებელია, თუმცა ძნელია. ბუნებრივია, იგი ნამდვილ, ცოცხალ ცოლქმრობას გულისხმობს. წინაპირობად მას მიაჩნია: ორმხრივი ცოდნა იმისა, რომ არ შეიძლება გვქონდეს პრეტენზია პარტნიორის მხრიდან სიყვარულზე; მთელი სიცოცხლის მანძილზე მზადყოფნა, რომ დავუშვათ თავგადასავალი, გინდაც ეს ხიფათს უქმნიდეს ცოლქმრობას, ესე იგი ყოველთვის ღია უნდა ვიყოთ მოულოდნელობისთვის, პატარა თავგადასავლისთვის არა, მაგრამ გაბედული ნაბიჯისთვის; იმ მომენტში, როდესაც ორ პარტნიორს ჰგონია, რომ ერთმანეთის გრძნობა გარანტირებული აქვთ, ერთმანეთი, უმეტეს შემთხვევაში, უკვე დაკარგული ჰყავთ. გარდა ამისა: კაცისა და ქალის თანასწორობა; უარის თქმა მოსაზრებაზე, რომ სქესობრივი ერთგულება საკმარისია, და, აგრეთვე, უარის თქმა იმ მოსაზრებაზეც, რომ სქესობრივი ერთგულების გარეშე საერთოდ არ არსებობს ცოლქმრობა; აუცილებელია რაც შეიძლება ყოვლისმომცველი და მკაფიო, მაგრამ არა ანგარიშგაუწეველი გულწრფელობა ამ სახის ყველა გასაჭირში. მას, აგრეთვე, მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ერთობლივი გამბედაობა გარემოცვის მიმართ; წყვილი აღარაა წყვილი, თუკი ერთ-ერთი პარტნიორთაგანი ან ორივე ცალ-ცალკე შეეკვრება გარემოცვას, რათა წნეხის ქვეშ მოაქციოს მეორე პარტნიორი; შემდეგ, სიმამაცე – უნდა

შეგეძლოს ფიქრი საყვედურის გარეშე, რომ პარტნიორი, ვაითუ, უჩვენოდ უფრო ბედნიერი იქნებოდა; სამართლიანობა, არასდროს არ დავარწმუნოთ პარტნიორი, რომ თუ მიგვატოვებს, მოვკვდებით და ა.შ. ყველაფერ ამას, როგორც გითხარით, ზოგადად ამბობს, ამ დროს მისი მეუღლის ფოტოს ვაკვირდები, რომელიც სულაც არ არის ზოგადი, არამედ ერთადერთი და განუმეორებელია, ცოცხალი, უაღრესად სანდომიანი, ბევრად უფრო მომხიბლავი, ვიდრე პროკურორის გამოსვლა, რომელიც მხოლოდ იმით იძენს სინამდვილის ხარისხს, რამდენადაც ამ სახესთან გაზიარებულ და ართქმულ გამოცდილებას გულისხმობს; შედეგ ფოტოს ვუბრუნებ.

– დიახ, – ამბობს ჩემი პროკურორი, – რით დავიწყეთ ეს საუბარი?
– რომ თქვენი მეუღლე ბავშვს ელოდება.

– დიახ, – ამბობს იგი, – ძალიან გვიხარია.
– იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.
– ჰო, – ამბობს იგი, – იმედია.
ჟან-ლუი დმიტრიჩი პიანისტია იულიკას საცეკვაო სკოლაში, ნახევრად რუსი და ძალიან მგრძნობიარე, ორმოცსა და ორმოცდაათ წელს შორის მამაკაცი, დაუქორწინებელი, ნიჭიერი – და იულიკა კმაყოფილია, ცარიელი გულიაო და მას პარიზში თავის საყრდენს უწოდებს. მეტს მასზე არ ჰყვება. იქნებ ჯობდა, არც მეკითხა. იქნებ იულიკას ახლა ჰგონია, რომ ვეჭვიანობ.
ჩემი მეგობარი პროკურორი მეკითხება, „ანა კარენინა“ თუ წაგიკითხავთო. მერე: „ეფი ბრისტი“ თუ წაგიკითხავთო. ბოლოს: თუ წარმოგიდგენიათ მიტოვებული ქმრის იმისგან განსხვავებული ქცევა, ვიდრე ეს ამ შედევრებშია აღწერილიო. უფრო დიდსულოვანი, ამას გულისხმობს და მოყოლას იწყებს... როგორც ჩანს, ჩემს პროკურორს ძალიან აწუხებს ის ამბავი, რომ თავად ვერ შეძლო ისე დიდსულოვნად მოქცეულიყო მიტოვებული ქმრის როლში, როგორც წარმოედგინა. მთელი ნაშუადღევის განმავლობაში ვუსმენ. თავად გაოცებული საკუთარი გულახდილობით (სულაც არ აპირებდა, მაგრამ მერე და მერე იძულებული გახდა, დაკონკრეტებულიყო, რომ გაუგებრობები თავიდან აეცილებინა და საკუთარი გამოცდილების კონკრეტულ მაგალითს არ გასცდენოდა) პერიოდულად მეკითხება: შეგიძლიათ ამის გაგება? ასეთი ისტორია ათასობით არსებობს, იოლი გასაგებია; მე მესმის მისი მოთხოვნილება, ერთხელ მაინც შეხვდეს დაკარგულ შტილერს, რომელსაც, როგორც ამბობენ, მისი მეუღლე (მისთვის) აუტანლობის ზღვრამდე უყვარდა.

ქნობელი, ჩემი დარაჯი, უკვე რამდენიმე დღეა უცნაურად იქცევა, ერთი სული აქვს, ჩემი საკნიდან როდის გავა. არ გამომპარვია. დღეს უცებ ამბობს:
– ბატონო შტილერ.
მე მხოლოდ ვუყურებ.
– ღმერთო ჩემო, – ამბობს იგი და მოღალატესავით სირცხვილისგან იკრუნჩხება, – მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც თქვენი სჯეროდა.
იულიკამ ყველა გადაარწმუნა.
– ბატონო შტილერ, – მეუბნება, – ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ ასეა, ღმერთო მიშველე, მე ხომ არ მწყინს, რომ ტყუილებით გამბერეთ, მაგრამ ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ...
ვჭამ და ხმას არ ვიღებ.

მეოთხე რვეული

თავიდან არ გამომდის ერთი პატარა ამბავი, რომელიც გენუაში მოხდა და ხორცისფერ ქსოვილს ეხება. ეს ისტორია ჩემმა მეგობარმა და პროკურორმა – მოდი, დავარქვათ მას როლფი – გუშინ მიამბო. მაგალითად, ცხადად წარმომიდგენია, როგორ ავიდოდა დაბნეული როლფი ღამის მატარებელში – სულერთი იყო, საით წაიყვანდა მატარებელი, ლტოლვილივით უხაროდა, რომ ამ შუაღამისას სადღაც რაღაც მაინც მიდიოდა. მგზავრობაში იქნებ უფრო იოლად გადავიტანოო, ფიქრობდა და თან არაფრის დიდებით არ უნდოდა, რომ ახლა, როცა პირველი ელდა ასე თუ ისე მშვიდად გადაიტანა, ისევ თავის ცოლს დანახვებოდა. საზღვრის გადაკვეთაც, ეგონა, მდგომარეობას შემიმსუბუქებსო. რაც უფრო შორს ვიქნები, მით უკეთესი! ასე რომ, იჯდა ღამის მატარებელში, კაცი უბარგოდ, მარტო, მეორე კლასის კუპეში. სისხამ დილას, მილანში, მატარებელი უკაცრიელ სადგურში გაჩერდა, იტალიელმა რკინიგზელმა ბორბლებს პატარა ჩაქუჩი შემოსცხო, სხვა მხრივ, გეგონებოდა, მთელ დედამიწას სიბილესავით სძინავსო. სიბილესავით, რომელმაც, მას შემდეგ, რაც თავის მეულლეს ყველაფერი უთხრა, მთელი სატკივარი ჩამოიშორა. ბიჭური შურისძიების გეგმები მოსდიოდა თავში. მოსაცდელში უაზრო ლოდინი კიდევ უფრო აშკარად აგრძნობინებდა, რომ მის მოგზაურობას მიზანი არ გააჩნდა. უცებ სადღაც მამალმა იყივლა, ცოტა ხანში მეორემ, მესამემ, ბოლოს ფრინველით დატვირთული მთელი სატვირთო ვაგონი აყივლდა დილის ბაზრის მოლოდინში. და მერე, როცა ბოლოს და ბოლოს დაიძრა მატარებლის ბორბლები, როლფმა წათვლემა მოახერხა, თუმცა ხანდახან ეღვიძებოდა და ფიქრობდა, ნახევრად ღია პირით ალბათ სულელის გამომეტყველება

მაქვსო; მაგრამ კუპეში ისევ მარტო იყო, ოღონდ დაეძინა, რადგან, რაც უფრო დიდხანს იძინებდა, მით მეტი იყო იმედი, რომ გაღვიძებისას ყველაფერი ცუდი სიზმარი აღმოჩნდებოდა. გენუაში უკვე მზე ანათებდა. ისეთი დაღლილი იყო, რომ სიამოვნებით ჩამოჯდებოდა კიბეზე მათხოვარივით, მაგრამ იდგა სადგურის თაღების წინ, კაცი უბარგოდ, სამაგიეროდ, ხელზე გადაკიდებული სრულიად ზედმეტი პალტოთი, ცოტა გაუპარსავიც, გასცქეროდა ქუჩის სიგნალებით ახმაურებულ მოძრაობას, მოჭრიალე და მოსრიალე ტრამვაის, რომელიც, ხალხით დახუნძლული, ვიწრო ქუჩების ჩრდილში იკარგებოდა, ხალხს ეტყობოდა, რომ იცოდნენ, სად მიდიოდნენ. აი, თურმე, ეს ყოფილა გენუა. სიგარეტისთვის უკვე მოეკიდებინა. ახლა? შეამჩნია, რომ სადგურის თაღებს შორის ვიღაც დაძრწოდა და მას აკვირდებოდა, ალბათ ვალუტის გამყიდველი იქნებოდა; როლფი უმისამართოდ გაბოდიალდა. ერთ იაფფასიან, მებარგულებით და ტაქსის შოფრებით სავსე ბარში შევიდა. ხმაური იდგა, ვიღაც გაბურძგნილი ტიპი მის უზადო ფეხსაცმელებს შორის ქვის იატაკს წშენდდა, როლფმა შავი ყავა დალია და აღიარა, რომ სრულიად დაცლილიყო ყოველგვარი გრძნობისაგან.

– გავშორდებით, თუ რას ვიზამთ, – უთხრა მან, – ჯერ მე თვითონაც არ ვიცი. ახლა მხოლოდ მინდა, რომ თავი დამანებო.
მისი მეუღლის კიდევ ერთი ფრაზა:
– შენ არ უნდა მომცე თავისუფლება. ეს რას ნიშნავს? თუ დამჭირდა, მე თვითონ მივანიჭებ ჩემს თავს თავისუფლებას.
განსაკუთრებით ამ წინადადებამ, როგორც ჩანს, ისე გააცოფა ქმარი, რომ დღისით-მზისით, გენუაში ხმამაღლა ელაპარაკებოდა თავის თავს და აღარ იცოდა, საით წასულიყო. ანდა რა მნიშვნელობა ჰქონდა. სადღაც საწყობებს, ვაგონებსა და კუპრის კასრებს შორის მიალაჯებდა. ისეთი მომენტებიც იყო, რომ ხმამაღლა აგინებდა ალპების მეორე მხარეს დარჩენილ თავის მეუღლეს, რაც უფრო მდაბიო სიტყვებით იგინებოდა, მით უფრო ელამუნებოდა გულზე. ისეთი უხამსი და უშვერი გამოთქმები (ასე ამბობს) ამოსდიოდა პირიდან, თავად უკვირდა. როცა უეცრად ვიღაცა გამოელაპარაკა, ძალიან შერცხვა. არანაირი სურვილი არ ჰქონდა, გენუის ღირშესანიშნაობები დაეთვალიერებინა. ცხოვრებაში არასოდეს უგრძნია თავი ასე დაუცველად. ეგონა, ყველა ატყობდა, რა ტრიალებდა მის გულში, იმის თავიც აღარ ჰქონდა, მენავეს გასძალიანებოდა და პორტის დათვალიერებაზე დასთანხმდა. ზღვა პრიალა, ზეთისლაქებიან ნაცრისფერ ფაფას ჰგავდა. როლფი როდენის მოაზროვნესავით დაჭიმული იჯდა ბალიშებიან სკამზე, მის უკან კი იდგა

იტალიელი მენიჩბე, რასაკვირველია, სიტყვა არ გაუგონია იმ მონათხრობიდან ღირშესანიშნაობების შესახებ, რომელიც გასეირნების ფასში შედიოდა. რომელიღაც გემის კედლიდან სამზარეულოს ცხელი წყალი მოთქრიალებდა. ცოტა ხანში კი ჩაძირულ სატვირთო ტანკერს გადაუარეს. გემის დახავსებული რკინის ნაწილები ჭუჭყიანი წყლიდან ამოწვერილიყო. შორიდან ეროების ბრახუნი ისმოდა. როლფისთვის, ცხადია, ყველაფერი ისე ჩანდა, როგორც კინოში, ოღონდ ეს კინო ფერადი იყო და სუნიც ჰქონდა, მაგრამ მაინც კინო იყო. მოქმედება აწმყოს გარეშე. ხანდახან ყურს სწვდებოდა სუსტი, ქარში გაფანტული და ექოში გაბნეული საყვირის ხმა, არავინ იცოდა, რატომ და რისთვის, რადგან, სინამდვილეში, დიდ გემთაგან არცერთი არ აპირებდა ზღვაში გასვლას. ცხელოდა. პორტის წყალზე ყროლის მოლურჯო ზვინები ეკიდა. მხოლოდ მეთევზის გაზინტლულმა ნავმა ჩაიკაკანა გვერდით და ტივტივები ააქანავა, რომელთა დაობებული ჯაჭვები მღვრიე სიღრმეში ლპებოდა. საზიზღრობა იყო. ასე ჩაუარეს ნავსადგურის ჯებირებს და დოკებს, ხე იყო თუ ქვა, ყველაფერი გამჭვარტლული და გაზინტლული ეყარა. კიდევ კარგი, დრო მაინც გადიოდა. აქა-იქ მკვდარი თევზის ამობრუნებული მუცელი მოჩანდა, სადღაც მეზღვაურების სარეცხი ფრიალებდა, კაიუტიდან სიმღერის ხმა გამოდიოდა, ყველაფერს ნახავდი, რაც ნავსადგურში ექსკურსიაზე შეგიძლია იხილო, რუხი ფერის სამხედრო გემსაც კი, ჯავშნიანი ქვემეხებით, ნახშირის გორებს და მათზე თეთრ თოლიებს, შორს კი მოჩანდა ფერდობზე ამოზრდილი გენუა, თითქოს ნამდვილი არც იყო... მერე სიბილემ თქვა: „ ახლა არ მინდა, რომ კიდევ რამე მკითხო. ერთი კაცია, ხომ გითხარი, და შენგან ძალიან განსხვავებული, ამჯერად მეტს მართლა ვერ გეტყვი. შეიძლება ნამდვილად მიყვარს, ახლა მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს, თავი დამანებე“.

...როლფმა ნავსადგურში ექსკურსია ისეთი გამომეტყველებით დაამთავრა, თითქოს თავში აგური დაეცაო, და გადაიხადა, რაც გენუელმა მოსთხოვა. ახლა მისი ერთადერთი სურვილი ღვინო იყო, ბევრი ღვინო. მისი ხორცისფერი ქსოვილის ისტორია – ჩემი პროკურორი ამას, რა თქმა უნდა, უფრო ხატოვნად ჰყვება, ვიდრე მე – რესტორნამდე დაიწყო, კერძოდ კი მაშინ, როცა ამერიკელმა მეზღვაურმა გააჩერა და რომელიღაც ქუჩის სახელი ჰკითხა. როლფს საიდან უნდა სცოდნოდა! მაგრამ მეზღვაური აეკიდა. მისი ამერიკული ნაღდი ჩანდა, ანუ როლფისთვის საკმაოდ გაუგებარი. თუმცა როლფი მაინც მიხვდა: მეზღვაური ორ საათზე, ანუ საკმაოდ მალე უნდა გასულიყო ზღვაში, გემი

მართლაც გასასვლელად ემზადებოდა, ორთქლი ასდიოდა, ხოლო ის ფუთა მისი ომისდროინდელი იტალიელი ამხანაგისთვის განკუთვნილი საჩუქარი იყო. ღმერთო ჩემო, როლფს თავისი გასჭირვებოდა, მაგრამ სასოწარკვეთილი მეზღვაური არ მოეშვა, რაღაც აბდაუბდას უყვებოდა პაკეტის შესახებ და რადგან ომისდროინდელი იტალიელი ამხანაგი ვეღარ ეპოვა, მანამ უნდა გაეყიდა, სანამ მართლაც ზღვაში გასასვლელად გამზადებული გემი დაიძრებოდა; აბა, რა აზრი ჰქონდა ამ არაჩვეულებრივი ქსოვილის უკან, ამერიკაში წაღებას. როლფს ქსოვილი არ აინტერესებდა. ერთი სული ჰქონდა, აბეზარი ტიპი თავიდან მოეშორებინა და ღვინომდე მიეღწია, ვიღაც გამვლელს დაუქნია ხელი, ახალგაზრდა და არაფრით გამორჩეულ გენუელს, იქნებ ის ქუჩა იცოდეს ან ქსოვილი სჭირდებოდესო. და ამით მოათავებდა ამბავს! ოღონდ, გენუელი, უკმაყოფილო, რომ მიზანმიმართული სვლა შეანელებინეს, ამერიკულს ვერ ფლობდა, მეზღვაური კი იტალიურს. როლფს უნდა ეთარჯიმნა. ძალიან არ უნდოდა, ამის გულისთვის ხომ არ იმგზავრა მთელი ღამე გენუაში ჩამოსასვლელად! და, რა თქმა უნდა, ეჭვიც გაუჩნდა, ესენი რაიმე მამაძაღლობაში შეკრულები ხომ არ არიანო. მაგრამ რა უნდა ნდომოდათ მისგან? არც მისი იტალიური და არც მისი ამერიკული საკმარისი არ აღმოჩნდა და გარიგებასაც პირი არ უჩანდა, გენუელსაც ისევე არ აინტერესებდა ქსოვილი, როგორც როლფს, რომელიც, მისდა უნებურად, ჯერ კიდევ იქ იდგა. ორჯერ სცადა იქაურობას გასცლოდა, მაგრამ აღელვებულმა მეზღვაურმა, რომელიც თარჯიმნის გარეშე ვერაფერს გახდებოდა, უკან მოაბრუნა; კაი ხნის ვაჭრობის შემდეგ (როლფს ამასობაში მეუღლე ცოტა ხნით დაავიწყდა) გენუელმა ორივეს თვალი ჩაუკრა, რითაც უკანონო ყიდვა-გაყიდვაში ჩაბმის მზაობა გამოხატა და სულ უფრო და უფრო ვიწრო, კიბეებიან და ბავშვებით სავსე ქუჩებში გაუძღვა ორივეს; მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო გასასვლელებში ჭრელი სარეცხი ფრიალებდა და აქეთ-იქიდან წივილ-კივილი ისმოდა; ბოლოს მიადგნენ სადარბაზოს, რომლის სიბნელეშიც გენუელმა გასაყიდი ქსოვილის დათვალიერება ინება. როლფი სიგარეტს ეწეოდა, იმ მომენტში მისი თარჯიმნობა არავის სჭირდებოდა; მთელი ამბავი უსიტყვოდ მიმდინარეობდა. გენუელმა, რომელიც გულისამრევი უპირატესობის გამო ისედაც ნაკლებად სიმპათიური ჩანდა, ვიდრე წამდაუწუმ საათზე მოცქერალი მეზღვაური, ქსოვილს ორი თუ სამი ძაფი გამოაძრო, გალოკა და ეზოს ჩრდილში გახედა. შალი ნამდვილად არ არის! ყოველ შემთხვევაში, ნაღდი შალი არ არის, ალბათ ორმოცდაათი ორმოცდაათზეაო. როლფი, როგორც ყოველთვის, ფრთხილად თარგმნიდა. ოცდაათი ათასი ლირა, ბოლო სიტყვა! მაგრამ საქმე

გადახდაზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ გენუელს, სამწუხაროდ, მხოლოდ ათი ათასი ლირა ედო ჯიბეში, დანარჩენი კი, რა თქმა უნდა, სახლში ჰქონდა, მეზღვაურს კი უკვე ეჩქარებოდა. რა უნდა ექნათ? იქნებ თარჯიმანი დაგვეხმაროსო. ყველაფერი ცხადი გახდა, როლფი დაიბნა, მაგრამ მაინც მშვენივრად მიხვდა ყველაფერს, მიუხედავად უნდობლობისა, ამოიღო არცთუ მაინცდამაინც სავსე საფულე, იმიტომ კი არა, რომ ის ვითომ მეზღვაური შეეცოდა, არამედ (ასე ამბობს), შეეშინდა, დაწვრილმანება არ გამომივიდესო. მეზღვაურმა, თან მადლიერი და თან გაცოფებული რომ ჩანდა, სადამდე მიმიყვანეს გამომძალველებმაო, ოცდაათი ათასი ლირა მოაქუჩა, აქედან ოცი ათასი როლფის ჯიბიდან, უცებ დაემშვიდობა ორივეს და გაიქცა. ორის ნახევარი იყო! სხვათა შორის, გენუელმა, რომელიც ასე საზიზღრად მოექცა მეზღვაურს, როლფის წინაშე თავი ჯენტლმენად წარმოაჩინა; არ უნდოდა პაკეტის აღება, შენ წამოიღე, სანამ ფულს დაგიბრუნებო, ასე ვთქვათ, გარანტიის სახითო, გრძნობდა მის უნდობლობას. და ისევ გაუყვნენ ღარიბულ შუკებს, როლფს გაკვანძული პაკეტი იღლიაში ამოედო, სანამ გენუელმა, რომელსაც მთელი გზის მანძილზე, აქაოდა, ნაწყენი ვარო, ხმა არ ამოუღია, ბოლოს და ბოლოს არ თქვა: Mia casa, attenda qui, vengo subito! (ჩემი სახლია, დამელოდეთ)

როლფმა რენესანსის სტილის დანჯღრეული ჭიშკარი დაინახა, აზრზე ვერ მოდიოდა, სად აღმოჩნდა; სადღაც გენუაში. ახლომდებარე ნავსადგურიდან გემის უბადრუკი სიგნალი ისმოდა. იქნებ არც უფიქრიათ მისი გაცურება. შუადღის მზის სიმხურვალე ამ დაობებულ-დანესტიანებულკედლებიან, ჩრდილიან შუკებშიც აჭერდა, სიჩუმე, რადგან ტრანსპორტი შორს დარჩა, მატარებელში გატარებული ღამის დაღლილობა, მაგრამ არა მხოლოდ ეს, ოცდაოთხი საათის წინ როლფი ხომ ლონდონში იყო, იურისტების საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობდა და მერე (გუშინ), ცოტა ჯანჯღარა ფრენა, ვახშამი უცნაურად ხალისიან მეუღლესთან ერთად, შემდეგ მეუღლის ოთახის ჩაკეტილი კარები, მერე აღსარება და ასე შემდეგ, მამლების ყივილი დილაადრიან მილანში, ყველაფერი ეს ოცდაოთხ საათში მოხდა, ცოტა ბევრი იყო ერთი დღე-ღამის პირობაზე, ახლა კი იდგა სადღაც შუკაში, ობიანი სიღატაკის შუაგულში, ნარეცხი წყალი კედლებზე გადმოდიოდა და როლფი ხვდებოდა, რომ ფაქტი, რომელსაც ცოტა ხნით დაივიწყებ, მაინც ფაქტად რჩება, პირიქით, ისევ და ისევ და ისევ გახსენებს თავს, მეუღლის სხვა მამაკაცთან განცდილი სიხარულით გაცისკროვნებული სახე ბოროტი სიზმარი არ ყოფილა, უფრო ცხადი იყო, ვიდრე ეს გენუა თავისი

ბავშვებით სავსე შუკებით და თავისი ხელშესახები კედლებით, თან ეს სიცხე, ჰალსტუხი რომ გინდა მოიგლიჯო, ეს გაკვანძული პაკეტი, რომელიც როლფს უნდა ეტარებინა, ყველაფერი ეს სხვა გზას არ უტოვებდა, გარდა ერთისა, რომ მოცელილივით ძილისთვის მიეცა თავი, გინდაც გენუელს გაეცურებინა... თითქმის ოთხი საათი სრულდებოდა, როდესაც როლფი, ჩემი პროკურორი, გამოფხიზლდა. ქვაზე იჯდა, მუხლებზე ის დაწყვეტილი პაკეტი ედო, რომელიც ბალიშის მაგივრობას უწევდა. რასაკვირველია, იმ გენუელის კვალიც აღარსად ჩანდა, ლირები რომ უნდა მოეტანა და გაელვიძებინა! ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, დედები გაჰკიოდნენ: „ეტორე, ეტორე!“ შიგადაშიგ უფრო მაღალი ხმა ისმოდა: „ჯუზეპინა, ჯუზეპინა!“ ქვევით, შუკაში კი იჯდა უცხო მამაკაცი, მაჯაზე ოქროს საათი ეკეთა და ამაოდ ელოდა თავის ოცი ათას ლირას. როლფი წამოდგა. რენესანსის ხავსიან ჭიშკარს, სადაც გენუელი გაუჩინარდა, ახლოდან რომ დააკვირდებოდი, სულაც არ შეჰყავდი სახლში, არამედ უბრალოდ შემდეგ შუკაში გადაჰყავდი. და იდგა როლფი და თითქოს მხოლოდ ახლაღა მიხვდა: სიბილე სხვა კაცის მკლავებში, ზუსტად ეს იყო – ვაჭრობის მომენტში ნახევრად გაუცნობიერებლად იმ გენუელს აკვირდებოდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა, ნეტავ სიბილეს ეყვარებოდა ასეთი თმები, ასეთი ყურები, ასეთი ტუჩები, ასეთი ხელები; ის სხვა, ნებისმიერი მამაკაცი შეიძლებოდა ყოფილიყო. როლფმა მხოლოდ ერთი რამ იცოდა: იგი შენგან ძალიან განსხვავდება! ეს კი მილიონობით მამაკაცზე ითქმოდა. და საერთოდ, რენესანსის ცარიელი ჭიშკრის მეორე მხარეს მდგარ როლფს უხაროდა, რომ იმ ახალგაზრდა და მკვირცხლ გენუელს აღარ შეხვდებოდა. მაგრამ ნაღდი ფული თითქმის აღარ დარჩენოდა. კიდევ უფრო უხერხული ის გახლდათ, რომ ჩაფლავდა და ეს მაინცდამაინც მაშინ დაემართა, როცა თავისი მეუღლის ჯინაზე უნდოდა იმპოზანტური გამოჩენილიყო, გაუჭირდებოდა დაევიწყებინა აშკარად დაკარგული ოცი ათასი ლირა. ვერც კი ბედავდა გაეხსნა გაკვანძული პაკეტი, რომელშიც მამაკაცის საკოსტიუმე ქსოვილი იდო და რომელიც გარანტიად დაუტოვეს. ახლა, იაფფასიანი სასტუმროს გარდა, გამოსავალი აღარც ჰქონდა, იქ მაინც არ გამოიწვევდა გაოცებას, რომ მთელი მისი ბარგი ამ პაკეტისგან შედგებოდა. გაოფლილი და საკმაოდ დაბნეული იდგა სასტუმროს ყვავილებიანი შპალერით მორთულ ოთახში და აზრზე არ იყო, რა უნდა ექნა გენუაში; გაკვანძული პაკეტი კარადაში შეაგდო, წყლის დოქი აიღო, პირსაბანი გაავსო და შეეცადა, საპნის, კბილის ჯაგრისისა და ღრუბლის გარეშე დაებანა.

ოთხი დღე დარჩა გენუაში.

როლფი (თავად ასე ამბობს) ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მისი ოჯახი, მისი საკუთარი ოჯახიც ისევე დაინგრეოდა, როგორც ირგვლივ ბევრი სხვა. ამის მიზეზს ვერ ხედავდა. უყვარდა სიბილე და იმ შეგნებით ცხოვრობდა, რომ ოჯახური პრობლემა, ასე ვთქვათ, თავისებურად გადაჭრა. კლასიკური სტილის ცოლქმრული ცხოვრება, მონოგამია, ეტყობა, დიდი ხანია, აღარ არსებობდა მათ შემთხვევაში. მაგრამ რას იზამ, ასე იყო, სამაგიეროდ, სიბილეს ჰყავდა შვილი, რომელიც პირველ წლებში დარდს უქარვებდა, ბიჭუნა, სახელად ჰანესი. მართალია, ეს არ იყო ის ცხოვრება, რომელზეც სიბილე ოცნებობდა, მაგრამ ვერც ჯოჯოხეთს ეტყოდი, ისეთივე ჩვეულებრივი ცოლქმრული ცხოვრება ჰქონდათ, როგორიც ბევრს, და ყოველწლიურად სადმე კარგ ადგილას მიდიოდნენ სამოგზაუროდ, მაგალითად, ეგვიპტეში. აზრი, რომ ოდესმე შეიძლება გაშორებულიყვნენ, მათთვის შორეული ჩანდა და აქამდე ყველა გაჭირვებაში აშკარად ორივეს ჰქონდა განცდა, რომ ერთმანეთის იმედი შეეძლოთ ჰქონოდათ. სიბილეს ძალიან უყვარდა კარნავალი, როლფი კი მეუღლეს მასზე დასწრების საშუალებას დიდსულოვნად აძლევდა. როლფს მაშინ სხვა საზრუნავი ჰქონდა: საკითხი ასე იდგა, გამხდარიყო თუ არა პროკურორი, რაც არ უნდა თქვა, სერიოზული გადაწყვეტილება უნდა მიეღო და ამ დროს რომ სიბილე თავის კარნავალის მასხარასთან ერთად დასეირნობდა, მის გონებას ნაკლებად იკავებდა; როლფს მისი სახელიც კი არ უკითხავს. თანაც, ყოველთვის სჯეროდა, არ უნდა დაწვრილმანდე და ისე არ უნდა შეხედო ცოლქმრობასო; როგორც ვთქვით, აშკარად სერიოზული თეორია ჰქონდა ჩამოყალიბებული იმის თაობაზე, თუ რამდენ თავისუფლებას იტანს ოჯახური ცხოვრება, სიბილე მის თეორიას კაცების თეორიას უწოდებდა. ეტყობა, ვერასოდეს იტანდა მას; არადა, იგი რამდენიმე ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევას ეყრდნობოდა. და, რასაკვირველია, ემყარებოდა მამაკაცისა და ქალის თანასწორობას. ნამდვილად არ იყო კაცების მიერ თავის სამართლებლად კარგად მოფიქრებული თეორია, როგორც სიბილე ხშირად ამბობდა, არა მხოლოდ. როლფი კი ამას სერიოზულად უდგებოდა. იგი, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, კარგად იცნობდა იმ უბადრუკობას, ოჯახურ ცხოვრებას ამოფარებულ ფარისევლობას, რომელიც ძალიან შორსაა რეალობისგან, მისთვის მთავარი იყო ცოცხალი ურთიერთობა, ღირსება და არა მოჩვენებითობა და საკუთარი თავის მოტყუება; სიბილე ამას როლფის „მოხსენებებს“ უწოდებდა, მაგრამ საპირისპირო არგუმენტს თუ მოსთხოვდა როლფი, რაც ხშირად ხდებოდა, რადგან არ უნდოდა საკუთარ დოქტრინაში ჩაკეტილიყო, სიბილე პასუხად ქალურ არგუმენტს იშველიებდა, ცხოვრებისეულ

საკითხებს თეორიებით ვერ გადაჭრიო... კარნავალის მასხარას არსებობა, არ ამბობდა, მაგრამ არ სიამოვნებდა, იქნებ ქვეცნობიერადაც; უცებ როლფმა გადაწყვიტა, საკუთარი სახლი ავაშენოთო, საკუთარი სახლი სიბილეს ყველაზე სანუკვარი ოცნება იყო, როლფს კი, როგორც საქმიან კაცს, მიწა უკვე ეყიდა. უცნაური ქალი გახლდათ სიბილე. იმ ნაკვეთის შესახებ იცოდა, წლებია, ყიდვა უნდოდათ; ახლა როლფმა იყიდა და სიბილე სიხარულის ყიჟინას არ სცემდა. ერთი კვირის თავზე როლფმა ახალგაზრდა არქიტექტორი დაპატიჟა შავ ყავაზე სახლში, ვინმე შტურცენეგერი, არქიტექტურაში თანამედროვე სტილის ტრფიალი, სხვა სტილს პრინციპულად არ აღიარებდა და დაბნეულ სიბილეს ჩააჯინდა, რაც შეიძლება მკაფიოდ ჩამოაყალიბე სურვილებიო. მაგალითად, საერთო საძინებელი გინდათ თუ ცალ-ცალკე ოთახებიო, და უცებ აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად უნდა გადაეწყვიტათ. შუა საუბარში (ასე ამბობს ჩემი პროკურორი) ვიღაცამ დარეკა, სიბილემ ტელეფონს უპასუხა, გაჩუმდა, მხოლოდ „კის“ და „არას“ ამბობდა, უცებ ყურმილი დაკიდა და თქვა, ნომერი შეეშალათო, და ძალიან დაიბნა. ჰო, ალბათ კარნავალის მასხარა იყო! გაიფიქრა როლფმა, ხოლო ესკიზებზე საუბარი გაგრძელდა; სიბილემ თავს იმით უშველა, რომ განსაკუთრებულ დაინტერესებას ავლენდა, ამ დროს მისთვის სულერთი იყო, ასე იქნებოდა თუ პირიქით, თითქოს მაინც არასდროს აპირებდა ამ სახლში ცხოვრებას. იმ შავი ყავის სმის დასასრულს (ჩემს პროკურორს კონტექსტი აღარ ახსოვს), ახალგაზრდა არქიტექტორი ანეკდოტს ჰყვებოდა ესკიმოსზე, – ვიღაც უცხო თეთრკანიანს, კარგი მასპინძლობის ნიშნად, ბოლოს თავისი ცოლიც კი შესთავაზა და რადგან ამ უკანასკნელმა უარი უთხრა, ისეთი შეურაცხყოფილი დარჩა, რომ სტუმარს ყელში სწვდა და ქოხის კედელზე იმდენჯერ მიახეთქა, სანამ არ მოკლაო. ბუნებრივია, ყველამ გაიცინა. მერე ახალგაზრდა არქიტექტორმა კიდევ ერთი სასაცილო ამბავი მოჰყვა, რომელიც მის მეგობარს, სახელად შტილერს, ესპანეთის სამოქალაქო ომში გადახდენოდა. პირველად მაშინ გაიგონა ჩემმა პროკურორმა შტილერის სახელი. ესპანეთის სამოქალაქო ომში გადახდენილი ამბიდან ბევრი აღარაფერი ახსოვდა, მარტო ის, რომ რუსული ავტომატი არ გავარდა. სამაგიეროდ, ძალიან კარგად ახსოვდა, რომ მისი მეუღლე, ცოტა ხნის წინ უაღრესად დაბნეული სიბილე, ძალიან დაინტერესდა რუსული ავტომატის ბედით. და გაისტუმრეს თუ არა არქიტექტორი, ღიღინით დადიოდა ოთახებში. როლფი დარწმუნებული იყო, სახლის მშენებლობა უხარიაო, მაგრამ მაინც ვერ შეიკავა თავი შენიშვნისგან: „მგონი შეყვარებული ხარ?“, და რადგან სიბილე არ შეწინააღმდეგებია:

„მოგწონს ახალგაზრდა არქიტექტორი?“ ხუმრობით ჰკითხა. „ეგრე გგონია?“, ჰკითხა სიბილემ. „გამოტყდი!“ უპასუხა მან. „მტკენ!“ თქვა სიბილემ. „ვაღიარებ, მაგრამ ხელი გამიშვი!“ როგორც მოგახსენეთ, ხუმრობა იყო, როლფს სამსახურში ეჩქარებოდა, სიბილემ ყავის სამი ფინჯანი ლანგარზე დადო და მაშინ ეს ამბავი ასე დამთავრდა…

ის ოთხი დღე გენუაში:
ეს გახლდათ ალბათ (ასე ფიქრობს ჩემი პროკურორი) მისი ცხოვრების ყველაზე კომიკური თავგადასავალი, ოღონდ არა ყველაზე უსარგებლო. მან შეიცნო სენტიმენტალურობის უზარმაზარი, აქამდე წარმოუდგენელი დოზა, აქამდე მისთვისაც უცნობი, მანამ ისხამდა ღვინოს, სანამ ატირებული არ გააძევეს რესტორნიდან; შემდეგ: პრიმიტიულობა – ყველა ოდნავ სუფთად ჩაცმულ ქალს აშტერდებოდა და რამდენიმე საათი გადაატანინა იაფფასიან რევანშზე ფიქრმა; შემდეგ მისი წვრილმანი ბუნება – ოთხი დღისა და ოთხი ღამის განმავლობაში (ასე ამბობს) მხოლოდ რამდენიმე წუთით იგრძნო ნამდვილი ტკივილი, როცა მუხლებზე დაეცა სასტუმროს ყავილებიან ოთახში და ეს არც პოზა იყო და არც ალკოჰოლის გავლენა, ამ ტკივილმა საყვედურის და საკუთარი თავის შეცოდების ბოლო წვეთი დაუშრო; და, უპირველეს ყოვლისა, მისი უუნარობა, ჰყვარებოდა ქალი, რომლისთვისაც იგი კერპი არ იქნებოდა, ჰყვარებოდა ისე, რომ არ ჰქონოდა მისგან მადლიერების მოლოდინი, ანგარიშის გაწევის, აღფრთოვანებისა და მისთანების მოლოდინი. წვალობდა. რკინის საწოლზე ტანსაცმლით იწვა, თან ეწეოდა და თავს იტანჯავდა იმის მკაფიო და ურცხვი წარმოდგენით, როგორ ნებდებოდა მისი მეუღლე სხვას. თუმცა, ეს წვალება კი არ იყო, არამედ განტვირთვა, რომლის უფლებაც მან თავს მისცა. წვალებას წარმოადგენდა გაცნობიერება, იძულებითი გააზრება იმისა, რომ საკუთარი გრძნობების ხარისხს, საკუთარ სიმწიფეს არასწორად აფასებდა. მისმა ნებისყოფამაც ვერ გაუძლო ამ გამოცდას (ასე ამბობს); სიტყვა არ უთქვამს, ისე წამოვიდა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და თავის მდივანს დალუქული წერილი გაუგზავნა, რომელიც, თუკი მეუღლე მოიკითხავდა, მისთვის უნდა ჩაებარებინათ, შიგ ეწერა მისი მისამართი უკიდურესი შემთხვევისთვის. ოთხი დღის განმავლობაში უკიდურესი შემთხვევა არ დამდგარა. არავის მოუსაკლისებია, შეხედე შენ! ყოველდღე ჩრდილოეთიდან გამოსული მატარებლების ჩამოსვლიდან ნახევარ საათში კითხულობდა, posta restanta ხომ არ მოსულაო, ამაოდ. მაგრამ ჰქონდა ნამდვილად ღირსეული საათებიც, როცა ინგლისურად კითხულობდა ჩერჩილის მემუარებს, როცა დამსვენებელივით სუფთად

გაპარსული იჯდა დილის მზეზე, წითელ კამპარის სვამდა და მეორე მსოფლიო ომის მიზეზებზე წიგნს ეცნობოდა, საათს შეგნებულად არ უყურებდა, მაგრამ სინამდვილეში ელოდებოდა, რომ დაკარგულად გამოაცხადებდნენ და ყველა საშუალებით მოძებნიდნენ და დიახ, არ გაუკვირდებოდა, თუ გენუის ქუჩებში მონანიების გრძნობით შეპყრობილ და მისი ძებნით დაღლილ სიბილეს დაინახავდა. მისი „ჯიუტი“ დუმილი, რომლის განსახიერებად როლფისთვის იტალიური ფოსტის განყოფილების მარმარილოს დარბაზი იქცა, ყოველ ჯერზე ფერს აკარგვინებდა. რამდენჯერ აიძულა ამ ქალმა, მიმხვდარიყო, რომ უნარი არ ჰქონდა, საკუთარი თეორიების მიხედვით ეცხოვრა! მეოთხე დღეს, როგორც იქნა, დეპეშა მიიღო. გადარჩენილისთვის დამახასიათებელი პირველი კოლაფსის შემდეგ, შვებისგან რომ განძრევის თავი აღარა აქვს, ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, სანამ დეპეშას გახსნიდა, ნელა, წყნარად, თითქოს მხრებიდან ტვირთი მოეხსნაო, უკვე სულერთი იყო, რას სწერდა მეუღლე. მაგრამ დეპეშა მეუღლისგან არ ყოფილა. მდივანი ეკითხებოდა, როდის დაბრუნდებიო. ეს უკვე მეტისმეტი იყო. გაეცინა. ისეთი განცდა ჰქონდა (ასე ამბობს), თითქოს ძალიან ცივი წყალი გადაასხეს. დეპეშა ნაკუწ-ნაკუწ ჩაყარა ნაგვის ურნაში და ბევრი აღარ უფიქრია, შემდეგ მატარებელს გავყვებიო, გადაწყვიტა. მაგრამ სასტუმროს ანგარიშის გასასტუმრებლად ახლა ის ოცი ათასი ლირა აკლდა. რა უნდა ექნა? როგორმე ამერიკული საკოსტიუმე ქსოვილი უნდა გაეყიდა, თან, რაც შეიძლება სწრაფად. შუადღისას საუკეთესო მატარებელი გადიოდა. ოღონდ ღამის მატარებელში აღარ ჩამჯდარიყო! დაახლოებით დილის 10 საათი იქნებოდა, როცა როლფი, ცოტა დაბნეული, იღლიაში უხერხულად ამოჩრილი ფუთით, თავისი სასტუმროს ფოიედან გამოვიდა და მართალია, დაძაბული იყო, მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, როგორც გამყიდველს ეცადა ბედი და, ცხადია, მოეძებნა არცთუ ისე ძვირიანი მაღაზია. ისევ ძალიან ცხელოდა. ოფლი ასხამდა, მაგრამ ჰალსტუხს არ იხსნიდა, რომ უკეთესი შთაბეჭდილება მოეხდინა. ნახევრად უპატივცემულო, ნახევრად სასტიკი მანერა, რომლითაც პირველივე მაღაზიიდან გამოისტუმრეს, კარნახობდა, უფრო გონივრული იქნება, ბედს შედარებით მოკრძალებულ რაიონში თუ ვცდიო. უკვე თერთმეტი სრულდებოდა, როცა მეოთხე მაღაზიაში პირდაპირ კარზე არ მიუთითეს და პაკეტის გახსნა სთხოვეს. საბედნიეროდ, მაღაზიაში მყიდველები არ ჩანდნენ. მისი ამერიკული საკოსტიუმეს ერთი ნაკუწი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მაღაზიის პატრონს, ულვაშებიან, ფერმკრთალ, გადაპრანჭულ ტიპს, სახეში შეეცინა. როლფს ხომ მოგება არ აინტერესებდა, მხოლოდ დაკარგული

თანხის დაბრუნება უნდოდა, რომ სასტუმროს ანგარიში გადაეხადა, ქსოვილი იაფფასიანი აღმოჩნდა, ალბათ ძალიან იაფფასიანი, თუკი იმ რეაქციას გავითვალისწინებთ, რომელიც მის მიმართ გამოამჟღავნეს. ულვაშიანმა პეპელამ გაზეთის კითხვა განაგრძო, თითქოს როლფი იქ აღარ არსებულიყო. აქ უკვე პირველად დაიწყო ლაპარაკი უნიკალურ შესაძლებლობაზე კი არა, არამედ თავის ნამდვილ მდგომარეობაზე.

იმ ტიპმა ისე დააყუდა მაღაზიაში, რომ იოტისოდენა ადამიანური ინტერესი არ გამოუჩენია, არ გამოუხატავს, შენი გაჭირვების მესმისო, განა ეს რად უღირდა, გაზეთს აშრიალებდა და ამთქნარებდა, სანამ როლფი თავისით არ წავიდა, იღლიაში პაკეტამოჩრილი. საერთოდ არ სჭირდებოდა თავისი მეუღლის კმაყოფილი და ბედნიერი სახის წარმოდგენა, ისედაც საშინლად უიმედოდ გრძნობდა თავს. მართლაც, იმ ნაკუწით თუ ვიმსჯელებდით, საკმაოდ უაზრო ქსოვილი იყო, მოუხეშავი, შალთან არაფერი ჰქონდა საერთო, ორმოცდაათი ორმოცდაათზეც კი არა; თან ისეთი ნახატი ჰქონდა, რომ თავად იგი (ჩემი პროკურორი) არასდროს და არაფრის დიდებით არ ჩაიცვამდა ასეთ უბრალო, უგემოვნო ქსოვილს, თან ხორცისფერს! ძველი ეკლესიის კიბეზე ჩამოჯდა, ირგვლივ ნაცრისფერი მტრები ღუღუნებდნენ, ყელზე მოლურჯო-მომწვანო- მოიისფრო ზოლები დაუყვებოდათ. იჯდა და ფიქრობდა, ახლა რა ვქნაო, უფრო სწორად, ცდილობდა ეფიქრა. უკან იდგა ბაროკოს ფასადი, ნამდვილად აღფრთოვანების ღირსი; სიბილეს ასეთი რამეები მასზე უკეთ ესმოდა. ახლა ვეღარაფერი აიძულებდა, ჰალსტუხი წაეჭირა ყელზე, ან (ალბათ უკვე ისედაც ჭუჭყიანი) მანჟეტები პიჯაკის ქვეშ არ აეკაპიწებინა. ასეთ მდგომარეობაში მეუღლე რომ ვერ ხედავდა, ბედნიერებად მიაჩნდა; დანარჩენ კაცობრიობას, თუ უნდოდა, ეყურებინა! ზევით, ბაროკოს ფასადზე, რომლის ზედა ორნამენტებს მზე ანათებდა და კაშკაშა ოქროსფრად აბჭყვიალებდა შუადღის ცის სილურჯეში, საათმა თორმეტი ჩამოკრა. მისი მატარებელი ორ საათში გავიდოდა. ჰო, ოქროს საათიც უნდა მოეშორებინა, სანამ ნავსადგურის ახლოს ქუჩებში ძველმანებით მოვაჭრეებთან მოხვდებოდა, იქ, სადაც საქონელი პირდაპირ ჩამოტყავებულ კედლებზე ეკიდა, პერანგები, შარვლები, წინდები, ქუდები. ახლა უკვე ლირა კი აღარ იყო მთავარი (ასე ამბობს), არამედ საკუთარი თავის რწმენა, რომელიც გაქუცული ფუთის სახით ეჭირა ხელში. რატომ თავიდანვე არ წავიდა ძველმანებით მოვაჭრეებთან! ახლა უფრო ჩაესახა იმედი, ვიდრე დილას, გახალისდა კიდეც, სტვენდა, უფრო სწორად, საკუთარი სტვენა ესმოდა და გრძნობდა, რომ ეშინოდა. ეს ნავსადგურის ვიწრო ქუჩა იყო კვარტალი, სადაც მუშტი

კანონობდა. მატყუარა არ ვეგონო და არ მცემონ იქ, სადაც ჟანდარმერიაც არ არსებობსო, იფიქრა, გვერდითა ქუჩაზე შეუხვია და პაკეტი გახსნა, რომ დარწმუნებულიყო, ქსოვილი ხომ მართლა ეყოფა მამაკაცის კოსტიუმსო. საკმარისი აღმოჩნდა, სიგრძეს ვერ დაუწუნებდი. როლფმა დაწყვეტილი ქსოვილი ისევ დააგორგოლავა, რაც არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ძირს რომ მოთრეოდა, შარდის სუნი აუვიდოდა; მერე ერთ მოვაჭრეს მიუახლოვდა, შესავალი შეკითხვა მოფიქრებული ჰქონდა, სადგურზე როგორ მივიდეო, თან სიგარეტს ეწეოდა, მერე მხიარულად, ვითომ სხვათა შორის ახსენა ქსოვილი, გუშინ ვიყიდე, მინდოდა იტალიელი თერძისთვის შემეკერინებინა, მაგრამ ხომ იცით, როგორ ხდება ხოლმე, დღეს დეპეშა მომივიდა, სასწრაფოდ უნდა დავბრუნდეო, მერე საბაჟოს აგინა, საზღვარზე ნაჭრებს არ გატანინებსო, გრძელი და სულელური ამბავი მოჰყვა, რომელიც თავად ჭკვიანურად მიაჩნდა, ცოტა აღმოსავლური. მხოლოდ მისი საკუთარი კოსტიუმი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა უთოს კვალი, მისი თითქმის უნაკლო ფეხსაცმელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოქროს დამღიან ბეჭედზე, რომელიც, ბუნებრივია, ვაჭრის თვალს არ გამორჩენია, ამ უბანში სულ არ უწყობდა ხელს მეგობრული ნდობის გაღვიძებას. გასაყიდი ქსოვილის ღია ცის ქვეშ გაშლის საშუალება კი მისცეს. მკერდზე ბავშვაწებებული რამდენიმე დედაკაცი ისე უყურებდა, როგორ მზერასაც როლფი, თავად ასე თვლიდა, არ იმსახურებდა, უნდობლობანარევი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ვაჭრობას. ერთმა ბებერმა, ყავისფერკბილებიანმა და ნივრის სუნით აყროლებულმა ვაჭარმა ქსოვილი გულდასმით

შეისწავლა, როლფს იმედი აუჭიატდა, ისეთი მცირე, რომ თავად ფასის თქმა ვერ გაბედა და იქით ჰკითხა ვაჭარს, რამდენს მომცემო. Niente[25]. როლფი ათასი ლირითაც კმაყოფილი იქნებოდა, ათასი ლირა საკუთარი თავის რწმენისთვის; ათასი მაინც რომ მიეღო, ორი ათასია ბოლო ფასიო, უთხრა. No[26]. კარგი, ათასი! No მაშინ რამდენი? Niente.\nბავშვიანი დედაკაცები სიცილით გაეცალნენ. მაგ ბეჭედში ოცდაათი ათასს მოგცემო, უთხრა ვაჭარმა. როლფს გაეცინა. სრულიად უნაკლო

ფეხსაცმელში ისე შესთავაზა შვიდი ათასი, ხელითაც არ შეუმოწმებია, ვითომ ფეხშიშველა წავიდოდა სახლში (ჩემი პროკურორი). რაც შეიძლებოდა, ყველაფერი დაემართა ამ გენუაში! ერთადერთი გამოსავალიღა დარჩენოდა: ქსოვილი უნდა გაეჩუქებინა, რაც შეიძლება სწრაფად! მაგალითად, უნდა ეჩუქებინა ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც პლაკატებიან სვეტთან იდგა და ჰარმონიკაზე უკრავდა, უმუშევარი იქნებოდა, ძირს ცარიელი ქუდი ედო. უკანასკნელ მომენტში

ხის ფეხი შეამჩნია და გადაიფიქრა. სხვა მოვძებნოთ! ძონძებიანი ახალგაზრდა ტიპი, სიგარეტს რომ მათხოვრობდა, ბებერი ბაბუა ეტლში შვილიშვილით, ასევე, არ მოეჩვენა შესაფერად. არც ისე იოლი იყო ისეთი ქსოვილის გაჩუქება, თავად რომ არასდროს ჩაიცვამდი და როლფი აღმა-დაღმა დადიოდა უბანში, რომლის სიღატაკე საერთოდ არ ტოვებდა რომანტიკულ შთაბეჭდილებას. რა უბადრუკად ცხოვრობს ხალხის უმეტესობა, რამდენჯერაც უნდა ნახო, თავზარი გეცემა. როლფი გაჩერდა. გრძნობდა, რა დაწვრილმანება იყო სამართლიანობის სურვილი, ეპოვა ადამიანი, რომელიც მის საჩუქარს სხვაზე მეტად იმსახურებდა და გადაწყვიტა, უბრალოდ შემდეგ ქუჩაზე შეეხვია: საკოსტიუმეს მიიღებდა ის, ვინც პირველი შეხვდებოდა და მორჩა! პირველი შემხვედრი ქოშებში ფეხგაყრილი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. ის არ გამოდგებოდა! შემდეგი იყო ჟანდარმი, რომელიც იდგა და თავისთვის უსტვენდა, მერე ქუჩა მთავრდებოდა. პატარა მოედანზე, რომელზეც ხე იდგა, ვიღაცები ფეხბურთს თამაშობდნენ; როლფი ხელს უშლიდა, ისე იდგა, რომ მეკარეს მზერას უფარავდა და ერთმა მოთამაშემ საკუთარ კარში გაიტანა გოლი. ამან უმწიფარი ბავშვების გუნდებს შორის გამწარებული ჩხუბი გამოიწვია. ასე რომ, წინ! დაღლილობისგან ფეხები ეკეცებოდა, ორმოც წუთში მისი მატარებელი გადიოდა, მაგრამ რა უნდა ექნა ამ საჩუქრისთვის? ხმაურიანი, ბნელი დუქნიდან მთვრალი კაცი გამობოდიალდა, ისეთი ბრაზიანი ჩანდა, მისი დასაჩუქრება საშიში იყო. რა თქმა უნდა, როლფი თავის ფუთას ქუჩაშიც უბრალოდ ვერ მიაგდებდა. ფარ-ხმალი დაყარა. კაპიტულაცია. შემდეგ ერთი ხანობა ბრმა, ხელგაწვდილ მათხოვარს არტყამდა წრეებს, ისიც შეუფერებლად მოეჩვენა. ბოლოს და ბოლოს სასტუმროს ანგარიშის გადახდა ფოსტითაც შეიძლებოდა, მოგვიანებით; პალტო ხომ სასტუმროში ჰქონდა დატოვებული. და საერთოდ, მთავარი ის ხომ არ იყო, შეძლებდა თუ არა სასტუმროს ვალის გადახდას, მთავარი იყო, როდისმე თავიდან მოეშორებინა ეს გაკვანძული პაკეტი. რატომ ნაგავში არ აგდებდა? როლფმა სცადა. ამის დაკარგვას რა უნდაო, იფიქრა; საფეთქლები მაინც უცემდა, როცა ბოლოს და ბოლოს გონიერებამ აიძულა,

საქმის აღსრულებას შესდგომოდა. წითელ შუქნიშანთან ხალხის ჯგროში ფუთა ძირს დააგდო, ხალხს შეეზილა და ქუჩაზე გადავიდა, ეგონა, გადავრჩიო; უცებ ჟანდარმმა დაუსტვინა, მოძრაობა შეიცვალა და მის უკან ქუჩა ცოტა ხნით ჩაიკეტა. როგორი შვება იგრძნო, ხელები რომ თავისუფალი ჰქონდა, სიცოცხლის განახლებული სიხარული მოეძალა, თითქოს სიბილესაც არაფერი შემთხვეოდა. როლფმა სიგარეტი გაირჭო,

უკან არ მოუხედავს, რომ დაენახა, რა მოუვიდა იმ კოშმარად ქცეულ პაკეტს, არც იყო საჭირო, ახალგაზრდა, ღარიბულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ძალიან ლამაზმა ქალმა სახელოზე მოქაჩა, რომ დაბნეული ბატონისთვის დაებრუნებინა პაკეტი, რომელიც ძირს დაგდებული აიღო. როლფმა ვერ გაბედა ეთქვა, ჩემი არ არისო, ეს საზიზღარი პაკეტი, ჭუჭყიანი ქაღალდი და იაფფასიანი ლენტი, რომელიც ხორცისფერ ქსოვილს მალე ვეღარ დაიჭერდა. ნუთუ დაწყევლეს და ეს ხორცისფერი ქსოვილი მთელი ცხოვრება თან უნდა ეტარებინა? მატარებლის გასვლას ათი წუთი აკლდა და როლფი იდგა ისეთი დაბნეული, როგორიც იშვიათად ყოფილა, იღლიაში პაკეტით; მატარებლის გასვლამდე ხუთი წუთი რჩებოდა. კაპიტულაცია (ასე უწოდებს ამას) ბოლო წუთამდე გადადო; ვაგონის კარები უკვე დაეკეტათ, როცა როლფი საფეხურს შეახტა და მატარებელიც იმწამს

დაიძრა. როლფი მილანამდე გასასვლელში იდგა ფეხზე, თითქოს ცარიელი ადგილები რესტორნიდან გადაუხდელად გაძურწული სტუმრებისა და მიტოვებული ქმრებისთვის არ ყოფილიყოს. ნეტავ რას ეტყოდა სიბილე? რა თქმა უნდა, სრულიად გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა სიბილეს მოთხოვნილებაზე, როლფზე ფიქრში დაეხარჯა დრო. მილანის შემდეგ კორიდორშიც აღარ აღმოჩნდა მარტო, ვიღაც შვეიცარიელი გამოელაპარაკა, შინაურულად, როგორც თანამემამულეებმა იციან ხოლმე უცხოეთში შეხვედრისას და საბედნიეროდ, საზღვარსაც მიუახლოვდნენ. კიასოს რომ გასცდნენ, ვაგონ-რესტორანში დაჯდა, მაშინვე ფანჯარაში დაიწყო ყურება, შემთხვევით ვინმემ არ მიცნოსო. საერთოდ არ ფიქრობდა, რომ უფრო თვალშისაცემი იყო კაცი, რომელიც სულ ფანჯარაში იყურებოდა, გინდა გვირაბში ყოფილიყვნენ და გინდა არა;

თვითთანაგრძნობით ნასაზრდოები ცოცხალი ფანტაზიის წყალობით, როლფი უფრო მეტს ხედავდა, ვიდრე სხვა ნებისმიერი მოგზაურობის დროს; წარსულის სავანეს, უპირველეს ყოვლისა, წარსულს, რომლიდანაც არ ახსენდებოდა არცერთი მოვლენა, არანაირი ბედნიერება, არცერთი აზრიანი საათი სიბილეს გარეშე. ყველაფერი დანარჩენი ჩალა იყო, მოგონებასაც რომ არ იმსახურებდა. მოულოდნელად სიბილე გახდა მისი ცხოვრების ერთადერთი აზრი და შინაარსი, ახლა კი ეს აზრი სხვა კაცზე გადასულიყო, კარნავალის მასხარაზე ან კუპრივით შავთმიან გენუელ ტიპზე ან ახალგაზრდა არქიტექტორზე ან ვინმე სხვაზე, რა მნიშვნელობა ჰქონდა. უბრალოდ, სხვასთან გადამისამართებულიყო. გოიშენენიდან მოყოლებული, წვიმა

ირიბად ეხეთქებოდა ფანჯრის მინას. როლფი ფიქრობდა, ალბათ ყველაფერს აჯობებს, სიბილესთან თუ არაფერს შევიმჩნევო. მის სიმშვიდეს უნდა გაენადგურებინა სიბილე. როლფისთვის საკმარისი იყო, გაეხსენებინა ცოლის ურცხვი გამომეტყველება, რომ სიმშვიდის შენარჩუნებას ბუნებრივად ახერხებდა. სიბილეს გამომეტყველების შესაბამისად, უცხოდ ქცეულ სახეზე მხოლოდ ბედნიერება კი არ ეწერა, არამედ დაცინვა, თავხედობა, ხალისი, მასზე ტრიუმფის განცდა და ესღა აკლდა, ახლა როლფისგან მიეღო საყვედური ხმამაღლა გაიცინებდა და მისი დამცინავი დამოკიდებულება გამოჩნდებოდა. ახლა სიმშვიდე მიაჩნდა როლფს ერთადერთ სწორ გზად, სიმშვიდე განიარაღების გარეშე, არც საყვედური და არც დაჩივლება, მხოლოდ სიმშვიდე, რომ ეს დედაკაცი მუხლებზე დაცემულიყო. ეს უკვე გადაეწყვიტა და მშობლიური ტბაც უკვე გამოჩნდა. როლფმა, თავის დედაკაცთან მომავალზე ფიქრებში, ვაგონ-რესტორანში სტვენაც კი დაიწყო, მაგრამ მაშინვე გაჩერდა, როგორც კი თვითონ გაიგო საკუთარი სტვენა და ოფიციანტი დააჩქარა, გადავიხდიო, ვითომ ასე უფრო სწრაფად ჩავიდოდა ციურიხში. მაგრამ, მაშინ რა მოხდებოდა, თუკი მომავალი საერთოდ აღარ იარსებებდა, თუკი სიბილე აღარ ცხოვრობდა როლფთან, არამედ უკვე სხვასთან? ესე იგი: თუკი როლფი მარტო დარჩებოდა ბინაში, მარტო თავის სიმშვიდესთან? და ასე იჯდა, როცა მატარებელი სადგურში შევიდა, ხელი ჭიქაზე ედო და არ შორდებოდა შიში, რომ ვინმე მოქაჩავდა სახელოზე და ისევ შეაჩეჩებდა ხორცისფერქსოვილიან გაქუცულ პაკეტს.

სიბილემ (ჩემი პროკურორის ცოლმა) გუშინ, შუაღამე რომ გადავიდა, თითქმის შვიდფუნტიანი გოგონა გააჩინა. როლფი ისეთი ბედნიერია, ვერ დაელაპარაკები. ვთხოვე, ყვავილები გაუგზავნოს, რომლის საფასურსაც მოგვიანებით გადავიხდი. ალბათ დაავიწყდება.
მაინც ვაგრძელებ ჩანაწერების გაკეთებას:
როდესაც როლფი მაშინ გენუიდან დაბრუნდა და ციურიხის ცენტრალურ სადგურში ჩამოვიდა, უპალტოოდ და ალბათ ყველასთვის თვალში მოსახვედრად, ძალიანაც რომ ნდომოდა, სიბილეს ვერ ასცდებოდა, თუკი იგი სადგურზე ელოდებოდა. ბუნებრივია, თავის თავს ეტყოდა, როგორ დამხვდებოდა სიბილე, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ჩამოვდიოდი, ალალბედზე ხომ არ დაუდარაჯდებოდა ყველა საერთაშორისო მატარებელსო, ამის ილუზია როლფს ნამდვილად არ ჰქონია. მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, დამხვდურები მოათვალიერა, რა სისულელე იქნება, ერთმანეთს რომ ავცდეთო. ციურიხში წვიმდა. სახურავს შეაფარა თავი, საფულეში ჩაიხედა და შეამოწმა, დამრჩა თუ არა რამე, რომ,

ჩვეულებისამებრ, ტაქსის დავუქნიო ხელიო. და შემდეგ, როცა ეს ტაქსი მისი ბინის წინ გაჩერდა, მდგომარეობა იმაზე უარესი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. აუტანელი. ველარ გაერკვა, ეს ახლა მისი ბინა იყო თუ სიბილესი და მანქანიდან გადმოსვლა შეაყოვნა. პიჯაკის საყელო აიწია, რომ წვიმაში გაქცეულიყო და იმ წამთან შედარებით, როცა ბინას ახედა და სინათლე ვერ დაინახა, მოგზაურობისას გადატანილი დამცირებები აღარაფრად მოეჩვენა. გვიან იყო, ოღონდ შუაღამეს კიდევ კარგად აკლდა. იქნებ სიბილეს ეძინა. ასე იყო თუ ისე, როლფი მანქანიდან არ გადმოდიოდა; ტაქსის მძღოლი არ ეშვებოდა, არასწორ მისამართზე მოვედით, გზას ვაგრძელებთო? თან როლფი თავს ისე გაუპარსავად გრძნობდა, სულ არ უნდოდა ასეთ ფორმაში დანახვებოდა მეუღლეს, რომელსაც სხვა უყვარდა. ნუთუ დაავიწყდა, რომ სიბილეს ახლა სხვა უყვარდა? ახლა, მტანჯველი გრძნობების კორიანტელისგან დაბნეული როლფისთვის საკუთარი უბედურება ისევ ხელშესახები გახდა და ძალა არ ეყოფოდა, იტალიელი მოსამსახურე გოგოსგან მოესმინა, სენიორა რამდენიმე დღით სადღაც გაემგზავრაო. ახლა ხომ უკვე ყველაფერი შესაძლებელი იყო. იქნებ ზევით, შინ, პატარა ბარათი დახვედროდა: ალბათ ასეთი: „ორშაბათს ჩამოვალ, გულითადი სალმით, სიბილე, არ დაგავიწყდეს ქირის გადახდა“. ან იქნებ მხოლოდ ამ სიტყვებით: „არ დაგავიწყდეს ბინის ქირის გადახდა, სალამი, სიბილე“. როლფი იმავე ტაქსით ისევ ქალაქში დაბრუნდა და იმ საღამოს შინ დარეკვაც კი ვერ გაბედა. საკუთარ ქალაქში სასტუმროში დაძინება მუდამ რაღაცნაირი სენსაციაა, და როლფს ეს, მიუხედავად კაეშნისა, მაინც სიამოვნებდა; ჯერჯერობით ეს სენსაცია იყო, გაურკვევლობა, აღელვება – და გიჟური სიზმრები ესიზმრებოდა. მეორე დილას, კვირადღეს, აღარ წვიმდა და როლფი ჯერ მშენებლობისკენ გაემართა, გაპარსული, მაგრამ ისევ უპალტოოდ. მშენებლობა შემაღლებულზე იდგა, ქალაქგარეთ, როლფი აქამდე მხოლოდ მანქანით იყო იქ ნამყოფი. ფეხით მისასვლელად საკმაოდ შორი გამოდგა. ჩონჩხი მაშინ ჯერ არ გადაეხურათ; ბოლოს რომ მოინახულა როლფმა, სწორედ ზედა სართულის ბეტონის იატაკს ასხამდნენ, მისი მეუღლე კი არცერთხელ არ იყო ნამყოფი მშენებლობაზე. ახლა ხვდებოდა, რატომ არ აინტერესებდა ეს სახლი! როლფი დამკვეთს მაინცდამაინც არ ჰგავდა, ხელებს რომ ჩაიყოფენ ხოლმე ჯიბეში და გაოცებულ სახეს იღებენ, თუკი შემთხვევითი გამვლელები მშენებლობაზე დასეირნობენ და ათვალიერებენ; როლფი იდგა თავისი მომავალი სახლის ოთახებში, რომელთა სილუეტი უკვე იკვეთებოდა – ბაღისკენ გამავალი ოთახი დიდი შუშის კარებით, ხუთი საფეხური გალერეამდე, მისი კაბინეტი ტბის ხედით, საძინებლები იმავე დონეზე, ყველაფერი,

როგორც დაგეგმეს და ტერასაც უკვე დასხმული ჰქონდათ, ირგვლივ ყველგან სამშენებლო მასალა ეწყო, მუყაოს გორგლები, ბუხრის ქვები, პორტლანდის ცემენტის ტომრები, ზეთის გათბობის ავზი, აგური შიდა ტიხრებისთვის, თუჯის მილები, უამრავი რამ, რის დანიშნულებასაც ვერ ხვდებოდა; აშკარად ემჩნეოდა, რომ მუშაობა მიმდინარეობდა; მაგრამ როლფისთვის იქაურობა მაინც ნანგრევებს ჰგავდა. და რა უხერხული იყო, რომ ამ დროს გამოჩნდა ახალგაზრდა შტურცენეგერი, არქიტექტორი, ხელში დასაკეცი მეტრიანი საზომით. შტურცენეგერი თავისი მშენებლობით ისეთი აღტაცებული ჩანდა, რომ თავს კვირასაც არ აძლევდა დასვენების უფლებას და როგორც ყველა აღფრთოვანებულ ადამიანს, ბევრად უფრო ლამაზი და კეთილი სახე ჰქონდა, ვიდრე საერთოდ. როლფი მას გვერდიდან აკვირდებოდა. ნამდვილად, ეს ახალგაზრდა შტურცენეგერი ძალიან განსხვავდებოდა როლფისგან, საღავო არაფერია, თანაც უფრო ახალგაზრდაა. ფიცრებზე დაძვრებოდნენ, მილებს აბიჯებდნენ, ტერასის ღრიჭოებიდან ჩამოწვეთილი ბეტონის ქვეშ იხრებოდნენ, ყავისფერ გუბეებს ახტებოდნენ; როლფს კირქვის სხვადასხვა სახეობა შეამოწმებინა ხელით ახალგაზრდა შტურცენეგერმა და თან რაღაცას უხსნიდა და უხსნიდა დაუნდობლად. როლფი აკვირდებოდა მის ყურს, თმას, ცხვირს და ტუჩებს (ამის ატანა არ შეეძლო) და ხელებს. რატომაც არა! გაიფიქრა და მიუხედავად ყველაფრისა, უფრო იაფფასიანი ქვა აირჩია. ნუთუ ეს ახალგაზრდა კაცი ვერ გრძნობდა, რომ ეს სახლი უკვე გასაყიდად იყო გამზადებული? ვერა, ვერ გრძნობდა, აღტაცებული იყო სივრცეების ეფექტურობით და როლფისგანაც აღფრთოვანებას ელოდა, როლფს კი უცებ სიბილესთან გატარებული ბოლო საღამო გაახსენდა; სიბილე, ეს ფარისეველი, აეროპორტში დახვდა და ერთადერთი სათქმელი, რაც სახლში დაბრუნებული ქმრისთვის ვახშმისას აღმოაჩნდა, გრძელი ისტორია იყო; რა ბედნიერია ეს ახალგაზრდა შტურცენეგერი, რა არაჩვეულებრივი შეკვეთა მიიღო სადღაც კანადაშიო. განა ეს ნიშანი არ იყო? როლფმა, რასაკვირველია, არაფერი შეიმჩნია, ზედა გათბობის მილების ფუნქცია აახსნევინა და სიამოვნებდა აზრი (შინაგანი სიამოვნების საოცარი მოთხოვნილება გაუჩნდა), რომ სიბილეს გაურკვევლობაში დატოვებდა მაშინ, როცა თვითონ ყველაფერი გარკვეული ექნებოდა. ჯერ ასე არ იყო, მაგრამ ახალგაზრდა არქიტექტორი ეჭვმიტანილი ბრძანდებოდა, რაც არ უნდა უდარდელად ეტრიალებინა ხელში თავისი ყვითელი დასაკეცი მეტრიანი. შტურცენეგერი არ მოეშვა და თავისი კლიენტი სახლში წაიყვანა. როცა თავად დაიწყო, რა ბედნიერი ვარ, მალე გაღმა, კალიფორნიაში დიდი

ფაბრიკის მშენებლობას ვიწყებო, როლფმა შეაწყვეტინა:

– ჩემმა ცოლმა მითხრა, კანადაშიო.
– არა, – უთხრა შტურცენეგერმა, – კალიფორნიაში.
რაღაც ეშლებოდა; მაგრამ როლფმა გადაწყვიტა, თავი შეეკავებინა, არავის უნდა ენახა იგი ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც თავად ნახა საკუთარი თავი გენუაში. სიბილესთან პირისპირ შეხვედრის შიშის გამო თუ იმიტომ, რომ სიმშვიდის ჩვენება უნდოდა, შტურცენეგერი აიძულა, იმ კვირა დილას აპერიტივზე სახლში წაჰყოლოდა. სიბილე შინ დახვდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ოჯახში ჩინძანოც აღმოჩნდა, ჯინიც და მარილიანი ნუშიც კი. მისი მეუღლე, ეს დედაკაცი, რომელმაც მაშინვე კვირა დილის ოჯახური იდილიის კომედიის თამაში დაიწყო და მისი არქიტექტორი, ახალგაზრდა ტიპი, არაჩვეულებრივი შეკვეთა რომ მიეღო კანადაში, სადაც სიბილე ალბათ სიამოვნებით გაჰყვებოდა, როლფისთვის საკმაოდ დასაშვები წყვილი ჩანდა, შესაფერი წყვილიც კი, ლამაზი წყვილი. ერთმანეთს რომ ჯიუტად თქვენობით მიმართავდნენ, როლფს არ აწუხებდა. და საერთოდ, ეშმაკამდე გზა ჰქონია, ეს შტურცენეგერი იყო თუ სხვა, ვინც მის ცოლს ეფერებოდა, როლფისთვის ახლა მთავარი იყო, ცოლი ვინმე ახალგაზრდა, ლამაზ და მხიარულ კაცთან დაენახა და ჭკუიდან არ გადაეყვანა იმის წარმოდგენას, რომ სიბილე სწორედ ამ ვიღაცას ეხუტებოდა…

* * *

როგორც უკვე გითხარით, ჩემი პროკურორი ამ ამბავს ბევრად უფრო ხატოვნად ჰყვება. უხალისოდ, მოკლედ და ბუნდოვნად მპასუხობს ჩართულ კითხვაზე, ბოლოს და ბოლოს რა ბედი ეწია ხორცისფერ ქსოვილს გენუაში. თუ სწორად გავიგე, ის ჭუჭყიანი პაკეტი ბოლოს საღგურის ტუალეტში გადაუგდია.
– მერწმუნეთ, – იცინის ჩემი პროკურორი, – წლები დამჭირდა, რომ ეს პაკეტი სიზმრებიდან გამედევნა!
(რატომაა ჩემთან ასეთი გულახდილი?) – ალბათ წესი არაა, ვამბობ მე, – რომ დაკითხვას ვუწყობ ჩემს პროკურორს, მაგრამ იქნებ ერთ კითხვაზეც მიპასუხოთ: თქვენმა მეუღლემ გაგიმხილათ, ვინ იყო მისი მეგობარი?
– მოგვიანებით კი. კარგა ხნის შემდეგ.
– როდის?
– როცა ყველაფერი დამთავრდა, – თქვა მან, – როცა ის უკვე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.
– რა უცნაურია, – ვამბობ მე.
– ჰო, – იცინის იგი, – მაშინ ორივენი ძალიან უცნაურად ვიქცეოდით, მეც

და ჩემი ცოლიც, მე – განსაკუთრებით.
* * *
მთელი მტანჯველი ზაფხულის განმავლობაში როლფი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იგი სიბილეს, საკუთარი თეორიის თანახმად, აბსოლუტური დამოუკიდებლობის საშუალებას აძლევდა. აქედან გამომდინარე, სიბილეს სხვა გზა არ ჰქონდა, სრული გაუცხოების საშიშროება თავის თავზე უნდა აეღო, ხომ ამბობდა ამაყად: შენ არ უნდა მომანიჭო თავისუფლება, მე თვითონ მოვიპოვებ თავისუფლებას, როცა მომინდებაო. როლფის პოზიციას შემდეგი ტონალობა განსაზღვრავდა: კი ბატონო, კი, ჩემო ძვირფასო, როგორც გენებოს! ამავე დროს, ბევრ მშვენიერ საღამოს ატარებდნენ საერთო მეგობრების მხიარულ წრეში, რომლებიც არაფერს იმჩნევდნენ, ვინ იცის, იქნებ ვერც ამჩნევდნენ; მაგრამ უმნიშვნელო ამბებსაც ხშირად მაინც ნერვული ფონი გასდევდა; ასე იყო თუ ისე, ისევ ერთად დადიოდნენ ლუცერნის საერთაშორისო მუსიკალურ კვირეულზე, ხელკავით დასეირნობდნენ ფოიეში და ეს სულაც არ მიაჩნდათ ფარისევლობად, არც გარეგნულად და არც გულში, უცებ თავს ისევ კარგად გრძნობდნენ ერთად. როლფი კვლავ მისი მეუღლე იყო, თუმცა ამით ბოროტად არ სარგებლობდა, მაგრამ გარკვეული უპირატესობა მაინც ჰქონდა, მაგალითად, ყოველთვის შეეძლო სიბილესთან ხელკავით გამოჩენილიყო. სიბილე ძალიანაც აფასებდა, რომ როლფი, უკვე პროკურორი, მასთან ერთად ხელკავით დასეირნობდა ფოიეში. კარნავალის მასხარა ასეთ რამეებში იზღუდებოდა და როლფმა პირველად იგრძნო, რომ ეს შეზღუდვა მეორე მხარეს ეხებოდა. განსაკუთრებით კარგ გუნებაზე მყოფი, ვინ იცის, ხანდახან სიტყვას ირონიულად გადაუკრავდა ხოლმე, ეს ირონია შორი ნათებასავით გაიელვებდა და თუკი უნებურად ხელკავით მისეირნობდნენ, მაშინვე ორივეს მიანიშნებდა, სად დაეღო პირი ბოროტ უფსკრულს. როგორც ჩანს, ჩხუბამდე საქმე არ მისულა. და მაინც, ეტყობა, არცერთი მათგანი არ ისურვებდა იმ ზაფხულის გამეორებას. სიბილე ისევ როლფთან ერთად ცხოვრობდა, რომ ნათესაობა არ გადარეულიყო, მათი რეაქციის წარმოდგენა სიბილეს ზარავდა, მიუხედავად იმისა, რომ სინდისის ქენჯნა აღარ აწუხებდა; გენუიდან როლფის დაბრუნების შემდეგ სიბილეს გამოკვეთილი სურვილი, მოთხოვნაც კი გამოეხატა, რომ პირველ ხანებში, გარეგნულად მაინც, ყველაფერი ძველებურად დაეტოვებინათ. შესაბამისად, მათი დღის განრიგში როლფის ზედამხედველობის გარეშე სიბილე მხოლოდ რამდენიმე საათი რჩებოდა და ამიტომ მხოლოდ სანახევროდ იცოდა ცოლის ამბავი. თავისთავად ცხადია, რომ სიბილე ამ სანახევროდ ცოდნას, მტანჯველ სანახევროდ ცოდნას, რომელიც დროთა

განმავლობაში უფრო აუტანელი ხდებოდა, ვიდრე ნამდვილი ჩხუბი, როლფს აბრალებდა, თან უგუნურებად მიაჩნდა მისი სიტყვებით გამოთქმა; მაგრამ სიბილეს ქალური ხასიათი მაინც ყველაფერს როლფს აბრალებდა და ხანდახან ისე შეხედავდა (ის ასე ამბობს), თითქოს როლფის ატანა აღარ შეუძლიაო და შემდეგ თავის ოთახში შედიოდა და ტიროდა: დახურულ კარს მიღმა! ამ დროს როლფი სარდაფში ჩადიოდა ხოლმე, რომ ლუდი ამოეტანა. რატომ არ აძლევდა თავს თავისუფლების უფლებას, თუკი მეტი თავისუფლება სჭირდებოდა? როლფი ამაში სრულიადაც არ გულისხმობდა ირონიას. რატომ არ წავიდოდნენ სადმე სამოგზაუროდ ერთად მისი საწყალი მეუღლე და კარნავალის მასხარა? რატომ ვერ ბედავდნენ? როლფს არაფრით ესმოდა. ეს ვნება ძალიან დიდი ხნის არ უნდა ყოფილიყო და სადღაც შემოდგომისკენ როლფს მართლა გაუჩნდა განცდა, რომ, თავის მხრივ, ეს ამბავი უკვე გადახარშა.

სექტემბერში პროკურორის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ოქტომბერში სახლი მზად იყო, ახალგაზრდა არქიტექტორი კი – კმაყოფილი; რაღაც-რაღაცებს დღეს სხვანაირად გავაკეთებდიო, ოღონდ ისეთ რაღაცებს გულისხმობდა, რაც სიბილესაც და როლფსაც ყველაზე მეტად მოსწონდათ, ამ დროს სხვა რაღაცებს საერთოდ ვერ შეეგუვნენ და სწორედ ასეთი რაღაცები იყო, რომლის ფოტოებიც ცოტა ხანში არქიტექტურულ ჟურნალში განსაკუთრებული აქცენტით უნდა დაებეჭდათ. როგორც შტურცენეგერი თავის დამკვეთებს შავ ყავაზე პირველი შეხვედრისას შეჰპირდა, ეს იყო პრინციპულად თანამედროვე სახლი. არა, განა როლფს არ მოსწონდა, მაგრამ ვერც იმას იტყოდი, რომ მოსწონდა. როლფი ამ ახალგაზრდა შტურცენეგერის წინაშე შებოჭილობას გრძნობდა, როცა სახლს, მის სახლს აქებდნენ, თითქოს ეს ქებაც არ ემეტებოდა არქიტექტორისთვის. ერთხელ, კაფეში, როლფთან ვიღაც მივიდა, თავი არქიტექტურული ჟურნალის რედაქტორად წარუდგინა და გამბედაობა შეუქო, რომელიც როლფს, როგორც დამკვეთს გამოევლინა, მთელი თანამედროვე არქიტექტურული სამყაროს სახელით ულოცავდა, ახალგაზრდა შტურცენეგერს ხოტბას ასხამდა არა მხოლოდ როგორც არქიტექტორს, არა, გადარეული იყო ამ ახალგაზრდა კაცის ადამიანურ თვისებებზე, აქებდა მის ხიბლს, სიმამაცეს, თავზეხელაღებულობას, სხვისთვის ანგარიშგაუწევლობას, მის გაქანებას, სიცოცხლის ხალისს, მგრძნობიარე სულს, ხორციელ თუ სულიერ სიმდიდრეს და ყველაფერ იმას, რაც არქიტექტორსაც ისევე დაამშვენებდა, როგორც საყვარელს; ასეთ მომენტებში როლფს განცდა ეუფლებოდა, რომ მთელი მსოფლიო ამასხარავებდა და თავი მოლიერის

კომედიის გმირი ეგონა. სიბილე იმ კაფეში მის გვერდით იჯდა. სიცოცხლის ხალისი, მგრძნობიარობა, ინტენსივობა – ხორციელი და სულიერი – იგიც დაეთანხმა, კიო, და როლფს შეეკითხა, შენც ხომ ასე ფიქრობო, და როლფმა, კაცმა, რომელსაც პირადი და პროფესიული გამოცდილება ნამდვილად არ აკლდა, არ იცოდა, სადამდე შეიძლებოდა წასულიყო მისი ცოლის ცბიერება. იყო მომენტები, მისგან ყველაფერს ელოდა, განსაკუთრებით, როცა თავს უმანკოდ აჩვენებდა, შეყვარებულ ქალებს რომ ჰგონიათ, უმანკოები და მარადიულ ბუნებასთან ჰარმონიაში არიან და ეს ბუნება რომ უბრალოდ ღმერთი ჰგონიათ... დაახლოებით ამ განცდით, რომ ქალაქის გამოჩენილი იდიოტი იყო, როლფი შემოდგომის ერთ ნაშუადღევს მშენებლობის ჩასაბარებლად წავიდა. პატარა გამონაკლისების გარდა, წვრილმანების გარდა, რომელიც ახალგაზრდა არქიტექტორმა თავად დაასახელა, ყველაფერი წესრიგში ჩანდა. მზისგან დამცავი ჟალუზი არ იწეოდა, მონტაჟის შეცდომაა, მეტი არაფერიო, ერთი დიდი ფანჯრის მინა გაბზარულიყო; ბოლო მუშებმა, მღებავებმა, უნიტაზი ნაგვით გაჭედეს; აკლდა სარდაფის გასაღები; დავიწყებული ჰქონდათ შტეფსელი ბატონის საწოლთან, რომელიც ნამდვილად ეხაზა პროექტში; სრულიად გაუგებარი მიზეზით, სარკე აბაზანაში ათი სანტიმეტრით მაღლა ეკიდა; ბოლო მომენტში ბაღში რამდენიმე არასწორი ფილა დაეგოთ, კვარციტის მაგივრად გრანიტი, ესეც წვრილმანად ითვლებოდა, რომლის გამოსწორებაც შეიძლებოდა და, რა თქმა უნდა, მღებავებს საქმე ჯერ არ დაემთავრებინათ. სულ ეს იყო; სხვა წუნი ვერც როლფმა აღმოაჩინა. დიდი კატალპა გახმებოდა თუ გადარჩებოდა, მერე გამოჩნდებოდა. დამკვეთის მხრიდან გულითადი მადლიერების გამომხატველი სიტყვები ალბათ ბუნებრივი იქნებოდა. რადგან როლფი დუმდა, მერე კი დაკეტილ სახლს გაეცალა და გარეთ მიმოიხედა, თითქოს იქაურობას ემშვიდობება ან პირველად აღმოჩნდა საკუთარ ნაკვეთზეო, ახალგაზრდა არქიტექტორმა განუმარტა, ალბათ უფრო სიტყვის მასალად, რას ნიშნავდა ბაღის სამუშაოები, თითქოს როლფს აქამდე ამაზე არაფერი სმენოდეს. შემდეგ ერთმანეთის გვერდით ისხდნენ პროკურორის ახალ მანქანაში , რომელიც ფიქრებით სხვაგან იყო, გასაღები ჩაერჭო, მაგრამ მანქანას არ ძრავდა.

„არ მინდოდა თქვენთან საუბარი, სანამ არ დავწყნარდებოდი, – დაიწყო როლფმა და ხელთათმანი ჩაიცვა, – მაგრამ ახლა, იცით, მთელი ეს ამბავი უკვე მოვინელე“. შტურცენეგენრს, მგონი სიტყვა არ ესმოდა. „არა, – გააგრძელა როლფმა, – თქვენ, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, ყველაფერი წინასწარ შექმნილი უარყოფითი შეხედულებაა.

ბევრჯერ გამახსენდა თქვენი მშვენიერი მონაყოლი ესკიმოსზე, რომელიც მე და ჩემს მეუღლეს პირველსავე შეხვედრაზე გვიამბეთ. გახსოვთ? ესკიმოსმა სტუმარს თავისი ცოლი შესთავაზა და აყვირდა, როცა სტუმარმა შეთავაზება არ მიიღო და ჩვენ გვგონია, რომ გადავირეოდით, თუკი მიიღებდა. დიახ, ყველაფერი წინასწარ შექმნილი უარყოფითი შეხედულებაა...“ როლფს, დიდი ხანი გასულიყო, რაც თავისი თეორია აღარ მოეყოლა. კაცებში მისი თეორია ნაკლებ წინააღმდეგობას იწვევდა. არქიტექტორი, თავისი სიცოცხლის ხალისით, მგრძნობიარობით, ინტენსივობითა და მისთანებით, გაგებით მოეკიდა მის თეორიას, თუმცა, მეორე მხრივ, აზრზე ვერ მოდიოდა, რას ნიშნავდა ეს საუბარი. ამასობაში დაძრულიყვნენ კიდეც, მაგრამ შლაგბაუმთან გაჩერება და ლოდინი მოუწიათ. „მესმის, რომ დაიბენით, – გააგრძელა როლფმა, – თქვენს მდგომარეობაში რომ ვყოფილვარ, ყოველთვის ვცდილობდი, თავიდან ამეცილებინა ასეთი საუბრები. რას უნდა ველოდეთ ასეთი საუბრებისგან! მაგრამ ვფიქრობ, რაკი ასე გვერდიგვერდ ვსხედვართ მანქანაში – იცით, რა – უბრალოდ, არ მინდა, ბატონო შტურცენეგერ, რომ სულელი გეგონოთ!“ როგორც იქნა, მატარებელმა ჩაიგრუხუნა. „თქვენ ჩემი ცოლი გიყვართ, – თქვა როლფმა მტკიცედ და თან სამაგალითოდ ეჭირა თავი, – მე ამის გაგება შემიძლია. და ჩემს ცოლს თქვენ უყვარხართ. რას იზამ, ასეა! და არც არაფერი შეიცვლება, არაფერი არსებითი, როცა თქვენ მომავალ ან იმის იქით კვირაში კანადაში გაემგზავრებით“. „კალიფორნიაში“, – შეუსწორა შტურცენეგერმა. „ჩემმა ცოლმა თქვა, კანადაშიო“. „ძალიან ვწუხვარ, – გაიცინა შტურცენეგერმა, – მე მაინც კალიფორნიაში მივდივარ. რედვუდ-სითიში. ჩავალ თუ არა, ღია ბარათს გამოგიგზავნით, ბატონო დოქტორო, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამიჯეროთ!“ „საჭირო არ არის“, – თქვა როლფმა. უკნიდან უსიგნალებდნენ. „საჭირო არ არის!“ – გაიმეორა როლფმა კიდევ ერთხელ, – „კანადა თუ კალიფორნია, იცით რა, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, თუკი ჩემი ცოლი გადაწყვეტს, რომ გამოგყვეთ, მე ამას შევეგუები“. შლაგბაუმი უკვე დიდი ხნის აწეული იყო, მაგრამ როლფს, თითქოს დაყრუვდაო, უკნიდან სიგნალი არ ესმოდა და ადგილიდან არ იძვროდა. ახალგაზრდა არქიტექტორი, როგორც ჩანს, მიხვდა, სად იყო ძაღლის თავი დამარხული და რაღაცის თქმა დააპირა, მაგალითად: „თქვენი მეუღლე და მე“. როლფმა შეაწყვეტინა: „ნუ გერიდებათ, თქვით სიბილე!“ „ნამდვილად, – განაგრძო შტურცენეგერმა, – პირველი შეხვედრიდანვე არსებობდა გარკვეული სიმპათია, მგონი, თქვენი მეუღლის მხრიდანაც...“ „მგონი!“ – როლფს ნერვები ეშლებოდა, რომ მისი ცოლის საყვარელი ასეთი ლაჩარი აღმოჩნდა, სწყინდა, მაგრამ თან ეს ამბავი მის

ამპარტავნობას ზრდიდა. „ორმოცდახუთი წლის კაცი ვარ, – თქვა როლფმა და არქიტექტორს შეხედა, – თქვენ ჯერ ოცდაათიც არ შეგსრულებიათ. შტურცენეგერმა ამაზე სამართლიანად მიუგო: „მერე?“ ასე ღირსეულად დაწყებული საუბარი ხელიდან უსხლტებოდა, როლფმა ეს იგრძნო და ახლა მანაც შეამჩნია, რომ შლაგბაუმი აეწიათ; მის უკან მოყრილი მანქანები მარცხნიდან უვლიდნენ გვერდს და რადგან ქუჩა ძალიან ვიწრო იყო, ნახევრად ბალახზე გადადიოდნენ; მძღოლები, რა თქმა უნდა, სიბრაზითა და აგდებულად უყურებდნენ როლფს, ერთმა საჩვენებელი თითი საფეთქელთანაც დაიტრიალა, როლფისთვის რომ ეჩვენებინა, მასზე რას ფიქრობდა... უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდა შტურცენეგერი ბევრჯერ ეცადა მის დარწმუნებას, რომ ცდებოდა; როლფმა ეს ან არ გაიგონა, ან არ დაიჯერა. უსიტყვოდ ჩავიდა ქალაქში, სიტყვის ღირსიც აღარ გაუხდია თავისი თანამგზავრი და მის ბინასთან გაჩერდა. არქიტექტორი ძალიან შეწუხებული ჩანდა. შტურცენეგერს ყველაფერი მარცხენა იღლიაში ამოეჩარა, ჩანთა, ხელთათმანები, ქაღალდის პატარა გორგალი, რომ მარჯვენა ხელი დასამშვიდობებლად თავისუფალი ჰქონოდა, მანქანის კარი უკვე გაეღო და იჯდა, სწორ სიტყვას ვერ პოულობდა, დამაჯერებელ ხუმრობას, რომელიც როლფს გულს არ ატკენდა. „ნურაფერს მეტყვით, – სთხოვა როლფმა, – ნუ მეტყვით, რომ წუხხართ ან რაიმე ამდაგვარს“. როლფი შეუვალი იყო. „არასწორად ნუ გამიგებთ, – თქვა მან, – არავის ვსაყვედურობ. ყველაფერი მესმის. შემიძლია მოვიწონო კიდეც. სიბილემ იცის, რას ვფიქრობ ასეთ რამეებზე და თქვენც გეტყოდათ. უნდა შევეგუო. და მაინც, უბრალოდ... – თქვა და სიგარეტი ფანჯრიდან გადააგდო, – ვერ ვეგუები“. შტურცენეგერი, როგორც ჩანს, გონს მოეგო. „იცნობთ ვინმეს?– ჰკითხა ისეთი ტონით, უმცროსი რომ ელაპარაკება უფროსს, – ვინც ეს მართლაც გადაიტანა, ვგულისხმობ, მხოლოდ გარეგნულად კი არა“. როლფმა გაიცინა: „მეგონა, მე ვიყავი ეს ვინმე“. შემდეგ ერთმანეთს მალე დაემშვიდობნენ. არქიტექტორმა კი შესთავაზა, ერთი ჭიქა ღვინო ხომ არ დაგველიაო, მაგრამ როლფმა უარი უთხრა, ერთი მხრივ იმიტომ, რომ იმ ბინაში ფეხის შედგმა არ უნდოდა, სადაც სიბილე ალბათ ბედნიერ საათებს ატარებდა, მეორე მხრივ კი უცებ გაუელვა აზრმა, ვაითუ, ეს ახალგაზრდა შტურცენეგერი სულაც არ არის ისო. მანქანა დაქოქა, შეპატიჟებისთვის მადლობა გადაუხადა და შტურცენეგერს სთხოვა, კარი მაგრად მოაჯახუნეო. შტურცენეგერი ისე სწრაფად გაეცალა, თითქოს შეცდომით სხვის ოთახში შევიდაო, უკან არც მოუხედავს, როცა როლფმა ისევ გააღო მანქანის კარი და კანადაში კეთილი მგზავრობა უსურვა. შემდეგ, ოღონდ ერთ ადგილას არ მდგარიყო და როლფი წავიდა,

უმისამართოდ, როგორც მაშინ, გენუაში – ოღონდ სახლში არ წასულიყო! ოღონდ ახლა სიბილე არ დაენახა! ვერაფერი მოენელებინა, საერთოდ ვერაფერი!

ეს ოქტომბერში მოხდა.

როგორც საქმიან კაცებს სჩვევიათ, რომელთაც თავიანთი შინაგანი მდგომარეობის საჩოთირო ნაწილი ვერ მოუგვარებიათ, როლფმაც საკუთარ თავში ჩაძიება კი არ დაიწყო, არამედ საქმეში გადაეშვა, სასარგებლო და მშრალ საქმეში, საქმე კი არ აკლდა, ახალი დაწყებული ჰქონდა პროკურორის მოვალეობის შესრულება, აკეთებდა ყველაფერს, რაც მის კომპეტენციაში შედიოდა, მუშაობდა დილიდან დაღამებამდე, სანამ მისი ბოლო მდივანი არ გადაიქანცებოდა, მერე კი მარტო აგრძელებდა საქმეს. შმაგი როლანდივით, სწრაფად. კოლეგებს მაშინ ალბათ გაცოფებული მუყაითი ეგონათ. ისინი ხომ აზრზე არ იყვნენ, რა აგიჟებდა ამ ყოველთვის ძალიან თავშეკავებულ, ყოველთვის ძალიან დინჯ და ყველას მიერ აღიარებულ ცივი გონების ადამიანს. როლფს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა მოწესრიგებული და ბედნიერი კაცის სახელი, სხვათა შორის, საერთოდ არ ცდილობდა, რომ ასეთი სახელი ჰქონოდა, საერთოდ არა, როლფს შეეძლო დოჟების სასახლის წინ სხვა ქალთან ერთად გამოჩენილიყო, მტრედებისთვის საკენკი გადაეყარა, მის შესახებ პატარა ქალაქში მაინც არავინ იჭორავებდა. არსებობენ ასეთი კაცები, კარგი სახელის ფენომენები, მათ სახელს ვერაფერს დააკლებ, ისევე როგორც თოლიას ვერ დაუსველებ ბუმბულს, და მერე, ისეთ პატარა ქალაქშიც კი, როგორიც ციურიხია, არავის უჩნდება ჭორაობის მოთხოვნილება, რადგან ძალიან მოსაწყენია სურვილი, ბუმბული დაუსველო თოლიას. და ეს ფენომენი, როგორც ჩანს, მის მეუღლეზეც გადავიდა; მასზეც ვერასდროს ვერ წარმოიდგენდი. ასე რომ, ვინ მიხვდებოდა ახალი პროკურორის მუყაითობის მიზეზს! სხვადასხვანაირი საქმეების დამუშავება უხდებოდა და, სხვათა შორის, უკიდურესად ცდილობდა, ყველა ქალი ერთ ქვაბში არ ჩაეყარა; უცხო საქმეებში განსხვავების უნარს ინარჩუნებდა. ხელში ისეთი საქმეებიც ჩავარდნია, როცა კაცის ბრალი იყო. როლფი ძალიან გამგებიანად ითვლებოდა, ცდილობდა, დაენახა ადამიანი ბარიერს იქით და მისთვის ყველანაირი დამცირება აერიდებინა. როგორც ქლიავის ხეზე იზრდება ქლიავი, ასე იზრდებოდა მისი წარმატება, რომელიც მის სიბილეზე არანაირ შთაბეჭდილებას არ ახდენდა, უარესი: სიბილეს როლფის მხოლოდ პროფესიული წარმატება, და წყლის პატარა ველოსიპედი, რომლითაც პატარა ჰანესს მომდევნო დღეებში შეიქცევდა და დააშოშმინებდა

ერთნაირად უხაროდა... როლფს ისევ ესიზმრებოდა ხორცისფერ ქსოვილიანი ძუნძგლიანი პაკეტი!.. და შემდეგ, ჰო, შემდეგ მოვიდა ახალ სახლში გადასვლის დრო და სიბილეს ეყო თავხედობა, მაინცდამაინც იმ კვირაში წასულიყო მეგობართან სანქტ-გალენში. როლფმა შეახსენა, ახალ სახლში ვართ გადასასვლელებიო, მაგრამ სანქტ-გალენში მეგობრის მონახულების გადადება შეუძლებელი აღმოჩნდა. როლფს ალბათ ერთი წუთითაც არ სჯეროდა მეგობრის არსებობა, მაგრამ მხოლოდ ესღა უთხრა: „როგორც გინდა, კი ბატონო!“ და სიბილე მართლაც წავიდა. ბრაზი, ნამდვილი ბრაზი, კონკრეტული მიზეზით გამოწვეული, უკიდეგანო ბრაზი, რომელიც იმ კვირაში გამოსცადა როლფმა, მისთვის ნამდვილ ნეტარებად იქცა; ამ ბრაზმა ხელ-ფეხი გაუხსნა და მშვიდი პოზა დაავიწყა, დადიოდა თავის ახალ სახლში და იგინებოდა, ისე იგინებოდა, რომ ავეჯის სიმძიმის ქვეშ წელში მოხრილი მზიდავები, თან ეკითხებოდნენ, თოგენბურგის გლეხური კარადა სად დავდგათ და საკერავი მანქანა სად წავიღოთ და ჭურჭლის ყუთებს რა ვუყოთ და ბუდუარის მაგიდა საითო, და თან გაოცებულები იყვნენ, რა სიტყვები ამოსდის ამ განათლებულ კაცს პირიდანო. „ქალბატონთან! – უპასუხა როლფმა, – ქალბატონთან წაიღეთ მთელი ეს ნაგავი ან ფანჯრიდან გადაყარეთ!“ და მიაძახა: „ეს დედაკაცი რომ აქ არ არის, ღორობაა, ღორობა, უბრალოდ, ღორობა!“ წესიერი მზიდავები კითხვას ვეღარ ბედავდნენ, რომ განერვიულებულ ბატონს მათ წინაშე კიდევ უფრო არ შეერცხვინა თავი; მანქანიდან გადმოტანილ ნივთებს ათვალიერებდნენ, ერთმანეთს თვალს უზამდნენ, და ყველაფერი, რაც ბაღში ან სარდაფში შესანახს აშკარად არ ჰგავდა, ანდა განათლებული ბატონის კუთვნილ საწერ მაგიდად არ შეიცნობოდა, უსიტყვოდ დაახროვეს „ქალბატონთან“. ბოლოს, როცა ეს არეულობა დამთავრდა, იმ წესიერმა კაცებმა ფული მიიღეს საჩუქრად. და როლფი მარტო დარჩა თავის აღთქმულ სახლში, მარტო, პატარა ჰანესთან და იტალიელ მოსამსახურესთან ერთად, რომელმაც არ იცოდა, სად უნდა ეპოვა ლოგინის თეთრეული; ქალბატონი ძალიან აკლდათ. რომლის დროსაც პატარა ჰანესი არ დაბნეულა, მოსწონდა ეს აურზაური, სადაც ჩვეული რამეები უცებ სენსაციად იქცა და ათას კითხვას სვამდა. ფრთხილად! ეწერა ყუთებს: არ დააგდოთ! და იქაურობა ნამდვილად არ ჰგავდა საცხოვრებელ ადგილს. როლფს ვერ წარმოედგინა, აქ როგორ უნდა ეცხოვრა, უაზრობად ან სულ მცირე, ნაადრევად ეჩვენებოდა, მოსამსახურე გოგო ყუთებს რომ ხსნიდა; ამწუთას ყველაზე ნაკლებად შეიძლებოდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ოჯახური ცხოვრება, რომლისთვისაც ყუთების ამოლაგება და ხალიჩების დაფენა ღირდა,

საერთოდ შედგებოდა. უცებ იმედი გაუელვებდა გულში და მაშინვე უქრებოდა. რას ნიშნავს პარტნიორისგან დამოუკიდებლობა, საერთოდ დამოუკიდებლობა, თავისუფლება ოჯახურ ცხოვრებაში; სინამდვილეში, რას ნიშნავს ეს? ერთობლივი ქონებრივი გაერთიანება, მთელი ეს ავლადიდება და მოსამსახურე გოგო, რომელსაც ამ ავლადიდების მოვლა ევალება, ეს იყო, რაც დარჩა. და ჰანესი? ასე ვერ გაგრძელდებოდა. იქნებ როლფს თავისი ცოლისგან, უბრალოდ, უნდა მოეთხოვა, რომ უარი ეთქვა იმაზე და დამუქრებოდა „ან-ანო“ და დრო მიეცა შობამდე? ეს იყო ამ აუტანელი მდგომარეობის დასრულების შესაძლებლობა, მაგრამ ასე ვერც სიყვარულს შეინარჩუნებდა და ვერც ვერაფერს მოიგებდა. იქნებ უბრალოდ დაეცადა? ასე ვთქვათ, დროებითი ცხოვრება გაურკვეველ პირობებში, იქნებ მოვიდეს, ან იქნებ არც მოვიდეს, იქნებ მიეჩვიოს, იქნებ მასაც შეუყვარდეს ვინმე და ამ ყველაფერმა გადაიაროს, ვინ იცის, იქნებ განქორწინება ჯერ ნააღრევია; ასეთი ცხოვრება, ბრმა მოთმინებით, ეს იყო გამოსავალი? გადაწყვეტილებიდან გადაწყვეტილებაზე ხტებოდა, ხან ასე, ხან ისე. რამდენი ადამიანისთვის ურჩევია როლფს ფრთხილად, საით უნდა მიემართათ ძალისხმევა – სხვა სხვის ომში ბრძენია. მოკლედ, როლფი საკუთარ თავს მკვდარ წერტილში ხედავდა, სადაც, რაც უნდა ტანზე შემოიგლიჯო, ბორბალს ვერც წინ დაატრიალებ და ვერც უკან, სადაც, მეორე მხრივ, შეიძლება უბრალო წვრილმანმა, შემთხვევითობამაც კი გადაწყვიტოს, წინ წავა ბორბალი თუ უკან, და ეს იყო მისთვის ყველაზე მწარე აზრი, რომ ამიერიდან შეიძლება ყველაფერი ერთადერთმა სიტყვამ, კარგმა ან ცუდმა, მისდა უნებურად გადაწყვიტოს და თავისით გაირკვეს ყველაფერი.

...იმ კვირაში არა მხოლოდ შტურცენეგერის შეპირებული ღია ბარათი მოვიდა კალიფორნიის ქალაქ რედვუდ-სითიდან, არამედ ძალიან უცნაური ზარიც გაისმა პარიზიდან; აშკარად აღელვებულმა მამაკაცმა, რომელმაც თავი შტილერად წარადგინა, გაურკვეველი რაღაცები მოროშა და ისე იქცეოდა, თითქოს როლფს უნდა სცოდნოდა, სად იმყოფებოდა მისი მეუღლე, არაფრით უნდოდა, დაეჯერებინა, რომ როლფმა მისი სახელი არ იცოდა. როგორც ჩანს, ეს ნერვიული ტიპი, ტელეფონიდან რომ ყვიროდა, სხვა არავინ იყო, თუ არა კარნავალის მასხარა (ესე იგი მთლად მართალი არ არის, რასაც ჩემი პროკურორი მანამდე ამტკიცებდა; მან იცოდა, მართალია, სიბილესგან არა, მაგრამ სიბილეს მეგობრის სახელი მანამ იცოდა, სანამ შტილერი გაუჩინარდებოდა. მე ეს მხოლოდ იმის მაგალითად, მომყავს, რომ მართალია, მისი მონათხრობი ნებაყოფლობითია, მაგრამ თვით პროკურორიც კი არ ჰყვება ამბავს

წინააღმდეგობების გარეშე, რასაც ჩვენნაირებს დაკითხვისას სთხოვენ ხოლმე!) მართლაც, ძალიან უცნაური ზარი იყო; როლფს ხომ ეგონა, რომ სიბილე კარნავალის მასხარასთან ერთად გაემგზავრა. ნუთუ პარიზში ერთმანეთს ასცდნენ? თავიდან მოიშორა აზრი, რომ ამ სატელეფონო ზარით მისი არასწორ კვალზე დაყენება უნდოდათ. მაგრამ აზრი, რომელმაც მის ტვინში ერთხელ ჩაიბუდა, აღარ ასვენებდა. არ ეგონა, თუ სიბილე ასეთი ცბიერების მკადრებელი იყო. „არა! – ხმამაღლა უთხრა თავის თავს, – არა!“ მაგრამ უკანა ტვინიდან მიმწყვდეული ექო ეხმიანებოდა: „რატომაც არა?“ უძალიანდებოდა ამ ეჭვს, რცხვენოდა და იმავე წამს, შერცხვებოდა თუ არა თავისი მდაბიო ეჭვის, ამ სირცხვილის გამო თავი სასაცილოდ, სულელად მიაჩნდა. ახლა რა, განა ყველაფერი შესაძლებელი არ იყო? მისი გონი ამას ეწინააღმდეგებოდა. ნუთუ შესაძლებელი იყო, რომ სიბილე, მისი შვილის დედა და თან მისი უახლოესი აღამიანი, მასზე ახლობელი რომ ვერც ვერავინ წარმოედგინა, ერთ მშვენიერ დღეს შესძულდებოდა? როლფს მისი ნახვის ეშინოდა.

და, როგორც ჩანს, ის შეხვედრა ძალიან უბედური აღმოჩნდა. ერთ დილას, სამსახურში, ნოემბერი იყო, მოახსენეს, რომ მეუღლეს სურდა მასთან საუბარი, არა, ტელეფონზე არა; მისაღებ ოთახში ზისო. როლფს მართლა რაღაც სხდომა ჰქონდა და თითქმის ერთი საათი ალოდინა. თერთმეტი საათი სრულდებოდა; არ ჯობდა, სადილად შეხვედროდნენ ერთმანეთს? როლფმა ცოლი კაბინეტში მიიწვია, კარებთან შეეგება და ჩუმად ჰკითხა, რა მოხდაო? სიბილე გაფითრებული ჩანდა, მაგრამ ფხიზელი მზერა ჰქონდა. „აჰ! – თქვა მან, – ეს არის შენი კაბინეტი?“ და მაშინვე ფანჯარასთან მივიდა, რომ მოკრძალებული ხედი შეესწავლა. როლფმა არ ჰკითხა, სანქტ-გალენში როგორი იყოო, არც ის ჰკითხა, პარიზში როგორი იყოო. სიბილეს უნდა დაეწყო ლაპარაკი, მას არა. ის კი ისე იქცეოდა, ვითომ არაფერი მომხდარაო, ისეთი შებოჭილი იყო, როგორც არასდროს, ლაპარაკობდა, თითქოს მხოლოდ მისი სამუშაო ადგილის ნახვა ნდომებოდა, თან ნერვიულად ეწეოდა. როლფს ხომ შეეძლო ერთხელ მაინც დაერეკა სანქტ-გალენში; ეს შეგნებულად არ გააკეთა. ეს იყო, რისი გაგებაც სიბილეს უნდოდა? სიბილემ მადლობა გადაუხადა სიურპრიზისთვის, რომ ახალ სახლში გადასული დახვდა. და მერე? სიბილეს თვალებში ეტყობოდა, რომ რაღაცას მალავდა, შიშიც ეტყობოდა, თუმცა, არაფერი უთქვამს და არც აპირებდა რამის თქმას, ასე რომ, როლფმა მთელი ეს სიტუაცია ფარსად აღიქვა, აუტანელი იყო, როლფი თავის განიერ საწერ მაგიდასთან იჯდა, სიბილე კი მის პირდაპირ, კლიენტისთვის განკუთვნილ დასაკეც სკამზე. განქორწინება

უნდოდა? უცებ უნებურად წარმოთქვა: „ვინმე ბატონმა შტილერმა დარეკა, ეტყობა, შენი საყვარელია“. ამ სიტყვაზე სიბილე შეკრთა. როლფმა ნათქვამი ინანა, მაგრამ თან აღშფოთდა, კიდევ მე უნდა ვიხადო იქით ბოდიშიო, და უდრტვინველად დაამატა: „ვვარაუდობ, პარიზში მერე მაინც შეხვდით ერთმანეთს, აქ ოთხშაბათს დარეკა“. თავადაც კარგად გრძნობდა, როგორ დამცინავად ჟღერდა მისი ნათქვამი. სიბილე ნელა და უსიტყვოდ წამოდგა, როგორც უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ დგებიან ხოლმე, თუმცა ამ შემთხვევაში მოლაპარაკება არც შემდგარა და ფანჯარასთან მივიდა. როლფი მხრებზე ატყობდა, რომ ტიროდა, სლუკუნებდა. მხარზე როლფის ხელი ვერ აიტანა, ვერც მისი მზერა. „წავალ!“ თქვა მან. „სად?“ ჰკითხა როლფმა. სიბილემ ნახევრად მოწეული სიგარეტი მის საფერფლეში ჩაჭყლიტა, ხელჩანთა და პატარა თავსაფარი აიღო და პუდრი ამოიღო, რომ სახე მოეწესრიგებინა და ურცხვი სიმსუბუქით თქვა: „პონტრესინაში“. როლფმა ღრმად ჩაისუნთქა, სანამ სიბილე ტუჩებს იღებავდა და გაიმეორა: „როგორც გინდა“. პასუხად გაისმა ცოლის ბრიყვული კითხვა: „რამე საწინააღმდეგო გაქვს?“ შემდეგ – მისი ასევე ბრიყვული: „ქენი, რაც სწორად მიგაჩნია!“ და ასე გაუშვა…

სიბილე მართლა წავიდა პონტრესინაში.
დეკემბრის დასაწყისში, როცა გარუჯული სიბილე უკან დაბრუნდა, როლფმა განქორწინება შესთავაზა. სიბილემ მას გადაულოცა საჭირო ნაბიჯების გადადგმა. როლფმა საერთოდ ვეღარაფერი გაიგო, როცა სიბილემ გამოუცხადა, ახალგაზრდა შტურცენეგერმა მომწერა, სასწრაფოდ მდივანს ვეძებო და გადავწყვიტე ჰანესთან ერთად რედვუდ-სითიში, კალიფორნიაში გადავიდეო. როლფმა კიდევ ერთხელ თქვა: „როგორც გინდა!“ არ სჯეროდა. ეს ყველაფერი ხომ ბავშვური ფარსი იყო! მაშინაც არ სჯეროდა, როცა სიბილე ამერიკის საკონსულოში წავიდა თითის ანაბეჭდის ასაღებად. მას უნდა გადაედგა პირველი ნაბიჯი შესარიგებლად? ვერ პოულობდა ამ პირველ ნაბიჯს, რადგან აზრზე არ იყო, სინამდვილეში რა მოხდა. ბრმა შერიგებაზე ოჯახურ ცხოვრებას ვერ ააშენებდა, ასე ეგონა. სიბილე მისგან ელოდებოდა ერთ სიტყვას, რომ დარჩენილიყო? ადგილი შეკვეთილი იყო Ile de France-ზე, როლფმა ეს იცოდა. იქნებ სიბილემ იგი გასულ ზაფხულს საბოლოოდ მიატოვა, მაგრამ ეს არაფერ შუაში იყო; თუკი თავად არ იტყოდა პირველ სიტყვას, რომ დარჩენა უნდოდა, მას ვერ წარმოედგინა სიბილესთვის დარჩენა ეთხოვა და რადგან არაფრის აზრზე არ იყო, არჩია თავი არ გაემასხარავებინა და ამით აბუჩად არ აეგდო ოჯახური ცხოვრებაც, რომელიც შეიძლება ჯერ

კიდევ შესაძლებელი ყოფილიყო მათ შორის. ასე არ გამოვიდოდა, ყოველ შემთხვევაში, ამ სახით – არა. როლფი მის მუქარას ვერ დაემორჩილებოდა. შობამდე რამდენიმე დღით ადრე სიბილე ჰანესთან ერთად, რომელიც მაშინ სკოლაში ჯერ არ დადიოდა, მართლა წავიდა ჰავრში, რომ იქ ამერიკისკენ მიმავალ გემზე ასულიყო.

მეხუთე რვეული

დღევანდელი ღონისძიება ჩემი ადვოკატისთვის, ამ მუყაითი კაცისთვის, რომელიც ისევ უგზო-უკვლოდ დაკარგულ შტილერს იცავს, ძალიან უიღბლოდ წარიმართა: აპერიტივის დროს დაუპირისპირდა ამ პატარა ქალაქის წამყვან კრიტიკოსებს! და, ჰოი, საოცრებავ, შეხვედრა მაინც ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა. იმდენად ზედმეტი იყო ერთი ახალგაზრდა კაცის თხოვნა, არავითარ შემთხვევაში პირად შეურაცხყოფად არ მიიღო ჩემი შვიდი წლის წინ დაწერილი მოსაზრებებიო, რომ ლამის გული ამიჩუყდა. ერთი ქალბატონიც ესწრებოდა ამ საუბარს, მოწიფული პიროვნება, ტაძრის გუშაგივით ტიპი, მაშინვე თვალში გეცემოდა მისი მოკრძალებული ბუნება. თქვენი სავარაუდო შტილერი არ ვარ-მეთქი, რომ დავარწმუნე, კრიტიკოსების შეკრებამ აშკარად ამოისუნთქა და მერე ვისკიც კი მოიტანეს. ქალბატონს შევეკითხე, რატომ არ ჩამომართვით ხელი-მეთქი. ამ შეკითხვამ სიტუაცია ცოტა დაძაბა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით. ამ ქალბატონმა, წინასწარ რომ მცოდნოდა, საქმე შტილერს ეხება, საერთოდ არ მოვიდოდი კაფეშიო. ეტყობა, შტილერი ამ ქალის წინაშე საშინლად მოიქცა. ჩემმა ადვოკატმა თვალი მკიდა და მეც ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. ქალბატონი ისეთი სახით დუმდა, ბევრ რამეს მიხვდებოდი. შტილერს ამ ქალბატონისთვის ერთხელ წერილი მიუწერია და სულ „მასწავლებელო“ უძახია, მხოლოდ იმიტომ, რომ მას შტილერისთვის უთქვამს, ხელოვნებასთან ახლოს არ გაგივლიაო. პირდაპირობას მას თავისი სულიერება და სულიერების სიყვარული, ყველა დროის ხელოვნების მიმართ შინაგანი მოვალეობის გრძნობა აიძულებდა და მომავალშიც ასე მოიქცეოდა. მე ამ ნაზ და ტემპერამენტიან ქალს ხელზე ხელი მოვკიდე, ეს ალბათ ზედმეტი იყო და ვუთხარი: ქალბატონო დოქტორო, ჩემს გულში იჯექით! საუბარი იყო ქანდაკებაზე, რომელიც ამას წინათ ქუჩაში მე თვითონ ვნახე. მართალია, ქალბატონი ცოტა სხვანაირად ფიქრობდა, უფრო დიფერენცირებულად, მაგრამ ჩვენ ვისაუბრეთ მკაცრ მასშტაბებზე, და მალე, შესაბამისად, დაკარგული შტილერი კი აღარ იდგა ჩვენი საუბრის ცენტრში, რომელიც ამ მასშტაბებს ვერ აკმაყოფილებდა, არამედ თავად ის ქალბატონი და კრიტიკა, როგორც ასეთი, რომლის ჭეშმარიტი სპეციალისტიც იგი

გახლდათ. მე კარგად მესმის მისი გადაწყვეტილება, რომ აღარასდროს დაწეროს შტილერის შესახებ და წარსულს ჩააბაროს მისი სახელი; განა რას ვინატრებდი ამაზე უკეთესს ჩემს მდგომარეობაში, ეს დაკარგული შტილერი ხომ სულ ფეხებში მებლანდება! და, როგორც გითხარით, ის ბატონებიც ძალიან კარგები იყვნენ; საკმარისია, კრიტიკოსს გულწრფელად უთხრა, რომ ხელოვანი არ ხარ და მერე ისე გესაუბრებიან, თითქოს ისეთივე მცოდნე იყო ხელოვნებისა, როგორებიც თავად არიან.

იულიკა გაემგზავრა. სამწუხაროდ, სანამ წავიდოდა, აქ იყო და შეესწრო, როგორ მკითხავდა ფსიქიატრი. ფსიქიატრს ეშინოდა, ღია კარებში ჩემი სული არ გაჰფრენოდა და კარის გაღებაც არ დამანება! იულიკამ სიგარები შემომიგზავნა, გული ამიჩუყდა, ისევ არასწორი მარკა მოუტანია; იულიკასთვის სიგარა სიგარაა და რადგან ძალიან ძვირიანი უყიდია, ეგონა, გამახარებდა. მიხარია კიდეც, რადგან იულიკას მოტანილია.
მესტუმრა მოხუცი წყვილი – პროფესორი ჰეფელი და მისი ცოლი, მათ ჩემმა სახაზინო ადვოკატმა შეატყობინა, რომ მე ანატოლ ლუდვიგ შტილერი ვარ, ამიტომ პირად შეხვედრაზე შეიტანეს თხოვნა და ისე მართმევენ ხელს, თითქოს ახლობლები ვიყოთ, მცირე უხერხული პაუზის შემდეგ ჩემს ნარზე სხდებიან და ნდობით აღსავსე, თუმცა თავიდან ცოტა შემკრთალი და შეშინებული ტონით იწყებენ აშკარად მნიშვნელოვან, მათთვის მნიშვნელოვან, დიდი ხნის ნანატრ საუბარს.

– ჩვენ იმიტომ მოვედით, – იწყებს მოხუცი პროფესორი, – რომ პირადი საქმე გვაქვს თქვენთან, ამას თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობასთან კავშირი არ აქვს. თქვენ ჩვენს ვაჟიშვილს იცნობდით.
– ალექსი თქვენზე ხშირად გვიამბობდა.
– ძალიან ვწუხდით, – ამბობს მოხუცი პროფესორი დარბაისლური სერიოზულობით, აშკარად ცდილობს, მხოლოდ ფაქტებზე ილაპარაკოს და დედას, თეთრთმიან ქალბატონს, ზედმეტი აღელვება აარიდოს, – ძალიან ვწუხდით, რომ ალექსს არასდროს მოჰყავდა სახლში თავისი მეგობრები. თქვენზე ამბობდა, ჩემი მეგობარიაო. ერთი საუბარი მახსენდება, რომელიც, ალბათ არ გაგიკვირდებათ, მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შედგა; ჩვენმა შვილმა თქვენზე გვითხრა, დედამიწაზე მასზე ახლობელი არა მყავსო. არადა, გამოგიტყდებით, მაშინ პირველად გავიგე თქვენი სახელი.
თავიდან ძირითადად მდუმარე, თითქოს შეცბუნებული დედა ფოტოს მაჩეჩებს, რომ ალექსი გავიხსენო. ფოტოზე ალექსი ალბათ ოცდახუთი

წლის იქნება, შავი ფრაკი აცვია, მარჯვენა ხელში ძვლის სათვალე უჭირავს, მარცხენა ხელი – აშკარად ნატიფი ხელი – შავ საკონცერტო როიალზე უდევს; ცოტა დაძაბულად, ოდნავ გადახრილა წინ. გულისამაჩუყებელი სურათია, ჯერ მარტო თავის მორცხვად დაკვრას რომ ხედავ და აპლოდისმენტები არ გესმის, ეს თავის დაკვრა რაღაცნაირად უსიცოცხლოა, საცოდავია. მისი სახე, მართალია, პროექტორის შუქს ცოტა გაუბრტყელებია, მაგრამ უჩვეულოა, ასევე ნატიფი, დედას ძალიან ჰგავს, ოდნავ ქალურია, ოღონდ არა რბილი, იფიქრებ, ჰომოსექსუალი ხომ არ არისო. სახეზე უცნაური აღტყინება ახატია, რომელიც თითქოს შიგნიდან არ მოდის, არამედ გარედან, საიდანღაც, ისევე როგორც პროექტორი, რომელიც მოულოდნელად აინთო, უხილავი მოვლენიდან, რომელიც, მისდა გასაოცრად, არწმუნებს, სიხარულის მიზეზი გაქვსო. ალბათ ეს მისი პირველი წარმატებაა საკონცერტო დარბაზში. გგონია, რომ იგივე შეცბუნებას ხედავ, რაც დედამისსაც ახასიათებს და ეს ართულებს საქმეს, თვალებში ვერ ვუყურებ ამ ქალს, რომელიც, სხვათა შორის, სასიამოვნო და უდავოდ ძალიან განათლებული ადამიანია. იგი ვერ იტანს, რომ საკუთარი თვალებით უყურებ მის შვილს. მას სულ რაღაც უნდა. გემუდარება, რაღაც უნდა დაგიჯდეს, დამეთანხმეო.

– ალექსი თქვენ ძალიან გაფასებდათ, – მეუბნება იგი.
დიდხანს ვერ ვხვდები, ჩემგან რა უნდათ, რა არის მათი მოსვლის მიზეზი; უბედური მშობლებისთვის არცთუ იოლი იქნებოდა აქ მოსვლა და რისი იმედი აქვთ, რას მოელიან ჩემგან.

– მისი სიკვდილი, – ამბობს მოხუცი პროფესორი, – ჩვენთვის სასტიკი გამოცანაა, ალბათ წარმოგიდგენიათ. უკვე ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ.
– არადა, ალექსი ისეთი ნიჭიერი იყო!
– ჰო, ჰო,– ამბობს მოხუცი პროფესორი და ცდილობს, სწრაფი კვერის დაკვრით დედას აღარაფერი ათქმევინოს, – ნამდვილად ნიჭიერი იყო, ჰო, ჰო.
– თქვენ ასე არ ფიქრობთ? – მეკითხება დედა.
– მის სიკვდილს რაც შეეხება, – ამბობს მამა.
– იულიკა ჩუდიც ასე ფიქრობდა! – ხაზს უსვამს დედა, – წერილიც კი გვაქვს თქვენი ძვირფასი მეუღლისგან, რომელსაც ჩვენი ალექსი, როგორც იცით, ეთაყვანებოდა, როგორც ხელოვანს და არასოდეს დავუვიწყებ თქვენს პატივცემულ მეუღლეს, სწორედ იგი წაახალისებდა ხოლმე ალექსს, როცა ის საკუთარი თავის რწმენას კარგავდა და წინ ვერ

მიდიოდა; ვიცი, რომ ჩვენს შვილს ყველაზე მეტად ქალბატონი იულიკასი რცხვენოდა, მისი მოსიყვარულე შეგულიანების გარეშე…

მოხუცი პროფესორი, რომელსაც სიტყვა მეუღლემ შეაწყვეტინა, ზრდილობიანად გაჩუმდა; სიგარეტს მოუკიდა, მაგრამ არ მოუწევია და ცოტა ხანს, სანამ თეთრთმიანი ქალბატონი მარტო ლაპარაკობდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იმიტომ მოსულან, რომ მათი ახალგაზრდა მიცვალებულის იმედისმომცემი და დიდი ნიჭი დაადასტურონო; თითქოს მათ მიცვალებულ შვილს, როგორც პიანისტს, რეკომენდაცია სჭირდებოდეს ღმერთის წინაშე. მესმის მოხუცი პროფესორის, რომელიც ცოლს, უბრალოდ, ეთანხმება და თან სხვა კითხვები აწუხებს. რამდენჯერაც ჰგონია, რომ მე ამას ვერ ვხვდები, ისე მიყურებს, თითქოს დაკარგული შტილერის ბრალი იყოს, რომ ალექსი ერთ დილას, ქალაქის თეატრში ბალეტის რეპეტიციის შემდეგ, გაზქურის წინ დაჯდა. ხანდახან ორივე მშობელი ერთდროულად ლაპარაკობს, ბუნებრივია, აღელვებულები არიან, რადგან ყველაფერი ისევ თვალწინ უდგებათ, თითქოს გუშინ მომხდარიყოს. უცხო ადამიანი იბნევა და ფიქრობს, რომ სინამდვილეში ორმა შვილმა მოიკლა თავი, ორმა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულმა შვილმა და მათ მხოლოდ თვითმკვლელობის ერთი მიზეზი აერთიანებთ. ამაშია საქმე. მე უნდა ვიცოდე, ვინ იყო ალექსი, მათი ერთადერთი შვილი. იგი დაჯდა გაზქურის წინ, გაზეთებში და რომანებში რომ წაგიკითხავთ, ისე, გახსნა ყველა ონკანი, გაზქურას გადააფარა საწვიმარი, რომელშიც თავი შეყო და იმ იმედით ისუნთქავდა გაზს, რომ სიკვდილი დასასრულია, ისუნთქავდა მოცისფრო ბურანს, შეიძლება ყვიროდა კიდეც, მაგრამ უკვე უხმოდ ყვიროდა. სავარძლიდან გადმოვარდნილა, როგორც ამბობენ, მან თავისი შეცდომისგან თავის დაღწევა ვეღარ შეძლო; უცებ საერთოდ აღარ დარჩა დრო. ახლა უკვე ყველაფერი გვიანია. ექვსი წელია, დროის გარეშეა დარჩენილი. იგი თავის თავს ამიერიდან ვეღარ შეიცნობს. ახლა უკვე ვეღარ. ხსნას ითხოვს. ნამდვილ სიკვდილს ითხოვს... ცოტა ხნის შემდეგ ფოტოს ვუბრუნებ, უსიტყვოდ.

– რა ელაპარაკეთ ალექსს? – სლუკუნებს დედა, – რა?
– დამშვიდდი, – ეუბნება მამა.
– ნუ დუმხართ! – მემუდარება დედა, – მითხარით, ღვთის მადლით, ნუ დუმხართ!
სლუკუნისგან ვეღარ ლაპარაკობს. როდესაც დარაჯი მოდის, რომ, როგორც ევალება, დაგვხედოს, ჩუმად ვანიშნებ, წადი-მეთქი, ვიცი, დოქტორ ბონენბლუსტს მოახსენებს. ჩემი ადვოკატის თანდასწრებით

საერთოდ არ ვილაპარაკებ, ეს ნაღდია, რაც უნდა მეცოდებოდეს ეს მშობლები, განსაკუთრებით, მოხუცი პროფესორი, რომელსაც შარვლის ჯიბიდან სუფთა ცხვირსახოცის ამოღება უჭირს, რადგან საკმაოდ მსუქანია, ბოლოს იღებს და თეთრთმიან დედას, რომელსაც ხელები სახეზე აუფარებია, დიდხანს ამაოდ სთავაზობს.

– ეტყობა, ეს არ იცით, – ამბობს შემდეგ დედა მშვიდი თუ არაქათგამოცლილი ხმით, მას შემდეგ, რაც ცხვირსახოცი გამოიყენა და ახლა ნატიფ ხელებში კუჭავს, – თავის პატარა გამოსათხოვარ წერილში – ეს საიდან უნდა იცოდეთ – ალექსი წერს, რომ დიდხანს გესაუბრათ თქვენ. თქვენ მას უთხარით, მართალი ხარო! – წერს.
მამა ამ ხშირად დატირებულ წერილს მაჩვენებს.
– რაში? – თავიდან იწყებს სლუკუნს დედა, – რაში იყო მართალი? ექვსი წელია...
მოკლე წერილია, სინაზით სავსე წერილი. მიმართვა: საყვარელო მშობლებო! დაგეგმილი თვითმკვლელობის „მიზეზი“ ნახსენები არ არის. იგი მხოლოდ სთხოვს საყვარელ მშობლებს, აპატიონ. შტილერის შესახებ წერია: „და მერე შტილერსაც კიდევ ერთხელ ველაპარაკე. ყველაფერი, რასაც მეუბნება, ჩემს სიმართლეში მარწმუნებს, აზრი არა აქვს. შტილერი მხოლოდ საკუთარ თავზე ლაპარაკობს, მაგრამ, რასაც ამბობს, მეც მეხება“. მერე რამდენიმე მითითებაა დაკრძალვის თაობაზე, განსაკუთრებით ხაზგასმულია სურვილი, დაკრძალვას არ დაესწროს მღვდელი და არც მუსიკა ჟღერდეს... როცა წერილს უსიტყვოდ ვუბრუნებ, მამაც მეკითხება:

– შეგიძლიათ გაიხსენოთ, რაზე ესაუბრეთ იმ დღეს ალექსს?
ჩემი ახსნა-განმარტება, ახლაც ყურში მიდგას, გაქცევას ჰგავს. მაგრამ ვხედავ, რომ ეს მათ უფრო ამშვიდებს, ვიდრე ჩემი დუმილი.
– იმედი მაქვს, სწორად გაიგეთ ჩემი მეუღლის ნათქვამი, – ამბობს მოხუცი პროფესორი, როცა ვჩუმდები, – ჩვენ ხომ არ ვამტკიცებთ, რომ თქვენ ბრძანდებოდით ის, და საერთოდ – ხართ თუ არა ბატონი შტილერი! – ჩვენ ვერავის დავადანაშაულებთ, რომ ჩვენი საწყალი ალექსი ვერ დაიცვა, ღმერთმა დაგვიფაროს, მე, მამამისმაც ვერ დავიცავი...
– არადა, – ამბობს დედა ჩუმი ქვითინით, – არადა, როგორი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო ალექსი.
– პატივმოყვარე იყო, – ამბობს მამა.
– ამას როგორ ამბობ?
– პატივმოყვარე იყო, – ამბობს მამა.

– ალექსი?

– როგორც შენ და მე, როგორც ყველანი მის ირგვლივ, – ამბობს მოხუცი პროფესორი და ისევ მე მომმართავს: – ალექსი ჰომოსექსუალი იყო, ალბათ იცით, არ იყო მისთვის იოლი ამასთან შეგუება. არავისთვის იყო ადვილი, ასეა. მაშინ რომ ვინმეს შეხვედროდა, ვინც სიტყვებით და მოლოდინით კი არ შეაგულიანებდა, არამედ აჩვენებდა, როგორ უნდა მოახერხო სისუსტეებით ცხოვრება.
დედამ თავი გააქნია.
– მართალია, – ამბობს მოხუცი პროფესორი და ყურადღებას არ აქცევს თეთრთმიანი ქალბატონის ჩუმ წინააღმდეგობას, მე მომმართავს, როგორც კაცი კაცს, – მე ვფიქრობ, მათ, ვისაც წარმატება ჟანგბადივით სჭირდება იმისთვის, რომ იცოცხლონ, ყველაფერი წესრიგში არ აქვთ. მაგრამ რა ვქენი ამის საწინააღმდეგოდ? მე მას წარმატებას მხოლოდ ვუკნინებდი, მეტი არაფერი. შედეგი: ბიჭს ბოლოს თავისი პატივმოყვარეობისაც რცხვენოდა! იმის მაგივრად, რომ საკუთარი თავი აეტანა ისეთი, როგორიც იყო, საკუთარი თავი ჰყვარებოდა... ხომ გესმით, რასაც ვგულისხმობ. ვინმეს მართლა რომ ჰყვარებოდა! რა ვიყავი მისთვის: საშუალო სკოლის კარგი მასწავლებელი. ალბათ როგორც შემეძლო, ხელს ვუწყობდი მისი ნიჭის გაღვივებას, ხოლო სისუსტეებს მარტო უნდა გამკლავებოდა. მთელი ჩემი აღმზრდელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი საკუთარი სისუსტისგან გამემიჯნა. სულელი ბიჭი!

დედა ისევ ტირის.
– ჩვენი შვილი თქვენთან მოვიდა, – მოთქვამს იგი, – რატომ უთხარით ეს ყველაფერი? თქვენ მას ელაპარაკეთ მაშინ!
დუმილი.
– საშინელებაა, – ამბობს მოხუცი პროფესორი, თან პენსნეს წმენდს, პატარა თვალები უციმციმებს, – საშინელებაა, როცა ხედავ, რომ ვერ გადაარჩინე ადამიანი, რომელსაც ვუყვარდით... ჩვენი საუბრის შემდეგ ვიფიქრე, რომ ეს შტილერი – ალექსი ისე გულითადად ლაპარაკობდა მასზე, არა, ბერტა, როგორც ნამდვილ, ცოცხალ ადამიანზე.
ცოტა ხანში ჩემი ადვოკატი მოდის.
იულიკა პარიზიდან იწერება. მისამართი: ბატონ ა. შტილერს, ამჟამად ციურიხის წინასწარი გამოძიების დაწესებულებაში. და წერილი მართლაც მოვიდა; სამწუხაროდ. მომართვა: ჩემო ძვირფასო ანატოლ! კარგად უმგზავრია და პარიზში მზე ანათებს. ხელმოწერა: შენი იულიკა. წერილი ნელა ვაქციე ათას ნაკუწად; მაგრამ ეს რას ცვლის!

დღეს კიდევ ერთხელ ვხედავ ნათლად: ჩვენი ცხოვრების წარუმატებლობა უბრალოდ არ იმარხება და როგორც უნდა ვეცადო, ამ წარუმატებლობას თავს ვერ ვაღწევ, გაქცევა შეუძლებელია. მაგრამ ყველაზე მეტად ეს მაბნევს: სხვები ფიქრობენ, რომ, თავისთავად ცხადია, სხვა ცხოვრებას ვერ შევთავაზებ და ამიტომ ჩემს ცხოვრებად მიაჩნიათ ის, რასაც საკუთარ თავზე ვიღებ. მაგრამ ეს არასოდეს ყოფილა ჩემი ცხოვრება! მხოლოდ იმიტომ შემიძლია გავითავისო ეს ცხოვრება, რადგან ვიცი, რომ იგი ჩემი არასოდეს ყოფილა: გავითავისო, როგორც ჩემი წარუმატებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა შეძლო და არ შეეწინააღმდეგო მათ შეცდომას, უნდა ითამაშო მონიჭებული როლი, ოღონდ მთავარია, მე არ ამერიოს რამე, ამისათვის კი ერთი მყარი საყრდენი მჭირდება.
ჩემი პროკურორი აღიარებს, რომ თავისი მეუღლისთვის ყვავილების გაგზავნა დაავიწყდა. სამაგიეროდ, მთავაზობს, კლინიკაში ვინახულო მისი მეუღლე და ჩემი ყვავილები (მისი ფულით ნაყიდი) თავად მივართვა. ჩემს მეუღლეს ძალიან გაეხარდებაო, – ჰგონია.
ბატონი შტურცენეგერი იყო აქ. მეძინა და ცოტა რომ გამოვფხიზლდი, უკვე ჩემს ნარზე იჯდა. თან ჩემი მარჯვენა ხელი – ეტყობა, ამან გამომაღვიძა – ორივე ხელით ჩაებღუჯა.

– ჩემო ძვირფასო, – მკითხა, – როგორ ხარ?
ნელა წამოვიწიე.
– გმადლობთ, – ვამბობ, – თქვენ ვინ ხართ?
იცინის.
– ველარ მცნობ?
თვალებს ვისრეს.
– ვილი! – თავის სახელს მეუბნება და ჩემგან გულითადობის ამოფრქვევას ელის; არაფერი გამოუვა, წესიერად უნდა წარადგინოს თავი; ხმაში უხალისობა ეპარება და ამბობს: – ვილი შტურცენეგერი.
– ჰო, – ვამბობ, – გამახსენდა.
– კიდევ კარგი!
– ჩემი პროკურორი მიამბობდა თქვენზე.
ეს ყოფილა თურმე შტურცენეგერი, შტილერის მეგობარი, იმ დროს ახალგაზრდა არქიტექტორი, რომელიც ეტრფოდა პრინციპულ თანამედროვეობას; დღეს წარმატებული, უდარდელი კაცი, კაცი, რომელიც ორივე ფეხით მყარად დგას მიწაზე, და, რა თქმა უნდა, როგორც მაღალ საზოგადოებაში გასულებს სჩვევიათ, ხაზგასმულად მეგობრულია.

– და შენ? – მაშინვე მეკითხება, თავისი წარმატებების შესახებ ჯერ სიტყვა არ დაუძრავს, ხელს მხარზე მადებს, – იმისთანა რა ქენი, ჩემო კარგო, რომ ამ სუბსიდირებულ ბინაში ამოგაყოფინეს თავი? როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერს არხეინად უდგება, მათ შორის, ჩემს თხოვნასაც, ნუ ვეგონები დაკარგული შტილერი.
– სერიოზულად, – ამბობს, – თუ რაიმეთი შემიძლია დაგეხმარო. კიდევ ერთხელ ვგრძნობ რაღაც შემაძრწუნებელს, უსულგულობას ადამიანურ ურთიერთობებში, რომელიც, გინდა ნაცნობობა დაარქვი და გინდა მეგობრობა, ყველაფერ ხალასს შეუძლებელს ხდის, აწმყოს მთლიანად გამორიცხავს. მე, პატიმარს, რაში მჭირდება ბანკნოტი? ეს ყველაფერი ავტომატივით მუშაობს: ზევით ჩააგდებ სახელს, სავარაუდო სახელს, და ქვევით გამოგიგდებს მასთან მოპყრობის ინსტრუქციას, გამზადებულს, ready for use ადამიანური ურთიერთობის კლიშეს, მისთვის ყველაზე ძვირფასი (ასე ამბობს) ურთიერთობისთვის

– მერწმუნე, – ამბობს, – ეგრე რომ არ იყოს, ახლა აქ, გაგანია სამუშაო დროს, შენს ნარზე არ ვიჯდებოდი.

მთელი ერთი საათი ვთამაშობთ შტურცენეგერს და შტილერს და საშინელება ის არის, რომ არაჩვეულებრივად, შეფერხებების გარეშე გამოგვდის. მისი ხუმრობაც და სერიოზულობაც ახლაც, შვიდი წლის მერეც, ისე კარგად არის შეთამაშებული მის დაკარგულ მეგობართან, რომ მე (და ნებისმიერი ჩემს ადგილზე) ძირითადად, მარტივად ვხვდები, საუბრის ამა თუ იმ ნაწილში მაშინ როგორ მოიქცა შტილერი და, შესაბამისად, ახლა როგორ მოიქცეოდა. ხანდახან ცოტა მზარავს; შტურცენეგერი სიცილით კვდება, არ ვიცი, რატომ. მან იცის, რომელ ხუმრობას გამოიყენებდა მისი დაკარგული მეგობარი ახლა აუცილებლად და მე არც მჭირდება ამ ხუმრობის გამეორება, მეტიც, საერთოდ მისი ცოდნა. ბატონი შტურცენეგერი სიცილით კვდება. შემდეგ შეგუების უხილავ ძაფებზე ჩამოკიდებულ მარიონეტს ემსგავსება, არა ადამიანს. მერე აღარც ვიცი, სინამდვილეში ვინ არის ეს შტურცენეგერი. ჩემი მხრივ ვერაფრით ვეწინააღმდეგები ამ ამბავს და ჩვენი მხიარული საუბრის დროსაც კი მელანქოლია მეძალება. მისი გამხნევება, არ დანებდეო, საერთოდ მთელი მისი გულითადობა, არის ჯამი იმ არა იქ მყოფი ადამიანისგან გამოწვეული რეფლექსებისა, რომლებიც მე არ მაინტერესებს. ერთხელ ვცდილობ, ეს ვუთხრა; ამაოდ. რადგან ყველაფერ დანარჩენს, რასაც მე, ასე ვთქვათ, ჩემს საკუთარ სიხშირეზე ვუგზავნი, მისი ანტენა ვერ იღებს, ან თავს მაჩვენებს, რომ ვერ იღებს; ასეა თუ ისე, სიგნალის მიღება არ ხდება, ხარვეზებია, რომელიც მას

აღიზიანებს და ჩემს ბიბლიაში იფურცლება.

– ერთი ეს მითხარი, – ამბობს უცებ, – როდის აქეთია ბიბლიას კითხულობ?
როგორც ვატყობ, მისი მეგობარი ათეისტი იყო, თან მაგარი მორალისტი; აბა, რატომ მიყვება შტურცენეგერი თავის მართლებით, რამდენი ფული იშოვა ბოლო წლებში? მე არაფერი დამიყვედრებია. მეორე წუთას, რადგან ხმას არ ვიღებ, ამბობს:
– ჰო-ჰო, შეიძლება, კომუნიზმში ნამდვილად დიდი იდეაა ჩადებული – მაგრამ სინამდვილე, ჩემო ძვირფასო, სინამდვილე!
თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში მიხსნის საბჭოთა კავშირი რა არის, როგორც გაზეთებში წერია, ისეთი დამრიგებლური ტონით, თითქოს მე საბჭოთა კავშირზე ვგიჟდებოდე; თითქოს რადიოს წინ ვზივარ, მესმის ადამიანის ხმა, რომელიც სიცარიელეს ელაპარაკება და იმ ადამიანს, რომელიც მას შემთხვევით უსმენს, ვერ ხედავს. საიდან უნდა იცოდეს, ვის მიმართავს? ამიტომ ვერც შეეწინააღმდეგები, ვერც ხელს დაუქნევ, ვერც მიანიშნებ, რომ შეიძლება ხანდახან ეთანხმები კიდეც. შტურცენეგერი ლაპარაკობს, როცა ვდგები და ლაპარაკობს, როცა ჩემს გისოსებიან ფანჯარასთან ვდგავარ, დიდი ხანია კრინტი არ დამიძრავს, შემოდგომის ყავისფერ წაბლის ხეს ვუყურებ. მისი უგზო-უკვლოდ დაკარგული მეგობარი (შტურცენეგერი ხომ მხოლოდ მას ელაპარაკება!) მეჩვენება, რომ ძალიან გულუბრყვილო კომუნისტი ყოფილა, უფრო ზუსტად: რომანტიკოსი სოციალისტი, რისთვისაც, ეჭვი მაქვს, კომუნისტები მადლობას ეტყოდნენ. მე, რომელიც არ ვიცნობ საბჭოთა კავშირს, თუ შემეკითხები, რომელი გირჩევნია, შტილერი თუ კრავჩენკოო, მხოლოდ მხრებს თუ ავიჩეჩ; არცერთის არ მწამს.

– სხვათა შორის, სიბილე ბავშვს ელოდება, იცოდი? ამბობს შტურცენეგერი, რომ თემა შეცვალოს და ამატებს: – ამას წინათ იულიკა შემხვდა, არაჩვეულებრივად გამოიყურება!
– მეც ასე ვფიქრობ.
– ვინ იფიქრებდა! – იცინის, – ხომ სულ გეუბნებოდი? არ მოკვდება, თუ მიატოვებ-მეთქი, პირიქით, ასეთი ჯანმრთელი არასოდეს მინახავს, ყვავის პირდაპირ.
ისევ ნაირ-ნაირ ამბებს ვისმენ.
– მოჰყევი ერთი! – ამბობს ის, – გავიგე, ნახევარი დედამიწა მოიბოდიალე. თავს როგორ გრძნობ ჩვენთან? ბევრი რამ ავაშენეთ, ჩემო ძვირფასო. მოასწარი რამის ნახვა?

– კი, – ვამბობ მე, – რაღაც ვნახე.
– მერე, რას იტყვი?
– გაოცებული ვარ, – ვამბობ მე, მაგრამ ბატონ შტურცენეგერს, არქიტექტორს, რა თქმა უნდა, ზუსტად აინტერესებს, რამ გამაოცა. და რადგან, ცხადია, ქებას ელის, ვასახელებ ყველაფერს, რისი ქებაც სუფთა სინდისით შემიძლია: რა სუფთად აშენებენ ამ ქვეყანაში, რა კოხტად, რა მდიდრულად, როგორ სერიოზულად, უნაკლოდ, კეთილსინდისიერად, გემოვნებიანად, მოწესრიგებულად, საფუძვლიანად, და ასე შემდეგ, თითქოს მარადიულობისთვის. შტურცენეგერი ყველაფერს ეთანხმება, მაგრამ აღფრთოვანებას ვერ მატყობს და მართლაც, აღფრთოვანებას არ ვგრძნობ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ ყველა ზედსართავს: კოხტა, მოწესრიგებული, კეთილსინდისიერი, სუფთა, სასიამოვნო, ლამაზი. მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც ვთქვი, მატერიალური ხარისხის მახასიათებლებია, რომელიც არის შვეიცარიული თვისება. მე ვამბობ: ეს არის ის სწორი სიტყვა, მე მაოცებს ხარისხი! მაგრამ შტურცენეგერი მთხოვს დასაბუთებას, რატომ არ ვარ აღფრთოვანებული, თუკი ყველგან ვხედავ ხარისხს. საშარო საქმეა იმსჯელო უცხო ერზე, თანაც როცა ამ ერის პატიმარი ხარ! ამ თვისებას, თავად, როგორც შტურცენეგერი ამბობს, ზომიერებას ეძახიან, რაც ნერვებს მიშლის; საერთოდ, უამრავი სიტყვა გამოუგონიათ იმ ფაქტთან შესაგუებლად, რომ სიდიადე აკლიათ. კარგია თუ არა, რომ ამას ეგუებიან, არ ვიცი. გაბედულებაზე უარის თქმა, თუკი ჩვევაში გადავიდა, სულიერ სამყაროში ხომ ყოველთვის სიკვდილს ნიშნავს, რბილ და უჩუმარ, და მაინც შეუჩერებელ სიკვდილს და მართლაც (რამდენადაც ჩემი საკნიდან და რამდენიმე ექსკურსიის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა) მგონია, რომ შვეიცარიაში დღეს სიცოცხლე არ ჩქეფს, უსულოა იმ გაგებით, რომ ადამიანი მუდამ უსულო ხდება, როცა აღარ ელტვის სრულყოფილებას. მათი აშკარა ვნება მატერიალური სრულყოფილების მიმართ, რაც კარგადაა გაცხადებული მათ დღევანდელ არქიტექტურაში, და საერთოდ ყველაფერში, მე მიმაჩნია მიღწევის გაუცნობიერებელ შემცვლელად; მათ სჭირდებათ მატერიალური სრულყოფილება, რადგან მათი იდეა არასდროს არის სუფთა, არასდროს არის უკომპრომისო. ძალიან არასწორად რომ არ გამიგოთ: პოლიტიკური კომპრომისი კი არ არის შემაშფოთებელი, რომელიც დემოკრატიას განსაზღვრავს, არამედ გარემოება, რომ შვეიცარიელთა უმეტესობას არ შეუძლია სულიერი კომპრომისის განცდა. თავს იმით შველიან, რომ სიდიადისადმი ლტოლვას, უბრალოდ დასცინიან. მაგრამ განა ასე არ არის, რომ ჩვევაში გადაზრდილი და, შესაბამისად, სიდიადეზე (მთლიანზე, სრულყოფილზე, რადიკალურზე) იაფფასიანი

უარის თქმას საბოლოო ჯამში ფანტაზიის იმპოტენციამდეც მივყავართ? აღფრთოვანების სიმწირე, საყოველთაო უხალისობა, რომელიც ამ ქვეყანაში პირდაპირ სახეში გეხეთქება, ხომ აშკარა სიმპტომებია, უკვე რა ახლოს არიან ისინი იმპოტენციასთან…

– მოდი, ისევ არქიტექტურაზე ვილაპარაკოთ! – ამბობს შტურცენეგერი. შემდეგ ვსაუბრობთ იმ უბანზე, რომელსაც ისინი ძველ ქალაქს უწოდებენ. იდეა, შეინარჩუნონ წინაპრების ქალაქი და მოუარონ მას, როგორც რემინისცენციას, ნამდვილად კეთილშობილია. და მაინც, დაიცავი საჭირო დისტანცია და ააშენე რა ჩვენი დროის ქალაქი! სინამდვილეში, როგორც მე ვხედავ, არცერთს აკეთებენ და არც მეორეს, არამედ ამ ორს შორის ლავირებით მდიდრდებიან. როგორც ამას წინათ ვნახე, ნიჭითა და სამშობლოს სიყვარულით სავსე არქიტექტორები დაახლოებით იმ მასშტაბით აშენებენ საოფისე შენობებს, როგორც მეთექვსმეტე ან მეჩვიდმეტე ან მეთვრამეტე საუკუნეში აშენებდნენ. რთული საქმეა! შეიძლება ქვიშაქვის ფილებით, შუა საუკუნეების თაღებითა და ნამდვილი ერკერებით შენიღბო რკინა-ბეტონი (როგორც სირცხვილს ნიღბავენ), მაგრამ ეს ორი რამ ვერასდროს შეერწყმება ერთმანეთს – მოწიწება და მოგება – და საბოლოო ჯამში რასაც მივიღებთ, შვებულებით ჩამოსული ზანგი ჯარისკაციც კი აღარ ჩაგვითვლის ძველ ევროპად. თქვენ თვლით, რომ ესაა ძველი ევროპა? მათი წინაპრების ვიწროქუჩებიანი ქალაქის დანგრევა, რომ თანამედროვე ქალაქისთვის გაათავისუფლონ ადგილი, ალბათ სიგიჟედ, დანაშაულად მიაჩნიათ; ალბათ ქაღალდის მთები დადგება, იმდენ აღშფოთებულ წერილს დაწერენ. სინამდვილეში კი ბევრად უფრო გიჟურ რამეს აკეთებენ: ანადგურებენ თავიანთი წინაპრების ქალაქს და სამაგიეროდ არ აშენებენ ახალს, დღევანდელს, საკუთარს. როგორ ხდება, რომ ეს უგუნურება მაშინვე თვალში ხვდება უცხოელს და არ აშინებს ადგილობრივებს? შტურცენეგერის ბრალი არ არის ძველი ქალაქის დამახინჯება, სამაგიეროდ, მაჩვენებს ციურიხის გარეუბანში, ორლიკონში, მის მიერ გაშენებული ახალი დასახლების ფოტოებს, მსოფლიოში ამ ქალაქს იცნობენ, როგორც იარაღის ექსპორტის ინდუსტრიის ადგილს; ეს არის გარდასული და, კერძოდ, საბოლოოდ გარდასული დროის მასშტაბის დასახლება, ყალბი იდილია. როგორ უნდა ავუხსნა შტურცენეგერს, რატომ მიფუჭდება განწყობა, როცა ასეთ რამეს ვხედავ? ძალიან გემოვნებიანია, ძალიან სუფთა, ძალიან სერიოზული; მაგრამ ირგვლივ კულისებია. რომ არ ვუთხრა, გული მერევა-მეთქი, საქმიანად ვეკითხები, ნუთუ შვეიცარიას მიწის ისეთი ამოუწურავი მარაგი აქვს, რომ თავს უფლებას აძლევს, კიდევ

ათწლეულები აშენოს ამ „სტილში“-მეთქი. მგონი ასე არ უნდა იყოს. რას ნიშნავს ტრადიცია? მე მეგონა, ტრადიცია ნიშნავს, რომ შენი დროის ამოცანებს შეეჭიდო იმავე გამბედაობით, როგორითაც წინაპრები ეჭიდებოდნენ თავიანთი დროის ამოცანებს. ყველაფერი დანარჩენი არის იმიტაცია, მუმიფიკაცია და თუკი თავიანთი სამშობლო ჯერ კიდევ ცოცხალი ჰგონიათ, რატომ არ ეწინააღმდეგებიან, როცა მუმიფიკაციას სამშობლოს დაცვად გვასაღებენ?..

შტურცენეგერი იცინის:
– ამას ვის ეუბნები! წლებია ვილანძღები – რა თქმა უნდა, საჯაროდ არა – ამ დროს, რომ იცოდე, ჩვენი ძველი ქალაქი ყალთაბანდობის ერთადერთი ნიმუში არ არის.
რამდენიმეს მისახელებს, რომელთა გადამოწმებაც მე, პატიმარს, არ შემიძლია. თვალში მხვდება, როგორ გულმოდგინედ მიკრავს კვერს (სამწუხაროდ ამას კარგა ხნის მერე ვხვდები), მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ჩვენი აზრები დაემთხვა ერთმანეთს, არამედ შურით და ღვარძლით; შტურცენეგერი თავისი პატარა ქალაქის მთავარ არქიტექტორს დასცინის, რომელსაც, თან აღიარებს, არცთუ უმნიშვნელო შეკვეთების მიღების გამო ემადლიერება და ნამდვილად ადამიანურია, რომ ვიღაც უცხოსთან, რომელიც მის მთავარ არქიტექტორს პირადად არ იცნობს, უსაზღვრო გულწრფელობის გამომჟღავნება სიამოვნებს. ჩემი მხრივ კი, ასევე ადამიანურია, რომ მე ესა თუ ის პიროვნება არ მაინტერესებს, არამედ იმ ქვეყნის ზოგადი სულიერი მდგომარეობა, რომლის პატიმარიც გახლავართ. მინდა შევიცნო იმის არსი, ვინც უნდა გამასამართლოს; ეს ხომ ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ესე იგი როდესაც არქიტექტურაზე ვსაუბრობთ, მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს – რამდენად ახასიათებს შვეიცარიელ ქალაქმშენებელს გაბედულება, მომავლის ხედვა იმ ერის წიაღში, რომელიც, კაცმა რომ თქვას, როგორც მე მეჩვენება, მომავალს კი არ ელტვის, არამედ წარსულს. გააჩნია შვეიცარიას მომავლის რაიმე მიზანი (შტურცენეგერს ვეკითხები)? იმის შენარჩუნება, რასაც ფლობენ ან ადრე ფლობდნენ, აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი; სიცოცხლისათვის მომავლის მიზანია საჭირო. რა არის ეს მიზანი, ჯერ მიუღწეველი, რომელიც შვეიცარიას გამბედაობას შემატებს, ფრთას შეასხამს, მომავლის იდეა, რაც ამ ქვეყანას თანამედროვეს გახდის? ერთი სურვილი აერთიანებთ, არ უნდათ, რომ რუსები შემოესიონ; მაგრამ ამის იქით: თუკი რუსების შემოსევას გადარჩნენ, რა არის მათი საკუთარი მიზანი? რა უნდათ შექმნან თავიანთი ქვეყნისგან? რა უნდა აღმოცენდეს უკვე არსებულიდან? რა არის მათი პროექტი? იქნებ

ეს იმედი შემოქმედებითი ხასიათისაა? მათი ბოლო დიდი და მართლაც ცოცხალი ეპოქა (ჩემი აღვოკატის მოხსენებების მიხედვით) იყო მეცხრამეტე საუკუნის შუა, ეგრეთ წოდებული რვაასორმოციანი წლები. მაშინ მათ ჰქონდათ პროექტი. მაშინ მათ ის ეწადათ, რაც მანამდე არ არსებულა და უხაროდათ ხვალინდელი, ზეგინდელი დღე. მაშინ შვეიცარიას ჰქონდა ისტორიული აწმყო. დღეს აქვს იგივე? გუშინწინდელის ნოსტალგია, რომელიც ამ ქვეყანაში ადამიანთა უმრავლესობას ახასიათებს, დამთრგუნველია. ეს (რამდენადაც ჩვენი ციხის ბიბლიოთეკა წარმომადგენლობითია, ესე იგი, რამდენადაც იგი შეესაბამება ოფიციალური ფონდების გემოვნებას) ლიტერატურაშიც ჩანს: უმეტეს და ალბათ უკეთეს მოთხრობებს მიჰყავხარ სოფლის იდილიაში; გლეხური ცხოვრება სულიერი სიმდიდრის უკანასკნელი სავანეა; ლექსების უმეტესობა გაურბის მეტაფორას, რომელიც შეიძლება ქალაქელის სულიერ სამყაროს ახასიათებდეს და თუკი მიწა გუთნით არაა მოხნული, პური პოეზიის ელემენტს აღარ შეიცავს; სევდა, რომ მეცხრამეტე საუკუნე სულ უფრო შორდებათ, როგორც ჩანს, არის შვეიცარიული მწერლობის ყველაზე მთავარი სათქმელი. და ასეთივეა ოფიციალური არქიტექტურაც: როგორ ზანტად და უხალისოდაც ცვლით თქვენი მზარდი ქალაქების მასშტაბს, როგორი სევდით, სიჯიუტით და დუნედ. შტურცენეგერი ამბობს:

– ჰო, ჰო, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით რომ შევხედოთ: რა უნდა ვქნა მე, არქიტექტორმა, როცა მშენებლობის შესახებ კანონი მხოლოდ სამსართულიანის აშენების ნებართვას იძლევა: სამართლიანები უნდა ვიყოთ.
რომ ვეკითხები, კი მაგრამ, ვინ წერს მშენებლობის კანონებს-მეთქი, კი არ მპასუხობს, არამედ განაგრძობს კანონის მიერ დაწესებული შეზღუდვების ჩამოთვლას, რომლებიც სრულიად შეუძლებელს ხდის თანამედროვე ქალაქის მშენებლობას და მე ბევრ ისეთ რამეს ვიგებ, რაც, როგორც არასპეციალისტმა, არ ვიცოდი, ოღონდ პასუხს ვერ ვიღებ შეკითხვაზე, რატომ არ ცვლიან არსებულ კანონებს. შტურცენეგერი ამბობს: ჩვენ ვცხოვრობთ დემოკრატიულ ქვეყანაში! მე მისი არ მესმის. მაშ, რაში მდგომარეობს დემოკრატიული კონსტიტუციის თავისუფლება, თუ არა სწორედ იმაში, რომ ხალხს აძლევდეს უფლებას, როცა საჭიროა, შეცვალოს კანონები დემოკრატიული სულისკვეთებით, რათა თავი დაიმკვიდროს შეცვლილ ეპოქაში. საკითხავი მხოლოდ ისაა, ეს უნდათ თუ არა. ღმერთმა დამიფაროს სახიფათო აზრისგან, რომ დემოკრატია ისეთი რამ არის, რაც ცვლილებას არ ექვემდებარება და კიდევ მათი

მეორე აზრისგან, რომ მაშინ იქნები მამებივით თავისუფალი, თუკი მამების გადასწრებას არ მოინდომებ. რას ჰქვია რეალისტური? შტურცენეგერი სულ იმეორებს: იდეები, იდეები მშვენიერია, მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ. რას ნიშნავს ეს? მართალია, როდესაც მისი დასახლების ორსართულიან რომანტიკაზე ვსაუბრობთ, შტურცენეგერი, პროფესიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, აღიარებს, რომ მომავალში ძნელი იქნება ისე ცხოვრება, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში და რომ ყველაზე დიდი ყალთაბანდობაა ის, თუ როგორ აქცევენ სოფლად თავიანთ პატარა ქვეყანას ასეთი დასახლებებით; ამიტომ ვსვამ ისევ და ისევ ჩემს მარტივ შეკითხვას: რაში მდგომარეობს თქვენი ახალი იდეა? ისტორია არ გაჩერდება, როგორც უნდა სწადდეთ ეს შვეიცარლებს. როგორ გინდათ დარჩეთ ისეთები, როგორებიც ხართ, თუკი არ ივლით ახალ გზაზე? მომავალი მაინც მოვა. როგორი გინდათ იყოს თქვენი მომავალი? იდეის არქონა რეალისტობა არაა.

მისმა ღიმილმა, მისმა უდარდელმა გამომეტყველებამ იქამდე ბევრად აღრე ამიშალა ნერვები, ვიდრე ეს ყველაფერი ჩხუბში გადაიზრდებოდა; სერიოზულობისგან ფერი არ ედო, სანამ თავისი მთავარი მშენებლის პერსონაზე ქილიკობდა, და კიდევ, სანამ მხოლოდ იდეებზე ვსაუბრობდით. უმანკო სულის გულგრილი მხიარულებით სავსე, აი, თურმე, ვინ ყოფილა ეს ბატონი შტურცენეგერი, ჩემი პროკურორის არქიტექტორი, შტილერის მეგობარი.

– ჩემო ძვირფასო, – თქვა ბოლოს, ხელი ჩემს მხარზე ედო, იცინოდა, – საერთოდ არ შეცვლილხარ!
მე ჩუმად ვარ.
– სულ რაღაცას ანგრევ! – დაამატა: – სულ დესტრუქციული ხარ! ჩვენ ხომ გიცნობთ – შე ბებერო ნიჰილისტო!
ამაზე პირდაპირ ვეუბნები (უხეში გამონათქვამია, მაგრამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგაც არ მახსენდება უკეთესი სიტყვა ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც ეს ბატონი შტურცენეგერია, თავად უდარდელად გულგრილი, საკუთარი კეთილდღეობის გარდა მიზანი რომ აღარ გააჩნია და სხვის ნიჰილიზმზე ლაპარაკობს, როგორც კი სხვას რამე მოუნდება), შე პროჭო-მეთქი და ერთი ამას უყურე, ისევ იცინის, კიდევ ერთხელ მიკაკუნებს მხარზე და იმედი აქვს, რომ მალე „ჩვენს ძველ დუქანში, ხო იცი, სად!“ შევხვდებით... შემდეგ, როცა მარტო ვრჩები ჩემს საკანში, კიდევ ბევრჯერ ვიმეორებ ამ გამოთქმას. ამ შტურცენეგერისნაირი ტიპები (და ჩემი ადვოკატისნაირები) იუმორის გრძნობას მაკარგვინებენ; ეს არის, რასაც მათ ვერ ვპატიობ.

იულიკა დამესიზმრა: – ბულვარზე კაფეში ზის, შეიძლება შანზ-ელიზეა, ფურცლებითა და კალმისტრით, სკოლის გოგონასავით, რომელსაც თხზულება აქვს დასაწერი, მისი მზერა მემუდარება, არ დაიჯერო, რასაც გწერო, რადგან აიძულებენ ამის დაწერას, მზერით მემუდარება იძულებისგან ვიხსნა...
დღეს კლინიკაში.
სიბილე (ჩემი პროკურორის მეუღლე) ალბათ ოცდათხუთმეტიოდე წლის ქალია, შავი თმა აქვს და ცისფერი, ძალიან ღია ფერის და ცოცხალი თვალები, დედობას დაუმშვენებია, – ახალგაზრდობა და სიმწიფე ერთ პიროვნებაში. ამ მდგომარეობაში ქალებს თითქოს სინათლის შარავანდედი ადგათ, რაც უცხო მამაკაცებს აბნევს. სახე გარუჯული აქვს და როცა იცინის, ჯიშიან პირში შესაშურად უნაკლო კბილები უჩანს. საბედნიეროდ, მისი ახალშობილი ოთახში არ იყო. გამოვტყდები, არ ვიცი, ახალშობილს როგორ უნდა მოვეპყრა. როცა ექთანმა ორმაგ კარებში შემიყვანა, სიბილე გარეთ, აივანზე იჯდა ლურჯი მილებისგან გაკეთებულ სავარძელში. ლიმონისფერი ხალათი (მეხუთე ავენიუ, ნიუ-იორკი) ძალიან უხდება. სავარძელში გასწორდა, მუქი მზის სათვალე მოიხსნა და რადგან ექთანი უფრო მოზრდილი საყვავილის მოსაძებნად გავიდა, მაშინვე მარტო დავრჩით. რაღაცნაირად სასაცილოდ მეჩვენებოდა საკუთარი თავი ამ ჩემი ყვავილებით. გარდა ამისა, სამწუხაროდ, ისევ თავისი მუქი მზის სათვალე გაიკეთა, ასე რომ, მის მზერას ვეღარ ვკითხულობდი. სიბილეს მეუღლემ, ჩემმა პროკურორმა, ოცი ფრანკი ჩამიკუჭა, ასე რომ, ბედნიერი დედის წინაშე აბრეშუმის ქაღალდში მოშრიალე, ლინოლიუმის კიბეზე მოთახთახე გლადიოლუსების დიდი თაიგულით წარვდექი. მადლობა ღმერთს, ექთანს დიდი ხანი არ დასჭირვებია, სანამ უგემოვნო, მაგრამ მოზრდილი ლარნაკით დაბრუნდებოდა. პატარა საქმე არ იყო გაჩხიკინებული გლადიოლუსების მოთვინიერება (ვარდები მერჩივნა, მაგრამ, რადგან ფული ჩემს პროკურორს გამოვართვი, ცოტა მეძვირა). სამხრის დრო იყო, ექთანმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ პირდაპირ ციხიდან მოვდიოდი და შესაშური სისხარტით მკითხა, ფუნთუშას ამჯობინებთ თუ ტოსტის პურსო. როგორც იქნა, ისევ მარტო დავრჩით, ამჯერად საუბარს მალე ვერავინ შეგვაწყვეტინებდა.

– შტილერ, – თქვა მან, – რაებს შვრები, რა დღეში ხარ!

მე მისი ნათქვამი გლადიოლუსებს დავუკავშირე. ის კი თურმე ჩემ მიერ შტილერობაზე უარის თქმას გულისხმობდა. მუქი მზის სათვალე მოიხსნა და მე დავინახე მისი ნათელი, სითბოთი სავსე თვალები. გინდაც სულ

ცოტა ხნის წინ თავისი მეუღლისგან გაეჩინა ბავშვი, გონების დამბინდავი იყო წარმოდგენა, ამ ქალს ვყვარებოდი. რა თქმა უნდა, კვლავ უარზე ვიდექი. წინ ვეჯექი, მარცხენა ფეხი მარჯვენა მუხლზე მქონდა გადადებული, ორივე ხელით მარცხენა მუხლს ვეყრდნობოდი, და პარკის ძველ ჭადრებს გავცქეროდი, სანამ სიბილე გამომცდელად მაკვირდებოდა.

– როგორი ჩუმი გამხდარხარ, – თქვა მან, – იულიკა როგორაა?

ბევრ კითხვას სვამდა.

– რატომ დაბრუნდი?

უცნაური დღე იყო, ჩაის ვსვამდით, მოსაღამოვდა, ტოსტისა და ფუნთუშებისთვის ხელი არ გვიხლია; ჩემი დუმილი (რა უნდა მეთქვა?) აიძულებდა, თავად მოეყოლა რამე. ექვს საათზე, გადადება არ შეიძლებოდა, ახალშობილისთვის უნდა ეჭმია.

მათ უგზო-უკვლოდ დაკარგულ შტილერს ახლა საკმაოდ მკაფიოდ ვხედავ: მგონი ძალიან ქალური უნდა იყოს. მას ჰგონია, რომ ნებისყოფა არ აქვს, ამ დროს, გარკვეული აზრით, პირიქით, ძალიან დიდი ნებისყოფა აქვს და მას კარგადაც იყენებს; უარს ამბობს საკუთარ მეზე. მისი პიროვნება ბუნდოვანია; ამიტომ აქვს მიდრეკილება რადიკალიზმისკენ. საშუალო ინტელექტის პატრონია, მაგრამ გონებას არ ავარჯიშებს; ურჩევნია, იდეებს დაეყრდნოს და ინტელექტს არ ავითარებს, რადგან ინტელექტი გადაწყვეტილებებს მოითხოვს. ხანდახან საკუთარ თავს საყვედურობს, მხდალი ხარო, შემდეგ ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომელთაც მერე ვეღარ ასრულებს. მორალისტია, როგორც თითქმის ყველა, ვინც საკუთარ თავს უარყოფს. ხანდახან თავს უაზრო ხიფათში იგდებს ხოლმე და სიკვდილსაც კი ეთამაშება, რომ საკუთარ თავს დაუმტკიცოს, მებრძოლი ვარო. მდიდარი ფანტაზია აქვს. დაავადებულია არასრულფასოვნების კლასიკური შიშით, რომელიც საკუთარი თავის მიმართ გადაჭარბებული მოთხოვნებითაა გამოწვეული და მისი ძირითადი გრძნობა, რომ რაღაცას ბოლომდე ვერ ასრულებს, ღრმა სულიერება და რელიგიურობაც კი ჰგონია. სასიამოვნო ადამიანია, მომხიბლავი და მშვიდობიანი. თუკი მომხიბვლელობით ვერ მიაღწია მიზანს, უკან იხევს და მელანქოლია იპყრობს. ჭეშმარიტებას ელტვის. ჭეშმარიტების დაუცხრომელი მოთხოვნილება აქვს, რაც, მის შემთხვევაში, სიყალბის განსაკუთრებული სახითაა გამოწვეული; ასეთ დროს ადამიანი მზადაა, სული გაიშიშვლოს, რათა გადალახოს ის ერთადერთი მტკივნეული წერტილი, იყოს უფრო ნამდვილი, უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე სხვა ადამიანები. მან არ იცის, ზუსტად სად ძევს ეს წერტილი, ეს შავი ხვრელი, რომელიც მუდამ თავს ახსენებს და ეშინია

მაშინაც, როცა მას ვერ ხედავს. მუდამ მოლოდინში ცხოვრობს. უყვარს, როცა ყველაფერი ჰაერშია გამოკიდებული. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ყველგან, სადაც უნდა იყვნენ, ჰგონიათ, რომ სხვაგან უკეთესია. იგი შინაგანად გაურბის „აქ“ და „ახლას“. არ უყვარს ზაფხული, საერთოდ, აწმყო, უყვარს შემოდგომა, დაისი, მელანქოლია, წარმავლობაა მისი სტიქია. ქალებს ამ კაცთან ყოფნისას იოლად უჩნდებათ განცდა, რომ მათი ესმით. მამაკაცი მეგობარი ცოტა ჰყავს. კაცებს შორის თავს მამაკაცად ვერ გრძნობს. მაგრამ თავისი ძირითადი შიშის, ხელმოცარულობის გამო ქალებსაც უფრთხის. უფრო მეტს იპყრობს, ვიდრე შენარჩუნება შეუძლია და თუკი პარტნიორი მის საზღვრებს იგრძნობს, გამბედაობას კარგავს; მას არ უნდა, არ შეუძლია, უყვარდეთ როგორც ის ადამიანი, რომელიც ის არის და ამიტომ, უნებურად, უდიერად ექცევა ყველა ქალს, რომელსაც იგი ჭეშმარიტად უყვარს, რადგან, სიყვარულს სერიოზულად რომ მიუდგეს, მაშინ, შესაბამისად, იძულებული იქნება, საკუთარი თავიც მიიღოს – ამისგან კი იგი ძალიან შორსაა!

ამ ქვეყანაში ჩამოსვლას ვერ ასწრებ, რომ კბილები გიფუჭდება. ვამბობ თუ არა, კბილი მტკივა-მეთქი, მაშინვე შტილერის კბილის ექიმთან მიმაქანებენ. ვითომ სხვა ექიმი არ არსებობდეს! მის სახელს უმალვე პოულობენ იმ გადაუხდელ ანგარიშებში, რომლებიც ჩემს ადვოკატს საქმეში უდევს. მაშინვე რეკავენ. საბედნიეროდ (და აშკარად ჩემი ადვოკატის საუბედუროდ), ირკვევა, რომ კბილის ექიმი ცოტა ხნის წინ გარდაცვლილა. მის მემკვიდრესთან მწერენ, ანუ კაცთან, რომელსაც შტილერი არასოდეს უნახავს და ვერ დაიწყებს მტკიცებას, რომ მიცნო.

მეექვსე რვეული

დაკარგული შტილერის ატელიე – როგორც ქალბატონი სიბილე, ჩემი პროკურორის მეუღლე აღწერს – დიდი, ნათელი სივრცე უნდა ყოფილიყო, ამ ქალაქის ძველ უბანში, რომელიღაც სახლის სხვენზე, სივრცე, რომელიც თვით ისეთი პრაქტიკული დანიშნულების ავეჯის სიმცირის გამო, რომელზეც სიბილე ქუდსა და ხელჩანთას ჩამოდებდა, იმაზე კიდევ უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მისი ვარაუდი: – ათი მეტრი თხუთმეტზე! – ალბათ გადაჭარბებულია, ისევე როგორც სიბილეს მთელი მოგონება ამ ატელიეზე. ნაძვის ფიცრის მოჭრიალე იატაკს აქა-იქ ღრიჭოები გასჩენოდა, დამრეცი ჭერის ქვეშ კი, რომელზეც სიბილეს არაერთხელ მიურტყამს თავი, რაღაც სამზარეულოს მსგავსიც არსებულა, წითელი ტერაცოსგან ჩამოსხმული ქვით მოპირკეთებული, პატარა

გაზქურითა და ჭრელაჭრულა ჭურჭლით სავსე კარადით. დივანიც მდგარა; შტილერი ხომ ატელიეში ცხოვრობდა; კიდევ – წიგნების თარო, რომელზეც სიბილემ, ბიურგერული ოჯახის ქალიშვილმა, პირველად ნახა კომუნისტური მანიფესტი, მის გვერდით წარმოდგენილი იყო ტოლსტოი „ანა კარენინათი“, ხშირად ნახსენები კარლ მარქსის რომელიღაც თხზულება, კიდევ ჰიოლდერლინი, ჰემინგუეი, ასევე, ჟიდი და და სიბილესაც უჩუქნია რამდენიმე წიგნი, რამაც ამ ბიბლიოთეკის სიჭრელეს თავისი შემატა. ხალიჩები, მგონი არ ეფინა. სამაგიეროდ, სიბილეს ახსოვს ღუმლის გრძელი საკვამურის ხუთივე მუხლი, ძალიან რომანტიკული დეტალი. და ყველაზე კარგი: გაბედული ნაბიჯით (ამისათვის ქალს ალბათ ვიწრო ქვედაკაბა ცოტათი უნდა აეწია) შეგეძლო გარეთ გასულიყავი, დაჟანგულმოაჯირიან, ხავსიან-კენჭებიან ვერანდაზე, თეთრ ფეხსაცმელებზე გუდრონი ეკრობოდა და ესეც ძალიან რომანტიკულად ეჩვენებოდა: სახურავის ღარში მოღულუნე მტრედები, ირგვლივ ფრონტონები, ლუკარნები, და ბუხრები და ხანძრისგან დამცავი კედლები, კატები, მოფარფატე სარეცხი და ეკლესიის ზარების გუგუნი. ერთ დროს სათნოების სახლში ნაყიდი სავარძელი, სამწუხაროდ, უკვე გამოუსადეგარი იყო; ქსოვილი ისე იყო დაძენძილი, რომ ჯობდა, ნაგვის ყუთზე დამჯდარიყავი, რაც სიბილესთვის, ჩემი პროკურორის მეუღლისთვის, ეტყობა, ასევე განსაკუთრებით მომხიბლავი იყო. ყოველ შემთხვევაში, შთაბეჭდილება რჩება, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინცდამაინც ცუდად არ ახსენდება ის ატელიე. შიგნით იდგა, ბაბუებს რომ უყვართ, ისეთი სარწეველა სავარძელი, იქ ჯდომა და რწევა ძალაუნებურად ქმნიდა მოდუნების, სრული მოდუნების განწყობას და სიბილესთვის, რომელიც თავისი დალაგებული სახლიდან მოდიოდა ატელიეში, იქაურობა წარმავლობის ჯადოსნობას მოეცვა. ონკანზე შლანგი მუდამ ზონრით იყო დამაგრებული, ფარდა ლურსმნებზე ეკიდა, მის უკან იდგა მძიმე სახსრებიანი ჩემოდანი, რომელიც ახლა თეთრეულის სკივრის ფუნქციას ასრულებდა. საითაც გაიხედავდი, ამ ატელიეში აღგაგზნებდა გრძნობა, რომ, როცა გინდა წამოხტებოდი და სულ სხვა ცხოვრებას დაიწყებდი, ანუ ზუსტად ის გრძნობა, რაც მაშინ სიბილეს სჭირდებოდა.

მისი პირველი ვიზიტი თავდასხმას ჰგავდა.
„ერთი წუთით შემოვირბინე!“ – თქვა მან და თავად არ სჯეროდა, რომ ამ სიტყვების მერე შუაღამემდე დარჩებოდა. „ერთხელ ხომ უნდა ვნახო, როგორ მუშაობ და სად ცხოვრობ...“ შტილერი გაუპარსავი დახვდა, ამიტომ ცოტა დაბნეული. ჩინძანო დაუსხა. და სანამ თვითონ ფარდის უკან

წვერს იპარსავდა, სიბილე კედლებს ათვალიერებდა: აფრიკული ნიღაბი, კელტური ნაჯახის ნამტვრევი, იოსებ სტალინის სურათი (რომელიც შემდეგ სადღაც გაქრა) და ტულუზ-ლოტრეკის ცნობილი პლაკატი, გარდა ამისა, ტორეადორის ორი ფერადი და გახუნებული ისარი ესპანეთიდან. „ეს რა არის?“ – იკითხა სიბილემ. „ეს ხარების ბრძოლისას გამოიყენება“, – მოკლედ აუხსნა მან, წვერის პარსვა ჯერ არ დაემთავრებინა. „აჰა, – თქვა სიბილემ სხვათა შორის, – შენ ხომ ესპანეთში იყავი, შტურცენეგერმა შენზე მაგარი ისტორია მოჰყვა...“ სარწეველაში იჯდა და იცინოდა: „შენ და რუსული ავტომატი!“ მისმა დუმილმა აგრძნობინა, რომ აწყენინა, ბუნებრივია, შეწუხდა. „შტურცენეგერი იდიოტია, – თქვა შტილერმა ფარდის უკნიდან, – ყველგან თავს იწონებს ამ სულელური ისტორიით“. „არ არის მართალი?“ „ყოველ შემთხვევაში, ისე არა, როგორც შტურცენეგერი ჰყვება“, იმდენად უხალისოდ უპასუხა შტილერმა, რომ სიბილეს აღარ უკითხავს რუსული ავტომატის ისტორიის შესახებ. სხვა თემაზე უნდოდა საუბრის გადატანა და თქვა: „მაგრამ ესპანეთში ხომ იყავი“. სიბილე საკუთარ თავზე ბრაზობდა; მართლა შეიძლებოდა გეფიქრა, აქ იმიტომ მოვიდა, შტილერს ესპანეთის ამბები გამოჰკითხოსო... პირველად ერთმანეთის ეგრეთ წოდებულ ხელოვანების კარნავალზე შეხვდნენ, მაშინ ერთიმეორის სახელები არ იცოდნენ, ამიტომ არაფერს შეუბოჭავთ, ერთმანეთს ცოტა მოეფერნენ და ეს სამიოდე კვირის წინ იყო, მაშინდელი მოფერება მერე, როცა სინამდვილეში შეხვდნენ ერთმანეთს, თითქოს დაუჯერებლად ეჩვენათ, ეს გრძნობა თითქმის არ განსხვავდებოდა სიზმრის იდუმალი მოგონებისგან, რომელიც სხვას ვერ ეცოდინება. შემდეგ, როცა შტურცენეგერმა თავის მეგობარს ქალის სახელი გაუმხილა, ცნობისმოყვარეობამ არ მოასვენა, როგორ გამოიყურებოდა ნაკოცნი სახე ნიღბის გარეშე და შეხვედრა გარდაუვალი იყო; აპერიტივზე შეხვდნენ, რადგან უნიღბოდ მეტი სათქმელი ჰქონდათ ერთმანეთისთვის, გაისეირნეს. მას შემდეგ ერთი კვირაც არ გასულიყო, როგორც ჩანს, ამ გასეირნებამაც უბიძგათ მოფერება, რაც ახლაც, სიბილე რომ მის ატელიეში იდგა, თითქმის დაუჯერებელი ჩანდა, თითქოს დიდად არ განსხვავდებოდა კარნავალის მოგონებისგან, ანუ სიზმრის იდუმალი მოგონებისგან, რაც სხვას ვერ ეცოდინება. ამიტომაც იყვენ შებოჭილები, უხერხული საუბარიც ამის ბრალი იყო!.. „ესე იგი აქ მუშაობ?“ იკითხა სიბილემ და თავადაც სულელური მოეჩვენა ეს ისედაც ზედმეტი კითხვა. ქანდაკებებს შორის დადიოდა, ცოტათი ეშინოდა, მაგრამ მზად იყო იმ შემთხვევისთვის, თუ შტილერი თავის ნამუშევრებს წარუდგენდა. „ხომ იცი, – თქვა მან, – რომ ხელოვნების არაფერი გამეგება?“ „როგორ

გამიმართლა“, – თქვა შტილერმა ფარდის იქიდან და საუბარი თავად გადაიტანა სხვა თემაზე. „შენით დაისხამ ხომ, ჩინძანო დასალევადა დგას მანდ“. სიბილემ დაისხა. ჭიქით ხელში იდგა თაბაშირის რომელიღაცა ქანდაკების წინ, როცა უკვე გაპარსული შტილერი გამოვიდა და თქვა: „ეს ჩემი ცოლია“. ეს იყო მაღალ, სვეტივით ყელზე დამაგრებული თავი, უფრო ლარნაკი, ვიდრე ქალი, სიბილეს უცნაურად მოეჩვენა და უხაროდა, რომ მისგან შეფასებას არ ელოდნენ“. „საშინელება არაა ეს შენი ცოლისთვის? – მაინც იკითხა, – მე საშინლად არ მომეწონებოდა, ასე თუ გარდამქმნიდი ხელოვნებად!“ და ამით საუბარი მის საქმიანობაზე, ფაქტობრივად, ისე დამთავრდა, ახალი თემაც არ მოჰყოლია. მერე ისე იდგნენ, თითქოს ჩინძანოს გასასინჯად შეხვდნენ ერთმანეთსო, მეტი არაფერი, ორივე იმაზე რამდენადმე სულელი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო და ეს ალბათ იმიტომ, რომ, გასაგებია, ორივეს ეშინოდა, ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობთ და ოდნავ მაინც რომ წაგვიცდეს ხელი, შეხება ისევ გადაიზრდება ნამდვილ მოფერებაშიო. „რატომ გაინტერესებს რუსული ავტომატის ამბავი?“ ჰკითხა შტილერმა. სიბილეს ეს ამბავი არც იმაზე მეტად აინტერესებდა, ვიდრე მისი უცნობი წარსულის რაიმე სხვა ამბავი და არც იმაზე ნაკლებად. თავად შტილერი იყო, ესპანეთის მოგონებას თავს რომ ვერ აღწევდა, ეს წვეტიანი, გახუნებული, ჭრელი ისრებიც ამას მოწმობდა. რუსული ავტომატის ისტორია რომ არ მოეყოლა, რომელიც, როგორც ჩანს, თავად ეუხერხულებოდა, შტილერმა ესპანური ხარების ბრძოლის მოყოლა დაიწყო, თან დაწვრილებით, ჩინძანოს ჭიქა სადღაც დადგა, რომ ხელები თავისუფალი ჰქონოდა. გადაჯვარედინებული ისრები, სხვათა შორის, კედლიდან არ ჩამოუხსნია, მგონი, თავად ეშინოდა მათი. „ჰო-ჰო, – ამბობდა სიბილე შიგადაშიგ, – გასაგებია!“ შტილერი, ეტყობა, გიჟდებოდა ხარების ბრძოლაზე და, სიბილეს აზრით, მას აღფრთოვანება უფრო შვენოდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა ნიღაბი. „და ახლა, – უხსნიდა შტილერი, – ახლა მოვა მატადორი!“ სიბილესთვის ხარი უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო. „აქამდე სად იყო? – თქვა მან, – ხარი ხომ უკვე მკვდარია?“ კარგად არ უსმენდა, უფრო სახეზე უყურებდა; შტილერმა მთელი რეპორტაჟი თავიდან გაიმეორა. რატომ იყო ასეთი აუცილებელი, რომ სიბილეს ესპანური ხარების ბრძოლა წარმოედგინა? „შემომხედე! – თქვა შტილერმა, – მე ვარ ხარი“. ატელიეს შუაგულში დადგა და სიბილე სარწეველადან ააყენა, რომ ტორერო განესახიერებინა. სიბილეს როლების ასეთ გადანაწილებაზე გაეცინა. საერთოდ არ ჰქონდა ხარის მოკვლის სურვილი. შტილერს კი მოსწონდა ამ სცენის წარმოდგენა; სიბილეს თავისი პატარა ქუდის მოხსნაც კი არ დასჭირვებია, პირიქით, ტორერო რაც უფრო პატარაა, მით უკეთესი.

მოკლედ, პირველი ხარი შემოდის არენაზე და სიბილეს უნდა წარმოედგინა: ირგვლივ მზით განათებული ქვიშის თვალისმომჭრელი კაშკაში, სიცოცხლე და სიკვდილი, სინათლე და ჩრდილი ყოფს არენას, ირგვლივ ხალხით სავსე თაღები, ყვავილების მდელოსავით ჭრელი და მოგუგუნე; უეცრად ხმაური წყდება, რადგან ახლა სიბილე, ანუ ტორერო, ხარს უახლოვდება. სინამდვილეში რამდენიმე კაცი ახელებს ხარებს წითელი ბაირაღებით, მაგრამ შტილერი ახლა მხოლოდ სიბილეს უნდა დასჯერდეს. კუპრივით შავი ხარი უზარმაზარი ძაბრივით სივრცის შუაგულში დგას, ბრძოლა თამაშით იწყება, ბალეტს წააგავს, აფრიალებული ბაირაღები, სხვათა შორის, ძალიან წითელი არ არის, შეიძლება მზემ გაახუნა, უფრო ვარდისფერია, მაგრამ, მოკლედ რომ ვთქვათ, ხარმა კარგად არ იცის, რა უნდა ქნას და მხოლოდ ზერელედ იცავს თავს, სიცარიელეში ერჭობა რქებით, უცებ ჩერდება და მტვერს აყენებს. აქამდე ეს მხოლოდ ხუმრობაა, მეტი არაფერი, ფლირტი, და მშვენივრად შეიძლებოდა აქვე დამთავრებულიყო ყველაფერი, შავი ხარი არ დაშავებულა და სადმე წყნარად მოხნავდა ანდალუზიურ ყანას. სიბილეს საზიზღრობად მოეჩვენა პიკადორების ისტორია, რომლებიც თავიანთი საცოდავი ჯაგლაგებით მოდიან, ხარს კისერში შუბებს ურჭობენ, რომ ბრძოლის ჟინით აღაგზნონ. სიბილემ უნებურად ქუდი მოიხადა; ამოფრქვეული სისხლის შადრევანი, მეწამული სისხლის, რომელიც აქოშინებული ცხოველის შავ ბეწვზე მოჩქეფს და ლაპლაპებს, სიბილეს საშინლად ანერვიულებდა. მერე ირწმუნებოდა, სინამდვილეში ვერასოდეს ვუყურებ ხარების ბრძოლასო. მაგრამ ეს შტილერისთვის, ესპანეთის ყოფილი მებრძოლისთვის, ბევრს არაფერს ცვლიდა, დაჭრილი ცხოველი ბებერ ჯაგლაგს ეცა, გახელებულმა რქებზე შემოიგდო და როცა გაფატრული მუცლიდან ნაწლავები გირლანდებივით გადმოიყარა და ცხენი არენიდან გაათრიეს, სიბილე ფეხზე ვეღარ იდგა. „გაჩუმდი!“ – თქვა და ორივე ხელი სახეზე აიფარა. მაგრამ ახლა ხომ შეუდარებლად ლამაზი და ელეგანტური მომენტი დგებაო, თქვა შტილერმა, ჭრელი ისრების ფაზა, სიბილეს ხომ ეს აინტერესებდა, მაგრამ რადგან დივანზე დაჯდა და ადგომას აღარ აპირებდა, შტილერს როლი უნდა შეეცვალა, ხარი მის წარმოდგენას გადაულოცა, რათა ისრების გამოყენება ეჩვენებინა. მაგრამ შტილერს ისრები კედლიდან არ ჩამოუხსნია; როგორც გითხარით, მგონი, მათი ეშინოდა, თითქოს თავად გამოეცადა ხარებთან ბრძოლა. სცენას რეკვიზიტების გარეშე თამაშობდა; კერძოდ: ორივე ხელი ზევით, რაც შეიძლება გრაციოზულად, დაჭიმული სხეული ფეხის წვერებზე, რომ უფრო მეტ სიმაღლეს მისწვდომოდა, მუცელი შეწეული, რომ გამოქანებულმა ხარმა წვეტიანი რქები არ ატაკოს და

შუაზე არ გაფატროს და შემდეგ, – ახლა სიბილეს ყურადღებით უნდა ეყურებინა, რადგან ელვის სისწრაფით უნდა გაერჭო ჭრელი შუბები კისერში, სულერთი კი არ იყო, სად გაურჭობდა ხარს, არამედ შიგ კისერში, გრაციოზულად, ზუსტად. სიბილეს გაუჭირდა აღფრთოვანების გაზიარება, შტილერი იმეორებდა: „ძალიან მაგარია!“ და არ მოასვენა, სანამ თავის დაქნევით მაინც არ დაიმოწმა, რომ სიკვდილის მოლოდინის ფონზე გრაციოზულობა მართლაც სერიოზული მიღწევაა. „და ხარი? – კითხვაზე ეტყობოდა, რომ სიბილე ხარის მხარეს იყო, – და ხარი?“ ხარმა ალბათ იგრძნო, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო და ანდალუზიური ყანის ხვნა აღარ მოუწევდა; სისხლში მოთხვრილი, კისერში ექვსი ასეთი ისრის მოქანავე კონა, რომლებიც ბასრი კაუჭით კიდია ხორცზე, ხარი დგას, უკვე ეტყობა დაქანცვის პირველი ნიშნები, ებრძვის ტკივილს, უნდა ჩამოიბერტყოს ჭრელი ისრების კონა, მაგრამ ამაოდ. შტილერმა სიბილეს ისრების ბასრი კაუჭები აჩვენა. „და ეს არის ლამაზი?“ – ჰკითხა მან. შტილერს „ლამაზი“ არ უხსენებია, მაგრამ ჩანდა, რომ რაღაცა აღაფრთოვანებდა, შეიძლება ტკივილიც, თითქმის პირადი. ქალბატონისგან განსხვავებით, არავის მხარეს იყო; მაგრამ ამ ამბავს უფრო ხარის პოზიციიდან განიცდიდა. ერთხელ ხელიც კი წაივლო კისერზე, თითქოს თავად ეწვნია ჭრელი, ბასრი მახვილების კონა. და მერე, შენიშნა მშრალად, ასე გადადის ბრძოლა საბოლოო რაუნდში. სიბილემ ბოლო რაუნდს დივნიდან უყურა, იმის თავიც აღარ ჰქონდა, ტუჩებში დიდი ხნის გაჩრილი სიგარეტისათვის მოეკიდებინა. „გმადლობ, – თქვა და დანჰილის ვერცხლის კვესი დაანახვა, – მაქვს ცეცხლი“. ბოლო რაუნდი! შტილერმა განმარტა: გრაციოზულობა შიშველი ძალის წინააღმდეგ, სინათლე სიბნელის წინააღმდეგ, სული ბუნების წინააღმდეგ. სული გვევლინება ვერცხლისფერ-თეთრი მატადორის სახით, წითელი ბაირაღის ქვეშ ბასრი იარაღი, მოსაკლავად არა, ო, არა, არამედ გამარჯვებისთვის, სიკვდილის უკიდურესი საშიშროების სვლებთან გასამკლავებლად, სათითაოდ ყველა მათგანთან გასამკლავებლად, ისე რომ ნაბიჯით არ დაიხიო უკან, ელეგანტურობაა ყველაფერი, ლაჩრობა უარესია, ვიდრე სიკვდილი, აქ სული ებრძვის ხორციელ ცხოვრებას და მერე, როცა ყველა განსაცდელს გაუძლებს, გაუძლებს ხელოვნების ყველა წესის მიხედვით, მხოლოდ მაშინ აქვს უფლება, გამოიყენოს თავისი ბასრი იარაღი; არენა სიჩუმეს აუვსია, ქანცგაწყვეტისგან გაცოფებული ხარი კიდევ ერთხელ ხედავს წითელ ბაირაღს, მირბის, ვერცხლისფერ-თეთრი მატადორი დგას და ხანჯალი გარჭობილია, ხალხი სიხარულის ყიჟინას სცემს, ხარი კი გაჩაჩხული ფეხებით დგას, ელოდება, უცებ ფეხები ეკეცება და გვერდზე ვარდება,

რომ სიკვდილს შეეგებოს; თვალები ამოუტრიალდება, ფეხებს გაფშეკს, დანარჩენი უძრავი კოშტია, შავი მასა, არენიდან ქუდები მოფრინავს, ყვავილები, ქალის ხელთათმანები, სიგარები, წნული ბოთლები, ფორთოხლები... ბოლოს სიბილეს დანჰილის ვერცხლის კვესი დასჭირდა და საუბარი დაუმთავრებელი დარჩა.

ერთმანეთს არ მოფერებიან.
„შენი ცოლი მოცეკვავეა?“ – ჰკითხა ერთხელ სიბილემ, ბევრი არაფერი გაუგია ამ ქალზე, რომელიც შტილერმა ლარნაკად აქცია, მისი საქციელით თუ ვიმსჯელებთ, მართლა ლამაზ, უცნაურ, მკვდარ ლარნაკზე იყო დაქორწინებული შტილერი, უსულო საგანზე, რომელიც მხოლოდ მაშინ არსებობდა, როცა ის მასზე ფიქრობდა და შტილერს ამწუთას საერთოდ არ უნდოდა მასზე ფიქრი. მეორე მხრივ, არც სიბილეს უამბნია როლფზე უფრო მეტი. ყოველ შემთხვევაში, მას ერთი რამ არ უხსენებია: რომ როლფი, მისი ქმარი, იმ საღამოს ლონდონში იყო და მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდებოდა. რატომ უნდა დაებნია შტილერი! თავადაც საკმაოდ დაბნეული ჩანდა ამ „თავისუფლების“ შეგრძნებით... „შტურცენეგერმა ჩვენი პროექტი გაჩვენა?“ – იკითხა მან და უცებ საუბარმა გონივრული ხასიათი მიიღო, რადგან აღმოჩნდა, რომ შტილერი თანამედროვე არქიტექტურის გულმხურვალე მიმდევარი გახლდათ, ბევრი რამ იცოდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში, საკმარისი საიმისოდ, რომ სიბილესთვის პირველად გაეჩინა ინტერესი საკუთარი სახლის მშენებლობის მიმართ, ის კი არა, აღეფრთოვანებინა კიდეც, აღეფრთოვანებინა თავისი მომავალი სახლით. იმდენად (ის ასე ამბობს) კარგი, საქმიანი, გონივრული საუბარი წარიმართა მათ შორის, რომ შტილერმა მარტივად ჰკითხა: „სავახშმოდ ხომ დარჩები?“ კაცმა რომ თქვას, ცხადია, სიბილეს ცხოვრებაში არ უფიქრია სავახშმოდ დარჩენილიყო, ჰა და ჰა, ეფიქრა, სადმე ქალაქში წავალთ სავახშმოდო. „ხომ არ დაგეხმარო?“ – ცოტა უხერხულად ჰკითხა, როცა შტილერმა ტაფა წყლით აავსო და ძველებურ გაზქურაზე შემოდგა, არქიტექტურაზე ლაპარაკი არ შეუწყვეტია. „ბრინჯი გიყვარს?“ – სხვათა შორის ჰკითხა, თან ქურა აანთო. რასაკვირველია, სიბილეს გადაწყვეტილი ჰქონდა, დიდი-დიდი ცხრაზე ან ყველაზე გვიან ათზე წასულიყო. „ბრინჯი? – უპასუხა ბოლოს და ბოლოს, – არაჩვეულებრივია!“ მაგრამ ესპანური ბრინჯის სხვა ინგრედიენტები, ხარებთან ბრძოლის პატივსაცემად ხომ კერძიც ესპანური უნდა ყოფილიყო, შტილერს მოსატანი ჰქონდა; უნდა ეჩქარა, თორემ ცხვირწინ დაუხურავდნენ მაღაზიას. უცებ ჩაიხედა საფულეში, რომელიც, როგორც ჩანს, ყოველთვის სავსე არ იქნებოდა და გაიქცა, სტუმარი მარტო

დატოვა ატელიეში... სიბილე ამ ნახევარი საათის განმავლობაში თავს ცოტა უცნაურად გრძნობდა. რა უნდოდა? და რა არ უნდოდა? დრო ხომ ჰქონდა დასაფიქრებლად. დიდ ფანჯარასთან იდგა, საიდანაც დიდი ტაძარი მოჩანდა და ეწეოდა, ცდილობდა, გაეხსენებინა, სად დააყენა მანქანა, როლფის მანქანა და ვერ იხსენებდა, იმდენი რამ უტრიალებდა თავში. სასაცილოა! ვახშამი ატელიეში, მერე რა? სიბილე მაშინ ოცდარვა წლის იყო. თავის სიცოცხლეში ორჯერ უყვარდა, არც მეტი და არც ნაკლები, და ორჯერვე ეს აღმოჩნდა შეჭრა ცხოვრებაში, სხვის ცხოვრებაში. პირველი კაცი, ვინც მას უყვარდა, პროფესორი იყო, რომელსაც ატესტატს უმადლოდა, მისი გულისთვის ცოლს გაშორდა, ხოლო მეორე კაცი სიბილეზე დაქორწინდა. უბრალო თამაშების ნიჭი არ ჰქონდა. ან იქნებ ასეთი რამეების სწავლა შეიძლებოდა? უდარდელი კარნავალის მასხარა, როგორადაც გაიცნო მან სამი კვირის წინ შტილერი, თან ხელოვანი, ანუ ადამიანი განსაკუთრებული მორალის გარეშე, სავარაუდოდ, საკმაოდ გამოცდილი მოარშიყე, თანაც დახვეწილი, რომელიც მერე სახელებს არ გასცემს, იქნებ სწორედ ის იყო შესაფერი, რათა როლფი, თავისი თავდაჯერებული მეუღლე ერთი კარგად შეეშინებინა, დიდი ხანია ის ამას იმსახურებდა. ოღონდ: შტილერი, მგონი, სულაც არ იყო მოარშიყე. რაც უფრო უკეთ გაიცნო, მით უფრო მორიდებული, მით უფრო სიმპათიური ეჩვენებოდა და სინამდვილეში, აქ, მის ატელიეში, უდარდელი მასხარას კვალი მაინცდამაინც აღარც იგრძნობოდა. შტილერი იუმორით სავსე, მაგრამ საკმაოდ დათრგუნული კაცი აღმოჩნდა, კაცი, რომელსაც უჩინარი ისრები ერჭო კისერში და სისხლი სდიოდა. თანაც ცოლიანი. რატომ არ ცხოვრობდნენ ერთად შტილერი და ის ბალერინა? ყველაფერი ძალიან გაუგებარი ჩანდა. დანგრეული ოჯახი იყო თუ სრულყოფილი? იოლი არანაირად არ იქნებოდა. რა მოხდებოდა, თუკი სიბილეს მართლა შეუყვარდებოდა? ეს საშიშროება არსებობდა. მერე სიბილემ ისევ თავის თავს უთხრა: რა სისულელეა! და გაზს ოდნავ დაუწია, რადგან წყალი უკვე დუღდა. რა განსხვავებულები არიან კაცები! სიბილეს ცხოვრებაში ჯერ არ მომხდარიყო, რომ კაცი საყიდლებზე წასულიყო და მისთვის საჭმელი მოემზადებინა, თანაც ისე, რომ არც უკითხავს, რა ვიყიდო და როგორ მოვამზადო. სხვათა შორის, ერთხელ ტელეფონმა დარეკა. რა თქმა უნდა, არ უპასუხია. ტელეფონის ზარმა უჩვეულოდ შეაკრთო. ცოლი რეკავდა? სიბილეს მიზეზი არ ჰქონია, დაძაბული დახვედროდა მის ცოლს. სასაცილოა! სიბილე ნატრობდა, ნეტა ახლა მისი ცოლი შემოვიდესო. ან იქნებ საყვარელი იყო, ასე წკრიალით, ასე ჯიუტად რომ რეკავდა? მისი მასტეხინი მაგიდაზე, ირგვლივ ყველგან საფერფლეები, რომელთაც

სიბილე სიამოვნებით გადაცლიდა, უამრავი უცნობი ხელსაწყო, არცთუ სუფთა ტილო, ყველგან გაზეთები, კარის სახელურზე ჰალსტუხი, – ეს ყველაფერი მამაკაცის ბუნაგის შთაბეჭდილებს ტოვებდა, მისი ბიბლიოთეკაც უფრო ბიჭური იყო როლფის წიგნების აკადემიურ სტელაჟებთან შედარებით და იოსებ სტალინიც არც ისე საშიშად გამოიყურებოდა, როგორც საერთოდ, მაგრამ მაინც უცხო, მისი ტიპი არ იყო. სიბილეს ყველაფერი უხაროდა, რაც უცხოდ ეჩვენებოდა. და იოსებ სტალინზე უცხოდ კიდევ (ასე მგონია) მისი ქანდაკებები მოეჩვენებოდა. ნეტა შტილერი ნამდვილი ხელოვანი იყო? თავის თავს გამოუტყდა: გამოფენაზე რომ ენახა, ასეთ რამეებს გვერდით ჩაუვლიდა. თავს ძალა დაატანა, რომ ახლაც ასე არ მოქცეულიყო, არამედ აზრი შეექმნა, რომელიც მისი შეყვარებისგან დაიცავდა. არ გასჭირვებია; მას პიკასოც არ უყვარდა, მაშინ ჯერ არ უყვარდა. ეს რაღაცებიც მსგავსი იყო. სიბილემ ვერ გაიხსენა, რომ მისი სახელი ოდესმე „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგში“ წაეკითხა; მაგრამ მაინც, გინდაც შტილერი ნამდვილი ხელოვანი არ ყოფილიყო, ეს დაიცავდა იმისგან, რომ არ შეჰყვარებოდა? ცდუნებას ებრძოდა, რომ უჯრები არ გამოეღო; რა თქმა უნდა, არ უქნია. ნაცვლად ამისა, ბლოკნოტი გადაფურცლა, გაოგნებულმა, რომ ოსტატი შეუყვარდა, მისი ჩანახატებით თუ ვიმსჯელებდით. ჰო, მართლა, სად დაიკარგა ამდენ ხანს? იმედია, არაფერი დამართნია. ერთ უჯრაში, რომელიც ისედაც თითქმის ღია დარჩენოდა, უამრავი რამ ეყარა, მაგრამ არაფერი ისეთი, რაც შტილერის შინაგან ბუნებას გასცემდა; როგორი სიმპათიური, თითქმის ბიჭური ხარახურა იყო: ნიჟარები, დამტვერილი ჩიბუხი, ელექტროდამცავები, მავთული, ჩიბუხის საწმენდი, რომელიც მის პატარა ჰანესს ძალიან მოეწონებოდა, და ნაირ-ნაირი მონეტები, ანგარიშები, გადაუხდელი ანგარიშების შეხსენებები, გამხმარი ზღვის ვარსკვლავა, გასაღების აცმა, ლურჯწვერა გაგახსენდებოდა, ნათურა, სამსახურის წიგნაკი, ველოსიპედის საბურავის დასაწებებელი, ძილის წამალი, სანთლები, თოფის ვაზნა, გარდა ამისა, ძველი, უნაკლოდ შენახული სპილენძის ფირფიტა წარწერით: შტილერი-ჩუდი... როცა შტილერი ხელში ქაღალდის პარკებით შემოვიდა, სიბილე აკროპოლისის ლამაზ ღრუბლებიან ფოტოსთან იდგა. „საბერძნეთშიც ნამყოფი ხარ?“ – ჰკითხა. „ჯერ არა! – უპასუხა მან მკვირცხლად, – მაგრამ შეგვიძლია წავიდეთ, ახლა ხომ საზღვრები ისევ ღიაა“. კიბორჩხალების კონსერვი ეშოვა, წიწაკაც, ბოცვრის ნაცვლად ფრინველის ხორცი, პომიდორი, მუხუდო, სარდინები სხვა პატარა თევზის მაგივრად და საჭმლის მომზადებას წინ აღარაფერი ედგა. სიბილეს სუფრის გაწყობა, ჭიქების გარეცხვა, თეფშების გათბობა ანდო. სალათაც შტილერმა მოამზადა;

სიბილეს უფლება მისცა, მხოლოდ გაესინჯა, აღფრთოვანებულიყო და ხის თეფში გაერეცხა. როცა ტელეფონმა ისევ დარეკა, შტილერმა არ უპასუხა და ერთი წამით თითქოს სადღაც გაქრა მისი მხიარულება. როცა ბრინჯი ვალენსიურად უკვე სუფრაზე იდგა და სურნელს აფრქვევდა, შტილერმა ხელები დაიბანა, კაცური სიდარბაისლით გაიმშრალა, აქაოდა, საზეიმო განწყობის საბაბი არ არსებობსო. პირველად მიუსხდნენ ერთად სუფრას. „მოგწონს?“ ჰკითხა მან და სიბილე წამოდგა, ტუჩები მოიწმინდა და დამსახურებული კოცნა მიუძღვნა კაცური კულინარიული ხელოვნებისთვის (როლფმა ერბო-კვერცხის შეწვაც კი არ იცოდა!). ჭიქები მიუჭახუნეს. „მაშ, გაუმარჯოს!“ – თქვა ოდნავ დაბნეულმა შტილერმა. შემდეგ ისაუბრეს კონსერვის კიბორჩხალებსა და ცოცხალ კიბორჩხალებს შორის უზარმაზარ განსხვავებაზე…

და ა.შ.

როდესაც ახლომდებარე დიდი ტაძრის საათმა ათჯერ ჩამოკრა, ისე ხმამაღლა, რომ სიბილე ვერ წაუყრუებდა, მიუხედავად საკუთარი თავისთვის მიცემული პირობისა, წასვლაზე არც უფიქრია. „არ დაგავიწყდეს, – სწორედ იმ მომენტში ეუბნებოდა შტილერი, – ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ერთ მშვენიერ დღეს იღვიძებ და გაზეთში კითხულობ, რას ელის შენგან სამყარო. სამყარო! კარგად რომ დაუკვირდე, ამის დამწერი ერთი სიმპათიური სნობია. მაგრამ უცებ ვიღაცები შენზე იმედებს ამყარებენ! და დაეწყობიან თავად წარმატებული ტიპები და ხელს გართმევენ, იცი, როგორ, კეთილგანწყობილები შემოგციცინებენ, თითქოს ახალგაზრდა დავითს ესალმებოდნენ. სასაცილოა. მაგრამ აგერ, შეგიპყრო უკვე განდიდების მანიამ – სანამ, მადლობა ღმერთს, ესპანეთის სამოქალაქო ომი არ იწყება!“ სიბილემ გაიგო. „ირუნი, – აგრძელებს თხრობას, – იყო პირველი გამოფხიზლება. არასოდეს დამავიწყდება ის პატარა კომისარი. ის ნამდვილად არ ამყარებდა ჩემზე იმედებს! პირში არ მეუბნებოდა, მაგრამ ისე მიყურებდა, როგორც არარაობას. მე რაც მარქსიზმი მეგონა, ლირიკა ყოფილა. და მაინც: უკვე მოვლილი მქონდა რეკრუტების სკოლა, ნასწავლი მქონდა ხელყუმბარის სროლა და ვიცოდი, რა იყო ავტომატი. და კიდევ, მყავდა ერთი მეგობარი, ჩეხი, რომელიც თავდებად მიდგებოდა“... შტილერი ძალიან ნელა ჰყვებოდა, ჭიქა კიანტით შეივსო და ხელში ეჭირა, არ სვამდა. „სარაგოსა, – გააგრძელა თხრობა, – მეორე მარცხი ეს იყო. მოხალისედ ჩავეწერე, გზა მოჭრილი გვქონდა და ვინმეს უნდა ეცადა მტრის ცეცხლში გაეღწია. პირველმა ავიწიე ხელი. მაგრამ არ ამირჩიეს! და ვიდექი ასე, მოხალისე, რომელიც არავის სჭირდებოდა...

წარმოგიდგენია, რა გუნებაზე ვიქნებოდი?“ „რატომ არ აგირჩიეს?“ „ჭოჭმანობდნენ, სანამ კიდევ ერთი არ გამოჩნდა, ჩემი მეგობარი, ჩეხი, ის სიკვდილს არ ეძებდა, ნამდვილი მებრძოლი იყო... ესაა საქმე, – თქვა შტილერმა, – კაცმა რომ თქვას, მე მაშინ მხოლოდ სიკვდილს ვეძებდი, შეიძლება არ ვიცოდი, მაგრამ, ეტყობა, ამის სუნი ამდიოდა. ციდან რომ გვბომბავდნენ, თავს არ ვაფარებდი და ეს სიმამაცე მეგონა! და მერე ამიტომაც მოხდა ასე, მაშინ, ტახოზე“. სიბილეს იმედი ჰქონდა, რომ ახლა ნამდვილ ისტორიას მოისმენდა, მაგრამ ამაოდ. შტილერი სულ რაღაცას მიედ-მოედებოდა, მონათხრობს გადახვევებით და შენიშვნებით წელავდა, შემდეგ დაწვრილებით მოჰყვა ტოლედოს რთული ტოპოგრაფიის ამბავი, მერე პოლიტიკურ კომენტარებში გადაიჭრა. „მოკლედ, – თქვა მან, – აგერ ვიღექით ამ მოსაწყენ ხეობაში – ჩვენ, ბანდიტები, როგორც მაშინ გვეძახდნენ თქვენი გაზეთები. აჯანყებულები და ბანდიტები! რა იოლად გვავიწყდება სინამდვილე, როგორ ლაპარაკობდა მაშინ ჩვენი საყვარელი შვეიცარია, ჩვენი ბიურგერული პრესა. როგორ შერაცხეს გმირებად ფაშისტები!“ „მართლა? – სიბილეს არ აინტერესებდა ეს თემა, – ვერ ვიხსენებ. მაშინ ჯერ კიდევ ქალთა სკოლაში დავდიოდი!“ „შეგიძლია მენდო, – გაეცინა შტილერს, – თქვენი შვეიცარია კარგად გავიცანი მაშინ, ესპანეთში. ამაზე ნუ ვილაპარაკებთ! სხვათა შორის, სულ ასე იქნება, ისინი ფაშიზმს მხარს უჭერენ, როგორც ყველა ბურჟუაზია, აშკარად ან მალულად. დღეს აღშფოთებულები არიან ბუხენვალდის და აუშვიცის და მისთანების გამო; ვნახოთ ერთი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს! დღეს შვეიცარიას უდანაშაულობით მოაქვს თავი, გერმანიას აფურთხებენ, არადა, ყოველთვის ყველაფერი იცოდნენ. ჯერ კიდევ ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, როცა ჩვენ ბანდიტები ვიყავით, კასალსი და პიკასო და სხვებიც, ახლა რომ აქებენ და ადიდებენ, შვეიცარია ყოველთვის ფაშიზმის წინააღმდეგი იყო! ცოტა მოვიცადოთ...“ – გაიცინა შტილერმა, წამოდგა, რომ გადავსებული საფერფლე გადაეცალა და სიბილე გააოცა მისმა ტონმა. „ყავას დალევ?“ – ამასობაში ჰკითხა. „უცნაურია, – თქვა სიბილემ, – როგორი ბრაზიანი ხდები, როგორც კი შვეიცარიაზე ლაპარაკობ!“ ისიც წამოდგა, რომ მასთან უფრო ახლოს ყოფილიყო, ჰო, რადგან გრძნობდა, შტილერმა იმიტომ წამოიწყო ყავის მოხარშვა, რომ მას დაშორებოდა. „ვნახოთ, – თქვა შტილერმა და წყლის ჭურჭელი ქურაზე დადგა, – სანამ გერმანია, ჩვენი ბეჯითი მეზობელი ისევ ფულის წყარო გახდება! და თუკი ისევ შეეცდებიან ფაშიზმის გზით სიარულს, შვეიცარია არ შეაკავებს, პირიქით, ხელს შეუწყობს. მერწმუნე! ცხადია, რომ ქვეყანა, რომელიც იარაღდება, თავიდან მისი მეზობლებისთვის სარფიანი საქმეა. ჰოდა, მოკეტე! და

დაიჯერე, რასაც ჩვენი გაზეთები წერენ; უკვე ხომ გვმოძღვრავენ, ვინ არიან ბანდიტები, ზუსტად ისე, როგორც მაშინ! როცა ჩვენი მეგობარი და მეზობელი ჩვენს ყველს აღარ შეჭამს ან ჩვენი საათები აღარ დასჭირდება, რადგან ახლა დრო მისი საათის მიხედვით მიდის, მერე ატყდება დიდი ალიაქოთი, ო, თავისუფლების დასასრული, ბიზნესის დასასრული და მერე უცებ ჩვენ ვართ მარადიული ჰუმანურობის სავანე, როგორც ყოველთვის, მშვიდობის ქურუმები, სამართლის ქომაგები – გულის ამრევია, – თქვა შტილერმა, – მაპატიე, მაგრამ ასეა“. სიბრაზისაგან სრულიად დაავიწყდა ქურის ანთება, სიბილემ შეამჩნია, მაგრამ სიტყვა არ შეუწყვეტინებია, რადგან ყავა საერთოდ აღარ უნდოდა. „საზიზღარი ღორების ხროვა ვართ“, – თქვა მან და კიდევ თითქმის ნახევარი საათი ილანძღებოდა. სიბილეს თითქოს უხაროდა მისი ლანძღვა, როგორც ყველაფერი, რითაც ეს კაცი მასში გაუცხოებას და გამოფხიზლებას იწვევდა. „მოკლედ, – ამბობდა შიგადაშიგ, – ასე ვიწექით იმ კლდოვან ხეობაში, მე ტყვეების თვალყური მევალებოდა. ეტყობა, მეტად არ მენდობოდნენ. წინ სახელოვანი ალკაზარისთვის მიდიოდა ბრძოლა, მე კი იმ ცხელ ხეობაში ვიდექი და ტყვეებს ვდარაჯობდი, პატარა ჯგუფებს. საბედნიეროდ, მაშინ ანია მყავდა – შტილერმა ისევ შეივსო ჭიქა კიანტით. „ანია ვინ არის?“– ჰკითხა ქალმა და ისევ ვეღარ მიაღწია თხრობამ ტახოს ბორნამდე, სამაგიეროდ, სიბილემ მოისმინა მცირე ექსკურსი, რომელიც უფრო მეტად აინტერესებდა. „ანია, – თქვა მან, – ჩემი პირველი სიყვარული იყო. პოლონელი, ჩვენი ექიმი, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი, მე მგონი, ექიმად მუშაობდა...“ შტილერმა დალია, მარჯვენა ხელში ჭიქა ეჭირა, მარცხენაში კარგა ხნის ჩამქრალი სიგარეტი, იჯდა და ჰყვებოდა რაღაცებს თავის პოლონელ გოგოზე, მოჰყვა როგორი ადამიანი იყო, არა მარტო სილამაზით, არამედ ისედაც ხიბლავდა: საღი გონება, ტემპერამენტით სავსე, ცოტა თათრული სისხლი ერია, დაბადებით მებრძოლი, ამავე დროს იუმორით დაჯილდოებული, რაც, რევოლუციონერებს შორის, როგორც შტილერმა აღნიშნა, იშვიათობაა, განათლებული ოჯახის შვილი, თავის ოჯახში პირველი კომუნისტი, სამარიტელი, რომელსაც თითქოს ვერაფერს დააკლებდი, გარდა ამისა, უაღრესად ნიჭიერი – ენების ათვისებაში, ესპანურის, რუსულის, ფრანგულის, ინგლისურის, იტალიურის, გერმანულის თარჯიმანი, თან ყველა ენაზე ერთნაირი აქცენტით, მაგრამ უშეცდომო გრამატიკით და უზარმაზარი ლექსიკური მარაგით ლაპარაკობდა, და კიდევ, არაჩვეულებრივი მოცეკვავე. „ეს იყო ანია, – აქ შეწყვიტა თხრობა, – მე თავის გერმანელ მეოცნებეს მეძახდა“. როგორც ჩანს, შტილერს, მისი

სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ამბავი მწარედ ჩარჩენოდა გულში და ათი წლის შემდეგაც ვერ მოენელებინა. „მასაც უყვარდი?“ – ჰკითხა სიბილემ. „მარტო მე არა, – უპასუხა შტილერმა და უცებ შეკრთა, – შენი ყავა?“ „დაგავიწყდა!“ გაიცინა სიბილემ. „ისე იყავი გაცოფებული შვეიცარიაზე!“ შტილერმა ბევრი ბოდიში მოიხადა. „შეეშვი, – სთხოვა მან, – აღარ მინდა ყავა!“ „ღვინოსაც აღარ სვამ, – თქვა შტილერმა, რას ინებებ?“ „შენი რუსული ავტომატის ისტორიას!“ – მიუგო მან და შტილერმა, რომელიც ყავის მოსადუღებლად უკვე ფეხზე ამდგარიყო და ახლა ერთ ადგილას იდგა, მხრები აიჩეჩა. „მოსაყოლი ბევრი არაფერია, – თქვა მან, – ჩემი რუსული თოფი მწყობრში იყო, ცხადია, მე მხოლოდ თითი უნდა გამომეკრა...“ ამას მოჰყვა ბოლო ექსკურსი, ტაქტიკური მდებარეობის მშრალი და სრულიად ზედმეტი აღწერა, რაც სიბილეს მაინც არ ესმოდა. „ჰო, – შეწყვიტა თხრობა, – დანარჩენი შტურცენეგერმა ხომ გიამბო“. ამასობაში თერთმეტი საათი გამხდარიყო, ისევ გაისმა ეკლესიის ზარის ხმა, რომელიც სიბილეს უკვე მშობლიურივით ჩაესმოდა ყურში. ვერ ხვდებოდა, რატომ იყო ეს ისტორია შტილერისთვის ასეთი ტვირთი, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს საათი მისთვის (სიბილე ასე ამბობს) აღსარებას ნიშნავდა, რომელიც, სხვათა შორის, სიბილეს კი არა, თავად შტილერს სურდა. „ვერ ვხვდები“, – თქვა ბოლოს სიბილემ; მაგრამ შტილერმა მაშინვე გააწყვეტინა: „რატომ არ ვისროლე?“ სიბილეს ეს არ უგულისხმია. შტილერმა გაიცინა: „რადგან უნიათო ვარ. სრულიად მარტივია! მე კაცი არა ვარ“. „იმიტომ, რომ მაშინ ტახოზე არ ისროლე?“ „ეს ღალატი იყო, – თქვა შტილერმა შეუვალი სიმტკიცით, – სხვა ახსნა ამას არ აქვს! მე მიღებული მქონდა დავალება, იქით თავი მოვიკალი, რომ ეს დავალება მიმეღო, მე მიღებული მქონდა ბრძანება, დამეცვა ბორანი, სრულიად მკაფიო ბრძანება. მერე? ჩემზე არ იყო საქმე, ათასობით სხვას ეხებოდა, საქმეს ეხებოდა. უნდა მესროლა. რისთვის ვიყავი ესპანეთში? ეს იყო ღალატი, – დაასრულა, – ისე, კედელთან უნდა მივეყენებინე“. „ამისი არაფერი გამეგება, – თქვა სიბილემ, – შენმა ანიამ, პოლონელმა, რა თქვა?“ ამაზე შტილერმა მაშინვე არ უპასუხა, არამედ მოჰყვა, როგორ წამოაყრანტალა მერე კომისართან, რომ მოიტყუა, თითქოს თოფმა მიღალატაო. „ანიამ რა თქვა? – ჩაიცინა და სიგარეტი დაგრიხა, სანამ მთლიანად არ გამოაცალა თამბაქო და მხრები აიჩეჩა: „არაფერი. მანამ მივლიდა, სანამ შინ წამოსვლა არ შევძელი. პატივს აღარ მცემდა“. „კი მაგრამ, ხომ ამბობ, ვუყვარდიო?“ „ეს ღალატი იყო, – დაიჟინა შტილერმა – სიყვარული ამას ვერ უშველის, ეს იყო სრული უნიათობა!“ სიბილემ ლაპარაკი აცალა, აცალა, სანამ ერთსა და იმავეს ხან სხვა და ხან იმავე სიტყვით იმეორებდა, სანამ მერე ჭიქა არ შეივსო

და დალია. „ამაზე ჯერ არავისთან გილაპარაკია? – ჰკითხა ბოლოს, – არც შენს ცოლთან?“ შტილერმა თავი ოდნავ გააქნია. „კი მაგრამ, რატომ? – ჰკითხა ისევ, – მისი გრცხვენია?“ შტილერმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა: „ალბათ ქალი ვერ გაიგებს, ეს რას ნიშნავს. ლაჩარი გამოვდექი!“ ბოთლი ბოლომდე ჩაეცალათ, კიანტის ერთლიტრიანი ბოთლი; შტილერს სიმთვრალე არ ეტყობოდა, ალბათ მიჩვეული იყო სმას. ეს სმაც ტახოს ამბავს ხომ არ უკავშირდებოდა? რა თქმა უნდა, არ ივარგებდა, სიბილე რომ უცებ მოხვეოდა; შტილერს ეგონებოდა, რომ ვერ გაუგეს, როგორც ყველა კაცს, როცა მათ სერიოზულ თემას სხვა სერიოზულ თემას უპირისპირებ, დიახ, შტილერი კარგად ხვდებოდა, რომ სიბილე თავს უფლებას აძლევდა, საკუთარი აზრი ჰქონოდა და დაჟინებული მელანქოლიით იმეორებდა: „უნიათო გამოვდექი“. „და მანამდე გეგონა, რომ ცხოვრებაში ყველაფერს შეძლებდი?“ – გაიცინა სიბილემ. უფრო კარგად უნდა განემარტა: „შენ გრცხვენია, რომ ისეთი ხარ, როგორიც ხარ, ვინ გთხოვს, რომ მებრძოლი, მეომარი იყო, სროლა შეგეძლოს? შენ გგონია, რომ გამოცდა ვერ ჩააბარე მაშინ, ესპანეთში. ამას ვინ უარყოფს! მაგრამ იქნებ გინდოდა, იმ კაცის გამოცდა ჩაგებარებინა, რომელიც შენ არა ხარ?“ შტილერს ამაზე არ უპასუხია. „ხომ გითხარი, – თქვა მან, – ალბათ ქალებს ამის გაგება არ შეუძლიათ“. სიბილე კი ფიქრობდა: იქნებ იმაზე უკეთ შეგვიძლია, ვიდრე შენ მოგეწონებოდა. „ოჰ, ეს კაცები, – გაიცინა სიბილემ, – რატომ გინდათ, რომ სულ არაჩვეულებრივები იყოთ! არ გეწყინოს, მაგრამ...“ უნებურად ხელებზე მოჰკიდა ხელი, რაც შტილერმა, როგორც ჩანს, არასწორად გაიგო; ყოველ შემთხვევაში, მზერაში აგდებულობა შეეპარა, მისი საქციელი უჩვეულოდ მოეჩვენა, ცუდად არა, მაგრამ შტილერი მას სერიოზულად არ აღიქვამდა; იგი მას უყურებდა, როგორც შეყვარებულ ქალს, რომელიც მოფერებას ელოდა და მეტს არაფერს. ქალმა თავი მოაბეზრა, ჰო, ნამდვილად. შტილერმა თმაზე ხელი გადაუსვა, ტრაგიკული პიროვნება, რომლისაც არავის ესმოდა და მისი დამცინავი სინაზის ქვეშ გაყინული სიბილე ხმას ვეღარ იღებდა. შტილერს სიამოვნებდა (ასე ამბობს სიბილე) თავისი ტკივილი. არ უნდოდა ეს ტკივილი გადაელახა. მას იყო ამოფარებული. არ უნდოდა, რომ ვინმეს ჰყვარებოდა. ამის ეშინოდა. „ახლა უკვე იცი, რატომ არ ვისროლე, – დაასრულა მან და ჭიქები აალაგა, – რა საჭიროა ეს ამბავი? მე კაცი არა ვარ. წლების მანძილზე მესიზმრებოდა: სროლა მინდა და არ ისვრის – ამის ახსნა არ გჭირდება, ეს არის იმპოტენტის ტიპიური სიზმარი“. ეს სიტყვები, რომელიც სამზარეულოს ნიშში წარმოთქვა, სიბილეს ეწყინა და წამოდგა. ნანობდა, რომ მის ატელიეში მოვიდა. საშინელი სევდა

შემოაწვა, ცდილობდა, დაემალა და თან შტილერი ეცოდებოდა. რატომ არ უნდოდა ამ კაცს, რომ ვინმეს ჰყვარებოდა, მართლა ჰყვარებოდა? სიბილეს ისღა დარჩენოდა, ეთამაშა როლი, რომელიც შტილერმა დააკისრა და ესაუბრა, როგორც ცნობისმოყვარე-გამგებ-ხალისიან ქალს, სანამ შტილერი საპირფარეშოში გავიდოდა.

შტილერის ნახვა აღარასდროს უნდოდა.
როცა სადარბაზოდან დაბრუნდა და წყლის ჩარეცხვის გარდაუვალი ხმა გამოიყოლა, სიბილეს უკვე თმა დაევარცხნა და ტუჩები შეეღება. ქუდიც უკვე დაეხურა. შტილერი გაოგნდა. „მიდიხარ?“ – ჰკითხა მან. „შუაღამე დგება“, – თქვა მან და ხელჩანთაც აიღო. შტილერმა არაფერი მიუგო. „სულელი კაცი!“ – თქვა სიბილემ უცბად. „რატომ?“ – ჰკითხა მან კედლის იქიდან, სადაც ხელებს იბანდა. „იმიტომ, რომ უბრალოდ სულელი კაცი ხარ, – გაიცინა სიბილემ, – არ ვიცი, რატომ“. შტილერმა დაეჭვებულმა შეხედა, ხელებს იმშრალებდა. არცერთმა არ იცოდა, რა იქნებოდა შემდეგი სიტყვა, და შტილერი ისევ ხელებს იმშრალებდა. „მოდი, – თქვა სიბილემ, – სადმე წავიდეთ“. „სად?“ „აქედან წავიდეთ!.. ქვევით ჩემი მანქანა დგას, იმედია, ვერავინ შეამჩნია, მე მგონი, არ ჩამიკეტავს“. შტილერმა ისე გაიცინა, როგორც გულუბრყვილო გოგოებს დასცინიან. სახეზე ვერ შეატყობდი, რა გადაწყვეტილება მიეღო, სამზარეულოს პატარა ფანჯარა გამოაღო, რომ ატელიედან ბოლი განედევნა და ლურსმნიდან უსიტყვოდ ჩამოხსნა თავისი ყავისფერი პალტო, ჯიბეები მოისინჯა, როგორც შვებიან ხოლმე იმის შესამოწმებლად, ჯიბეში აქვთ თუ არა გასაღები; შემდეგ სიბილეს კიდევ ერთხელ შეხედა, დარწმუნებული არ იყო, რას ფიქრობდა იგი და სინათლე ჩააქრო…

* * *

მომდევნო დღე სიბილესთვის იოლი არ ყოფილა, უფრო სწორად, სხვანაირად იოლი აღმოჩნდა. ღამე სოფლის სასტუმროში, სადაც კედლებზე კორიდას ისრები არ ეკიდა, სამაგიეროდ, ალბათ იდო ჯვარედინად ნაქარგი ციტატა ბიბლიიდან თუ საიდანღაც: „იყავ მუდამ ერთგული და პატიოსანი!“ ან „გულწრფელობაა მთავარი!“ ან სხვა რამ, რაც ასეთ ნაქარგებზე წერია ხოლმე. მოკლედ: სოფლის სასტუმრო, სადაც ალბათ მსხლის ჩირის სურნელი ტრიალებდა და პატარა ფანჯრის წინ დილაადრიან მამალი ყიოდა, და იქით მისი მშობლიური სახლი, სადაც პატარა ჰანესი ეგულებოდა, რომელიც ყელის ტკივილს არ მოუკლავს; ორი არაჩვეულებრივი სამყარო, ოღონდ ცოტა დამაბნეველი, რომ ხიდის გარეშე გადადიოდი ერთიდან მეორეში. შუაღღისას დარეკა, რომ გაეგო, მართლა არსებობდა შტილერი თუ მომეჩვენაო. და მერე, ასე

წარმომიდგენია, ქვევით ჩავიდოდა და გარეთ, ბაღში გავიდოდა!.. გაზაფხული იდგა და საქმეც ბევრი იქნებოდა: სათხრელი, სარგავი, საჩიჩქნი და საფარცხი, მიწა ისე გამომშრალიყო, როგორც ზაფხულში იცის ხოლმე. სიბილემ ბალახის სარწყავი გამოათრია, პატარა მდელოზე დადგა და წყლის შხეფები გაკვირტული ბუჩქებისკენ მიუშვა. მისი მეზობელი მორწყვის ამ მეთოდს არ იწონებდა, კვირტები ზიანდებაო; ამიტომ სიბილემ სარწყავი მოწყობილობა სხვაგან გადაიტანა, სადაც შხეფები არაფერს ავნებდა, მაგრამ შხეფები აუცილებელი იყო და პატივცემულ მეზობელს, რომელმაც ამინდის პროგნოზზე უკეთ იცოდა ყველაფერი, შეეძლო ყირაზე დამდგარიყო, თუკი არ ესმოდა შხეფების მნიშვნელობა. და საერთოდ, ეს სხვის საქმეში ჩარევა, გაუგონარია ამბავია! პატარა ჰანესს არ დავიწყნოდა დედის გუშინდელი დანაპირები, ბამბუკს და აბრეშუმის ქაღალდს გიყიდი და ფრანს გაგიკეთებო, სიბილე წუხდა, რომ დანაპირები ვერ შეუსრულა და შეჰპირდა, ხვალ ქალაქში წავალ და გიყიდი და კიდევ ცირკშიც წაგიყვან, ცირკი რომ ჩამოვაო, დღეს კი აეროპორტში წავალთ ერთად და მამიკოს დავხვდებითო. უცებ სიბილეს მოთხოვნილება გაუჩნდა, ირგვლივ ყველა ადამიანი გაებედნიერებინა, იტალიელი მოსამსახურე, კაროლაც გაათავისუფლა, ჩვენ მაინც ქალაქში ვისადილებთო. გაზაფხულის ულამაზესი დღე იდგა! ამაში მეზობელიც ეთანხმებოდა. ყვითელი ფორზიტიები ანათებდნენ, მაგნოლიაც იწყებდა ყვავილობას, სარწყავმა მოწყობილობამ კი პატარა, საკუთარი ცისარტყელაც შექმნა. და შემდეგ, ბაღში ოთხსაათიანი გარჯის შემდეგ, სიბილემ კიდევ ერთხელ გადაივლო წყალი და ტანზე გამოიცვალა. აეროპორტში ძალიან ადრე მივიდნენ. ჰანესმა ნაყინი დაიმსახურა, ყელი თითქმის აღარ სტკიოდა, მაგრამ ქურთუკის გახდა მაინც არავითარ შემთხვევაში არ დაანება, ყელი ისევ არ ასტკივდესო. რამდენი თვითმფრინავი იყო აეროპორტში! გინდა ათენში გაფრინდებოდი, გინდა პარიზში, ნიუ-იორკშიც კი. სიბილეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ როლფი ერთი შეხედვით მიხვდებოდა ყველაფერს. ისედაც როლფი იყო მისი ყველაზე ახლობელი ადამიანი, ერთადერთი, ვისაც იგი საიდუმლოს გაანდობდა, ვისთვისაც უნდოდა, საიდუმლო გაენდო. თვითმფრინავი ორმოც წუთს იგვიანებდა, საკმარისი დრო აღმოჩნდა სიბილესთვის, რომ გუნებაში ეთქვა ყველაფერი, რაც მერე, სინამდვილეში, არასოდეს უთქვამს. როცა ხმამაღლა გამოაცხადეს, რომ ლონდონის თვითმფრინავი დაეშვა და უცხო ადამიანების ჯგრო უკვე გაჩერებული თვითმფრინავიდან გადმოვიდა და გამცილებელს საბაჟოსკენ ჯგუფურად გაჰყვა, მოეჩვენა, თითქოს არც არაფერი მომხდარაო, და როცა სიბილემ, რომელსაც პატარა ჰანესისთვის ხელი

ჩაეჭიდა, ტერასიდან გადაიხედა და როლფი დაინახა, რომელიც აქეთ-იქით იყურებოდა და თავისი ოჯახის დანახვაზე გაზეთიანი ხელი ასწია, იმ მომენტში სიბილეს შიგნით ისეთმა სიჩუმემ დაისადგურა, რომ ხელიც კი ვერ დაუქნია როლფს. ეს არც გაუცნობიერებია, როლფი უმტკიცებდა მერე, ხელიც კი არ დამიქნიე, თავიც კი არ აგიწევიაო. უცებ დაეუფლა გრძნობა: რა მისი საქმეა! და როცა საბაჟო ძალიან გაჭიანურდა, ცოტათი გაბრაზდა კიდეც როლფის ბუნებრივ მოლოდინზე, აეროპორტში დახვედროდა ცოლი ყოველი მოგზაურობის შემდეგ. სიბილეს ახლა რაღაცნაირად სიბრაზის ჯავშანი სჭირდებოდა. გაზეთი კი დაუქნია, მაგრამ მოულოდნელობით გამოწვეული სიხარულის კვალი არ ეტყობოდა; როლფს მიაჩნდა, რომ უფლება ჰქონდა, მოეთხოვა, ცოლი აეროპორტში დალოდებოდა, ეს სიბილეს ისე აცოფებდა, რომ როცა როლფი საბაჟოდან გამოვიდა, ორივე ლოყა კი მიუშვირა საკოცნელად, მაგრამ ტუჩები არა... „რა არის ახალი?“ მისი ჩვეული შეკითხვა. მანქანისკენ რომ მიდიოდნენ, სიბილემ იგრძნო, რომ მუხლები უკანკალებდა. საღამოს, ქალაქში ვახშმობისას, რაღაც ახალი რომ ეთქვა, ახალგაზრდა შტურცენეგერზე დაიწყო საუბარი, თავიანთ არქიტექტორზე და მის უსაზღვრო ბედნიერებაზე, კანადაში თუ სადღაც შეკვეთა რომ მიეღო. გარდა ამისა, შტურცენეგერს რაღაც ფილმი უქია, აუცილებლად უნდა ნახოთო, დღეს ბოლო დღეა, მერე აღარ გავაო. საერთოდ, მოგზაურობებიდან დაბრუნებული როლფი ყოველთვის აღტყინებული იყო ხოლმე, ხალისიანი, თითქოს პირდაპირ უკვდავების წყაროდან დაბრუნდაო; ახლა კი, სიბილეს მოჭარბებული ხალისით გაკვირვებულმა, მაშინვე დაღლილობა მოიმიზეზა, ფრენისას მაგრად დაგვანჯღრიაო და სახლში წასვლა მოინდომა, თითქოს ლონდონიდან კი არ დაბრუნებულიყოს, არამედ ფრონტიდან და როგორც გმირს, სრული უფლება ჰქონოდეს სახლში მოვლა-მოფერება მოეთხოვა. სიბილე ცოტა გაოგნებული ნაღდად იქნებოდა, თუმცა არ იმჩნევდა, მიხვდა, რომ ახლა სხვანაირად აკვირდებოდა როლფს, სიყვარულით, მაგრამ თან აღარ ეშინოდა, რომ როლფი რაღაცას უმალავდა, და აღარ ეშინოდა, რომ როლფის გარეშე ვერ იარსებებდა, ვერ იარსებებდა მისი თბილი და ნამდვილი მოფერების გარეშე, რომელიც ამასობაში თანაგრძნობას შერეოდა, ვერ იარსებებდა მოწყალების გარეშე, რომელიც მისდა უნებურად გამოსდიოდა, და მაინც უცებ იგრძნო, სიბილემ უფრო ადრე იგრძნო, ვიდრე როლფმა, როგორ შეეპარა ხმაში განსხვავებული ტონალობა. იმის საჩვენებლად, რომ როლფის დაღლილობა სიბილეს დაღლილობას არ ნიშნავდა, გადაწყვიტა, კინოში მარტო წასულიყო. როლფი არ შესწინააღმდეგებია. სიბილემ კინოში წასვლა მაინც

გადაიფიქრა; სინდისის ქენჯნის გამო არა, რომელიც მაშინაც არ აწუხებდა, როცა თვალებში უყურებდა, უფრო დედობრივი მოვალეობის გამო. შემდეგ, მანქანაში, საჭესთან სიბილე იჯდა, როლფი კი არ შეეხო მხარზე , არამედ პირიქით, სიბილე, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვი, საჭესთან იჯდა. მან უთხრა: „არაჩვეულებრივად გამოიყურები!“ სიბილემ უპასუხა: „კარგად ვარ“. და შვებით ამოისუნთქა, ახლა ხომ ყველაფერი იცისო. სიბილე ალბათ მისკენ ხანდახან თვალს გააპარებდა, არ სჯეროდა, რომ კაცები ასეთ სიტუაციაში ვერაფერს ხვდებოდნენ. ცოტა სასაცილო მდგომარეობა იყო. რთული (სიბილესთვის) ალბათ ის მომენტი იქნებოდა, როცა როლფმა, მისი შვილის მამამ, ბარგი შემოსასვლელში დადო და პალტო ჩამოკიდა, რომ ღამე აქ გაეთია. საშინელება იყო! სიბილეს ეგონა, ახლა ტირილს დავიწყებო, მაგრამ როლფმა ესეც ვერ შეამჩნია, და ბრიტანეთის იმპერიის თავბრუდამხვევი გაღატაკების ამბის მოყოლას შეუდგა. პატარა ჰანესი უკვე ლოგინში იწვა, ძილის ლოცვა წაკითხული იყო; სიბილეს აღარ ჰქონდა დამაჯერებელი საბაბი იმისთვის, რომ ბრიტანეთის იმპერიის თავბრუდამხვევ გაღატაკებას გაჰქცეოდა. ვეღარაფერს მოიმიზეზებდა, საერთოდ ვეღარაფერს, რომც შესძლებოდა; მაგრამ როგორ უნდა ჩაევლო ამ საღამოს, როგორ, როცა როლფი საერთოდ ვერაფერს ხვდებოდა, სიბილეს ეს ვერ აეხსნა, ნუთუ ტყუილი ასეთი ადვილი იყო და მაინც შეუძლებელი? როლფი სამზარეულოში იდგა მაცივართან და ლუდის დალევას აპირებდა, როცა უცებ მოშორებით მდგარ სიბილეს ჰკითხა, მშენებლობაზე ხომ არ შეგივლიაო. სიბილეს გადაწყვეტილი ჰქონდა, სახლიდან წასულიყო, ჩუმად გაეღო კარი, სანამ როლფი სამზარეულოში იდგა და ლუდს სვამდა და მშენებლობაზე ლაპარაკობდა, გასულიყო და სადმე წასულიყო, შტილერთან არა, სადმე სხვაგან; როლფმა, ეტყობა, საკეტის ხმა გაიგო, გამოვიდა და პალტოჩაცმული სიბილე დაინახა, ხელში სახლის გასაღები ეჭირა, გაფითრებული ან გაწითლებული იქნებოდა, მაგრამ უცნაურად ფხიზელი. „ძაღლი!“ – თქვა სიბილემ, ძაღლი უნდა გავიყვანო გარეთო. როლფმა ლუდის ჭიქა დადგა, რათა ძაღლი გარეთ თავად გაეყვანა, უფრო მონდომებული ჩანდა, ვიდრე საერთოდ. მართლა ვერაფერს ხვდებოდა? თამაშობდა? მართლა არ აღელვებდა? თუ სულელი იყო, გაუგონრად სულელი, თუ განდიდების მანიით შეპყრობილი, და ეგონა, რომ ყველა კაცზე უკეთესი იყო, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი? სიბილე პალტოჩაცმული იჯდა. და თან, როლფი რაღაცნაირად მართალიც იყო, რა მნიშვნელობა აქვსო, ფიქრობდა სიბილე. როლფს ამითი არაფერი აკლდებოდა. მაგრამ მაინც უნდა სცოდნოდა! ყოველი შემდეგი საათი, ყოველი შემდეგი წუთი, რომელსაც

დუმილში გაატარებდნენ, მათ ურთიერთობას წამლავდა. სიბილეს ტირილი წასკდა. იქნებ მაინც ნანობდა? და შტილერის რცხვენოდა, რომელიც ახლა ასე შორს იყო, ეშინოდა, რომ რაც უფრო ახლოვდებოდა წუთი, როცა როლფი ძაღლთან ერთად დაბრუნდებოდა და ყველაფერში გამოუტყდებოდა, გასულ ღამეს, უბრალოდ, ღალატი დაერქმეოდა, ღალატი შტილერის და საკუთარი თავის მიმართ. უკვე თვალწინ ედგა: როლფი ხელს მოხვევდა, გაუგებდა და შეუნდობდა, ყველაფერს დაასამარებდა და მის პატარა, სულელურ ინტერმეცოს სერიოზულად არც შეხედავდა და მას, მოღალატე სიბილეს, იგი შეზიზღდებოდა თავისი საკუთარი ღალატის გამო. ამ შემთხვევაში იქნებ უფრო გულწრფელი საქციელი იქნებოდა, არაფერი გაემხილა? და უცებ მოეჩვენა, რომ ყველაფერი, რაც ბინის განცდას ქმნის, შეუძლებელს ხდიდა გულწრფელობას. რატომ არ იყო აქ შტილერი! ქმარი იმიტომ კი არ ჩანდა ძლიერი, ზეძლიერი, რომ „სიმართლე“ მის მხარეს იყო, არამედ მხოლოდ მისი პიროვნების იქ ყოფნის გამო; შტილერი თითქოს დაეფარა ასობით ნივთს, ამ როიალს, ავეჯსა და ხალიჩებს, წიგნებსა და მაცივარს და რაღაც ნივთებს, უბრალოდ ნივთებს, რომლებიც როლფს წარმოადგენდა, მდუმარედ, ჯიუტად, მორჩილად. ბინა ციხესიმაგრეა, გემოვნებით მოწყობილი სისაძაგლე. შტილერთან დარეკვას აპირებდა, რომ მისი უკვე დავიწყებული ხმა გაეგონა, მაგრამ ძაღლის ყეფა გაიგო და ყურმილი დადო, ბოლოს და ბოლოს პალტოც გაიხადა, ისეთი დაღლილი იყო, ფეხზე ველარ იდგა და მზად იყო ქალური კაპიტულაციისთვის, კერძოდ, რომ ყველაფერი თავის ნებაზე მიეშვა და ეყურებინა, ამ ორი კაციდან რომელი აჯობებდა მეორეს და, შესაბამისად, სიბილესაც. როლფმა დიასახლისურ ფუსფუსში შემოუსწრო. ნამდვილად ვერ გაამტყუნებდი, რა დროს მერძევის და ყასბის თვიური გადასახადების დათვლა იყო, რას ჰგავდა მისი საქციელი, ქმარი ხომ ეს-ესაა ჩამოვიდა ლონდონიდან, წყენა გამოხატა და ისეთი პირი უჩანდა, რომ საღამო ჩვეულებრივი ცოლქმრული გაბუტვით ჩაივლიდა, ანუ მშვიდად. უფრო როლფის ბრალი იქნებოდა, რომ ასე არ მოხდა. ლუდის ჭიქა კედელს შეახეთქა. „რა იყო?“ ჰკითხა სიბილემ. მისმა სიჯიუტემ აფიქრებინა, რომ სიბილე, მისი ძვირფასი, სახლში გამოკეტილი მეუღლე ისევ ეჭვიანობდა. როლფსაც ყელში ამოსვლოდა სიბილეს ეჭვიანობა, მას ეს ძალიან მდაბიოდ, დაწვრილმანებად მიაჩნდა; როლფმა კიდევ ერთხელ (ოღონდ ამჯერად მკაფიო ქვეტექსტით, რომ ეს ბოლო იქნებოდა) თავისი „მოხსენება“ წაუკითხა და ცოლს არ მისცა სიტყვის გაწყვეტის საშუალება, არა, უკვე დროა სიბილემ დიდსულოვნად შეხედოს ცოლქმრობას, ქმრის უნდა სჯეროდეს, უნდა გაიგოს, რომ როლფს იგი უყვარს, გინდაც

მოგზაურობისას ხანდახან სხვა ქალს ხვდებოდეს, სხვათა შორის, ამჯერად ასე არ ყოფილა, მაგრამ როგორც ყველა კაცს, მასაც ფუნდამენტური საკითხი აინტერესებს და ამ საკითხში, როგორც ითქვა, იმედი აქვს, რომ სიბილეს გააგებინებს, ცოტა მეტი სიმწიფით შეხედოს ცოლქმრობას და მიხვდება, რომ ცოლქმრობაში თავისუფლების გარკვეული ხარისხი აუცილებელია, რომ არ მოითმენს ეჭვიანობას. მაგრამ ამანაც ჩაიარა. სიბილეს უნდოდა დაერწმუნებინა, რომ ახლა მის მიმართ ეჭვიანობის ნატამალსაც არ განიცდიდა; მაგრამ ეს სიმართლე იქნებოდა და თან ნამდვილი დაცინვა და ამიტომ ვერ იტყოდა, საერთოდ ვერაფერს იტყოდა. სიბილეს ერთადერთი სურვილი ჰქონდა, ოღონდ მარტო დარჩენილიყო. საზიზღრობა იყო, მალე კომედიაში გადაიზრდებოდა სიტუაცია. სიბილემ როლფს შუბლზე გულითადად აკოცა და ისეთი უპირატესობა იგრძნო, შერცხვა. უნებურად თავისი ოთახის კარი ჩაკეტა. მისი ბედნიერება სიზმარი არ იყო. როგორც კი მარტო დარჩა, ბედნიერება ისევ სინამდვილედ იქცა. მხოლოდ ტაქტის გამო იკავებდა თავს, რომ არ ემღერა. მაგრამ ეგონა, რომ ისედაც ისმოდა, კედლებს იქითაც ისმოდა მისი ჩუმი ბედნიერება, ხოლო მისი ქმარი, რომელიც კიდევ ერთხელ გათავისუფლდა აუცილებელი სათქმელისგან, სიმშვიდეს ვერ პოულობდა. ჩაკეტილმა კარმა გააოგნა; დაჟინებით ითხოვდა, ოთახში შემომიშვიო, და მერე, როდესაც როლფი ნუგეშისმცემელი სამარიტელივით იჯდა მის ლოგინზე და, ეტყობა, ნამტირალევ სახეს ელოდა და გაოგნებული დარჩა, რომ სიბილე ასეთი ბედნიერი დახვდა, რაღაცის მიხვედრა დაიწყო. ჰკითხა: „რა მოხდა?“ სიბილემ არ იცოდა ის სიტყვები, რომლითაც ასეთ რამეს ამბობენ: „იცი, რაც მოხდა“. როლფმაც ვერ იპოვა შესაფერი სიტყვები; მან თქვა: „სხვა კაცთან იყავი?“ სიბილემ უთხრა, კიო, გახარებულმა, რომ დუმილს თავი დააღწია, ტვირთი მოეხსნა, ახლა მისი ბედნიერება სრულყოფილი გახდა. როლფი მიაშტერდა. სიბილემ სთხოვა, ახლა მეტ კითხვას ნუ დამისვამ და მარტო დამტოვეო. როლფმა (სიბილე ასე ამბობს) ეს ამბავი უაღრესად მშვიდად მიიღო. რამდენიმე დღით სადღაც გაემგზავრა კიდეც, რომ სიბილე მარტო დაეტოვებინა, რისთვისაც ქალი მას გულით უმადლიდა. დაბრუნების მერეც (სიბილე ასე ამბობს) როლფი უაღრესად მშვიდი იყო.

* * *

სიყვარულით სავსე ბედნიერების აღწერა, რომელიც სიბილემ, ჩემი პროკურორის ცოლმა, მომდევნო კვირებში განიცადა ან იმედი ჰქონდა, რომ განიცდიდა, ჩემი საქმე არ არის. მართლა ამხელა იყო თუ არა სიყვარულით გამოწვეული ბედნიერება, როგორც ამ ამბის მონაწილე

მეუღლეები, ერთი მხრივ, ქალბატონი იულიკა შტილერ-ჩუდი და მეორე მხრივ – ჩემი მეგობარი და პროკურორი უთქმელი ეჭვიანობის ფონზე ვარაუდობდნენ, ეჭვი მეპარება. სიყვარული თავშესაფრის გარეშე, სიყვარული ბინის და ყოველდღიურობის გარეშე, სიყვარული, რომელიც ვნების რამდენიმე საათით საზრდოობს, ცნობილია, რომ, ადრე თუ გვიან ჭკუიდან გადაგიყვანს. ჩახუტება მაღალ ყანაში ან სადმე ტყეში, ერთხანს რომანტიკულია, აღმგზნებიც, მაგრამ მერე სასაცილო, დამამცირებელი, შეუძლებელი ხდება და ორივეს იუმორიც რომ გააერთიანო, საქმეს ვეღარ შველის. ბოლოს და ბოლოს, სკოლის მოსწავლეები ხომ არ იყვნენ, არამედ ორი ზრდასრული ადამიანი, კაცი და ქალი, ორივე უკვე ერთხელ დაქორწინებულნი... სიბილეს ესმოდა (ასე ამბობს), რომ შტილერს არ სიამოვნებდა მისი ატელიეში მიღება, სადაც ყველაფერი თავის ავადმყოფ იულიკას ახსენებდა. სიბილეს გული სწყდებოდა, რადგან მისი დიდი და ნათელი ატელიე, როგორც ვთქვით, ძალიან მოსწონდა; მაგრამ უგებდა. რას არ მისცემდა სიბილე, ოღონდ ჯანმრთელი კონკურენტი ჰყოლოდა, თანასწორი ქალი, რომელსაც ან მეგობრობას შესთავაზებდი და ან ღია ბრძოლას გამოუცხადებდი; გინდაც ეჭვიანი ალქაჯი ყოფილიყო, რომელიც ყველგან, საზოგადოებაში, მორალის ნაღმებს დაუდებდა, ან შეშლილი, რომელიც გაზქურით დაიმუქრებოდა, ან თავზეხელაღებული გიჟი, რომელიც ეგრევე სამაგიეროს გადაუხდიდა ქმარს და საყვარელს გაიჩენდა, ყველაფერი ერჩივნა სიბილეს, გარდა ავადმყოფისა, რომელიც დავოსის სანატორიუმში განმარტოვდა და ქალაქში დარჩენილი ჯანმრთელები მტყუანები გამოაჩინა, თანაც ქალი, რომელსაც სიბილე არასდროს შეხვედრია პირისპირ, მოჩვენება! მაგრამ რა გაეწყობოდა, ასე იყო და ამიტომ მისი ატელიე შეხვედრის ადგილად არც განიხილებოდა. რაღა დარჩენოდათ, გარდა დედა ბუნებისა და სოფლის რამდენიმე სასტუმროსი? წვიმიანი კვირები მათთვის ისეთივე კატასტროფა იყო, როგორიც ღია თეატრისა და ზაფხულის ღამის სიზმრებისთვის; ერთხელ უკვე ნამყოფ სასტუმროებში უხდებოდათ გაჩერება, ქალაქის ირგვლივ გზებს უკვე ვეღარსად მიჰყავდა; მათ საუბრებს მელანქოლია შეეპარა, ხუმრობებსაც – ერთი სიტყვით: ასე ვერ გაგრძელდებოდა…

არადა, ერთმანეთი მართლა უყვარდათ.
„მოდი, – უთხრა სიბილემ ერთ დღეს, – პარიზში წავიდეთ!“ შტილერმა გაუბედავად გაიღიმა. „ბანკიდან მოვდივარ, დარდი არ გქონდეს, – თქვა სიბილემ, – მარტო ის უნდა ვნახოთ, როდის გადის მატარებელი“. შტილერმა ოფიციანტს მატარებლების განრიგი გამოართვა. პარიზში

მიმავალი მატარებლების ნაკლებობა ნამდვილად არ იყო. და ერთხელაც, სადღაც ივლისში, მართლაც მიაღწიეს ბაქნამდე, ელექტროსაათის ქვეშ მერხზე ისხდნენ, ჯიბეში ბილეთები ეწყოთ, აღჭურვილები იყვნენ კბილის ჯაგრისითა და პასპორტით. „წავიდეთ თუ არ წავიდეთ?“ – ჰკითხა შტილერმა, თითქოს მხოლოდ სიბილეს აკავებდა რამე, მას კი – არაფერი. გამცილებელი უკვე ვაგონიდან ვაგონში გადადიოდა და მგზავრებს ჩასხდომას სთხოვდა. სიბილეს შტილერი შეეცოდა. ეჭვს ვერ შეიტანდი მის სიმტკიცეში, რომ უნდოდა, მათი ნატვრა ბოლოს და ბოლოს სინამდვილედ ექცია, მაგრამ სიბილეს უცებ გაუქრა სურვილი; მის მტკიცე გადაწყვეტილებაში შეპარული სიმწარე არ ასვენებდა. „და იულიკა?“ – ჰკითხა მან. ამასობაში ელექტროსაათის ისარი წუთიდან წუთზე ხტებოდა. შტილერს (სიბილე ასე ამბობს) უხაროდა, რომ ჭოჭმანი გარეგნულად მაინც სიბილესგან მოდიოდა, იმ დროს, როცა თავად ხელში ბარგი ეჭირა და მამაკაცური თავზეხელაღებულობის განსახიერება იყო. ერთმანეთის თანამიმდევრობით იხურებოდა ვაგონების კარები. სიბილე არ ამდგარა, აშკარად გრძნობდა, რომ მოჩვენება უკვე მატარებელში იჯდა და სიბილეს არ უნდოდა მოჩვენებასთან ერთად წასულიყო პარიზში... მატარებელი წავიდა; ბაქანზე დარჩნენ გადაწყვეტილებით, რომ შტილერი ჯერ დავოსში წავიდოდა, რათა ავადმყოფ იულიკასთან გულახდილად ელაპარაკა. სხვა გზა ნამდვილად არ არსებობდა.

აგვისტოში შტილერი დავოსში გაემგზავრა.
სიბილე კი სრულ თავისუფლებას გრძნობდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქმრის საოცარი სიმშვიდე (ასე ამბობს სიბილე) მართლა ნერვებს უშლიდა. რამდენჯერაც დაისხამდნენ შავ ყავას, თუკი პატარა ჰანესი იქვე არ იყო, ჩხუბს ელოდებოდა. ამაოდ! როლფი მხოლოდ ეტყოდა: „თუ ხუთშაბათს საღამოს თავისუფალი ხარ, ტაძარში საორღანო კონცერტია...“ სიბილე ყავის აპარატს უტრიალებდა. „არ ვარ თავისუფალი“, – უპასუხებდა და ამით საორღანო კონცერტის თემაც ამოიწურებოდა. მოსაკლავია როლფიო, ფიქრობდა; ცოლს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას ანიჭებდა და ამით უფრო შეურაცხყოფდა. „არ მესმის შენი! – ეს სიტყვები როლფს კი არ აღმოხდებოდა ხოლმე, არამედ სიბილეს, – ზუსტად იცი, რომ სხვა მიყვარს, რომ მას თითქმის ყოველდღე ვხვდები და არც კი მეკითხები, რა ჰქვია. ეს ხომ ფარსია!“ როლფი გაიღიმებდა: „მაინც რა ჰქვია?“ ასეთი დაცინვის მერე, რა თქმა უნდა, სიბილე არაფერს პასუხობდა და უსიტყვოდ ელოდნენ ყავას. „მე შენ გითხარი, – განაგრძო ერთხელ როლფმა, – რომ პროკურორობას მიპირებენ...“ როლფი ყოველთვის

პოულობდა თავის დაძვრენის საშუალებას, სხვა თემაზე გადადიოდა, რაიმე მნიშვნელოვან, საქმიან თემაზე. როგორც იქნებოდა, ყავაც ჩაიწურებოდა მინის ჭურჭელში, ორთქლი უსტვენდა. როლფთანაც ასე ვეღარ გაგრძელდებოდა, გრძნობდა სიბილე. უცებ ფულიც სალაპარაკო გახდა: როლფისთვის არა, მაგრამ სიბილესთვის. ჩუმად ღიზიანდებოდა, რომ მისი ძვირფასი შტილერი სულაც არ წუხდა, რომ ყველაფერი, რაც სიბილეს ეცვა, როლფის ფულით იყო ნაყიდი, შტილერს ფული თითქმის არ ჰქონდა, ცხადია, ბანკში ვერ წავიდოდა, ესეც გასაგებია, მაგრამ სიბილეს გულში მაინც სწყინდა, ესმოდა, მაგრამ მაინც. შტილერი ხანდახან ქალბატონის განებივრების ხარისხზე თუ გაიხუმრებდა, ქსოვილს მოსინჯავდა, კარგ გემოვნებას შეუქებდა და თავში აზრად არ მოუვიდოდა, რომ სიბილესთვის როლფს, მის მეუღლეს აღარ უნდა ჩაეცმია. ცხადია, ამ აზრს სიბილე მოფერებით მაშინვე გამოუდევნიდა თავიდან. შტილერს საერთოდ არ ანაღვლებდა, არა, და არც როლფს. ხანდახან (სიბილე ასე ამბობს) ვერცერთ მათგანს ვერ იტანდა. შემდეგ რაღაც შეუღიტინებდა. „სხვათა შორის, ფული მჭირდება, – თქვა სიბილემ, – ოღონდ ბევრი ფული. ეს შემოდგომა პარიზში გვინდა გავატაროთ ერთად,“ წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე გვერდზე გაიხედა; როლფი ხმას არ იღებდა. ის ერთადერთი რამ მოხდა, რასაც არაფრით ელოდა, კერძოდ, არაფერი. სიბილემ ფინჯანი შეავსო და როლფს დაუდგა. „გმადლობ“, – თქვა მან. როლფს, მის ქმარს, ან რამე ჰქონდა საწინააღმდეგო, რომ იგი სხვა კაცთან ერთად (როლფის ფულით) პარიზში მიემგზავრებოდა, ან არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო; სხვა ვარიანტი, ფიქრობდა სიბილე, არ არსებობსო. სიბილემ თავისთვისაც დაისხა ყავა. „აჰა, – მხოლოდ ეს თქვა როლფმა, – პარიზში გინდათ წასვლა“. სიბილემ ახსნა-განმარტება არ დააკლო: „არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩებით, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე კვირა, შეიძლება მეტიც“. როლფი სავარძლიდან არ წამომხტარა, ფინჯანი კედლისთვის არ მიუხეთქებია, ოჰ, ეს როლფი და მისი სასაცილო სიმშვიდე, რა თქმა უნდა, არც მუხლებზე დაცემულა, რომ სიბილეს შევედრებოდა, გონს მოუხმე და ჩემთან დარჩიო. არაფერი მსგავსი! როლფი ერთი წუთით ოდნავ გაწითლდა; ალბათ ეგონა, რომ კარნავალის მასხარასთან ამბავი უკვე მომთავრებული იყო და ახლა თავიდან უნდა შეჰგუებოდა ბედნიერი ოჯახის დანგრევის ფაქტს, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, რატომ უნდა შეჰგუებოდა? როლფმა ყავას მოურია. რატომ არ გაუქანებდა ცოლს ყვავილების ქოთანს ან წიგნს მაინც? სიბილემ შეამჩნია, რომ როლფს ფინჯანი ხელში უკანკალებდა, მაგრამ სინანული არ უგრძნია, არც თანაგრძნობა, უფრო იმედის გაცრუება, სიმწარე, ქირდვა, სევდა. „რამე

ხომ არ გაქვს საწინააღმდეგო?“ ჰკითხა და შაქარი გადააწოდა, მიზეზების ახსნა-განმარტებას მოჰყვა: „ხომ იცი, როგორ არის, აქ ჭორაობას მოჰყვებიან, რომ დამინახავენ. მე ეს საერთოდ არ მედარდება! მაგრამ შენთვის ხომ უსიამოვნო იქნება. განსაკუთრებით ახლა, როცა პროკურორობას გიპირებენ! შენთვისაც ნამდვილად უკეთესი იქნება, თუ ჩვენ პარიზში ვიცხოვრებთ...“ სიბილემ შეხედა. „როგორ ფიქრობ, როლფ?“ როლფი სვამდა, ყავას ურევდა, სვამდა, სულს უბერავდა და სვამდა, თითქოს ახლა ყველაზე მთავარი ის იყო, ამ ცხელი ყავისთვის მიეხედა. მისი საქმიანი შეკითხვა სრულიად სხვათა შორის გაისმა: „კარგი, და მაინც რამდენი ფული გჭირდება?“ როგორი ლაჩრები არიან კაცები, როცა თავად არ უტევენ, იმწუთას საქმიან შეკითხვას ამოეფარებიან, ამ დროს სიბილეს სურდა, გაეგო, რას გრძნობდა როლფი, რისი იმედი ჰქონდა. სიბილე სხვა კაცთან ერთად პარიზში, – ნუთუ მისთვის სულერთი იყო? ნორმალურად მიაჩნდა? აუტანლად მიაჩნდა? სიბილემ პირდაპირ ჰკითხა: „რას ფიქრობ?“ როლფი ახლა დიდ ფანჯარასთან იდგა, ფართო ზურგი ცოლისთვის შეექცია, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეყო, როგორც ყოველთვის, როგორც სეირის მაყურებელს. სიბილეს მისი ზურგი ძალიან ფართო მოეჩვენა, თავი მრგვალი და მსუქანი; მის სიმშვიდეს დაარტყა: „მიყვარს“, – როლფს არ უკითხავს, ისე თქვა. „მართლა გვიყვარს ერთმანეთი, – დაამატა, – ასე რომ არ იყოს, პარიზში ერთად არ წავიდოდით, უნდა დამიჯერო, ქარაფშუტა ხომ არ ვარ“. და მერე ხომ კაცებს მუდამ საქმე იხმობთ, ჰო-ჰო, უკვე სამის ათი წუთი იყო, თათბირი, მიუწვდომლები არიან თავიანთ ციხესიმაგრეში, სიბილემ ეს კარგად იცოდა. თუკი როლფი ახლა სამსახურში არ წავა, კაცობრიობა საშინელი უსამართლობის მდგომარეობაში აღმოჩნდება. „შენ უკეთ იცი, – თქვა მოკლედ, – რა გგონია სწორი“. და შემდეგ პალტო ჩაიცვა, მაგრამ ღილები არასწორად შეიკრა, სიბილემ გაუსწორა, როლფმა მელანქოლიურად დაამატა: „ის უნდა გააკეთო, რაც სწორი გგონია!“ და წავიდა... და სიბილე, ოთახში მარტო დარჩენილი, მოთქვამდა.

ესე იგი ამ თვალსაზრისით სიბილე თავისუფალი იყო.
შტილერი კი ისე დაბრუნდა დავოსიდან, საქმე არ მოუგვარებია. ისე იქცეოდა, თითქოს მისი ბალერინა სიკვდილის პირას ყოფილიყოს, ამ გარემოებებში კი, რასაკვირველია, პარიზში წასვლაზე ლაპარაკიც გამორიცხული იყო. უკვე მერამდენედ ისხდნენ ტყის პირას – ირგვლივ დამწიფებულ ხორბალს მკიდნენ, ზაფხული გადიოდა, ლურჯი ტბა გრიგალს აექოჩრა, ზაფხულის სიჩუმეს ბაზის ხტუნაობა არღვევდა,

მინდვრებზე სილურჯე კანკალებდა, ეზოებიდან ქათმების კრიახი ისმოდა და სამყარო უნაკლო, წუნდაუდებელი, გულის გასახარი, აღფრთოვანების ღირსი რამ იყო. მხოლოდ მისი ბედნიერება (ანდა რასაც სიყვარულისგან მოელოდა) იყო ძალიან რთული! ჩუმად ისხდნენ მიწაზე, ორი მოღალატე, ნაზად გადაჭდობილი ხელებით, ორივეს ბალახის ღერი გაეჩარა დარდისგან გამწარებულ ტუჩებში, და ერთადერთი, რაც ამ ქვეყანაზე რთულად არ წარმოედგინათ, ეგონათ, რომ იყო ცოლქმრობა, არა როლფთან ან იულიკასთან ცოლქმრობა, არამედ მათი ცოლქმრობა.
* * *
ამ არაჩვეულებრივი ქალის აბსოლუტურად არამწარე მოგონებებში – რასაკვირველია, ამას რომ ვწერ, სულ თვალწინ მიდგას, როგორ იჯდა კლინიკის ლურჯ მილებიან სავარძელში, გლადიოლუსები რომ მივუტანე, ყვითელი ხალათი როგორ უხდებოდა მის შავ თმას – არის ერთი პუნქტი, რომელსაც, წესით, დაკარგული შტილერი უნდა გაეოგნებინა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ სიბილე იმ ზაფხულს თუ შემოდგომას, ისე რომ შტილერისთვის არ გაუმხელია, მისგან ბავშვს ელოდებოდა (ბავშვი ახლა ექვსი წლის იქნებოდა)...

ვინიშნავ:
სექტემბერი იდგა. შტილერი გამოფენის საქმეებით ძალიან დაკავებული იყო. მნიშვნელოვან ხალხს სასურველად, აუცილებლად მიაჩნდა, რომ შტილერი ისევ გამოჩენილიყო საზოგადოების წინაშე. „ხელს გიშლი?“ – ჰკითხა სიბილემ, რადგან შტილერმა, აკოცა თუ არა უკვე ჩვეულებაში გადასული კოცნით, ისევ კვარცხლბეკის ხერხვა განაგრძო. სიბილე აკვირდებოდა. კაცი ყველაზე ლამაზი მაშინაა, როცა ხელით რაღაცას აკეთებს. „არ მინდა მოგაცდინო, – თქვა მან, – მაგრამ დღეს აუცილებლად უნდა მენახე...“ სიბილეს მეტი არ გაუნდია, შტილერს კი მისი სურვილი არ გაჰკვირვებია. ახლა მთავარი მისთვის კვარცხლბეკი იყო. „როდის მოვა ის კაცი, გალერიიდან?“ – იკითხა სიბილემ, ცდილობდა, ინტერესი გამოემჟღავნებინა. გარეთ სექტემბრის ლურჯი და რბილი დღე იდგა. კიდევ სულ ცოტა ცხრა კვარცხლბეკი უნდა გაეკეთებინა, მერე შეეღება ან გაელაქა, არც ისე იოლი საქმე იყო; ერთმა არასწორმა კვარცხლბეკმა შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს და მერე რამდენი რამ ჰქონდა გასალაქი, ზოგი რამისთვის კი, პირიქით, ლაქი უნდა მოეშორებინა! ახლა ეს იყო მთავარი. „და შენი ცოლი? – ჰკითხა სიბილემ, – მასაც გამოფენ?“ სიბილემ წყალი დაადგა, რომელიც უკვე დუღდა და ახლა თავადაც საქმიანობდა. „რაღაც მოგიტანე, – თქვა სიბილემ, – ნამცხვარი გამოვაცხვე!“ და შტილერს ნამცხვარი დაანახვა,

ფხვიერი ნამცხვარი ხილით; შტილერს ესიამოვნა, ოღონდ არ შეუხედავს და სისულელეებზე ლაპარაკობდა. სიბილე მის ქანდაკებებს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებდა; რატომ იქცა უცებ ყველაფერი სისულელედ? არადა, იქვე იდო ერთი კონსერვატორის წერილი, რომელიც შტილერს ისე ასხამდა ხოტბას, რომ ცოტათი შეგეშინდებოდა, შტილერმა ფრენა არ დაიწყოსო. „ჩაი მზადაა“, – უთხრა სიბილემ და ელოდა, ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ გამოფენას იმდენივე მომზადება სჭირდებოდა, რამდენიც სამხედრო ოპერაციას (როლფმა შავი ყავის სმისას ჩერჩილის მემუარებზე უამბო) და შტილერი შეეცოდა. „ეს პლაკატი როგორ მოგწონს?“ – ჰკითხა შტილერმა და თან კვარცხლბეკს აშალაშინებდა. სიბილეს შესაფუთ ქაღალდზე გაკეთებული ჩანახატი არც შეუმჩნევია. „პლაკატიც იქნება?“ – გაუკვირდა და მართლაც, ნამდვილი პლაკატი იყო, ფურტვენგლერის და პერსილისნაირი, საშინლად არ მოეწონა. შტილერი, მისთვის ძვირფასი ხელწერა ქალაქის ყველა სვეტზე, თითქოს გამადიდებელი შუშით გამსხვილებული. ნუთუ კაცებს საერთოდ არაფრის რცხვენიათ? სიამოვნებას მაინც ანიჭებდეს, მაგრამ შტილერი სულ იგინებოდა ამ გამოფენობანას გამო. მაშ, რატომ აკეთებდა? ჩაი ზეზეულად დალია, ნამცხვარი მიაყოლა, თან ლაპარაკობდა და ნამცეცები სცვიოდა, ვერც კი ამჩნევდა... სიბილე მალე წავიდა; ახლა მისი მამობა გამორიცხულიაო, იფიქრა და კმაყოფილი იყო, რომ შტილერმა უბრალოდ კი არ გაუშვა, არამედ ხუთ საათზე ნავით გასასეირნებლად დაიბარა. ბედნიერი იყო, რომ დღეს კიდევ შეხვდებოდა. დროის მოსაკლავად სექტემბრის სითბოში გახვეულ ბანჰოფშტრასეს ჩაუყვა, მაღაზიის ვიტრინებს ათვალიერებდა, სანამ ციურიხის ყველაზე ლამაზი ჰალსტუხი არ იპოვა. გაახსენდა, რომ, სამწუხაროდ, შტილერს საერთოდ არ ჰქონდა ამ ჰალსტუხის შესაფერი პერანგი. შესაფერი პერანგიც იყიდა.

ნავით სეირნობისას (ასე თქვა სიბილემ) შტილერი ყოველთვის პატარა ბიჭივით იქცეოდა, დასერიოზულდებოდა ხოლმე, მაგრამ არ ჯუჯღუნებდა, და ისეთი ლაღი, ისეთი ბედნიერი იყო თავისი სათამაშოთი; საჭეს და იალქანს ატრიალებდა, სიბილე წინ, ქიმზე იწვა, ცალი ხელი და ფეხი ადგაფუნებულ წყალში ჩაეყო. აქ, ტბაზე, თავისუფლები იყვნენ, მოჩვენება თან არ სდევდათ. ტბის ნაპირი შემოდგომის ბურუსში იკარგებოდა, იალქანი უკანასკნელი მზის თბილ სხივებში ბრწყინავდა, აღმოსავლეთით ცა უკვე იისფერ დაისში გადადიოდა, და წყალს მათი მოსრიალე ნავის ჩრდილი ეცემოდა, სარკის გამჭვირვალე ზედაპირის ქვეშ ტბა თითქმის შავი ჩანდა. სიბილემ თავი იდაყვზე ჩამოდო, რომ ჩამავალი მზის სხივები პირდაპირ სახეზე მოხვედროდა, ნავის ქვეშიდან წყლის ბუყბუყი ესმოდა,

როცა ნავი გემის ტალღებში ატორტმანდებოდა, სიბილე აციმციმებული თვალებით აკვირდებოდა შტილერს, თავის შტურმანს, რომელიც, ვინ იცის, უკვე მისი მეორე შვილის მამა იყო. როგორ შეხვდებოდა ამ ამბავს როლფი? სიბილეს სანატრელი აღარაფერი ჰქონდა. როლფის გახსენებაზე: ხვალ იგი შეუდგებოდა პროკურორობას. რა ნიჭიერები არიან! თითოეული თავისებურად. და სიბილემ გადაწყვიტა, რომ გონიერება გამოეჩინა, კმაყოფილი ყოფილიყო. მიუხედავად ყველაფრისა. ჯერ ხომ ახალგაზრდა იყო, ყველაფერი მოიცდიდა. რაღაცა მაინც მოხდებოდა! ან ბავშვი დაიბადებოდა, ან იულიკა მოკვდებოდა, ან ვარსკვლავი ჩამოვარდებოდა ციდან, რომელიც ყველაფერს დაალაგებდა. როგორც ყოველთვის ნავით სეირნობისას, ახლაც ცოტას ლაპარაკობდნენ. ტბის თავზე ქალაქი ზუზუნებდა თავისი ტრანსპორტით, სკოლის ბავშვები გემიდან იქნევდნენ ხელს და სამყარო, დაწოლილი თუ უყურებდი, მხოლოდ ფერებისგან შედგებოდა, კაშკაშისა და ჩრდილებისგან, სიჩუმისა და ჟღერადობისგან. ახლა გადაწყვეტილებების მიღების დრო არ იყო. რატომ არ შეიძლებოდა ერთდროულად ორი კაცის სიყვარული? შტილერი მისთვის უფრო ახლობელი იყო, ეს კაცი არ დაგჩაგრავდა. როლფი ჩაგრავდა. საშინელება იყო, მაგრამ რაღაც გაგებით უფრო იოლიც. როლფი ქალს არ უმეგობრდებოდა. ერთ მომენტში ტივტივას ისე გაედნენ, რომ გაიჭრიალა და შტილერმა, რომელიც თავის გამოფენაზე ჰყვებოდა რაღაცას და ყურადღება გაეფანტა, ბოდიში მოიხადა. როლფი ბოდიშს თითქმის არასდროს იხდიდა; როლფი ამპარტავანი იყო. შტილერის გამო შეიძლებოდა გენერვიულა, როლფის გამო არა. ორივე რომ გაერთიანებულიყო ერთ პიროვნებაში, რა მაგარი იქნებოდა! ხანდახან როლფი, ეგონა, რომ დიდი ძაღლია, ბერნარდინერი, რომელიც, ჯობია, თოკზე არ გამოიბა, თორემ წაგაქცევს. შტილერი ხანდახან თავისი ძმა ეგონა, მხოლოდ ძმა კი არა, დაც... მოულოდნელად აგრილდა და სიბილე წამოიმართა, მოქანავე ნავი გაიარა და შტილერთან მივიდა, სველ ხელებში მისი თავი მოიმწყვდია და დაკოცნა. მან თოკს ხელი გაუშვა, იალქანი აფარფატდა და ჰკითხა: „რა იყო?“ სიბილემ თავად არ იცოდა, რა იყო.

* * *

„კაცები უცნაურები არიან!“ სიბილეს დღესაც ასე ჰგონია: „თქვენ და თქვენი სერიოზულობა! საათები, დღეები, კვირები შეიძლება გეგონოს, რომ საყვარელ ქალთან სიახლოვის გარდა არაფერი გინდათ, გაგიჟებულები ეძებთ ამ სიახლოვეს, არაფრის გერიდებათ, არანაირი განსაცდელის, არც სასაცილოობის, მით უმეტეს, არც საშინელების, როცა

ვინმე გზას გიღობავთ, თითქოს ის ქალი, საყვარელი ქალი იყოს ერთადერთი, რაც გწადიათ – და მერე, ერთი ხელის მოსმით, საქმე სულ სხვაგვარადაა, უცებ აღმოჩნდება, რომ რაღაც თათბირი მაინც უფრო მნიშვნელოვანია, ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ყველა ამაზე უნდა აეწყოს. უცებ აფორიაქდებით, ქალი თქვენთვის ზედმეტი ტვირთი ხდება. ვიცი! უცხო ადამიანებს ბრიყვულად უწევთ ანგარიშს, მაგრამ იმ ქალს, რომელსაც უყვარხართ, არა. თქვენ და თქვენი სერიოზულობა! იურისტების საერთაშორისო კონფერენცია, გალერეის კონსერვატორი, უცებ აღმოჩნდება ისეთი რამეები, რისი გაცდენაც წარმოუდგენელია! და ვაი იმ ქალს, ვინც ამას ვერ გაიგებს ან დასცინებს! და მერე, მეორე წუთას, ისევ იქცევით პატარა ჰანესად, რომელსაც ჭექა-ქუხილის ეშინია. ხომ მართალია? ერთნაირები ხართ კაცები, მოდიხართ, რომ მხარზე თავი დაგვადოთ, რომ არ გაგიჟდეთ, რომ იგრძნოთ, რომ ამ სერიოზულ მსოფლიოში დაკარგულები არ ხართ, და მთელი თქვენი პროკურატურებით და გამოფენებით ზედმეტნი არ ხართ... ღმერთმა იცის, – იცინის სიბილე, – თქვენც ხართ, რა!“

* * *

ერთ დღეს, სექტემბრის ბოლოს, შტილერმა ტელეფონზე უთხრა: „მოემზადე, პარიზში მივდივართ“. სიბილე ყურმილს არ უჯერებდა. „სერიოზულად?“ ენერგიულმა ხმამ უპასუხა: „რატომაც არა?“ ნახევრად დაეჭვებულმა, შტილერი ხომ არ ხუმრობდა, ნახევრად მხიარული სერიოზულობით ჰკითხა „როდის?“ ენერგიულმა ხმამ უპასუხა: „ხვალ, დღეს, როცა გინდა“ (პარიზის მატარებლების განრიგი ხომ ზეპირად იცოდნენ; ღამის მატარებელი გარიჟრაჟზე შედიოდა პარიზის გარეუბანში, შემდეგ შეეძლოთ სამსახურში აღრე მიმავალ ხალხთან ერთად ესაუზმათ აღმოსავლეთის სადგურის ბარში. ყავა და ბრიოშე, შემდეგ ბოსტნეულითა და თევზით სავსე დარბაზებში გაისეირნებდნენ – და უცებ, ჯადოსნური ზღაპარივით, ეს ყველაფერი შეიძლებოდა მართლა მომხდარიყო?). „ახლავე შენთან მოვალ!“ – უთხრა სიბილემ, მაგრამ ეს ასე იოლი არ იყო, რადგან შტილერს იმ დილასაც ის კონსერვატორი ჰყავდა ატელიეში, ნაშუადღევს კი სიბილეს პატარა ჰანესი უნდა წაეყვანა ცირკში. „მაშინ ცირკის მერე!“ – თქვა მან და ყურმილი დაკიდა, ისეთი ატაცებული იყო, როგორც ადამიანი, რომელმაც პრიზი მოიგო, ბედნიერებისგან დაცლილი…

როგორც იქნა, წინ მიიწევდნენ!
„ახლა რა ვქნათ, – ჰკითხა როლფმა შავი ყავის სმისას, – ავეჯის გადამზიდი მანქანა უნდა შევუკვეთოთ, როდის გირჩევნია? არც იფიქრო,

რომ მარტო გადავიტან ბარგს, მომავალ კვირაში აქ ხარ?“ სიბილეს ნერვებს უშლიდა, მაგრამ კარგად ესმოდა, რატომ აწვებოდა როლფი. „ჰო-ჰო, – უთხრა, – ვიცი, მაგრამ დღეს ვერ გეტყვი, ვიქნები თუ არა“. „როდის მეტყვი?“ „ხვალ!“ „რატომ ანერვიულდი?“ „არ ავნერვიულდი, – უპასუხა მან, – რა მაქვს სანერვიულო?“ სიბილეს იმედი ჰქონდა, რომ გადაწყვეტილებას მოამწიფებდა. ახლა აღმოჩნდა, რომ ოცდაოთხსაათიანი ულტიმატუმის წინაშე დააყენეს! ახლა უნდა ეფიქრა ყველაზე, ვინც ამ დედამიწის ზურგზე მისთვის ძვირფასი იყო, შტილერზე, და როლფზე, და ჰანესზე და სიცოცხლეზე, რომელიც ჯერ არ დაბადებულიყო. ადამიანებზე, რომელთაც მისი გული ეკუთვნოდათ, საკუთარ თავზეც, იმაზეც, შეძლებდა თუ არა, თავად აერჩია საკუთარი ცხოვრება. ამაში იყო საქმე! და ხვალ როლფს ეს უნდა სცოდნოდა, რომ ავეჯის გადამზიდი მანქანა შეეკვეთა, ხვალ უნდა სცოდნოდა, შავი ყავის სმისას... ცირკის საბავშვო წარმოდგენა (ის ასე ამბობს) გართობის გარდა ყველაფერი აღმოჩნდა მისთვის, პირიქით, სწორედ იქ მიიღო გადაწყვეტილება: პარიზის სასარგებლოდ, შტილერის, ხიფათის სასარგებლოდ. დღის სინათლეზე, გაიფიქრა სიბილემ, ცირკი უფრო უბადრუკი ჩანს, რა გულისამაჩუყებელია მისი გაქუცული ბრწყინვალებაო; ამიტომაცაა მქრქალი სინათლე მზით დანათებულ კარავში, ქარვისფერი სინათლე, ჭრელა-ჭრელა ბავშვებით სავსე რიგები და მათი ჭყლოპინი, სასულე ინსტრუმენტების ხმა, ცხოველების სუნი და ხანდახან ისეთი ღმუილი, რომ თავი უღრან ტყეში გეგონება. სიბილეს ძალიან მოსწონდა ცირკი. პარიზში რამე სამუშაოს ვიშოვიო, ფიქრობდა, სულერთია, რაიმეს, ესეც თავგადასავლის შემადგენელ ნაწილად ესახებოდა. სიბილეს არ ეშინოდა. კლოუნს, რომელმაც წარმოდგენა გახსნა, ბავშვები, ეტყობა, სულელი მოზრდილები ეგონა, მაინცდამაინც არავის მოეწონა და პატარა ჰანესი, რომელიც პირველად იყო ცირკში, სერიოზულად მიშტერებოდა სულელ კაცს და უხაროდა, რომ წაიბორძიკებდა ხოლმე და უნდოდა, რომ აღარ გამოსულიყო. სიბილეს სთხოვდა, უთხარი, აღარ გამოვიდესო. მერე ვეფხვების ნახტომები! მათრახის ტკაცუნი და ხრინწიანი ხვნეშა, სიბილე მონუსხული იჯდა და რამდენიმე წუთით პარიზიც დაავიწყდა, ჰანესი შაქარყინულს წუწნიდა და ეკითხებოდა, რატომ უნდა გახტნენ ეს ბოროტი ცხოველები რეზინის რგოლებშიო. ვერ გაიგო, რატომ იყო ეს საჭირო. სამაგიეროდ, ძალიან მოეწონა სელაპები და ვითომ სიბილეს აკლდა მისაღები გადაწყვეტილებები, ახლა ისიც უნდა გადაეწყვიტა, უნდოდა თუ არა ყოფილიყო სელაპი. ცხენების ვალსი რომ დაიწყო, ჰანესს სახლში დაბრუნება მოუნდა. სიბილეს ახლა უკვე შეეძლო შტილერთან წასულიყო.

მაგრამ არ წავიდა. ჯერ არა! და ერთ მომენტში, როცა შვიდი კაცის სიცოცხლე ერთი მომღიმარი აკრობატისტი გოგოს კბილებზე ეკიდა, ჰანესმა ქვევით შეამჩნია ჩექმებიანი ჭუჭყიანი კაცი, რომელსაც ძაღლები ეჭირა, ლამაზ კაბებში, შავ ფრაკებში და თეთრ ლენტებში გამოწყობილი ძაღლები. ძაღლები ვეღარ ითმენდნენ. მერე სიბილემ თავისი პატარა ჰანესი კალთაში ჩაისვა, რომ მოაჯირებს შორის არ ჩავარდნოდა. იმ მომენტში, როგორც ჩანს, სიბილე უკვე დარწმუნებული იყო თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. თან, მთელი ყურადღება ლაპლაპა ტრაპეციაზე ბეკეკების წარმოდგენისკენ ჰქონდა მიპყრობილი. რაღაც იქნებაო, ფიქრობდა. უცებ ყველა ბავშვმა ერთად იჟივლა: ტრაპეციაზე მოხტუნავე ვერცხლისფერმა გოგონამ თავისი ზეციური საქანელა სალტო მორტალეთი დატოვა, დიდ ბადეში კუნტრუშებდა და, ჰოი, საოცრებავ, კისერიც არ მოუტეხია, ორკესტრი კი ვერდის აგუგუნებდა. პაუზა! ჰანესსაც სხვა ბავშვებივით გარეთ გასვლა მოუნდა, მაგრამ სიბილე გაშეშებული იჯდა: გადაცმული ტიპი, რომელიც ამ მდელოზე ალბათ პურის ფულს შოულობდა, შოკოლადს ყიდდა, მაგრამ სიბილეზე არანაირი სანახაობა არ მოქმედებდა. მან იგრძნო, რომ დამოუკიდებელი ქალი იყო.

შვიდი სრულდებოდა, როცა ჰანესი, როგორც წესი და რიგია, სახლში მიიყვანა და შტილერთან მივიდა, რომელიც თავის ატელიეში ბელურასავით უსტვენდა, ჩემოდანი გადმოეღო და უკვე ალაგებდა. პარიზში მოგზაურობა სერიოზულად ჰქონდა გადაწყვეტილი. სიბილე რატომ მოვიდა ბარგის გარეშე? უცებ გაირკვა, რომ შტილერი „ისედაც“ წასასვლელი ყოფილა პარიზში, დღეს არა, არც ხვალ, მაგრამ უახლოეს მომავალში, კერძოდ, ბრინჯაოს გამო, რომელიც მხოლოდ პარიზში ისხმებოდა და მომავალი გამოფენისთვის, როგორც კონსერვატორი ფიქრობდა, აუცილებელი იყო. და იულიკა? ისეთი გადასარევი საბაბი ჰქონდა პარიზში წასასვლელად, იულიკას აღელვების არანაირი საფუძველი აღარ ჰქონდა, რომ შტილერის მოგზაურობის გამო სიცხე ასწეოდა. სიბილე ყველაფერს მიხვდა. უბრალოდ თქვა:
– არა.

შტილერი ნაწყენი დარჩა.
– მე მივდივარ.
– ჰო, – თქვა სიბილემ, – წადი.
შტილერს სიბილე უცნაური მოეჩვენა, რამდენი თვე ლაპარაკობდნენ ამ პარიზზე და რამდენს ოცნებობდნენ და ახლა...
– წადი, – თქვა სიბილემ, – წადი!
შტილერი იმ იმედით წავიდა (ისედაც წასავლელი იყო), რომ სიბილე

ინანებდა თავის უგუნებობას და ჩააკითხავდა. სიბილეს მისი იმედი აღარ აინტერესებდა. მეორე დღეს, შავი ყავის სმის დროს, როლფს უთხრა: „არ მივდივარ პარიზში“. როლფი შეეცადა, სიხარული დაემალა და სიმშვიდე შეენარჩუნებინა. შემდეგ სიბილემ დაამატა: „სამაგიეროდ, ჩემს მეგობართან წავალ ერთი კვირით სანქტ-გალენში“. და ამ მომენტში, უყურე შენ, ფინჯანი კედელს მიენარცხა. როცა სიბილე მარტო დარჩა, ტელეფონების ცნობარი მუხლებზე დაიდო, სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო, მოძებნა იმ ერთადერთი ექიმის ტელეფონი, რომელიც თავისი საქმისთვის გამოადგებოდა, ნომერი აკრიფა და პასუხს აბსოლუტურად წყნარად დაელოდა. როლფის სიმშვიდემ დააბნია. აუცილებლად უნდა ექნა, რაც მალე, მით უკეთესი.

* * *

როლფს, რასაკვირველია, ერთი წამით არ დაუჯერებია სანქტ-გალენელი მეგობრის არსებობა. თავს მოტყუებულად, გასულელებულად გრძნობდა და მისთვის ეს ამბავი დამთავრებული იყო. ის საბედისწერო შეხვედრა მის კაბინეტში – სიბილეს საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ – მისმა ცოლმა, ცხადია, ცოტა სხვანაირად აღიქვა, ვიდრე ამას როლფი, ჩემი პროკურორი ჰყვება; სიბილე კი არ იყო ჯიუტად დადუმებული (ამტკიცებს სიბილე), არამედ თავად როლფი.
ვინიშნავ:
თითქმის ერთი საათი ალოდინა სიბილე მოსაცდელში, სანამ მდივანი გამოვიდა და უთხრა: „ბატონი პროკურორი გთხოვთ!“ ხელის ჩამორთმევის და ერთი წამით ზღურბლზე შეყოვნების შემდეგ, სიბილეს ეგონა, მიწა ფეხქვეშ გამომეცლება, როლფი თუ ხელს არ შემაშველებსო, ქმარს ჩაუარა (ეს მართალია) და პირდაპირ ფანჯარასთან მივიდა, თითქოს ხედის სანახავად მოსულიყოს. „აი, თურმე, როგორია შენი კაბინეტი“, – ისეთი ტონით თქვა, ვითომ არაფერი მომხდარიყოს. „არაჩვეულებრივია“. ძალიან უხერხული სიტუაცია შეიქმნა. „ჰო, – მიუგო როლფმა, – ეს არის ჩემი კაბინეტი“. როლფი გამომცდელად აკვირდებოდა, თითქოს სიბილე სასიყვარულო მოგზაურობიდან დაბრუნებულიყოს. „შენთან ლაპარაკი მინდა!“ – პირდაპირ თქვა სიბილემ და როლფმა ისე მიუთითა სავარძლისკენ, ვითომ კლიენტი ყოფილიყოს, სიგარეტი შესთავაზა, რომელიც მაგიდაზე იდო, ასე ვთქვათ, სამსახურეობრივი მარაგის დიდი კოლოფიდან. „გმადლობ, – თქვა სიბილემ და ჰკითხა: – როგორ ხარ?“ როლფმა ზუსტად იმავე ინტონაციით, ექოსავით დაუბრუნა: „როგორ ხარ?“ ასე ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და ეწეოდნენ: როლფი დიდ საწერ მაგიდასთან,

სიბილეს კი თავი მოშიშვლებულ ველზე ეგონა. ნეტავ თუ აინტერესებდა როლფს, ჯერ კიდევ რამდენად მისიანად თვლიდა სიბილე? ირონიულადაც კი არ უკითხავს, როგორი იყო სანქტ-გალენშიო. „უნდა მაპატიო, – უთხრა როლფმა, – ნახევარ საათში სხდომა მეწყება“. და სიბილემ, რასაკვირველია, ხმა ვეღარ ამოიღო. რატომ პირდაპირ არ შეეკითხა, სად იყავიო? ან უბრალოდ ეთქვა, რატომ ტყუიხარო? ამის მაგივრად, მხოლოდ ეს უთხრა: „გადაბარგებას მოვრჩი, საბედნიეროდ, ამინდმა გაგვიმართლა...“ გადაბარგების შესახებ ინფორმაცია სრულიად მშრალი იყო, ხმაში არც საყვედური შეჰპარვია სიბილეს არყოფნის გამო. „შენი რაღაცები ჯერჯერობით უბრალოდ დავაწყობინე, – უთხრა, – ხომ არ ვიცოდი, როგორ გინდა მოიწყო ოთახი და საერთოდ...“ სამწუხაროდ, საუბარი ტელეფონმა გააწყვეტინა (საავადმყოფოდან სიბილე ჯერ მათ ძველ ბინაში წავიდა. ცარიელ ოთახებში ფეხის ხმის ექო, ჩამოხსნილი სურათებისგან დარჩენილი მუქი მართკუთხა ლაქები გახუნებელ შპალერზე, ყველგან რაღაც იყო გაფუჭებული, წარმოუდგენელი იყო, რომ აქ, ამ კედლებში იცხოვრეს ექვსი წელი და ამ ყველაფრის დანახვა შედარებით იოლი, მალული, აუცილებელი, მაგრამ ყველანაირი ნარკოზის მიუხედავად, გაუგონარი დანაკარგის შემდეგ, საშინელებად მოეჩვენა, და სიბილეს ტირილი წასკდა, თითქოს ამ ცარიელ და ჩამონთხლეულ, საშინლად უბადრუკ ბინაში, რომელსაც ბინაც აღარ ეთქმოდა, დაინახა, რა დარჩენილიყო მისი ცხოვრებისგან. უნდოდა როლფისთვის დაერეკა, მაგრამ ვერ შეძლო; ტელეფონი უკვე გამოერთოთ. შემდეგ ახალ სახლში წავიდა, რომ ქალბატონის ოთახი ენახა: ერთი დიდი არეულობა დახვდა, ავეჯის საწყობი, სრული უაზრობა, სურათების და სარკეების, წიგნების, ქუდის ყუთების, ლარნაკებისა და ფეხსაცმელების, საკერავი ნივთების გროვა, ყველაფერი კარგი და ახალი, მაგრამ ნივთები, მხოლოდ ნივთები, არაფერი ნივთების გარდა, ამ გროვისთვის ცეცხლი უნდა წაგეკიდებინა. ჰანესმა არ მოასვენა და როცა მამის ახალი ოთახის საჩვენებლად წაიყვანა, სიბილე ზღურბლზე შედგა. შემდეგ აქეთ წამოვიდა...). როლფი, როგორც იქნა, მორჩა ტელეფონზე საუბარს, ყურმილი დადო და თითქოს იხსენებდა, სად გავჩერდითო, მაგრამ მერე თქვა: „პარიზიდან დარეკა ვიღაცამ, ვინმე ბატონმა შტილერმა, ეტყობა, შენი საყვარელია“. სიბილემ მხოლოდ შეხედა. „მე ვფიქრობ, – დაამატა მოკლედ, – შენ იმ ბატონს პარიზში მაინც შეხვდებოდი...“ ეს დამატება საჭირო აღარ იყო, სიბილეს უკვე აეღო ჩანთა და უნებურად ამდგარიყო. „სად მიდიხარ?“ – ჰკითხა როლფმა. „მთაში, – მოკლედ მიუგო სიბილემ, თვალწინ დაუდგა პლაკატი, რომელიც აქეთ გზაზე ნახა, – პონტრესინაში“. და როლფმა, ამ ჯიუტმა კაცმა, თითქოს საკმარისი არ არის ეს ფარსიო, კიდევ კარებამდე

მიაცილა. „რაც გინდა, ის ქენი“, – უთხრა და ხელთათმანი აიღო, რომელიც სიბილეს დავარდნოდა. „გმადლობ“, – უთხრა სიბილემ და ახლა უკვე მართლა მზად იყო წასასვლელად და თავადაც ვერ მიხვდა, რატომ მიბრუნდა ისევ ფანჯარასთან. „სასაცილოა, – თქვა სიბილემ, – ძალიან სასაცილოა, როგორც ჩვენ ვიქცევით, ბავშვებივით...“ როლფი დუმდა. „შენ ცდები! – თქვა სიბილემ, როგორმე უნდა გაეგრძელებინა საუბარი, – არ გაქვს უფლება, ასე მომექცე. რა გეგონა, მოვალ და პატიებას გთხოვ? ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ნამდვილი ცოლ-ქმარი, როლფ, არც ადრე. არასდროს! ამაშია საქმე. შენთვის ეს ყოველთვის იყო ურთიერთობა, მეტი არაფერი, შენ არასდროს გწამდა ცოლქმრობის“. როლფმა გაიცინა. სიბილეს თავად უკვირდა საკუთარი სიტყვები, უკვირდა თავისი ბრალმდებლური ტონი. ეს საერთოდ არ იყო ის, რისი თქმაც უნდოდა. „როლფ!“ – უთხრა მან და სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა, ჩანთა არ გადაუდია, მაინც წასასვლელად იყო გამზადებული, მაშინვე ადგებოდა, როგორც კი იგრძნობდა, ზედმეტი ვარო. „მე საყვედურების სათქმელად არ მოვსულვარ. ოღონდ... – როლფი იცდიდა, – არ ვიცი, ამის შემდეგ რა იქნება“, – თავისთვის ჩაილაპარაკა სიბილემ. როლფი იდგა და დუმდა. რატომ არ მეხმარებაო, ფიქრობდა სიბილე და დაავიწყდა, რომ ბევრი რამ როლფს ვერ ეცოდინებოდა, წარმოადგენა არ ჰქონდა, საიდან მოდიოდა სიბილე და რა მომხდარიყო. „ვერასოდეს წარმოვიდგენდი, – განაგრძობდა სიბილე, – რომ აქამდე მივიდოდით. მე ოჯახური ცხოვრება სხვანაირად წარმომედგინა. შენ და შენი მოხსენებები! მეგონა, რომ გამოცდილება გალაპარაკებდა...“ როლფს შეხედა. „ვერ ვხვდები, რა გინდა“, – თქვა როლფმა. სიბილე მართლა უნდა დაფიქრებულიყო. „არ გსაყვედურობ, როლფ, ამის უფლება არ მაქვს, ამიტომ მოხდა ასე! შენ თავისუფალი ხარ, მეც თავისუფალი ვარ და ამ დროს ყველაფერი ასე სავალალოდაა... რა მინდა? – კითხვა დაუბრუნა, – არ იცი, რა მინდა?“ ცოტა ირონიული, შეიძლება დამცინავი ღიმილიც კი დაეხატა სახეზე, ასეთი ღიმილით მაშინ უყურებენ ადამიანს, როცა ის ნამდვილ გრძნობებს მალავს. ასეთი გაუცხოება ხომ მხოლოდ ნათამაშევი შეიძლებოდა ყოფილიყოო, ფიქრობდა სიბილე, რა საჭიროა ეს კომედია? მერე უცებ მოუნდა კისერზე ჩამოკიდებოდა, მაგრამ მეუღლისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით შეჩერდა, თითქოს მის მზერას ვერ სწვდებაო. „გეზიზღები?“ – ჰკითხა და უნებლიეთ გაეღიმა. როცა ახლობელი ადამიანი პირველად გამოამჟღავნებს ზიზღს ჩვენ მიმართ, გვეჩვენება, რომ ფარსია, მაგრამ ეს როლფის ნამდვილი სახე იყო, ნამდვილად, და სიბილეს ღიმილი სახეზე შეახმა. როლფს ეზიზღებოდა. როლფი ახლა სხვანაირადაც გამოიყურებოდა. სიბილე მას ვეღარ ცნობდა; საკუთარ

თავს მხოლოდ გარეგნულადღა ჰგავდა. „...საყვარელი! – თითქოს საკუთარი ფიქრი გააგრძელა სიბილემ, – მე საყვარელი არ მიძებნია, ეს შენ ძალიან კარგად იცი!“ „არამედ?“ „მე არ მჭირდება, უბრალოდ, ვინმე კაცი. ეს შენი თეორიაა! არც შენში მიძებნია, უბრალოდ, კაცი. რატომ შეირთე ცოლი? შენთვის ეგრეა, უბრალოდ, ქალი, ურთიერთობა ვინმე ქალთან. ამიტომაა, რომ გეუბნები, რომ უცოლო ხარ, ცოლიანი უცოლო კაცი. ხო, იცინე! ცოლქმრობა ან ბედისწერაა, ან უაზრობა, სისულელეაა. მეკითხები, რა გინდაო? მე სულელურად მოვიქეცი, ვიცი. მწყინდა, შენ რომ სადღაც ვიღაც გიყვარდებოდა, ეგრეა და ალბათ მაინც სულმოკლედ მოვიქეცი. თავისუფალი სივრცე ცოლქმრობაში, რას ნიშნავს ეს? მე არ მჭირდება თავისუფალი სივრცე, მე მინდა, რომ ჩემი ქმრისთვის არ ვიყო „ვიღაც“ ქალი. რატომ არ გესმის? მამაჩემიც არ არის ჩემთვის „ვიღაც“ კაცი. და ჰანესიც არ არის „ვიღაც“ ბავშვი, რომელიც იმიტომ გვიყ ვარს, რომ მოგვწონს... ეჰ, როლფ, – თავად გაწყვიტა აზრი, – რა სისულელეა ეს ყველაფერი!“ „ესე იგი შენ გინდა თქვა, – შეაჯამა პროკურორმა, – რომ ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ცოლ-ქმარი?“ „ჰო“. „და რომ შენ, შესაბამისად, არ ხარ ვალდებული, მითხრა, სად იყავი ეს დღეები“, – თქვა და ახალ სიგარეტს მოუკიდა. „საერთოდ არ მესმის, რატომ მოხვედი ჩემთან“. „ასე როცა ლაპარაკობ, არც მე მესმის! – თქვა სიბილემ, – მე მოვედი, რომ მართლა მელაპარაკა შენთან, ახლა დრო არ გაქვს, ვიცი. შენ არასდროს გაქვს დრო, როცა ეგრე გირჩევნია. და თან ყოველთვის სულელურ დროს მოვდივარ!“ როლფი ეწეოდა: „მართლა რაზე გინდოდა ჩემთან საუბარი?“ „მე გულუბრყვილო ვარ, შენ მართალი ხარ. დღესაც გულუბრყვილო ვარ, მაგრამ ახლა უკვე შენი ქედმაღლური ღიმილი აღარ მაღელვებს! – თქვა სიბილემ, – რაღაცნაირად მგონია, რომ უბრალოდ სულელი ხარ“. მერე დააკონკრეტა: „შენ, უბრალოდ, ჩემზე უკეთ ლაპარაკობ, ამიტომაც გაცდიდი მუდამ ლაპარაკს. გეგონა, ერთადერთი კაცი იყავი, ვინც ჩემი სიყვარულის ღირსი იყო? ვიცი, რომ ჩემში დარწმუნებული იყავი, როლფ, მაგრამ სულ სხვა გაგებით... გახსოვს ჩემი ბრიტანელი ოფიცერი მაშინ, კაიროში? – გაახსენდა სიბილეს, – არასოდეს შეგიხედავს მისთვის სერიოზულად, ვიცი! მას ჰქონდა ისეთი თვისებები, რომლებიც შენ არ გაქვს, როლფ, და რაც მე ასე მაკლია. მაგრამ მაშინ თავში აზრად არ მომივიდოდა, მართლა, გროტესკულად მომეჩვენებოდა, შენ მაგივრად სხვა კაცთან ერთად რომ გამეგრძელებინა გზა. მაინც რატომ! არ ვიცი, რამ ჩამომიყალიბა შეხედულება ცოლქმრობაზე, მაგრამ მაქვს ეს შეხედულება – დღემდე მაქვს... იქნებ სწორი იქნება, – მცირე დაფიქრების შემდეგ დაასრულა, – თუ გავშორდებით“. თან ფანჯარაში იყურებოდა და მის

გამომეტყველებას ვერ ხედავდა; როლფი ჩუმად იყო. „მოიფიქრე! – თქვა სიბილემ, „– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩვენ ოდესმე გაშორებაზე ვიფიქრებდით. ყველა, ვინც ჩვენი ნაცნობების წრეში გაშორდა, სულ მეგონა, რომ სწორად მოიქცა, რადგან მეგონა, რომ მათ შემთხვევაში ცოლქმრობა არც არსებობდა. ეს იყო ურთიერთობები, ბიურგერული ტრადიციის ხათრით კანონიერად გაფორმებული, მაგრამ თავიდანვე არა ის, რაც საჭიროა. რატომ უნდა დარჩენილიყვნენ ერთად! ესე მგონია, იმას ჰგავს, ჩიტების საფრთხობელას რომ ააშენებ ბაღში და მერე შენ თვითონ გეშინია ბაღში გასვლა. ეს იყო არა ცოლქმრობა, არამედ „ბიურგერული“ ურთიერთობები. შენ მე ყოველთვის მეუბნებოდი, „ბიურგერი“ ხარო, როცა ჩემი გრძნობა არ მოგწონდა და დღეს კი მგონია, რომ შენ ჩემზე მეტად „ბიურგერი“ ხარ, სერიოზულად ვამბობ. თორემ, აბა, რატომ დააკანონებდი ჩვენს ურთიერთობას, რომ არ გწამდეს ცოლქმრობის! მხოლოდ იმიტომ, რომ შვილი გვეყოლა?“ როლფი ლაპარაკს აცდიდა. „ვიცი, – გაიცინა სიბილემ, – მოგწონს, რომ წყობიდან არ გამოდიხარ. გინდა პარიზში წავიდე და გინდა პონტრესინაში, წყობიდან არასდროს გამოდიხარ! და ეს გგონია დიდსულოვნება. ასე არ არის? შენმა დიდსულოვნებამ უნდა დამჯაბნოს. ხანდახან მგონია, რომ სინამდვილეში მხოლოდ ჩემი მორჩილება გინდა, რომ მერე თავად იყო თავისუფალი! სულ ესაა. ელოდები, როდის მიმატოვებს ჩემი „საყვარელი“, როგორც შენ ტოვებ ქალებს და მერე შენ მეტი არავინ დარჩება; სულ ესაა შენი სიყვარული, მთელი შენი თავშეკავება, მთელი შენი დიდსულოვნება... აჰ, როლფ, – გაიმეორა სიბილემ, – ეს ყველაფერი ხომ სისულელეა!“ „და აზრს რაში ხედავ?“ – ჰკითხა როლფმა, მაგრამ ისევ ტელეფონმა დარეკა და საწერი მაგიდისკენ გაემართა. „არ ვიცი, რისთვის გეუბნები ამ ყველაფერს,“ – თქვა სიბილემ, როლფმა ყურმილი აიღო; მდივანი ურეკავდა, რომელიც ვალდებული იყო, პროკურორისთვის შეეხსენებინა, რომ სხდომა, ნაფიც მსაჯულთათვის ეგრეთ წოდებული სამართლებრივი განმარტების სხდომა, იწყებოდა. „დიდხანს არ შეგაყოვნებ“, – თქვა სიბილემ და უყურებდა როგორ ალაგებდა როლფი საბუთებს ჩანთაში. „მიბრაზდები? – ჰკითხა სიბილემ, – რატომ არაფერს მპასუხობ?“ როლფი ჯერ მაგიდაზე ეძებდა კალმისტარს, მერე ჯიბეებში, მერე ისევ მაგიდაზე. „მესმის,– თქვა როლფმა, – ესე იგი, შენ იმედგაცრუებული ხარ, რომ მე არაფერს გიკრძალავდი“. როლფს ღიმილზე ეტყობოდა, ცდილობდა, მთელი ეს ამბავი სასაცილოდ მიეღო. „არა, – თქვა სიბილემ, – შენ მე ვერაფერს ამიკრძალავ, როლფ, ეს არის უბედურება, შენ მხოლოდ ურთიერთობა გქონდა ჩემთან, მეტი არაფერი და ამიტომ უფლება არ გაქვს, ხელი

შემიშალო, თუკი მე სხვა ურთიერთობა მექნება“. ამასობაში როლფს თავისი კალმისტარი ეპოვა და მათ დამშვიდობებას აღარაფერი აბრკოლებდა. როლფს ხელი უკვე კარის სახელურზე ეკიდა, ეს რომ მისი როლფი ყოფილიყო, სიბილე ყელზე ჩამოეკიდებოდა და ატირდებოდა. მაგრამ ეს როლფი არ იყო, ეს იყო ნიღაბი, რომელიც სიბილეს სასაცილოდ ეჩვენებოდა. „ის გააკეთე, რაც სწორად მიგაჩნია“, – გაიმეორა როლფმა, კარი გააღო, სიბილეს გზა დაუთმო და ზრდილობიანად მიაცილა ლიფტამდე.

სხვა გზა არ ჰქონდა, პონტრესინაში უნდა წასულიყო.
პონტრესინა მსუბუქი წვიმით შეეგება და შიშით, თითქოს მთელი მოგზაურობის მანძილზე არცერთ წამს არ ჰგონებოდა, რომ მართლა ჩამოვიდოდა. პონტრესინა კი იმას ნიშნავდა, რომ იქიდან მატარებელი აღარსად მიდიოდა; კიდევ უარესი: ამ დროს უკანაც აღარ ბრუნდებოდა არცერთი მატარებელი. სიბილეს თავი ხაფანგში ეგონა. მის გარდა კიდევ ორი ადგილობრივი ჩამოვიდა სადგურზე. სიბილე მიენდო მწვანე წინსაფარში გამოწყობილ პორტიეს, რომელმაც მისი ჩემოდნები და თხილამურები ციგაზე მოათავსა, თავად კი თოვლ-ჭყაპში უკან მიჰყვებოდა. ის სულელური პლაკატი – თავისუფლად შეიძლებოდა, მის ადგილას კაპრის ან ჩრდილოეთის ზღვის კურორტის პლაკატიც ყოფილიყო, – ალბათ თებერვალ-მარტს გულისხმობდა და არა ნოემბერს. პორტიე მაინც ამტკიცებდა, მაღლა კარგი თოვლიაო. რა უნდოდა სიბილეს თოვლში? რა უნდოდა ამ ძველმოდურად ძვირფას სასტუმროში? ნახევარი საათი იჯდა საწოლზე, ისე, რომ ქურქი არ გაუხდია, რეპროდუქტორს უსმენდა, რომლიდანაც „დუნაის ვალსი“ ისმოდა პროჟექტორებით განათებულ უკაცრიელ საციგურაო მოედანზე. შემდეგ ქვევით, ბარში ჩავიდა, ვისკი შეუკვეთა და თავი ვიღაც კაცთან ფლირტით გადაირჩინა. კაცი შემთხვევით ფრანგი და, შესაბამისად, გონებამახვილი აღმოჩნდა…

ვილფრიდ შტილერთან, დიპლომირებულ აგრონომთან პირისპირ შეხვედრა შემდეგ პარასკევსაა დანიშნული: „სავარაუდოდ, დედის საფლავის ერთობლივი მონახულების ჩათვლით“, ვიგებ წერილის ასლიდან.
დასასრული, როგორც ჩანს, ულამაზო იყო, და მის გამომშვიდობებას შტილერთან – ხომ ორივენი ვხედავთ, რომ ამბავი დასრულებულია; უნდა დავემშვიდობოთ ერთმანეთს! – სამწუხაროდ (სიბილე ასე ამბობს), წყენინების გარეშე არ ჩაუვლია, არც დამცირების გარეშე.
ვინიშნავ:

სიბილე მაშინ ძალიან გატაცებული იყო სპორტით, პონტრესინაში ნებივრობდა და უხაროდა, რომ პარიზიდან დაბრუნებულ შტილერს ფული არ ჰქონდა და იქ ვერ ჩამოაკითხავდა. სამაგიეროდ, ისე შეაწუხა რეკვით, რომ სასტუმროს კონსიერჟი, რომელიც მალე მიხვდა, რომ ეს ზარები სიბილეს არ სიამოვნებდა, თანაგრძნობით ეუბნებოდა ხოლმე, „ციურიხი“ გირეკავთო. გულის სიღრმეში ოდნავ უკიაფებდა იმედი, იქნებ როლფი რეკავსო და თავს უფლებას არ აძლევდა ზარისთვის არ ეპასუხა; კონსიერჟის ურცხვი თავშეკავებაც მეტისმეტი იყო. „სამწუხაროდ, არა!“ ესმოდა, როგორ ამბობდა კონსიერჟი, „ქალბატონი დოქტორი ეს წამია გავიდა, დიახ, ზუსტად ახლა!“ სიბილე იდგა ფოიეში, უყურებდა ამ მაღალხელფასიანი სუტენიორის გამომეტყველებას, რომელიც გაწეული სამსახურისთვის ალბათ საჩუქრად ფულს ელოდა, და შედიოდა კაბინაში, რომ შტილერისთვის დაერეკა. მაგრამ შტილერი მაშინ, ეტყობა, სრულიად გადასული იყო ჭკუიდან. გაცოფებული გახლდათ, რომ კაროლასთან, მის იტალიელ მოსამსახურესთან მათხოვრობა დასჭირდა, რათა სიბილეს მისამართი გაეგო და ახლა ფაშასავით იქცეოდა. რა უნდა ეთქვა მისთვის სიბილეს? რომ „არაუშავს“ თოვლი იდო, ჰო-ჰო, არა, დღეს მზეც კი გამოვიდა, ჰო, და სასიამოვნო საზოგადოებააო, და მერე უყვებოდა, როგორი წარმატებები ჰქონდა სათხილამურო სკოლაში, როგორ ისწავლა ახალი რაღაცები. სიბილე პატარა გოგოსავით ტიტინებდა: ჰყვებოდა „ფანტასტიკურ“ მოცეკვავეზე, ჰო-ჰო, ფრანგზე, „არაჩვეულებრივ“ განწყობაზე, რა „საყვარელი“ ოთახი ჰქონდა, „მაგარ“ ტრასაზე, არა, მარტო ფრანგს კი არ უნდოდა მისი ცოლად მოყვანა, ფაქტობრივად, ყველას, მთელ „მხიარულ ბანდას“, მართლა, და მისი მწვრთნელი, რომელიც ბიუნდიდან იყო, „უბრალოდ, ოქროს ადამიანიაო“. ხანდახან, როცა შტილერი ჩუმად უსმენდა, ავტომატის ხმა ახსენებდა: „სამი წუთი გავიდა, გთხოვთ, დაამატოთ მითითებული თანხა. სამი წუთი გავიდა, გთხოვთ! და სიბილე ფულს ამატებდა, ვითომ ეს ლაპარაკი ისედაც ბავშვური არ ყოფილიყოს. ეშმაკი შეჩენოდა სიბილეს, სახალისო გრძნობას შეეპყრო, გრძნობას, რომელიც სხვა გრძნობებს დევნიდა და ახლა ისე არაფრის ეშინოდა, როგორც თავისი ნამდვილი გრძნობების…

როლფი, მისი მეუღლე, კვლავ დუმდა.
ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც შტილერი პირადად გამოცხადდა სასტუმროს ფოიეში, რომ გაეგო, სინამდვილეში რა ხდებაო, საკმარისი ძალა არ აღმოაჩნდა, ეს მთლიანად აშლილი ქალი ბავშვური აღტყინებისგან გაეთავისუფლებინა; შტილერმა მისი ყალბი ტონი იწყინა და ამით უმწეო სიბილემ ულმობელი უპირატესობა მოიპოვა მასზე.

ალბათ უნებურად გამოსდიოდა; იგრძნობდა თუ არა სიბილე, რომ ამ კაცს საკუთარი თავი ეცოდებოდა, თავს ვერ იკავებდა, რომ არ ეწყენინებინა. სამადენისკენ მისეირნობდნენ, სიბილეს ვიწრო შავი შარვალი ეცვა, ელეგანტურად, თან სპორტულად გამოიყურებოდა, მზისგან გარუჯულიყო, ამ დროს შტილერს თავისი მარადიული ამერიკელი ჯარისკაცის პალტო ემოსა და ისეთი უფერული ჩანდა, როგორც ბარიდან ამოსულ ხალხს ახასიათებს. „გამოფენის საქმე როგორ მიდის? – ჰკითხა სიბილემ, – ბრინჯაო უკვე ჩამოასხი?“ სიბილეს ქედმაღლური ტონი შტილერს მეტყველების უნარს აკარგვინებდა. ვერაფერს პასუხობდა. მისი ნაცნობი დიუსელდორფელი, ყოჩაღი ბიჭი, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტის და კრეტას სამხედრო თვითმფრინავების ანეკდოტებს უყვებოდა, ბევრად უფრო კარგად ართობდა, ვიდრე შტილერი! და ეს პირდაპირ მიახალა. „და ერთსაც გეტყვი“, – უყვებოდა სიბილე, – „ესმის ცხოვრება! მგონი ყველაფრისგან ფულს აკეთებს...“ და შტილერი იძულებული გახდა, მოესმინა, როგორი იმპოზანტურია, როცა კაცი დიდ ფულს „აკეთებს“. მძიმე ინდუსტრიის მწარმოებელი ოჯახის შვილია და თან რომ იცის, როგორ უნდა იცხოვროს ლაღად. „სხვათა შორის, როგორც კაცი, ჩემი ტიპი არ არის“, თქვა სიბილემ და შტილერმა მას გვერდიდან შეხედა, მერე გაჩუმდა და ისევ მელანქოლიას მისცა თავი. ერთხელ თქვა მხოლოდ „გულის ამრევია ეს პონტრესინა!“ სიბილეს ფეხი ეღრძო და ცოტას კოჭლობდა. „მაგრამ გუშინ ისევ ვიცეკვე!“ – თქვა მან. სიამოვნებას ანიჭებდა ისეთი რამეებით აღფრთოვანება, რასაც შტილერი ვერ იტანდა და ამიტომ მოუყვა, მაგარი ხუმარაა ეს დიუსელდორფელი, სამხედრო ჯვრის კავალერია, მამაკაცური და სახალისო და იდეებით სავსე, მაგალითად, თუკი მოეჩვენება, რომ ვიღაცას აწყენინა, არ აქვს მნიშვნელობა, ქალია თუ კაცი, „მერსედესს“ ჩუქნისო, მართლა! შტილერმა მხოლოდ უპასუხა: „მჯერა“. ან მეორე მაგალითი: სასტუმროში ერთი ახალგაზრდა გოგო ცხოვრობდა, რომელსაც შვედი სტუდენტი შეჰყვარებია და დიუსელდორფელ ბატონს მაშინვე დაებადა არაჩვეულებრივი იდეა, აქ ჩამოეყვანა ის შვედი სტუდენტი, თანაც თვითმფრინავით. „ხო არაჩვეულებრივია, არა!“ – თქვა სიბილემ, რათა თავისი მოსაწყენი და მჭმუნვარე თანამგზავრი მიეხვედრებინა, რომ ფულის მკეთებელი კაცებიც შეიძლება იყვნენ მომხიბვლელები. ალბათ შტილერი ეტყოდა: „შეიძლება“. ან ჰკითხავდა: „რატომ მიყვები ამას?“ მაგრამ შტილერი გაოცებული იყო, ვერაფრით აჩერებდა ქალს. სხვათა შორის, ამ სეირნობისას პირველად შეამჩნია სიბილემ, რომ შტილერი ენას უკიდებდა, ზოგიერთ სიტყვას ვერ ამბობდა, მ-ზე დაწყებულ სიტყვებს. ერთხელ ახალგაზრდა ბიჭმა ჩაუარათ, გარუჯული სახე

ჰქონდა, ბიუნდნერელი თხილამურების მწვრთნელისთვის დამახასიათებელი ქათქათა თეთრი კბილებით იცინოდა. სიბილე მიესალმა და მერე თქვა: „ეს ნუოა“. შტილერმა მორჩილად ჰკითხა: „ვინ არის ნუო?“ აი, თურმე, ვინ ყოფილა სიბილეს თხილამურების მწვრთნელი, რომელმაც სიბილე, ნაღრძობი ფეხით, არც მეტი, არც ნაკლები, ხელში აყვანილი ატარა უახლოეს სამაშველო ციგამდე. „ხო საყვარელია?“ – ჰკითხა ქალმა. და ამ ტონალობაში გრძელდებოდა საუბარი. სიბილემ, რასაკვირველია, ძალიან კარგად იცოდა, როგორ დუქანში ერჩივნა შტილერს შესვლა, სოფლის უბრალო ადგილას, სადაც ბევრი ხალხი ირეოდა. მაგრამ, როგორც გითხარით, ისე ჰყავდა წერას ატანილი და ისე მოსწონდა ეს მდგომარეობა, რომ მაშინვე თქვა, „კარგი“ ადგილი ვიცი. რატომ არ ეწინააღმდეგებოდა შტილერი? მისი დაბნეულობა სიბილეს შეურაცხყოფდა; თავად მიაჩნდა, რომ შტილერმა გაიმეტა და გაყიდა; ნუთუ ეს ის კაცი იყო, რომელიც მას უყვარდა? „კარგი“ ადგილი აღმოჩნდა რესტორანი, სადაც ყველაფერი სამშობლოთი გადაჭარბებულ სიამაყეს მოწმობდა, რისი ატანაც შტილერს არ შეეძლო, მაგრამ მაშინვე სულ ცოტა ექვსმა ხელმა ჩამოართვა ორივეს პალტოები და ქალბატონ დოქტორს, როგორც მუდმივ სტუმარს, მიესალმნენ; და ყველაფერი დანარჩენი – განსაკუთრებული მაგიდის გამოყოფა, ორი უზარმაზარი, გუტენბერგის ბიბლიის სტილში დაბეჭდილი მენიუს მიწოდება, ფრაკში გამოწყობილი ოფიციანტი, რომელსაც არ დაზარებია მითითება, რომ ახალი ომარები ჰქონდათ, თან ეს არდაზარება ახლობლური ტონით იქნა გამოხატული. დახვეწილობისა და გამოძალვის მთელი ეს ნაზავი, უბრალო ოჯახში გაზრდილ შტილერს, თუ ხუმრობის გუნებაზე არ იქნებოდა, სრულიად განაიარაღებდა. მაგიდაზე სამი ვარდი იდგა, ესეც ფასში შედიოდა, და, ცხადია, მთელი ეს ამბავი სანთლის შუქზე ხდებოდა. შტილერმა იმის თქმაც კი ვერ გაბედა სიბილესთან, რესტორანში გროტესკული ფასებიაო. „რას მიირთმევ? – ჰკითხა სიბილემ არცთუ დედობრივი ტონის გარეშე და დაამატა: – ფული მაქვს“. მეკასრის კოსტიუმში გამოწყობილი სომელიე უკვე იქვე იდგა, და სიბილემ „თავისი“ „შატონეფ-დუ-პაპი“ მოისურვა, ბოთლი თექვსმეტ ფრანკად, ოღონდ უკვე ოთახის ტემპერატურამდე გამთბარი და დასალევად გამზადებული. „აი, ნახავ, – უთხრა შტილერს, – „შატონეფ-დუ-პაპი“ ნამდვილი პოეზიაა!“ სიბილე საკუთარ ხმას უსმენდა; ეშმაკი ჰკარნახობდა ისეთ სიტყვებს, რომლებსაც შტილერი ვერ პასუხობდა. და შემდეგ, და როცა ფაქტიურად მხოლოდ მზერა სტყორცნა მიმტანს და „თავისი“ ფილე მინიონი შეუკვეთა, უმწეო შტილერი აიძულა, ლოკოკინები ეჭამა, შტილერმა მხოლოდ მცირედი ეჭვის გამოთქმა

მოახერხა, ლოკოკინები და „შატონეფ-დუ-პაპ“ ერთმანეთზე, მგონი არ წავაო; მერე იძულებული გახდა, ეღიარებინა, სიცოცხლეში არ მიჭამია ლოკოკინებიო და არასრულფასოვნების განცდამ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის უფლება წაართვა. მოკლედ, ლოკოკინები! შემდეგ მათ თავი დაუკრა ვიღაც კაცმა და მოკლედ, აქაოდა, არ შევაწუხოო, ფრანგულად უთხრა სიბილეს, მეორე კლასის ტესტი ჩავაბარეო; სიბილემ მიულოცა და ხელი დაუქნია, თან შტილერს ამცნო, ეს შარლ ბოიეაო. მშიერმა შტილერმა, რომელიც მორცხვად ლოღნიდა პურს, ჰკითხა: „შარლ ბოიე ვინ არის?“ ეს ყოფილა ის ღვთაებრივი მოცეკვავე, ფრანგი და სანამ შტილერს „შატონეფ-დუ-პაპს“ ასინჯებდა, სიბილე ჰყვებოდა „საყვარელ“ ისტორიას, როგორ მიმართა ამ ფრანგს ცეკვისას (სხვათა შორის, ეს უკანასკნელი დიპლომატიურ სამსახურში იდგა) ხუმრობით შარლ ბოიეთი და მართლაც, სინამდვილეშიც ბოიე აღმოჩნდა მისი გვარი. „ხო სასაცილოა?“ – ჰკითხა სიბილემ. შტილერმა მას ისე შეხედა, როგორც ძაღლმა, რომელსაც ადამიანის ენა არ ესმის და, ცოტაც და, სიბილეც ძაღლივით გადაუსვამდა თავზე ხელს. ეს არ უქნია, რომ მისთვის იმედი არ გაელვივებინა. როცა დაინახა, რომ შტილერს თავისი ჭიქა უკვე დაეცალა, მხიარულად თქვა: „გაუმარჯოს!“ შტილერმა უხერხულად იგრძნო თავი და თითქმის ცარიელი ჭიქა ასწია: „გაუმარჯოს!“ და ყველაფერმა ამან სიბილეს ისე აურია გული, რომ ფილე მინიონის ერთი ლუკმაც აღარ გადაუვიდა ყელში; შტილერს კი, ეზიზღებოდა თუ არა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, უნდა ეჭამა თავისი თორმეტი ლოკოკინა, მაშინ როცა სიბილემ, – მთელ საუბარს ის წარმართავდა, რა მოსაწყენი კაცი იყო შტილერი! – უკვე სიგარეტს მოუკიდა და გააგრძელა: „შტურცენეგერმა მომწერა! მდივანი სჭირდება, რას იტყვი, მე ვჭირდები?!“ შტილერი ლოკოკინას სახლებში იჩიჩქნებოდა. „შეყვარებულია ჩემში, – განავრცო სიბილემ, – ჩემს ქმარსაც კი მოხვდა თვალში. სერიოზულად. მეც მომწონს შენი მეგობარი...“ შიგადაშიგ მითითებებს გასცემდა: „წვენიც უნდა ამოხვრიპო, ჩემო ძვირფასო, წვენია ყველაზე გემრიელი!“ შტილერი დაემორჩილა და წვენი ამოხვრიპა. „სერიოზულად, – გააგრძელა სიბილემ, – შტურცენეგერმა დამპატიჟა. ძალიან მოსწონს, როგორც ჩანს, იქ, კალიფორნიაში. ასი დოლარი კვირაში, რას იტყვი, და გზასაც იხდის. ასი დოლარი ფულია, მე მგონი, და თან, თხუთმეტ წუთში ზღვაზე ხარ“.

და ა.შ.

მხოლოდ უკანა გზაზე შედგა შედარებით ნამდვილი, თუმცა მოკლე და ცალმხრივი საუბარი. ჭრაჭუნა თოვლში მიაბიჯებდნენ, პირიდან ორთქლი

ამოსდიოდათ; ძალიან ციოდა, მაგრამ კარგი იყო, მარცხნივ და მარჯვნივ თოვლის გროვები, სახლებზე თითქოს ბუმბულის ბალიშები დაუხურავთო, მაღლა ვარსკვლავები, ბროლივით ღამე იდგა. „ჰო, მართლა, სად გაჩერდი?“ დაინტერესდა სიბილე, როცა მისი სასტუმროს უგემოვნო შესასვლელს მიუახლოვდნენ. „ხვალაც აქ ხარ?“ – გააგრძელა ქალმა, რომ დამშვიდობებაზე გადასულიყო, იქნებ მოეხერხებინა და სამუდამოდ დამშვიდობებოდა. „ისეთი თავზარდამცემი იყო ჩემთვის, – ელაპარაკებოდა შტილერის დუმილს, – უცებ ხელს გაძლევდა პარიზში წასვლა, როცა ისედაც წასასვლელი გახდი, საპატიო მიზეზი გქონდა, უცებ მეც უნდა წამოვსულიყავი, უცებ ჩვენი პარიზი გამოდიოდა. იმ მომენტში, იცი, თავი შენი კურტიზანი მეგონა...“ შტილერი დუმდა, მიხვდა თუ არა, რა ჩაწყდა სიბილეში, გაურკვეველი დარჩა. რაღაზე იმტვრევდა თავს? რადგან სხვა აღარაფერი იყო სათქმელი, სიბილემ რომელიღაც თანავარსკვლავედის სახელი ჰკითხა, დათოვლილი შესასვლელის თავზე რომ მოჩანდა, მაგრამ ორჯერ მოუხდა გამეორება, სანამ შტილერმა პასუხი აღირსა. „ჰო, – თქვა მერე, თითქოს რამე კავშირი არსებულიყოს ამ თანავარსკვლავედთან, – სად ვიქნები ერთ წელიწადში? ნამდვილად არ ვიცი. იქნებ მართლა კალიფორნიაში აღმოვჩნდე!.. უცნაურია, – და დაამატა, – შენი ამბავი ხომ გასაგებია, არასოდეს შეიცვლები, ასე მგონია, გარეგნულადაც კი არ შეცვლი რამეს“. სიბილეს ცუდის თქმა არ უნდოდა, მაგრამ თავისი სიტყვების უსულობას გრძნობდა და შერბილება გადაწყვიტა: „თუ, გჯერა, რომ ოდესმე სხვანაირი გახდები?“ ეს სიტყვები უკეთესი არაფრით იყო, პირიქით. ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა. „აჰ, შტილერ, – თქვა ბოლოს, – მართლა ძალიან მიყვარდი“. ვიღაც მორბენალმა, ნუოს მსგავსმა მწვრთნელმა თხილამურის ჩუმი წკარუნით ჩაუქროლა მდუმარე წყვილს. ორივემ გახედა, თითქოს ყველაზე მეტად სპორტი აინტერესებდათ; სამწუხაროდ, მოთხილამურე თვალს მიეფარა და ისევ მარტო დატოვა ერთმანეთთან. და მერე, ალბათ სიცივისაგან ცახცახი აუტანელი გახდებოდა; ერთმანეთს დაშორდნენ – დამშვიდობება ვერ შეძლეს – და უცებ შეთანხმდნენ, ხვალ დილას ერთად ვისაუზმოთო.

საუზმეზე შტილერი არ გამოცხადდა.
ორი დღის მერე, როცა სიბილე სასადილოდან დიუსელდორფელი ბატონის თანხლებით გამოვიდა – იქ იდგა მოჩვენებასავით, სიბილეს არ მიახლოებია. „აქამდე სად იყავი?“ მაშინვე ჰკითხა სიბილემ, სალამზე დრო არ დაუკარგავს, გაოგნებული იყო. „უკვე ჭამე?“ – ჰკითხა შტილერმა. „შენ არა?“ – კითხვა დაუბრუნა სიბილემ. შტილერი დაღლილობისგან გაფითრებული იყო, გაუპარსავი. „საიდან მოდიხარ?“ –

ჰკითხა სიბილემ და შტილერი ქურქის ჩაცმაში დაეხმარა, რომლიც ცირკის ლივრეაში გამოწყობილ იქაურ მსახურს მოჰქონდა. „მე შენ გუშინწინ გელოდი საუზმეზე! – თქვა სიბილემ და კითხვა გაუმეორა: – საიდან მოდიხარ?“ სიბილემ თავი დაუქნია დიუსელდორფელ ბატონს, რომელიც ლიფტთან იცდიდა და სიგარას უკიდებდა, როგორც ნამდვილი კავალერი, ზედმეტად რომ თვალში არ გეჩხირება, ასე რომ, შტილერს იგი საერთოდ არ შეუმჩნევია, ის ყოჩაღი ბიჭი... შტილერი დავოსიდან მოდიოდა. ეს სიბილემ მაშინ გაიგო, როცა მბრუნავი კარით გარეთ, სიცივეში გავიდნენ. „დავოსიდან?“ – ჰკითხა მან და იმ მომენტში კარის შუშის ფრთამ დააშორა ის და მის უკან მიმავალი შტილერი. „დავოსიდან?“ – გაიმეორა, გარეთ რომ გავიდნენ. შტილერს ამასობაში სანატორიუმში თავის ავადმყოფ ცოლთან ელაპარაკა. მისი მონაყოლი მოკლე და მშრალი იყო. „სულ ეს არის“, დაასრულა მან. „რატომ ხარ ასეთი გაოცებული?“ მართალია: მთელი ზაფხულის განმავლობაში ელოდა ამას სიბილე, ნატრულობდა, ჩუმად ითხოვდა. ახლა ელდა ეცა. თავი დამნაშავედ იგრძნო. „და იულიკა? – იკითხა, – იულიკა რას ამბობს ამაზე?“ შტილერს, ეტყობა, ეს არ აინტერესებდა. „დაშორდით? – ჰკითხა, – რას ნიშნავს ეს? მას ასე უბრალოდ ხომ...“ შტილერი სასტიკად, არაადამიანად მოეჩვენა, მისმა საქციელმა გააოგნა. ახლა, უცებ, იულიკა შორეული მოჩვენება კი აღარ იყო, არამედ ნამდვილი ქალი, ავადმყოფი, უბედური, მიტოვებული ქალი, და. „შტილერ, – თქვა უნებურად, – ეს არ უნდა გექნა...“ გაასწორა: „ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს, ჩემი ბრალია, ვიცი, სიგიჟეა, შტილერ, ეს ხომ მკვლელობაა...“ შტილერს დარდი არ ეტყობოდა, მგონი სიამოვნებდა შეწუხებული სიბილეს ყურება, თავისუფლებას გრძნობდა, სრულ თავისუფლებას და იმ მომენტისთვის ისიც ჰყოფნიდა, რომ რაღაც გააკეთა. „მშია“, – თქვა და აშკარად გამოხატა, რომ აღარ უნდოდა იულიკაზე ფიქრი და საამისოდ აღარც მიზეზი ჰქონდა მასზე ფიქრის. იქაურებთან ერთად ისხდნენ დუქანში, რკინიგზელებთან, რომლებიც საღამოობით კარტს თამაშობდნენ, თითოეულს სახეზე ეწერა, რომ ბრისაგოს მკვიდრნი იყვნენ, ქურქიანი ქალბატონის დანახვაზე დადუმდნენ, სანამ ერთმა არ თქვა: ვთამაშობთ თუ არ ვთამაშობთ? გუტენბერგის ბიბლიასავით მენიუ აქ არ არსებობდა, სამაგიეროდ, მსუქანი დიასახლისი, რომელმაც სველი ხელის ჩამორთმევით უსურვა სტუმრებს სასიამოვნო საღამოს გატარება და შემდეგ გალაქული მაგიდიდან ლუდის ჭიქის წვეთები და პურის ნამცეცები გადაწმინდა. კედლის შავ დაფაზე, დაფნის გვირგვინებსა და მონადირეთა კლუბის პრიზებს შორის, გახსნილი ღვინოების ფასები ეწერა. „ველტლინერი“, „კალტერეი“, „მაგდალენერი“, „დოლე“; ზევით ეკიდა

გენერალ გუზანის გახუნებული ფერადი პორტრეტი. მშიერი შტილერი ისეთი დარწმუნებული იყო თავის თავში, როგორც ტყისმჭრელი, მძიმე სამუშაოდან დაღლილი, დაქანცული, კმაყოფილი რომ ბრუნდება; ფართო ხელებით მაშინვე გადატეხა პური, ამ დროს სიბილე კაფელის ღუმელთან, სკამზე იჯდა და მის კალთაში მოკალათებულ კრუტუნა კატას ეფერებოდა. შტილერს უხაროდა გლეხური საჭმელი, აქ სალათა არ ჰქონდათ, ბანქოს მოთამაშე რკინიგზელები ლაყბობდნენ, ერთ-ერთი არიგებდა, ვითომ ბრაზობდნენ ოთხკაციან ცვლებზე, რომლებიც ძვირი ჯდებოდა და როგორც კი ბანქო დარიგდებოდა, მაშინვე ჩუმდებოდნენ და მთელი ყურადღება თამაშზე გადაჰქონდათ. დაბალჭერიან დუქანში სიჩუმე ისადგურებდა და ეს სიჩუმე, ძალაუნებურად, სიბილეს და შტილერსაც ედებოდა. „პარიზზე არაფერი მოგიყოლია“, – თქვა სიბილემ, რომელსაც, როგორც ჩანს, სიჩუმე აწუხებდა. როდესაც მსუქანმა დიასახლისმა, მართალია, ნანატრი საჭმელი ჯერ არა, მაგრამ „ველტლინერი“ უკვე მოიტანა, შტილერმა მას ოთახის ამბავი ჰკითხა. „ერთადგილიანი თუ ორადგილიანი?“ – დაინტერესდა დიასახლისი, როცა შტილერთან ერთად ოთახების დასათვალიერებლად გავიდა... სიბილე ცოტა ხანი მარტო იჯდა, ერთადერთი ქალი მთელ დუქანში, ველოსიპედისტთა გაზეთს ფურცლავდა, არ კითხულობდა. გვერდით მუშა მიუჯდა; ტუჩებიდან ლუდის ქაფს იწმენდდა და ქალს დაუფარავი უნდობლობით ათვალიერებდა, თითქოს უპატივცემულოდ, თითქოს ის იცოდა, რასაც შტილერი, ის კარგი ადამიანი, ჯერ საერთოდ ვერ ხვდებოდა. როგორ მიიღებდა შტილერი მის აღსარებას, რომელიც, ცდილობდა თუ არა, რომ სიტყვებით გამოეხატა, მისთვისაც დაუჯერებლად ჟღერდა, არანამდვილად, საშინელებად! სიბილეს უკვირდა, რომ მისთვის თვალებში ჩახედვა შეძლო – მშვენივრად შეძლო, უკან მობრუნებულ შტილერს მაშინაც შეხედა, როცა მის გვერდით დაჯდა. შიმშილისგან გამხიარულებულ შტილერს სულ არ ადარდებდა, რომ სიბილე ნაჭამი იყო და მხოლოდ კირშს სვამდა. სადღაც ბერგუნთან ზვავი ჩამოწვაო, ჰყვებოდა ერთი რკინიგზელი. მაგრამ ჭორი გადაჭარბებული იყო; შტილერმა ის ზვავი თავად ნახა და კაცებს, რომელთაც ცოდნით თავი მოჰქონდათ და გარუჯულ სახეებზე ეწერათ, რომ ბრისაგოს მკვიდრნი იყვნენ, უთხრა, ქუჩა უკვე გაწმენდილიაო. სიბილე გაოცებული იყო და რაღაცნაირად აღფრთოვანებული, სიმძიმე მოეხსნა, როცა დაინახა, რომ ბანქოს მოთამაშე კაცები, რომლებიც ცოტა საშიშად მიაჩნდა, შტილერის მშვიდმა, მშრალმა ტონმა განაიარაღა. სიბილე თავს დაცულად გრძნობდა. და მის მაგიდასთან მჯდომმა რკინიგზელმაც შეწყვიტა სიბილეს უპატივცემლო მზერით ყურება; საფერფლეც კი მიუწია, თუმცა არავის უთხოვია. და მერე, როცა თავისი

ლუდის ფული გადაიხადა, ქუდი მოიხადა და სიბილეს და შტილერს კარგი საღამო გაატარეთ „ერთადო“, უსურვა. ჭამის დროს ჰკითხა შტილერმა: „რა მოგივიდა?“ „რატომ?“ „დღეს როგორ ჩუმად ხარ“. „მიხარია, რომ ჩამოხვედი“, – თქვა სიბილემ. „ძალიან გაბრაზებული ვიყავი შენზე, მეგონა, უბრალოდ, დაიკარგე და აქ მიმატოვე“. მოკრუტუნე კატა კალთიდან აიყვანა და იატაკზე გაუშვა, კატამ კუდი ააქიცინა. „ამბავი რატომ არ დამიტოვე? – ჰკითხა სიბილემ, – მე დიდი სისულელე ჩავიდინე, შენ ეს უნდა იცოდე, დიდი სისულელე...“ შტილერი ჭამდა, ეტყობოდა, რომ სერიოზულს არაფერს ელოდა. იგი დავოსში იყო, ავადმყოფ იულიკას გაეყარა; ახლა რაღას უნდა შეეშინებინა! გაიცინა: „მაინც რა?“ მაგრამ ამ დროს დიასახლისი მოვიდა ყავის ორი ჭიქით და სიბილემ ამოისუნთქა. მას ხომ საერთოდ არ უნდოდა ამაზე ლაპარაკი! ხომ არსებობს რაღაცები, რაც მოხდა და მაინც არ არსებობს, და არსებობას იწყებენ, როგორც კი სიტყვებით გამოთქვამ, და ამ დროს სულაც არ არის ნამდვილი, არ არის საჭირო მათი არსებობა! შავი ყავა, როგორც მოსალოდნელი იყო, მწარე აღმოჩნდა, თან ისეთი ცხელი, რომ ენას სწვავდა და საშინლად უგემური, ყველაფერი ეთქმოდა ყავის გარდა. ეცადნენ, ყავა იუმორითა და ბევრი შაქრით გადაერჩინათ, მაგრამ შაქარმა ეს ყავისფერი თუ ნაცრისფერი სითხე საბოლოოდ მოსპო. შტილერმა პარიზის ამბების მოყოლა დაიწყო. სიბილე ფიქრობდა, რატომ მიწა არ გამისკდებაო. თავს აჩვენებდა, გისმენო. ხომ გვესიზმრება ხანდახან საშინელებები, მაგრამ მეორე დღეს ხომ არ ვფიქრობთ, ნეტავ მიწა გამისკდესო? ასე და მხოლოდ ამგვარად ხედავდა სიბილე, როგორც საშინელ სიზმარს, როცა გასულ ორ ღამეზე ფიქრობდა... „სხვათა შორის, რაღაც ჩამოგიტანე! – შეწყვიტა შტილერმა პარიზის ამბების მოყოლა, – ნეტა სად მაქვს?“ სიბილემ ამასობაში ჭიქები „ველტლინერით“ შეავსო. „ვანდომის მოედანზე რომ პარფიუმერიაა, ხომ იცი?“ – გაიცინა შტილერმა და უამბო, როგორ ეძებდა მის სუნამოს: – ვანდომის მოედანი, ცნობილია, რომ თაღებიანი მართკუთხედია და ფრანგული პარფიუმერიის მექა. ყველა ფირმას აქვს იქ საკუთარი მაღაზია, ამიტომ, უნდა იცოდე, რომელ სუნამოს ეძებ, თორემ მაღაზიიდან მაღაზიაში მოგიწევს სიარული და ყველგან თითზე დაგაპკურებენ თითო წვეთ სუნამოს; შტილერი დარწმუნებული იყო, ათასში გამოვარჩევ სიბილეს სუნამოსო. იქ მომუშავე არაჩვეულებრივი გოგონები ახლა თავიანთ პატარა თითუნებზე იპკურებდნენ წვეთებს, რადგან შტილერს თავისუფალი თითი აღარ დარჩენოდა. რა თქმა უნდა, სულ უფრო და უფრო დაიბნა! და ასე დადიოდა მთელ ვანდომის მოედანზე, ფირმიდან ფირმაში, ხელიდან ხელში, სურნელიდან სურნელამდე. არ დაუცინიათ იმ გოგონებს,

პირიქით, მისი მწუხარებაშეპარული სერიოზულობა მოსწონდათ, თუმცა მისი ფრანგული სუნამოების ცოდნას ვერ ჰყოფნიდა. შტილერი სახელებს იწერდა. მარჯვენა საჩვენებელ თითზე, მაგალითად, ასხია „სკანდალი“, მაგრამ დღის განმავლობაში, – ეს პარიზში მისი ბოლო დღე იყო, – სახელებიც აერია; ახლა მხოლოდ ისღა შეუძლია, თითი აჩვენოს გამყიდველ გოგონებს: Celui la! მაგრამ ხანდახან თავად გოგოებიც ვეღარ ცნობენ სუნამოს, უფროსს ეძახიან. ხან ყველა სუნამო, რაც არსებობს, სიბილეს ახსენებს და ხან არცერთი. და რა მშვენიერია, რამდენი რამ ჰქონიათ; მისი ხელები სუნამოებით სავსე ორი პალიტრაა და შტილერი გაფარჩხული თითებით დადის, რომ სხვადასხვა სურნელი ერთმანეთში არ აირიოს. მთავარი ნიუანსია. აჰ, როგორი ნეტარებაა, როგორი ტანჯვა! და მერე, ესღა აკლდა, გოგონები ეკითხებიან, სუნამო, რომელსაც ეძებთ, ქერა ქალისთვისაა, შავთმიანისთვის თუ სულაც

წითელთმიანისთვისო? თურმე ეს სულერთი არ ყოფილა, შტილერმა ესეც არ იცოდა, რომ ერთი და იგივე სუნამო სხვადასხვა კანზე განსხვავებულ სურნელს გამოსცემს. მაშ, რაში სჭირდება ეს ამდენი გამყიდველი გოგონა და სინჯები მათ უცხო კანზე? მაღაზიების დაკეტვამდე ცოტა დრო რჩება, ფარ-ხმალს ყრის. საღამოს, ჟუვესთან (Ecole des\nfemmes ეს ამბავი თითქმის ავიწყდება, ისეთი არაჩვეულებრივია ჟუვე, მაგრამ ხელები ხომ ისევ თან აქვს და დროდადრო ისევ თითებს ყნოსავს. და სახლისკენ მიმავალიც: შუა გზაში ჩერდება, ხელთათმანს იხდის, რომ თითები დაყნოსოს. ცხვირი ისევ თავისუფალია, მაგრამ ახლა თითებს შორის განსხვავებას ვეღარ გრძნობს, ყველაფერი ერთმანეთში არეულა, უიმედო მდგომარეობაა. ბოლოს ხელებს იბანს და ისევ ისეთივე ბრძენია, როგორც მანამდე. მეორე დილას, მატარებლის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე, მიდის და ალალბედზე

ყიდულობს... „აზრზე არა ვარ, ისაა თუ არა!“ – თქვა შტილერმა ცოტა მორცხვად და ბოლოს და ბოლოს შარვლის ჯიბიდან პატარა, ერთ დროს ელეგანტური, მაგრამ შარვლის ჯიბეში დიდი ხნის დებით შელანძღული პაკეტი ამოაძვრინა და სიბილეს მიაწოდა გასახსნელად. „ირის გრის!“ – გაიცინა სიბილემ. „ისაა?“ – ეკითხება შტილერი, სანამ სიბილე ფლაკონს ხსნის და რამდენიმე წვეთს ხელის ზურგზე იზელს. „ირის გრისზე

ვგიჟდები!“ – თქვა სიბილემ და შტილერმა მისი ხელი დაყნოსა, ანუ ორიგინალი დაყნოსა, და რაც მეტჯერ შეისუნთქა, მით უფრო იმედგაცრუებული დარჩა. „არა, – თქვა მან, – ეს ის არ არის!“ სიბილემაც დაყნოსა. „ხო, მაგრამ მშვენიერია, არა?“ – დაამშვიდა და თან თავის

მოჩვენებაც არ დასჭირვებია, ფლაკონი ჩანთაში ჩაიდო: „გმადლობ!“ ცოტა ხანში შტილერმა გადაიხადა, ჭიქები დაცალეს და რატომღაც არ შეთანხმებულან, სიბილე თავის სასტუმროში დაბრუნდებოდა თუ არა. ნეტა რას ფიქრობდა შტილერი? ეტყობოდა, რომ რაღაც მტკიცედ გადაეწყვიტა, მაგრამ რა? „დალიე!“ – მშვიდად თქვა მან, ჯერ კიდევ იჯდა, მაგრამ სიბილეს ქურქი უკვე საკიდიდან ჩამოეხსნა. „მნიშვნელოვანი არ არის, – დაიწყო სიბილემ, – მაგრამ მაინც უნდა გითხრა, მართლა არ არის მნიშვნელოვანი“. შტილერის ცნობისმოყვარეობის ნაკლებობა სწორი სიტყვების პოვნას უძნელებდა; შტილერი ისევ ვერაფერს ხვდებოდა, საერთოდ ვერაფერს. ან იქნებ უკვე იცოდა და მართლა არ მიაჩნდა მნიშვნელოვნად? „ნამდვილი ბატი ვარ, – გაიცინა სიბილემ, – შური ვიძიე, სულელურად ვიძიე შური, ორი ღამე გავატარე ორ სხვადასხვა კაცთან“. შტილერს თითქოს არც ესმოდა, ვერც იგებდა, დუმდა და არც შემკრთალა, მერე კი მსუქანი დიასახლისი მოვიდა ხურდით ხელში და იკითხა, საუზმეს ქალბატონი და ბატონი ოთახში ხომ არ ინებებენო. მაგიდას არ შორდებოდა, სტუმართმოყვარეობის ნიშნად. თითქმის ათი წუთი გაგრძელდა მოსაწყენი საუბარი ზვავებზე, ზოგადად ამინდზე, სასტუმროების ბიზნესზე მსოფლიო ომის შემდეგ. როცა ბოლოს და ბოლოს მარტონი დარჩნენ, შტილერს სიბილეს ქურქი ისევ მუხლებზე ედო, ჰკითხა: „ამით რისი თქმა გინდა?“ სიბილე ლუდის სახურავს უყურებდა, რომელსაც შტილერი მაგიდაზე ატრიალებდა და მკაფიოდ გაიმეორა, ეს მკაფიოობა მისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა, როგორც უნდა მიეღო შტილერს მისი ნათქვამი, ეს იყო მისთვის უკანასკნელი შესაძლებელი ნიშანი გულწრფელობისა: „მე ზედიზედ ორი ღამე გავატარე ორ სხვადასხვა კაცთან – ამას გეუბნები...“ ახლა შტილერმა უკვე იცოდა. და მომავალი (ასე ფიქრობდა სიბილე) ახლა იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ მიიღებდა შტილერი ამ საშინელ, მაგრამ უმნიშვნელო ამბავს. ბანქოს მოთამაშე რკინიგზელებმა ბანქო დაყარეს, ერთ-ერთმა ღრუბელი გადაუსვა დაფას, რადგან უკვე გარკვეული იყო, ვის უნდა გადაეხადა და კომენტარები ჩავლილ თამაშზე, რომლის შედეგსაც ველარ შეცვლიდი, მთქნარებაში გადაიზარდა. თერთმეტი საათი გამხდარიყო. თავზე უკვე რკინიგზელის ქუდები ეხურათ, წყვილს, რომელიც მარტო რჩებოდა დუქანში, „ერთად სასიამოვნო საღამო უსურვეს. შტილერი ისევ ლუდის სახურავს ათამაშებდა ხელში. „მეც გამომიცდია ასეთი რამ, – თქვა მან, – ოღონდ არავისთვის მომიყოლია. სხვათა შორის, უკვე დიდი ხნის ამბავია. ზუსტად ვიცოდი, ვინც მიყვარდა და მაინც! სხვათა შორის, მაშინ მოხდა, როცა მასთან მივდიოდი, ჩვენი შეხვედრის წინა საღამოს. უცებ ავიჭერი –

ზუსტად ასე“, – თქვა და ლუდის სახურავი დადო. „გამომიცდია... – მეტი სათქმელი არაფერი ჰქონდა, – ავიჭერი“. ამ გამოთქმამ სიბილე, როგორც ჩანს, ძალიან დაამშვიდა, სწორ გზაზე დასაბრუნებელი შანსი მისცა, რწმენაც კი, და იმ საღამოს ისიც კი ეგონა (ასე ამბობს სიბილე), რომ ეს გზა შეიძლებოდა მათი საერთო გზაც კი ყოფილიყო.

აღმოჩნდა, რომ ცდებოდა.
მეორე დილას – იმ მწარე ღამის შემდეგ – ერთმანეთს პონტრესინას პატარა სადგურზე დაემშვიდობნენ. სიბილე კვარცხლბეკზე შემოდგმულ ქანდაკებასავით იდგა, როცა, როგორც იქნა, მატარებელი დაიძრა და ორივემ, სიბილემ ბაქანზე და შტილერმა ღია ფანჯარასთან, ოდნავ ასწია ხელი დამშვიდობების ნიშნად (მას შემდეგ სიბილეს, ჩემი პროკურორის მეუღლეს, უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერი აღარ უნახავს), თავად ნელა დაბრუნდა სასტუმროში, ანგარიში მოითხოვა, ბარგი ჩაალაგა და იმავე დღეს გაემგზავრა. შეუძლებელი იყო ახლა ასე, უბრალოდ, დაბრუნებულიყო როლფთან და რედვუდ-სითი ხსნად მოეჩვენა; ახლა უნდა ემუშავა, მარტო ყოფილიყო, საკუთარი ფული ეშოვა. თორემ თავი დაღუპული ეგონა და არ იცოდა, სად იყო მისი ადგილი; გზა ქალობიდან მეძავეობამდე გასაოცრად მოკლე აღმოჩნდა. ციურიხში დაბრუნებულს, როლფი შეეგება ამბით, რომ გაყრაზე თანახმა იყო. სიბილემ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა მას გადაულოცა და სთხოვა, პატარა ჰანესი რედვუდ-სითიში გამატანეო. მათი საუბარი მხოლოდ მომავალს ეხებოდა, პრაქტიკულ საკითხებს. ჰანესს, მათ საერთო შვილს რაც შეეხებოდა, რთული საითქმელი იყო, რა იქნებოდა ბავშვისთვის უკეთესი; როლფმა ოცდაოთხი საათი ითხოვა მოსაფიქრებლად. და შემდეგ, მისდა გასაოცრად, დაეთანხმა. სიბილემ მადლობა ტირილით გადაუხადა და შობამდე ცოტა ხნით აღრე, ჰავრში გაემგზავრა ცენტრალური სადგურიდან, სადაც ქმარმა გააცილა, რომ იქ ამერიკისკენ მიმავალ გემზე ასულიყო.

ჩემი მეგობარი, პროკურორი მატყობინებს, რომ საბოლოო სხდომა (განაჩენის გამოცხადებით) მომავალ სამშაბათს, რვა დღეშია ჩანიშნული. ამერიკამ სიბილეს თითქმის მონასტრული მარტოობა მოუტანა. ნიუ-იორკში დარჩა. როცა ახალგაზრდა შტურცენეგერი კალიფორნიიდან ჩამოვიდა, რომ შეხვედროდა მდივანს, რომელიც არაფერში სჭირდებოდა, სიბილეს უკვე ნაპოვნი ჰქონდა სხვა სამსახური, ევროპული ენების ცოდნის წყალობით, საკმაოდ კარგი სამსახური. ოთხმოცი დოლარი კვირაში. სიბილე ამაყი იყო, და შტურცენეგერი, რომელსაც ამის გამო თავი მაინცდამაინც არ მოუკლავს, მარტო დაბრუნდა თავის რედვუდ-

სითიში, მანამ კი სიბილე ვახშამზე დაპატიჟა ვილიჯის ერთ ფრანგულ რესტორანში. აჭრილობის ფაზა დამთავრებული იყო. მაგრამ გზა, მისი გზა, საკმაოდ მკაცრი ჩანდა. პირველად ხდებოდა, რომ სიბილე, მდიდარი ოჯახის შვილი, სხვა ადამიანების ბედს ინაწილებდა – მარტო, საკუთარ თავზე თავად აგებდა პასუხს, დამოკიდებული აღმოჩნდა ბაზრის მოთხოვნაზე, დამსაქმებლის გუნება-განწყობაზე და წესიერებაზე. საოცარი იყო: იგი ამას თავისუფლებად აღიქვამდა. იგი ამას ღირსებად აღიქვამდა. მოსაწყენი სამუშაო ჰქონდა, საქმიანი წერილები უნდა ეთარგმნა გერმანულად, ფრანგულად, იტალიურად, თითქმის სულ ერთი და იგივე. და მისი პირველი საკუთარი ბინა ამ დედამიწაზე ისეთი იყო, რომ დღისითაც, როცა გარეთ მზე ანათებდა, ნათურას თუ არ აანთებდი, ვერც წაიკითხავდი და ვერც შეკერავდი, თითქმის ვერასდროს ბედავდა ფანჯრის გაღებას, რადგან იქაურობა მაშინვე იმჭვარტლებოდა, ყურები კი ცვილით უნდა დაეცო, რომ დაეძინა. სიბილეს კარგად ესმოდა, რომ მილიონობით ადამიანი მასზე უარესად ცხოვრობდა. დაჩივლების უფლება არ ჰქონდა; დაჩივლება არც არასდროს მოსვლია თავში აზრად, თუნდაც როლფის ჯინაზე. საბედნიეროდ, ჰანესი დღისით გერმანულ-ებრაულ ბაღში შეეძლო მიებარებინა. თავისუფალ დროს ბავშვთან ატარებდა, თუკი ამინდი ამის საშუალებას იძლეოდა, ცენტრალურ პარკში; იქ ხეები იდგა…

სიბილემ, როგორც იტყვიან, ახალი ცხოვრება დაიწყო.
ერთხელ, თებერვალში, სიბილემ პატარა შიში გადაიტანა, თუმცა, დღესაც არ იცის, ეს შიში უბრალო შთაგონებისთვის უნდა მიეწერა თუ სინამდვილეს ემყარებოდა. ცენტრალურ პარკში ისხდნენ ის და ჰანესი და ციყვებს აჭმევდნენ; მზეს უკვე საკმაო ძალა ჰქონდა, ტაფობებში ჩრდილში გადარჩენილი თოვლი იდო; ზოგან გუბე ისევ ლიპლიპებდა; მაგრამ ჩიტები უკვე ჭიკჭიკებდნენ, გაზაფხული დგებოდა. მიწა სველი იყო; მანჰეტენის შავი ფიქალის კლდეებზე ისხდნენ და სიბილე ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, როგორც ზღაპრის გმირი რუმპელშტილცჰენი, რომლის სახელიც არავინ იცის; სიბილეც ზღაპრის გმირივით საიდუმლოდ და ინკოგნიტოდ გრძნობდა თავს ამ უზარმაზარ ქალაქში. გაშიშვლებულ ტოტებს შორის, მოლურჯო ბურუსში ცათამბჯენები იკვეთებოდა, მათი ნაცნობი სილუეტი; დიდი პარკის სიწყნარის იქით, საშინელი აურზაური იდგა, ხანდახან მდინარე ჰუდსონის მხრიდან გემების საყვირიც სწვდებოდა ყურს. ცხენოსანი პოლიციელი საცხენოსნო ბილიკის შავ ტორფიან მიწაზე მოჭენაობდა, ბიჭები კალათბურთს თამაშობდნენ. გრძელ მერხებზე აქა-იქ ვიღაცები ისხდნენ და გაზეთს კითხულობდნენ, ან

შეყვარებული წყვილი ჩაივლიდა, ან ქალი, რომელსაც თავისი ძაღლი მეჩხერ ხეებთან მიჰყავდა. სიბილეს სიამოვნებდა, რომ არავის იცნობდა. უცებ კაცი დაინახა, რომელმაც მის ზურგს უკან ჩაიარა, მხოლოდ უკნიდან დაინახა, ერთი წამით სრულიად დარწმუნებული იყო, რომ სხვა ვერავინ იქნებოდა, გარდა შტილერისა და, ცოტაც და უნებურად დაუძახებდა. რა თქმა უნდა, მაშინვე თავიდან მოიშორა ეს აზრი, შეუძლებელი იყო, შტილერს ნიუ-იორკში ეხეტიალა. მაგრამ ცოტა ფორიაქი მაინც გაჰყვა, თან იმედი ჰქონდა, თან ეშინოდა, ვაითუ, მართლა შტილერი დავინახეო. სიბილემ ჰანესს ხელი მოჰკიდა და პარკში გაიარა, მის საძებნელად კი არა, მისგან გასაქცევად; მაინც იმავე მიმართულებით უნდა წასულიყო. ბუნებრივია, როგორც მოსალოდნელი იყო, ის კაცი აღარ დაუნახავს. სულ დავიწყებული ჰქონდა თავისი მოჩვენება (ალბათ მართლა მოჩვენება იყო), როცა რამდენიმე დღის შემდეგ მეტროში ჩადიოდა, ანუ ესკალატორზე იდგა; სიბილე ჩადიოდა – ის ამოდიოდა. ვერსად გაექცეოდა. ხომ ნამდვილად მიაშტერდა, ოღონდ არ მისალმებია? ისღა ანუგეშებდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ან იქნებ შტილერი უთვალთვალებდა? ყოველ შემთხვევაში, სიბილემ დაინახა, რომ კაცი, რომელიც მას შტილერი ეგონა, ზევით რომ ავიდა, კი არ წავიდა, არამედ მეორე ესკალატორზე დადგა, რომ ქვევით ჩამოსულიყო. საშინელი ჭყლეტა მალულად თვალთვალს შეუძლებელს ხდიდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სიბილეს შინაგან მღელვარებაზე. ამერიკელი სამხედროს პალტო ამერიკაში, განა ეს რას ამტკიცებს! მოგვიანებით სიბილემ ისევ თავიდან ამოიგდო ეს აზრი; ესკალატორზე კაცს ისე მიაშტერდა, რომ ვინ იცის, იქნებ მას რაღაცის იმედი ჩაესახა და იმიტომ დაბრუნდა უკან. შეიძლება. იმ მომენტში სიბილე სრულიად ანგარიშმიუცემლად მოქმედებდა; მეტროს პირველივე ვაგონში შეეტენა, კარი დაიკეტა და მატარებელი დაიძრა. რამდენიმე კვირის განმავლობაში, რამდენჯერაც ქუჩაში გავიდოდა, შიში აიტანდა, თუმცა, ტყუილად; აღარასდროს უნახავს კაცი, რომელიც შეიძლებოდა შტილერში შეშლოდა.

სამუშაო, როგორც ვთქვით, მოსაწყენი ჰქონდა. იჯდა დარბაზში, სადაც დღის სინათლე ვერ აღწევდა და ერთ კვირაში მიხვდა, რომ ამას დიდხანს ვერ გაუძლებდა. აზრზე არ იყო, გარეთ წვიმდა თუ მზე ანათებდა, ვერ გრძნობდა, რა დრო იყო, არასოდეს უბერავდა ჰაერი, რომელსაც ან ჭექა-ქუხილის სუნი მოაქვს, ან ადამიანების, ან ფოთლების, ან თუნდაც სველი ასფალტის. კიდევ უფრო საშინელება ის გახლდათ, რომ ეს მდგომარეობა მხოლოდ სიბილეს აწუხებდა; ეგონა, ამდენი კონდიციონერისგან დავიხრჩობიო. რწმენა, რომ ნებისმიერ უკეთეს სამსახურში ზუსტად

იგივე იქნებოდა, საერთოდ აგიჟებდა. სხვა რა დარჩენოდა, გარდა სასოწარკვეთილებით გამოწვეული სიბეჯითისა? შედეგად, სიბილეს ძალიან აფასებდნენ და როცა ნახევარი წლის შემდეგ სამსახურიდან წასვლა გადაწყვიტა, გაორმაგებული ჯამაგირით დაიტოვეს. ახლა სიბილეს შეეძლო სხვა, უკეთესი ბინა ექირავა, ორი ოთახი ეგრეთ წოდებული სახურავის ბაღით, რივერსაიდ დრაივზე, ჰუდსონზე ფართო ხედით. და აქ, მეთვრამეტე სართულზე, ნეტარი იყო. ის და ჰანესი წითელი აგურის კედლის ძირში იწვნენ ხოლმე მზეზე, ფართო ცას გაჰყურებდნენ და ბუნებასაც კი ხედავდნენ – ტყეს. ხოლო აღმოსავლეთით – ზღვას. ნისლიან სიშორეში არჩევდა ჰანესი, რომელი გემი შემოდიოდა, „Ile de France“ თუ „Queen Mary“. და საღამოს, შებინდებისას, ფანჯრის წინ ქანაობდა ვაშინგტონის ხიდის სინათლის გირლანდები. სიბილე თითქმის ორი წელი ცხოვრობდა აქ. სულ უფრო იშვიათად ფიქრობდა შვეიცარიაში დაბრუნებაზე. ამერიკაში ცხოვრება (ასე ამბობს) ძალიან მოსწონდა, თუმცა არ აღაფრთოვანებდა; უცხოობა სიამოვნებდა. ამ დროს, ნამდვილი ამერიკა, დასავლეთი, არც უნახავს. სიბილეს უნდოდა ერთხელ მეორე სანაპიროზე წასულიყო, არიზონა ენახა, ტეხასი, კალიფორნიის ყვავილები; მაგრამ მსახურობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეეძლო ეცხოვრა, ის კი არა, კარგადაც ეცხოვრა, მაგრამ ზუსტად იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც თავის საბეჭდ მანქანასთან იჯდებოდა და ბეჭდავდა იმისთვის, რომ შაბათ-კვირას მოეპოვებინა თავისუფლება, რომელსაც, ასე იყო თუ ისე, ასი მილის რადიუსი მაინც ჰქონდა. სიბილეს უყვარდა ნიუ-იორკი. პირველი კვირების მანძილზე ეგონა, ამერიკელებთან ურთიერთობაზე ადვილი არაფერიაო. ყველა ისეთი გახსნილი იყო, ისეთი ბუნებრივი; ისე ადვილად უმეგობრდებოდნენ, როგორც არასდროს მის ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ეჩვენებოდა. ისიც ძალიან სიამოვნებდა, რომ როგორც ქალს, არავინ აწუხებდა, თითქოს ამერიკაში ჩამოსვლისთანავე შეწყვიტა ქალად არსებობა; მიუხედავად მისდამი სიმპათიისა, საშუალო სქესად აღიქვამდნენ. ბოლოს გადატანილი განცდების შემდეგ, ცხადია, ეს მისთვის შვება იქნებოდა, განსაკუთრებით, დასაწყისში. და მერეც (ასე ამბობს) საერთოდ არ ჰქონია კაცის მოთხოვნილება, მით უმეტეს, ამერიკელის. მეგობრები ჰყავდა, უფრო სწორად: friends. მათ უმეტესობას მანქანა ჰყავდა, და ეს არცთუ უმნიშვნელო რამ გახლავთ ზაფხულში, როცა ნიუიორკში ასე ცხელა. დროთა განმავლობაში აღიზიანებდა, რომ საერთოდ არ იგრძნობოდა ატმოსფერო, რომელიც შვეიცარიაშიც კი არსებობს. იოლი არ არის, მიხვდე, რა გაკლია. ყველა უქებდა ახალ საგაზაფხულო კაბას, ჯანმრთელ იერს, შვილს; შვეიცარიასთან შედარებით, სასიამოვნო იყო,

რა იოლად იმეტებდნენ ადამიანები ქებას. და უცებ, სიბილე ეჭვდებოდა, ხედავენ კი საერთოდ იმას, რასაც აქებენ? ეუცნაურებოდა (ასე ამბობს) იმის მიხვედრა, რა არაჩვეულებრივი და მრავალფეროვანია ეროტიკული თამაში; სიბილეს არსად ისე მკაფიოდ არ უგრძნია ეს, როგორც იქ, სადაც ეს მრავალფეროვნება საერთოდ არ არსებობს. რესტორნიდან გამოსვლისას, მეტროდან გამოსვლისას, რომელიმე თავყრილობიდან გამოსვლისას, არასდროს ჰქონია განცდა, რომ კაცს ენატრებოდა, ისეთი სინაზით ენატრებოდა, რომელიც ორივეს ფრთას ასხამს, გინდაც არ ელტვოდნენ ერთმანეთთან შეხვედრას. ქუჩაში არასოდეს გადაჰყრია უბრალო სიხარულით სავსე მოკლე მზერას, საუბრებშიც არასდროს იგრძნობოდა აღმგზნები იმპულსი, რომ ადამიანები ორ სქესად იყოფიან. ყველაფერი ამხანაგურ დონეზე რჩებოდა, ანუ სასიამოვნო იყო; მაგრამ ინტერესი არ არსებობდა, ნიუანსების სიმდიდრე, თამაშის ხელოვნება, ჯადოსნურობა, მუქარა, შესაძლო ცოცხალი თავგადასავლის აღმგზნები მოლოდინი. ყველაფერი ბრტყელი ეჩვენებოდა, არა უსულო, ღმერთმა დაგვიფაროს, უამრავი ჭკვიანი ხალხი ეხვია ირგვლივ, განათლებული ხალხი; მაგრამ ყველაფერი უსიცოცხლო ჩანდა, რაღაცნაირად უეშხო, უნიათო. შემდეგ სიბილეს ეგონა, რომ ქალი იყო, მაგრამ უჩინმაჩინის ქუდი ეხურა; ვერავინ ხედავდა, არა, ვერ ხედავდნენ, უბრალოდ, ესმოდათ, რას ამბობდა და გამხიარულდა, საინტერესოდ მოეჩვენა, შეიძლება, მაგრამ ეს იყო ადამიანების ერთად ყოფნა უჰაერო სივრცეში. უცნაური იყო; ისე ზერელედ და მიამიტურად ლაპარაკობდნენ „სექსის პრობლემაზე“, როგორც გათვითცნობიერებული საჭურისები, რომლებმაც არ იციან, რაზე ლაპარაკობენ. სექსსა და ეროტიკას შორის განსხვავება, აქ, როგორც ჩანს, არავინ იცოდა. და მერე, ეს თავიანთი ჯიუტი თავშეკავება ჯანმრთელობა რომ ეგონათ, არა, ეს ყოველთვის სასაცილო აღარ იყო, ეს უკვე მოსაწყენი ხდებოდა. რამდენი რამ ხდება ნიუ-იორკში! აქ მოწყენა სირცხვილია. ჯერ მარტო კონცერტები! მაგრამ თავად ცხოვრება, ყოველდღიურობა, საყიდლებზე სიარული, სადილი გარეთ, ავტობუსით მგზავრობა, სადგურში ლოდინი, აქეთური და იქითური, რაც ჩვენი ცხოვრების ცხრა მეათედს შეადგენს, ეს ყველაფერი ისე დაუჯერებლად პრაქტიკული იყო და თან დაუჯერებლად უსახური. ხანდახან სიბილე იტალიურ კვარტალში მიდიოდა ვითომ ბოსტნეულის საყიდლად, სინამდვილეში კი იქაურობის დასათვალიერებლად, სანახაობა ენატრებოდა. თუ სიბილეს ბრალი იყო? დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ მწარე გრძნობა დაეუფლა, რომ ყველას იმედი გაუცრუა. მთელი წიგნაკი ჰქონდა სავსე ტელეფონის ნომრებით, მაგრამ ვერავისთან ბედავდა დარეკვას. რითი გაუცრუა იმედები კარგ

მეგობრებს? არ იცოდა და ვერც ვერასდროს გაიგო. ეს განცდა სერიოზულად თრგუნავდა. ამასობაში, და ეს სიბილეს კიდევ უფრო მეტად აბნევდა, ქარაფშუტულად არ მოქცეულა, ნამდვილად არა; შემთხვევით ვინმე თუ შეხვდებოდა, ისევე ჟღერდა მისალმება, როგორც პირველად: გამარჯობა, სიბილე! და მეორე მხარეს იმედგაცრუების ნატამალი არ იგრძნობოდა. მთელი ეს გახსნილი და თავისუფალი ხალხი თითქოს მეტს არც მოელოდა ადამიანური ურთიერთობისგან; ეს მეგობრული დამოკიდებულება მეტად აღარც უნდა გაღრმავებულიყო. და ალბათ ეს სტკენდა სიბილეს ყველაზე მეტად გულს; ოცი წუთის შემდეგ ამ ადამიანებთან ისეთივე ურთიერთობა გაქვს, როგორიც ნახევარი წლის შემდეგ, ბევრი წლის შემდეგ, არაფერი აღარ ემატება. ურთიერთობას განსაზღვრავს გულითადი სურვილი, რომ მეორე ადამიანი კარგად იყოს. მეგობრობ, რომ რაღაცნაირად სასიამოვნო გახადო ცხოვრება და, გარდა ამისა, ფსიქიატრიც ხომ არსებობს, რაღაც შინაგანი ცხოვრების პროფილაქტიკოსის მსგავსი, თუკი რაღაც დეფექტი გაქვს და შენ თვითონ შეკეთება არ შეგიძლია. ყოველ შემთხვევაში, მეგობრები სამწუხარო ამბებით არ უნდა დაამძიმო; და თუ მაინც, ვერაფერს შემოგაგებებენ ,გარდა ზოგადი და ყოველგვარი ვალდებულებისგან თავისუფალი ოპტიმიზმისა. ამიტომ საკუთარი სახურავის ბაღში მზეზე წამოწოლა ჯობია. და მაინც, როგორც უნდა გასჭირვებოდა სიბილეს ურთიერთობის არარსებობა ამერიკელთა უმეტესობასთან, შვეიცარიაში დაბრუნებაზე მაინც არ ფიქრობდა... ნელ-ნელა გაიშვიათებული მიწერ-მოწერის შემდეგ, დასასრულის მომასწავებელი ორმხრივი დუმილის შემდეგ, ერთ დღეს როლფმა, მისმა ქმარმა დაურეკა სამსახურში. „სად ხარ?“ – ჰკითხა სიბილემ. „აქ, – უპასუხა როლფმა, – ლა გარდიას აეროპორტში, ახლა ჩამოვფრინდი. როგორ გნახო?“ ხუთ საათამდე უნდა მოეცადა, სიბილე ასე ხომ ვერ გაიქცეოდა სამსახურიდან და ბოლოს თითქმის ექვსი სრულდებოდა, როცა სიბილე, მდივანი ქალი, თაიმზ სკვერზე სასტუმროს ფოიეში გამოჩნდა. „როგორ ხარ?“– ჰკითხეს ერთმანეთს. „გმადლობ“ – შეაგებეს ერთმანეთს პასუხი. სიბილემ თაიმზ სკვერზე გაასეირნა. „რამდენ ხანს რჩები?“ ჰკითხა როლფს, მაგრამ იმ ჭყლეტაში საუბარი, რა თქმა უნდა, შეუძლებელი აღმოჩნდა. სიბილემ ახალჩამოსული და გაბრუებული როლფი როკფელერის კოშკზე აიყვანა, რომ მაშინვე ეჩვენებინა მისთვის ნიუ-იორკი. „საქმეზე ჩამოხვედი? – ჰკითხა და იქვე გაასწორა: – სამსახურის გამო?“ ცნობილ „რეინბოუ“ ბარში ისხდნენ და რაღაც უნდა შეეკვეთათ. „არა, – თქვა როლფმა, – შენ გამო ჩამოვედი. ჩვენ გამო...“ ერთმანეთი შეცვლილი სულ არ მოეჩვენათ, მხოლოდ ოდნავ დაბერებული. სიბილემ ჰანესის ბოლო ფოტოები აჩვენა. „ბავშვი აღარ

არის, ნამდვილი ბიჭია!“ როლფმა ბევრის მოყოლა არ აცალა. „მე ჩამოვედი, – თქვა მან, – რომ გკითხო – ვგულისხმობ: ან გავიყაროთ ან ერთად ვიცხოვროთ. ოღონდ საბოლოოდ“. სხვა რამ ერთმანეთისთვის არ უკითხავთ. „საითაა შენი სახლი?“ – იკითხა როლფმა და სიბილემ დაანახვა შუქის თამაში, ნიუ-იორკის საოცრად ფერადი დაისი, სანახაობა, რომელიც ალბათ მანჰეტენის ყველა სტუმარს უნახავს; მაგრამ თავისი ცხოვრების ქალს ყველა ვერ პოულობს თავიდან... „ბაბილონი!“ – თქვა როლფმა, რომელიც სულ ქვემოთ იყურებოდა, მოციმციმე მძივების ბადეში, სინათლის გორგლებში, ელექტრონული ყვავილების მდელოზე. გასაოცარია, რომ ქვევით, სიღრმეში, საიდანაც ქალაქის ხმა აღარ ამოდის, ამ ლაბირინთებში, რომელიც სიბნელის კვადრატებისა და მათ შორის აბრჭყვიალებული არხებისგან შედგება და ყველა ერთნაირია, ყოველ წუთას არ იკარგება ერთი ადამიანი მაინც; რომ ეს საიდანღაც სადღაც სვლა არცერთი წუთით არ წყდება ან უეცრად უსაშველო ქაოსად არ იქცევა და არ იჭედება. აქა-იქ მაინც იჭედება და ხალხი ცოფდება, მაგალითად, თაიმზ სკვერზე. ირგვლივ ცაში შავად აჭრილი ცათამბჯენები ერთმანეთისგან დაშორებით დგანან, როგორც კრისტალის კონა, დიდები და პატარები, სქელები და წვრილები. ხანდახან ფერადი ნისლის ნაფლეთები ჩაგიქროლებს, თითქოს მთის წვერზე იჯდე და ერთი წამით გგონია, რომ ნიუ-იორკი აღარ არსებობს. ატლანტის ოკეანემ შთანთქა. მერე ისევ ჩნდება, ნახევრად დალაგებული, როგორც ჭადრაკის დაფა, ნახევრად არეული, თითქოს ირმის ნახტომი დასცემოდეს დედამიწას. სიბილემ ის უბნები აჩვენა, რომელთა სახელებიც როლფმა იცოდა: ხიდებს იქით ბრუკლინი, სტეიტენ აილენდი, ჰარლემი. მოგვიანებით ყველაფერი უფრო ფერადდება; ცათამბჯენები შავ კოშკებად აღარ ლაპლაპებენ მოყვითალო დაისში, ღამემ მთლიანად შთანთქა მათი სხეულები და რაც რჩება, არის ანთებული ნათურები, ასობით ათასი ნათურა, თეთრი და მოყვითალო ფანჯრების ბადე, მეტი არაფერი, ასე ამოწვერილან ან დაცურავენ ჭრელ ბურუსში, რომელიც უფრო გარგარის ფერია და ქუჩებში, როგორც ხევში, მანქანების ნაკადი მიედინება ბრჭყვიალა ვერცხლისწყალივით. როლფი გაოგნებული იყო: მოლაპლაპე ბორნები ჰუდსონზე, ხიდების გირლანდები, ნეონით განათებული ლიმონათი, ტკბილეული, გრანდიოზულობაში გადასული კიტჩი, ვანილი და ჟოლო, მათ შორის, შემოდგომის მარადიულობის იისფერი სიფერმკრთალე, ხევების სიმწვანე, ისეთი სიმწვანე, რომელიც მხოლოდ რეტორტაში შეიძლება არსებობდეს, მათ შორის ბაბუაწვერას რძე, აბდაუბდა და წესრიგი, დიახ, სილამაზე, ბღაპრული სილამაზე, ბავშვობისას ნანახი კალეიდოსკოპი, ფერადი ნამსხვრევების მოზაიკა,

მაგრამ მოძრავი, თან უსულო და შუშასავით ცივი, შემდეგ ისევ ვალპურგის ღამის ბენგალური ოხშივარი თეატრში, ციური ცისარტყელა, რომელიც ათას ნამსხვრევად ქცეულა და დედამიწაზე მოფანტულა, დისჰარმონიის ორგია, ჰარმონიის, ყოველდღიურობის ორგია, ყველაფერზე აღმატებული ტექნიკურად და მერკანტილურად, და თან ფიქრობ ათას ერთ ღამეზე, ხალიჩებზე, ოღონდ ანთებულზე, ბრჭყვიალა ძვირფას ქვებზე, ბავშვურ ფოიერვერკზე, რომელიც ძირს დავარდა და ღვივის. ეს ყველაფერი სადღაც ნანახი გაქვს, შეიძლება მაღალი სიცხის დროს დახუჭული თვალებით. აქა-იქ წითელია, სისხლივით წითელი არა, უფრო თხელი, წითელი, როგორც ანარეკლი წითელი ღვინის ჭიქაში, როცა მზე ჩაანათებს, წითელი და ყვითელიც, მაგრამ არა თაფლივით ყვითელი, უფრო თხელი, ვისკივით ყვითელი, მომწვანო-მოყვითალო გოგირდივით და ზოგიერთი სოკოსავით. უცნაურია, მაგრამ ისეთი სილამაზეა, ხმის გამოცემა რომ შეეძლოს, სირენების სიმღერა იქნებოდა. ჰო, დაახლოებით ასეა, გრძნობით სავსე და უსულო ერთდროულად, სულიერი და სულელური და გრანდიოზული, ადამიანებისა და ტერმიტების ნაგებობა, სიმფონია და ლიმონათი, ეს ნანახი უნდა გქონდეს, რომ წარმოიდგინო, საკუთარი თვალით უნდა გქონდეს ნანახი, არა შეგნებით; ნანახი უნდა გქონდეს, როგორც გზააბნეულს, როგორც მონუსხულს, შეშინებულს, ნეტარს, ურწმუნოს, აღფრთოვანებულს, დედამიწაზე უცხოს. არა მხოლოდ ამერიკაში უცხოს, ზუსტად ასეა, შეგიძლია ამაზე იცინო, სიხარულისგან იყვირო, იტირო. და შორს, აღმოსავლეთიდან ამოდის ბრინჯაოსფერი მთვარე, გამოჭედილი დისკო, გონგი, რომელიც დუმს... მაგრამ ყველაზე დამაბნეველი როლფისთვის, რასაკვირველია, იყო სიბილე, მისი ცოლი, რომელიც აქ ცხოვრობდა. მარტინის სვამდნენ – ძირითადად დუმდნენ – და ხანდახან ერთმანეთს შეხედავდნენ, თითქოს ირონიულად იცინოდნენ, როცა მიხვდნენ, რომ მათ შორის ატლანტის ოკეანე სულაც არ იყო საჭირო. როლფი ვერ ბედავდა მისთვის ხელის შეხებას; მისი სინაზე თვალებში ჩანდა. სიბილეც გრძნობდა, რომ რაც უნდა დიდი ყოფილიყო სამყარო, არ არსებობდა ადამიანი, რომელიც მისთვის უფრო ახლობელი იქნებოდა, ვიდრე ეს როლფი, მისი ქმარი; ზუსტად იცოდა. და მაინც ოცდაოთხი საათი ითხოვა მოსაფიქრებლად.

მეშვიდე რვეული

დღეს კბილის ექიმთან.
წვრილმანებია და სწორედ ეს არის საშინელება: წვრილმანებისგან თავს ვერ იცავ. იღლები! მიმღების თეთრი გოგონა შემოდის მოსაცდელ ოთახში და ამბობს: ბატონო შტილერ, გთხოვთ. ყველას თვალწინ

ვუღრიალო? რა მისი ბრალია, ამ სასიამოვნო ადამიანის; ჩაწერილი ვარ, როგორც ბატონი შტილერი. ამიტომ უსიტყვოდ მივყვები. ყველაფერ ამას ჩემს ადვოკატს ვუმადლი! ყელზე თეთრ ნაჭერს მაფენენ, სუფთა ჭიქას მაძლევენ, ნელთბილი წყლით მივსებენ, ყველანი კარგად მექცევიან და ახალგაზრდა კბილის ექიმი, იმ აწ განსვენებული კბილის ექიმის მემკვიდრე, რომლისაც დაკარგულ შტილერს ჯერ კიდევ რაღაც მართებს, ხელებს ისაპნის. არც მისი ბრალია; რაც შეეხება პაციენტის გვარს, იგი ხომ აბსოლუტურად ენდობა თავისი მიმღების გოგონას, მით უმეტეს, რომ მემკვიდრეობით გადმოლოცვილ კლიენტურას ჯერ არ იცნობს.
– ბატონო შტილერ, – ამბობს იგი, – გტკივათ კბილი?
წყალს ვივლებ, ტკივილის შესახებ კითხვის პასუხად თავს ვუქნევ და სანამ გაუგებრობის გაფანტვას მოვახერხებდე, უკვე ნაპოვნი აქვს პინცეტით ის ადგილი და დისკუსიის ყოველგვარი სურვილი მიქრება. ახალგაზრდა კაცი ძალიან მონდომებულია.

– ნახეთ, – მეუბნება და პატარა სარკეში მაჩვენებს,– ასეთი გვირგვინი ზედა მეექვსეზე მარცხნივ, მაგალითად, – ხედავთ? – არაფრის თქმა არ მინდა ჩემს წინამორბედზე, მაგრამ ასეთი გვირგვინი წარმოუდგენელია. ჩემი მზერა არასწორად ესმის, ჰგონია, რომ მისი წინამორბედის გამოსარჩლებას ვაპირებ. ბამბითა და კაუჭით და ნერწყვსასრუტით ღია პირში, რას შეეკამათები, ვისმენ მის უდავოდ საინტერესო მოსაზრებებს სტომატოლოგიის უახლესი მიღწევების შესახებ. ამ ახალგაზრდა კაცმა, როგორ ჩანს, თავისი ბიძის კლინიკა კლიენტებიანად გადაიბარა, მაგრამ არაფრით არ უნდა, აწ განსვენებული თაობის შეცდომებიც გადაიბაროს, და, მაგალითად, ის, რომ თითქმის ყველაფერი, რაც ჩემს პირშია, შეცდომაა. მხოლოდ უმწეო მზერით შემიძლია ახალგაზრდა კაცს ვთხოვო, ჩემს გვირგვინებს არ შეხედოს, როგორც მისი აწ განსვენებული ბიძის ნამუშევარს, და არც ჩემს კბილებს შეხედოს, როგორც დაკარგული შტილერის კბილებს. ასისტენტს ეუბნება:
– ქალიშვილო, მომაწოდეთ ბატონი შტილერის რენტგენის სურათი!

– ნახეთ, – მეუბნება და პატარა სარკეში მაჩვენებს,– ასეთი გვირგვინი ზედა მეექვსეზე მარცხნივ, მაგალითად, – ხედავთ? – არაფრის თქმა არ მინდა ჩემს წინამორბედზე, მაგრამ ასეთი გვირგვინი წარმოუდგენელია. ჩემი მზერა არასწორად ესმის, ჰგონია, რომ მისი წინამორბედის გამოსარჩლებას ვაპირებ. ბამბითა და კაუჭით და ნერწყვსასრუტით ღია პირში, რას შეეკამათები, ვისმენ მის უდავოდ საინტერესო მოსაზრებებს სტომატოლოგიის უახლესი მიღწევების შესახებ. ამ ახალგაზრდა კაცმა, როგორ ჩანს, თავისი ბიძის კლინიკა კლიენტებიანად გადაიბარა, მაგრამ

არაფრით არ უნდა, აწ განსვენებული თაობის შეცდომებიც გადაიბაროს, და, მაგალითად, ის, რომ თითქმის ყველაფერი, რაც ჩემს პირშია, შეცდომაა. მხოლოდ უმწეო მზერით შემიძლია ახალგაზრდა კაცს ვთხოვო, ჩემს გვირგვინებს არ შეხედოს, როგორც მისი აწ განსვენებული ბიძის ნამუშევარს, და არც ჩემს კბილებს შეხედოს, როგორც დაკარგული შტილერის კბილებს. ასისტენტს ეუბნება:
– ქალიშვილო, მომაწოდეთ ბატონი შტილერის რენტგენის სურათი!

ყველაფერ ამას, როგორც ვთქვი, ჩემს ადვოკატს ვუმადლი. ჩემი არ სჯერათ; ყოველ ჯერზე, როცა მისი პინცეტი იმ ადგილს ეხება, უნებურად ცრემლი მომდის თვალებიდან და ვერაფრით ვხვდები, რატომ მიჩხიკინებს ამდენს, როგორც იქნა, ამბობს:
– კი, კი, – ცოცხალია.
წინამორბედის კარტოთეკაში ნაპოვნი რენტგენის ძველი სურათის შემხედვარე, ახალგაზრდა კბილის ექიმი ვერ იჯერებს, რომ ჩემი ქვედა მეოთხე მარცხენა, დაკარგული შტილერის იგივე კბილისგან განსხვავებით, სულაც არ არის მკვდარი.
– უცნაურია, – ჩაილაპარაკებს, – უცნაურია.
შემდეგ ისევ ქალიშვილს ეძახის.
– ეს ნამდვილად ბატონი შტილერის რენტგენია? – ეკითხება, – დარწმუნებული ხართ?
– ზედ ხომ აწერია.
საკუთარი კეთილსინდისიერება მოსვენებას არ აძლევს, კიდევ ერთხელ, სათითაოდ, კბილ-კბილ ადარებს რენტგენის სურათს და ჩანს, რომ შტილერს, მისი აწ განსვენებული ბიძის უგზო-უკვლოდ დაკარგულ კლიენტს უნაკლო ზედა მარჯვნივ მერვე ჰქონია; მე ის კბილი მაკლია. რა ვუქენი (შტილერის) ზედა მარჯვნივ მერვეს? მხრებს ვიჩეჩ. ღია პირში ბამბით, კაუჭით და ნერწყვსასრუტით თავს ვერ დავაკითხვინებ. ბოლოს ახალგაზრდა კბილის ექიმი რენტგენის სურათს გვერდზე დებს და ბურღს იღებს. საათ-ნახევრის შემდეგ, როცა ძლივს პირში კაუჭები აღარ მიდევს და გამოვლების უფლებას მაძლევს, ბუნებრივი მოთხოვნილება მიქრება, რენტგენის სურათის შესახებ დისკუსია გავაბა. მხოლოდ სარიდონს ვთხოვ. ქნობელი მოსაცდელ ოთახში ზის. ციხის ნაცრისფერი მანქანა აკაციების ხეივანში გველოდება. მძღოლებს სთხოვეს, მაინდამაინც თვალში საცემ ადგილას ნუ გაჩერდებითო. მაგრამ რადგან ხეივანი სკოლის შენობას ეკუთვნის და მის ეზოს ესაზღვრება, ახლა კი დიდი დასვენებაა, როცა მე და ქნობელი მანქანასთან ვბრუნდებით, სკოლის ბავშვების ალყაში ვექცევით. ერთი ბიჭუნა მეკითხება, ქურდი ხარო?

ერთი გოგონა კი აღტაცებული ყვირის: მასწავლებელო, დამნაშავე! მე ხელს ვუქნევ, რამდენადაც ეს პატარა გისოსებიანი ფანჯრიდანაა შესაძლებელი, მასწავლებლები ხელს არ მიქნევენ.

P.S.
ჩემს თავს ვეკითხები, იქნებ ყველგან უნდა დავიცვა თავი, სადაც სხვაში შევეშლები და არ უნდა მივცე უფლება მიმღების ქალიშვილს, რომ ბატონ შტილერად გამატაროს; სიზიფეს ამოცანაა! მერე კი მგონია, რომ სრულიად საკმარისია, თუკი იულიკას, მხოლოდ მას არ ავერევი სხვაში.

მექსიკა.
მიცვალებულების დღე მახსენდება (არ ვიცი, რა მაიძულებს), იანიციოზე ვნახე, მთელი ღამე საფლავებზე დაჩოქილი ინდიელი დედები, ყველას საზეიმო სამოსი აცვია, საგულდაგულოდ დავარცხნილან, თითქოს ქორწილიაო, მაგრამ არაფერი ხდება, სასაფლაო ტერასაა შავი ტბის თავზე, სალი კლდეებით გარშემორტყმული, სასაფლაო, სადაც არ არის საფლავის არცერთი ქვა ან რაიმე სხვა ნიშანი; სოფელში ყველამ იცის, სად მარხია მისი მკვდარი, სად დაიმარხება ერთ დღეს თავად. სანთლებს დგამენ, სამს თუ შვიდს თუ ოცს, მკვდარი სულების რაოდენობის მიხედვით, სხვადასხვა საჭმლით სავსე თეფშებს, ზევიდან სუფთა ტილო აქვს გადაფარებული, მაგრამ ყველაზე გასაოცარი არის საშობაო სიყვარულით დაწნული ბამბუკის სადგამი, ზედ ნამცხვარი, ყვავილები, ხილი, ჭრელი შაქარყინული კიდია. ამ საჭმლის სურნელმა, რადგან სურნელია ნივთების არსი, უნდა კვებოს მკვდარი მთელი ღამე; ეს არის აზრი. ღამე სასაფლაოზე მხოლოდ ქალები და ბავშვები მიდიან; კაცები ეკლესიაში ლოცულობენ. ქალები, რომელთა მოქმედებები უაღრესად საქმიანი და მშრალია, ძირს სხდებიან, თითქოს დიდი ხნით დასასვენებლად ემზადებიან, თავზე შალს იხვევენ და ბავშვი და ქალი, ორივე ერთი შალის ქვეშ, ერთ არსებად გეჩვენება. ცოცხლებსა და მკვდრებს შორის ჩამწკრივებული სანთლები ცივი ღამის ქარში ციმციმებენ, საათი საათს მისდევს, პირქუში მთებიდან მთვარე ამოდის და ისევ ჩადის. მეტი არაფერი ხდება. ხანდახან შორიდან ზარის რეკვა ისმის, ან ძაღლი შეჰყეფს მთვარეს. არსად ტირიან, ცოტას ლაპარაკობენ, მხოლოდ აუცილებელს, მაგრამ ჩურჩულით კი არა, როგორც სასაფლაოზე იციან ხოლმე, განწყობა მთავარი არ არის. სიჩუმეს, სხვათა შორის, ბავშვებიც ემორჩილებიან, საათობით შესცქერიან მოციმციმე სანთელს ან ტბაზე ჩამოწოლილ ცარიელ ღამეს, წირვა არ არის, ჩვენებურად, საკუთარ თავთან არ განმარტოვდებიან, არც კარგი და არც ცუდი გაგებით. უბრალოდ, სიჩუმეა. სიცოცხლის და სიკვდილის პირისპირ

სათქმელი არაფერია. ზოგიერთი იძინებს კიდეც, სანამ მათი მკვდარი, მამა ან მეუღლე ან შვილი ჩუმად იკვებება სურნელით, საგანთა არსით. შუაღამის სწორს უკანასკნელი მნახველები მოდიან; საფლავებს არავინ დატოვებს გარიჟრაჟამდე. ათასობით მკვდარი სული ციმციმებს, სიცივისგან აცახცახებულ ბავშვს, რომელიც ისე საშიშად ახველებს, თითქოს მკვდრებთან მიეჩქარებოდეს, შაქარყინულის პატარა ნატეხს აძლევენ, მიუხედავად იმისა, რომ საჭმელი მკვდრებისაა. საოცარი მოთმინება აქვთ. და ცივა, ძალიან ცივა, პირველი ნოემბრის ღამეა. პატარა გოგონა, რომლის დედაც თვლემს, სანთლით თამაშობს, ცვილის თბილ წვეთებს ხელზე იგროვებს, სანამ სანთელი არ ჩაუქრება და მერე თავიდან ანთებს. და ქართან ერთად კიდევ უფრო ძლიერდება სურნელი; ქალები ყვითელ ყვავილებს წიწკნიან, მკვდრებს აყრიან, გეგონება, ბოსტნეულს კაზმავენო, დაუდევრად არა, მაგრამ ზედმეტი მოძრაობების გარეშე, ხაზგასმის, განწყობის გარეშე, არტისტიზმის გარეშე, რომ ამაში რამე სიმბოლური იმალებოდეს. საერთოდ, არაფერი იგულისხმება, უბრალოდ ხდება. და გეჩვენება, რომ სიჩუმე კიდევ უფრო ჩუმდება; მთვარე ჩავიდა, სიცივე იკბინება. არაფერი ხდება. ქალები მუხლებზე კი არ დგანან, არამედ მიწაზე სხედან, რომ გარდაცვლილთა სულები მათ კალთაში ამოვიდეს. სულ ესაა, სანამ გათენდება, ჩუმი მოთმინების ღამე, ერთგულება გარდაუვალი სიკვდილისა და გარდასახვისა.

საუბარი პროკურორთან, ჩემს მეგობართან, შტილერის შესახებ – „ადამიანთა უმეტესობა ცხოვრებას საკუთარი თავის მიმართ გადაჭარბებული მოლოდინით ინადგურებს, – ამბობს იგი და დაახლოებით ასე ხსნის: – „ჩვენი ცნობიერება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ძალიან შეიცვალა, გრძნობების სამყარო კი ნაკლებად. ამიტომ არის განსხვავება ჩვენს ინტელექტუალურ და ემოციურ დონეებს შორის. ჩვენს უმეტესობას გააჩნია ხორცისფერქსოვილიანი პაკეტი, კერძოდ, გრძნობები, რომელთა აღიარება თავისი ინტელექტუალური სიმაღლიდან არ სურს. ორი გამოსავალია და ორივე უაზრო; რამდენადაც გამოგვივა, ვკლავთ ჩვენს პრიმიტიულ და, შესაბამისად, უკადრის გრძნობებს და ვაცნობიერებთ საშიშროებას, რომ ამით შეიძლება საერთოდ გავინადგუროთ გრძნობების სამყარო ან უკადრის გრძნობებს უბრალოდ ვარქმევთ სხვა სახელებს. თავს ვიტყუებთ. ისეთ იარლიყებს ვაწებებთ, რომლებიც ჩვენი ცნობიერების სურვილს შეესაბამება. რაც უფრო მოქნილია ცნობიერება, რაც უფრო ნაკითხი, მით უფრო მრავალრიცხოვანი და, შესაბამისად, მით უფრო კეთილშობილია ჩვენი სათადარიგო გასასვლელი, მით უფრო გონებამახვილურად ვიტყუებთ

თავს! მთელი ცხოვრება შეგიძლია თავი ასე შეიქციო და თანაც მშვენივრად, მაგრამ ცხოვრების დრო აღარ დაგრჩება, სამაგიეროდ, აუცილებლად მიიღებ თვითგაუცხოებას. მაგალითად, სიმამაცის ნაკლებობას, მუხლებზე დაჩოქებას, იოლად შეგვიძლია დავარქვათ კარგი პოზიცია, თვითგამორკვევის შიშს – უანგარობა და ასე შემდეგ. ჩვენმა უმეტესობამ ძალიან კარგად იცის, რას უნდა განიცდიდეს ამა თუ იმ სიტუაციაში, ან არ უნდა განიცდიდეს და მიუხედავად დიდი სურვილისა, მაინც ძალიან უჭირთ გაარკვიონ, რა სახისაა მათი ნამდვილი გრძნობები. საშინელი მდგომარეობაა. ყველანაირი გრძნობის მიმართ სარკაზმი არის ამის კლასიკური სიმპტომი... საკუთარი თავისგან გადაჭარბებული მოლოდინი აშკარად წარმოადგენს სინდისის ქენჯნის მახინჯ ფორმას. ზოგიერთი თავის თავს საყვედურობს, რატომ გენიოსი არა ვარო, სხვა კი ნაკლად მიიჩნევს, რომ მიუხედავად კარგი აღზრდისა, წმინდანი არაა, ხოლო შტილერი თავის თავს საყვედურობდა, რომ ესპანეთის ომის მებრძოლი არ იყო... უცნაურია, როგორც კი ჩვენი თავისგან გადაჭარბებული მოლოდინი და ამის გამო თვითგაუცხოება გვემართება, რას აღარ ვეძახით სინდისს. შინაგანი ხმა, ეს ცნობილი ხმა, საკმაოდ ხშირად მხოლოდ ფსევდო-მეს კეკლუცი ხმაა, ფსევდო-მე არ მპატიობს, რომ ფარ-ხმალი დავყარე, რომ შევიცანი საკუთარი თავი, და პატივმოყვარეობის ყველა ტყუილს იშველიებს, თუ გაუჭირდა, ციდან მიღებულ ყალბ გზავნილებსაც იყენებს, რომ ამ დამღუპველ გადაჭარბებულ მოლოდინს მიმაჯაჭვოს. ჩვენ ვხედავთ საკუთარ მარცხს, მაგრამ ვერ აღვიქვამთ მათ, როგორც სიგნალს, არასწორი მონდომების შედეგს, საკუთარ თავთან დაცილების სურვილს. უცნაურია, მაგრამ ჩვენი პატივმოყვარეობა ჩვენკენ კი არ არის მიმართული, არამედ პირიქით, ჩვენგან გარეთ“.

შემდეგ ცნობილ სტრიქონზე ვსაუბრობთ: „ის მიყვარს, ვინც შეუძლებელს ესწრაფვის!“ არცერთს არ გვახსოვს ფაუსტის მეორე ნაწილის რომელ ადგილასაა ეს ავის მომასწავებელი პწკარი და ვთანხმდებით, რომ ეს მხოლოდ რომელიმე დემონურ ფიგურას შეიძლებოდა ეთქვა; რადგან იგი კარს უხსნის ნევროზს, ნამდვილ სწრაფვასთან (იგი სწრაფვას კი არა, ლტოლვას ახსენებს) საერთო არაფერი აქვს, რომელიც ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ მოკრძალებას იგულისხმებდა. „შტილერი არ მიმაჩნია ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევად, – ამბობს ჩემი პროკურორი, – ჩემს რამდენიმე ნაცნობსაც ვხედავ და საკუთარ თავსაც მასში, თუმცა საკუთარი თავის მიმართ წაყენებული გადაჭარბებული მოთხოვნების მაგალითები სხვადასხვაგვარია... ბევრი

ხედავს თავის თავს, მხოლოდ ერთეულები ახერხებენ, მიიღონ საკუთარი თავი ისეთი, როგორებიც არიან. რამდენი თვითშეცნობა იფარგლება იმით, სხვას დავასწროთ საკუთარი სისუსტეების უფრო ზუსტი და დაწვრილებითი აღწერით, ანუ კეკლუცობით! მაგრამ ნაღდი თვითშეცნობაც, რომელიც უსიტყვოდ, ძირითადად ქცევაში გამოიხატება, საკმარისი არაა, იგი პირველი, აუცილებელი და რთული ნაბიჯია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში საკმარისი. თვითშეცნობა, როგორც მთელი ცხოვრების მელანქოლია, როგორც ჩვენი ადრეული ბედის მორჩილების სულიერი გადამუშავება, ხშირია, და ამგვარი ადამიანები ხანდახან ყველაზე სასიამოვნო თანამეინახეები არიან; მაგრამ მათთვის რას მოასწავებს ეს ? მათ უარყვეს ყალბი როლი და ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, ნამდვილად, მაგრამ უკან, ცხოვრებაში არ დაბრუნებულან... საკუთარი თავის მიღება ასაკში ისედაც ხდებაო, რომ ამბობენ, არ არის მართალი. ასაკში ჩვენი ადრეული მიზნები უფრო საეჭვოდ კი გვეჩვენება, ჩვენს ახალგაზრდულ პატივმოყვარეობაზეც უფრო იოლად, უფრო მარტივად, უფრო უმტკივნეულოდ გვეცინება; მაგრამ ამით თვითშეცნობას ვერ ვაღწევთ. რაღაც გაგებით ასაკში უფრო რთულიც კია. მათი უმეტესობა, ვისაც აღფრთოვანებით შევცქერით, ჩვენზე ახალგაზრდაა, ჩვენი დრო სულ უფრო და უფრო იწურება, ბედთან შეგუება უფრო ადვილია, თუ საკმაოდ პატივსაცემი კარიერისთვის მიგვიღწევია, მათთვის კიდევ უფრო ადვილია, ვისაც არანაირი კარიერა არ გაუკეთებია და სამყაროს მუხანათობით იმშვიდებენ თავს, და იმით დაკმაყოფილდნენ, რომ შეუცნობელ გენიოსებად დარჩნენ... სიცოცხლის გასაოცარი ძალა უნდა გქონდეს, რომ საკუთარი თავი მიიღო... მოთხოვნა, ისე გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც საკუთარი თავი, ბუნებრივად გულისხმობს, რომ საკუთარი თავი გიყვარს, იღებ მას ისეთს, როგორადაც შექმნილა. მაგრამ მხოლოდ საკუთარი თავის მიღებით საქმე არ მთავრდება! სანამ ვცდილობ, სამყარო დავარწმუნო, რომ მე მე ვარ, და არა სხვა, აუცილებლად მეშინია, რომ არასწორად გამიგებენ და ამ შიშის მძევალი ვხდები... ადამიანის ცნობიერების გარეთ აბსოლუტური ინსტანციის არსებობის უეჭველობის გარეშე, იმის უტყუარობის გარეშე, რომ არსებობს აბსოლუტური რეალობა, რა თქმა უნდა, ვერ წარმომიდგენია, – ამბობს ჩემი პროკურორი, – რომ ოდესმე მივაღწევთ თავისუფლებას“.

P.S.

აბსოლუტური ინსტანცია? აბსოლუტური რეალობა? რატომ არ ამბობს „ღმერთი“? მეჩვენება, რომ თავს არიდებს ამ სიტყვას, შეგნებულად ზედმიწევნით. მხოლოდ ჩემთან?

P.S.
შეგნებული მაქვს, რომ უბადრუკი და უმნიშვნელო ადამიანი ვარ და ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ სწორედ ამ შეგნების წყალობით დავაღწევ თავს უბადრუკობას. სინამდვილეში, გულწრფელად რომ ვთქვათ, გარდასახვის, გაქცევის იმედი მაქვს. ნამდვილად არ მინდა ვიყო უბადრუკი ადამიანი. მხოლოდ იმას ვნატრობ, რომ ღმერთი (მის წინაშე რომ წარვდგები), სხვა, უფრო მდიდარ, ღრმა, ძვირფას, მნიშვნელოვან პიროვნებად გადამაქცევს – და, ეტყობა, სწორედ ესაა, რაც ღმერთს აბრკოლებს, გამომეცხადოს, ანუ გახდეს შეცნობადი. ჩემი condition sine qua non (ქმედების გარეშე შედეგი არ იქნება) რომ მე, თავისი ქმნილება, უკან გამიწვიოს

იულიკა ისევ პარიზშია.
დედის საფლავი – როგორიც ამ ქვეყანაში იციან, გრანიტით კოხტად შემოკავებული, ყველა საფლავი მოკლეა და გეშინია, მკვდარს ფეხზე არ დააბიჯო, საფლავებს შორის მოკირწყლული გასასვლელებია, კიდეებზე სურო, საფლავის შუაგულში თიხის საყვავილე, შიგ რამდენიმე დამჭკნარი ასტრა, ქვის უკან დაჟანგული თუნუქის კოლოფი ყვავილების მოსარწყავად. მაგრამ დღეს წვიმს. ერთად ვდგავართ ქოლგის ქვეშ და კოშკის საათი სამჯერ რეკავს. ქვა ცოტა უცნაურია, საფლავის ქვების ხელოვნება ალეგორიაა. აქა-იქ პატარა კიპარისიება, რომლებიც თავზე წამოსდგომია საფლავის ქვების ნაცრისფერ მანჰეტენს. ერთხელ ვილფრიდი მეკითხება:
– ჰო, მართლა, როგორ მოგწონს ქვა?
– ჰო, – ვამბობ.

ვილფრიდი ისეთი ტიპია, ქოლგა რომ აუცილებლად აქვთ. მე ჩემს სიცოცხლეში არ მქონია საკუთარი ქოლგა, მაგრამ ახლა მიხარია, რომ ქოლგა გვაქვს. სოფლის სასაფლაოა, გორაკზე დგას ეკლესია, იქვე ბებერი თელა, უმნიშვნელო ეკლესიაა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს აშენებული; კარგ ამინდში ალბათ ლამაზი, წყნარი, ფართო ხედი იშლება ტბაზე და მთებზე. დღეს ყველაფერი ნაცრისფერია, შემოდგომის ჟინჟღლიანი დღე. ტყეში ნისლი. დიდი ხანია ასე ვდგავართ, შავ ქოლგაზე წვიმას ჩუმად გაუდის რაკარუკი, ხმას არცერთი არ ვიღებთ, არც ვინძრევით, როგორც ორი პროტესტანტი. წარწერა: ღმერთია შენთან. სხვა საფლავებს სხვა წარწერები აქვს: იძინე წყნარად! ან ბუნდოვანი ლექსები. ქვა, ტრავერტინი, სამწუხაროდ, გაუპრიალებიათ. ყავისფერ ფოთლებზე ქოლგიდან დაცურებული წვეთების წკაპუნი ისმის. ერთის გამოტოვებით, რიგში ახალი საფლავია, თიხნარის ბორცვი, ზევიდან

გვირგვინები. მერე ისევ რეკავს კოშკის საათი. ცივი, სველი, ნაცრისფერი დღეა...
შემდეგ დუქანში მივდივართ.
ვილფრიდ შტილერი ჩემზე ახალგაზრდაა, ჩაპუტკუნებული კაცია, გარუჯული, ხორკლიანი და გადატკეცილი კანი აქვს. ეტყობა, რომ დიდ დროს ატარებს სუფთა ჰაერზე და მზეზე. შავი თმა მოკლედ შეუკრეჭია, როგორც გლეხებს და სამხედროებს ახასიათებთ. აქამდე ჯიპით მომიყვანა, მაგრამ მანქანა მისი არ ყოფილა, სოფლის მეურნეობის გაერთიანებას ეკუთვნის. იგი იქ ხილის განყოფილების გამგეა... რასაკვირველია, ვლაპარაკობთ დედაჩვენზე, ვილფრიდი სულ (სანამ სასაფლაოზე ვიყავით, არა) მოკლე სიგარებს ეწევა, იგივე მარკისაა, საბაჟოს კომისარი რომ ეწეოდა. ეტყობა, დედამისი საკმაოდ მკაცრი ყოფილა, დედაჩემი სულაც არა. მაგალითად, ვილფრიდი ჰყვება, როგორ ჩაკეტა ერთხელ დედამ მთელი დღით სარდაფში, სადაც სულ კომპოტს ეპარებოდა, იქნებ იქაურობა შეზიზღდესო. მეც მეცინება მასთან ერთად, რომ წარმოვიდგენ, როგორ გაატარა მთელი დღე ბნელ სარდაფში და სრულიად უვნებელი გამოვიდა იქიდან; მაგრამ ეს დედაჩემი არ არის. დედაჩემს ამდენი აღზრდა სად შეეძლო. დედამისი ამბობდა: გონს მოეგე, თუ გინდა, რომ კარგი ბიჭი დადგე! დედაჩემი ამბობდა: დაანებეთ თავი ბიჭს! დედაჩემს სჯეროდა, რომ მე ამ ცხოვრებას თავს გავართმევდი. ერთხელ, მახსოვს, კარის ჭუჭრუტანიდან ვუსმენდი, როგორ უყვებოდა დედაჩემი სტუმრებს ჩემს სასაცილო და, ეტყობა, ჭკვიანურ გამონათქვამებს და როგორი წარმატება ჰქონდა მის მონაყოლს. ასეთი რამ ვილფრიდის ცხოვრებაში არ მომხდარა; დედამისს ეშინოდა, რომ ვილფრიდისგან კაცი არ დადგებოდა და ეს ჯანმრთელი, ცოტა უხეში, თავშეკავებული, მაგრამ გულითადი ადამიანი, რომელიც დუქნის გალაქულ მაგიდასთან წინ მიზის და თავის სიგარებს ეწევა, თავად მეუბნება, ნიჭიერი ბავშვი არ ვიყავიო. პიანინოზე დაკვრაც კი არ უსწავლია. დედაჩემი კი ფულს ზოგავდა, არც დამლაგებელი ჰყავდა და არც უთოს ქალი, თავად ალაგებდა და აუთოებდა, რომ ფლეიტაზე მევლო; რადგან მე ნიჭიერ ბავშვად ვითვლებოდი. ორივე დედა რა სასაცილოა! ვილფრიდი ჰყვება, რომ დედამისს, რომელიც, რასაკვირველია, ისეთივე რესპექტაბელური ქალი იყო, როგორიც დედაჩემი, ყველაფერს ერჩივნა უმი ღვიძლი, ტკბილეულსაც კი; მაგრამ დაბადების დღეზე ქაღალდში გახვეულ უმ ღვიძლს ხომ ვერ აჩუქებდი, ამიტომ თავისი ნუგბარი თავად უნდა მოემარაგებინა. და ასეც იქცეოდა! ერთხელ, ფეხბურთს თამაშობდნენ და ბურთი ბუჩქებში გადავარდნიათ, ვილფრიდი მოსატანად წასულა და პარკის ყველაზე მიგდებულ კუნჭულში დედისთვის უმი

ღვიძლის ჭამაში წაუსწრია; დედას შიშისგან გული გასკდომია, საწყალი ქალი, და იმდენ ხანს იმართლებდა თურმე თავს, სანამ ვილფრიდი არ დაუჯერებია საყვარელ დედას, სულაც არ მიჭამია უმი ღვიძლიო! ვილფრიდი ასეთ რაღაცებს რომ ჰყვება, მგონია, დედაჩემზე ჰყვება და ერთად ვიცინით. მერე ისეთ რამეებს იხსენებს, რაც ჩემთვის სრულიად უცხოა, წინდახედული და მიუკერძოებელი ქალი, რომელსაც ვერ მოატყუებდი, პრაქტიკული ქალი, რომელიც ვილფრიდს თავიდანვე აჩვევდა თურმე აბრს, ვერასოდეს შეირთავ კარგ ცოლს, თუკი ფულს გვარიანად არ იშოვიო. დედაჩემი სულ არ იყო ასეთი. მას უყვარდა, როცა ვატყუებდი, ხოლო, რაც შეეხება მომავალს, ჩემი შინაგანი თვისებების იმედი ჰქონდა, დარწმუნებული იყო, ვისაც მინდოდა, იმას მოვიყვანდი ცოლად, ნებისმიერ ქალს, გარდა ჩემი საყვარელი დედისა, რაც პატარაობისას მწყინდა და დედაჩემს უფრო ის აფიქრებდა, ვაითუ ის ქალი, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს შეირთავს, ჩემი შვილის ღირსი არ იყოსო. ერთხელ, მახსოვს, მინდოდა ჩემი ბებერი მეზობელი, რომელიც თავის პატარა ბაღში გაზეთს კითხულობდა, ბლის კურკებით დამებომბა; დედაჩემი ისე აღაშფოთა მეზობლის გაუგონარმა ბრალდებამ, რომ ყველაფერი უარვყავი, რათა დედაჩემი იმ კაცთან არ შემერცხვინა. მე და დედაჩემი, როგორც ჩემი მამინაცვალი ამბობდა, ტკიპებივით ვიყავით ერთმანეთზე მიწებებული. ვილფრიდს ნამდვილი მამა ჰყავდა. და დედაჩემი, ზუსტად ვიცი, მასწავლებლის წინაშე არ იტირებდა; ყველაფერს უარყოფდა და მასწავლებლის მხრიდან მეტ თანაგრძნობას მოელოდა. მე ნაზი ბავშვი ვიყავი. როცა დედაჩემი, ღმერთმა იცის, რითი, მაგრამ პოლიციის ჯარიმას გადაიხდიდა, მისთვის ფურისულები მიმქონდა; მერე ტიროდა ხოლმე დედაჩემი, მანამდე არასდროს იტირებდა. დედამისი ფურისულებს არ ელოდა, იგი ვილფრიდისგან მოითხოვდა, რომ შეურაცხყოფილი მასწავლებლებისთვის ბოდიში პირადად მოეხადა. სასაცილოა, რა სხვადასხვანაირები არიან დედები!..

– უკვე მრავალი წელია იქ განისვენებს, – ამბობს ვილფრიდი, – არაფრით უნდოდა ქალაქში დასაფლავება, იმ ადამიანების გვერდით, რომელთაც ცხოვრებაში არ შეხვედრია, ეს საზიზღრობად მიაჩნდა.
მერე მოდის მედუქნე, რომელიც ვილფრიდს სახელით იცნობს და ხელს მეც მართმევს. ვილფრიდი ისე ლაპარაკობს ადამიანებთან, რომ ოდნავაც არ თამაშობს. მე ეს არ შემიძლია. მაინც რატომ არა? და მერე, როცა მარტო ვრჩებით, იულიკაზე მომიყევიო, მთხოვს: პარიზში როგორ არისო. იულიკა პარიზიდან ჩამოსულა დასაფლავებაზე თავისი წითელი თმით. მას მერე ვილფრიდს არ უნახავს. ვილფრიდს ნაქსოვი ჟილეტი აცვია.

კალიფორნია ძალიან აინტერესებს; მას ხომ ადრე არგენტინაში უნდოდა წასვლა აგრონომად, მაგრამ დედამისის გამო ვერ წავიდა, და მეც ვყვები კალიფორნიაზე, მაგრამ კალიფორნიაზე ვერ ვფიქრობ და ვერ ვხედავ მას, სამაგიეროდ, ვხედავ სუროში ჩაფლულ საფლავს და გაპრიალებულ ტრავერტინს, მაგრამ ვერ ვფიქრობ დედაჩემზე და ვერ ვხედავ მას და ვილფრიდი კმაყოფილია. მისი ძმა, ის უგზო-უკვლოდ დაკარგული, ეტყობა, ყოველთვის თავისებური იქნებოდა. მაგრამ ამას არ ამბობს, გადაკვრითაც კი არ ამბობს. ვილფრიდი ორაზროვანი არ არის, გონებამახვილი არ არის, ცნობისმოყვარე არ არის, საქმის კაცია და არა ლაყბობის. როცა ხმას არ ვიღებ, მაშინაც მგონია, რომ ყბედი ვარ. ვილფრიდი ცოტას სვამს და ალბათ ამ ცოტასაც ჩემი ხათრით, არადა, ღვინო ძალიან მოსწონს, ამაზეც გული მიჩუყდება, რადგან ღვინო საშუალო დონისაა, საერთოდ არა აქვს ძალა, მხოლოდ კასრის გემო აქვს. და ეს ყველაფერი ძალიან ბუნებრივია, ძალიან უცნაური, საუბარი ბევრი პაუზით, შუალედებში კატის კრუტუნი ისმის და როდესაც ვილფრიდი იმეორებს, ჩემთან გეპატიჟები საცხოვრებლად, ჩემთან და ჩემს მეუღლესთანო, ვგრძნობ, რომ ცოტაც და, ტირილი წამსკდება; არადა, მთელი ეს დრო ისე გადავიტანე, გრძნობა არ გამჩენია. იგი არის ძმა, რაც მე არ ვარ და არც კი აწუხებს, რომ მე ძმა არ ვარ. ხომ არ მშია? ვილფრიდს არ უნდა, რამე დამაძალოს და ეს ფარ-ხმალს მაყრევინებს. და მას არ ეშინია დუმილის, მე კი კალიფორნიის ახლებურ ფერმებზე ვყვები, რომელთა შესახებაც ვილფრიდმა პუბლიკაციებიდან, ბუნებრივია, მეტი იცის, ვიდრე მე. ჰო, მართლა, სასაცილოა: იმ ჟურნალში, რომელშიც მოცეკვავე იულიკაზე და მის დაკარგულ ქმარზე წერდნენ, დაბეჭდილი იყო დიდი რეპორტაჟი მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებზე და ვილფრიდი იცინის, როცა ამას ვახსენებ; ამაშიც კი ვერ ენდობი ჟურნალებს. ეს მახალისებს. რამდენჯერაც რაღაც კონტექსტიდან (მაგალითად, სამხედრო სამსახური) გამომდინარეობს, რომ ვილფრიდი ჩემზე ხუთი წლით უმცროსია, ვიბნევი. მე მას ისე ვუყურებ, როგორც პატარა ბიჭები შესცქერიან კაცებს, უასაკოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მათზე ძლიერს. ასევე მაბნევს, რომ ამ კაცს, თავის მხრივ, არ აწუხებს, რომ ჩვენ შორის ასეთი უცნაური განსხვავებაა და, მართალია, ჩემი ცხოვრება მისთვის გაუგებარია, მაგრამ ფიქრობს, მთავარია, შენ იყო კმაყოფილი შენი ცხოვრებითო და რადგან არაფერში ერევა, რაღაცნაირად ინარჩუნებს პატივისცემის გამომხატველ დისტანციას, რომლისაც მრცხვენია და რომელიც მაბნევს. მაგრამ მისთვის ეს პატივისცემა სერიოზული საქმეა. ვეღარ ვბედავ ღვინის შეკვეთას, სხვა ღვინის შეკვეთას, თუმცა ვიცი, ვილფრიდს საწინააღმდეგო არაფერი

ექნებოდა; რაც უნდა იყოს, განსაკუთრებული დღეა და ღირსია, ცოტათი აღინიშნოს კიდეც. შვილებზე მიყვება, სათითაოდ ყველამ მოიხადა ცოტა ხნის წინ ყბაყურა და წითელაღა დარჩათ მოსახდელიო. ვილფრიდს პალტო სკამზე გადაუკიდია და პურს და ყველს ჭამს, წინ დიდი გზა აქვს გასავლელი არცთუ მოხერხებული ჯიპით და თავი უნდა მოიღონიეროს, ღვინოს აღარ უკვეთავს, მე კი ამასობაში საკუთარ თავს ვეუბნები, მართალია, არ უთხოვია, მაგრამ იქნებ რამე ამეხსნა-მეთქი – მაგრამ არ ვიცი, როგორ ავუხსნა და, საერთოდ, არც ის ვიცი, საჭიროა თუ არა რაიმეს ახსნა!.. ვილფრიდისთვის ცხადია, რომ ჩვენ ძმები ვართ, ერთად ვდგავართ საფლავზე შავი ქოლგის ქვეშ და მერე ჩვენი გზები გაიყოფა.

ხუთისთვის ისევ ციურიხში ვბრუნდები.
ახლა (ამას რომ ვინიშნავ) ბარში ვზივარ. მარტო ვარ ქალაქში! სიზმარი მგონია; ამ დროს, ჩემი უახლოესი გარემოცვა, რომელსაც წარმოადგენს საღამოს პირველი შეკვეთის მომლოდინე გამოპრანჭული ციურიხელი მეძავების ჯარი, სულაც არ არის სიზმარი. არავის ჰგონია, რომ მიცნობს. ექვს საათზე თუ ციხეში არ ვიქნები? ვილფრიდმა ბელევიუსთან ჩამომსვა, წინ გრძელი გზა აქვს და ხვალ რთული დღე, მე კი კიდევ ერთი საათი შემეძლო გარეთ ვყოფილიყავი, თუკი ვილფრიდი ჩემთან ერთად იქნებოდა. ხელი ჩამომართვა.
– ჰო, – ვამბობ, – და რომ გავიქცე?
ვილფრიდმა გაიცინა, ხელი უკვე ბერკეტზე უკიდია.

– შენი საქმის შენ იცი! – მითხრა და ჯიპი დაძრა, წავიდა... რა უნდა ამეხსნა მისთვის? ბევრი ადამიანი არსებობს, რომლებთანაც მე გაგებით უფრო ახლოს, ბევრად უფრო ახლოს ვარ, ვიდრე ამ კაცთან; ჩემი მეგობარი ვერასდროს იქნება. მასაც თავისი მეგობრები ეყოლება, რომლებიც ჩემთვის სრულიად უცხონი იქნებიან და ასე მგონია, არც მას მოუვა თავში აზრად, თავის მეგობრებს მიმათვალოს. და მაინც, მართლაც, ის არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ჩემთვის მისაღებია, თავისი უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერი ვეგონო, ესე იგი ფაქტობრივად, საერთოდ არ ესმოდეს ჩემი. განა რას ნიშნავს გაგება! ძმები ყოველთვის ძმები არიან. რატომ არასოდეს ვყოფილვარ მისი ძმა? დღევანდელმა შეხვედრამ მაინც ძალიან ამშალა. სად არის ჩემი ადგილი ამ ქვეყანაზე?
– ისევ უარყოფთ? – ციხეში მოსვლას ვერ ვასწრებ, მაშინვე მეკითხება ჩემი ადვოკატი, – ისევ უარყოფთ?
– დიახ, – ვამბობ მე, – ისევ უარვყოფ.
– ეს ხომ სასაცილოა! – ამბობს ჩემი ადვოკატი.

– სასაცილოა, – ვამბობ მე, – მაგრამ თუკი ვაღიარებ იმას, რაც თქვენ გინდათ, რომ ვაღიარო, ბატონო დოქტორო, ეს კიდევ უფრო სასაცილო იქნება.

– თქვენი არ მესმის, – ამბობს ჩემი ადვოკატი.
– ვიცი, – ვამბობ მე, – ამიტომ, ბატონო დოქტორო, იძულებული ვარ, ყველაფერი უარვყო, რასაც ჩემზე ამბობთ.
დიახ – ვინ უნდა წაიკითხოს, რასაც ამ რვეულებში ვწერ! და მაინც, მგონია, რომ ვერაფერს დაწერ, თუ არ წარმოიდგინე, რომ შენს ნაწერს ვინმე წაიკითხავს, გინდაც ერთადერთი მკითხველი თავად შენ იყო. მერე კიდევ ჩემს თავს ვეკითხები: შეიძლება ისე წერო, რომ როლი არ ითამაშო? გინდა, რომ საკუთარი თავისთვის იყო უცხო, როლში არ არის საქმე, ჩემი სინამდვილე ალბათ ჩემს იმ გაუცნობიერებელ გადაწყვეტილებაში ძევს, რა როლს მივიკუთვნებ. ხანდახან მგონია, რომ ნაწერიდან ისე ამოდიხარ, როგორც გველი ამოდის ტყავიდან. ეს არის, ვერ დაიწერები, მხოლოდ კანს თუ გაიძრობ. მაგრამ ვის აინტერესებს შენი მკვდარი კანი! ხშირად დასმული შეკითხვა, მკითხველს შეუძლია თუ არა რაიმე სხვა ამოიკითხოს ნაწერიდან, გარდა საკუთარი თავისა, ზედმეტია: წერა არ არის მკითხველთან ურთიერთობა, არც საკუთარ თავთან ურთიერთობაა, წერა არის კომუნიკაცია გამოუთქმელთან. რაც უფრო ზუსტად შეგიძლია გამოთქვა, მით უფრო სუფთა ჩანს გამოუთქმელი, ანუ სინამდვილე, რომელიც დამწერს აწუხებს და ამოძრავებს. ჩვენ გვაქვს ენა, რომ დავმუნჯდეთ. ვინც ჩუმადაა, ის მუნჯი არ არის. ვინც ჩუმადაა, ის აზრზე არ არის, ვინ არ არის იგი.

რატომ არ იწერება იულიკა?
მეგობრები! – ახლა ჯგროდ მოდიან, დღეს ხუთნი იყვნენ, და თან ერთდროულად. ყველა მეუბნება, არ შეცვლილხარო, თითქმის არ შეცვლილხარო და შენობით მელაპარაკებიან. და მე რომ კრინტს არ ვძრავ, ოდნავაც არ აეჭვებთ, რომ მიცნობენ, აბა, ძველ მეგობრობას რა სჯობიაო. ერთ-ერთი მათგანი, მსახიობი, ხელს აღარ მიშვებს. გრძნობით სავსე თვალებით მიყურებს და როცა ჩუმდება, მაშინაც ეტყობა, როგორი აღსავსეა შტილერის გაგებით; ხელს მიჭერს, მერე კიდევ უფრო მაგრად მიჭერს და ამ ჩემს მოჭყლეტილ ხელს, რომელიც ორივე ხელში ჩაუბღუჯია, აქეთ-იქით აქნევს და ვისმენ იმას, რისი გამოთქმაც შეუძლებელია. ჩემი მხრით, მხოლოდ ვეუბნები: დაბრძანდით, ბატონებო! და ერთ-ერთ მათგანს, მერე ვხვდები, თავი ჩემი მფარველი ჰგონია, რადგან დაკარგული შტილერისთვის, მიუხედავად წლობით გადაუხდელი ბინის ქირისა, არ უჩივლია, რისი უფლებაც, ცხადია, ჰქონდა; ჩემი

დაბნეულობა, როგორც ჩანს, მადლობის გამოხატულებად მიაჩნია და კმაყოფილდება. და საერთოდ, სასიამოვნო ხალხია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ვიზიტისას, ერთად შეყრილები, კრემატორიუმში შეკრებილ საზოგადოებას ჰგვანან, რაც ბუნებრივ გარემოში ალბათ ასე არ იქნებოდა; გარდა დაკარგულ შტილერთან ახლობლობისა, განსხვავებული წარმომავლობის ახლობლობისა, სხვა ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. ერთმანეთის შესახებ ალბათ რაღაც სმენიათ, მაშინ, შტილერისგან, რომელიც ახლა, იგრძნობა, რომ აქ არ არის. კარგი იქნებოდა, თითოეული პირისპირ გამეცნო. ერთ-ერთი მათგანი, მერე ვიგებ, უკვე პროფესორი გამხდარა, დახვეწილი ტიპია, ალბათ დაკარგულ შტილერთან, ამ ბუნდოვანი სულის და არეული რადიკალიზმის ტემპერამენტიან კაცთან ურთიერთობა ხშირად უძნელდებოდა. ის, რომ მოვიდა, ერთგულების აქტია ამ ახალგაზრდა პროფესორის მხრიდან; მას, ბუნებრივია, შტილერისგან განსხვავებული მეგობრები ჰყავს. მისი ფრთხილი და ნაზი მოპყრობა მაფიქრებინებს, როგორი მგრძნობიარე უნდა ყოფილიყო დაკარგული შტილერი და მართლაც, მეც თავი მასზე ნაკლები მგონია, ვგრძნობ ჩემი არცოდნის ზომას, შეცბუნებული პატივისცემით ვიმსჭვალები და ისეთი ტონით ვლაპარაკობ, რომ ძალაუნებურად, ალბათ თავის დაკარგულ მეგობარს ვაგონებ. მას არ სჭირდება არც ეს ტონი თუ შეცბუნებული პატივისცემით გამოწვეული დუმილი; მაგრამ მიჩვეულია, ეტყობა, და რაც უფრო უცნაურია ჩემი ქცევა, მით უფრო რწმუნდება, რომ ჩემში დაკარგული შტილერი ამოიცნო, რომელიც მანამდეც საკმაოდ ხშირად აოცებდა და რომელსაც, მიუხედავად ყველაფრისა, ალბათ წესიერების გამო უფრო უნახავს ერთგულებას, ვიდრე მეგობრობის ხათრით, თორემ შტილერთან მეგობრობა რაში არგია. რატომ მაყენებს ეს ცუდ გუნებაზე? მართლა ისეთი კაცები იყვნენ, მათთან მეგობრობა მოგინდებოდა. რატომ არის ეს შეუძლებელი? სხვათა შორის, ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, ვინ იყო შტილერი; და მაინც ისე იქცევიან, თითქოს ყველას ერთი და იგივე ადამიანი ვეგონო. მხიარული გრაფიკოსი ჰყვება, როგორ წვეულებას მოაწყობენ, მე რომ ციხიდან გამოვალ. და მეხუთე, პროფესიით ასოთამწყობი, მგონი კომუნისტია, რომელიც დანარჩენ ოთხს ისე უყურებს, როგორც პირწავარდნილ რეაქციონერებს და მის მზერაში ვკითხულობ, რომ ჩემზე ნაწყენია, ასეთი მეგობრები რატომ გყავსო. განსაკუთრებით ვერ მპატიობს მეგობრულ ტონს სახლის პატრონის მიმართ, რომელიც ჰყვება, შტილერის მიტოვებული ატელიე მძინარე მზეთუნახავის სასახლის მდგომარეობაშიაო; და ხანდახან, სანამ ასე ლაპარაკობენ, მართლა სერიოზულად ვფიქრობ, ნეტავ როგორი

ადამიანი უნდა ვიყო, რომ ამ ხუთი მნახველის მოგონებებსა და მოლოდინებს დაახლოებით მაინც შევესაბამებოდე-მეთქი, ალბათ რაღაც ხუთთავიანი არსების მსგავსი, და თან, ალბათ თითოეული მათგანი ჩემს დანარჩენ ოთხ თავს ყალბად ჩათვლიდა და როგორც ზედმეტს, მოიშორებდა, რომ ჭეშმარიტი შტილერი შეექმნა. მსახიობი, ვატყობ, კათოლიკე გამხდარა და ასოთამწყობს ზევიდან უყურებს, ოღონდ თან პატივისცემით და გაგებით, რადგან მისი, როგორც კომუნისტის შეხედულებები, საკუთარი ახალგაზრდობის პირველ გონებრივ თავგადასავლებს აგონებს. კომუნისტის გარდა, ეტყობა, ერთ ადგილას არცერთი გაჩერებულა. ახალგაზრდა პროფესორი მარწმუნებს, მართალია, კლასიკას მაინც ყველაფერზე მაღლა ვაყენებ, მაგრამ თანამედროვე ხელოვნებას ისე აღარ ვუყურებ, როგორც მხოლოდ რღვევასო, გრაფიკოსი კი, ეტყობა, საკმაოდ დიდმა წარმატებამ ისე შეცვალა, რომ კულტურის მიმართ ყველანაირი პესიმიზმი გადალახა და შვეიცარიული გრაფიკის მაღალ დონეზე საუბრობს. მისდა თავად, არც კომუნიზმი სჭირდება და არც კათოლიციზმი, რომ ამ ქვეყანაზე საკუთარი მიზანი დაინახოს. სახლის პატრონი კი, პროფესიით ანტიკვარი, ტრადიციების კიდევ უფრო ერთგული გამხდარა, რაც უფრო ლოკალურია ტრადიცია, მით უკეთესიო. სიტყვას არ ამბობს ევროპული თავდაცვის გაერთიანების წინააღმდეგ, მაგრამ სწორედ იქ ხედავს ანტიკვარის საპასუხისმგებლო ამოცანას, გაუფრთხილდეს გამორჩეულობის ფენომენს, მაგალითად, განსხვავებას ბაზელელსა და ციურიხელს შორის, თორემ, განა რა უნდა დაიცვან ევროპის მოძმე ჯარებმა, თუ არა ეს უპირატესობა, რომ ასეთი მცირე მანძილი გვაშორებს და ასე განვსხვავდებით ერთმანეთისგანო. როგორც ვთქვი, ყველანი მართლაც სასიამოვნო ბატონები არიან. შემდეგ ჩემს თავს ვეკითხები, რატომ ვერ ვიგრძენი თავი მათ მეგობრად. ამ ხალხს ვაწყენინე, ისე რომ არაფერი მითქვამს. ჩემი საკანი ყოველი სტუმრის წასვლის შემდეგ სულ უფრო გამოყრუებული ხდება.

იულიკა დამესიზმრა – ისევ თითქმის იგივე: ბულვარზე კაფეში ზის ბევრ ხალხში და ცდილობს, მე მომწეროს. ფანქარი ტუჩებში გაურჭია სკოლის გაჭირვებული მოსწავლესავით, მინდა მასთან მივიდე, მაგრამ სამი უცხო (გერმანელი) ჯარისკაცი მაპატიმრებს და ვიცი, რომ იულიკამ გამცა. ჩვენი მზერა ერთმანეთს ხვდება. ჩაფხუტიანი კაცები მიმათრევენ, მინდა იულიკა დავწყევლო, ჩუმი მზერით მთხოვს, არ დავიჯერო ის, რაც დაწერა, რომ აიძულეს, მე ვაიძულე ეს დაეწერა. ჩემს კითხვაზე, დამხვრეტენ თუ არა, სამ ჯარისკაცს ეცინება; ერთი მეუბნება: არა,

ჯვარზე გაგაკრავთო. ძალიან მეშინია, ბანაკში მამუშავებენ, ფოტოები უნდა დავამაგროთ ლურსმნებით ხეებზე, ამას უწოდებენ „ჯვარზე გაკვრას“, სულ ესაა, მე „ჯვარზე ვაკრავ“ იულიკას, ბალერინას ფოტოს…

ძნელია, არ დაგღალოს ამ სამყაროსთან, მის უმრავლესობასთან, მის უპირატესობასთან ჭიდილმა. ყველაფერ ამას ვაღიარებ. ძნელია, მარტომ და მოწმეების გარეშე იცოდე, რა გგონია, რომ მარტო ყოფნისას გაიგე; ძნელია, ვატარო ცოდნა, რომელსაც ვეღარასდროს დავამტკიცებ ან გამოვთქვამ. მე ვიცი, რომ არ ვარ უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერი. არც არასდროს ვყოფილვარ. ვფიცავ, თუმცა არც ის ვიცი, მაშ, ვინ ვარ. იქნებ არავინ ვარ. და შავით თეთრზე თუ დამიმტკიცებენ, რომ ყველა ადამიანიდან, ვისი დაბადებაც აღნუსხულია, ამჟამად მხოლოდ ერთადერთია გამქრალი, კერძოდ, შტილერი, და რომ მე საერთოდ არ ვიარსებებ ამ ქვეყანაზე, თუკი უარს ვიტყვი, ვიყო შტილერი, – მაინც უარს ვიტყვი. რატომ არ შემეშვებიან! ჩემი ქცევა სასაცილოა, ვიცი, ჩემი მდგომარეობა – აუტანელი. მაგრამ მე არ ვარ ის კაცი, რომელსაც ესენი ეძებენ და ამ რწმენას, ერთადერთს, რაც დამრჩენია, არ დავთმობ. იულიკა ისევ პარიზშია.
არ არის მართალი: – სინამდვილეში, მარტო ყოფნა არ შემიძლია და ჩემს ცხოვრებაში არ შემეძლო მარტო ყოფნა, თუნდაც ერთი საათით! და, უმეტესად, რომ დავაზუსტოთ, ქალი იყო ჩემ გვერდით. დაწყებული ჩემი ძვირფასი და კარგი დედით; სკოლა რის ვაივაგლახით, მაგრამ დავამთავრე და მიხაროდა, რომ ჩემი მამინაცვალი დედაჩემს ვერ ეტყოდა: ესეც შენი ძვირფასი შვილიკო! და მოგვიანებით სამშობლოს წინაშე სასჯელის მოხდას შევუდექი, იღლიაში კონფედერაციის შალის პლედამოჩრილი და თითქმის მთელი ზაფხული ყაზარმაში ვიჯექი, მაგრამ მარტო არ ვყოფილვარ, რადგან მეცოდებოდა დედაჩემი, რომლისთვისაც ეს საშინელება იყო. უმალ მახსენდება საათების უსასრულო დინება, იმაზე მეტი, ვიდრე ერთი ადამიანის სიცოცხლე დაიტევს; საათები, როცა მეგონა, მარტო ვარ-მეთქი; სასტუმროს ოთახში გატარებული საღამოები უცხო ქუჩებიდან შემოსული ხმაურით ან ეზოზე ხედით; სადღაც სადგურებზე გატარებული ღამეები, საბავშვო ეტლებითა და უცხო ენაზე ლაპარაკით სავსე პარკებში გატარებული გაზაფხულის დღეები, შემდეგ საეჭვო რეპუტაციის ნაცნობ დუქნებში გატარებული დრო, წვიმაში და ტყეში ლაშქრობები, როცა იცი, რომ ვეღარასოდეს დაელაპარაკები სანატრელ ადამიანს, სხვადასხვა სახის გამომშვიდობება, სუფთა და სწრაფი და გულწრფელი დამშვიდობება, მაგრამ საცოდავიც, ქვითინიანიც, გაჯანჯლებულიც, ლაჩრულიც; საათების უსასრულო

რაოდენობა-მეთქი, ვამბობ, მაგრამ მაინც არასდროს ვყოფილვარ მარტო, მართალი რომ ვთქვათ, არცერთი საათი. რაღაცნაირად ყოველთვის ვპოულობდი შინაგან გამოსავალს – ტკბილი ან მტანჯავი მოგონება, მგზნებარე საუბარი უჩინარ ადამიანთან, რომელიც, უმეტესად, არც არსებობს, მაგრამ მე ვიგონებდი, რომ მარტო არ ვყოფილიყავი, ანდა არაჩვეულებრივი შეხვედრის იმედი შემდეგი ან შემდეგის შემდეგი ქუჩის კუთხეში. ამას მარტოობა ჰქვია? ჩემი შემოქმედების დასაწყისში, შეიძლება ვიყავი მარტო, ალბათ შემეძლო კიდეც, მართლა მარტო ვყოფილიყავი იმ იმედით, რომ თავს თიხაში და თაბაშირში ვიპოვიდი; მაგრამ ეს იმედი დიდხანს არ გამყოლია, მალე გამიჩნდა პატივმოყვარეობა, აღიარების სიხარული, წუხილი, ხომ სათანადოდ გამიგებენ-მეთქი, თიხის და თაბაშირის და პატივმოყვარეობის გამო თვეობით ვერ ვხედავდი ცოცხალ ადამიანს, გააფთრებული ვეჭიდავებოდი ხელოვნებას, რომელსაც ვერ შევწვდი. შემძვრალი ჩემი ატელიეს ოთხ კედელში, შუა საუკუნეების განდეგილივით; რადიოც არ მქონდა, გალერის სიტყვაძუნწი ნიჩბოსანივით, ბერივით, გოგოებს რაც შეეხება, მაგრამ მხოლოდ ამ გაგებით; ისე კი აღტყინებული ფიქრებით, რომ ჯერ ვერავინ ხვდებოდა ჩემს გენიოსობას და ისეთი ბეჯითი ვიყავი, როგორიც მათრახგადარტყმული ცხოველი, პატივმოყვარეობის მათრახგადარტყმული; ესე იგი, მარტო არ ვიყავი. და არც ტახოს ბორანზე ვიყავი მარტო; ჩემი სიკვდილის შემთხვევაში, ვიცოდი, რომ ანია არ გაგიჟდებოდა და მონასტერში არ წავიდოდა, გააგრძელებდა ცოცხლების მოვლას და სხვას შეაყვარებდა თავს, მაგრამ ხანდახან გავახსენდებოდი და მერე, როცა არავინ დამხვრიტა და მხოლოდ საკუთარი შარვლის ქამრით გამკოჭეს, ხელ-ფეხი გამიკოჭეს და ბუჩქებში მომისროლეს, მარტო არ ვყოფილვარ; ჩემთან იყო ანიას წინაშე განცდილი სირცხვილი, მეგონა წყურვილისგან საცოდავად ამომხდებოდა სული და ანიას ვეღარ ვიხილავდი და ვყვიროდი, სანამ შემეძლო, მერე ვეღარც ვყვიროდი, მაგრამ გონების დაკარგვის ზღვარზე ანია ჩემთან იყო, მის წინაშე განცდილი მწველი სირცხვილის სახით. შინისკენ გზაზეც არ ვიყავი მარტო, თუმცა უკვე ვგრძნობდი სამშობლოს უცხოობას; გზაში და საფრანგეთის მოსაცდელებში გატარებული ღამეების განმავლობაში ვიმართლებდი თავს ანიასთან, მრცხვენოდა მისი, აღშფოთებული ვიყავი და გეგმებს ვაწყობდი ანიას წინააღმდეგ; მარტო არ ვიყავი. და მერე, მისგან შორს, ყვებოდი ჩემს ესპანურ ანეკდოტს, ჩემი ნაცნობები მეტ-ნაკლებად იჯერებდნენ, მაგრამ მე ვიცოდი, ვინ იცოდა სიმართლე, კერძოდ, ანიამ, ასე რომ, მარტო არ ვიყავი. კი, სასაცილოა, მაგრამ სიმართლეა: იქვე ყოველთვის იყო ქალი, რომლითაც თავს ვიტყუებდი.

კაცი მეგობრებიც მყავდა, მაგრამ ბევრი არა, თითო-ოროლა; ეს მეგობრობა იყო და არა თავის მოტყუება ჩვენი მარტოობის შესახებ. ხირად ვფიქრობდი შორეულ მეგობრებზე, მაინტერესებდა მათი აზრები ან მიხაროდა მათი წინააღმდეგობა ან მათთან მტკივნეული დაპირისპირება; მაგრამ საშინელ საათებში, ჩემი უუნარობის საათებში, როცა მარტო ყოფნას ვცდილობდი, ყოველთვის მხოლოდ ქალი იყო ჩემთან, ქალის შესახებ მოგონება ან იმედი, რითაც მარტოობას გავურბოდი. რატომ არ შემეძლო მარტო ყოფნა და რატომ გავხდი იძულებული, ამ ბალერინათი კიდევ უფრო მოსაწყენი გამეხადა ჩემი ცხოვრება, ისეთი რა მჭირდა, რომ ეს თევზივით ქალი ცოლადაც კი შევირთე? ჩემი ინიციატივა იყო, ეჭვი არაა, ისევ მომეძალა რკინისებური ნება და არასწორი მიმართულებით წამიყვანა. და სულ ცოტა ათას ერთი ღამის განმავლობაში წავივლებდი ხოლმე თავში ხელს და ვიძინებდე; ცოლქმრობის არცერთი საათი არ გამიტარებია მარტოს. მე იგი ბედის ანაბარა მივატოვე; ის მე მამცირებდა და მე მას; მაგრამ მარტო არასდროს ვყოფილვარ. და მე მარტო არც იტალიური სატვირთო გემის საწყობში ვიყავი, როგორც უბილეთოდ შეპარული მგზავრი, ამერიკიდან საბუთების გარეშე გამოქცეული; მხოლოდ ერთმა მოქრთამულმა ცეცხლფარეშმა იცოდა მაშინ, რომ მე იქ ვარსებობდი, კასრებს შორის, სიბნელეში, ყარდა იქაურობა, ისე ცხელოდა (ჩემს ადგილას ყველას ასე დაემართებოდა!), რომ ოფლი გამომდიოდა ყველა უჯრედიდან. ძალიან კარგად ვხვდებოდი, რომ მშვენიერ იულიკას ეს ოფლი შეეზიზღებოდა; ასე რომ, მარტო არ ვიყავი. ცხოვრებაში პირველად მქონდა შანსი, მარტო ვყოფილიყავი, თვრამეტი დღის და ცხრამეტი ღამის განმავლობაში, ძირითადად წყნარი ზღვის პირობებში, ვერავინ შემიშლიდა ხელს მარტოობაში, იმითაც ვერ გავიმართლებ თავს, ზღვა ღელავდა და გული მერეოდა-მეთქი. ერთადერთხელ, მგონი გიბრალტარს რომ გავცდით, მაშინ ამერია გული; გემის ქიმი რამდენიმე საათის განმავლობაში ეხეთქებოდა ზღვას, მაგრამ მერე ისევ ჩაწყნარდა. და როგორ გამოვიყენე ეს ჩემი შანსი, ატლანტის ოკეანესავით უსაზღვრო შანსი? სიგარეტს მოვუკიდე, კვესის შუქზე პირველივე კასრზე დავინახე წარწერა Cianti Italian Wine Importes და მერე აღარაფერი მახსოვს ჯიუტი სიბნელის გარდა, შიგადაშიგ, ფიცრებში თუ გაკრთებოდა სინათლის სხივი, ჩემ ქვევით გემის ხრახნი გუგუნებდა, სულერთი იყო, დღე იყო თუ ღამე და ალბათ ჭკუიდან შეიშლებოდა კაცი, მაგრამ მე არ შევიშალე, რადგან წარმოდგენაში ვხედავდი დავოსში იუგენდსტილის ვერანდაზე მწოლიარე იულიკას და რაც სათქმელი დამრჩენოდა, გულში მოვახსენე. მიხაროდა, რომ ამ ქალს აღარასდროს ვნახავდი; ეს იყო იქ, ქვევით, ჩემი ერთადერთი სიხარული. მარტო

ვიყავი? ყოველ ჯერზე, როცა ხანგრძლივი ძილიდან ვფხიზლდებოდი, მეშინოდა, ამ აყროლებულ გემს ისევ ევროპისკენ არ აეღო გეზი; გადაწყვეტილებას, აღარასდროს მენახა მშვენიერი იულიკა, ეს მაინც ვერ შემაცვლევინებდა. საკმარისი იყო ამ აყროლებულ კასრებს შორის (ძირითადად ვიჯექი, რადგან სიბნელეში სიარულისას სულ რაღაცას ვეჯახებოდი) ის წერილი გამხსენებოდა, რომელიც ვერანდაზე მისი მოკვლის შემდეგ გამომიგზავნა, მხოლოდ პირველი წინადადებაც საკმარისი იყო: ალბათ აზრი არა აქვს დავუბრუნდეთ გასული კვირის საუბარს და ა.შ. მხოლოდ ეს ერთი წინადადება და, აღარაფერს ვნანობდი, გინდაც ახლა ეს გემი ქვიშაში გაჩხერილიყო და მთლიანად წყლით ავსებულიყო. საკმარისი იყო, ფოქსლიზე მეფიქრა! ან ფქვილის ცნობილ წვნიანზე, რომელსაც ეს ქალი არაფრის დიდებით არ აკეთებდა, ან ასობით სხვა წვრილმანზე, ერთმანეთზე უფრო სასაცილო წვრილმანზე; მაგრამ ერთმანეთის მიყოლებით სიბნელეში გატარებული თვრამეტი დღე და ცხრამეტი ღამე, როცა ზეთიან კასრებს შორის წვეთავდა, წვეთოვანი წუთების უსასრულობაც კი საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ ამ ქალსა და ჩემს შორის არსებული უბადრუკობა თუნდაც აზრების სწრაფ სტენოგრამაში ჩამოგესხა; ისევ აქეთ-იქით ვეხეთქებოდი, ხან ჟანგიან რკინას ვეხახუნებოდი, ხან ტანსაცმლის ბოხჩაზე ვიჯექი და ხელიდან თბილ სისხლს ვილოკავდი, ვიჯექი ასე, ძველი და ახალი ოფლით აყროლებული, გენუის მერე დაუბანელი, ძეხორციელის უნახავი და თხუნელასავით ბრმა, გემის ხრახნის ხმაურისგან დაყრუებული და საათი არ გავიდოდა, რომ დავოსში მყოფი ამ სათუთი ქალის წინააღმდეგ რამე არ გამხსენებოდა და არავის ესმოდა ჩემი ხმამაღალი წყევლა-კრულვა; მაგრამ მარტო მაინც არ ვიყავი. ბრუკლინის ნავსადგურში, როგორც იქნა, გაჩერდა გემის ხრახნი; გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. ჯერ გემის წინა ნაწილი გადმოტვირთეს. ათი საათის შემდეგ, როგორც იქნა, ჩემი ცეცხლფარეში მოვიდა და მირჩია, კიდევ ორი ან სამი დღე დაიმალეო, რადგან დოკის მუშები არიან გაფიცულებიო. გაფიცვა კიდევ ხუთი დღე გაგრძელდა და, რა თქმა უნდა, ამდენივე ღამე და ბოლოს, როგორც იქნა, გავიგონე ჩემი მამაცი ცეცხლფარეშის სტვენა; მაგრამ ჩემსა და იმ ქალს შორის არსებულ უბადრუკობაზე ფიქრი ჯერ არ დამემთავრებინა. ახლა მიწაზე უნდა გადავსულიყავი. ნიუ-იორკში მარტო ვიყავი? მივჩოჩიალობდი ჭიანჭველას ბუდესავით არუბრუზებულ თაიმზ სკვერზე; კვირების მანძილზე მხოლოდ ტელეფონის კაბინებს ვხედავდი, მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა, სიბილესთვის არ დამერეკა. და არც დამირეკავს, არამედ ავედი გრეიჰაუნდის ავტობუსში, რომ დასავლეთისკენ

წავსულიყავი, მნიშვნელობა არ ჰქონდა, საღ. ასეც იყო და ისეც, მოსაწყენიც და მხიარულიც, გულისამრევიც და აღმაფრთოვანებელიც. ვნახე პრერია, ჩიკაგოს სასაკლაოები, მორმონები, ინდიელები, მსოფლიოს ყველაზე დიდი სპილენძის მაღარო, მსოფლიოს ყველაზე დიდი დაკიდული ხიდი, უცხო სახეებს ველაპარაკებოდი რძის ბარში, ერთი თვე დეტროიტში ვმუშაობდი, შემიყვარდა ერთი კონსერვატორი სენატორის ქალიშვილი, რომელსაც „კადილაკი“ ჰყავდა და მიჩიგანის ტბაში ვბანაობდით ერთად და შემდეგ გზა გავაგრძელე, ვნახე ხანძარი ტყეებში, ბეისბოლი, მზის ჩასვლა წყნარ ოკეანეზე და მფრინავი თევზები, ფული თითქმის არასდროს მქონდა, მაგრამ სიამოვნებისგან ვსტვენდი, რომ ასე შორს ვიყავი დავოსისგან, ცოტა ნაკლებად შორს ნიუ-იორკის რივერსაიდ დრაივისგან, მაშინ შემეძლო ისე მარტო ვყოფილიყავი, როგორც მთვარეზე. ისინი მომაძახებდნენ: Hallo! და მეც ვპასუხობდი Hallo! ოღონდ სიჩუმე არ გამეგონა და შუაღამის მერეც რადიოს დიქტორებს ვუსმენდი, სანამ გადაცემებს არ მორჩებოდნენ, რადგან სიჩუმეში მარტო არ ვიყავი, ამიტომ მერჩივნა ისევ რეკლამის ასე საოცრად დამაჯერებელი ხმა მომესმინა, რომელიც მამცნობდა, რომელია საუკეთესო საპონი, საუკეთესო ვისკი, ძაღლის საუკეთესო საკვები, შიგადაშიგ სიმფონიები ან ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ სიუიტა: ოღონდ მარტო არ ვყოფილიყავი. და თუ იქ ჩემი ნატიფი ბალერინა არ იყო, სამაგიეროდ, იყო Little Grey,\nკატად წოდებული ნატიფი ურჩხული, რომელიც სულ ჩემი ფანჯრის რაფაზე ხტებოდა და თან ჩემთვის სათქმელი არაფერი ჰქონდა. ამ ქაღალდების გროვაში ეს უკვე ერთხელ დავწერე, არა? კატა ავიყვანე და ერთ საღამოს მაცივარში შევსვი, მერე ვეცადე, სტვენა-სტვენით დამეძინა, თუმცა, ამაოდ. რამდენიმე საათის შემდეგ გამოვსვი მაცივრიდან, რადგან კარგად ვიცოდი, რომ მომკვდარიყო, უფრო მეტად შევწუხდებოდი და, როგორც კი ცოტა ხნის შემდეგ თვალები ოდნავ გაახილა, ცრემლები მომადგა, გული ამიჩუყდა, რომ მაცივარში სიკვდილით არ გამირთულა ცხოვრება; მერე ვუვლიდი, სანამ ისევ არ აკრუტუნდა და შარვლის ტოტებზე არ მებლანდებოდა, მაგრამ, მთავარია, ცოცხალი გადარჩა, მართალია, გამარჯვებულის სიფათით დაგოგმანებდა და ახლაც არაფერი ჰქონდა ჩემთვის სათქმელი და მერე, როგორც კი ბოროტად გამოიყენა ჩემი სინდისის ქენჯნა, ისევ გავაგდე უკვე არცთუ ისე ცივ ღამეში, გარეთ კუდს აქიცინებდა და კნაოდა, ფანჯარა დავკეტე, ყველა ფანჯარა დავკეტე, გარედან შემოახტა რაფას და კნაოდა, თითქოს მართლა მომეკლას. ერთი ხანობა, ვითომ ვერ ვხედავდი, ვითომ მისი კნავილი არ მესმოდა, იმდენი იკნავლა, სანამ მთელ სამეზობლოში არ მომჭრა თავი (განსაკუთრებით, ფლორანსთან,

მულატ გოგოსთან). კმარა! ვთქვი ხმამაღლა. ფანჯარასთან მივედი, უკნიდან კისერში ვწვდი და ფართხალა ბოხჩასავით რაც შეიძლება შორს მოვისროლე. როგორც კატებმა იციან, ფეხებზე დაეცა. ჩემდა გასაოცრად, გაჩუმდა კიდეც, ფანჯრის რაფაზეც არ შემხტარა. ველოდებოდი. მარტო დამტოვა, ვაღიარებ, მაგრამ სულ ვიცოდი, რომ ყოველ წამს შეიძლებოდა ამომხტარიყო ფანჯრის რაფაზე; ესე იგი მარტო არ ვიყავი.

ახლა მარტო ვარ? პარიზში მყოფ ქალბატონ იულიკა შტილერ-ჩუდიზე ვფიქრობ. ვხედავ მას შავ კოსტიუმში გამოკვართულს, ძალიან უხდება, მოწითალო თმაზე პატარა თეთრი ქუდი ახურავს. ახლა პარიზში ალბათ გრილა. ახალი პალტოს ყიდვას აპირებდა. მე ვხედავ მას (თუმცა წლევანდელი შემოდგომის მოდელებში ვერ ვერკვევი) ახალ პალტოში გამოწყობილს, ასევე არაჩვეულებრივად უხდება. შეიძლება ძალიან იოლად მიყვარდება; მაგრამ ამ ჩემს საკანში რომ ვზივარ და ამ ქალბატონ იულიკა შტილერ-ჩუდიზე ვფიქრობ, მგონი სიყვარულზე ცოტა მეტია. ამას ჩემს იმედით აღსავსე უგუნებობაზე ვამჩნევ, ქალბატონი იულიკა შტილერ-ჩუდი ხომ ჩემი ერთადერთი იმედია. რომ არაფერი ვთქვათ მის სპილენძისფერ თმაზე, ალებასტრივით კანზე, მის მომწვანო თუ წყლისფერ თუ სულაც უფერულ, მაგრამ საოცრად ლამაზ თვალებზე, ამ ყველაფერზე რომ არაფერი ვთქვათ, რასაც ყველა და მათ შორის ჩემი ადვოკატიც კი ხედავს, ეს ქალი (როგორც უნდა ერჩოდეს მისი უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერი) არაჩვეულებრივია, იოლი შესაყვარებელი არ არის, შეიძლება, მაგრამ ქალი, რომელიც ჯერ არასოდეს ჰყვარებიათ და რომელსაც ჯერ არასოდეს ჰყვარებია. და ამიტომ, ეჭვი მაქვს, სულაც არ მაშინებს, რა ჰქონდათ მას და შტილერს ერთმანეთთან. რა ჩემი საქმეა! არ მინდა ნამეტანი მომივიდეს და ვამტკიცო: მე იგი მიყვარს! მაგრამ ერთ რამეს კი ვიტყვი: მინდა, რომ მიყვარდეს. და თუკი მივაღწიე, რომ ქალბატონ იულიკა შტილერ-ჩუდის თავისი დაკარგული მეუღლე აღარ ვეგონო, გავბედავ და ვიტყვი: რატომ უნდა იყოს შეუძლებელი? ამ დღეებში დაბრუნდება, როგორც ოდნავ მოკლე და თავშეკავებული ბარათით იტყობინება, შემოდგომის კოლექციის პარიზული პალტოთი. მე მას გამოვუტყდები, რომ ეს ყველაფერი მართალი არაა: მე არ შემიძლია მარტო ყოფნა, ვეცადე, მაგრამ არ გამომივიდა. და პირდაპირ ვეტყვი: რომ მომენატრა. სულაც არ ვაჭარბებ. და მერე, როგორც კი მომიხერხდება, ვკითხავ, თუ წარმოუდგენია ჩემი შეყვარება. მისმა სიცილმა, გაპარსულ წარბებიანმა გაოცებულმა სახემ და მისთანებმა არ უნდა შემაშინოს: ქალბატონი იულიკა შტილერ-ჩუდი ასეთია და მორჩა. თვრამეტი წლის იყო, რომ

დაობლდა, მეოთხედი სისხლი უნგრული აქვს, სამი მეოთხედი გერმანულ-შვეიცარიული, ტუბერკულოზი, რომელიც ნამდვილად აღმოაჩნდა, შემდეგ ესპანეთის დანევროზებული მეომრის ცოლობა, ეს ყველაფერი იოლი ხომ არ იყო; უშვილობა, ხელოვნება და საოცარია, როგორ გაიარა ამდენი რამ ამ ადამიანმა; საკუთარი თავი ეცოდებოდა, კი, ნამდვილად, თავისებურად გრაციოზულად იბოღმებოდა კიდეც, მაგრამ ყოველთვის ამაყად ეჭირა თავი პატარა მხრებზე, შესანიშნავია; ცოტა ქედმაღლობა (ოღონდ ქალებისთვის დამახასიათებელი სახით გამოხატული, „პატიების“ ელფერი რომ დაჰკრავს) სრულიად გასაგებია. პირდაპირ რომ ვკითხავ, თუ წარმოუდგენია ჩემი შეყვარება, მისგან პასუხად უბრალო „ჰოს“ , გოგოებმა რომ იციან, არ მივიღებ. ქალბატონი იულიკა შტილერ-ჩუდი საკმაოდ გამოცდილია, როგორც მე. ამ საკნის ნარიც არ არის მწვანე მინდორი აყვავებული ვაშლის ხის ქვეშ. იმედი მაქვს, ძალიან საზეიმოდ არ გამომივა! რადგან საზეიმო ვითარებაში უნებურად ლაჩარი ვხდები, ამისთვის მხოლოდ სტილისტური მიზეზიც მყოფნის; მერე არასაზეიმო რაღაცებს საერთოდ ვეღარ გამოვთქვამ. თუკი ქალბატონი იულიკა შტილერ-ჩუდი მშრალი უარით არ გამისტუმრებს, დაახლოებით ასეთი რამ უნდა ვუთხრა:

„შენ ჩემი ერთადერთი იმედი ხარ, იულიკა, და ეს საშინელებაა. მომისმინე! არ არის საჭირო ჟან-ლუი დმიტრიჩზე საუბარი, შეიძლება მას იმაზე მეტად უყვარხარ, ვიდრე მე შევძლებ, რომ მიყვარდე. დმიტრიჩი მგრძნობიარე ადამიანია, მჯერა შენი, ნახევრად რუსი, ცოტა ინვალიდი და ერთგული. შორს ვერც შენ წახვედი, ძვირფასო იულიკა; ისევ ინვალიდს გადაეყარე. და ისიც რთული წარმოსადგენია, რომ მე და შენ წავიდეთ შორს, არც შენ და არც მე. მგონია, რომ ეს ერთადერთი არჩევანი დაგვრჩა – ან ერთმანეთზე წავიტეხთ კისერს, ან ერთმანეთის სიყვარულს შევძლებთ. სიმართლე გითხრა, სულ არ მგონია, რომ იოლი იქნება. რაც წლები გავა, მით უფრო ძნელი იქნება, არა? მაგრამ სხვა არაფერი დაგვრჩენია. ყველა გარემოების გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთმანეთი არასდროს გვყვარებია. და, აი, სწორედ ამიტომ ვერც კი დავშორდებით ერთმანეთს. ძალიან სასაცილო არ არის? შენ თქვი, რომ ჟან-ლუის უკვე დაშორდი, შენი მეუღლის ერთგულების გამო. მოდი, ვაცალოთ შენს მეუღლეს, იყოს უგზო-უკვლოდ დაკარგული! მაგრამ: მუსიე დმიტრიჩთან დაშორება თუ მოახერხე, ჩვენ რატომ ვერ შევძლებთ? ნებისმიერი წყვილი შეიძლება გაიყაროს, რომელიც ოდესღაც თავისებურად ბედნიერი იყო და თავისი შესაძლებლობები ამოწურა, საწყენია, მტკივნეულია, სკანდალურია, გაუგებარია და ასე შემდეგ,

მაგრამ არცერთის სულს არ აღგება ამით ზიანი; ქალს რჩება ორი საყვარელი ბავშვი, მისი უმანკოების თვალსაჩინო საზღაური და კაცი კი მაინც ხდება დირექტორის მოადგილე; ვინ იცის, რომელი მათგანი უფრო აღრე დაქორწინდება მეორედ. და ჩვენ, იულიკა, ჩვენ რა გვაქვს? მოკლედ რომ ვთქვათ, მხოლოდ ფოქსლის მოგონება. ვიცი: საწყალი ძაღლუკას ბრალი არაა, რომ ერთმანეთთან ბედნიერები არასდროს ვყოფილვართ. მაგრამ ხომ გესმის, რისი თქმაც მინდა! ჩვენ ერთმანეთთან ამბავი არ დაგვიმთავრებია. და ამიტომაც, მგონია, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ვერ დავშორდით ერთმანეთს. საწყალი მუსიე დმიტრიჩი! გინდაც კაცის ყველა სანატრელი თვისებით იყოს შემკული, ტყუილია, მაინც ვერ გაეჯიბრება იმ სიცარიელეს, ჩვენ რომ გვაკავშირებს. მე ეს ვიცი, იულიკა. შენ იცი, რომ მე სხვას ვყვარებივარ და იმ ქალის სიყვარული იოლი იყო, სიხარული იყო. მაგრამ არ გამოვიდა! არ გამოვიდა, რადგან მე შენთან ამბავი არ დამიმთავრებია, ჩვენი ამბავი არ დამიმთავრებია. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ ბავშვი ეყოლა, ხო მოგწერე, და ახლა ჩემი ერთადერთი მეგობრის ცოლია. ესეც ემატება! მე ის ისევ მიყვარს! ამიტომ გეკითხები, თუ წარმოგიდგენია ჩემი შეყვარება; შენთვისაც არ იქნება იოლი ჩემი სიყვარული. ხანდახან, გულწრფელად რომ გითხრა, მგონია, წყალზე სიარულს ვცდილობთ და თან ვიცი, ორივემ ვიცით, რომ წყლის დონე მაღლა და მაღლა იწევს, საცაა დაგვახრჩობს და სულ მაღლა იწევს, თუნდაც ჩვენ არ ვცდილობდეთ წყალზე გავლას. დიდი ხნის სიცოცხლე ალბათ აღარ დაგვრჩენია. ყველაფერი, მართლაც ყველაფერი, იმაზეა დამოკიდებული, ჩვენ, შენ და მე თუ მოვახერხებთ შეხვედრას მიუხედავად წარსულისა. ეს ცოტა ლაჩრულად ჟღერს, ვატყობ, მაგრამ სინამდვილეში პირიქითაა, ეს არის იმედი, მეტიც, რწმენა, რომ ჩვენთვის ჯერ კიდევ არსებობს ზღურბლი, რომელიც ცხოვრებაში დაგვაბრუნებს. შენ – შენს ცხოვრებაში და მე – ჩემსაში, მაგრამ არსებობს მხოლოდ ეს ერთი ზღურბლი, და ვერც ერთი ნაწილი ვერ გადალახავს მას მარტო, ვერც შენ და ვერც მე“.

(დაახლოებით) ასე დაველაპარაკები ქალბატონ იულიკა შტილერ-ჩუდის, რა თქმა უნდა, თუკი იგი – მხოლოდ იგი მაინც! – დაიჯერებს, რომ არ ვარ უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერი, დანარჩენს კი ჩემი ადვოკატი მოაგვარებს ისე, როგორც გაეხარდება, ეს უკვე აღარ მადარდებს. ჩემი ადვოკატი, რადგან საბოლოო სხდომა ახლოვდება, მოკლედ ჭრის. მატყობინებს: დაცვის მხარეს სიტყვა (რა თქმა უნდა, თუკი მანამდე აღიარებითი ჩვენება არ მივეცი) უკვე მზად ჰქონია, უკვე დაბეჭდილიცაა. გარდა ამისა: ჩემმა ადვოკატმაც მიიღო ღია ბარათი ქალბატონი იულიკა

შტილერ-ჩუდისგან (მანაც Place de la Concorde?), რომლითაც ამცნო, ჩამოვალთ „თქვენთანო“.

მე, ჩემი მხრით, მხოლოდ თავს ვუქნევ.
ლოცვა რომ შემეძლოს, ვილოცებდი, ყველანაირი იმედი წამართვეს, საკუთარ თავს გავქცეოდი. ხანდახან ვცდილობ ლოცვას, მაგრამ არ გამომდის, რადგან იმედი მაქვს, რომ ლოცვა გარდამქმნის, უძლურებას დამაძლევინებს და როგორც კი ვხვდები, ეს არ ხდება, იმედი მეწურება, რომ გზაზე ვდგავარ. გზა ჩემთვის მხოლოდ იმედს ნიშნავს, იმედს, გავექცე საკუთარ თავს. ეს იმედი არის ჩემი საპყრობილე. მე ეს ვიცი, მაგრამ ამის ცოდნა ჩემს ციხეს ვერ ამსხვრევს, მხოლოდ მაჩვენებს ჩემს უძლურებას, ჩემს არარაობას. ასეთი იმედგადაწურულიც არ ვარ, ანდა, როგორც მორწმუნეები იტყვიან, არ ვარ საკმარისად მორჩილი. მესმის, როგორ ამბობენ: დანებდი და გათავისუფლდები, შენი საპყრობილე დაიმსხვრევა, როგორც კი იგრძნობ მანდედან თავის დაღწევის ძალას და გამოხვალ, როგორც არარაობა და უძლური ადამიანი.

ჩემი გაგიჟება უნდათ, მხოლოდ იმისთვის, რომ მოქალაქეობა მომანიჭონ და წესრიგი დაამყარონ, აღარაფრის ერიდებათ. ახლა, გუშინდელს აქეთ, ადამიანი აღარ არის ჩემ გვერდით, რომელსაც უსირცხვილოდ არ გავუცივარ, ჩემი პროკურორის გარდა. მწარე დღე იყო:
ვინიშნავ:
1. დილა.
ათი საათისთვის პროკურორთან მიხმობენ. თერთმეტს გადასცდა და ჯერ კიდევ მოსაცდელში ვზივარ ქნობელთან ერთად, რომელიც ასევე აზრზე არაა, რა ხდება. ქნობელი წუხს, საყვედური არ გამოუცხადონ, მაგალითად, სერველადის შემოპარების გამო და ძალიან მიცრუებს იმედს, ეს წესიერი ქნობელი როგორ იქცევა საყვედურის მხოლოდ წარმოდგენის გამო; ეშინია, რომ სამსახურს დაკარგავს.
რასაკვირველია, ამას არ ამბობს, მაგრამ ჰგონია, რომ ჩემთან ურთიერთობისას გულითადი ტონისგან თავი უნდა შეიკავოს, სანამ ამ მოსაცდელში ვსხედვართ. ქნობელი გაზეთს კითხულობს, რომ თავი მოაჩვენოს, აქაოდა, ამ კაცთან არაფერი მესაქმებაო, მჭმუნვარე გამომეტყველება მიუღია, თითქოს ეს იყოს იმის გარანტია, რომ თავისი უფროსის წინაშე ოთხზე არ იხოხებს. გერმანიაში ქუსლს ქუსლზე არტყამენ, აღმოსავლეთში ხელებს ისრესენ, შვეიცარიაში სიგარას უკიდებენ და თანასწორობის ნიშნად რაც შეიძლება უზრდელურ პოზაში იკრუნჩხებიან, თითქოს აქ წესიერ კაცს არ შეიძლება რამე შეემთხვას.
როცა მოხდენილი ქალიშვილი გამოდის და ამბობს: ბატონი პროკურორი

გთხოვთ! ქნობელი საერთოდ არ ჩქარობს; ბატონი პროკურორიც ადამიანია, ჩვენ ყველანი ვიხდით გადასახადებს! მაგრამ თავისი პენსნე მაინც ავიწყდება. უცნაურია (შეგნებულად?), მაგრამ კარს ღიად ტოვებენ; ვერავის ვხედავ, მაგრამ დაახლოებით შემდეგი საუბარი მესმის:

– ამისთვის არ ვიხდი ჰონორარს!
– სხვათა შორის, – ამბობს პროკურორი, – მართლა ნუ გეწყინებათ, რომ ამ საქმეში სულ თმის ზეთის განგსტერზეა საუბარი. ეს გამოთქმა, როგორც თავად დარწმუნდით, ბრჭყალებშია ჩასმული. საქმე გვაქვს ჩვენი პატიმრის გამოთქმასთან.
– იმედია, მასეა!
– ყველაფერი დანარჩენი.
– თმის ზეთის განგსტერი! – ამბობს აღშფოთებული ხმა, – ღირსების შელახვის გამო ვიჩივლებ, რადაც უნდა დამიჯდეს, შეგიძლიათ პატიმარს დღესვე მოახსენოთ.
მცირე პაუზა.

– კიდევ ერთი კითხვა, ბატონო დირექტორო.
– გთხოვთ, ბატონო პროკურორო, გთხოვთ.
– იამაიკასთან რამე გაკავშირებთ?
– რატომ მეკითხებით?
– მე ნამდვილად არ ვიკვლევ თქვენს საქმიან ურთიერთობებს, – ამბობს პროკურორი, – სწორად გამიგეთ, ბატონო დირექტორო. მხოლოდ ეს მაინტერესებს: როდესაც ბატონი შტილერი უკვე ნახსენებ თქვენს ბიუსტზე მუშაობდა, გისაუბრიათ იამაიკაზე?
– შესაძლებელია.
– აჰა.
– იამაიკაზე სახლი მაქვს.
– აჰა.
– რატომ?
მესმის, როგორ აჩოჩებენ სავარძლებს.
– კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ბატონო დირექტორო, ამბობს პროკურორი, – ძალიან გვიხარია, რომ ვხედავთ, არავის მოუკლავხართ.
– მოვუკლავხარ?

– ჩვენი პატიმარი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მან თქვენ წლების წინ საკუთარი ხელით მოგკლათ!
– მე?
– იამაიკაზე, დიახ, თქვენ.

ახლა ქნობელის ჯერია, მას დარაჯად წარადგენენ და უნდა მოჰყვეს, რაც მისთვის უამბნიათ. ლაპარაკი უჭირს. მისი მონაყოლი მკვლელობის შესახებ ცუდია, არეულ-დარეული და სულ არ აქვს გამომსახველობა.
– ჯუნგლებში! – იცინის დირექტორი, – გაიგონეთ, ბატონო პროკურორო?
– ჯუნგლებში! იამაიკაზე თვალით არ მინახავს ჯუნგლები, ეს რა ბოდვაა, ბატონო პროკურორო, იმედია, გჯერათ ჩემი.
– მჯერა.
– ბოდვა!
ქნობელი, ეტყობა, დაიბნა და ვერ ბედავს მოჰყვეს, როგორ ერევა მის წინ მჯდომი დირექტორის სისხლი ჭაობის წყალს და როგორ ელოდებიან შავი ცოპილოტები გამოწკეპილ მძორს, ეს ისეთი დეტალებია, რომელიც აუცილებლად უნდა ეთქვა, რახან ეკითხებიან; ამის მაგივრად ქნობელი იქით ეკითხება:

– თქვენ ბატონი დირექტორი შმითცი ბრძანდებით?
– ჩემს კითხვას უპასუხეთ, – ამბობს დირექტორი, – რაო, რითი მოვკალიო, რას ამბობს თქვენი პატიმარი?
– ინდილების ხანჯლითო.
– აჰ.
– დიახ, – ამბობს ქნობელი, – წინიდან, ყელში ვატაკე და მერე მარცხნივ გამოვუსვიო.
– გასაგებია.
– თუ მარჯვნივ გამოვუსვიო, – ამბობს ქნობელი და ისევ იბნევა, – აღარ მახსოვს.
– გმადლობთ.
შემდეგ ქნობელს ემშვიდობებიან.
– ძალიან ვწუხვარ, – ამბობს ქნობელი, მოსაცდელში დადის, ხელში ქუდი უჭირავს, ყურები ჭარხალივით გასწითლებია; შემოხედვის ღირსად არ მაგდებს... როგორ აღიქვა დირექტორმა თავისი მკვლელობა, ვეღარ ვიგებ, რადგან ქნობელმა, წესისამებრ, კარი გამოიხურა. შიგნით საუბარი კიდევ ათ წუთს გრძელდება. გაზეთის წაკითხვას ვცდილობ, რომელიც ჩემმა დარაჯმა დატოვა, ალბათ სოციალ-დემოკრატების გაზეთია, უცებ კარებში გამოსულ კაცს ვხედავ. იგი ამბობს:

– ძალიან სასიამოვნო იყო, ბატონო პროკურორო, თქვენთვის პირადად გამეცნო საქმის ნამდვილი ვითარება. საქმე ფულში არაა, როგორც გითხარით, მე თავის დროზე მზად ვიყავი, შეთანხმებული ჰონორარის ნახევარი გადამეხადა, სრული ნახევარი, ზუსტად, მაგრამ შანტაჟს არ წამოვეგები და თუ მაშინ ბატონი შტილერი ამით არ დაკმაყოფილდა, კი

ბატონო, შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა, მაგრამ ეს ვერ გაბედა, ხომ ხედავთ. პროცესის ფული არა მაქვსო! ეს ფსიქოპათები მერე სულ ასე ამბობენ და როცა სასამართლოზე მივუთითე, პირდაპირ განგსტერი მეძახა. ბატონო პროკურორო, ამას არც თქვენ მოითმენდით, ხომ ასეა. ბატონი, რომელიც შემდეგ მოსაცდელში პალტოს იცვამს, საკმაოდ გემოვნებიანი ვინმეა, ისეთივე უსახური, როგორიც ბანჰოფშტრასეს ნებისმიერი გამვლელი. ყელზე აბრეშუმის სადა შალი უკეთია, მელოტ თავზე ასევე სადა ქეჩის ქუდი ახურავს, რომელსაც, მე რომ შემომხედავს, არ იხდის, სამაგიეროდ, ყელზე წაივლებს ხელს, ვითომ შალს ისწორებს. მე თავს ვუქნევ. ნეტავ რატომ? ოთახიდან ამ სიტყვებით გადის:

– სასამართლოში შევხვდებით.
შემდეგ პროკურორთან შევყავარ.
– არსებობს მილიონერების სახეობა, – ვამბობ მე, – რომელთაც სამართლებრივ სახელმწიფოში ვერაფერს დააკლებ, რა გასაკვირია, რომ ისევ და ისევ მკვდრეთით აღდგებიან.
მოხდენილ ქალიშვილს დავალებას აძლევენ და თავიდან იშორებენ, წერილი უნდა მიიტანოს სასტუმრო „ურბანში“. მაშინვე ვფიქრობ: ნეტა იულიკა თუ ჩამოვიდა პარიზიდან? ამასობაში, პროკურორი, რომელიც აქამდე მხოლოდ ჩემი საკნის ნარზე სტუმრად ჩამომჯდარი მინახავს, მთავაზობს, დაჯექიო.
– ჰო, – იცინის, – ჩემო ძვირფასო.
ტელეფონი აწყვეტინებს საუბარს. სამსახურის ტელეფონის ყურმილით ცოტა გვერდზე ტრიალდება, როგორც არასამსახურეობრივი საუბრების დროს იქცევიან ხოლმე, უსმენს, ხელი გასაღებების ასხმაზე უდევს, მზერა ფანჯრისკენ მიუმართავს, თავის მხრივ, მხოლოდ ამბობს, სადილად არ მოვალო, ნაშუადღევს აქვე მაქვს შეხვედრაო და უცებ წყვეტს საუბარს, როგორც ჩანს, რაღაც კითხვაზე არ უნდა ჩემი თანდასწრებით პასუხის გაცემა და შემდეგ, ცოტა შეცბუნებული, მე მომმართავს:

– სიბილემ მოგიკითხათ.
– გმადლობთ, – ვამბობ მე, – როგორ არის?
– გმადლობთ, – ამბობს ის, – ბედნიერია, რომ უკვე სახლშია.
ღიმილის კვალი საბოლოოდ გაუქრა სახიდან და აშკარა უხერხულობისგან გამოწვეული სიჩუმეც საკმარისად დიდხანს გაგრძელდა. მისი დუმილი გამოხატავდა, რომ ეჭვს აღარ იწვევდა, მე ვარ უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერი და, აქედან გამომდინარე, მისი ცოლის ყოფილი საყვარელი, ცოლის, რომელიც ბედნიერია, რომ უკვე სახლშია. გასაღების ასხმა ჯიბეში ჩაიდო და არცთუ ორიგინალური აზრი

გამოთქვა:
– რა უცნაურია ცხოვრება.
უკეთესი მეც არაფერი მაფიქრდება.
– თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შტილერ, ერთად ვისადილოთ. ორ საათამდე დრო გვაქვს... მოდით, – უკვე წამომდგარი ამბობს: – სადმე სოფელში წავიდეთ!
* * *
2. სადილი.

ჩვენი გზა მინდვრებსა და ტყეებში მიდის, დუმილს თითქმის არ ვარღვევთ. ყველაფერს შემოდგომა ეტყობა. მზეს ჯერ კიდევ აქვს იმდენი ძალა, რომ გარეთ დაჯდომა შეიძლება, შუადღეს მაინც. პატარა დუქნის საკმაოდ კოხტა ბაღში ვსხედვართ, იქიდან ფართო და ლამაზი ხედი იშლება, ვაზის ფოთლის გორები დგას, ფოთოლგაცლილ ვაზს შორის ტბა მოჩანს, სინათლის სხივებში ლიცლიცებს, ყველაფერს თითქოს ლურჯი კვამლის საბურველი გადაჰფარებია, ყავისფერ ყანასაც და ბრიალა ტყეებსაც. აქა-იქ ხეებზე კიბეა მიყუდებული, მიწაზე კალათები აწყვია. ბზიკები ჩვენს კამპარისაც კი ახვევია, შემოდგომის ბურუსიდან ამოზრდილი მთაგრეხილი შუშასავით კრიალაა და რაღაცნაირად შორეული; მისი თოვლის ნათელი ფოთოლგაცვენილი ხეხილის ტოტებში ციმციმებს, მიუწვდომელი, როგორც ბარძიმი შავ გისოსებს მიღმა.
– ლამაზია აქაურობა! – ვამბობ მე, – ძალიან ლამაზია.
– აქ არ ყოფილხართ?
მშვენივრად ვსადილობთ.
– რას დალევთ? – მეკითხება ჩემი პროკურორი და მეგობარი, – მე მგონი, მშვენიერი „მაინფელდერი“ უნდა ჰქონდეთ.

– სიამოვნებით, – ვამბობ მე, – დიდი სიამოვნებით.
თავს ვერ ვიკავებ, თვალს ვერ ვწყვეტ არემარეს, ულამაზესი ფერდობი ეშვება ტბაზე და სიშორეს ერწყმის, შემოდგომის ბურუსი დასახლების პროვინციულობას ფარავს, არც ქალაქია და არც სოფელი, მოჩანს მხოლოდ ტყის კორომები, ყანებით ამოვსებული ხეობები, ჭაობი, ლანდშაფტი, რომელიც არ მასვენებს, რადგან საერთოდ არ მაკვირვებს. ვიცნობ აქაურობას. მიყვარს კიდეც?
– გავიგე, თქვენი მეგობრები ცოტა იმედგაცრუებულები ყოფილან ამას წინათ, – ამბობს ჩემი პროკურორი, – ცივად მოჰქცევიხართ.
– იქნებ ასეთი ვარ.
– რატომ?
მხრებს ვიჩეჩ. მათთანაც იგივე მემართება, რაც ამ ლანდშაფტის

შემყურეს, ეს ლანდშაფტიც, როგორც თითქმის ყველა, სიყვარულის ღირსია. ეტყობა, ჩემი ბრალია... ისევ ყველაფერი ადგილზეა, ბზიკები ბოთლში, ჩრდილები მოკირწყლულ გზაზე, წარმავალობის ოქროსფერი გარინდება, თითქოს ყველაფერი მოჯადოებულია, მინდორში მოკრიახე ქათმები, ყავისფერი და გადამწიფებული მსხლები, რომლებიც გზაზე ყრია, რკინის ღობეზე ჩამოკიდებული ასტრები, სისხლისფერი ცეცხლოვანი ვარსკვლავები, რომლებიც ირგვლივ მოედინება, მოლურჯო სინათლე ხეებს ქვეშ, მეჩვენება, თითქოს ყველაფერი თავის თავს ემშვიდობება; ალვის ხის შრიალა ფოთოლი, ლითონის ნაპერწკალი ჩამოვარდნილ ხილზე, დამწვარი ბუჩქების კვამლი მინდვრებზე და ვენახის ცხაურს მიღმა მოლივლივე ტბა; მზე ნაშუადღევის ბურუსში იჟანგება და მერე უკან მივდივართ, უპალტოოდ, ხელები ჯიბეებში, სველი ფოთოლი, რომელიც ფეხქვეშ აღარ შრაშუნობს, ფერმების მოსაწყენი რიგი, ბინდში მწვეთავი კასრები, ნისლში გახვეული გემის წითელი ლამპიონები... შემოდგომაა და თვალწინ გაზაფხულიც მიდგება. ვხედავ საკმაოდ ახალგაზრდა წყვილს: მინდორს გადაირბენენ, ნაჟური წყლით გაჯერებული მიწა მათ ფეხქვეშ ჭყაპუნობს, მინდორი რბილია, სველი ღრუბელივით მუქი, ნიავი გადაუვლის და მზე ათბობს, მიაბიჯებენ ღობის გასწვრივ, მეგობრული დისტანცია უჭირავთ, ყველგან გაძენძილი ნაკელის სუნი დგას, წყაროები ბუყბუყებენ, ბორცვებზე ბალახს ვარცხნიან და ფოთოლგაცვენილი ტყეები აწოწილან მარტის ცის ქვეშ; ორი წაბლისფერი ცხენი ქოშინით მიათრევს გუთანს ბორცვზე, შავ ბელტებს შორის მიწას პირი დაუღია და სინათლეს ისრუტავს. უჩვეულო შეხვედრაა წლების შემდეგ! ლაპარაკობენ ცხოვრებაზე, ახალგაზრდები არიან, მაგრამ უკვე ესმით: ცხოვრების ყველა მონაკვეთში, ბავშვობის გარდა, დრო გამაოგნებელი რამაა და მშვენიერი იქნებოდა, თუკი უფრო გავუფრთხილდებოდით ან ნაკლებად გავფლანგავდით ცხოვრების ამ მონაკვეთებს, რადგან სიკვდილსაც, რომელიც ერთ დღეს გვეწვევა, ხომ ვერ უარვყოფთ, ვერ გავფლანგავთ, ვერ გავექცევით. რამდენს ლაპარაკობს ეს ახალგაზრდა კაცი, თავისი ცხოვრების ორ მდგომარეობაზე, სამუშაოზე და სასჯელზე, როგორც თავად უწოდებს და რომ მუშაობა ბედნიერებაა, განცხრომაა, აღმგზნებია, სიხარული არ გაძინებს, საათობით გაყვირებს, მთელი დღე ისეთ ყიჟინას სცემ, გინდა საკუთარ თავს გაექცე, ეს არის მუშაობა, აღტყინება, რომელიც უნებურად გიპყრობს, არაფერს გავალდებულებს, არ გბოჭავს და არ გაიძულებს, არ ანგარიშობს და არ იძუნწებს, ანგელოზის ჟესტი, ანგელოზს ხელები არ აქვს, რომ რამე წაგართვას, ეს არის ბედნიერება, გულანთებული გარჯა, როცა ყველაფერი სხვა მეორეხარისხოვანია, ყველაფერი, რაშიც ადამიანები არიან, სართი, ზედმეტი სიხარულის

მხიარული ფლანგვა; მოგვიანებით აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს იყო ყველაზე დიდი, რაც კი შესაძლებელია მოხდეს ადამიანებს შორის, მიუწვდომელი, როგორც კი მიზნად ჩამოყალიბდება, მოთხოვნილებად იქცევა, გადაუდებელი საქმე ხდება. ყოველ ჯერზე შემოგაწვება კაეშანი, რომელიც იმიტომ კი არ მოდის, რომ ადამიანები მიდიან, პირიქით: ადამიანები მხოლოდ იმიტომ მიდიან, რომ კაეშანი მოდის, ამას ისე გრძნობენ კვირებით ადრე, როგორც ძაღლები მიწისძვრას, რომელიც ყველაფერს, რაც ადამიანის ხელს აუშენებია, ნაცარტუტად აქცევს, ყველაფერს ფერფლით დაფარავს, კაეშანი გადაეფარება ყველაფერს, როგორც მოფარფატე ჩიტები გარდასული სიხარულის კვამლადენილ ადგილებს, შიშის აჩრდილი, ეს არის სასჯელი, ეჭვის გამოძახილი, უნაყოფო მარტოობის საშინელება. როგორ ატანს გემოს ლაპარაკს ეს ახალგაზრდა კაცი და როგორ მოსწონს მისი ლაპარაკი ამ ახალგაზრდა ქალს! ვერცხლისფერარშიიანი ღრუბელი მზეზე დნება და ტყეები კუნძულებივით ამოიწვერება ლითონის კალაპოტიდან, ნახნავში მიაბიჯებენ და ერთ მომენტში, პატარა ღელეზე გადახტომისას, ქალს უცებ ფეხსაცმელი ჩარჩება ლორწოვან ჭაობში; ცალ ფეხზე ხტუნაობს წინდისამარა და ახალგაზრდა კაცი ხელს აშველებს. პირველად კოცნიან ერთმანეთს. პატარა ტყის უკან გრილი ტბებია, მოწითალო ტირიფების ჩრდილში თოვლი შემორჩენილა. ტყიდან რომ გამოდიან, ჩერდებიან, ხელიხელგაყრილები; ტბა ისევ ალესილი ცელივით გადაჭიმულა და ალპებს თავზე რკალივით ადგას ჩუმი, აქაფებული ღრუბელი. სოფლის რომელიღაც დუქანში ისვენებენ. ნაწნავიანი გოგონა ემსახურებათ. კვირტებითა და მცენარეებით და მზით სავსე დაბალ ფანჯრებთან სხედან, მზე ირიბად ეცემა ხის სახლის სიჩუმეში და მათ მომლოდინე თეფშებს ანათებს. იქ ხვდებიან, რა შორს წამოსულან და გემრიელად წაიხემსებენ, დაიმსახურეს ქონი პურით, გლეხური პურით, რომელიც სველ და გემრიელ ნაჭრებად ტყდება. ფანჯრის მინაზე ბუზი ბზუის. მწუხარებამდე მისული ბედნიერების ღრუბლები ელამუნება და განსაზღვრავს დროს, უცნაურ ყოფნას და სიფხიზლეს მოულოდნელი ერთიანობა, რომელიც ამ ერთ ჩვეულებრივ დღეს გლეხურ დუქანში ბედისწერასავით ელოდებოდათ, ცოდნა, რომ ერთმანეთს შეხვდნენ. კითხვა, რა გამოვა აქედან, ჯერ არ ისმის და ირგვლივ მეფობს გრძნობა, რამდენი რამაა შესაძლებელი ცხოვრებაში!.. ასეთია გაზაფხული აქ, ხოლო ზაფხულში ქათმები კრიახებენ ხის მაგიდების ქვეშ, ვაზი დიდი მწვანე ფოთლებითაა შემოსილი, ცა მოთეთროა, ტბა ტყვიისფერი, ტყის პირას ფუტკრები ზუზუნებენ, მინდვრის მაღალი ბალახის თავზე მოფარფატე პეპლების სილურჯე ლივლივებს, მთები მზის ელვარებაში უჩინარდებიან და ახლა

კი (ჯერ ჩემი ჭიქაც არ გამომიცლია), ისევ შემოდგომაა; ისევ იგივე: ფოთლით სავსე კალათები, ნისლის სისველე და უცებ შუადღე, დღევანდელივით შუადღე, ჰაერში ოქრო და დრო კი უხილავად მიედინება ფერდობებზე; ვაშლებს ტყაპანი გაუდით. ახლა ტყეში თუ გაისეირნებ, სოკოს სუნს იგრძნობ. აქ ბადაგის სურნელია. ბზიკები დადუღებული მაჭრის სიტკბოს დასზუზუნებენ, ისევ ბზიკები და სწრაფად დამწიფებულ ნაყოფში უცებ ისევ გველამუნება ზაფხულის მზე, გახსენებული დღეების სიტკბო, ზიხარ ბაღში, კანი ჩრდილის სიგრილეს გრძნობს და ბაღები მოგონებასავით გშორდებიან, ცარიელი, მაგრამ მხიარული, მოლურჯო სივრცე ავსებს ხის კენწეროებს და სახლის კედლებზე ისევ ჭკნება სურო, წარმავალობის ბოლო ფოთლები. წლები გადის და რაღაცები ხდება, ვინ ამჩნევს ამას! ყველაფერი ერთიანია, ყოფით სავსე სივრცეები, უკან არ ვიხედებით, ყველაფერი მეორდება, ჩვენივე ყოფა დაგვყურებს თავზე როგორც წამი, და მერე უკვე შემოდგომებსაც აღარ ითვლი, ყველაფერი, რაც ყოფილა, ცოცხლობს, როგორც დამწიფებულ ფერდობებზე გაწოლილი სიჩუმე, ჩვენი ცხოვრების ვაზზე დამშვიდობების მტევნები კიდია. გაიარე! ასეთ დღეებში ისევ გიზიდავს ტბა; ცურვისას კანს გრძნობ, საკუთარი სისხლის სითბოს, თითქოს შუშაში ცურავდე, ცურავ სიგრილის ჩრდილიან ფსკერზე, ნაპირს კი ისევ ეხეთქება მბრწყინავი ტალღები; შორს, ტბაში, ვერცხლისფერი ღრუბლების ფონზე პეპელასავით ფარფატებს იალქანი, მზის ნაზი ბრჭყვიალით სავსე ქსოვილი ლივლივებს დაკარგულ ნაპირებთან. ბედნიერებით გაყუჩებულს, წამით გგონია, რომ დრო გაჩერებულა; ღმერთი საკუთარ თავს შესცქერის და მთელ დედამიწას სუნთქვა შეუკრავს, სანამ არ ჩაიძირება დაისის ფერფლში…

ჩემი პროკურორი ამბობს:
– აგერ ქვევითაა ჰერლიბერგი, ეს იცით, ზევით რომ მოჩანს, ეს თალვილია.
შემდეგ გლეხის ქალიშვილს ჩვენი თეფშები მიაქვს და გვეკითხება, როგორ მოგეწონათო, და მერე, როცა სიგარების კოლოფს გვაწვდის, ისევ მარტონი ვრჩებით. რა თქმა უნდა, დიდი ხანია ვგრძნობ, რომ ჩემს პროკურორს და მეგობარს გულზე რაღაც აწევს. მე შევუშალე ხელი საუბრის დაწყებაში? როცა ჩვენი სიგარები უკვე იწვის, ალბათ ფიქრობს, დრო დადგაო. ჭიქები ცარიელია, შავი ყავა ჯერ არ მოუტანიათ, ბზიკები გაქრა და რომელიღაცა სოფლის ეკლესიის საათმა პირველი საათის დადგომა გვამცნო.
– მიხარია, – ამბობს იგი, – გულწრფელად მიხარია, რომ ერთმანეთი, როგორც იქნა, გავიცანით. მაგრამ ახლა ამაზე არ მინდა საუბარი! ორ

საათზე ისევ ქალაქში უნდა ვიყოთ, შეხვედრა გვაქვს ერთი ადგილის სანახავად, არ შეგეშინდეთ, ატელიეში მივდივართ. მესმის, – ამატებს მაშინვე, – ახლა მე მიყურებთ, როგორც ცბიერ მდევარს, როგორც ფარისეველს, რომელიც კეთილი სიტყვებით და თან დამაწყნარებელი ხალათით მოსულა, ძალიან კარგად მესმის, რომ იმ დამტვერილი ატელიესი გეშინიათ, საერთოდ, შეიძლება იმაზე უკეთაც მესმის თქვენი, ჩემო ძვირფასო შტილერ, ვიდრე თქვენ გგონიათ.

ჩემი კითხვა, რისი მიღწევა უნდათ იმ ადგილის მონახულებით, უპასუხოდ რჩება.
– თუ ნებას დამრთავთ, – ამბობს იგი, – ერთი რჩევა მინდა მოგცეთ. სიგარა ჩაუქრა.
– იცით, – ამბობს ბოლოს და ბოლოს, სიგარას თავიდან რომ მოუკიდებს, – მე თქვენთან მარტო იმიტომ კი არ ვსაუბრობ, რომ სიბილემ მთხოვა. სიბილეს უნდა, ზედმეტი დავიდარაბა თავიდან აგაცილოთ და მე ვფიქრობ, იგი მართალია: სასამართლო ვერაფრით გაგიგებთ, შტილერ. სასამართლო, უბრალოდ, ისე მოგეპყრობათ, როგორც აფერისტს, და გცნობთ დამნაშავედ ტყუილში, სასაცილო გამოჩნდებით, სასამართლო ტყუილს შეჩვეულია, ალბათ წარმოგიდგენიათ, მაგრამ მიჩვეულია ტყუილს, რომელსაც სარგებელი მოაქვს, ქონება ან ტიტული ან რამე, მოკლედ, თქვენ ან ჯარიმას დაგაკისრებენ, არ ვიცი, ან სულაც არ დაგაკისრებენ, მაგრამ ვერ ასცდებით მათ მხრების აჩეჩას და თავის ქნევას და სიბრალულით სავსე მზერას. რას მოგცემთ ეს?

– და თქვენი რჩევა რაღაა? – ვეკითხები მე.
– შტილერ, – იცინის იგი, – მეგობრულად გეუბნებით: აგვაცილეთ თავიდან, რომ მომავალ პარასკევს საჯაროდ მოგისაჯოთ, რომ თქვენ იყოთ თქვენ და პირველ რიგში, საკუთარი თავი დაინდეთ. სასამართლოს განაჩენით უფრო გაგიჭირდებათ დაკარგულის სახელის ტარება და იმაზე, რომ გარეგნულად მაინც სხვა არავინ ხართ, თუ არა ის უგზო-უკვლოდ დაკარგული, სერიოზული ლაპარაკი ზედმეტია. თქვენი ნებით აღიარეთ! ეს არის ჩემი რჩევა, შტილერ, მეგობრის გულწრფელი რჩევა, ასე მგონია.
შემდეგ შავი ყავა მოგვართვეს.
– ქალიშვილო, – თქვა პროკურორმა, – ანგარიში მომიტანეთ.
– ერთად გადაიხდით?
– დიახ, – ამბობს პროკურორი, – გთხოვთ.
მერე ჩემი პასუხი:
– ვერ ვაღიარებ იმას, რაც მართალი არ არის.

გლეხის ქალიშვილმა ჩვენი დუმილი, ეტყობა, არასწორად გაიგო, არ გვცილდება, იქვე დგას, ამინდზე გვესაუბრება, მერე ძაღლზე, ჩვენ კი ცხელ ყავას ვხვრეპთ, ცოტას ვლაპარაკობთ; გლეხის ქალიშვილი მაშინ გვანებებს თავს, როცა პროკურორი თავიდან სთხოვს ანგარიშს.

– თქვენ ვერ აღიარებთ იმას, – იმეორებს პროკურორი, – რაც მართალი არ არის.
– ვერა, – ვამბობ მე.
– და რატომ არ არის მართალი?
– ბატონო პროკურორო, – ვამბობ მე.
– ნუ მეძახით პროკურორს! – მაწყვეტინებს ბორძიკს: – გამეხარდებოდა, თუკი მეგობრად ჩამთვლიდით, როლფი დამიძახეთ!
– გმადლობთ, – ვამბობ მე.
– ვფიქრობ, – იცინის იგი, – თავის დროზე სხვანაირად არც მიხსენიებდით.
ახლა მეც ჩამიქრა სიგარა.
– ბედნიერი ვარ, – ვამბობ მას შემდეგ, რაც სიგარას თავიდან მოვუკიდე, – რომ მეგობრობას მჩუქნით. მე აქ მეგობრები არ მყავს. მაგრამ თუკი სერიოზულად განგიზრახავთ, არ იყოთ ჩემი პროკურორი და მე მთელი გულით მჯერა – როლფ... მაგრამ მაშინ, იცით, რა, ნება მომეცით თქვენგან იმას მოველოდე, რასაც მეგობრისგან ელიან: რომ ჩემი გჯერათ, გჯერათ ის, რასაც ვერ ავხსნი და, მით უმეტეს, ვერც დავამტკიცებ. მხოლოდ ესაა ახლა მთავარი. თუ ჩემი მეგობარი ხართ, მაშინ ჩემი ანგელოზიც უნდა ირწმუნოთ.

– რას გულისხმობთ?
– უნდა შეძლოთ დაჯერება, რომ მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც ყველას ვგონივარ და ვინც მე თქვენ, როგორც პროკურორს გგონივართ – მე არ ვარ შტილერი, – ღმერთმა იცის, მერამდენედ ვამბობ, მაგრამ პირველად მაქვს იმედი, რომ გამიგებენ, – მე ის არ ვარ, სრულიად სერიოზულად, და ვერ ვაღიარებ ვერაფერს, რაც ჩემმა ანგელოზმა ამიკრძალა.
ეს არ უნდა მეთქვა.
– ანგელოზმა? – კითხულობს იგი, – რას გულისხმობთ?
მე ჩუმად ვარ. მერე მოაქვთ ანგარიში, რომელსაც პროკურორი იხდის და რადგან გლეხის ქალიშვილს ისევ არ უნდა, რომ გაგვეცალოს, ჩვენ მივდივართ. მოკირწყლული გზა ფერხთქვეშ ჭრაჭუნობს. სანამ პროკურორი მანქანას დაძრავს, ერთს კიდევ გადავხედავთ შუადღის არემარეს, ყავისფერ ყანებს და მოფარფატე ყვავებს, ვენახს და ტყეებს, შემოდგომის ტბას და ვიცი, რომ ჩემი პროკურორი და მეგობარი ისევ

პასუხს ელოდება. მანქანას რომ ქოქავს, ვამბობ:

– ამაზე საუბარი არ შემიძლია.
– ანგელოზზე?
– ჰო, – ვამბობ მე, როგორც კი ვეცდები აგიხსნათ, მიმატოვებს და ვეღარასდროს ვნახავ. ძალიან უცნაურია; რაც უფრო ზუსტად წარმოვიდგენ, რაც უფრო ვუახლოვდები და მგონია რომ აღვწერ, მით უფრო ნაკლებად მჯერა მისი და ყველაფრის, რაც თავს გადამხდენია. ტბის გასწვრივ მიმავალი გზით ვბრუნდებით ქალაქში.
* * *

3. ნაშუადღევი.
ძველ ქალაქში მანქანის გასაჩერებელი ადგილი ვერ ვიპოვეთ და ამიტომ დაახლოებით სამის თხუთმეტ წუთზე, ანუ დაგვიანებით მივდივართ „სახლთან“, რომელიც ამ პატარა ქუჩის სხვა სახლებისგან მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ მის წინ ქნობელი დგას, ჩემი დარაჯი სამოქალაქო ტანსაცმელში. ჩვენ პირველები ვართ. ქნობელი ხაზგასმით მხოლოდ ჩემს პროკურორს მიმართავს: გასაღები მე მაქვს! ბნელ, ცოტა ნესტიან სადარბაზოში ველოსიპედები აყენია, ანტიკვარული საბავშვო ეტლი დგას და ნაგვის ყუთი. ქნობელს გასაღები პალტოს ჯიბეში კი არ უდევს, არამედ თუნუქის ერთ დროს ყვითელი და ახლა საკმაოდ დაჟანგული საფოსტო ყუთიდან ამოაძვრენს, ყუთზე წარწერას ვკითხულობ: ა. შტილერი. პროფესია მითითებული არაა. უკანა ეზოდან მოდის სამჭედლოს ხმაური, ან შეიძლება საზეინკლოსი; ვხედავ დახავსებულ ქვაფენილს და დიდი ხნის ფოთოლგაცვენილ ნეკერჩხალს, რომელსაც ალბათ მხოლოდ ზაფხულის შუადღეს წვდება მზის სხივები, იქით – ასევე ხავსმოდებულ უწყლო წყაროს, რაღაც იდილია ნამდვილად არის. კიდევ: რკინის მილების შეკვრას, ზოგი მოკლეა და ზოგი გრძელი, ერთ-ერთ შეკვრას ზედ შერჩენია სატვირთო მანქანით ტრანსპორტირებისას შებმული წითელი ლენტი. შემდგ როლფი, ჩემი მეგობარი, რომელიც, ეტყობა, პირველადაა ამ სახლში, ამბობს:

– მე ვფიქრობ, შეგვიძლია უკვე ავიდეთ!
რადგან მე, ჩემი მხრივ, მეგზურის როლს არ ვკისრულობ, ქნობილი კაკლის ხის ძველ და გაცვეთილ, ერთადერთ არსებულ კიბეზე მიგვითითებს, პატრიციების დროინდელ კიბეს ჰგავს, განიერია და სულაც არ არის ციცაბო, მოაჯირი დაჭიანებულია. კიბე მეოთხე სართულზე მთავრდება, მჟავე კომბოსტოს სუნი დგას, ქნობელი ბატონ პროკურორს უხსნის, გზა გრძელდებაო, კარს აღებს და უცებ ვიწრო ნაძვის ხის ძალიან

დამრეც კიბეზე გვეპატიჟება. მე სულ შუაში ვდგავარ, შემთხვევით ან გაზრახ. განსაკუთრებით სასაცილოა ქნობელის სიტყვაძუნწი სერიოზულობა, რომელიც დღეს დილიდან მხვდება თვალში, მაგრამ ჩემი მეგობარი და პროკურორიც რაღაცნაირად დადუმებულა, თითქოს გაურკვეველი რაოდენობის გვამებით სავსე სისხლიან ადგილს ვუახლოვდებოდეთ.

– ჰო, – ამბობს იგი უკვე ზევით, ისევ ნახევრად მე მომმართავს და ნახევრად ქნობელს, – იმედია, დანარჩენი ბატონებიც მალე მოვლენ... სამი კარი მოჩანს, პირველს ბოქლომი ადევს; მეორეზე საპირფარეშოზე მიმანიშნებელი სახუმარო რაღაც ხატია, მესამეს კი, როგორც იქნა, მათი უგზო-უკვლოდ დაკარგულის ატელიეში შევყავართ. ქნობელი კარს აღებს, როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის შემსრულებელი მოხელე, წინ მიდის, პროკურორი კი მეუბნება: ჯერ თქვენ! შთაბეჭდილება რომ არ შეიქმნას, თთქოს თავს რაღაცნაირად შინ ვგრძნობ, ამ ზრდილობიან შემოთავაზებას მაშინვე ვთანხმდები, და, სხვათა შორის, ვგრძნობ, რომ როლფი, ჩემი მეგობარი, ამწუთას უფრო დაბნეულია, ვიდრე მე, უფრო აღელვებული, ვიდრე როდისმე მინახავს. შესული არ ვართ ატელიეში, რომ მეკითხება:
– გარდერობი სად არის?

ქნობელი ლურჯ კარზე მიჭედებულ ლურსმანს აჩვენებს.
– ჰო, – ამბობს პროკურორი და ხელებს იფშვნეტს, – ფანჯრები გამოაღეთ, ქნობელ, საშინელი ჰაერია.
ჩემი მეგობარი მეცოდება, ამ ატელიემ ხომ, როგორც ვიცი, მის ცხოვრებაში ერთხელ გარკვეული მნიშვნელობა შეიძინა, შეუსაბამოდ დიდი მნიშვნელობა, დღეს ეს მანაც კარგად უწყის; მაგრამ ასეთი ადგილის მონახულების სიმუხთლე ხომ სწორედ ამაშია, დიდი ხნის გადალახული მოგონებები უეცარი თავლსაჩინოების შედეგად ისევ ამოტივტივდება, რომ დათრგუნოს ის, ვისაც ეს ეხება. საბედნიეროდ, ვერ ვასწრებ რაიმე მეგობრული სიტყვების თქმას, ზუსტად იმ მომენტში ირეკება ზარი და ორივეს გვიხარია. ქნობელი ღილაკს ეძებს, რომ სახლის ქვედა კარი გააღოს, მაგრამ ვერ პოულობს. მე ჯერაც არ ვიცი, ვინ უნდა მოვიდეს ამ იდიოტურ შეხვედრაზე, ალბათ ჩემი ადვოკატი, შესაძლებელია იულიკაც-მეთქი, ვფიქრობ და, სხვათა შორის, პალტოს არ ვიხდი; აქ არაფერი მესაქმება. ეტყობა, კეთილმა ქნობელმა კარგად ვერ დააჭირა ღილაკს, რადგან ისევ ირეკება. პროკურორი:
– რატომ არ აჭერთ?
– ვაჭერ, – ამბობს ქნობელი, – ვაჭერ.

ამასობაში აქეთ-იქით ვიხედები, ხელები ღია პალტოს ქვეშ, შარვლის ჯიბეებში მიწყვია, თავზე ქუდი მახურავს, ამ ბინაში ხომ არავინ ცხოვრობს. ირგვლივ ბლომად ხელოვნება დგას. რაფაზე, მასტეხინზე პალიტრაზე, კვარცხლბეკებზე, ავეჯზე დადებულ სქელ მტვერს თუ არ ჩავთვლით, მარტო ამიტომაც არ მოგინდება რამეზე ხელის მოკიდება, ატელიეა, როგორიც წარმომედგინა ქალბატონი სიბილეს მონაყოლის მიხედვით, ცოტა ჭრელაჭრულა, სახელოსნო-სახლი, პროლეტარულისა და რომანტიკულის ნაზავი, მთელ ოთახზე გადაჭიმული ღუმლის მილი შთამბეჭდავად ცხადყოფს, რომ აქ წესებს არად დაგიდევენ, არადა, სწორედ ეს არის გარკვეული ბოჰემური სტილის ჩვეულებრივი რეკვიზიტი, რომელსაც თითქმის ყველა პარიზულ ატელიეში შეხვდები. რა ჩემი საქმეა! ისე, დიდი, სასიამოვნო სივრცეა, ნაძვის ხის გაურანდავდირეებიანი სხვენი, იატაკი ცოტა ჭრიალებს, იქაურობა სინათლით სავსეა შემოდგომის დღევანდელივით მზიან დღეს. დამრეცი ჭერის ქვეშ ძველი გაზქურა დგას, სიბილეს სწორად ახსოვდა, მინანქარი ჟანგიან ნახეთქებს დაუფარავს, იქით ქვის როფია, დაბრეცილი კარადა ცოტაოდენი ჭურჭლით, ზედა თაროზე სხვადასხვა წარწერიანი მოპარული ჭურჭელია, ეტყობა, თავის მოსაწონებლად, Hotel des Alpes, Bodega Granada, Kronhalle Zürich და ასე შემდეგ. ონკანის ერთ დროს წითელი შლანგი ახლა ნაცრისფერი და დაობებული რეზინის მუმიაა, ისევ ზონრითაა დამაგრებული მილზე; წვეთავს და ჩემს თავს ვეკითხები, ნეტა ექვსი წელია ასე წვეთავს-მეთქი? უცებ წარმოვიდგინე და ცოტა შევცბი, კარლსბადის მღვიმის წვეთები გამახსენა. ლურსმანზე ჭუჭყისგან გაშავებული პირსახოცი კიდია და ობობას ქსელებიც მრავლადაა, ცხადია, მაგალითად, ტელეფონზე, რომელიც დივანის გვერდით დგას და ალბათ აღარც რეკავს, გადაუხდელი ანგარიშების მძიმე ტვირთმა დაადუმა. დივანი განიერია, grand lit ასევე დამტვერილი, არავინ ზედ არ ჯდება და ეს ფაქტი ამ ავეჯის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, თითქოს მუზეუმში იდგეს, წარწერით: „ნუ შეეხებით“, დაახლოებით ისე, ფილიპის საწოლი რომ დგას ესკორიალში. ჩემს პროკურორსაც, ვხედავ, ხელები ჯიბეებში ჩაუყვია, რომ არაფერს შეეხოს, წიგნის თაროებს აკვირდება. ბიბლიოთეკას ვერ დაარქმევ, რაც უგზო-უკვლოდ დაკარგულს დაუტოვებია; პლატონის ტომის და მცირედი ჰეგელის გვერდით ისეთ სახელებს წააწყდები, დღეს არცერთმა ბუკინისტმა რომ აღარ იცის, ბრეხტი დევს ჰამსუნის გვერდით, შემდეგ გორკი, ნიცშე, ოპერის ლიბრეტოების გამომცემლობა „რეკლამის“ ბროშურები, გრაფი კაიზერლინგიც აქვეა, ოღონდ საჯარო ბიბლიოთეკის შავი შტამპი არტყია, გარდა ამისა, წიგნები ხელოვნებაზე, განსაკუთრებით,

თანამედროვე ხელოვნებაზე, შვეიცარიული პოეზიის ანთოლოგია, „მაინ კამპფი“ ანდრე ჟიდის გვერდზე დევს, რომელიც ესპანეთის სამოქალაქო ომის თეთრ წიგნს წაუქცევია, Insel-ის სხვადასხვა გამოცემა, არცერთი მათგანი არაა სრული, „დასავლეთ-აღმოსავლეთის დივანი“, „ფაუსტი“ და საუბრები ეკერმანთან, „დონ კიხოტ ლამანჩელი“, თომას მანის მხოლოდ „ჯადოსნური მთა“, „ილიადა“, „ღვთაებრივი კომედია“, ერიხ კესტნერი, მოცარტის მოგზაურობა პრაღაში, მოერიკეს ლექსებიც, ტილ ოილენშპიგელი, მერე კიდევ მარსელ პრუსტი, მაგრამ მთელი გამოცემა არა, ჰუტენის უკანასკნელი დღეები, გოტფრიდ კელერის მხოლოდ დღიურები და წერილები, კ.გ. იუნგის ერთი წიგნი, „შავი ობობა“, არპის რაღაც წიგნი და უცებ სტრინდბერგის „ზმანება“, მანამდე ჰესეც, ჩეხოვი, პირანდელო, მხოლოდ გერმანული თარგმანები, ლოურენსის პატარა ნოველა მექსიკაზე: „ქალი, რომელიც გაიქცა“; შვეიცარიელი ავტორის, სახელად ალბინ ცოლინგერის საკმაოდ ბევრი გამოცემა, დოსტოევსკის მხოლოდ „მკვდარი სახლის ჩანაწერები“, გარსია ლორკას ადრეული ლექსები ესპანურად, კლოდელის მცირე პროზა და კაპიტალი, ამ უკანასკნელს ჰიოლდერლინი აკავებს თაროზე, რამდენიმე დეტექტივი, ლიხტენბერგი, თაგორი, რინგელნათცი, შოპენჰაუერი, ასევე საჯარო ბიბლიოთეკის შავი შტამპით, ჰემინგუეი (კორიდაზე წიგნი) თრაკლის გვერდით დევს, შემდეგ გაცრეცილი ჟურნალების დასტა, ესპანურ-გერმანული ლექსიკონის ძალიან შელანძღული ტომი, კომუნისტური მანიფესტი, წიგნი განდიზე და ასე შემდეგ! ყოველ შემთხვევაში, რთულია, ამ წიგნების მიხედვით დახატო მისი სულიერი პორტრეტი, მით უმეტეს, რომ არავინ იცის, უგზო-უკვლოდ დაკარგულმა ამ წიგნებიდან რომელი წაიკითხა, წაკითხულიდან რა გაიგო ან ვერ გაიგო, ან სრულიად არასწორად გაიგო და ჩემს პროკურორ-მეგობარსაც ეს აწერია სახეზე, ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რაც იმ კაცის გაგებაში დაეხმარებოდა; ერთი წუთით, როცა, მტვრის მიუხედავად, თაროდან წითელი ტყავისყდიანი თხელი წიგნი გამოაძვრინა, ვფიქრობ: თავისი ბიბლიოთეკიდან წამოღებულ წიგნებს ხომ არ ეძებს-მეთქი. მაგრამ თხელ წიგნს ისევ უკან აბრუნებს და, სამაგიეროდ, „ანა კარენინას“ ფურცლავს... ატელიეში კიდევ დგას ჩვეულებრივი ფიცრის ფართო და გრძელი მაგიდა, სახელოსნოს რომ შეეფერება, ხარაჩოებზე, მეთაბაშირის მაგიდას რომ ეძახიან და მართლაც თაბაშირშია ამოთხვრილი. ეტყობა, ვიღაც კეთილ ფერიას მიულაგებია აქაურობა, საფერფლეები გადაცლილია, ასევე დაცლილია დამრეცი სახურავის ქვეშ სამზარეულოს ნიშში მდგარი ნაგვის ყუთი. კედლებზე, როგორც სიბილემ აღწერა, ორი ესპანური გახუნებული ფერადი ისარი კიდია, აფრიკული

ნიღაბი, რომლის ნამდვილობაში შეიძლება ეჭვი შეგაპაროს; სრულიად ფერდაკარგული ფოტოები, კელტური ნაჯახის მშვენიერი ნატეხი, ტულუზ-ლოტრეკის პლაკატი, ასევე სრულიად გაცრეცილი. ჩემი პროკურორი ამბობს:

– ამდენ ხანს სად არიან?
– არ ვიცი, – ამბობს ქნობელი, – მე დავაჭირე.
არაფრით ვერევი ადგილის მონახულების ღონისძიებაში, რომელიც რაღაც ისე ვერ გამოდის, როგორც უნდოდათ; მე აქ ვარ, როგორც პატიმარი, შეწუხებულები რაღაცას თათბირობენ, მე ფანჯარაში ვიყურები.
– ვერ პოულობენ?
– რანაირად? – ამბობს ქნობელი, – ქალმა ხომ იცის აქაურობა, თავად არ მაჩვენა ყველაფერი?
ახლა უკვე ვიცი, ვის უნდა ველოდო. სიგარეტს ვუკიდებ და ვერ წარმომიდგენია, რომ იულიკა, თუკი ვუყვარვარ, თანახმაა ამ ფარსში მონაწილეობაზე. რა თქმა უნდა, დაძაბული ვარ, მაგრამ იმედიანი და გამარჯვებაშიც დარწმუნებული; საბოლოო ჯამში, ყველაფერი იულიკაზე იქნება დამოკიდებული, მხოლოდ იულიკაზე... და მართლაც, ჩემდათავად, ვერც წარმომიდგენია ადგილი, სადაც თავს უფრო უცხოდ ვიგრძნობდი, ვიდრე აქ. თიხაში შესრულებული რამდენიმე ნამუშევარი, რომელიც შტილერს დაუტოვებია, ყავისფერ ჯვალოშია შეფუთული, რომ თიხა არ გამოშრეს; მაგრამ რადგან ეს ჯვალო წლებია აღარ დაუნამავთ, ალბათ შიგ რაცაა, მაინც გამოშრებოდა და მხოლოდ ეს ყავისფერი ჯვალო აკავებს, რომ არ დაიფშვნას. ხელს არ ვკიდებ, რასაკვირველია. ადგილის მონახულების ღონისძიების სრულყოფისათვის, საკმარისია, ჯვალო გადახსნა და ყველაფერი მუმიასავით მტვრად იქცევა. ჩემს მეგობარსა და პროკურორზეც იმავე შთაბეჭდილებას ახდენს იქაურობა, იმავეს ფიქრობს, მუმიებს აგონებს, ეთნოგრაფიულ მუზეუმებში ტყუილად რომ უდგათ შუშის უკან. განსაკუთრებით აკვირდება დირექტორის თაბაშირის თავს, რომელიც დილას სიცოცხლეში ნახა, მაგრამ შეფასებისგან თავს იკავებს. ზოგიერთი რამ ბრინჯაოშიც კია ჩამოსხმული, ჩემი აზრით, ბრინჯაო ამ რაღაცებთან არაფერ შუაშია, რაც უნდა იყოს, გამძლე ლითონია, თანაც აღარ გიტოვებს მოლოდინს, რომ ნამუშევარი ჯერ დასრულებული არ არის და ეგებ მერე მაინც ეშველოს რამე. და ყველაფერმა, რაც ბრინჯაოში ერთხელ და სამუდამოდ ჩამოისხა, საკმარისი არაა, რომ ზრდასრული მამაკაცის ნამუშევრის შთაბეჭდილება დატოვოს. რა გასაკვირია, რომ შტილერი (ერთხელ მასაც ხომ

მოხვდებოდა თვალში) წავიდა! ამ დამტვერილი ატელიესთვის თვალის ერთი შევლებაც კმარა: რამდენი შრომა, ეჰ, რამდენი სიმწარე, რამდენი გარჯა და ოფლი დახარჯულა, და მაინც არ არის ისეთი, ქედის მოხრა მოგინდეს. ცოტა მელანქოლიურია, სულ ესაა – და მიხარია, რომ კარზე ისევ ზარია. პროკურორი თავს ვეღარ იკავებს; ქნობელს ეუბნება, ბატონები აშკარად ვერ აღებენ კარს, ქვევით ჩადი, შემოუშვი და ამოიყვანე, ოღონდ სწრაფადო. ჩემი არცთუ უსამართლოდ შეურაცხყოფილი დარაჯი, როგორც შეეძლო, თავს არიდებდა ქვევით ჩასვლას, კართან მიდის და ბებერ მეწვრილმანეს აწყდება, რომელმაც ალბათ მანამდე ქვედა სართულები მოიარა და ახლა მოცახცახე ხელში ღია ჩემოდნით ჩვენი ატელიეს წინ დგას. რასაკვირველია, ამას არავინ მოველოდით, მაგრამ არც მეწვრილმანე გველოდა ჩვენ. არა! ეუბნება ქნობელი ისევე უხეშად, როგორც მას ეუხეშნენ წეღან: არაფერი! რა თქმა უნდა, მეწვრილმანეს წარმოდგენა არა აქვს, რომ ჩვენ არ ვართ ამ სხვენის ბინადარნი, რომ აქ უკვე ექვსი წელია, საერთოდ აღარ ფეთქავს სიცოცხლე და დაიჟინებს, მაჩვენებინეთ მაინც ჩემი საქონელი, სულ სასარგებლო ნივთები მაქვსო, და ამის უარყოფას ქნობელიც ვერ ბედავს. მეწვრილმანე, რადგან სამ მამაკაცს ხედავს, სამართებელს, საპარს საპონს, შაბს და ასეთებს გვთავაზობს, ქნობელი ცდილობს, მალე გაისტუმროს, რომ პროკურორი ისევ არ გაბრაზდეს; მეორე მხრივ, მეწვრილმანე ვერ ხვდება, კბილის ჯაგრისის გარეშე აქ როგორ ცხოვრობთო, სამნი ხართ და ერთი ჯაგრისიც კი არ გაქვთ, არც ბუზის საკლავი, არც ტუალეტის ქაღალდი და ფეხსაცმლის საცხი, არაფერი გაგაჩნიათ, მაგრამ, რაც მთავარია, სამართებელი არ გაქვთო. ქნობელი მოხუცს თავიდან ვერ იშორებს. თითქოს ჩვენს კაცობაში ეჭვი შეეპარაო, ყველაფერს უკან ალაგებს და ახლა ტაფის სახეხით, საკერავი ნივთებით, წინდის ელასტიკური დამჭერით, ფიჭვის ზეთითა და თმის სარჭებითაც კი ცდილობს მოგვხიბლოს, განსაკუთრებით თმის სარჭით, სულ რომ საღღაც იკარგება, არადა, რა საჭირო ნივთია. ქნობელი მხოლოდ ამბობს: მორჩა, დაამთავრეთ! მაგრამ წარმატების ნატამალი არ ჩანს. ბოლოს ჩემი პროკურორი ერევა საქმეში, მედიდურად ყიდულობს რაღაცას, მაგალითად, სამართებელს და ისევ მარტო ვრჩებით, ოღონდ ადგილის მონახულების ღონისძიების სხვა მონაწილეები კვლავ არ ჩანან. მათ (უკვე სამს აკლია თხუთმეტი) ჯერ შემოსასვლელ კარზეც კი არ დაურეკავთ.

– ოთხის ნახევარზე სხდომა მაქვს, – ამბობს როლფი და ცოტა უადგილოდ ამატებს: – მშვენიერი ატელიეა, არა?

ბეჯითად ვუქნევ თავს.

– კი და ძალიან კარგი განათებაა.
მერე ქნობელი, ისეთივე უსარგებლო რომ არ გამოჩნდეს, როგორიც წელან, მეწვრილმანესთან, ცდილობს, მნიშვნელოვანი და პირიქით, სასარგებლო კაცის შთაბეჭდილება დატოვოს და თავს იწონებს ადგილის ცოდნით, ოღონდ მე კი არ მომმართავს, არამედ პროკურორს:
– აქედან ქონგურზეა გასასვლელი.
და რადგან ქონგურზე არაფერი გვესაქმება:
– აგერაა ფოსტაც, ბატონო პროკურორო, ბოლო შაბათის შემდეგ მოსული ფოსტა.
– ფოსტა?
– ბროშურებია, – ამბობს ქნობელი და კითხულობს: – მოხუცებულობის და მემკვიდრეების დაზღვევა, მაგრამ აგერ ბატონმა დოქტორმა ბონენბლუსტმა გადაუხდელი ანგარიშების მთელი ნუსხა შეადგინა. და კიდევ წერილი ბატონ შტილერს პირადად.
რადგან აზრადაც არ მომდის დაკარგული შტილერის წერილების წაკითხვა, ჩემი მეგობარი და პროკურორი თავად ხსნის კონვერტს. მისი გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, უმნიშვნელო წერილი უნდა იყოს. მხოლოდ წესრიგის გამო არ აგდებს წერილს ნაგავში.

– ვიღაც ანონიმი პატრიოტი გლანძღავთ, – ამბობს მოკლედ, – ძალიან სწყინს თქვენგან, რომ წყალობად არ მიიჩნევთ შესაძლებლობას, იყოთ შვეიცარიელი – არაფერი მნიშვნელოვანი.
მოგვიანებით, რადგან მომსვლელები კიდევ არ ჩანან, მაინც გავდივართ ქონგურზე, რომელიც, პროკურორის მეუღლის მონათხრობთან შედარებით, ასევე უცვლელი ჩანს. კრამიტის ნამტვრევები ყრია, ალბათ სეტყვას დაულეწია, და ეტყობა, რომ ეს არავის აწუხებს. სახურავზე ამოსული სარეველა ალბათ ისე გაზრდილა, როგორც არასდროს, შემოდგომისგან გაყვითლებული რამდენიმე ღერო ქანაობს ქარში. ჩემი მეგობარი და პროკურორი სხვა რამეს ალბათ არც ელოდა, ქსოვილგადაუკრავი სავარძლის დახავსებულ ჩონჩხს უყურებს, რომელიც ისევ კუთხეშია მიგდებული და საკმაოდ ჩუმად ვდგავართ, როლფი და მე, მეზობელ ქონგურზე ვიღაც ლეიბს ბერტყავს. კარგად ვაცნობიერებ, როგორ ხვდება თვალში როლფს, ჩემს ახალ მეგობარს, ეს წვრილმანები; და მეჩვენება, რომ ლამაზი, მართლაც სუნთქვისშემკვრელი ხედი ქონგურებს და თაღებს და საკვამურებს იქით – ტბის პატარა ნაკუწიც კი მოჩანს, რომელიც შემოდგომის მქრქალ სინათლეში ლივლივებს, როცა პატარა გემი გაივლის და ტალღებს ტოვებს – მის ყურადღებას ვერ

იმსახურებს. საკმაოდ ჩქარ-ჩქარა ეწევა. რისთვის მოვედით აქ, სადაც ზოგიერთი რამ ხომ მას ეხება; ეს უმნიშვნელო წვრილმანებია, მაგრამ მისთვის, სიბილეს ქმრისთვის მაინც უსიამოვნო ლეიბი იქნება, რომელსაც ჩვენ თვალწინ ბერტყავენ, თუ წინდის ელასტიკური დამჭერი, რომელიც მეწვრილმანემ შესთავაზა, ფიჭვის ძალიან ნაზი ზეთი აბაზანისთვის თუ თმის სარჭი, რომელიც სულ იკარგება; მაინტერესებს, რისთვის ვათვალიერებთ ადგილს, რომელიც მან და მისმა ცოლმა შინაგანად უკვე მოინელეს? ტუჩებზე ხომ ვამჩნევ, უფრო გაუძნელდა, ვიღრე ეგონა, რა საჭირო იყო. არ ვიცი, რას ფიქრობს ამ ორი თუ სამი წუთის განმავლობაში, რომელსაც სიგარეტის ძირამდე დაყვანას ანდომებს; მაგრამ სისულელეა, ნამდვილად, ცხოვრებაში არასწორი გამოცდებიც არსებობს, ეს სწორედ ასეთია; – უცებ სავარძლის დაჟანგული ჩონჩხი, რომელშიც, შესაძლოა, მისი ცოლი არასდროს მჯდარა, რადგან ქსოვილი ალბათ არც შვიდი წლის წინ ექნებოდა გადაკრული, – კმარა, რომ ისევ ეჭვქვეშ დააყენო მართლა სიყვარულში გატარებული წლები, უცებ კმარა დასარწმუნებლად, რომ ექვსი თუ შვიდი წელი გავიდა და წინ არ წასულხარ; და ამ ერთ ნივთს უცებ შეუძლია აღძრას მტანჯველი წარმოდგენა, უკვე მომხდარის წარმოდგენა, რომელიც ყველა შემთხვევაში, ზუსტია თუ არაზუსტი, მხოლოდ ზიზღის გრძნობას გიტოვებს. თუ ჩემი მეგობარი საკუთარი თავისგან მოელის, რომ ტკივილის გარეშე უნდა გაუძლოს ამ ტანჯვას, რომელსაც მასში ეს მკვდარი ადგილი აღვიძებს? სისულელეა. რა საერთო აქვს ამ ხარახურას, გინდაც დამპალი არ იყოს, მის ცოცხალ სიბილესთან, მათ ურთიერთობასთან? არსებობს ზიზღი, რომელიც არ გადის, ზიზღი, როგორც სასჯელი იმის წარმოდგენისთვის, რაც, უბრალოდ, ჩვენი საქმე არ არის; ასე მგონია. რატომ ჰკადრებს ამას თავის თავს! ეჭვიანობის გადალახვა შეიძლება, შენ შიგნით და პარტნიორის შემხედვარეს, შეგიძლია გადალახო, როგორც ერთი მთლიანი, როგორც ეს მან შეძლო; მაგრამ სისულელეა იფიქრო, რომ სათითაოდ ყველა ნამსხვრევი უნდა მოინელო თვალის დაუხამხამებლად. დაძაბული იცინის. ნუთუ არ იცოდა ჩემმა მეგობარმა და პროკურორმა, რომელიც ბევრჯერ წაჰყოლია ადამიანებს დანაშაულის ადგილას, რომ მკვდარ ნივთებში რაღაც ეშმაკისეულია? მე, რა თქმა უნდა, არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა მას აქ, ამ ქონგურზე. აბსოლუტურად არასაჭირო დამცირებაა და, ფაქტობრივად, პირველად ვიგებ, რატომ აქვთ ხოლმე ადამიანებს არასწორი რეაქციები, როცა ისინი სასამართლოს ადგილის მოსანახულებლად მიჰყავს, როცა მკვდარი ნივთების პირისპირ აყენებენ, თითქოს არსებობდეს სიმართლე დროის გარეშე... რადგან ჩუმადაა, უეცრად ვეკითხები:

– რამდენი წლისაა თქვენი ცოლი?
– სიბილე?
– ჰანესი ხომ მალე გიმნაზიაში წავა, – ვამბობ მე, – და ახლა კიდევ პატარა, ალბათ რა არაჩვეულებრივია თქვენი მეუღლისთვის, თან გოგონა!
– ჰო, – ამბობს იგი, – არაჩვეულებრივია.
– და თქვენთვისაც.
– ჰო, – ამბობს იგი, – ასეა!
კეთილი ქნობელი, როგორც დაბალი რანგის მოხელე, სამუშაო საათებში უსაქმურობას მიუჩვეველია, არ გვასვენებს, ფრთხილად იყავით, მოაჯირი დაჟანგულია და ხელი არ ახლოთო. ჩვენც ხელს არ ვკიდებთ. სახურავზე მტრედები ღუღუნებენ. ის ლურჯ ფერში გახვეული გორაკიც მოჩანს, ჩვენ რომ ვიყავით.
– რა კარგი იყო იქ, ზევით, – ამბობს იგი, – იმ სოფლის დუქანში.
– ნამდვილად.
– რა თქმა უნდა, ფრთიან ანგელოზს არ ვგულისხმობ, – მისი კითხვა მახსენდება, იქ, გორაკზე რომ დამისვა, – არც ანგელოზს ხელოვნებაში, როგორც ქანდაკებაში და თეატრშია. შეიძლება, ადამიანებმა, რომელთაც ერთ დროს შექმნეს ანგელოზის ხატი, იმის მსგავსი რამ განიცადეს, რაც მე, რაღაც ისეთივე გამოუთქმელი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მე ეს გამოვცადე.

ჩემდა საუბედუროდ (ამას უკბილო ხუმრობად აღვიქვამ), ახლომდებარე ტაძრიდან ზარების რეკვა ისმის. ან ქორწილის და ან გასვენების გამო, ვერ ვხედავ; ასეა თუ ისე, საშინლად გუგუნებს. მტრედების გუნდმა გადაგვიფრინა. ახლოდან ჰანგებს საერთოდ ვერ აღიქვამ, მხოლოდ ლითონს გაუდის ჰაერში ზრიალი ბრახუნი, თითქოს ყურები უნდა გაგიხეთქოს. ქონგურს ვტოვებთ და შევდივართ თუ არა ატელიეში, რომ ამ ბრახუნს გავეცალოთ, ისინი უკვე იქ დგანან: იულიკა და ჩემი ადვოკატი, რომელიც იმ მომენტში იულიკას ახალ პარიზულ პალტოს ართმევს. ფანჯარას მაშინვე ვკეტავთ, მაგრამ საუბარი მაინც შეუძლებელია. იულიკა ისეთი მომხიბლავია, როგორიც არასდროს ყოფილა. მაშინვე კოცნით ვესალმებით ერთმანეთს. იმასაც მაშინვე ვამჩნევ, რომ იულიკას ახლა თავისი არაჩვეულებრივი თმა ისევ ცოტა გაუქერავებია, უფრო ნაკლებად თვალში საცემი რომ იყოს, როგორც ციურიხშია მიღებული და ეს აძლიერებს ჩემს იმედს, რომ მგონი, პარიზსა და მუსიე დმიტრიჩს საბოლოოდ დაემშვიდობა. ცოტა უცნაურად მეხახუნება პატარა ძაღლი, რომელიც იულიკამ იმიტომ, რომ, ეტყობა,

პარიზში დაბრუნებას აღარ აპირებს, თან ჩამოიყვანა, ისევ ფოქსია. ძაღლს ვეფერები, რადგან როგორც ვთქვი, საშინელი ხმაურის გამო საუბარს მაინც ვერ ვახერხებთ. ყველა სიგარეტს უკიდებს. იულიკას საფერფლე დიასახლისივით მოაქვს და გვანიშნებს, დასხედითო. მაგრამ ძალიან მტვრიანია იქაურობა. ცნობისმოყვარეობა მიღიტინებს რა უნდა გათამაშდეს აქ, ზარები რომ რეკვას მორჩებიან, თან მაინტერესებს და თან მამხიარულებს; ჩემი აზრით, კომიკურობის დამთავრებას ერთი დარტყმა სჭირდება. ჩემი ადვოკატი, როგორც ყოველთვის, თავის ჩანთაში იქექება, რა თქმა უნდა, ისაა ყველაზე კომიკური ფიგურა, სწორედ იმიტომ, რომ არ აღიარებს სიტუაციის კომიკურობას. ზარების ხმას ბოლო არ უჩანს. ქნობელი ცდილობს, თვალში არავის მოხვდეს და როლფი, ჩემი პროკურორი, ნელ-ნელა ხსნის თავის პალტოს ლურსმნიდან; მისი ბრალი არ არის, რომ ბატონებმა (ალბათ ფოქსლის გამო) ასე დააგვიანეს. ბოლოს და ბოლოს, როცა უკვე მივეჩვიეთ ამ პანტომიმას, ტაძარმა ამოისუნთქა…

– ახლა? – კითხულობს იულიკა.
როგორც ჩანს, იულიკა ელოდა, რომ ჩემი აღიარება უკვე მომხდარიყო და როდესაც პროკურორი ამცნობს, არაო, და თან, სამწუხაროდ, უნდა დაგემშვიდობოთო, იულიკა მტვრიან დივანზე ისეთი სახით ჯდება, თითქოს ცუდი დეპეშა მიელოს. ჩემმა ადვოკატმა არ იცის, ვის მიაშტერდეს, პროკურორს თუ მე. ალბათ გაწბილებულმა იულიკამ უკვე ტირილი დაიწყო; მაგრამ ჩვენ ჯერ ვერ ვამჩნევთ. ჩემი ადვოკატი უშედეგოდ ცდილობს პროკურორის შეკავებას. იმ მომენტში, როცა ხელს მართმევს, განცდა მეუფლება, რომ ჩემმა ახალმა მეგობარმა უკვე მიმატოვა; მაგრამ მალევე ვხვდები, რომ ამ საშინელ სპექტაკლს, რომელზეც ჩემს სახაზინო ადვოკატს უარი ვერ უთხრა, სწორედ როგორც მეგობარი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაესწროს – როცა ვამჩნევ, რომ მშვენიერი იულიკა ტირის, ვეკითხები:

– გიყვარვარ?
ჩემს ადვოკატს რაღაცის თქმა უნდა.
– ქალბატონს ვეკითხები, – ვაწყვეტინებ მე და იულიკას მტვრიან დივანზე გვერდით ვუჯდები, – გიყვარვარ, იულიკა, თუ არ გიყვარვარ?
იულიკა ტირილს უმატებს.
– ხედავ, – ვამბობ ისე ნაზად, როგორც ეს ჩემი სახაზინო ადვოკატის და დარაჯის იქ ყოფნა არის შესაძლებელი, – მხოლოდ ესაა ახლა მთავარი. შენ ხარ ახლა მთავარი, შენ და მხოლოდ შენ!

– რატომ, – სლუკუნებს, – რატომ მე?
ისევ თბილად, მშვიდად ვცდილობ, იულიკას ავუხსნა, რატომ არ სჭირდება მას, თუკი მართლა ვუყვარვარ, ჩემგან იმის აღიარება, რომ მისი უგზო-უკვლოდ დაკარგული ქმარი ვარ. მე ეს ისე მარტივი, ისე ნათელი მეჩვენება. მაინც ბევრს ვლაპარაკობ, ძალიან ბევრს და რაც მეტს ვლაპარაკობ, მით უფრო აბდაუბდას, სულ ასე მემართება ხოლმე. ამ სიტუაციასთან გამკლავება ჩემს ძალას აღემატება: როგორც კი ვხვდები, რომ ჩემს მარტივ და მკაფიო თვალსაზრისს არავინ იზიარებს, მკაფიოობა ხელიდან მისხლტება, ბუნდოვან და ნაჩქარევ შედარებებს ვიშველიებ, რომ სხვებს გავუადვილო ჩემი გაგება და პირიქით გამომდის, იმას, რასაც თვალსაზრისს ვუწოდებ, ვაქუცმაცებ, ვამახინჯებ და შემდეგ პირწმინდად სულელური არგუმენტებით ვცდილობ შეცდომის გამოსწორებას. ზუსტად მივხვდი. მაგრამ ვერ ვჩერდები, რადგან მშვენიერი იულიკა არაფერს ამბობს, საერთოდ არაფერს, სისულელესაც არ ამბობს, რომ ჩვენი უმწეობა გააბათილოს. რატომ არ მეხმარება? მიჭირავს მისი დაცრემლილი ხელი, თითქოს მარტონი ვიყოთ, მხოლოდ ერთი კითხვაღა მიტრიალებს თავში, ვუყვარვარ თუ არა, და ველოდები.
– კიდევ რამდენ ხანს გინდათ აწამოთ ეს უბედური ქალი! – ამბობს ჩემი ადვოკატი, ალბათ კეთილი განზრახვით, – ქალბატონ იულიკას რომ უყვარხართ, ღმერთო ჩემო, ეს ხომ ცხადია.

ისიც ზედმეტად ბევრს ლაპარაკობს.
– და საერთოდ, – როგორც იქნა, ამთავრებს, – სულ არ გეცოდებათ ეს ქალი? წარმოუდგენელია, რა დღეში აგდებთ ამ უმწეო არსებას. იმის მაგივრად, რომ ბოლოს და ბოლოს აღიაროთ! ჩამოდის ეს ქალი პარიზიდან თქვენი გულისთვის, მიატოვა ცეკვის სკოლა თქვენი გულისთვის და ექცევით როგორც... – მართლა საკითხავია, რით დაიმსახურა ქალბატონი იულიკასნაირმა არსებამ თქვენნაირი ქმარი! ეს რომ თქვა, შევხედე.
– დიახაც! – კიდევ ერთხელ დაადასტურა.
შემდეგ ვდგები, უნდა ითქვას, რომ, მაშინვე არა, მცირე ჭოჭმანის შემდეგ, ცოტა ხანს ველოდები, მოსვამს თუ არა იულიკა მას თავის ადგილზე, უცებ ვგრძნობ, როგორ დამიმძიმდა ფეხები, პალტოს ვბერტყავ, ვაცლი, იქნებ უკეთესი დასასრული მოუფიქრონ ამ სცენას, მერე მივდივარ კარებთან, რომელიც (არასოდეს დამავიწყდება, რაც ხელით შევიგრძენი) დაკეტილია. დაკეტილი. არ მეჩვენება, გაჭედილი არ არის; კარი, უბრალოდ, დაკეტილია.

– ქნობელ, – ვამბობ და საკუთარი სიცილი მესმის, რომელიც თავადვე

მძულს, – მომეცით გასაღები.
ყურებაჭარხლებული ქნობელი დუმს.
– რა უნდათ ჩემგან? – ვკითხულობ.
ამასობაში იულიკა, ეს მოღალატე, ჩემსა და კარს შორის ჩადგა, სახელური მე მიჭირავს, იმის შესაძლებლობა მაინცაა, რომ პირისპირ ვკითხო: რატომ გამყიდე? მის მიამიტ სახეს საშინლად ლამაზი თვალებით, გაპარსული წარბების რკალით, რომელიც მუდამ ბავშვური გაოცების მსგავს ხიბლს სძენს, ნატამალი არ ეტყობა, რომ ხვდება, რატომ ვიქცევი ასე და ენა მივარდება. მხოლოდ ჩემ გასაგონად მეუბნება: „ნუ იქცევი ასე!“ და მართლაც, ხშირად დავბნეულვარ, სრულიად პრიმიტიული ვნება რომ შემომწოლია; მაგრამ შესაძლებლობა, რომ ყველას უსამართლოდ ვექცევი, განსაკუთრებით კი იულიკას, რომელიც ამ წუთამდე ჩემი ერთადერთი და განსაკუთრებული იმედი იყო, ეს შესაძლებლობა ხომ დასაშვებია. მართლაც: რატომ ვიქცევი ასე? იულიკასთან ხელიხელგაყრილი, – მე მისი ალბათ უბრალოდ არ მესმის, – ვდგავარ ადვოკატის წინაშე, რომელიც ასევე ფიქრობს, რომ იულიკა არაჩვეულებრივი ქალია და ქნობელის, ჩემი წესიერი დარაჯის წინაშე, რომელსაც გასაღები შარვლის ჯიბეში უდევს, ირგვლივ ჯვალოს მუმიები გვარტყია და იულიკა იწყებს ჩემთვის მათი, როგორც ჩემი ცხოვრების შემოქმედების წარდგენას. ერთხანს ცნობიერება მებინდება, მართლაც ვაცლი, ვათვალიერებინებ, იულიკა გულს მიჩუყებს, ყველაფერ ამას რამხელა მნიშვნელობა ჰქონია მისთვის, ცოტას ვხუმრობ კიდეც, მაგალითად, დირექტორის თაბაშირის თავზე... არ ვიცი, რამ დამადამბლავა ასე, არც ის ვიცი, ეს სცენა რამდენ ხანს გაგრძელდა; უცებ ვფხიზლდები, მაგრამ თითქოს დამავიწყდა ჩაკეტილი კარი და ჩემი ადვოკატის უსირცხვილო შენიშვნა, თავს ვაღწევ სულელურ სიზმარს, რომელიც უკვე დავიწყებულია და გაცნობიერებული მაქვს, რომ სიზმარი იყო, ისევ იმ კითხვის პირისპირ აღმოვჩნდი, რომელიც მე, უშუალოდ ჩაკეტილი კარის სიზმრამდე, ერთხელ უკვე დავსვი: ვუყვარვარ თუ არა იულიკას. ვხვდები, რომ იქ გაწყდა ძაფი, აღარ ვაცლი ჯვალოს მუმიებზე გულისამაჩუყებელ ლაპარაკს და სწორედ ამ კითხვას ვუმეორებ. ასე თუ ისე მესმის, რომ იულიკას, ამ მორცხვ და თავშეკავებულ არსებას, უჭირს ჩემი სახაზინო ადვოკატის და დარაჯის იქ ყოფნისას პასუხის გაცემა, მეც ვგრძნობ, როგორი უადგილოა ეს კითხვა იქ. ალბათ სწორედ ამიტომაც ვღიზიანდები, რომ ჩემი ადვოკატი დადუმებული იულიკას დასახმარებლად ისევ პირს აღებს.

– ეშმაკსაც წაულიხართ! – პირში ვეუბნები, – რა თქვენი საქმეა! მე არ

უარვყოფ, რომ ამ ქალბატონთან ურთიერთობა მაქვს.
იულიკას სწყინს:
– ანატოლ?!
ვყვირი:
– რას მიქვია ანატოლი? რას მიქვია ანატოლი? ამის გამო ვერ მაიძულებთ, რომ თქვენი დაკარგული ქმრის მთელი ეს ნაგავი გადმოვიბარო – აგერ!
სიბრაზისგან ვიცინი, თურმე სიბრაზე არც გამხელებია და ერთ ქანდაკებას ვაბრდღვნი ჯვალოს, ფხრიწ, და, როგორც მოსალოდნელი იყო: მხოლოდ მტვერი, ვერც ერთი ადვოკატი რომ ვერ შეაჩერებს. მშრალი თიხის ღერღი, მერე შემდეგს ვეცემი, მუმიები, მხოლოდ მუმიები, მერე დაჟანგული რკინა და ზედ მავთულის რაღაც კონსტრუქცია მხვდება ხელში, და სულ ეს არის, რაც უგზო-უკვლოდ დაკარგული შტილერისგან დარჩენილა, დანარჩენი მიწაა, როგორც მღვდლები იტყოდნენ, მონაცრისფრო-მოყავისფრო ბელტები იატაკზე, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ყავისფერი მტვრის ღრუბელი დგება, ჯვალოებს რომ ვადღლეგ. სამწუხაროდ, ვიღაც რეკავს. სამწუხაროდ; რადგან თავად, გაოგნებულები ხელოვნებისგან, რომელიც გამოვაჩინე, ვერ დამიშლიდნენ, ხელის ერთი მოსმით დამემსხვრია ყველაფერი. მაგრამ ზარი მაბნევს.

– კიდევ ვინ დაიბარეთ აქ? – ვეკითხები ჩემს ადვოკატს, – გინდათ, რომ ჭკუიდან გადამიყვანოთ?
იმ მომენტში ძალიან კონკრეტული ეჭვი მიჩნდება, ხომ ვხედავ კიდეც, რომ ქნობელი, რომელსაც ჩემმა დაბნეულმა ადვოკატმა თვალი უყო, როგორც იქნა, იღებს გასაღებს შარვლის ჯიბიდან, რომ კარი გააღოს და ქვევით ჩავიდეს და ადვოკატის ნიაღვარივით წამოსულ სიტყვებში მავიწყდება ჩემი ძალიან სწორი ვარაუდი. ის კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) მაფრთხილებს და მანამუსებს: – გონს მოეგე, ეს არის აღიარების ბოლო შანსი, თუ არადა, სასამართლოს განაჩენი, იულიკასთვის უხერხული იქნება, ერთი გონიერი სიტყვა და, თავისუფალი ხარ, არც ისე ცუდია აქაურობა, როგორც ვხედავ, მშვენიერი ატელიეა კარგი განათებით, მეგობრები შენი შინ დაბრუნების აღნიშვნას აპირებენ, მოკლედ, თავი მაღლა ასწიე და მოიტა აღიარება, შტილერი დაფასებული ხელოვანია, დიდი ხელოვანი არა, ასეთები სადღა არიან, მაგრამ დაფასებული და ხელოვნების კომისია მზადაა სასამართლოს ხარჯი თავის თავზე აიღოს, – ყველა რა კარგადაა ჩემდამი განწყობილი, ჩემი სასაცილო გაჯიუტება მხოლოდ მე მავნებს, – ცოტა გონიერება

გამოიჩინე, იულიკა დახვეწილი და ძვირფასი ადამიანია, ცოლქმრობა არასოდეს ყოფილა ბავშვური თამაში, მაგრამ იულიკა ანგარიშის გაწევის და სიკეთის განსახიერებაა, ასე რომ, თავი მაღლა ასწიე და ყველაფერი თავიდან დაიწყე, გაქცევა არასოდეს ყოფილა ნამდვილი გამოსავალი, თავისუფლება მხოლოდ მეორე ადამიანთან კავშირშია შესაძლებელი, ქორწინება ზნეობრივი ამოცანაა და არა სიამოვნება, ცოტა სიმწიფეა საჭირო, ცოტა კეთილი ნება და ყველაფერი კარგად იქნება, იულიკას მძიმე წლები პარიზში და მისი დიდსულოვანი უარი ცეკვის წარმატებულ სკოლაზე, იულიკას მიერ გაღებული მსხვერპლი, ქალური მსხვერპლი, – ჩემი მხრიდან მადლიერება იქნებოდა ბუნებრივი პასუხი, – მოკლედ, კიდევ ერთხელ, თავი მაღლა ასწიე, კაცივით მოიქეცი და ხელი გაუწოდე და ალილუია!

ამ გამოსვლის მოსმენისას ისევ ხელიხელგაყრილები ვდგავართ, შეიძლება იმიტომაც, რომ იულიკას ეშინია, ღია კარით არ ვისარგებლო, ანდა იქნებ გულწრფელი სინაზის გამოხატულებაა, ხელს რომ არ მიშვებს. მისი სხეულის სითბოს ვგრძნობ; ჩემი ადვოკატი ისევ ლაპარაკობს: – ასე რომ, თავი მაღლა ასწიე, არსად არ არის უკეთესი, ვიდრე სამშობლოში, ხანდახან სადმე წახვალთ სამოგზაუროდ, რომ თავიდან გაიგოთ სამშობლოს ფასი, მაგრამ ადამიანს ფესვები სჭირდება, ხელოვანსაც; ფესვები, ესაა მთავარი, ფესვები და კიდევ ფესვები, მილიონობით ადამიანია დარჩენილი სამშობლოს გარეშე, ასე რომ, მადლიერი იყავი და ყველაფერს უკუღმა ნუ შეხედავ. ცოტა მეტად შეიყვარე ადამიანები, შვეიცარლებიც მხოლოდ ადამიანები არიან, ვერავინ ამოძვრება თავისი ტყავიდან, პოზიტიური მიდგომაა საჭირო, საერთოდ მიდგომაა საჭირო, ყველაფერი არ უნდა დაამსხვრიო, როგორც წეღან. თვითკრიტიკა კარგი თვისებაა, მაგრამ მტვრისა და ღორღის საღორე, რა უნდა ქნა; ტემპერამენტი კარგია, მაგრამ ზომიერების ფარგლებში, ყველაფერი ისეთი ცუდი არ არის, როგორიც მგონია და ციურიხი თითქმის ყველაზე ლამაზი ქალაქია მსოფლიოში, მაგრამ, როგორც ვთქვით: კეთილგანწყობა არის გარდაუვალი, დღესდღეობით საკმარისი ნიჰილიზმია მსოფლიოში, სათითაოდ ყველა ადამიანის გამოსწორებით მსოფლიოს გამოსწორება, მთელი გულით უნდა გინდოდეს სიკეთე და ყველაფერი კარგად იქნება, მაგალითად, ქალბატონ იულიკას უნდა, საერთოდ, ქალბატონი იულიკა მაგალითია, ქედს ვიხრი ქალბატონი იულიკას წინაშე, ქალური ერთგულების მაგალითია, იშვიათი ადამიანია, მაგრამ ტიპური ქალია, საოცარი... კაცები ხშირად ჯიუტები და ეგოისტები არიან, ქალები კი როგორი სხვანაირები, დედობრივები, რთულებიც,

მართალია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მე არ მესმის მათი, კერძოდ, ხასიათის სიმდიდრე, იულიკას ისეთი შინაგანი სამყარო აქვს, როგორიც ალბათ იშვიათია, ცოტა მეტი გული ჩემგან, მარადიული ქალური საწყისი გვიზიდავს. დღესდღეობით საკმარისი ინტელექტუალიზმია მსოფლიოში, არ არის საჭირო სულ ფიქრი და ეჭვი, არამედ იმედია საჭირო, თავი მაღლა ასწიე და იმედს ნუ დაკარგავ, იმედის გარეშე ცოლქმრობა არ გამოვა, იმედის გარეშე არც მშვიდობა იქნება ცალკეულ ადამიანებსა და ხალხთა შორის, ხომ ვხედავთ, იმედის გარეშე არც ჭეშმარიტი ხელოვნება არსებობს, როგორც შუა საუკუნეებში, მოკლედ, იმედის გარეშე არ არსებობს იმედი, ასე რომ, გულზე ხელი დაიდე და არ ჩაიდინო სისულელე, შტილერშიც არის კეთილი მარცვალი, ჩემი ადვოკატი ამ მარცვლის არსებობაში დარწმუნებულია, ყველაფერი დანარჩენი სისულელეა, მაგალითად, სახელი, მაგრამ წესრიგი აუცილებელია, სახელი ყველას უნდა ერქვას. ჩემი ადვოკატი, რასაკვირველია, ბიუროკრატი არაა, ჩემი ადვოკატი შეძრულია, რომ ასე ღრმად ჩაიხედა ორი ასეთი ძვირფასი ადამიანის ცოლქმრულ ცხოვრებაში, ჩემი ადვოკატი თავად დაოჯახებულია, ყველა სიძნელე გამოუვლია, ყველა გადაულახავს, მაგრამ მსხვერპლი აუცილებელია, მსხვერპლი და კიდევ მსხვერპლი, სამაგიეროდ, სიმშვიდე დაისადგურებს სულში, სული ისევ ყველაზე მნიშვნელოვანია. დღესდღეობით საკმარისი მატერიალიზმია მსოფლიოში, ცოტათი ღმერთის უნდა გწამდეს, თანამედროვე ტრანსპორტის სისწრაფე ანადგურებს ჭეშმარიტ ფასეულობებს; მაგალითად, სტადიონის მშენებლობა, რომელიც ბრბოდ გადაგვაქცევს, პირველ რიგში. კომუნიზმი, მაგრამ ჩემი ადვოკატი დიდი გულის პატრონია და ძალიან შორსაა იმ აზრისგან, რომ შტილერს ესპანეთში ომობანას ახალგაზრდული თამაში წამოაძახოს. დავივიწყოთ, ჩემი ადვოკატიც იყო ოდესღაც ერთ პარტიაში, რომელიც მერე დაიშალა, დავივიწყოთ, შეცდომა ადამიანურია და ფრანკო მნიშვნელოვანია ევროპისთვის. შტილერს საიდან ეცოდინებოდა, რა მოხდებოდა და მომავლის განჭვრეტა არც არავის შეუძლია, არა, არც ჩემს ადვოკატს, მით უფრო მნიშვნელოვანია მარადიული კანონები, ათი მცნება ჯერ კიდევ ყველაზე საუკეთესოა, ნუ შეიქმნი კერპს, როგორც ამბობს ხოლმე ქალბატონი იულიკა, ძალიან სწორია, ძალიან სწორია, მაგრამ არც უნდა შეაცდინო ვინმე და არც უნდა კაც კლა, ყოველ შემთხვევაში, მშვიდობიან დროში; როცა სამხედრო ხარ, სხვა საქმეა, ცხადია, ანტიმილიტარიზმი გუშინწინდელი მოდაა, მაგრამ ახლა ამაზე არ ვსაუბრობთ, არამედ, როგორც ვთქვი: არა კაც კლა, ჩემო მეგობარო, და თან, არც ფიქრებში, აქ ამას არ სჩადიან, ამ ქვეყანაში არა, ოჯახი არის ერის უჯრედი,

ქალბატონი იულიკა ჯერ ახალგაზრდაა ბავშვების გასაჩენად, გულში ყოველთვის ძალიან უნდოდა. მხოლოდ მუშები მრავლდებიან ჯგროდ, ჩვენი ინტელექტუალები ამ პუნქტში სცოდავენ, მთავარი შემოსავალი კი არ არის, არამედ შინაგანი სურვილი, წესიერ ხელოვანს შვეიცარიაშიც ისე კარგად შეუძლია ცხოვრება, ზომიერი გამრავლება სავსებით დასაშვებია, არაჩვეულებრივი სტიპენდიებია, თუკი ხელოვანი შესაბამის ხასიათს გამოავლენს და ეს სამართლიანია, ღმერთმანი, სამართლიანია; არ გვინდა ლოთების და მემარცხენეების შვილები, თავისუფლება ფასეული სიკეთეა; მოკლედ, შვეიცარია იდეალური ქვეყანაა და ვერ შეადარებ მჭმუნვარე საფრანგეთს, სადაც სულ გაფიცვებია; მოკლედ, კიდევ ერთხელ, თავი მაღლა ასწიე, გულზე ხელი დაიდე და დაივიწყე, ყველაფერი კარგად იქნება, ჩემო მეგობარო, ყველაფერი კარგად იქნება, კარგად უნდა იყოს, ადვოკატმაც ყოველთვის თავიდან უნდა დაიწყოს; ადამიანის ბედი; მაგრამ ღმერთის ცოტაოდენი რწმენით ყველაფერი გამოგვივა, ამაშიც არ უნდა ვიყოთ ფანატიკოსები, ცხადია, არამედ ყველაფერს ჯანსაღი შვეიცარიული გონიერებით უნდა მივუდგეთ. სოციალური საკითხი თავისთავად იგულისხმება, ჰო, და კიდევ ერთი რამ: შტილერმა არ უნდა დაივიწყოს თავისი მამინაცვალი მოხუცებულთა თავშესაფარში, თორემ, როგორც გოეთე ამბობს: რაც მამებისგან გაქვს, გაითავისე, რომ ფლობდე. სულიერება იგულისხმება, ადამიანურობა. ულამაზოა, როდესაც მამინაცვალი მოხუცთა თავშესაფარში გვავიწყდება, ასე არ იქცევიან, რიდი და მოკრძალებაა საჭირო, შტილერი მარტო არ არის ამ ქვეყანაზე, ღმერთო ჩემო, არამედ საზოგადოების ნაწილია, საზოგადოება გვაძლევს საყრდენს, პასუხისმგებლობაა საჭირო, მაგრამ ცოტა მეტი სიყვარულიც, სულ საკუთარ თავზე არ უნდა იფიქროთ, ბატონო შტილერ, ქალბატონი იულიკასგან აიღეთ მაგალითი, კიდევ ერთხელ, ჩემი პატივისცემა ამ დახვეწილ და მამაც ქალბატონს, რომელიც ასეთ რთულ კაცზეა დაქორწინებული და ამას უძლებს, მოკლედ, კიდევ ერთხელ: ხელები გაუწოდეთ ერთმანეთს, უარყოფას აზრი აღარ აქვს, მტკიცებულებები დამთრგუნველია, მხოლოდ ნებაყოფლობითი აღიარება დაგრჩენიათ, ბატონო შტილერ, ასე რომ, გამბედაობა და ცოტა გონიერება მოიკრიბეთ, ცოტა ღმერთის და ქალბატონი იულიკასი გწამდეთ, ცოლქმრული ცხოვრების, შვეიცარიის, საკუთარ თავში არსებული სიკეთის.

ასე იქადაგა ჩემმა დოქტორმა ბონენბლუსტმა.
იულიკას ძალიან ვუფასებ, რომ იმ მომენტში, როცა მოხუცთა თავშესაფრის ბინადარი ბებრუხანა შემოჰყავთ, იმ ცოლივით მაინც

წითლდება, როცა გიჟების მომთვინიერებლები სახლში გიჟების პერანგით შემოდიან. სხვათა შორის, უცებ ისევ ის მეწვრილმანე მგონია, მიკვირს, რომ ჩემი ადვოკატი მაშინვე ცდილობს, სავარძელი მოუხერხოს, ზრდილობისგან გაწითლებულია, მგონი, ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი უხერხული სიტუაცია შეიქმნებოდა. მას ხომ მხოლოდ ის ჰქონდა განზრახული, რასაც ჯიუტ პატიმრებს უწყობენ, კონფრონტაციის საშუალებით გამოიწვიონ მათში კეთილგონიერების გაღვიძება; სხვა არცერთმა კონფრონტაციამ ჩემზე არ იმოქმედა, რაღა დარჩენოდა ჩემს ადვოკატს? ქნობელი ბებრუხანას მტვრიან სარწეველა სავარძელში სვამს, ბებრუხანა სასამართლოს და სხვა უწყებების და ბატონი დირექტორის და პარიზელი მოცეკვავის წინაშე პატივისცემად იღვრება. ტირილს ვიწყებ, როცა ვცნობ და ვამჩნევ, რომ ჩემს ტირილს ვერ ხედავს. ძალიან დაჩაჩანაკებულია. ვტრიალდები, შეხედვას ვერ ვბედავ, თუმცა არ მიკვირს, ასე რომაა; მაშინ, ღამით, ბოვერიში რომ გამახსენდა, ზუსტად ასეთი წარმოვიდგინე. ახლა უკნიდან მესმის მისი ბრაზიანი, წვრილი და სუსტი ბებრუხანული ხმა: ჰო, ჰო, ისევ აქ ხარ, ჰო, ჰო! ხითხითებს და ჩემი ადვოკატი აჩვენებს, იქ მყოფთაგან რომელი შეიძლება იყოს მისი ვაჟი. ისევ ხითხითებს: კარგი ვაჟია, ჰო-ჰო, სულ არ მივლის, ჰო, ჰო. ჩემი ადვოკატი ეკითხება, თუ მცნობს. ჰო-ჰო, ხითხითებს, ადგა და წავიდა, კარგი ვაჟი და მერე, წლების მერე რომ ჩამოდის, არა, არც გკითხულობს, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, კარგი ვაჟი!.. რა თქმა უნდა, ყველაზე არასწორი რამ ჩავიდინე.

– მორჩით სისულელეს! – ვთქვი რაც შეიძლებოდა თავხედურად, – მე შენ არ გიცნობ.
ჰო-ჰო, ხითხითებს, ჰო-ჰო.
– გეყოფათ! – ვიყვირე და ისეთი სასაცილო იყო ჩემი მდგომარეობა, ისე უკიდეგანოდ სასაცილო და ისეთი აუტანელი იყო ეს მომენტი – უმწეობისგან ხელი ვტაცე თაბაშირის რაღაცას, თავიდან, უბრალოდ, მინდოდა, დავმუქრებოდი, მაგრამ მშვენიერი იულიკას მშვიდ სახეს შევხედე და ზედ ამოვიკითხე, რომ იცოდა, მე, მისი შტილერი ვერასოდეს გავბედავდი, ბებრუხანასთვის რამე მესროლა და, ჰოი, საოცრებავ, მართლა ვერ გავბედე. თაბაშირის რაღაც სადღაც მივახეთქე, ვგრძნობდი, რა სასაცილო ვიყავი, როგორც ვთქვი, და ეს მაცოფებდა (სხვები ძალიან ღირსეულად იქცეოდნენ), შემდეგ სხვა რამეს წამოვავლე ხელი, თაბაშირის თავს, იატაკზე დავანარცხე, მაგრამ გაგორდა და არ გასკდა, ისეთ უღონობას ვგრძნობდი, თავი ცუდ სიზმარში მეგონა, ენით აუწერელ უღონობას, ისეთი ძალით დავანარცხე იატაკს თაბაშირი,

სხვათა შორის, არავის შევუკავებივარ, ჩემი ადვოკატი და ქნობელიც მხოლოდ მიყურებდნენ, გაოგნებულები, თუმცა აბსოლუტურად დარწმუნებულები, რომ მე უგზო-უკვლოდ დაკარგული ბატონი შტილერი ვარ და ამიტომ ვერავინ დამიშლის, ამ ატელიეში ყველაფერი ნაცარტუტად ვაქციო; მხოლოდ პატარა ძაღლი ყეფდა და მათ რომ ჩემი არ ესმოდათ, იმდენად მაცლიდა ძალას, რომ ამ რაღაცებს კვარცხლბეკებიდან ძლივს ვიღებდი, ამიტომ პატარა ფიგურებს მივადექი, კედელს ვახეთქებდი, ზოგიერთი დაიმსხვრა კიდეც, რამაც ხალისი შემმატა, მაგრამ სირცხვილი მელოდა, რადგან შეიძლება ჩემი ბრაზი არ ჭყოფნოდა ყველაფრის დამსხვრევას, მარტო პატარებს გავწვდებოდი ალბათ და დიდი ნამუშევრები, რომელთაც ვერ ვერეოდი, ჩემს სიბრაზეს გადაურჩებოდნენ. და მეგონა, ვერ გავუძლებდი ამ სირცხვილს, რომელსაც ესენი ელოდნენ, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ სირცხვილის შიში მაწუხებდა და იგი შემდგომი მოქმედებისკენ მიბიძგებდა. მთავარია, შუა გზაში არ წაიქცე! სადაც მოვახერხე, ყველაფერი გადავატრიალე და მალე მივხვდი, რომ ასე ბოლოში ვერ გავიდოდი. ნამდვილი სამუშაო აღმოჩნდა! ხმა არავის ამოუღია, ისეთი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა დამეყარა ფარ-ხმალი, მხოლოდ ის უცხო ძაღლი ყეფდა, მე კი გამაგიჟა საკუთარმა პატივმოყვარეობამ, რომელიც ამ სისულელის შეწყვეტას არ მანებებდა; თაბაშირის რაღაცები, რომელზეც გული არავის დასწყდებოდა, აღარ თავდებოდა, სანამ რკინის მძიმე ძელით არ დავერიე და ისე არ დავამსხვრიე, რომ აღარაფერი ეშველებოდა, მაგრამ ბრინჯაოს რაღაცებიც ხომ იყო, ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე. პირველი, რასაც ხელი წავავლე, ისეთი მძიმე აღმოჩნდა, რომ სროლის შანსი არ მქონდა, მაგრამ არ უნდა შევშვებოდი, ბრინჯაოებისთვისაც ბოლო უნდა მომეღო, განსაკუთრებით ბრინჯაოებისთვის, რაც ძალი და ღონე მქონდა, პირველს დავეჭიდე და ავწიე, იატაკზე დავაგდე, და მხოლოდ მე მეცინებოდა, რომ ბრინჯაოს ვერაფერი დააკლო ერთხელ ან ორჯერ ან თუნდაც ათჯერ ძირს დახეთქებამ, ამიტომ, ღია ფანჯარაში გადავუძახებ-მეთქი, გადავწყვიტე. ახლა კი წამოხტნენ ყველანი, შეეშინდათ, ეზოში ვინმეს არ გაუხეთქოს თავიო, ფიგურა თუნუქის სახურავს რომ დაეხეთქა, მისი ხმა მალამოსავით მომედო, განადგურების სურვილმა ისევ წამომიარა, ძალაც დამიბრუნდა. ქნობელი ხელში მწვდა, მაგრამ შეეშინდა, ბრინჯაო ფეხებზე არ დამეცესო და გამეცალა. განზე გადგა, ამიტომ მაინც მივაღწიე შემდეგი ბრინჯაოთი შეიარაღებულმა ფანჯარას და გარეთ გადავუძახე, თუნუქმა ისევ დაიბრახუნა, ეზოში ხმები აყაყანდნენ, იწყევლებოდნენ; ისეთი ხმა გამოსცა, გეგონებოდა, ისვრიანო, მე კი, ოფლში გაწურულმა,

მიმოვიხედე, რა დამრჩა გადასაგდები-მეთქი, კარადის კარები გამოვგლიჯე, ახლა წვრილმანები მიფრინავდნენ, ვიღაცამ კარი ჩამოიღო რეკვით, მიუხედავად იმისა, რომ ახლა მხოლოდ ბლოკნოტები მიფრიალებდნენ ფანჯრიდან, მასტეხინი, ქილები და ასეთი რამეები. ატელიეში მყოფ ადამიანებს ვეღარ ვხედავდი, ოღონდ ვიცოდი, რომ იქ იყვნენ და სანამ სასროლი კიდევ მოვიხელთე, აფრიკული ნიღაბი, ესპანური ისრები, კელტური ნაჯახი, კიდევ რამეები, რითაც შემეძლო თუნუქის სახურავი გამემხიარულებინა, ხოშიანად ვიყავი, აჰ, ხოშიანად ის სიტყვა არ არის, შიში გამიქრა, რომ არასწორად ვიქცეოდი და მე ისევ მე ვიყავი. თუმცა, მიუხედავად საკუთარი თავით კმაყოფილებისა, უკვე ვგრძნობდი, რომ ახლოვდებოდა ჩემი ცხოვრების ყველაზე უბადრუკი მომენტი, კერძოდ, ის მომენტი, როცა თაროებზე და რაფებზე ვეღარაფერს ვიპოვიდი, რომ თუნუქის სახურავზე დამეხეთქებინა და ამეზრიალებინა, მომენტი, როცა აღარ მეცოდინებოდა, შემდეგ რა მოხდებოდა, ეს ჩუმი და ცოტა ცარიელი მომენტი, ისეთივე წარმავალი, როგორიც სხვა და ამიტომაც იყო ასეთი უბადრუკი და იგი, ბუნებრივია, დადგა... ოფლი მდიოდა. ქნობელი გარეთ გავიდა თუ ქვევით ჩავიდა, რომ საზეინკლოს თუ სამჭედლოს ხალხი დაემშვიდებინა და ეთქვა, ბრინჯაოს სეტყვა დამთავრდაო. ვეცადე, გამეღიმა და ესეც ვერ მოვახერხე, თურმე მარტო მე შემრჩენოდა ღიმილის სურვილი, ისეთი სიქაგაცლილი ვიყავი, მარტოს სიცილიც აღარ შემეძლო. ისევ დავინახე იულიკა, მშვენიერი იულიკა. პირველი სიტყვები მან იპოვა:

– კარგი და, ახლა?
იულიკა ზის, კალთაში უზის თავისი პატარა ფოქსი, რომელიც ჩემზე უზომოდ გაბრაზებულია, ეს პატარა ფოქსი იულიკასთან თავს დაცულად გრძნობს. იულიკა მთელი ჩემი მოქმედების დროს, მგონი, არც ამდგარა. არც თავს აქნევს, ისე მიყურებს, თითქოს მხოლოდ ღვინო დამექციოს ან ქალისთვის გრძელ კაბაზე დამებიჯებინოს ფეხი; პატიება შეიძლება, თუმცა, უხერხულია. მაგრამ პატიება შეიძლება. და თვალებს არ ვუჯერებ, მისი უაღრესად ლამაზთვალებიანი სახე არ შეცვლილა, იმდენად არ შეცვლილა, რომ ახლა თავად ვეკითხები საკუთარ თავს, ნეტა რას ველოდი. მოწითალო თმას ისწორებს, თუმცა საჭირო არ არის, იულიკა ხომ არც განძრეულა; მხოლოდ მე გავხურდი და ოფლი ღვარად მდის, პერანგი სულ სველი მაქვს, ჰალსტუხი მოკუჭული და ამიტომაც ისწორებს იულიკა თავის მოწითალო თმას, უხერხულობის გამომხატველი ჟესტია, გასაგებია. ელოდება, რომ ბოდიშს მოვიხდი? სადარბაზოში ხმამაღალი ყაყანი ისმის, ეტყობა, არავის არაფერი მოხვედრია, თორემ სიჩუმე

იქნებოდა. მაგრამ ძალიან აღშფოთებულები არიან, გასაგებია, მესმის. მერე იულიკამ სიგარეტი აიღო, მე ცეცხლს ვაგებებ. კი, იულიკა მართალია: კარგი, და ახლა? რამდენიმე ნაფაზის განმავლობაში, სანამ კვესი ისევ ხელში მიჭირავს, ჩემს იულიკას ვაკვირდები, მგონია, რომ ცხარე ცრემლებად დავიღვრები და მუხლებზე დავეცემი, ხელებს სახეზე ავიფარებ, სანამ იულიკა აქვითინებულ, საზიზღარ, სასაცილო სახეს არ გამითავისუფლებს. მინდა, მაგრამ ვერ ვშვრები, თითქოს ცრემლები შიგნით მეღვრება და მეც ისევე შეუცვლელი ვდგავარ, როგორც ის. მისი ქედმაღლობა (მისი შემწყნარებლობა) ისეთი ჯიუტი და შეუდრეკელია; მიყურებს, როგორც გამარჯვებული, რა მისი ბრალია, რომ მე სულ ვმარცხდები, ან როგორიც დედა, უფრო როგორც დედა, რომელსაც თავისი გამოუსწორებელი ბიჭუნა მაინც ძალიან უყვარს, იღიმის და მისი უპირატესობა ისე მთრგუნავს, მისი უწყინარობა ისეთი მიუწვდომელია, მისი დიდსულოვნება ისეთი მომაკვდინებელი, მისი დუმილი ისეთი იდიოტური, რომ მე, ისეთივე ურწმუნო, როგორც პირველ დღეს, ისევ იულიკას მივშტერებივარ. და რა ლამაზია, არასოდეს დამავიწყდება; მისი მოწითალო თმა, ალებასტრივით კანი, ქალწულებრივი ტუჩები, მისი ლურჯი თუ მწვანე თუ შეიძლება სულაც უფერო თვალები, აჰ, რამხელა და რა საოცრად ლამაზი თვალები, როგორც ვთქვი, მისი დახვეწილი ცხვირი ცოტა დიდი ნესტოებით და გასაგიჟებელი ყური, კეთილშობილი, სწორი და თხელი ყელი, საიდანაც ნაზი ხმა ამოსდის. არასოდეს დამავიწყდება! და ხელის მტევნის მოქნილობა, ასე რომ ზის და ეწევა – ერთი წამით მგონია, რომ ახლა ყრონტში ვეცემი და მივახრჩობ. მაგრამ, ცხადია, არც ეს ხდება... მერე ქნობელი ბრუნდება და ჩემს ადვოკატს ზარალის დაახლოებით მასშტაბს ახსენებს.

– მადლობა ღმერთს, – ამბობს ჩემი ადვოკატი, – კიდევ კარგი, არავინ დაშავებულა, კიდევ კარგი!
ჩემს მამინაცვალს უხსნიან, რა მოხდა. ხმაური არ გამოჰპარვია და აინტერესებს, რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, პირადად მოიწვიეს, პირადად, როგორც რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნავს.
P.S.
ახლა სრულიად შეგნებული მაქვს ჩემი უძლურება და ვხედავ, დადგა მომენტი, ითქვას ყველაფერი, ითქვას სიმართლე. მაგრამ რა არის ეს ყველაფერი! მე როგორც ვცდილობ ახსნას, მისგან არაფერი რჩება. თორემ აქამდე არ ავხსნიდი, ამ ჩემს ყველაფერს, ამ ჩემს გამოცდილებას?

ეს შემიძლია ვთქვა:

დაახლოებით ორი წლის წინ თავის მოკვლას ვცდილობდი. დიდი ხნის გადაწყვეტილი მქონდა. თან, როგორც ყველა თვითმკვლელი, მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ მერე, როცა ამას იზამ, უბრალოდ, ყველაფერი სრულდება, შუქი ქრება, წარმოდგენა მთავრდება. ამიტომ ნამდვილად არ მეშინოდა. მარცხის მიზეზი ტექნიკური ხასიათის გახლდათ. პატარა რევოლვერს, რომელიც იმ ყავრით გადახურულ ქოხში ვიპოვე, ძველმოდურ იარაღს, რომელიც ძირფესვიანი გაწმენდის წყალობით ისროდა კიდეც, უფრო ნაზი სასხლეტი აღმოაჩნდა, ვიდრე მე ვიყავი მიჩვეული საბრძოლო იარაღისგან, ან საერთოდ არ ჰქონდა სასხლეტი. როგორც ჩანს, იარაღმა მანამდე გაისროლა და ტყვია (შესაბამის უჯრაში მხოლოდ ერთი ძველი მასრა ეგდო) კეფას მხოლოდ გაედო, მარჯვენა ყურის ზემოთ, შიგ არ შეულწევია. მოგვიანებით რენტგენის სურათზე მაჩვენეს. მახსოვს: ჩემი თავი ხელების მარწუხებში მოექციათ, თავზე ფლორანსი დამდგომოდა, მხოლოდ მას გაეგონა გასროლა და მერე ყველაფერი გაქრა, ვხედავდი მხოლოდ შორეულ მრგვალ ღიობს (პატარები რომ ვიყავით, ხანდახან კანალიზაციაში ვძვრებოდით, დღის შუქით განათებული ღიობი შორს იყო და ისეთი პატარა ჩანდა, გეგონებოდა, ვერ გაეტევიო; ზუსტად ასე!) და მდგომარეობა აუტანელი იყო, ოღონდ უმტკივნეულო. პირიქით, თითქოს ტკივილს ვნატრობდი. განცდა, რომ გეძახიან, მაგრამ შენ ხმა გაქვს დაკარგული. სასოწარკვეთილი მოთხოვნილება, ჩაგეძინოს და თან იცი, რომ ვეღარასდროს დაიძინებ. მოგვიანებით, უკვე ქალაქის ჰოსპიტალში, თურმე ასეთ რაღაცებს ვლაპარაკობდი და ვეხვეწებოდი, დამაძინეთ-მეთქი. ახლა მგონია, საშინელი ტანჯვა იმაში მდგომარეობდა, რომ უცებ ყველაფრის უნარს დავკარგავდი, ვერც უკან წავიდოდი, ვერც წინ, ვეღარსად გადავვარდებოდი, აღარ იარსებებდა ზევით და ქვევით, მაგრამ მაინც ვიქნებოდი, ვერავინ მიშველიდა, აღარ იარსებებდა დასასრული, აღარ იარსებებდა სიკვდილი. ხანდახან ხომ ზუსტად იცი სიზმარში, რომ სიზმარია, ისე ვიცოდი, რომ ეს სიკვდილი არაა, გინდაც იმ წუთას მოვმკვდარიყავი. მშრალად რომ ვთქვათ, ეს იყო დიდი ტყუილი, მაღალი კედლიდან რომ გადახტე მიწაზე დასანარცხებლად, მაგრამ მიწა რომ არ ჩანდეს, არასდროს რომ არ გამოჩნდეს, შეგრჩება ნახტომი და მეტი არაფერი, ნახტომი, რომელიც ასევე არ არსებობს, სრული უძლურების მდგომარეობა, განცდილი აბსოლუტურ სიფხიზლეში, მხოლოდ დრო გაგპარვია თვალსა და ხელს შუა, როგორც ვთქვი, დრო, როგორც მედიუმი, რომელშიც ვფაფხურობთ; ყველაფერი ისევეა, როგორც იყო, არაფერი იცვლება, ყველაფერი სამუდამოდ ისე რჩება, როგორც იყო. როგორც მოგვიანებით მითხრეს, ხშირ-ხშირად

მიკეთებდნენ ნემსებს. ეს დაამება, მოღონიერება, გაყუჩება, დაშავებული სხეულისთვის ალბათ აუცილებელია, ალბათ აუცილებელი იყო, მე კი ისევ შიშს მგვრიდა. შიში კი, როგორც კი ჩამთვლემდა, ხატოვან და მეხსიერებისთვის გასაგებ ექოს იძენდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია; არავისთან მილაპარაკია ამაზე. შეიძლება კი ამაზე ლაპარაკი? მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს შიშია სწორედ, რასაც „ჩემს ანგელოზს“ ვეძახი…

(შეტყობინების გამო ვწყვეტ: დღევანდელი საბოლოო სხდომა განაჩენის გამოცხადებითურთ, რომელიც 16.00 საათზე იყო დანიშნული, დილის 10.30 საათზე გადაიტანეს.)
* * *
როგორც ვთქვი, არავისთან მილაპარაკია ამ ამბავზე, სწორიც იყო, რისი გაგებაც შეუძლებელია, გასაგებად ისე ვერ აქცევ, რომ ხელიდან სულ არ გაგისხლტეს და ახლაც ვატყობ, რომ მართალი ვარ, როცა უნებურად მაინც ვცდილობ, ავხსნა, რაღაცები დავალაგო, რომ ყველაფერს „აზრი მივანიჭო“. არადა, მისანიჭებელიც არაფერი მაქვს. „აზრი“ უბრალოდ მივიღე. და მას უნდა გავუფრთხილდე... სიზმრები, რომლებიც მაშინ ერთმანეთს ებმოდა, მეც აღარ მახსოვს კარგად და სხვას როგორღა მოვუყვებოდი (ერთხელ ფლორანსმა მინახულა, მულატმა გოგომ, ქალაქის იმ ჰოსპიტალში; მისი ნათქვამი საკმაოდ კარგად გავიგე, თუმცა პასუხად ცალკეული სიტყვების თქმაზე მეტი ვერ მოვახერხე). ერთ-ერთი სიზმარი: იმ მომენტში, როცა Little Gray-ს ვახრჩობ, ვიცი, რომ კატას კი არ ვახრჩობ, არამედ იულიკას, რომელიც იცინის, ეს სიცილი მისგან პირველად მესმის, იულიკა სრულიად სხვანაირია, მხიარული, კატას მთელი ძალით ვახრჩობ, იულიკა კი უხილავი პუბლიკის წინაშე დამცინის, კატა არ მიძალიანდება, მაგრამ მერე ისევ ფანჯრის რაფაზე ხტება, თავს ილოკავს, იულიკა არასოდეს ყოფილა ჩემი ცოლი, მხოლოდ მომეჩვენა... მეორე სიზმარი: ჩემს ლოგინში წევს დედა, საძაგელი, თუმცა იცინის, ცვილის თოჯინა, თმა ჯაგარივით აქვს, შეძრწუნებული ვარ, ვცდილობ, შუქი ავანთო, ვერ ვანთებ, ვცდილობ, იულიკას დავურეკო, ვერ ვურეკავ, არაფერი მუშაობს, მთელ ბინაში წყვდიადია, მაგრამ ცვილის დედას მკაფიოდ ვხედავ, ძრწოლის უმაღლეს საფეხურზე ყვირილისგან მუხლებზე ვიჩოქებ, რომ გავიღვიძო, უცებ ხელში მიჭირავს აღდგომის კვერცხი, თავივით დიდი... სხვა სიზმრები კიდევ უფრო ცუდად მახსოვს. ყველა ერთსა და იმავეზე იყო, მგონი, და როცა ვთვლემდი, გრძელდებოდა, მაგალითად..

(დოქტორი ბონენბლუსტი, ჩემი ადვოკატი მაწყვეტინებს, იგივეს ახლა

ზეპირად მიმეორებს. მზად იყავიო.)

* * *

მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: მაშინ წინათგრძნობა გამოვცადე. სირცხვილი კი არ მაიძულებს მის დამხელას, უბრალოდ, არ შემიძლია. საკუთარი თავის წინაშე იმ ქმედების არასოდეს შემრცხვენია. მქონდა ცხოვრება, რომელიც ცხოვრება არ ყოფილა, მე ის მოვისროლე. შეიძლება სასაცილოა, როგორც ეს გავაკეთე! დამრჩა უზარმაზარი თავისუფლების მოგონება: ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული. შემეძლო გადამეწყვიტა, მინდოდა თუ არა კიდევ ერთხელ ცხოვრება, ოღონდ ისეთი, რომელიც ნამდვილი სიკვდილით დასრულდებოდა. ყველაფერი მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული, ეს უკვე ვთქვი. შეწყალების არსს ამაზე მეტად ვერასდროს მივუახლოვდი. და იმას, რომ მე, შეწყალებაში დარწმუნებულმა, ცხოვრება გადავწყვიტე, მაშინ მივხვდი, როცა საშინელი ტკივილი დამეწყო. მკაფიოდ განვიცადე, რომ მხოლოდ ახლა დავიბადე და ავივსე აუცილებლობის გრძნობით, რომელსაც მასხრად აგდებისაც აღარ ეშინია, მზად ვიყავი, ვყოფილიყავი მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც ამ წამს დაიბადა და არ გამოვკიდებოდი სხვა ცხოვრებას, გარდა ამ ცხოვრებისა, რომელსაც ვერსად მოვისროდი. ეს დაახლოებით ორი წლის წინ იყო, როგორც ვთქვი და მაშინ უკვე ოცდათვრამეტი წლის ვიყავი. იმ დღეს, როცა ბოლოს და ბოლოს ქალაქის ჰოსპიტლის დატოვების უფლება მომცეს…

* * *

(ისევ მაწყვეტინებენ!)

სასამართლოს განაჩენი, როგორც მოსალოდნელი იყო: მე (მათთვის) ვარ ექვსი წლის, ცხრა თვისა და ოცდაერთი დღის წინ დაკარგული ანატოლ ლუდვიგ შტილერი, ციურიხის მოქალაქე, მოქანდაკე, უკანასკნელად მცხოვრები შტაინგართენშტრასე 11-ში, ქორწინებაში მყოფი ქალბატონ იულიკა შტილერ-ჩუდისთან, ამჟამად მცხოვრები პარიზში, და მესჯება მთელი რიგი ჯარიმების გადახდა, კონფედერაციის საბაჟოს მოხელისთვის სილის გარტყმის, სხვადასხვა სახის მოქალაქეობრივი ვალის თავიდან არიდების, რეგისტრაციიდან მოხსნის ვალდებულების უგულებელყოფის გამო (ამ უკანასკნელის შედეგად დღეისათვის ჯამში 107 გამაფრთხილებელი შეხსენებაა შემოსული სხვადასხვა უწყების მხრიდან); გარდა ამისა, ვალები, რომელიც ეხება სახელმწიფო გადასახადს, სამხედრო გადასახადს, მოხუცებულობის და მემკვიდრეების დაზღვევას, გარდა ამისა, კონფედერაციის არმიის კუთვნილი ავტომატის დაზიანების ანაზღაურება, დამატებით კი

სასამართლოს ხარჯის ერთი მესამედი, ჯამში 9 361.05 ფრანკი, რომელიც გადახდილი უნდა იქნას წინამდებარე განაჩენის ხელმოწერიდან ოცდაათი დღის განმავლობაში. შემდგომ: ამ სხდომის დამთავრების შემდეგ რჩება წინასწარ პატიმრობაში მეორე განხილვამდე, თუკი პირველი განაჩენი არ გასაჩივრდება, სანამ არ გაირკვევა სავარაუდო კავშირი სმირნოვის მაშინდელ საქმესთან.

დასკვნით სიტყვაზე უარს ვამბობ.
გასაჩივრებაზე უარს ვამბობ.
ქალბატონი იულიკა შტილერ-ჩუდი, დღევანდელი დღიდან ჩემი კანონიერი მეუღლე, ახლა ცდილობს, როგორმე ბატონი დოქტორი ბონენბლუსტი, ჩემი სახაზინო ადვოკატი ანუგეშოს. ამ კაცმა მართლაც ძალიან მოინდომა და ალბათ ჩემგან გულითადი მილოცვაც ერგებოდა; მართლაც ვაპირებდი რაღაც მადლობისმაგვარის გამოხატვას, მაგრამ, სამწუხაროდ, დამავიწყდა. ბატონი დოქტორი შმითცი, მილიონერი, ასევე მოვიდა განხილვაზე და დღევანდელი თარიღით შეიტანა საჩივარი შეურაცხყოფასა და პატივის შელახვაზე. სმირნოვის ისტორიაში ფედერალურ პოლიციას, რომელიც ახლა ჩემს საქმეს მოჰკიდებს ხელს, ძალიან მალე გავუცრუებ იმედს: თუკი ცოცხალია თეო ჰოფერი, ჩემი ყოფილი მეგობარი ესპანეთის ომიდან, ჩეხი, რომელიც მერე ბრონქსში, ნიუ-იორკში ცხოვრობდა და დალაქად მუშაობდა და ნიუ-იორკში ჩასვლისას შემიფარა, 1946 წლის 18 იანვრისთვის ალიბის დამტკიცებას რამდენიმე დღეში მოვახერხებ.

იულიკას ნაბიჯები მესმის კორიდორში.
მაფხიზლოს ჩემმა ანგელოზმა.
P.S.
ვილფრიდ შტილერი, ჩემი ძმა, მზად არის გადაიხადოს 9 361.05 ფრანკი. მისი მადლობელი ვარ!

მეორე ნაწილი – პროკურორის ბოლოთქმა

ვწუხვართ, რომ შტილერმა წინამდებარე „ციხის ჩანაწერებს“, რომელიც დღეს ცოცხალი მოქმედი პირების ნებართვით, ყოველგვარი შემოკლებისა და, თავისთავად ცხადია, ცვლილების გარეშე გადმოგეცით, არ მოაყოლა „თავისუფლების ჩანაწერები“. დროდადრო ვაძალებდით ხოლმე, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შევაცდინეთ. მოთხოვნილება არ ჰქონდა. მოგვიანებით მიეხვდით, რომ ჩვენი მხრიდან დაძალება შეცდომა იყო. მისი დამუნჯება, თუკი ასე დავარქმევთ, სინამდვილეში ხომ

არსებითი, იქნებ გადამწყვეტი ნაბიჯიც კი იყო მისი შინაგანი თავისუფლებისკენ, რომლის სურვილსაც მხოლოდ ჩვენს მეგობარს კი არ ვატყობდით, არამედ კიდევ უფრო აშკარად მის ახლობლებს, მასთან ჩვენი დამოკიდებულება ოდნავ შესამჩნევად და, კაცმა რომ თქვას, ნელა, მაგრამ ნამდვილად შეიცვალა. მასთან მეგობრობა შესაძლებელი გახდა; შტილერი გათავისუფლდა სხვების დარწმუნების ძლიერი მოთხოვნილებისგან.
ეგრეთ წოდებულ სმირნოვის საქმეზე ჩაღრმავება სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა. მისი ალიბი იმ კონკრეტული თარიღისთვის შეუვალი იყო; შტილერი მართლაც 1946 წლის 18 იანვრამდე ბევრად ადრე ჩავიდა ნიუ-იორკში, და პირველი კვირები, როგორც დადასტურდა, თავის ჩეხ ნაცნობთან ცხოვრობდა. მაგრამ შესაბამისი მტკიცებულებები შტილერმა მხოლოდ მას შემდეგ მოიპოვა, როცა, როგორც იქნა, უარი თქვა საკუთარი იდენტობის უარყოფაზე. აღნიშნული ეჭვი მისთვის რომ სულერთი იყო, პირველი დღიდან მჯეროდა, უფრო მეტად, ვიდრე მისი გამონათქვამების უმეტესობისა წინასწარი დაკავების საკანში. მეორე მხრივ, უწყებებისთვის, რომლებიც ამ კაცს პირადად არ იცნობდნენ, ძნელი გასაგები იყო, რატომ უარყოფდა შტილერი ასე ჯიუტად თავის აშკარა იდენტობას და ეს აძლიერებდა ეჭვს და მოითხოვდა, რომ მანამდე გაუხსნელ დანაშაულებთან მისი შესაძლო კავშირები გადაემოწმებინათ მაინც, ის კი არა, ეს პასუხისმგებელი უწყებების მოვალეობაც კი გახლდათ. გაუხსნელ დანაშაულთა რიგში შედიოდა ციურიხში მომხდარი ორი მკვლელობაც, მათი გათვალისწინებაც საჭირო იყო. მკვლელობათა შესახებ შტილერმა არაფერი იცოდა. გამოძიება ყველა საქმეში მალე მივიდა უარყოფით შედეგამდე და შტილერი იმავე თვეში გაათავისუფლეს.

შტილერი თავდაპირველად ჟენევის ტბასთან პატარა პანსიონში ცხოვრობდა, თან ახლდა მეუღლე, რომელსაც ისევ მასთან ყოფნა გადაეწყვიტა. როგორი იქნებოდა ეს თანაცხოვრება, ალბათ მაშინ ასე მარტივად ვერც ერთს წარმოედგინა. მე, ჩემი მხრივ, ძალიან მაინტერესებდა. ფორხის დასახლებაში ჩვენი პატარა, პრიმიტიული, მაგრამ გათბობის სისტემით აღჭურვილი აგარაკი არ მოინდომა გასაჩერებლად, „რადგან საშინლად ახლოსაა ციურიხთან“. საბედნიეროდ, სამშობლომ, წასახალისებლად, მართალია, კომისიაში საკმაო დაპირისპირებების ფონზე, მაგრამ მაინც გამოუყო ორი ათასი ფრანკი; მაშინ ცოლ-ქმრისთვის ეს თანხა ორი კი არა, თითქმის სამი თვის სამყოფი იყო. ამ თანხით და სხვა სასწაულის მოლოდინში ცხოვრობდნენ ჟენევის ტბაზე. რასაკვირველია, ჩვენ შტილერს ამ

ტერიტეში ვერ წარმოვიდგენდით. თუ სწორად გვახსოვს, ტერიტეში მხოლოდ სასტუმროები, ჩოგბურთის კორტები, საბაგირო გზები და კოშკურებიანი და ბაღის ფიგურებიანი შალეები იყო; მაგრამ მეგობრული ურთიერთობების წყალობით, კარგად გაურიგდნენ სასტუმროს. როცა საერთოდ აღარ შემოგვეხმიანნენ და შობაზეც არ გამოჩდნენ, შევწუხდით. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა წერილი, რომელიც ისევ ამ მიმართვით იწყებოდა: „ძვირფასო მეგობარო და ბატონო პროკურორო!“ შტილერი მწერდა, ელექტროქურა მათხოვეო; ზამთარი იდგა და ცხელი საუზმის გარდა, რომელიც მათი და სასტუმროს ადმინისტრაციის მოლაპარაკებაში შედიოდა, ოთახში მხოლოდ ცივი საჭმლით კმაყოფილდებოდნენ. შტილერმა მოკლე წერილით „ყველაფრისთვის“ მადლობა გადამიხადა, მისმა მოწიწებულმა ტონმა შემაშფოთა. მაშინ მათი დარდი გვქონდა, ვფიქრობდით, რომ მკვდარი კურორტის სასტუმროს შეიძლება სასიამოვნო, მაგრამ ნამდვილად უსახური ოთახი თავიდან შეყრილი ცოლ-ქმრისთვის გასაჩერებლად ნამდვილად ყველაზე ცუდი ვარიანტი იქნებოდა. როგორც იქნა, თებერვლის დასაწყისის ერთ შაბათ-კვირას, მე და ჩემი მეუღლე ტერიტეში გავემგზავრეთ და მათ, მზეზე გარუჯულებს, სასტუმროს მართლაც სასიამოვნო, ვიწრო, მაგრამ პატარააივნიან ოთახში შევხვდით; ერთმანეთზე აკოკოლავებული ჩემოდნები ოთახს კიდევ უფრო ავიწროებდა. და ჟენევის ტბა კიდევ უფრო შორს მოჩანდა ფანჯრიდან. შტილერი მხიარულად გვაჩვენებდა თავს, ცოტა ზედმეტად მხიარულად, ცოლს ხელი მოჰკიდა და წარგვიდგინა: „შვეიცარიელი შიდა ემიგრაციაში მყოფი ცოლ-ქმარი“. მომავალზე შეკითხვებს თავს არიდებდნენ. ქვევით, სასტუმროს სასადილოში საკმაოდ ნაძალადევ საუბარს ვერ გავცდით. არადა, იქაურობა თითქმის ცარიელი დაგვხვდა, ოჯახური ატმოსფერო იგრძნობოდა და მაინც შტილერი და მისი ცოლი ისეთი შებოჭილები ისხდნენ, თითქოს პირველად ნახეს თეთრი სუფრაო. ჩვენ გარდა სასადილოში მხოლოდ რამდენიმე კაცი იმყოფებოდა, ცალ მხარეს დადამბლავებული მოხუცებული ინგლისელი, რომელსაც მომვლელი ხორცს უჭრიდა, კიდევ ფრანგი მარკიზი, რომელიც წვნიანს მიირთმევდა და თან წიგნს კითხულობდა – მხოლოდ უცხოები, მარტოსული ადამიანები, ერთი გერმანელი შეყვარებული წყვილის გარდა, რომელთა ქორწინების ბეჭდები, როგორც მაშინვე შევამჩნიე, ერთნაირი ოქროსი არ იყო, ორი ბედნიერი, თვალში საცემად მორცხვი ადამიანი. ახალგაზრდა ოფიციანტმა, გერმანელ-შვეიცარიელმა თავისი ფრანგულით ორივე გააწითლა. ასე იყო თუ ისე, მიზეზს ვერ ვხედავდით, რატომ უნდა ყოფილიყვნენ შტილერი და მისი ცოლი ამგვარად შეცბუნებულები. სამწუხაროდ, მთელი შაბათ-კვირის

განმავლობაში წვიმდა. გასეირნება გამოირიცხა, შტილერს და მის ცოლს კი არ სიამოვნებდათ ცარიელ დარბაზში ყოფნა. ამიტომ, ძირითადად, მათ ვიწრო ოთახში ვისხედით ჩემოდნებს შორის. საუბრის ზუსტი შინაარსი არ მახსენდება, უფრო მათი ქცევა დამამახსოვრდა. მისი ცოლი, რომელიც გაცვეთილ ტანსაცმელშიც ელეგანტურად გამოიყურებოდა, სულ ბოლთას სცემდა, თითქმის არ ლაპარაკობდა, მხოლოდ გვისმენდა და განუწყვეტლივ ეწეოდა. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, როგორც რუსები პარიზში, ან როგორც გერმანელი ებრაელები ნიუ-იორკში, როგორც ჩემმა ცოლმა აღნიშნა; მათ იქ არაფერი ეკუთვნოდათ. ქალბატონმა იულიკამ და ჩემმა ცოლმა პირველად ნახეს ერთმანეთი, და ზრდილობიანი ფრაზების გარდა, ერთმანეთისთვის, ფაქტობრივად, არაფერი უთქვამთ. შტილერი ბევრჯერ ეცადა, იუმორით გადაერჩინა სიტუაცია. მთლიანობაში, მდგომარეობა ძალიან დამთრგუნველი მომეჩვენა, უსასრულო დღე, წვიმიანი ფანჯრის შემყურე, ჩაი და ბევრი კვამლი, ერთი დიდი იმედგაცრუება; ალბათ ყველა მონაწილისთვის. ფული უთავდებოდათ, ძნელი მისახვედრი არ იყო. სამუშაოს პოვნა თითქმის გამორიცხული ჩანდა, მათი უნარების შესაბამის სამუშაოზე მოთხოვნა ნაკლებად არსებობდა. პარიზის ცეკვის სკოლაში დაბრუნება, რომელიც, სხვათა შორის, ქალბატონ იულიკას კი არა, მუსიე დმიტრიჩს ეკუთვნოდა, ალბათ ასევე გამორიცხული იყო. შტილერს ამ სრულიად გამოუვალ მდგომარეობაზე ეცინებოდა. ქალბატონი იულიკა იდგა და ელექტროჩაიდანში წყლის ადუღებას ელოდა, წვრილი ხელები კოსტიუმის ჯიბეებში ჩაეყო, თან ეწეოდა, შტილერი კი ჩემოდანზე იჯდა, ხელები ზევით აწეულ მუხლებზე შემოეწყო; ალბათ ბევრად განსხვავებულად არ ცხოვრობენ, როცა მარტო არიან, მეგობრულად, ალბათ სიტყვაძუნწად, ორი ერთმანეთზე მიჯაჭვული ადამიანი, რომელთაც გონიერება ჰკარნახობთ, რომ ერთმანეთი უნდა აიტანონ. შტილერმა წიგნები ითხოვა.

მათგან დიდხანს არაფერი გვსმენია. არც მე ვიცოდი, რა მიმეწერა, ჩვენი ვიზიტის შემდეგ, მით უფრო. ისე, ვაპირებდი. კარგი იქნებოდა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ. საკმაოდ ბევრი წიგნი გავუგზავნე, მათ შორის, კირკეგორის ერთი ტომიც, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. თვეები ისე გადიოდა, თითქოს შტილერები არც არსებობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობდით, ალბათ მისამართი შეიცვალეს-მეთქი. საერთოდაც, ცოტას ფიქრობ იმ ადამიანებზე, რომელთა ცხოვრებაც ვერ წარმოგიდგენია, გინდაც გეგონოს, რომ მათ სჭირდები. მაშინ ისინი სრულიად მივივიწყე; ჩემს ცოლს სხვა მიზეზები ჰქონდა, რის გამოც მიწერას ერიდებოდა,

უფრო სერიოზული მიზეზები.
დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ, ზაფხულის მიწურულს მომივიდა ხალისიანი წერილი, რომელშიც შტილერი გვატყობინებდა: „მაღალმა ღმერთმა ციხეში გატარებული თვეებისთვის დამაჯილდოვა და ვიპოვეთ ჩვენი ცხოვრების სახლი, უკვე ვიქირავეთ და გადავედით, une ferme vaudoise!
“ ამოვისუნთქეთ. საოცრად გაუმართლათ. ზღაპრულად დაბალი ქირა გვაფიქრებინებდა, რომ სახლი ასევე ზღაპრულად გავერანებული იქნებოდა, მაგრამ ჩვენი მეგობარი ბეჯითად იმეორებდა და წვრილად აღწერდა, რა არაჩვეულებრივი იყო მისი ferme vaudoise. ყოველ შემთხვევაში, ბედნიერი ჩანდა. უნდა წარმოგვედგინა მყუდრო, თავის დროზე ვაადტლანდურ ყაიდაზე აშენებული გლეხის სახლი, შეიძლება ადრე მეღვინისაც ყოფილიყო, ეს შტილერმა ზუსტად არ იცოდა; ფერდობზე ვენახი იყო გაშენებული, საღღაც იქვე ძველი საწნახელიც იდგა, იმდენი ხნის, რომ მოწიწებას იწვევდა, მსუბუქი საბძელი, იმხელა, რომ თავისუფლად გამოდგებოდა ატელიედ, ჭადრების ხეივანი, რომელიც მთელ მამულს ბატონკაცურ იერს აძლევდა. ზოგიერთ წერილში ჭადრებს კი არ ახსენებდა, არამედ თელებს. მომდევნო წერილებში საბძელი საერთოდ აღარ მოიხსენიებოდა. სამაგიეროდ, სხვა სასიხარულო რამეები გაჩნდა; უცებ შტილერმა ეზოში ძველი ჭა ახსენა და მისი ჭედურობა აღგვიწერა, კიდევ ფუტკრის სკა და ვარდების ბაღი. ყველაფერ ამას სიყვარულით და სითბოთი მოგვითხრობდა – ცოტა დაჟანგულია, ცოტა გაველურებული და ყველაფერი მუქ სუროშია ჩაფლულიო. ჩვენს ფანტაზიას ხანდახან ცოტა უჭირდა წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ გლიონის შემოგარენს ვიცნობდით. უნდა გვევარაუდა, რომ ჩვენი ბედნიერი მეგობარი ცოტას აჭარბებდა. მის ესკიზებზე ჩანდა კრამიტის დამრეცი სახურავი, ბოლოში ოდნავ მორკალული, როგორც ვაადტლანდში იციან, ირგვლივ ხეხილიანი ტერასა, უკან კი სავოის მთები; ოთხმოცთელიანი ხეივანი არსად ჩანდა. ჩემმა ცოლმა თავს უფლება მისცა, ჩაჰკითხვოდა! ცალკე ესკიზი გამოგვიგზავნა, თავისთავად, ისეთი მშვენიერი ესკიზი იყო, პასპარტუში ჩავსვით და ჩამოვკიდეთ; ზედ ეხატა დიდ გლეხურბუხრიანი ოთახი, ქალბატონ იულიკას იქვე ჩაემუხლა და ცეცხლს აღვივებდა; კიდეზე ეწერა, გულითადად გეპატიჟებით რაკლეტზეო.

„როდის ჩამოხვალთ?“ მალე ასე იწყებოდა ყოველი შემდეგი წერილი და მერე დააყოლებდა ხოლმე: „კიდევ ერთხელ უნდა შეგახსენო, რომ აქ მანქანით ვერ ჩამოხვალ, გზას ვერავინ მოგასწავლის, მანქანა

მონტროში დატოვეთ. მე ჩამოგაკითხავთ, სხვანაირად ჩემს ferme vaudoise ვერ მოაგნებთ!“
ზამთარი დადგა და შტილერს არ შევხვედრივართ. ფული არ ჰქონდა, რომ ციურიხში ჩამოსულიყო, არც სურვილი, რომც დაგეპატიჟა. გაზაფხულმაც ისე გაიარა, ერთმანეთი არ გვინახავს. დღეს ეს ამბავი მიკვირს. შტილერი საკმაოდ ხშირად გვწერდა; მის წერილებში ქალბატონი იულიკა ხშირად ჩანდა. ვიცოდით, რომ რაღაც ხანს სასურსათო მაღაზიაში მუშაობდა დამხმარედ. მაგრამ მთავარზე, მათ ცოლქმრობაზე წერილებში გადაკვრითაც არაფერი იყო ნახსენები, სამაგიეროდ, ორ თუ სამ გვერდზე აღწერდა მზის ჩასვლას. კაცმა რომ თქვას, დუმდა. მის წერილებს ყოველ ჯერზე ბოთლის ფოსტასავით ვიღებდი, ადგილმდებარეობას რომ გიმხელს და უფლებას არ გაძლევს, მისი დუმილი დაარღვიო, როგორც დაკითხვაზე, გინდა პირდაპირი კითხვით ეცადე, გინდა შეპარვით, გინდა გაღიზიანებით. ცდილობდა, ხალისიანად ეწერა.

„მგონი, არ გჯერა, – წერდა ისევ, – რომ ჩემი ცხოვრების სახლი ვიპოვე. რატომ არ ჩამოდიხართ? გაგიმხელ, რომ აქედან შიიონის სასახლე მოჩანს და დენ დიუ მიდი, დასავლეთის ქარს მატარებლის ხმა მოაქვს და საერთაშორისო რეგატას რეპროდუქტორის ხმაც, ჩვენი კურორტის სტუმრების საზაფხულო ცეკვების ჟრიამულიც და, არ უარვყოფ, რომ აქედან მონტროს რამდენიმე სასტუმროც მოჩანს, შეიძლება ითქვას, ყველა მათგანი, მაგრამ ჩვენ მაღლა ვართ, იცი, შინაგანადაც მაღლა. აი, ნახავ! სარდაფში, ეს ჯერ არ მომიწერია შენთვის, ცარიელი კასრები დგას, შეგიძლია ჩაყვირო და თავად შეგეშინდება საკუთარი ხმის და თუ გაისუსები, სხვენში თაგვების ხმასაც გაიგებ, შეიძლება ვირთხაც იყოს, ყოველ შემთხვევაში, მიხვდები, რომ ძელები ნამდვილია და ესაა მთავარი, იცი, აქ ყველაფერი ნამდვილია, ჩემი სახურავის ქვეშ მერცხლებიც ნამდვილია, სახურავის შეკეთებას მთელი ერთი კვირა მოვანდომე, იულიკას გული უსკდებოდა, არ ჩამოვარდეო. არადა, მეტისმეტად ვფრთხილობდი, ისე მწყურია სიცოცხლე, როგორც არასდროს და ასეთ მომენტში სულ გეჩვენება, რომ სიკვდილი მოგდევს, მაგრამ ეს გრძნობა, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, სიცოცხლის ნიშანია, ხომ იცი. სერიოზულად, ასეთი რამ იშვიათად განმიცდია: თითქმის ყოველთვის მიხარია მომდევნო დილის გათენება და მხოლოდ იმას ვნატრობ, ხვალინდელი დღეც ისეთი იყოს, როგორიც ამწუთას გალეული, რადგან აწმყო სრულიად მყოფნის, თავადაც გაოგნებული ვარ. ახლა სახელოსნოსაც მოვიწყობ, სულ შენს გამოგზავნილ კირკეგორს და ასეთ

მძიმე რამეებს ხომ არ ვიკითხავ, ვაზი უნდა ავაკრა, სარეველა დავგლიჯო, კიდევ ზუმფარის ქაღალდი მაქვს საყიდელი, ხელოვნური სასუქი, ლოკოკინების ფხვნილი, შეშა მაქვს დასაჩეხი, ხომ ხედავ: retour a'la nature ჰო, მართლა, შენს მეუღლეს უთხარი, ჭადრები კი არა, თელებია-მეთქი, სამწუხაროდ, დაავადებული, როგორც ყველგან დღესდღეობით, ვერავის აუხსნია, რატომ, თელებს ჩვენი ჟამთაცვლა არ მოსწონთ და უნდა მოჭრან, მართალია, ჩვენი მეზობლებისაა, მაგრამ მაინც ძალიან განვიცდით. ნახავ ნეტავ ამ თელებს? გუნებაში უკვე გელოდები იქ, ქვევით, მონტროს ბაქანზე; მერე მიმყავხართ საკმაოდ ციცაბო, ქვიან, ვაზით გარშემორტყმულ და ზაფხულში ღუმელივით მხურვალე, მაგრამ შემოდგომაზე გრილ, სხვათა შორის, საუკუნეების მანძილზე დახავსებულ და ამჟამად მხოლოდ შეშის შემგროვებლებისა და შტილერების (გამოითქმის შტილეეეერი) მიერ დასახლებულ vieux sentier[36]-ზე. მაგრამ რატომ უნდა აღგიწერო აქაურობა! ჩემს და შენს საყვარელ რამიუსთან წაიკითხე. როდის ჩამოხვალთ ბოლოს და ბოლოს? გთხოვთ: სანამ აქაურობა დანგრეულა, ხავსი ფეხებზეც მომდებია და სურო ამოგვსვლია თვალებიდან".

ასეთი წერილები რომ მოგვდიოდა, ღიმილის გარეშე ვერ ვიხსენებდით, ადრე როგორ დასცინოდა შტილერი სოფლურ ცხოვრებას, როგორც „შინაგან საპყრობილეს", ახლა კი, როგორც ჩანს, ისე კარგად გრძნობდა თავს თავის ferme vaudoise-ში, როგორც არასდროს. განსაკუთრებით შვება მოგვგვარა ცნობამ, რომ ქალბატონ შტილერს შესაფერი სამსახური ეშოვა ნახევარ განაკვეთზე; მონტროში, გოგონათა გიმნაზიაში, რიტმულ ტანვარჯიშს ასწავლიდა. შტილერმა კი თავად გამოიგონა სამუშაო. ჩემი ცოლის დაბადების დღეზე კერამიკის, თასებისა და დოქებისა და თეფშების მთელი კოლექცია ჩამოგვივიდა, სულ პრაქტიკული რაღაცები იყო. ამ საქმიანობაზე შტილერს არასოდეს დაუძრავს კრინტი. ახლა ამანათს წერილი მოაყოლა:

„ახლა აქ, გლიონში, უნდა იცოდეთ, თუკი როდისმე ჩამოხვალთ, დაბადებით კერამიკოსი ვარ. და ფულსაც კარგად ვშოულობ. და ერთ დღეს საკუთარი გამოსაწვავი ღუმელიც თუ მექნა, ეს საქმე მაგარ ამბავში გადაიზრდება. მაგრამ მერე, ფულის კეთება რომ მომბეზრდება, ზევით, კოში ავალ, ჩვენთან ძალიან ახლოსაა, მატარებლით ათი წუთი უნდა; მაგრამ ჯერ მანდამდე არ მივსულვარ, ჯერ ჩემით გამოწვას ვერ ვახერხებ. უპირატესად გემოვნებიან ამერიკელებზე ვყიდი. ჩემი ბაღის ჭიშკარს აწერია: Swiss pottery
. სწორედ ამერიკელები, რომლებსაც კერამიკის რაღაც გაგებით, ხშირად

გაკვირვებულნი რჩებიან, რომ ამ ქვეყანაში თითქმის იმავე ორნამენტს აწყდებიან, როგორიც საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ინდიელებთან არიზონას შტატში, ლოს ალამოსის ქვევით და განსაკუთრებით სანტა ფეს ინდიელების მუზეუმში“.
შტილერს არასოდეს განელებია ცულლუტობის ხალისი. რაღაც დოზით თამაში სჭირდებოდა, რომ ადამიანებთან თავი კარგად ეგრძნო. ერთხელ ჩემი ცოლი საფრანგეთის სამხრეთში უჩემოდ გაემგზავრა ბავშვებთან ერთად და გზად შტილერს გლიონში შეუარა. რომ ვკითხე, როგორია მისი „farme vaudoise“-მეთქი, სიცილით მოკვდა – საკუთარი თვალით უნდა ნახოო! სინამდვილეში, ეტყობა, ისე ზღაპრულად არ იყვნენ, როგორც აღწერდა. ქალბატონ შტილერს ხშირად უწევდა მთაში ასვლა. ასეთ დროს, როცა შტილერი მარტო რჩებოდა, გვიან ღამე იცოდა დარეკვა. ეს ზარები ხშირად თავს გვაბეზრებდა, სწორედ იმ დროს სტუმრები გვყავდა ხოლმე. უმეტესად ნასვამი იყო, კირკეგორზე ლაპარაკობდა და მეუბნებოდა, აუცილებლად მჭირდება შენი განმარტებაო. ძირითადად დუქნიდან რეკავდა; გადაუხდელობის გამო საკუთარი ტელეფონი ისევ გამორთული ჰქონდათ. მე კირკეგორის მცოდნე არასოდეს ვყოფილვარ; ის წიგნი იმიტომ გავუგზავნე, რომ ერთხელ ვილაპარაკეთ მელანქოლიაზე, როგორც ცხოვრების მიმართ ესთეტიკური დამოკიდებულების სიმპტომზე. მისი გვიანი ზარების დროს წიგნი ხელთ არ მქონდა, არც შტილერს. სინამდვილეში, ეტყობა კირკეგორს აღარც კითხულობდა, შესაბამისად, სხვა რამ აწუხებდა. ხანდახან თხუთმეტი წუთი და მეტი – ნახევარი საათი ეკიდა ტელეფონზე, ალბათ უბრალოდ, ადამიანის ხმის გაგონება უნდოდა. ფონად დუქნის რუზრუზი მესმოდა ხოლმე, წყლის ხმა, ფეხბურთის სათამაშო აპარატის ხმაური, შტილერის ძლივს მესმოდა. ალბათ ხშირად ფიქრობდა, როგორი დაწვრილმანება იცისო, და გულში მწყევლიდა. მისი ფინანსური მდგომარეობა ხომ ვიცოდი და ვცდილობდი, ეს ძვირადღირებული საუბრები მალე დამემთავრებინა. ეტყობა, მთელი არსით ვერ თანავუგრძნობდი. მისი ხუმრობები ვერ მომატყუებდა, ვხვდებოდი, როგორი მარტოსული იყო, როგორ სჭირდებოდა მეგობარი. სწორედ ეს ძალიან ზუსტი გრძნობა მიბოჭავდა ხელ-ფეხს. უმეტესად ვერ ვაძლევდი იმას, რასაც მოელოდა, რადგან თავად არ გამაჩნდა, და ამდენად, უსამართლობა იყო, უცებ რომ შემეკითხებოდა ხოლმე: ძუნწი ხარ? მაგრამ მერე დასძენდა: რამე თქვი, სულერთია, რა, ოღონდ თქვი! და გამუდმებით ამთავრებდა წინადადებით: თუკი ოდესმე გლიონში ჩამოხვალ, რისაც მე აღარ მჯერა! და ჩუმდებოდა, ოღონდ ყურმილს არ კიდებდა. მე რამდენჯერმე დავემშვიდობებოდი, ისევ მესმოდა წყლის ჩხრიალი ან როგორ ეძახდნენ

ველშელ ოფიციანტს ბუფეტთან. შტილერი დაუმშვიდობებლად ელოდებოდა, როდის დავკიდებდი ყურმილს. ამ გვიანი ზარების გვეშინოდა. ხშირად ტელეფონს არ ვპასუხობდით, ის კი ღამის ორ საათამდე რეკავდა.

წელიწად-ნახევრის უნახავი გვყავდა ერთმანეთი, როცა ოქტომბრის ერთ მზიან დღეს მონტროში მატარებლიდან გადმოვედი. ბაქანზე მაშინვე ვერ ვიცანი: ჩემი ყოფილი კოსტიუმი ბიურგერულ იერს აძლევდა და საოცარია, მაგრამ ჩემკენ ნაბიჯი არ გადმოუდგამს. ჩვენი მისალმება ცოტა დაძაბული გამოდგა. ვიცოდი რა, რომ მისი „vieux sentier“ ციცაბო და ქვიანი იყო, საქაღალდის მეტი თან არაფერი წამიღია; შტილერს უნდოდა გამოერთმია, მაგრამ ვიუარე. შტილერი, საოცარია, მაგრამ სულ არ შეცვლილიყო, მხოლოდ ისედაც შეთხელებული თმა გასჭაღარავებოდა და კიდევ უფრო გასცვენოდა, უფრო გამელოტებული მომეჩვენა. ჩემი ძველი კოსტიუმი, განსაკუთრებით მკლავებზე, ცოტა მოკლე ჰქონდა და ახალგაზრდულ იერს აძლევდა. შტილერმა მაშინვე მოიკითხა ჩემი ცოლი, შემდეგ ძალიან გულითადად, შვილები; ბავშვები ხომ ნანახი ჰყავდა. და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ საუბარი აღარ გაგვჭირვებია. წელიწადნახევარი ისე გავიდა, რომ ვერ ვნახე, ნაწილობრივ, მართლაც სამსახურში დაკავებულობის ბრალი იყო, ნაწილობრივ კი, არა; ეს ახლა ვიგრძენი. როგორც ჩანს, შეხვედრის მეშინოდა; ჩვენი მეგობრობა მისი პატიმრობის დროს დაიწყო და ხომ შეიძლებოდა, რომ მიუხედავად ჩვენი სურვილისა, დამთავრებული ყოფილიყო, რემინისცენცია აწმყოს ნაცვლად. მონტროში შტილერმა ღვინო იყიდა, „სენ საფორინი“, „რაღაც აქაური მინდაო“. ორი ბოთლი ჩაიტენა პიჯაკის ჯიბეებში, მესამე კი ყუმბარასავით ეკავა ხელში; ასე გავუდექით გზას. და მართლაც, ჩემდა გასაკვირად, ნამდვილად არსებობდა გლიონის შემდეგ vieux sentier. ქვიან და ციცაბო გზას, როგორც აღწერა, ვენახებს შორის მაღლა ავყავდით. დროთა განმავლობაში ასაკის სიმძიმე ვიგრძენით, აქოშინებულები შევჩერდით და გადავხედეთ შიიონის სასახლეს, ქვევით ტერიტეს და მის სასტუმროებს, ჩოგბურთის კორტებს, ფუნიკულიორსა და შალეებს, შორს კი ჟენევის დიდ, ლურჯ ტბას. თავი ხმელთაშუა ზღვაზე გეგონებოდა. თუ მეშჩანურ შალეებს არ მიაქცევდი ყურადღებას, ამ ლანდშაფტს თავისუფალი და ჩვენი ქვეყნისთვის ნაკლებად დამახასიათებელი სილაღე ჰქონდა. თუმცა, სად უნდა ყოფილიყო ამ გავერანებულ ფერდობზე ferme vaudoise, ვერ ვხვდებოდი. მალე გლიონში ვიქნებოდით. ვსაუბრობდით ღვინის მოყვანაზე, შემდეგ კულტურის ცნებაზე, რომლისთვისაც მოცალეობა აუცილებელია და სიამოვნების

კეთილშობილებაზე, კარტოფილსა და ყურძენს შორის ფუნდამენტურ განსხვავებაზე, ვენახებიანი გარემოს სულიერ ნეტარებაზე, ფუფუნებასა და ადამიანის ღირსებას შორის კავშირზე და ასე შემდეგ – რკინის ღობეზე აბრა Swiss pottery არ გამომპარვია. შტილერმა დაჟანგული ჭიშკარი ფეხით შეაღო და საუბარი არ გაგვიწყვეტია, ისე შემიძღვა ხავსით დაფარულ მოკირწყლულ გზაზე, ბაღის ნაირ-ნაირ ფიგურებს ჩავუარეთ და მისი ცხოვრების სახლს მივადექით. იქაურობის გავერანების ხარისხი, ერთი შეხედვით, სრულიად ამართლებდა დაბალ ქირას. მოჩანდა რკინის დაღვარჭნილი ლარნაკები, ნაწილობრივ დაზიანებული, თიხის ხელმოტეხილი აფროდიტე თუ არტემისი, პატარა ჯუნგლი, რომელიც ოდესღაც ვარდების ბაღი უნდა ყოფილიყო, ბევრი დაბრეცილი კიბე, აქეთ-იქიდან მინგრეული მოაჯირებით, ჩანს, რომ ცემენტის, დამყაყებული ჭა, ძაღლის ძველი ხუხულა, სარეველათი სავსე ტერასები, – ამას ეძახდა ბაღს, რომელიც უხვად მოერთოთ ჭრელი კერამიკის მხიარული ფიგურებით, მათი ნაწილი აქერცლილი, ნაწილი მთელი იყო. ჯერ მაინც მეგონა, რომ ეს მხოლოდ შესასვლელი იყო და სახლს მერე მივადგებოდით. შტილერი გაუთავებლად ლაპარაკობდა, უცნაური გარემო მასზე გავლენას არ ახდენდა, იქაურობა ხომ მისთვის ნაცნობი იყო. თავად სახლი, შალე, საბედნიეროდ, ისე დაეფარა სუროს, რომ მხოლოდ მისი ზედა ნაწილის უგემოვნობა მოჩანდა, აგურის პატარა კოშკურა სათოფურებით; უამრავი ორნამენტით გადატვირთული, უბრალოდ, გამოჩორკნილი ხის ფასადი, სადღაც ტუფის თლილი ქვა და ამ ყველაფერს ერთად მოეყარა თავი საკმაოდ გამოწეული სახურავის ქვეშ და თან, იქაურობას დიდი არ ეთქმოდა, უფრო ციცქნა, სათამაშოსავით, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. ხელთ შვეიცარიული ქოხი შემრჩა, რომელიც შორიდან ენათესავებოდა შოტლანდიურ ციხესიმაგრეს. შტილერმა ჯიბეებიდან ბოთლები ამოიღო, შარვლიდან გასაღები ამოაძვრინა და გამომიცხადა, ქალბატონი იულიკა დაახლოებით ერთ საათში მოვა გოგონების სკოლიდანო. ესე იგი უკვე იქ ვიყავით. როგორც შალეების უმეტესობას, ამ სახლსაც ჰქონდა მიკრული ხელოვნური მარმარილოს აბრა, რომელზეც ერთ დროს ოქროსფერი, მაგრამ უკვე გაშავებული ასოებით ეწერა MON REPOS შიგნიდან სახლს აღარ გავუკვირვებივარ. ხის დათვი მზად იყო, ქოლგები მიებარებინა, ზევით გაცრეცილი სარკე ეკიდა. მზიანი დღე იდგა და ჟენევის ტბის სინათლე ოთახების ნაცრისფერორნამენტიან თუ ჩამოტყავებულ ჭერზე ირეკლებოდა. აკვარიუმისთვის დამახასიათებელი მომწვანო სინათლე შემოდიოდა იუგენდსტილის ფანჯრებიანი ვერანდიდან. მატარებლის ხმა ალბათ ისევე ისმოდა, როგორც რკინიგზის დარაჯის ბინაში და იქვე

ახლოს ჭრიალებდა ფუნიკულიორის დაზეთილი ბაგირი. შტილერი ფუსფუსებდა და დრო რომ მომეკლა, ირგვლივ მიმოვიხედე; თეთრი ღვინო ცივი წყლის ნაკადის ქვეშ მოათავსა. შემდეგ გარეთ ვისხედით, მხიარული ფიგურების გარემოცვაში, ხავსიან ბალუსტრადაზე და ბოლოს და ბოლოს ამოვთქვი: „ესე იგი ეს არის შენი ferme vaudoise?!“\nშტილერი აღწერილსა და რეალობას შორის განსხვავებაზე ყურადღების შეჩერებას არ აპირებდა, მხოლოდ ეს თქვა: „ჩემი ოთხმოცი თელა რომ ვერ ნახე, ძალიან დასანანია, მოჭრეს, ყველა დაავადებულიაო, თქვეს“. და ამით ამოიწურა ხუმრობის ნაწილი. მე ვკითხე: „როგორ ხარ?“ და შთაბეჭდილება დამრჩა, შტილერს გადაეწყვიტა, არ ეწუწუნა. „შენი ცოლი როგორაა?“ – დამიბრუნა კითხვა. შემდეგ საუბრებშიც გაურბოდა მისი სახელის ხსენებას; არ ვიცი, რატომ. სხვა არავის ამბავი უკითხავს და ჩვენი საუბარიც, შესაბამისად, მძიმედ მიდიოდა წინ. „ამ ბაღის ფიგურებს რატომ ფარეხში არ დგამ?“ – ვკითხე, რომ რაღაც მეთქვა. შტილერმა მხრები აიჩეჩა: „დრო არა მაქვს, არ ვიცი, თან არც მაწუხებს!“ და მიუხედავად ყველაფრისა, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემი იქ ყოფნა უხაროდა. „იულიკა რომ მოვა, – თქვა, – ღვინო დავლიოთ!“ ამასობაში ვეწეოდით... ის არაფრის მთქმელი თხუთმეტი წუთი ძალიან კარგად მახსოვს. როგორ ეპყრობა ადამიანი დროს, რომელიც ცხოვრებისთვის აქვს ნაბოძები? ეს კითხვა გაცნობიერებული არ მქონდა, უბრალოდ, მაწუხებდა. როგორ უძლებს ამ კითხვას სრულიად დაუცველი შტილერი, ყოველგვარი საზოგადოებრივი თუ პროფესიული მნიშვნელოვნების გარეშე დარჩენილი. იჯდა გავერანებულ ბალუსტრადაზე, ცალი მუხლი ზევით აეწია, ხელები ამ მუხლზე შემოევლო, რომ ვუყურებდი, ვერ წარმომედგინა, როგორ უძლებდა თავის ყოფას, ჰო, საერთოდ, როგორ შეუძლია ადამიანს, რომელსაც გამოცდილებამ ასწავლა, რომ ერს უნდა მოელოდეს, თავისი ყოფის ატანა!.. მისი სახელოსნო ქვევით, სარდაფში მდებარეობდა, ნათელ სარდაფში ადრე სამრეცხაო იქნებოდა და ბაღის ავეჯის საწყობი, ერთ დროს, თეთრად შეფეთქილი, ახლა შპალერი ნაცრისფერ ობს დაეფარა, თუმცა მზე შუადღიდან საღამომდე ხვდებოდა. ამოვისუნთქე. ჩვენი მეგობრის დღეები აქ უფრო წარმომედგინა. „რამე უნდა აკეთო!“ – თქვა შტილერმა და მზა ნივთებს მათვალიერებინებდა, Swiss pottery,\nამით შოულობდა ცოტა ფულს. „ბრტყელი თასები იულიკას ყველაზე მეტად მოსწონს“. მერე თქვა: „ყველაფერს სწავლა უნდა, როგორც მოგეხსენება, ჩემგან ნამდვილი კერამიკოსი ალბათ ვეღარ გამოვა!“ განსაკუთრებული სიხარულით მაჩვენა თავისი გაკეთებული თიხის სადღვებელი. მე, როგორც დილეტანტს, მეგონა, თავისი საქმის დიდოსტატს ვესაუბრებოდი, ისე ლაპარაკობდა სხვადასხვა ხალხების და

ეპოქის კერამიკაზე, მოჭიქვის ზოგიერთი სახეობის საიდუმლოზე. რატომ მეჩვენებოდა შეცვლილი? გონება ახლა უფრო მიემართა უშუალოდ საგნებზე, ვიდრე ადრე, ასე მგონია. ადრე, რაზეც უნდა ელაპარაკა, გინდაც ზოგადად ქორწინებაზე, ან ზანგებზე, ან ვულკანებზე და ღმერთმა იცის, კიდევ რაზე, სულ თავის თავს გულისხმობდა, ახლა ლაპარაკობდა „თავის“ კერამიკაზე, „თავის“ სადღვებელებზე, „თავის“ ჭიქურზე, „თავის“ ხელობაზე და საერთოდ არ გულისხმობდა თავის თავს

„ბატონო პროკურორო!“ – მომესალმა ქალბატონი იულიკა. შტილერმა კი ლოყაზე აკოცა; ხელები თიხაში ჰქონდა დათხვრილი. ქალბატონი იულიკა აშკარად მოტეხილი მომეჩვენა, ისევ საოცრად ლამაზი ქალი გახლდათ, ძალიან უცნაურად გხვდებოდა თვალში მისი ახალგაზრდული, ბუნებრივად მბრწყინავი თმა. „ოღონდ ღვინის დასალევი მიზეზი იპოვოს!“ თქვა იულიკამ, როცა შტილერი თავისი ბოთლებისკენ გაეშურა, მანამ კი გარეთ, ბაღში ორი ყანყალა სავარძელი დაგვიდგა. „კარგია აქ, არა?“ თქვა იულიკამ. მიუხედავად ჩემი მზარდი სიმპათიისაა ამ უჩვეულო ქალის მიმართ, არასოდეს ვიცოდი, რაზე მესაუბრა მასთან. მისი სიცივე, რომელიც ალბათ დამფრთხალი ადამიანის ნიღაბი იყო, საკუთარ თავზე არ უნდა მიგელო. ალბათ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მცირე ემოციას გასცემდა და უკვირდა, თუკი ვინმე მის კეთილგანწყობას, შეხვედრით ან მცირე საჩუქრით გამოწვეულ სიხარულს ვერ იგრძნობდა. პატარა, ხელით ნაკეთებ თავშალს ათვალიერებდა. „იცით, რა, ასეთ რამეს აქ ვერ იპოვი,“ – მხოლოდ ეს თქვა. როგორც ვხვდები, რცხვენოდა სათქმელის სიტყვებით გამოხატვა, მეორე მხრივ კი, ისე გადადო გვერდზე პატარა თავშალი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მოეწონა, რომ მეც უხერხულად ვიგრძენი თავი, თითქოს დიდი სამადლობელო სიტყვის მოლოდინი მქონოდა. გამოვკითხე, როგორია გოგონების სკოლაში მუშაობა-მეთქი, მაგრამ ბევრი ვერაფერი შევიტყვე და დავფიქრდი, რითი დამეინტერესებინა იგი. სპილენძისფერი თმა უკან გადაეყარა და ისვენებდა, გასაგებია, რომ მუშაობისგან ცოტა დაღლილი იქნებოდა. „ჩვენი შტილერი ნამდვილი კერამიკოსი გამხდარა!“ დავიწყე მე და მან თავი დამიქნია. წელან, სარდაფში, ყურში მომხვდა, რომ შტილერმა თქვა, ბრტყელი თასები იულიკას ყველაზე მეტად მოსწონსო. ეს შეფასება გაფიქრებინებდა, ცოლი საკმარისად არ აღიარებს ან საკმარისად არ ინტერესდება მისი ნამუშევრებით, თან ალბათ სკეპტიკურადაც უყურებს მის საქმიანობასო. ჰო, ჩვენს კეთილ შტილერს აშკარად რაღაც აკლდა, გამხნევების მაგვარი, აღფრთოვანების ფარგლებში კრიტიკა; იქ, ქვევით, სარდაფში იფიქრებდი, ქალბატონ იულიკას მთელი მისი ქოთნობანა

თამაშად მიაჩნიაო. მერე მითხრა: „საოცარია არა, რამდენი შეძლო ამ ორ წელიწადში“. მეც ასე ვფიქრობდი. „მაშინ უნდა უთხრათ, – ვთქვი მე,– ძალიან გაუხარდება“. „ხომ ვეუბნები?“ „ხომ იცით კაცების ამბავი!“ – თავი ავარიდე პირდაპირ პასუხს, – ვინც გვიყვარს, იმაზე შთაბეჭდილების მოხდენა გვინდა და თუ არ გამოგვდის, მერე სხვა გზას ვადგებით!“ მე უფრო ვიხუმრე. „არ ვიცი, – თქვა ქალბატონმა იულიკამ და ორივე ხელით თვალები მოიფშვნიტა, – რას ელის ხოლმე ჩემგან. არ მითქვამს? მაგრამ თუკი არ ესმის ჩემი“. სულაც არ ვაპირებდი მათ საქმეში ჩარევას და საუბარი შევწყვიტე. „თქვენ ისევ თქვენობით მიმართავთ ერთმანეთს?“ შემოვარდა შტილერი და კიდევ უფრო დაძაბა ჩვენი ისედაც უხერხული მდგომარეობა. „გაუმარჯოს!“ – თავადვე გადაიტანა საუბარი სხვა თემაზე და მე და შტილერმა ერთმანეთს მომცრო ცივი ჭიქები მივუჭახუნეთ. „შენ არ სვამ?“ – ჰკითხა შტილერმა, როცა ქალბატონმა იულიკამ სავსე ჭიქას ხელი არ ახლო, არ უნდოდა დალევა, და გაიმეორა: „გაუმარჯოს!“ ერთი მომენტი მართლა ვფიქრობდი, ქალბატონი იულიკა ბავშვს ხომ არ ელოდება-მეთქი; ისე მტკიცედ და პრინციპულად იუარა ღვინო, თითქოს მისთვის დალევა არ შეიძლებოდა და გული დამწყდა, რომ ოდნავ მაინც არ გაისველა პირი. რაღაცნაირად თავიდანვე გამოგვეთიშა. ძალიან საჩოთირო საქმეა სამი ადამიანის ერთად ყოფნა-მეთქი, კიდევ ერთხელ მივხვდი! შედეგად, ძალიან ვცდილობდი, რომ შტილერს არ შევკვროდი. შტილერთან ყოფნა იოლია, მას შეგუების ქალური ნიჭი აქვს, ქალბატონი იულიკა კი არ ეწინააღმდეგებოდა გარიყულ მდგომარეობაში ყოფნას. უსიტყვოდ იწვა თავის თმაზე; მისი სახე, რომელსაც გვერდიდან ვხედავდი, მატყვევებდა და თან მანერვიულებდა, მისი გამომეტყველება შიშისგან თითქოს სამარადჟამოდ გაქვავებულიყო. შტილერს ეს არ ადარდებდა, თავს იწონებდა გონებამახვილობით, თუმცა ხშირად მიმართავდა იულიკას, ხმაში ნაზი თხოვნა ისმოდა, ნახევრად მზრუნველი და ნახევრად ძალადობრივი. ხშირად ვფიქრობდი: როგორ იადვილებს საქმეს, მომხიბვლელობით გადის იოლას, ხიბლი კი ჭარბად აქვს, არაფრად უჯდება. შტილერს თან სულ რაღაცის გამოსწორება უნდა, მე მგონი, და ისეთი ზრდილობიანი ხდება, შეგეშინდება. „გეყოფა! – სთხოვა ქალბატონმა იულიკამ, – არ მინდა ბალიში, მართლა არ მინდა!“ შტილერს ეწყინა, იულიკასკენ ნატყორცნი მოკლე მზერით თუ ვიმსჯელებთ: ეწყინა, თავიდან მიშორებსო. ჩემი გასარჩევი რომ ყოფილიყო, ქალბატონ იულიკას გავამართლებდი შეთავაზებული ბალიშის ზედმეტობის საკითხში. „სად გინდა მოაწყო გამოსაწვავი ღუმელი?“ – ვკითხე, რომ საუბარი სხვა თემაზე გადამეტანა; მაგრამ შტილერი არ მისმენდა. „მაინც

რატომ არ გინდა ეს ბალიში?“ – ჩააცივდა საწყალ ქალბატონ იულიკას, რომელმაც ბოლო-ბოლო გამოართვა ბალიში, ოღონდ დაეწყნარებინა, მადლობა არ უთქვამს, თავქვეშ კი არ ამოიდო, მუხლებქვეშ მოითავსა, სადაც ნაკლებად შეაწუხებდა. ორი კეთილი ნების ადამიანი! ვფიქრობდი მე და ცოცხალ ღვინოს ვაქებდი. არაფერ კავშირში არ იყო, მაგრამ პატარა ისტორია გამახსენდა, რომელიც ცოტა ხნის წინ მოვისმინე: „შენ ხომ ერთხელ მექსიკა აღმოაჩინე, – დავიწყე მე, – ეს ამბავი დაგაინტერესებს! ერთი კაცი ღორებს აშენებდა, აღარ მახსოვს, სად, მაგრამ საქმემ არ გაამართლა, არ ვიცი, რატომ, ტყავიდან ძვრებოდა, დიდი ჯაფა ადგა, არაფერი გამოსდიოდა, არადა, მთელი თავისი ქონება და ნახევარი სიცოცხლე ამ საქმეს შესწირა, მთელი თავისი მონდომება, მოკლედ, სულ წაგებაში იყო. ამას დაერთო კატასტროფული გვალვა. ხო ხდება ხოლმე? მდინარე დაშრა, არ ვიცი, რომელი, და ნიანგები ამობობღდნენ და სხვა წყალს დაუწყეს ძებნა. ერთ მშვენიერ დღეს გამოეცხადა ნიანგების მთელი ჯოგი, მათი გზა ზედ ამის საღორეზე გადიოდა. რა უნდა ექნა? იმ უბედურს შეეძლო, მაგალითად, სახურავზე ამძვრალიყო და ზევიდან დაეხოცა. მაგრამ ეს არ ქნა! აცალა ნიანგებს, სანამ არ შეჭამეს მთელი ღორები, მაინც ტყუილად ჰყავდა, ამასობაში უფრო მაგარი ღობე შემოაკრა თავის ტერიტორიას, ასე გამოუვიდა ნიანგების ფერმა, გახდა ხელჩანთებისთვის ტყავის მიმწოდებელი და ბედნიერი კაცი“. შტილერმა ხმამაღლა გაიცინა. ნამდვილი ამბავია-მეთქი! – დავამატე. „საოცრება არაა?“ – მიუბრუნდა შტილერი ქალბატონ იულიკას. იულიკამ ისე გაიცინა, ნაკვთი არ შესტოკებია და, საერთოდ, არ მახსოვს, ამ ქალს სხვანაირად გაეცინოს. სიცილი ყოველთვის სახეზე ახმებოდა; გეგონებოდა, გულიდან არ ეცინება, სიცილი დაეკარგაო. აბსოლუტური უაზრობა იყო ქალბატონი იულიკას გახალისების მცდელობა, მერე თავი სულელი გეგონებოდა. ახლა ჩემს თავზე ვბრაზობდი. რა საჭიროა ეს ლაყბობა! შემოდგომის მზიანი ნაშუადღევი იდგა, ზუსტად ის დრო, რომელიც შტილერმა აღწერა ერთ წერილში: „და მერე, ჩემო პატივცემულო, როცა გარეთ ვსხედვართ და შემოდგომის მზეც კი გვყოფნის ბედნიერებისთვის, როცა ისევ მწიფს ყურძენი, როცა ტბაზე ლითონის ბურუსი ჩამოწვება, მთები კი მკაფიოდ იკვეთება და ტყეები ოქროსფრად ელავს ხმელთაშუა ზღვის ცის ქვეშ, მთელ ტბაზე თვალისმომჭრელი, ნამდვილი ვერცხლისწყლის ბილიკი ლივლივებს, რომელიც ჯერ მოციმციმე თითბრად გადაიქცევა, მერე კი სპილენძად“. ვერცხლისწყლის ფაზას უკვე გადაევლო, ტბა თითბრის სტადიაში იმყოფებოდა. დროგამოშვებით აქეთ-იქით ვიყურებოდი; ბაღის სასაცილო ფიგურები, კომკურიანი შალე, სარეველა, ნაცრისფერი

აფროდიტე, ცარიელი, ხავსიანი და ყავისფერი ფოთლებით სავსე ჭა წყლის დაჟანგული მილებით, ვერანდა და მისი იუგენდსტილის ფანჯრები, სურო, სისხლივით წითელი ფუნიკულიორი საღამოს მზეში, ეს ყველაფერი ცოტა არარეალური მეჩვენებოდა. თავად მათ, შტილერსა და ქალბატონ იულიკას, ეს გარემო ნათხოვარი ტანსაცმელივით მოერგოთ, თითქმის უსიტყვოდ გრძნობდნენ, რომ საბოლოო ჯამში ყველა ტანსაცმელი ნათხოვარი და დროებითია. მე აღტაცებული ვიყავი მათით. რაც მართლა მათ ეკუთვნოდათ, იყო მზე და მისი ანარეკლი ქენევის ტბის სარკეზე, სახელოსნო სარდაფში, ყველანაირი სიძნელე, რაც ადამიანებს ახასიათებთ და ალბათ მათი უმწეო სტუმარიც. როგორც კი ქალბატონ იულიკას თავს დაანებებდი, ყველაფერი უცებ თავისთავად ცხადი ხდებოდა. მაგრამ ახლა შტილერი დაინტერესდა, მჯეროდა თუ არა რიტმული ტანვარჯიშის აღმზრდელობითი ეფექტის. ქალბატონი იულიკა საკმაოდ არადამაჯერებლად იცავდა ამ მეთოდს, შტილერი კი ფიქრობდა, რომ ქალბატონი იულიკა ისევ ნამდვილ ხელოვნებას უნდა დაჰბრუნებოდა და ლოზანაში საკუთარი საბალეტო სკოლა გაეხსნა. პრაქტიკული წინააღმდეგობების განხილვამდე საქმე არ მისულა; ქალბატონი იულიკას გაბრაზება ემჩნეოდა, შტილერს კი სწყინდა, რომ ცოლს მისგან არაფრის მიღება არ სურდა, არც ბალიშის და არც მისი ხელოვნებისადმი დაგვიანებულად გამოხატული რწმენის. ნაწყენი წამოდგა და შემდეგი ბოთლის მოსატანად წავიდა... „როლფ, – თქვა იულიკამ მარტო რომ დავრჩით, – უნდა გადაათქმევინოთ! არაფრით არ გამოვა, გთხოვთ, გადაათქმევინეთ! მაგიჟებს ამ იდეით!“ ჩემი მცდელობა, ამ იდეას პრაქტიკული შესაძლებლობების კუთხიდან მივდგომოდით და დავფიქრებულიყავით, რისი იმედი ჰქონდა შტილერს, როცა ქალბატონ იულიკას ამას სთავაზობდა და გვეკითხა, თავად მას როგორ წარმოედგინა თავისი მომავალი, სრულიად ყრუ კედელს დაეჯახა; იგი ისევ მიწვა, რადგან ჩემთან ლაპარაკსაც არ ჰქონდა აზრი და მწოლიარემ გააქნია თავი. „რა უნდა ჩემგან!“ – თქვა ბოლოს, რადგან მე ჩუმად ვიყავი, უემოციოდ. თვალები აუწყლიანდა, წვრილი, ფერმკრთალი ხელებით სავარძლის სახელურებს ჩასჭიდებოდა, როგორც კბილის ექიმთან იციან ხოლმე, რომ არ იკანკალონ. მთელი მისი მოქმედება, ვაღიარებ, ეგზალტირებული მეჩვენა და ვიგრძენი, რომ იძულებული ვიყავი, პოზიცია გამომეხატა აშკარად დიდი ხნის კამათში, არადა, პროფესიული არცოდნის გამოც, სულ არ მეპიტნავებოდა ამ თემაზე ლაპარაკი. „შტილერმა ხომ მასხარად ამიგდო ამ თავისი ferme vaudoise-თი!“ – ვთქვი მე, მაგრამ ამაზე არ გამომეხმაურა. „მაგრამ ეს მდებარეობა, ეს ადგილი! – ვაგრძელებდი ლაპარაკს, – რაც ყველაზე

მეტად მიყვარს ჟენევის ტბაში...“ არც ჩემი ლაპარაკი ესმოდა და არც ჩემი მონდომება, ნორმალურ საუბარზე გადავსულიყავით. „გადაათქმევინეთ!“ – კიდევ ერთხელ მთხოვა, ისევ ისე აღელვებულმა. „ნეტავ როგორ წარმოგიდგენიათ!“ ახლა უკვე ჩემ წინაშეც გააფთრებული იცავდა თავს, მაგრამ შემდეგ ბრდილობიანად შეარბილა: „არ გამოვა, მერწმუნეთ. არ გამოვა“. და მერე უცებ: „მან ხომ არ იცის“. „რა არ იცის? – ვკითხე მე, – რას გულისხმობთ?“ „არ მკითხოთ“, – მთხოვა, შეიკუმშა, წამოჯდა, შემდეგ სიგარეტს დასწვდა, მე კვესი ამოვიღე. „ამდენს არ უნდა ვეწეოდე“, – ისე შეშინებულმა თქვა, თითქოს მე დამეძალებინოს, ყოველ შემთხვევაში ცეცხლის შეგებებისთვის, რისი საჭიროებაც აღარ არსებობდა, მადლობა არ გადაუხდია. „მან ხომ არ იცის, – თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა, – ექიმთან ვიყავი“. ეტყობოდა, რომ ქალბატონ იულიკას ნამდვილად არავისთან გასჩენია ამ თემაზე ლაპარაკის სურვილი, ნანობდა, რომ საუბარი წამოიწყო; ბუნებრივია, ამბავს ველოდებოდი, თუმცა ხმას არ ვიღებდი. „მთელი მარცხენა ფილტვი, – თქვა მან, – არ მინდა, რომ უკვე იცოდეს. აუცილებელია. რაც შეიძლება მალე“. მისი უეცარი სიმშვიდე, რაღაცნაირი მობილიზება, მე რომ ეს უბედური ქალი სრულიად არაამქვეყნიური მეგონა, სამედიცინო ტერმინიც კი გამოიყენა, რომელიც მისთვის ექიმს არ უთქვამს, საკუთარმა გონებამ უკარნახა. სულ რომ არ ჩიოდა, ამან გამაოგნა, მიწაზე ვიყურებოდი, თითქოს რაღაცას ვეძებდი კენჭებში და ვერ ვბედავდი სახეში შემეხედა, რომ გამომეტყველებით არ გამეცა, რა მიტრიალებდა გონებაში. „ჰო, – თქვა მშრალად, – ასეა“. მისი მშრალი ტონი მეც გადმომედო. „და როდისაა დანიშნული ოპერაცია?“ – ვკითხე. „რაც შეიძლება მალე, – გაიმეორა, – არ ვიცი, როცა შიში გამიქრება...“ მალე შტილერი დაბრუნდა ახალი ბოთლით ხელში. გლიონში ავირბენ და ყურძენს მოვიტანო... „გადაათქმევინეთ!“ გაიმეორა ქალბატონმა იულიკამ, თითქოს ისევ ბალეტის სკოლის იდეა ყოფილიყოს მთავარი. ისევ თავის ახალგაზრდულ თმაზე იწვა. მე მგონი, უფრო მარტოსული ადამიანი, ვიდრე ეს ქალი, არასოდეს მინახავს. მის გასაჭირსა და სამყაროს შორის თითქოს კედელი აღმართულიყო, გაუვალი კედელი, – ეს მხოლოდ თავდაჭერილობა არ იყო, არა, მან იცოდა, რომ მისი არ ესმოდათ, ძველი და უიმედო, აუსრულებელი და ასევე უსაყვედურო და უკურნებელი გამოცდილება, რომ მის პარტნიორს მხოლოდ საკუთარი თავის ესმოდა. ძალიან მინდოდა მეკითხა, ცხოვრებაში ნუთუ არავის ჰყვარებიხარ-მეთქი. რა თქმა უნდა, არ მიკითხავს. და მას თუ უყვარდა ნეტა? უნებურად შევეცადე მისი ბავშვობა წარმომედგინა. ნეტა იმიტომ იყო ასეთი, რომ ობლობაში გაიზარდა? ყოველ წამს ველოდი, რომ

ქალბატონი იულიკა გულს გადამიშლიდა და ჩუმად ვიყავი, მის თანაბარ, ფუყე სუნთქვას ვუსმენდი. რა დაემართა? არაფრით მჯეროდა, რომ ადამიანი შეიძლება ასეთად დაიბადოს, თვით საშინელი გაჭირვების მდგომარეობაშიც კი ასეთი უტყვი დარჩეს. ვინ დამართა ეს? შტილერი უკვე თხუთმეტი წუთის წასული იყო, კიდევ ერთ თხუთმეტ წუთში დაბრუნდებოდა. „ახლა თქვენც ელით, – დაიწყო როგორც იქნა, – რომ რამეს გეტყვით? არაფერი მაქვს სათქმელი. მე ვეღარ შევიცვლები! ისეთი ვარ, როგორიც ვარ. რატომ ცდილობს შტილერი, რომ შემცვალოს?“ „ცდილობს კი?“ „ვიცი, – თქვა მან, – ალბათ კეთილი განზრახვით, დარწმუნებულია, რომ ვუყვარვარ“. „და თქვენ? – ვკითხე მე, – თქვენც გიყვართ?“ „სულ უფრო ნაკლებად მესმის მისი“, – მიპასუხა ტანჯული ფიქრის მერე. „იცით, როლფ, სულ რას ელის ჩემგან?..“ შედეგად, თავად დაბნეულმა, ისე, რომ მისი საშინელი საიდუმლო არ დამვიწყებია, ვეცადე, გამომეხატა ჩემი მაშინდელი ფიქრები შტილერის შესახებ, მისი შინაგანი სამყაროს, მოცემულობებისა და შესაძლებლობების მიმართ ამ ადამიანის ცხოვრების ბოლო წლების განმავლობაში, როგორც მეგონა, და როგორც ეს ყველაფერი შევიგრძენი. გამოხატვას ისე ვეცადე, რომ არც რამეში დამიდანაშაულებია, არც დამიცავს, არც რამე შემილამაზებია; დიდხანს გამყვა შთაბეჭდილება, რომ ქალბატონი იულიკა მისმენდა. კი ბატონო, მე უფრო მიადვილდებოდა შტილერის „გაგება“, ვიდრე ქალბატონ იულიკას და ამაში ვხედავდი მისი ბოლო შეკითხვის შემდეგ ჩემს იმწუთიერ ამოცანას. ლაპარაკისას ხის ტოტით ხრეშში რაღაცას ვხატავდი. ხანდახან თუ ავხედავდი, რომ ჩემი რომელიმე აზრის ან კითხვის შესახებ, რომელსაც მე, როგორც კაცი, ვერ გადავწყვეტდი, მისი მოსაზრება სახეზე მაინც ამომეკითხა, სრულიად ფორმადაკარგულ სახეს ვაწყდებოდი; – ეს სახე, რომელსაც სახეს ვეღარ ეტყოდი, არასოდეს დამავიწყდება. პირი ანტიკური ნიღაბივით ჰქონდა ღია. ამაოდ ცდილობდა, ტუჩზე ეკბინა. პირი ღია დარჩა, გაშეშებული, აკანკალებული. ვხედავდი მის ქვითინს და თან თითქოს ყრუ ვიყავი. მზერისგან დაცლილი ღია თვალები, ჩუმ ცრემლებში გაღღაბნილი, ორი პატარა მუჭი კალთაში – აცახცახებული სხეული იჯდა ჩემ წინ და ვერ ვცნობდი, ვერც ძახილით მივწვდებოდი, თავისი აღარაფერი შერჩა, არც ხმა, აღარაფერი, გარდა სასოწარკვეთილი სხეულისა, სიკვდილის შიშისგან უხმოდ მყვირალი ხორცისა. აღარ მახსოვს, რა ვქენი... მოგვიანებით, როცა ორ პატარა, კრუნჩხვისგან აკანკალებულ მუჭზე ვუჭერდი ხელს და როცა სახე დაქანცულობისგან დაუშშვიდდა, თქვა: „არ უთხრათ“. მე თავი დავუქნიე, რომ რაღაცნაირად თანამეგრძნო. „შემპირდით!“ – მთხოვა მან.

ცოტა ხანში შტილერიც დაბრუნდა ყურძნით. ქალბატონი იულიკა უკვე წამომდგარიყო და გვერდზე გატრიალებულიყო; შორიდან რაღაც მოგვაძახა ტკბილეულზე და გაგვეცალა. შტილერი არ მომეშვა, ყურძენი გასინჯეო, რომელიც დესერტად იყო გამიზნული. მართლა ვერაფერი შემატყო თუ თავს მაჩვენებდა, ვერ მივხვდი. შტილერი მარწმუნებდა, შენი ჩამოსვლა ძალიან გამიხარდაო, იმედი ჰქონდა, საღამოს გვარიანად გავატარებთო. საუბარი ღვინოზე გადავიტანე, როცა შტილერი გაკვრით შემეკითხა, იულიკა როგორ მოგეწონაო. „ჯანმრთელობას ვგულისხმობ, – თქვა მან, – ხომ არაჩვეულებრივად გამოიყურება?“ ფეხზე ვიდექით და ვსვამდით, მარცხენა ხელი ორივეს შარვლის ჯიბეში გვეწყო. როცა იულიკა ტკბილეულით ხელში დაბრუნდა, შალის ჟაკეტი ეცვა, არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. სახეზე ფერუმარილი წაესვა, მაგრამ მარტო ამაში არ იყო საქმე. მგონი, ამას თავადაც ვერ ხვდებოდა. საოცრად დავიბენი, თითქოს ეს იგივე ადამიანი არ იყო; თითქოს ის ქალი მხოლოდ დამსიზმრებოდეს. მართლაც აგრილდა და სახლში შევედით. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ გავატარებდით ამ საღამოს! მაგრამ შტილერისთვის უჩვეულო არაფერი ხდებოდა, არც ქალბატონი იულიკასთვის.

მაშინ წინამდებარე ჩანაწერები ჯერ არ მენახა, თუმცა ვიცოდი, რომ შტილერი წინასწარი დაკავების საკანში დღიურისმაგვარს წერდა. ამ ბოლოთქმის მიზანი არ არის, რომ მასში ურიცხვი შესწორება შევიტანო. მისი ჩანაწერების წინასწარგანზრახულობა, მისი შეგნებული სუბიექტურობა, ისიც, რომ შტილერი ხანდახან ტყუილსაც არ ერიდებოდა, მგონია, რომ საკმარისად აშკარაა; როგორც სუბიექტურად განცდილის ანგარიში, საკმაოდ ალალია. ის ხატი, რომელსაც ეს ჩანაწერები ქალბატონი იულიკასგან ქმნის, ჩემთვის შემაძრწუნებელია; იგი, მგონია, მეტს გვიმხელს ხატმწერზე, ვიდრე იმ ადამიანზე, რომელიც ამ ხატმა გააუპატიურა. საკითხავი ისიცაა, ცოცხალი ადამიანის ხატის შექმნაში ხომ არ ძევს თავიდანვე რაღაც არაადამიანური. არსებითად ეს შტილერს ეხება. ადამიანთა უმეტესობა ალბათ ჩანაწერებს არ აკეთებს, მაგრამ ჩვენ ყველანი მაინც ვაკეთებთ იმავეს, ოღონდ კვალს არ ვტოვებთ და შედეგი ყველა შემთხვევაში მწარეა.

გლიონში ჩემი სტუმრობა, რასაკვირველია, მერეც დიდხანს მაწუხებდა. ახალი დაბრუნებული ვიყავი სახლში, რომ ქალბატონი იულიკას წერილი მომივიდა, მიზეზის მიუთითებლად კიდევ ერთხელ მაფიცებდა, არაფერი თქვაო. რა აზრისაც უნდა ვყოფილიყავი, რა უფლება მქონდა ამ წყვილს შორის დუმილი გარედან დამერღვია, მანდატის გარეშე, როგორც

შემთხვევით და ალბათ არასასურველ თანამცოდნეს. ნეტა უბედურ ქალბატონ იულიკას რისი ეშინოდა, რომ შტილერი გონს დაკარგავდა და აუტანელ მდგომარეობას შეუქმნიდა? არ ვიცი. ან იქნებ ჰქონდა იმედის საფუძველი, რომ ოპერაციას გადაურჩებოდა? და კიდევ ერთი, რაც მაწუხებდა, თავად შტილერი იყო. შტილერს რაღაც დაემართა, ასე მეგონა. მასში ჩაიფერფლა მტანჯველი კითხვა, რას ვფიქრობდით მასზე, ჩაუკვდა შიში, რომ სხვაში გვეშლებოდა. მასთან ურთიერთობაში თითქოს მომეხსნა აქამდე გაუცნობიერებელი შებოჭილობა; მე თვითონ გავხდი უფრო თავისუფალი. სანამ ადამიანი თავად უარყოფს საკუთარ თავს, მუდამ ექნება შიში, რომ გარემო არასწორად გაუგებს და არასწორად მიიღებს, ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორ ვხედავთ ჩვენ მას და სწორედ მისი მხუთავი შიში, რომ არასწორი როლის თამაშს ვაიძულებთ, ძალაუნებურად, ჩვენც სულს გვიხუთავს. მას სურს, რომ თავი დავანებოთ, მაგრამ თავად არ გვანებებს თავს. არ გვაძლევს უფლებას, ვინმეში შეგვეშალოს, ვინ ვის აუპატიურებს? ამაზე ბევრის თქმა შეიძლება. თვითშეცნობა, რომელიც ადამიანს ნელა ან ჩქარა აუცხოებს საკუთარი ცხოვრებისგან, ხომ მხოლოდ პირველი, გარდაუვალი ნაბიჯია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – საკმარისი. რამდენ ადამიანს ვიცნობთ, რომლებიც ამ საფეხურზე ჩერდებიან, თვითშეცნობის მელანქოლიით კმაყოფილდებიან და მას სიმწიფის იერს აძლევენ. შტილერი ამ ეტაპს უკვე გაცდენილი იყო, მგონია, უკვე მაშინ, როცა დაკარგულობის ფაზაში გადავიდა. ახლა უკვე მეორე და კიდევ უფრო მძიმე ნაბიჯის გადადგმის პროცესში იმყოფებოდა, ეს ნიშნავს დაყარო ფარ-ხმალი და გამოხვიდე მდგომარეობიდან, რომ ის არ ხარ, ვინც ასე ძალიან გინდოდა ყოფილიყავი, და გახდე ის, ვინც ხარ. არაფერია იმაზე რთული, ვიდრე საკუთარი თავის მიღება! კაცმა რომ თქვას, ეს მხოლოდ მიამიტ ადამიანებს გამოსდით, და მაინც, ჩემ გარშემო იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც, კარგი გაგებით, მიამიტად ჩაითვლებოდა. ჩემი შეხედულებით, შტილერს, როდესაც წინასწარი დაკავების საკანში შევხვდი, საკუთარი თავის მიღების მტკივნეული პროცესის საკმაო ნაწილი უკვე გავლილი ჰქონდა. და მაინც რატომ ედგა ჯიბრში ბავშვური სიჯიუტით მთელ თავის გარემოცვას, თავის ძველ თანამგზავრებს? ჩემდა საბედნიეროდ, იმ ადრეულ შტილერს უშუალოდ არ ვიცნობდი; მასთან ნორმალური ურთიერთობა ამიტომ უფრო მიადვილდებოდა; ჩვენ ერთმანეთს ახლა შევხვდით. საკუთარი თავის მიღების მთელ ამ პროცესში, მიუხედავად დიდი სურვილისა, თვალი გაესწორებინა სინამდვილისთვის, ჩვენმა მეგობარმა ერთი რამ მაინც ვერ შეძლო, კერძოდ, არაფრად ჩაეგდო, აღიარებდა თუ არა

გარესამყარო. თავს სხვა ადამიანად გრძნობდა, სამართლიანადაც, იგი მართლაც განსხვავდებოდა იმ შტილერისგან, რომელსაც მაშინვე ცნობდნენ და უნდოდა ამაში ყველა დაერწმუნებინა; ეს ბავშვური სურვილი იყო. როგორ უნდა ვთქვათ უარი იმაზე, რომ ჩვენმა ყველაზე ახლობლებმა მაინც ამოგვიცნონ იმ სინამდვილეში, რომელსაც თავად ვერ ვცნობთ, მაგრამ, საუკეთესო შემთხვევაში, ცხოვრებას ვახერხებთ? ეს არ გამოვა, თუ არ ვირწმუნეთ, რომ ჩვენი ცხოვრება ზეადამიანური ინსტანციის მიერ იმართება, ანდა სულ მცირე იმედი მაინც თუ არ გვინათებს გულს, რომ ეს ინსტანცია არსებობს. შტილერი ამას ძალიან გვიან მიხვდა. მიხვდა კი? მაშინ, პირველად რომ ვინახულე შემოდგომაზე, ეს შთაბეჭდილება დამრჩა, თუმცა შტილერს მსგავსი არაფერი უთქვამს; იქნებ სწორედ ამიტომაც. თავად შტილერს, და ეს არის ალბათ მისი დადუმების არსებითი მიზეზი, საერთოდ არ გასჩენია მოთხოვნილება, თავისი გარდასახვის შესახებ მოეყოლა; აკეთებდა თეფშებს და ფინჯნებს და თასებს, სრულიად გამოსადეგ საგნებს, ჩემი შეხედულებით, ძალიან გემოვნებით, მაგრამ ეს აღარ იყო საკუთარი თავის გამოხატა. აღარ ეშინოდა, რომ ვინმე ვერ იცნობდა და, შედეგად, მასთანაც უფრო თავისუფლად გრძნობდი თავს, თითქოს ვიწრო კალაპოტისთვის დაეღწიოს თავი. მეც ვხვდებოდი, მიუხედავად ჩემი კეთილგანწყობისა, რატომ მეშინოდა ხოლმე აქამდე შტილერთან შეხვედრის. „დადუმება“ შეიძლება არასწორი, დამაბნეველი სიტყვაა. რასაკვირველია, შტილერი სიტყვაძუნწი არ იყო. მაგრამ, როგორც ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი იპოვა, ახლა ადამიანებსა და საგნებს საკუთარი „მეს“ გარედან უყურებდა და ირგვლივ ყველაფერი იქცა სამყაროდ, ეს სხვა რამე იყო, მისი მე-ს პროექციისგან განსხვავებული; მას აღარ უნდა ეძებნა და აღარ უნდა დაემალა საკუთარი თავი ამ სამყაროში. ეს შთაბეჭდილება დამრჩა გლიონში ჩემი პირველი სტუმრობისას, სხვათა შორის, მისი წერილებიც, თუკი ქალბატონ იულიკაზე არ იყო საუბარი, ამაში მარწმუნებდა. ქალბატონ იულიკასთან, მის ძველ თანამგზავრთან მიმართებაში, გასაგებია, რომ ყველაზე რთული იქნებოდა ძველი და გამანადგურებელი შიშისთვის დაეღწია თავი, ცდუნება იყო დიდი, მას ისე ვერ დაშორდებოდა, როგორც ამასობაში სხვა ადამიანებს დაშორდა. ერთობლივი წარსული ხუმრობა საქმე არ არის; ერთმანეთზე მიჩვევა, რაც ბუნებრივად ხდება, როგორც კი მოვდუნდებით, ჩვევები, რომელიც ყოველდღიურობაში გადადის, შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. ეს ისევეა, როგორც ხვიარები მოცურავისთვის: ვის არ გამოუცდია! მეორე მხრივ კი, მგონია, რომ ჩვენმა მეგობარმა იცოდა – გაქცევა შეუძლებელია; არ გიშველის

რომელიმე ახალი ცხოვრების დაწყება, როცა ძველს, უბრალოდ, მოისვრი. შტილერისთვის ნეტავ აღარ იყო მნიშვნელოვანი, მართლა მოეშორებინა წარსული, რომელიც ამ ქალთან აკავშირებდა, ის სტერილური, რითაც ეს ორი ადამიანი ერთმანეთზე გადაჯაჭვულიყო, კი არ გაჰქცეოდა, არამედ ახალ, ცოცხალ აწმყოში გადაედნო? სხვანაირად ეს ახალი აწმყო ვერასოდეს გახდებოდა ნამდვილი. ხომ ეს იყო მთავარი, არჩევანი წარმატებას და გაწბილებას, სუნთქვასა და სულის შეხუთვას, ანუ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, უფრო სწორად: სიცოცხლესა და არსებობას შორის. რასაკვირველია, ქალთან ურთიერთობაში, ცოლქმრობაში, ეს არ უნდა გახდეს უკანასკნელი საჯილდაო ქვა, მაგრამ ამ ურთიერთობაში გახდა. ბევრი სახის საჯილდაო ქვა არსებობს; შტილერმა თავისი მაინც იპოვა. ჩვენი იმედი, როგორც აღვნიშნე, ემყარებოდა საკუთარ ბედნიერ გამოცდილებას, რომ შტილერმა თავის მეგობრებთან მაინც მიაღწია ცოცხალ, არანაძალადევ, არამედ ნამდვილ და ბუნებრივ ურთიერთობას, რომ იგი, რაც მეტად ეგუებოდა თავის თავს, მით უფრო ამჩნევდა საკუთარი თავის მიღმა ადამიანებს და საგნებს. ზოგი უყვარდა და ზოგი სძულდა. კოქსი, მაგალითად, მართლა საშინლად ეზიზღებოდა, უზომოდ ვერ იტანდა. შტილერი „ტემპერამენტიან ადამიანად“ დარჩა, ქაოსურ ადამიანად, და ჩვენს მეგობარს უცებ ყველაფერი კი არ შეჰყვარებია ნაზი გრძნობით, მაგრამ მასში ახლა, ვფიქრობ, მეტი სიყვარული სუფევდა, ვიდრე ოდესმე და ვიმედოვნებდით, რომ ეს სიყვარული ქალბატონ იულიკამდეც მიაღწევდა, მას ხომ ეს ძალიან სჭირდებოდა.

ზამთარი ისე გავიდა, ერთმანეთს არ შევხვედრივართ. წერილიდან წერილამდე ველოდი ცნობას დაგეგმილი ან, იმედია, ბედნიერად გადატანილი ოპერაციის შესახებ. ნებისმიერი გაუგებარი, გადაკრული სიტყვა (P.S. რა უნდა ქნა, დაწყევლილი თუ ხარ?) მაშინვე მაეჭვებდა, ჩვენმა მეგობარმაც ხომ არ იცის უკვე ყველაფერი-მეთქი. მაგრამ მომდევნო წერილი ეჭვს მიფანტავდა, როცა იულიკას ჯანმრთელობის მოკითხვის პასუხად ან არაფერს მწერდა, ან იმედიანად მეხმიანებოდა. ამასობაში თებერვალიც დადგა. ის დაწყევლილი ოპერაცია, ეტყობა, ასეთი აუცილებელი არ იყო, გულზე მომეშვებოდა და თან მიკვირდა, ქალბატონმა იულიკამ ხომ იცოდა, მასზე როგორ შემტკიოდა გული, რატომ არასდროს მწერდა ამის შესახებ. მაგრამ, რას იზამ, ასეთი იყო. ერთხელაც ამანათი მივიღეთ, შიგ ციხეში დაწერილი შვიდი რვეული იდო. ერთადერთი, რაც შტილერმა გზავნილს მიაწერა, იყო: „აი, ჩემი ქაღალდები!“ ჩემთვის გაუგებარი დარჩა ამ ამანათის გამოგზავნის

მიზეზიც და მიზანიც, არასოდეს უხსენებია მანამდე. უნდოდა, სახლიდან მოეშორებინა ეს ქაღალდები, რომ მისთვის სული არ აეფორიაქებინა? ხანდახან ჩავიხედავდი ხოლმე ამ რვეულებში და კიდევ უფრო მეტად მინდოდა, რომ შტილერი ქალბატონი იულიკას მიმართაც, რომელიც ამ ჩანაწერებში საშინლად გაუპატიურებული მეჩვენებოდა, გაარღვევდა ბარიერს და ცოცხალ სინამდვილეში აღმოჩნდებოდა, და თან შიში მიპყრობდა, ეყოფოდა კი ამისთვის დარჩენილი დრო?

ოპერაცია მარტში გაკეთდა. ჩვენთვის არ უცნობებიათ, როცა აღდგომაზე მე და ჩემი ცოლი გლიონში ჩავედით, ჩვენი ორ თუ სამდღიანი სტუმრობა, აღდგომაზე ველშლანდში პატარა გასეირნების ჩათვლით, დიდი ხნის შეთანხმებული იყო. ჩვენდა გასაოცრად, MON REPOS-ში კარი დაკეტილი დაგვხვდა. კაი ხანს გამყვა განცდა, სანამ შალეს შემოვუვლიდი და ყოველი მხრიდან დავიძახებდი, რომ შტილერი და მისი ცოლი აქ საერთოდ აღარ ცხოვრობდნენ, აღარც გლიონში, აღარც დედამიწაზე, გაქრნენ და დატოვეს უცნაური ხარახურა, რომელიც მათი არასოდეს ყოფილა. სარდაფის შუშის კარი ჩაკეტილი არ იყო, მაგრამ სახელოსნოში არავინ დამხვდა. სამაგიეროდ, იქაურობას ახალი ნამუშევრის კვალი ეტყობოდა; მაგიდაზე იდო ერთ დროს ლურჯი, ამჟამად რეცხვით გახუნებული წინსაფარი, თითქოს სიჩქარეში მიაგდესო; სადღვებელზე – სველი თიხის გუნდა. გადავწყვიტეთ დაგვეცადა. წვიმიანი დღე იყო, ქენევის ტბაზე ნისლი ჩამოწოლილიყო, ლაბადებში გახვეულები ვისხედით სველ ბალუსტრადაზე და ერთმანეთს ვარწმუნებდით, ნერვიულობის არანაირი მიზეზი არ არსებობსო. სისველისგან აპრიალებული ბაღის ფიგურები, სუროში ჩაფლული აგურის კოშკურებიანი სახლი, დაჟანგული რკინის ღობე, ხელოვნური მარმარილოს დაფა წარწერით, რომლის ასოების უმეტესობა ჩამოცვენილი იყო, წვიმისგან გაშავებული ხავსი დახეთქილ ჭაზე, ყველაფერი უცვლელად დაგვხვდა. მაგრამ მზე რომ არ ანათებდა, იქაურობა დამთრგუნველი მოგვეჩვენა. ვეცადეთ, ხუმრობით გაგვეხალისებინა თავი, მაგრამ არ გამოგვივიდა. წითელი ფუნიკულიორი ცარიელი მისრიალებდა, ერთ საათში შებინდდა. მატარებელი ანთებული ნათურებით მიჩუქჩუქებდა, მონტროს სასტუმროებს შუქით გამოარჩევდი, ირგვლივ კი ყველაფერს თალხი გადაჰკვროდა. და არც ჩვენი მეგობრების სახლში ენთო სინათლე. ხეებიდან წვეთავდა. „სასტუმროში წავიდეთ, – ვთქვი მე – და მოგვიანებით დავურეკოთ!“ ჩემი ცოლი ჭოჭმანობდა. „სადაც ამდენი ხანი ვიცადეთ!“ თქვა მან, კიდევ ერთი სიგარეტი მოვწიეთ. მონტროს სინათლეები, შეიძლება უადგილო

შედარებაა, მაგრამ ბაბილონის მინავლებულ კაშკაშს გვახსენებდა, რომელიც ბევრი წლის წინ, „რეინბოუ ბარში“ ვიხილეთ ჩვენ ქვევით... შტილერი უპალტოოდ და უქუდოდ დაბრუნდა, ბოდიში მოიხადა, კარზე ბარათი არ დაგიტოვეთო, ჩვენი ჩამოსვლა, უბრალოდ, დავიწყებოდა. ვალ მონტის კლინიკიდან მოდიოდა, ქალბატონი იულიკასთვის დილით გაეკეთებინათ ოპერაცია. პირველად მოენახულებინა ცოტა ხნის წინ. მისი საკმაოდ ბუნდოვანი ახსნა-განმარტება ძირითადად ჩემი ცოლისკენ იყო მიმართული, რომელსაც ხელები საწვიმრის ჯიბეებში ჩაეყო და დამბლადაცემულივით იჯდა სველ ბალუსტრადაზე. უკვე წვიმდა კიდეც. შტილერმა გვამცნო, მართალია, ბოლომდე ვერ ვენდობი ექიმის გამონათქვამს, მაგრამ ოპერაციამ საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა, ის კი არა, ძალიან კარგად ჩაიარა, უკეთესად არც შეიძლებოდაო. ვერ მივხვდი, ხვდებოდა თუ არა ამ ოპერაციის მნიშვნელობას, თუ ჩვენთან აბიაბრუებდა, რომ კიდევ დამატებით ჩვენი შიშიც არ მიმატებოდა მისას. ქალბატონ იულიკას თურმე ვერ უცვნია, ვერც დალაპარაკებია. ყველაფერი ამ ღამეზეა დამოკიდებულიო, აგვიხსნა და ებღაუჭებოდა ექიმის ნებართვას, ხვალ დილით, ცხრა საათზე ისევ მომცა მონახულების უფლებაო, ეს იყო მისი ნუგეში. „რატომ ვდგავართ წვიმაში! – თქვა მან, – სახლში შევიდეთ, რა კარგია, რომ ჩამოხვედით!“ სახლში, შუქზე შევამჩნიეთ, რომ მკვდარივით გაფითრებული იყო, ჩვენს ჩემოდნებს ეჯიკავებოდა, თავი მოიკლა და ნამდვილი ვახშამი მოამზადა. ალბათ მართალი იყო ჩემი ცოლი, რომ თქვა, ვაცალოთ, აკეთოს რაც უნდაო, და შეაგულიანა კიდეც, ძალიან მინდა თბილი კერძიო. „ხო არა?“ თქვა შტილერმა, „ხო არა?“ ჩემი ცოლი ცოტას მიეხმარა კიდეც; ჩვენი მეგობრისთვის ახლა რაღაცის კეთება ერთადერთი განტვირთვა იყო. „იცი, რა, ამ ოპერაციას ხშირად აკეთებენ“, თქვა მან. მისთვის რომ მოგესმინა, იფიქრებდი, მთელფილტვიანი ადამიანები, კაცმა რომ თქვას, გამონაკლისიაო. ვახშამი გაამზადა, სამზარეულოში სუფრა ისე გაშალა, პიჯაკი არ გაუხდია, პალტო რომ ცმოდა, ალბათ არც იმას გაიხდიდა. თითქოს ერთი წამით შემოირბინაო; ამ დროს კიდევ თოთხმეტი საათი აშორებდა ხვალინდელ ვიზიტს ახლომდებარე კლინიკაში. „იცი, რა, – ამიხსნა მან, – ძალიან უცებ მოხდა, უნდა გაეკეთებინათ, რაც უფრო სწრაფად გაუკეთებდნენ, მით უკეთესი იქნებოდა“. შტილერმა მართლა მშვენიერი ბრინჯი მოგვიმზადა, რა თქმა უნდა, მარტო იმიტომ ვჭამეთ, რომ ერთმანეთი გაგვემხნევებინა. მერე ყველამ ბევრი მოვწიეთ. ჩემმა ცოლმა ჭურჭლის გარეცხვა ითავა, შტილერი კი ამშრალებდა, მერე ჩემი ცოლი გაგვეცალა. რადგან დღეს ის იჯდა საჭესთან, შტილერმა დაუჯერა,

დაღლილი ვარო, რომ თქვა. შტილერი ისეთ მდგომარეობაში იყო, ეჭვის დაშვების უნარიც აღარ ჰქონდა. მარტო რომ დავრჩით, სადღაც ცხრა საათის მერე, მივხვდი, რომ ჩემთან ამ ამბავზე ან საერთოდ ქალბატონ იულიკაზე საუბრის სურვილი არ ჰქონდა. აღმოვაჩინეთ, რომ ოდესღაც ორივენი ვთამაშობდით ჭადრაკს და გადავწყვიტეთ, გაგვეგო, ისევ გამოგვივიდოდა თუ არა თამაში. წესიერად აღარც კი მახსოვდა, როგორ იდგმებოდა მხედრები და კუები, ან დაფა როგორ უნდა დაგვედო, ასე თუ ისე, მარჯვენა მხარეს თეთრი უჯრა უნდა ყოფილიყო თუ შავი, შტილერმაც არ იცოდა. მაგრამ მაინც ვითამაშეთ, თითქოს ღამეს ვუთევდით. დილის ოთხ საათამდე ვითამაშეთ, სანამ ფანჯრებში ცა ნელ-ნელა არ განაცრისფერდა, აღდგომის ლამაზი დღე თენდებოდა, მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები მოჩანდა. შტილერმა თქვა, ეს ნიშანიაო.

ქალბატონმა იულიკამ ღამე გადაიტანა, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, არაჩვეულებრივადაც კი, და ჩვენი მეგობარი კლინიკიდან ბედნიერი დაბრუნდა, ამოვისუნთქეთ, თან აღდგომის მზიანი დილა იდგა; შტილერმა შემოგვთავაზა, გავისეირნოთო. „მიცნო!“ თქვა მან. ასეთი ბედნიერი ჩვენი მეგობარი არასოდეს მენახა. სანაპიროზე გავისეირნეთ შიიონისკენ, ჩემი ცოლი ჩვენ შორის მოდიოდა. შტილერი ქადაგად იყო დავარდნილი, თან დაბნეული, ყველაფერს გადასწვდა – მისი ძმის ვილფრიდის ცოტა ხნის წინ სტუმრობას, ანეკდოტებს ჰყვებოდა, მერე თავის ახალ ლოზანელ მეგობრებს აქებდა, ვიღაც წიგნის მაღაზიის მფლობელს და მის მეგობარ ქალს, დედამიწაზე მხოლოდ კარგი ადამიანები არსებობდნენ. შიგადაშიგ სულ დადუმდებოდა ხოლმე, და ყრუვდებოდა კიდეც. რკინიგზის რელსების მზით გამთბარ ხრეშზე ორი ხვლიკის მცმუკავ სიყვარულობანას ვაკვირდებოდით. ჩვენს მეგობარს ვკითხე, რას ერჩი შიიონის სასახლეს-მეთქი, წერილებში სულ დაცინვით იხსენიებდა, შოკოლადებზე და ქილებზე დაკრულ ბანალურ ნახატს კი არ ვგულისხმობდი, არამედ ჩვენ თვალწინ წამომართულ სასახლეს. მიზეზი ვერ დაასახელა, დილის მზეში განათებული შიიონის სასახლე და მისი გალავანი ძალიან მოგვეწონა. შტილერმა ვერც კი შეამჩნია, რომ სპეციალურად შევუჩიჩხინე, ამ ქვეყანაში ხომ აღრე ყველაფერს აგინებდა (რვეულების პირველი წაკითხვისას უსამართლოდ გამაღიზიანა მისმა გინებამ, რადგან შტილერს ჩემი თანდასწრებით ამაზე არასდროს უსაუბრია, ახლა მივხვდი, რომ მას მერე, რაც ბოლოს და ბოლოს საკუთარი თავი მიიღო, აღარ სჭირდებოდა უცხოს თამაში; შეეგუა ფაქტს, რომ შვეიცარიელი იყო). მარტის ლურჯი, ბურუსიანი დღე იდგა, ვალიზის ახლოს მთები თხელი, მსუბუქი და ვერცხლისფერი ჩანდა. „ბავშვები

როგორ არიან?“ იკითხა მან. რატომღაც ხაზგასმით სულ მე მომმართავდა, ჩემს ცოლს არა, რომელიც ჩვენ შორის მოაბიჯებდა. ვილნევში, სასტუმრო დუ პორტში ვისადილეთ – თევზი და იქაური ღვინო მივირთვით. რა გასაკვირია, რომ განუწყვეტლივ იულიკაზე ფიქრობდა. იქიდან, მგონი, ვალ მონტის კლინიკაც მოჩანდა. წვნიანსა და მეორე კერძს შორის დარეკა. „სძინავსო!“ გვითხრა. მხოლოდ შტილერი იტანდა არაჩვეულებრივ, არცთუ მსუბუქ ღვინოს ისე, რომ არ თვრებოდა. შტილერი ბოლო წლებში საკმაოდ სისტემატურად სვამდა. აღდგომა რომ იყო, ეკლესიების ზარების დილის რეკვის დადუმების შემდეგ განსაკუთრებით გადატვირთულ გზებზეღა თუ მიხვდებოდი. რონეს დელტაზე გავისეირნეთ, შუადღის მზე თვალს გვჭრიდა, ღვინოც თავისას შვრებოდა. მეთევზეებს ბადეები გაეშალათ გასაშრობად, ნავები გულაღმა ამოეტრიალებინათ ტბის პირას, რომ ახლიდან შეეღებათ; ზოგი ნავი გედებიან არხებში მოცურავდა. „სამუშაო დღეებში აქ არავინაა, სულ მარტო ხარ!“ თქვა შტილერმა, მაგრამ არც იმ დღეს ირეოდა ბევრი ხალხი. ჩვენი ბილიკი მეჩხერ ლელიანს მიუყვებოდა. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მურყნის, არყის, წიფლისა და აქა-იქ მუხის ხეები, ჯერ კიდევ შეუფოთლავი, ამიტომ კარგად ჩანდა ლურჯად მოკამკამე ჰაერი. მიწაზე შარშანდელი შემოდგომის ფოთოლი ეყარა, ჯერ არ დაეფარა სიმწვანეს და მიწას ალაგ-ალაგ თითქმის შავი ფერი ედო, ჭაობის ფერი. ის გასეირნება ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩა. მარჯვნივ, ლელიანს იქით, ჟენევის ტბა მოჩანდა, მარცხნივ კი სხვა სილურჯე, შორეული, ციცაბო მთების სილურჯე და რონის ხეობის დაბლობი. უხმოდ მივაბიჯებდით. უცნაურად დიდი ჩიტების გუნდი შექუჩებულიყო მაღალი ძაბვის მავთულებზე, ვერ ამოვიცანით, რა ფრინველი იყო. ალბათ ჩრდილოეთისკენ გასაფრენად იკრიბებოდნენ. ორი ლურჯ სპორტულ შარვალში ჩაცმული და ზევით ტანშიშველი ბიჭი ლერწამს წვავდა გამჭვირვალე ცეცხლში. კვამლი შემოდგომას გვახსენებდა, არადა, მარტი იყო და ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. ნეტავ არ დამელია-მეთქი, ვფიქრობდი, რადგან თითქოს ბინდი მქონდა გადაკრული თვალებზე, შტილერს ყველაფერი აინტერესებდა. გამომკითხა სამუშაოს ამბები, აღზრდის მეთოდებზე აინტერესებდა ჩემი აზრი. ნაპირთან საკმაოდ მიყრუებული ადგილი ვიპოვეთ, მაგრამ ხმაური მაინც ისმოდა; წყლის ზედაპირს შორეული მატარებლების ხმა ათრთოლებდა, ხანდახან ყურს სადგურის სიგნალი სწვდებოდა, ლელიანიდან ღუღუნის, შრიალისა და ჩურჩულის ხმა მოდიოდა, ჩიტები ჭყიოდნენ და აფრენისას წყლის გლუვ ზედაპირს ფრთებს უტლაშუნებდნენ. მზე კარგად გვათბობდა, მაგრამ მიწა სველი და ცივი აღმოჩნდა. შტილერმა ბღუჯა-ბღუჯა დაგლიჯა ბალახი, რომ ჩემი

ცოლისთვის მოხერხებული დასაჯდომი მოეწყო. თავისი საყვარელი სიგარა შევთავაზე, მაგრამ ამანაც ვერ აცდუნა, ბოლოს ნამდვილი ბუდე გაუმზადა, ჩემმა ცოლმაც სათანადოდ შეაქო, დაჯდა და მზეს თვალდახუჭული მიეფიცხა. შტილერმა ხელი შუბლზე გადაუსვა. ასეთ, სხვათა შორის ძალიან იშვიათ წამებში, ვაცნობიერებდი წარსულს; ჩვენ სამის ერთად ყოფნა თავზარს მცემდა, შეუძლებელი, მოულოდნელი რამ იყო ჩემთვის. მოკლედ, სიგარას ვეწეოდით. სამწუხაროდ, იქიდან კოს უშნოდ გამოჩხერილი სასტუმრო მოჩანდა და შტილერმა საუბარი წამოიწყო: „იქ, ზევით, ნამდვილად სასწაულს შვრებიან, ქრისტიანობას ქმნიან ღატაკებთან კი არა, მდიდრებთან ერთად, ალბათ მათ მეტს აგდებინებენ და მერე მართლაც აღწევენ იმას, რომ ასეთი ჩასაფრებული ტიპები, კარგად რომ მოიხვეჭენ, საკუთარ გულში ჩაიხედავენ და თავიანთ ორ, სამ, ოთხ ან ცხრა მილიონს სულის სიმშვიდისთვის ხარჯავენ ან იმისთვის მაინც, რომ კომუნიზმს სასწრაფოდ დაუპირისპირონ უკეთესი იდეოლოგია, საკუთარი მოთხოვნილებისთვის ერთადერთ მილიონს იტოვებენ, რომ სიბერეში თავიანთ სოფელს ტვირთად არ დააწვნენ; ასეთი ქრისტიანობის ატანა არ შემიძლია; შვიდი მილიონი უკეთესიაო, ამბობენ, არაფერს სჯობსო და ყველაფერ ამას ისე ნებაყოფლობით, ადამიანურად იბრუნებენ უკან, რომ ყველა ქვეყნის მუშები, თუკი ცოტა ტაქტი მაინც გააჩნიათ, არასდროს გაილაშქრებენ ამ ბანდიტების წინააღმდეგ, რადგან შესაძლებლობა, რომ ასეთი კაპიტალისტი ჯიბგირი უცებ გულში ჩაიხედავს და სამყაროს შიგნიდან გააკეთილშობილებს, აგერ, იმ სასტუმროში საშუდამოდ დამტკიცებულია, ამიტომ, ძალიან გთხოვთ, თუ უკეთესი მსოფლიო გინდათ, არავითარი რევოლუცია!“ ამასობაში ჩემმა ცოლმა ჩათვლიმა და ჩვენი საუბრით რომ არ შეგვეწუხებინა, მე და შტილერი ნაპირზე ჩავედით, ხრეშზე ვლაპარაკობდით და გეოლოგიაზე, თუმცა ამ საქმის ბევრი არაფერი გაგვეგებოდა. მერე ვცდილობდით, როგორც ბავშვობაში, თხელი ქვები წყალზე გაგვესრიალებინა და აგვეხტუნავებინა. შეჯიბრის ეშხით საკვირაო ჟაკეტები გავიხადეთ. ერთი წამით თითქოს ყველაფერი დაგვავიწყდა, ვალ მონტის კლინიკას ვხედავდით, მაგრამ ხომ ვიცოდით, რომ ქალბატონი იულიკა, ასე ვთქვათ, არაჩვეულებრივად იყო. თამაშმა მართლა გაგვიტაცა. ცოტა ხანში ჩვენმა ქალბატონმა სეირნობის გაგრძელება მოგვთხოვა. გვიანი ნაშუადღევი, ისეთივე უღრუბლო, უცებ თითქოს სულ სხვა დღეს ეკუთვნოდა, ვიდრე დილა. განცდა მქონდა, თითქოს ის დილა წლების უკან მოვიტოვეთ. უკანა გზაზე შტილერი მხოლოდ ქალბატონ იულიკაზე ლაპარაკობდა. უშვილობის გამო სინანული იულიკასგან არასდროს გამიგონია. შტილერი დარწმუნებული

იყო, რომ იულიკა უშვილობას ნანობდა და ამ განცდას თავადაც ითავისებდა, ანდა პირიქით. საყვედური არ გამოუთქვამს, არც საკუთარ თავს საყვედურობდა. ალბათ სხვანაირად არ გამოვიდოდაო, თქვა, მაგრამ ნამდვილი სინანული აწვა გულზე. ბოლოს, როცა უკვე ფუნიკულიორთან ვიდექით, ამ სიტყვებით დაამთავრა: „რა დასანანია, რომ იულიკა წესიერად ვერ გაიცანით!“ მე შევეწინააღმდეგე, ახლა ვიზამთ-მეთქი, და შტილერს თითქოს საკუთარი თავის შეეშინდა.

აღდგომის კვირა საღამოს შტილერი მალე დაბრუნდა იულიკასგან. მშვენივრად არისო! გვითხრა. ექიმს ეთხოვა, ნუღა ინახულებო. „ხვალ ისევ მომცეს ნახვის უფლება, – თქვა შტილერმა და უმალვე გაგვიფანტა წუხილი, – მშვენივრად არის, მაგრამ აბსოლუტური სიმშვიდე სჭირდება“. ჩვენ გვესმოდა და შტილერი ძალიან იმედიანად იყო, აღარაფერი უშლიდა ხელს, ამდენჯერ შეპირებული რაკლეტი გაემზადებინა, ანუ გაეთამაშებინა მხიარული და მყუდრო საღამო, ბუხარი აენთო, თეთრი ღვინო ჩაეცივებინა და სამი პატარა შამფური გამოეთალა, რომ ზედ ყველი წამოგვეცვა და ცეცხლზე გვეტრიალებინა. რასაკვირველია, ისეთი დიდი გლეხური ღუმელი არ იყო, ესკიზებში რომ ხატავდა, არამედ ხელოვნური მარმარილოთი მოპირკეთებული, ასევე არანამდვილ იუგენდსტილში. რაკლეტი, ყოველ შემთხვევაში, გერმანულ-შვეიცარიული სტანდარტით, შესანიშნავი გამოგვივიდა. სეირნობის მერე გვარიანად მოგვშივნოდა. შტილერმა იმ საღამოს ბევრი დალია. როგორც კი წამოდგომას დავაპირებდით, მაშინვე ახალ ბოთლს ხსნიდა და თერთმეტ საათამდე ასე ვისხედით, ცოტას ვლაპარაკობდით. არ დამთვრალა. ჩქარ-ჩქარა და პატარ-პატარა ყლუპებს სვამდა თეთრი ღვინის ვაადტლანდური წვრილი ჭიქით, ჩვენზე უფრო ფხიზელი ჩანდა, მაგრამ ემჩნეოდა, რომ მაინც არ გვისმენდა. თვალებზე ვატყობდი, საცაა იტირებდა. ვცდილობდი, ქალბატონ იულიკაზე მესაუბრა, მაგრამ არც მაშინ მისმენდა. ტანჯვა იყო. იქნებ მარტო რომ დარჩენილიყო ან ჩემთან და ან ჩემს ცოლთან, რამე ეთქვა. მაგრამ სამნი ვისხედით, ჩვენც არ ვიცოდით, რა გვექნა, საცოდავად ვცდილობდით, გაგვემხნევებინა. შტილერმა ესეც ჩვენზე უკეთ შეძლო. ნახევარი საათი შედარებით მხიარულად გავატარეთ, შემდეგ ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ჩვენს კოშკის ოთახში ავედით. შტილერი ქვევით დარჩა, შემოსასვლელში, ფეხზე იდგა – ზუსტად ისე, ღამღამობით რომ რეკავდა ხოლმე და არ გვემშვიდობებოდა, ჩვენ „ღამე მშვიდობისას“ რომ ვუმეორებდით და ის პასუხს არ გვცემდა. მე ეს უკვე ცუდ მანერად მიმაჩნდა, ძალადობის სენტიმენტალურ სახეობად, ასე უსიტყვოდ რომ ელოდა, სანამ მე არ შევწყვეტდი კავშირს ყურმილის დაკიდებით ან

კარის მიჯახუნებით... მე და ჩემმა ცოლმა, დაღლილობის მიუხედავად, ვერ დავიძინეთ.

სადღაც პირველ საათზე ისევ გამოვედი. შემოსასვლელში სინათლე ჩამქრალი დამხვდა, მაგრამ სასტუმრო ოთახში არა. ისევე ჩავედი, როგორც ვიყავი, პიჟამაში და ფეხშიშველი, ანუ თითქმის უხმაუროდ. ჩვენი მეგობარი ჩამქრალ ბუხართან იჯდა და თითქოს ჩასძინებოდა. მივუახლოვდი, რომ რამე წამეფარებინა, მაგრამ თვალები გახელილი ჰქონდა. „რატომ არ გძინავს?“ – თქვა მან, ძლივს ლუღლუღებდა. შტილერი ძალიან მთვრალი იყო. „აზრი არა აქვს, – ვთქვი მე, – დალევას აზრი არა აქვს...“ ისევ შეივსო ჭიქა, თითქოს ჯინაზე და გამომცდელად მაკვირდებოდა. სულ გონივრულ რაღაცებს ვლაპარაკობდი. შტილერმა ჭიქა გამოცალა და რომ წამოდგა, კარგად ბარბაცებდა. „ბავშვური საქციელია, – თქვა მან, – ზედმეტი მომივიდა, ვიცი, ცუდად მოვიქეცი, საზიზღრად, ბავშვურად...“ თავი გააქნია, იქაურობას თვალი მოავლო, თითქოს რაღაც დაეკარგაო, და სავარძლის საზურგეს ჩამოეყრდნო. „მოკვდება?“ – ისე მკითხა, არ შემოუხედავს. ვეცადე დამემშვიდებინა, მაგრამ საერთოდ არ მისმენდა; ცეცხლის მაშას ჩაებღაუჭა და არ იცოდა, რა ექნა. თვალები ცრემლში უცურავდა, მაგრამ ისეთი მთვრალი იყო, ჩემზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. „მოდი, – ვუთხარი, – დავიძინოთ!“ შემომხედა. „გუშინ შუადღისას, – დაიწყო, – როცა მეგონა, რომ კვდებოდა – გუშინ შუადღისას...“ ამაოდ ველოდი; წინადადება არ დაამთავრა. ახლა გონება აღარ აძლევდა ენას ლუღლუღის საშუალებას. „დაგვიანებულია“, – თქვა მოკლედ. „რა, – მინდოდა გამეგო, – რა არის დაგვიანებული?“ სიცივისგან ამაკანკალა. „ყველაფერი, – მიპასუხა როგორც იქნა, – ორი წელი, ჩემო ძვირფასო, ორი წელი, ვეცადე, ღმერთია მოწმე, მე...“ ღვინო შემოაწვა. „მაპატიე“, – ჩაილუღლუღა და დადუმდა. იქნებ ისეთი მთვრალიც არ იყო, როგორიც თავიდან მეგონა. ლაპარაკი უნდოდა, დავეხმარე გაეხსენებინა: „ეცადე?“ ისევ დაჯდა. „სულერთი არაა“, – თქვა. შტილერი არასოდეს მენახა ამ მდგომარეობაში და შემეცოდა, ისეთი უსუსური იყო, ისეთი საცოდავი, ისეთი სასაცილო. ოღონდ, არ ვიცოდი, რა მექნა. ჩემი გონივრულობა მე თვითონ მომეჩვენა უადგილოდ. „მოკვდება?“ ისევ ისე მკითხა, როგორც პირველად, თავი ხელებში ჩაერგო; მგონი, თავბრუ ეხვეოდა. „შენ თვითონ არ ელაპარაკე ექიმს?“ – მივუგე მე – რა გითხრა ექიმმა? ზუსტად რა გითხრა?“ დამჯდარიც ყანყალებდა, ოღონდ თავად ვერ გრძნობდა და ასანთსაც რომ სულ უკუღმა იღებდა კოლოფიდან, ვერ ამჩნევდა, ბოლოს შეეშვა, პირში მოღრეცილი და დაკუჭული, აუნთებელი სიგარეტი ედო.

„არასდროს არის გვიან“, – ვთქვი და თავადვე სულელური მომეჩვენა ჩემი ნათქვამი და ის აზრი დამეკარგა, რის თქმასაც სინამდვილეში ვაპირებდი. „არასდროს არის გვიან!“ – უღონოდ გაიცინა. „უბრალოდ, დავიწყოთ თავიდან, და თუ არ გამოდის, არ გამოდის; არ გამოდის, იმიტომ, რომ დაგვიანებულია?!“ შტილერი ხელის ერთი დაკვრით გამოფხიზლდა. „როლფ, – მიუხედავად იმისა, რომ ისევ ლუღლუღებდა, მაინც მკაფიოდ თქვა, მტკიცედ, – ადამიანის მოკვლა შემიძლია, მაგრამ მისი გაღვიძება არა...“ და ამით, ფიქრობდა, რომ ყველაფერი ნათქვამი იყო. ისევ ბოთლს სწვდა, მაგრამ ბოთლი, საბედნიეროდ, ცარიელი აღმოჩნდა და მხოლოდ რამდენიმე წვეთი გადმოდინდა. „რა აღარ გამოვა?“ – მეორედ ვკითხე. მხოლოდ თავი გაიქნია. „გიყვარს? – ვკითხე მე, – გინდა...“ თავი გააქნია, ჩემი კითხვა არც გაუგონია. „ჩემგან ველარაფერს იღებს! თავად ამბობს. და დგახარ მერე: დამანებე თავი. გულწრფელია. არ ვიცი, როლფ, რა არ გამოვა, აღარასდროს მკითხო. მე ეს ადამიანი გავანადგურე...“ დაჭყლეტილ სიგარეტს აკანკალებულ თითებში სრესდა, მაგრამ, როგორც იქნა, ლაპარაკი დაიწყო. „მე მას ვაგიჟებ, ვიცი. სულ რაღაცას ველი. საოცრებას! და მერე კანკალი მივარდება, როცა ვხედავ. ჩემი შეცდომაა. შეიძლება. ეს ადამიანი ასე არ შეცვლილა. ასე არა! მოთხოვნილება არ აქვს. თავი დამანებე! მეუბნება და დგახარ მერე ასე. არ მესმის მისი. სულ ესაა. მე მას ვერ ვპოულობ. მერე მძულს. ძალიან მარტივია: ჩაძაღლებული ვარ, როცა სიყვარული არ შემიძლია და ის...“ სიგარეტი დაძენძა. „საიდან იცი, შტილერ, რომ მასაც არ...“ თავი გააქნია. „შტილერ, ძალიან ამპარტავანი ხარ“, – ვთქვი მე. „და ის არ არის ამპარტავანი? მისი თავდაჯერებულობა“. ჩუმად იყო. „რას ეძახი სიყვარულს?“ – ვკითხე, მაგრამ ამასობაში შტილერს კიდევ ერთი ბოთლი ეპოვა, რომელმაც ჭიქა მართლაც თითქმის გაავსო. „შეეშვი სმას“, – ვთხოვე. მან დალია. „ეს ხომ სისულელეა, – განაგრძო, – როლფ, გაძაგძაგებს, ფეხშველა ყოფილხარ... რას ვეძახი სიყვარულს?“ დაფიქრდა, შეეცადა, ჭიქა ისევ გამოეცალა. „მარტოს ვერ მეყვარება, როლფ, წმინდანი კი არ ვარ...“ მართლა ძალიან აცივდა; მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ პლედი ვერ დავინახე, მოკუნტული ვიჯექი, მაგიდიდან უცებ გაზეთი ავიღე და ბუხარში შევკუჭე. ნაძვის რამდენიმე ნაფოტი ჯერ კიდევ იწვოდა, წიფლის დიდი კუნძიც იდო. ცოტა ხანი ამ საქმეს მოვუნდი... „რა უნდა ვქნა!“ უცებ უკნიდან მომესმა მისი ხმა: „რა უნდა ვქნა, რა?“ ისევ ფეხზე წამომდგარიყო და იმის დანახვაღა მოვასწარი, როგორ ირტყამდა ხელებს შუბლზე. ცარცივით თეთრი ფერი ედო, ისევ ბარბაცებდა, მაგრამ ალკოჰოლი, როგორც ჩანს, უკვე ტოვებდა მის ტვინს. აღარ ლუღლუღებდა. „რატომ ვერასდროს ვიპოვე ეს ქალი?

ვერასდროს! ერთი დღითაც კი ვერა, როლფ, ერთი საათითაც კი ვერა – მთელი ამ დროის განმავლობაში. ვერასდროს. რას ნიშნავს ეს?“ – კითხვა დამიბრუნა. „ჰო, – გავიმეორე მე, – რას ელოდი, შტილერ, ორი წლის წინ, აქ რომ ჩამოხვედით ერთად საცხოვრებლად. გეკითხები, რადგან არ ვიცი პასუხი. მის გარდასახვას ელოდი, როგორც ჩანს“. „საკუთარსაც“. ნუ გეწყინება, – ვთქვი და თან ბუხარს ვაღვივებდი, – მაგრამ ასეთი რამ ყოველთვის რომანებს მახსენებს. გარდასახვა? ადამიანი ხვდება, რომ მეორის წინაშე ცოდვა ჩაიდინა და სხვათა შორის, საკუთარი თავის წინაშეც და ერთ მშვენიერ დღეს მზადაა, ყველაფერი გამოასწოროს – იმ პირობით, რომ ადამიანი გარდაიქმნება... ასეთი მოლოდინი, ჩემო ძვირფასო, ცოტა იაფფასიანი ხომ არ არის?“ „როგორც ჩემი ყველაფერი“, – გავიგონე მისი სიტყვები, აღარ გამოვედევნე, არამედ ვკითხე: „თუ სხვა რამეს ელოდი?“ შტილერი გონს მოდიოდა, მე ცეცხლისთვის უნდა მიმეხედა. „ყველაფერს – რაც ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება“. ბოლოს თავად ვუპასუხე საკუთარ კითხვას: „შენს წერილებშიც, ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ სიყვარულზე კი არ ლაპარაკობ, არამედ მოფერებაზე, ჰო, ეროსის რომელიმე ფორმაზე. კაცს ჩვენს ასაკში ეს სჭირდება, შტილერ, და გადასარევია, თუ აქვს... ოღონდ, – დავამატე, – მგონი, აქ ამაში არაა საქმე“. ბუხარი კარგად ტკაცუნობდა და შტილერმა ლაპარაკის ინიციატივა მე გადმომილოცა, არადა, სულ არ მინდოდა. მაგრამ რა გაეწყობოდა, დაწყებული მქონდა ლაპარაკი. „არ გამოდისო, ამბობ და ნუთუ მართლა გიკვირს? ამდენი წლის გამოცდილების შემდეგ? და მერე ამბობ, ვეცადეო. რას ეცადე, ხანდახან კაცი იფიქრებს, თავი ჯადოქარი ჰგონია და უნდა, ქალბატონი იულიკა იმად გადააქციოს, რაც სინამდვილეში არ არისო. ესაა ერთადერთი, რაც გაინტერესებს – ძნელი სათქმელია! იულიკა შენი ცხოვრება გახდა, შტილერ, ასეა და მორჩა. რატომ დაბრუნდი იმ შენი მექსიკიდან? იმიტომ, რომ ასეთი რამ განიცადე. თქვენ წყვილი ხართ... გამოფხიზლდი! შენი აკვიატებული სისულელე, შტილერ, მაპატიე, მაგრამ უნდა გითხრა: შენი მომაკვდინებელი ქედმაღლობა – შენ როგორც ორივე თქვენგანის მხსნელი!“ შტილერი დუმდა. „ერთ საკითხში, – ვთქვი პატარა პაუზის შემდეგ, – ერთ საკითხში შენი არაჩვეულებრივად მესმის. ბედს ემორჩილები, უკან ბრუნდები, რომ ბედს დაემორჩილო, მაგრამ სულ ასე არ იქნება. რადგან, ვინ იცის, ფარ-ხმალის დაყრა არ გამოგივიდეს, შეგუება არ გამოგივიდეს, შედეგად ყველაფერი არ გააფუჭო... ხომ თქვი, ვკანკალებო. ჰოდა, იკანკალე! იცი, რასაც ვგულისხმობ. კანკალებ, რადგან შენგან ისევ და ისევ მორჩილებას ითხოვენ... შტილერ?! – დავუძახე, – რაზე ფიქრობ?“ შტილერი იდგა, მე ოთხფეხაზე ვიჯექი და

შიშველი ფეხები ცეცხლისთვის მქონდა მიშვერილი; ხმას არ იღებდა. „ხომ არ გგონია, – ვთქვი მე, – რომ სხვა, უფრო გახსნილ ქალთან, მაგალითად, სიბილესთან, მოახერხებდი შენი თვისებების დათრგუნვას. ნუ თუ მართლა გგონია?“ რომ შემოვტრიალდი, მისი სახე ქვევიდან დავინახე, ბუხარს უყურებდა. „ისეთ რამეებს მალაპარაკებ, – შევწყვიტე საუბარი, – რაც თავადაც კარგად იცი“. შტილერს არ ეძინა, იდგა, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეყო, თვალები გაეხილა, ფხიზელი, მაგრამ ცარიელი, გაშეშებული მზერა ჰქონდა. „შტილერ, – ვუთხარი მე, – შენ ის გიყვარს!“ თითქოს არაფერი ესმოდა. „მითხარი, მარტო ხომ არ გირჩევნია ყოფნა,“ – ვთქვი და გაღუღუნებული ბუხრის სითბომ და დაღლილობამ მაგრძნობინა, როგორ მეძინებოდა, ძლივს შევიკავე მთქნარება. „რომელი საათია?“ – იკითხა შტილერმა. ორი სრულდებოდა. „ის დამელოდა! – თქვა მან, – იცი, ის დამელოდა და მე მას არ დაველოდე. არ დაველოდე! ჩვენი პირველი ერთად გასეირნებიდან მოყოლებული, მელოდებოდა. მე არ დაველოდე: არც მას, არც რაიმე ნიშანს, არც გამოხატვას, არც დახმარებას, არც მეგობრებს, არაფერს. ამდენი წელი გავიდა! მე მას ვამცირებდი და იგი მე არა!.. ასეა?“– მითხა მან. „ვინ ამბობს ამას!“ – შევუბრუნე კითხვა. ახლა დაჟინებით მიყურებდა. „როლფ, – დაიწყო ახსნა, – მას სიკვდილი უნდა!“ თავი დააქნია: „ესეა!“ მომდევნო ხუთი თუ ათი წუთის განმავლობაში ვუმტკიცებდი საპირისპიროს, არაფრის გაგონება არ უნდოდა. მხოლოდ ღვინო რომ მოაწვებოდა, ბუტბუტებდა: „მაპატიე, ქენი რამე, შტილერ, სანამ დროა!“ „ის კლინიკაში წევს და შენ კიდევ წუწუნებ? მოკუნტული იყო, სანამ იდაყვზე არ ვწვდი და არ შევანჯღრიე. „ვიცი, – თქვა მან, – სასაცილო ვარ“. „არ არის ეგრე, შტილერ, ნუ ჩაიგდებ თავს სასაცილო მდგომარეობაში, შენ უკვე წინ წახვედი. რაც წელან თქვი, თავადაც ხომ არ გჯერა. ვინ კვდება სხვის ჯინაზე ან სხვისი გულისთვის! ძალიან დიდი წარმოდგენა გაქვს საკუთარ თავზე, შენ გგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ხარ მისთვის. შენ მას ისე არ სჭირდები, როგორც გინდა, რომ სჭირდებოდე... შტილერ?!“– დავუძახე, რადგან ისევ სიმთვრალეს აფარებდა თავს და საუბარს გაურბოდა. „რატომ გაგიჩნდა უცბად შიში, რომ მოკვდება?“ „ძალიან დიდი წარმოდგენა მაქვს საკუთარ თავზე?“ „ჰო, – ვუთხარი მე, – ამ ქალს არასოდეს უფიქრია, რომ შენ ხარ მისი ცხოვრების ამოცანა. მე მგონია, რომ შენ გახადე ის რაღაც ამდაგვარი, თავიდანვე. შენ გინდოდა მისი მხსნელი ყოფილიყავი, მისთვის სიცოცხლის და სიხარულის მიმნიჭებელი. შენ! ამგვარად გიყვარდა, რა თქმა უნდა, სანამ თავად არ დაიცალე სისხლისგან. ის შენი ქმნილებაა. და ახლა შიში მოგეძალა, რომ შეიძლება მოკვდეს! ის არ გახდა ისეთი,

როგორსაც შენ ელოდი, შენ ეს ქმნილება ვერ დაასრულე!..“ შტილერი ფანჯარასთან მისულიყო და გამოეღო. „ცუდად ხარ? – ვკითხე, – რატომ არ ჯდები?“ ზურგი შემაქცია, ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა. „გააგრძელე“, მთხოვა. „წყალს მოგიტან“, ვთქვი და ბუხრის მაშა დავდე, რომ ავმდგარიყავი. „ხშირად გწერდა წერილებს?“ ვუპასუხე: „ერთადერთხელ მომწერა, რატომ მეკითხები?“ ისევ შუბლი მოიწმინდა. „სულერთია“, – შეწყვიტა – სულაც არ მგონია, შტილერ, რომ მე შენი ცოლის მესმის, ჩვენ, მე და შენი ცოლი, საკმაოდ უცხონი ვართ ერთმანეთისთვის, რაზე უნდა გვესაუბრა? სხვათა შორის, ძალიან მოკლე წერილი იყო“. ნაღვლიანად დამიქნია თავი: „შენ მისი გესმის, კი, კი. ეს მისთვის ბედნიერებაა“. და მერე: „ძალიან ცუდად ვარ, უნდა მაპატიო“. შტილერი მაინც არ გასულა, რომ შემსუბუქებულიყო. ცვილის ფერი ედო და რამდენჯერაც შეხედავდი მის თვალებს, ხვდებოდი, რომ ახლა მხოლოდ ერთი კითხვა ღრღნიდა: მოკვდება? თავს ძალას ატანდა, რომ სხვა რამეზე ეფიქრა. ამიტომ უხაროდა, რომ სხვა ლაპარაკობდა. „რაღაცის თქმა არ გინდოდა?“ – მკითხა მან. მაგრამ მე აღარ მახსოვდა, სად გავწყვიტეთ საუბარი. რაღაც ასეთი ვთქვი: „ჰო, მართლა... შენი ქაღალდები წავიკითხე“. „დაწვი!“ „რომ დავწვა, რა? – შევეპასუხე, – დასაწვავად ხომ არ დაგიწერია... შენი ცოლისთვის იბრძოლე, როგორც ამბობენ ხოლმე. მგონი, ერთადერთ პუნქტში მესმის მისი. ვის მოაფიქრდება, საკუთარ მხსნელს ჰკითხოს, შენ როგორ ხარო? იგი მიეჩვია, ამდენი წლის განმავლობაში მიეჩვია, რომ შენ არ გინდა იყო საწყალი და სუსტი კაცი, არამედ მისი მხსნელი“. შტილერმა გაიცინა: „რატომ პირდაპირ არ მეუბნები?“ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, ვერც მისი სიცილი გავიგე. რომ შევხედე, ერთიანად ცახცახებდა; ციებ-ცხელებას აეტანა. „არაფერია, – თქვა მან, – ამ იდიოტური სმის ბრალია!“ მერე ერთადერთ მაღალზურგიან სავარძლამდე მივიყვანე, რომ თავი მიეყრდნო და ფანჯარა დავკეტე. „ხომ არ ჯობია, – ვკითხე, – რომ საწოლამდე მიგაცილო?“ თავი გააქნია, წიფლის კუნძი ღადარში შევაგდე. სახე ხელებში ჩაერგო და მკითხა: „რა უნდა ვქნა? მეორედ ხომ არ მოვალ ამ დედამიწაზე, როლფ, არც მინდა... რა არის ჩემი დანაშაული? მითხარი. მე არ ვიცი. რა ჩავიდინე? მითხარი, იდიოტი ვარ, მითხარი!“ „მე შენი ქაღალდები წავიკითხე, – გავიმეორე, – იქ გეტყობა, რომ საკმაოდ ბევრი რამ იცი“. ხელები სახიდან ჩამოუშვა. „ცოდნა რომ შველოდეს საქმეს!“ – თქვა მან, დიდხანს იჯდა ჩუმად ჩამოშვებული ხელებით, იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო. „გახსოვს შარშანდელი შემოდგომა? – მკითხა მან, – ჩვენ, სამნი, რომ ვიყავით ერთ საღამოს. არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ არა უშავდა, მე მგონი. ჩემთვის

ღღესასწაული იყო... მთელი ზამთრის განმავლობაში აღარ გაგვიტარებია ასეთი საღამო, მე და მას. მე აქ ვზივარ ხოლმე, ის მანდ, მე ვიტანჯები, მას კი ასე ჯდომა აკმაყოფილებს!“ „საიდან იცი, შტილერ, რომ აკმაყოფილებს?“ „მაშინ რატომ არ ყვირის? – მკითხა მან, – მე ვარ ამპარტავანი და ის არა? ის ჩემს კეთილგონიერებას ელოდებოდა. რამდენი წელი? ორი წელი, თოთხმეტი წელი. რა მნიშვნელობა აქვს. ამიტომ გამოეცალა ძალა, გესმის?! მე მოვსპე და გავანადგურე. მან კი მე ვერ მომსპო და ვერ გამანადგურა!“ „მაგას ვინ ამბობს?“ „ის“, – სარკასტულად გაიცინა და თავი სავარძლის ხის საზურგეზე გადააგდო: „მე იგი დავამცირე, და მან მე არა?“ „შტილერ, – ვთქვი მე, – ახლა თვითგვემას ნუ მოჰყვები. რას ელოდი? იმ ყველაფრის მერე, რაც იყო, რომ მუხლებზე დაეცემოდა? და თანაც შენ წინაშე?“ გაჩუმდა, თავი სავარძლის საზურგეზე ჰქონდა მიყრდნობილი, ჭერს შესცქეროდა. „მე მჯერა შენი, შტილერ, ვიცი, რომ ხანდახან ყველაფრისთვის მზად ხარ, ბევრი რამისთვის. მერე ისევ გიპყრობს თვითშეცოდება, ზიზღი, რადგან მისგან მოწყალებას ელი: ადამიანისგან. ასე არ არის? – ვკითხე მე, – ხანდახან რომ მუხლებზე ეცემი, უადგილოა“. „მეზიზღება, – თავისთვის ჩაილაპარაკა, – ხანდახან მეზიზღება“. და მერე: „მე რაში მარგია, სხვებთან თუ რამეს ამბობს? მე ვარ ის, ვინც მას ელოდება. მე! და არა ვინმე ბრძენი მეგობარი ან პატივცემული დეიდა, მე, როლფ, მე მჭირდება მისგან ნიშანი!“ მეჩვენებოდა, რომ სიბრაზე სიამოვნებდა. „რატომ არ გაშორდით ერთმანეთს?“ – ვკითხე მე. „ხომ იცი, რომ უმეტესობა ასე იქცევა, თუ გამოსდით. რატომ დაბრუნდი მაშინ? მე მგონია, რომ გიყვარს და იმიტომ. და რადგან არ გამოდის, ჰოპ და, ახალი ცხოვრების დაწყება მოინდომე, რადგან ძველმა არ გაამართლა. უპირველეს ყოვლისა, ესაა. არ გაამართლა, მაგრამ მაინც ჩვენი ცხოვრებაა. ჩვენი საკუთარი და ერთადერთი ცხოვრება“. და მერე შტილერს უნდოდა სიტყვა გაეწყვეტინებინა; მაგრამ რადგან გავჩუმდი, ისიც გაჩუმდა. „არ ვიცი, – ვთქვი მე, – რას გულისხმობ დანაშაულში. ყოველ შემთხვევაში, იმას უკვე მიაღწიე, რომ დანაშაულს სხვაში არ ეძებ. მაგრამ, არ ვიცი, ალბათ ფიქრობ, რომ შეგეძლო დანაშაული თავიდან აგეცილებინა. დანაშაული იმ შეცდომების ჯამია, რომელიც შეგეძლო თავიდან აგეცილებინა, ასე ფიქრობ? მე კი მგონია, რომ დანაშაული სხვა რამეა. თავად ჩვენი არსებობაა დანაშაული“. „რატომ დავბრუნდი?! შენ ეს არ გამოგიცდია. იდიოტობაა, მეტი არაფერი, სიჯიუტე! ნუთუ ვერ ხვდები? როცა ნახევარი სიცოცხლე კარის წინ იდექი, აკაკუნებდი, ღმერთო ჩემო, უშედეგოდ აკაკუნებდი, როგორც მე ამ ქალის წინაშე, სრულიად უშედეგოდ, ღმერთო ჩემო – და მერე მიდიხარ! ივიწყებ ამ დაკეტილ კარს, რომელმაც ათი

წელი დაგაკარგვინა! შეეშვები და მიდიხარ!.. სიყვარული რაღაა? მე ის ვერ დავივიწყე. სულ ესაა. როგორც მარცხს ვერ ივიწყებს ადამიანი. რატომ დავბრუნდი? სიმთვრალის გამო, ჩემო ძვირფასო, ჯინაზე. შენ და შენი კეთილშობილი აზრები! წადი კაზინოში, ნახე, როგორია, რომ აგებენ და მაინც თამაშობენ, ისევ ახალ ფსონს რომ ჩამოდიან. ზუსტად ასეა! რადგან არსებობს წერტილი, როცა თავის დანებებას აზრი აღარ აქვს. ჯინაზე, ჰო, ეჭვიანობის გამო! ქალი შეგიძლია დაკარგო, თუკი იგი მოგიგია. არ დამიწყო ახლა! მაგრამ თუკი თავად არასდროს მოგიპოვებია, არ გიპონია, არ მოგიგია? დაივიწყე ასეთი კარი და სხვები შეუშვი, შენ გზა გააგრძელე! მართალი ხარ: რატომ არ დავშორდით ერთმანეთს? იმიტომ, რომ ლაჩარი ვარ“. შტილერი გაცინებას ცდილობდა. „შენც ზუსტად იმავეს ამბობ. რასაც მე, ოღონდ სხვა სიტყვებით, – ვთქვი მე, – ოღონდ მე ეს ლაჩრობა არ მგონია“. „აბა, მსხვერპლი? ურთიერთმსხვერპლი, და ბოლოს ორივე იღუპება!“ „რასაკვირველია, არსებობს შემთხვევები, როცა გაშორება შესაძლებელია, – ვთქვი მე, – როცა გაშორება საჭიროცაა, და როცა ვერ შორდებიან, ესაა სილაჩრე, უუნარობა. რამდენი წყვილია, რომ გაშორებას ვუსურვებდი, რაც უფრო მალე, მით უკეთესი, არსებობს ეპიზოდები, ცოლქმრობაშიც და ისეც, როცა უნდა დაამთავრო, თუ მაინც დამთავრებულია. ყველა წყვილი არ უმწარებს ერთმანეთს სიცოცხლეს! მაგრამ თუ ასე მოხდა, თუკი ცოლქმრობა ტანჯვად ვაქციეთ, თუკი ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდი აღარაა, არამედ ჩემი ცხოვრების ისტორია“. შტილერი აღშფოთდა: „ტანჯვა!“ „რაც გინდა, ის დაარქვი“. „რატომ პირდაპირ არ მეუბნები, – მკითხა მან, – არც წერილებში მეუბნებოდი პირდაპირ!“ „რას?“ „რასაც გულისხმობ: იყავ ნება შენი! ღმერთის ნაბოძებია და ნეტარ არიან, ვინც იღებს და მკვდარია, რომელთაც არ ესმით ჩემსავით, ვისაც სიყვარული არ შეუძლია, ღვთის სახელით, ჩემსავით ურწმუნონი, რომელთაც სძულთ, რადგან სიყვარული უნდათ საკუთარი ძალით, რადგან მხოლოდ ღმერთშია სიყვარული და ძალა და დიდებულება, ამინ! ამას არ გულისხმობ?“ არ მიყურებდა, თავი სავარძლის ხის საზურგეზე გადაეგდო და ისევ ისე გაუგებრად იღიმებოდა. „და უბადრუკნი არიან ამპარტავნები, – აგრძელებდა ლაპარაკს, – ამპარტავნების მომაკვდინებელი ცოდვით შეპყრობილ ადამიანებს სურთ გააღვიძონ, რაც მოკლეს, ძუნწად რომ ინანიებენ; რომლებიც დროში ზომავენ და მოთქვამენ, როცა საქმე სხვანაირად მიდის, როცა საქმე საერთოდ არ მიდის წინ, ყრუნი და ბრმანი, რომლებიც წყალობას ელიან დროსგან, ჩემნაირი უსუსურები, რომლებიც ბავშვური სიჯიუტით უდგებიან ტანჯვას, დაე, ჩაიხრჩონ მედიდურები თავიანთ

ცოდვაში, შეუგნებლები, ხარბები, ბედნიერება რომ სწყურიათ, დიახ, ილოთონ და ილაქლაქონ, თუ არ უნდათ, რომ მედიდურობამ დაღუპოთ, ურწმუნოები, სულ იულიკას იმედი რომ აქვთ! მაგრამ ნეტარნი სხვანი არიან, ნეტარნი არიან ისინი, ვისაც სიყვარული შეუძლია ღმერთის სახელით, რადგან მხოლოდ ღმერთშია... ეს არის, – მკითხა მან, – რისი თქმაც ამდენი ხანია გინდა?“ „მე შენი მეგობარი ვარ, – ვუპასუხე მე, – ვცდილობ გითხრა, რას ვფიქრობ შენზე და იულიკაზე, თქვენს ერთად ყოფნასა და მარტოობაზე. სულ ესაა“. „და რას ფიქრობ?“ – მკითხა სავარძლის ხის საზურგეზე თავმიდებულმა. „უკვე გითხარი“. შტილერს ეტყობა, აღარ ახსოვდა. „შენ ის გიყვარს“, – გავიმეორე მე. „ეგრე გგონია?“ – დამიბრუნა. „მაგრამ შენი სიყვარულისგან მართლა სასწაულს მოელი, ჩემო ძვირფასო, და ალბათ ესაა, რაც არ გამოდის“. „მე ის მიყვარს?“ „ჰო, – ვუმტკიცებდი მე, – მოგწონს ეს ამბავი თუ არ მოგწონს. ალბათ გერჩივნა, სხვა გყვარებოდა. ვიცი. და ეს მანაც იცის! შეიძლება ანია, თუ რა ერქვა იმ შენს პოლონელს ესპანეთში, ან სიბილე, რომელიც აგერაა, ზევით... ოღონდ: რა ქნას იულიკამ, რომ ის ქალი არაა, რომელსაც შენ უფრო ბედნიერს გახდიდი“. „არა, – თქვა მან, – იულიკა ვერაფერს იზამს“. „შენ გიყვარს, ოღონდ ბედნიერებას ვერ ანიჭებ მას, ვინც გიყვარს. ეს არის, რაც გტანჯავს. ნამდვილი ტანჯვაა, მთელ ჩვენს პატივმოყვარეობას რომ თავი დავანებოთ, ხომ ყველას გვინდა, ცოტათი ღმერთები ვიყოთ, მსოფლიო ჩვენ გვეკუთვნოდეს, სასწაული მოვახდინოთ. და მერე, ცხადია, გვინდა, რომ თავად ვიყოთ ბედნიერები, როცა გვიყვარს... ეს ყოველთვის ასე არაა!“ ვთქვი მე და რადგან შტილერი არ იღიმოდა, დავამატე: „დაახლოებით ესაა, რასაც ვფიქრობ და თუკი მე მეკითხები, რა ვქნაო...“ ფიქრებით სხვაგან იყო. „შემოდგომიდან მოყოლებული! – თქვა და ტუჩები აუკანკალდა, – შემოდგომიდან მოყოლებული, იცოდა. მე კი დღეს ვიგებ ექიმისგან. შემოდგომიდან მოყოლებული! მე კი ჩემს სარდაფში სტვენა-სტვენით დავდივარ და აზრზე არა ვარ, აზრზე არა ვარ... რა უნდა ვქნა!“ გამალებით იცავდა თავს ჩემგან. „წყალზე სიარული მე არ შემიძლია!“„და ვინ გთხოვს წყალზე გაიარეო?“ „გუშინ შუადღისას, როცა მეგონა, რომ კვდებოდა... როლფ, – თქვა მან, – ვიტირე! და მერე საკუთარ თავს ვეკითხებოდი, თუკი ჩემი სურვილი გადაარჩენდა , მენდომებოდა თუ არა მასთან ერთად ისევ ყველაფერ იმის გავლა, რაც აქამდე იყო. და თავი გავაქნიე, ვტიროდი, თოთხმეტი წელია კვდება, ყოველდღე, ჩემ თვალწინ...“ შტილერი მეცოდებოდა. „იცი, ხომ, რომ მარტო წავიდა კლინიკაში? – მკითხა მან, – უჩემოდ“. „რატომ უშენოდ?“ „ჩაალაგა თავისი ნივთები კლინიკისთვის და კიდევ ერთი საათი აქვს დრო. არ

ვიცით, რაზე ვილაპარაკოთ. ყვავილები საქმეს არ შველის! ვიცი. მაგრამ მაინც ვეწვალები. ტერიტეში მისი მოსაწონი არაფერი იშოვება, ამიტომ მივდივარ მონტროში! ორმოცი წუთის შემდეგ ვბრუნდები – და ის უკვე წასულა კლინიკაში, მარტო! – თავს ძალა დაატანა, რომ გაეცინა. – იქნებ შენ ფიქრობ, მერე რა მოხდაო, – დაამატა, – შენ ხომ გონიერი ადამიანი ხარ!“

– და შენ რას ფიქრობ, მერე რა მოხდა?
– უჩემოდ! – მიპასუხა მან, – უჩემოდ! ეს უფრო ახარებს, ვიდრე ყვავილები, ვინ იცის, უკანასკნელად გავიდეს სახლიდან: მარტო, თანმხლების გარეშე, ოო, ეს უფრო დიდხანს დარჩება, ვიდრე მსოფლიოს ყველა ყვავილი ერთად აღებული!
მის ინტერპრეტაციას არ დავეთანხმე.
„როლფ, – შემეწინააღმდეგა, – ეს ადამიანი ბოროტია! შეიძლება გაბოროტდა ჩემ გამო. მაშინ. ერთ მშვენიერ დღეს სიყვარულის აღარ გჯერა... დამაგვიანდა!“ შტილერი წამოდგა. გეგონებოდა, სადაცაა წაიქცევაო. არც ვიცი, რა აჩერებდა ფეხზე. „ერთი „მარკი“ დალიე! – თქვა მან, – და მერე დავიძინოთ“. მაგრამ ჭიქები, რომელთაც მე ქვედა თაროზე ვხედავდი, ვერ იპოვა და თითქოს დაავიწყდა თავისი განზრახვა. უბრალოდ იდგა, „მარკის“ ბოთლი ხელში ეჭირა და ფიქრებში ჩაფლულიყო. „ასეთი უცხო, როგორიც ეს ქალია, სხვა არავინაა ჩემ ირგვლივ!“ – თქვა მან. „არ მინდა თავი მოგაბეზრო, როლფ, ოღონდ – იოლი სათქმელია: მაღლობელი ვიქნები, სასწაულს არ დაველოდები, არც სხვა იულიკას დაველოდები, მაღლობელი ვიქნები ყველა დღის, თუკი ისევ შემოაბიჯებს ამ სახლში – ჰო, ახლა, კლინიკაში რომ წევს, მე რომ ვერ ვიძინებ, ვერც რომ ვფიხზლობ შიშისგან, ახლა ყველაფერი გვიანია – როლფ!“ თქვა მან, მაგრამ სისუსტისგან ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, რომ ლაპარაკი გაეგრძელებინა; ბოროტი სიზმრით შეშინებული ბავშვივით ლაპარაკობდა: „თუკი ისევ მანდ ჩამოჯდება? ის მანდ და მე აქ? და თუკი ისევ ყველაფერი ისე იქნება? ზუსტად ისე? ის მანდ, მე – აქ“. შტილერი იჯდა, „მარკის“ ბოთლი ისევ ხელში ეჭირა და ოთახს უყურებდა, ორ ცარიელ სავარძელს. „და მერე?“ ჯერ თავის თავს შეეკითხა და მერე უცებ მე: „და მერე, ჩემო ძვირფასო, მერე? უნდა ავორთქლდე, რომ ტვირთად არ დავაწვე? თუ რა უნდა ვქნა? უნდა ვიმარხულო, სანამ ნიშანს არ მომცემს და დავუმტკიცო, რომ შეიძლება შიმშილმა მომკლას? თუ რა უნდა ვქნა?“ „შტილერ, – ვუპასუხე მე, – ისე აღარ იქნება, როგორც იყო. შენთვის აღარ იქნება ისე, გინდაც იულიკა არ შეიცვალოს. გუშინ შუაღღისას გეგონა, რომ მოკვდებოდა...“ როგორც კი მიხვდა, საით

მიმყავდა საუბარი, შემაწყვეტინა: „ვიცი... ვიცი, რასაც გულისხმობ“. მაგრძნობინა, ცუდად ვარო, რომ გავეჩერებინე და მეც გავჩუმდი. „რამდენი რამ მიფიქრია და გადამიწყვეტია! – თქვა მან, – და ისევ აქ რომ იჯდება, მერე? ნელ-ნელა ხომ გავიცანი საკუთარი თავი. სუსტი ვარ“. „თუკი იცი, რომ სუსტი ხარ, – ვთქვი მე, – ეს უკვე კარგია. შეიძლება პირველად ახლა მიხვდი ამას. გუშინ, შუადღის მერე, როცა გეგონა, რომ კვდებოდა. შენ თქვი, ხანდახან მეზიზღებაო. იმიტომ, რომ ისიც სუსტი და საცოდავია? ის შენ იმას ვერ მოგცემს, რაც შენ გჭირდება. ნამდვილად. არადა, როგორ გჭირდება მისი სიყვარული. როგორც არავისი. არსებობს რაღაცები, რაც საჭიროა, შტილერ და ვერ ვახერხებთ. რატომ უნდა შეძლოს ეს მაინცდამაინც იულიკამ? ისევ აღმერთებ თუ გიყვარს?“ შტილერმა ლაპარაკი მაცალა. „ჰო-ჰო, – თქვა მერე, – მაგრამ პრაქტიკული თვალით შეხედე, ის მანდ, მე აქ, რა უნდა ვქნა? პრაქტიკული თვალით! – შემომხედა, – ხომ ხედავ, როლფ, ამაზე არც შენ გაქვს პასუხი!“ კმაყოფილი ჩანდა. „შენ უკვე ძალიან წინ ხარ, – ვთქვი მე, – ხანდახან მგონია, მხოლოდ ერთადერთი ნაბიჯიღა გიკლია“. „და შუა ქორწილში ვსხედვართ, გგონია?“ „და შენ, მგონია, აღარ ელი, რომ იულიკა გაგათავისუფლებს ამ ცხოვრებისგან, ან პირიქით. პრაქტიკული თვალსაზრისით„ ეს რას ნიშნავს, კარგად იცი“. „არა“. „ცვლილება არ იქნება. არაფერი შეიცვლება, – ვთქვი მე, – თქვენ ერთად იცხოვრებთ, შენ ქვევით სარდაფში იმუშავებ, ის აქ იქნება თავისი ნახევარი ფილტვით, ღმერთის ნება ასეთია და ერთადერთი განსხვავება ის იქნება, რომ ერთმანეთს აღარ დატანჯავთ ამ სულელური მოლოდინით, რომ ადამიანის გარდაქმნა შესაძლებელია, სხვა ადამიანის ან საკუთარი თავის, დაასამარებთ ამ ამპარტავნულ იმედს... სრულიად პრაქტიკული თვალსაზრისით: ერთმანეთისთვის ლოცვას ისწავლით“. შტილერი წამომდგარიყო. „დიახ, – დავამთავრე მე, – სულ ესაა, რის თქმაც ამ ამბავზე შემიძლია“. შტილერს „მარკის“ ბოთლი პატარა მაგიდაზე დაედგა და ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ; მისი გაუგებარი ღიმილი აღარ დამინახავს. „ლოცვას ცოდნა უნდა!“ – თქვა მხოლოდ და შემდეგ დიდი ხნით ჩამოწვა დუმილი…

შემდეგ, წლები რომ გავიდა, ხშირად მიფიქრია, როგორ უნდა მოვქცეულიყავი იმ ღამეს, როცა უნებურად ისეთი ამოცანის წინაშე აღმოვჩნდი, რომელიც მეგობრობის შესაძლებლობებს სცილდებოდა. როცა შტილერმა ოთახი დატოვა, რომ შემსუბუქებულიყო, დაბნეული ვიდექი. ვგრძნობდი უძლურებას, რადგან, რაც უნდა მეთქვა, მაინც ჩემი პირადი მოსაზრება იქნებოდა. საუკეთესო შემთხვევაში, იმაზე მეტი არ

გამომივიდოდა, ვიდრე მეგობრული წინააღმდეგობა, როცა მეგობარი, ჭირში გამობრძმედილი მეგობარი, თავის განსაცდელს გაურბოდა... „მარკი“ დავისხი და როცა შტილერი დაახლოებით ათ წუთში უკან დაბრუნდა, ხელში ცარიელი ჭიქით დამინახა. სამწუხაროდ, ბნელ შემოსასვლელში რაღაცას დაეჯახა და ხმაური გამოიწვია. „როგორა ხარ?“ – ვკითხე და შტილერმა მხოლოდ თავი დამიქნია: კუჭი დაეცალა და, ეტყობა, პირიც დაებანა. მწვანე ფერი ედო და თვალები გასწითლებოდა. „მაინც რა დროა?“ – იკითხა მან. სკივრზე ჩამოჯდა და გაშლილი ხელებით დაეყრდნო. „მართალი ხარ, – თქვა მან, – რა იდიოტობაა ეს სმა!“ ჩვენი დაუმთავრებელი საუბარი აღარც ახსოვდა. სანამ დასაძინებლად გავიყრებოდით, თითქოს ერთი წინადადება გვჭირდებოდა, რომელიმე იმედიანი კლიშე: ხვალაც ამ თვისაა! ან რამე ამდაგვარი. სამის ნახევარმა ჩამოკრა. რა თქმა უნდა, ორივენი ვფიქრობდით დროზე, რომელიც კლინიკაში სხვა განზომილებას იძენს, იქ დრო მნიშვნელოვანია, აქ არა. ძალაუნებურად წარმოვიდგინე მისი პალატა, ღამის ექთანი მის თეთრ საწოლთან ჩამომჯდარა და პულსს უსინჯავს, იმედია, ექიმის დაძახება არ დასჭირდება – და პირველად ამიტანა მეც შიშმა. სკივრზე დადგმულ ტელეფონს შევხედე, რომელსაც ყოველ წამს შეიძლებოდა დაერეკა და ყველაზე საშინელებაც შესაძლებელი მომეჩვენა. გამახსენდა, რომ საღამოს მონახულება აუკრძალეს. „რაზე ფიქრობ?“ – მკითხა შტილერმა და რაღაც უნდა მეთქვა. „საკმარისი იქნება, – დავიწყე მტკიცება, – ახლა თუ გონიერად მოიქცევი, მოჩვენებებს აღარ გამოეკიდები. შენ ის გიყვარს. შენ ახლა დაიწყე მისი სიყვარული და იულიკა არ მომკვდარა, ჯერ კიდევ ბევრი რამ წინაა...“ ცოტა მრცხვენოდა, მაგრამ სწორედ ასეთი ლაპარაკი უფრო ამშვიდებდა შტილერს. „დაგრჩა სიგარეტი?“ – მკითხა მან, არ უნდოდა დაწოლა და მარტო ყოფნა. პიჟამაში ვიყავი. სიგარეტი არ მქონდა. „ალბათ შენი ცოლი არ დავაძინეთ, – თქვა შტილერმა, – შენი ცოლი მიყვარდა – და ახლაც მიყვარს, – სიზუსტისთვის დაამატა, – მაგრამ ეს ხომ ისედაც იცი“. სულ უფრო და უფრო დიდ პაუზებს აკეთებდა. „შეეშვი“, – წაილუღლუღა, როცა ცარიელი ბოთლების გვერდზე მიწევა დავაპირე, რომ შტილერს ფეხი არ წამოეკრა და ისევ ხმაური არ გამოეწვია. „თუ, გეგონა, რომ არასოდეს მყვარებია? – გაუბედავად მკითხა, – საერთოდ არასდროს?“ სახე დაღლილობისგან საბოლოოდ მოენგრა. „ოღონდ ახლა ასეთი ფხიზელი არ ვიყო!“ – თქვა და თითქოს მზად იყო, საუბარი დაგვესრულებინა. „უნდა დაისვენო, – ვუთხარი მე, – ხვალ ცხრა საათზე მას ნახავ“. მისი სიგარეტი, ლურჯი „გალუაზი“ სავარძლის გვერდით, ხალიჩაზე ეგდო. „გმადლობ!“ – თქვა შტილერმა, როცა მისივე კოლოფი

გავუწოდე და ერთი „გალუაზი“ გაირჭო, მე ანთებული ასანთი მეჭირა, მაგრამ სიგარეტი უკანვე გამოიღო. „ხვალ ცხრა საათზე მას ვნახავ!..“ შემდეგ მოსწია, თითქოს კვამლი საკვები ყოფილიყოს. „ხომ გჯერა, – მკითხა მან, – რომ არ მოკვდება?“ შემდეგ ძალიან დაუფიქრებელი რამ ვთქვი: „სანამ შენი ტელეფონი ჩუმადაა, შტილერ, შიშის საფუძველი არ გაქვს“. სიტყვებს უკან ვეღარ მოვაბრუნებდი, ვეღარ მოვაბრუნებდი სულელურ შენიშვნას, რომელმაც მის შიშს კონკრეტული საყრდენი წერტილი მიანიჭა. შტილერმა შავ ტელეფონს გახედა, შემდეგ გავაგრძელე. „ამას უნდა შეეგუო, – ვთქვი, – ერთხელაც იქნება, იულიკაც მოკვდება. ადრე თუ გვიან ყველანი დავიხოცებით. ამას უნდა შეეგუო“. შტილერი ეწეოდა და დუმდა. დიდი ხანი არ ვიცოდი, რას ფიქრობდა. ბოლოს სიგარეტი ბუხარში შეაგდო თუ ბუხართან ახლოს მიაგდო და უკვე მართლა მზად იყო, დაგვესრულებინა; ვიყინებოდი; ბუხარში ცეცხლი იფერფლებოდა და შეშაც აღარ გვქონდა. „ალბათ მაინც კარგი იყო, რომ ვილაპარაკეთ,“ – ცოტა ბანალურად გამომივიდა. შტილერმა თავი ყოყმანით დამიქნია, ისევ სკივრზე იჯდა, ხელებდაყრდნობილი; ძალის დაბრუნებას ელოდებოდა. „სინამდვილეში, იცი, ზუსტად იქ ვარ, საიდანაც ორი წლის წინ უნდა დამეწყო, – თქვა მან, – ერთი ნაბიჯით წინ არ წავსულვარ! ოღონდ კიდევ ორი წელი დავკარგე – თავი არ მინდა მოგაბეზრო, როლფ, მაგრამ...“ დაინახა, როგორ მაძაგძაგებდა. „როლფ, – თქვა მან, – გამოვიდოდა, მე და ის, როგორებიც ვართ – მაშინ არა, მაგრამ ახლა გამოვიდოდა; ანუ, ორი წლის წინ. ახლა, პირველად, აქ და ახლა...“ შტილერს არ უნდოდა ეტირა, ცრემლებს ებრძოდა, ადგა. „დღეს დილას კლინიკაში, – თქვა მან, – არა, ეს ხომ გუშინ იყო,“ – ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სრულიად გაქვავებულ სახეზე; რაღაცის თქმა უნდოდა. „გამოვიდოდა...“ – გაიმეორა ისევ, მაგრამ ვერც ახლა დაასრულა აზრი. „ჰოდა, გამოვა კიდეც, – ვთქვი მე, – გამოვა კიდეც!“ მერე უცნაური იყო. ერთ ხანობას არ ვიმჩნევდით, რომ შტილერი ტიროდა. სადღაც ოთახში იდგა, ხელები ჯიბეებში ჩაეყო და ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. მე მის ზურგს ვხედავდი, სახეს ვერა, ვიცოდი, რომ ტიროდა და ტირილისგან არაფერი ესმოდა და ვლაპარაკობდი მის „რვეულებზე“, რომ ჩუმი მოწმის როლში არ ვყოფილიყავი, – ყოველ შემთხვევაში, იცი, რა არის გადამწყვეტი, – ეს იყო ერთ-ერთი ფრაზა, რომელიც ვთქვი, – შენ იცი, მაგალითად, რომ შუბლში ტყვიის მიჭედება არაფერს შველის. ვინ აღწერს, რას განვიცდით ამ დროს! მაგრამ იცი, რაც უნდა წარმოუდგენელი იყოს. იქნებ უცნაური წარმოდგენა გაქვს მორწმუნეობაზე; იქნებ გგონია, რომ უსაფრთხოდ ხარ, თუ მორწმუნე ხარ, ბრძენი და გადარჩენილი ხარ და ასე შემდეგ. საერთოდ ვერ გრძნობ

თავს უსაფრთხოდ, დგახარ და არ გჯერა, რომ მორწმუნე ხარ. ასე არ არის? ვერ წარმოგიდგენია ღმერთი, თავს ირწმუნებ, რომ ღმერთი არასდროს შეგიგრძნია...“ შტილერს უხაროდა, რომ მე ვლაპარაკობდი. „რამდენადაც ვიცნობ შენს ცხოვრებას, – გავაგრძელე, – სულ ფარ-ხმალს ყრიდი, რადგან დარწმუნებული არაფერში იყავი. შენ არ ხარ ჭეშმარიტება. შენ ხარ ადამიანი და ხშირად იყავი მზად, თავი დაგენებებინა სიყალბისთვის, გეორჭოფა. სხვას რას ნიშნავს ეს, შტილერ, თუ არა იმას, რომ შენ გწამს ჭეშმარიტების? ჭეშმარიტების, რომელსაც ჩვენ ვერც შევცვლით და ვერც მოვკლავთ – რადგან ისაა სიცოცხლე“. შემოსასვლელში მდგარი საათი დარეკვის წინ, როგორც ყოველთვის, ჟღარუნს იწყებდა; სამი საათი იყო. „უცნაური გრძნობა მქონდა, შენს რვეულებს რომ ვკითხულობდი, – ვთქვი მე, რომ მელაპარაკა, – ხშირად გიცდია, საკუთარი თავი მიგეღო, ოღონდ ღმერთის მიღება არ გინდოდა. და აღმოჩნდა, რომ ეს შეუძლებელია. ის არის ძალა, რომელიც შენ დაგეხმარება, რომ მართლა მიიღო საკუთარი თავი. შენ ეს ყველაფერი გამოსცადე! და მაინც ამბობ, რომ ლოცვა არ შეგიძლია; ამას წერ კიდეც. ებღაუჭები შენს უღონობას, რომელიც შენი პიროვნულობა გგონია და ამ დროს, ასე კარგად იცი შენი უღონობა – და ყველაფერ ამას თითქოს ჯინაზე აკეთებ, რადგან არ ხარ ძალა. ასე არ არის?“ – რა თქმა უნდა, შტილერი ხმას არ იღებდა, – „შენ გგონია, რომ მან უნდა დაგამარცხოს, თორემ სწორი არ იქნება, შენ ხომ სიცრუე არ გინდა. შეფიქრიანებული ხარ, რომ სახვეწარი გაგიხდა, რწმენა შეძლო; მერე უბრალოდ, გეშინია, რომ ღმერთი შენი გამოგონილია...“ კიდევ დიდხანს ვილაპარაკე, ბოლოს გავჩუმდი. როგორც ვთქვი, არ ველოდი, რომ შტილერი მისმენდა, არამედ უბრალოდ ვლაპარაკობდი, რომ მისი ტირილის უტყვი მოწმე არ ვყოფილიყავი. ფიქრი სხვაგან დაუქროდა. „მისი სახე, – თქვა შტილერმა, – ეს მისი სახე არ არის, როლფ, არც ოდესმე ყოფილა!“ მეტი აღარაფრის თქმა უნდოდა. შტილერი ახლა ისე ტიროდა, რომ ჯერ ასე ატირებული კაცი არ მენახა. წელში გამართული იდგა, ხელები – ჯიბეებში. ოთახიდან არ გავდიოდი; იქ ვიქნებოდი თუ არა, უკვე სულერთი იყო... იმ წუთებში ძალიან ვცდილობდი, იულიკას სახე გამეხსენებინა, მაგრამ მხოლოდ იმ სახეს ვხედავდი, რომელიც გასული შემოდგომიდან მახსოვდა, სახე, რომელიც სახე აღარ იყო, მის ქვითინს, გაშეშებულ, ღია პირს და ორ პატარა, ასევე გაშეშებულ მუჭს კალთაში, სიკვდილის ბრმა შიშისაგან, აცახცახებულ მის სხეულს; ოღონდ ახლა ამის გახსენება არ მინდოდა. გადავწყვიტე, მეორე დილას მეც გავყოლოდი კლინიკაში, რომ ქალბატონი იულიკა მენახა, თუნდაც ცოტა ხნით. „თქვი რამე“, – მთხოვა შტილერმა, როცა, როგორც იქნა,

ქვითინით ძალაგამოცლილმა ჩემი იქ ყოფნა ისევ შეამჩნია. „რისი თქმაც შემეძლო, გითხარი: – იულიკა არ მომკვდარა, გავიმეორე მე, – და შენ ის გიყვარს“. შემდეგ შტილერმა ისე შემომხედა, თითქოს დიდი საიდუმლო გამომეცხადებინოს. ფეხები ჯერ კიდევ უკანკალებდა, თვალები წყლით ავსებოდა, მაგრამ გონება დაწმენდილი ჰქონდა, მე მგონი. საქებარ სიტყვებს ამბობდა ჩვენს მეგობრობაზე, ჩემს სიკეთეზე, თითქმის რომ გავათენე მასთან ერთად ღამე და ცვილივით შუბლი მოისრისა. „თავი თუ გტკივა, – ვუთხარი მე, – ზევით სარიდონი მაქვს“. ეს უკვე აღარ გაუგონია. „მართალი ხარ, – უკვე მერამდენედ გაიმეორა, – ხვალ ცხრა საათზე ვნახავ“. როგორც იქნა, ზღურბლს მივაღწიეთ, ფეხზე ველარ ვიდექი დაღლილობისგან, შტილერმა წყალ-წყალა შუქიანი ჭაღი ჩააქრო. „ილოცე ჩემთვის, რომ არ მოკვდეს!“ – თქვა მან, უნებურად სიბნელეში აღმოვჩნდით. შტილერს დავიწყნოდა, ჯერ შემოსასვლელში აენთო შუქი. „მე ის მიყვარს,“ – გავიგონე მისი სიტყვები. როგორც იქნა, შემოსასვლელში ჩამრთველი ვიპოვე და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. შტილერს ბაღში უნდოდა გასვლა. „ჰაერი მჭირდება, – თქვა მან, – ძალიან ბევრი დავლიე“. ძლიერ დამშვიდებული ჩანდა.

მეორე დილას, აღდგომის ორშაბათს, ცხრა საათისთვის ჩამოვედით ქვევით მე და ჩემი ცოლი. ჩვენთვის საუზმე უკვე გაწყობილი დაგვხვდა ღია ფანჯარასთან, ყავას ზევიდან თბილი ნაჭერი ეფარა, ორი თეფში იდგა თავისი ყველაფრით. არც მარილი აკლდა და არც საფერფლე. თოხლო კვერცხი, ერთ-ერთზე ეწერა, სამწუთიანია და სიბილესთვისააო, და ხელსახოცში ჩადებული ტოსტის პური ჯერ კიდევ თბილი იყო; ეტყობა, ჩვენს მეგობარს შხაპის ხმა მოესმა, დიდი ხნის წასული ვერ იქნებოდა სახლიდან. ჩემს ცოლს ღამე ბრახუნი გაეგონა, ისე, მხოლოდ ის იცოდა, რომ დიდხანს ვისაუბრეთ. ბუნებრივია, ვიფიქრეთ, შტილერი უკვე კლინიკაში იქნება-მეთქი. ღამის უგრძესი საუბარი უკვე სიზმარი მეგონა, ნათელ სინამდვილესთან თითქოს არაფერი აკავშირებდა; როცა მზით განათებულ სუფრას მივუსხედით, ფანჯრიდან კესანესავით ლაჟვარდოვანი ჟენევის ტბის შემყურე სავოის ალპების ფონზე. თუკი კლინკიდან კიდევ ერთი გასახარი ამბავი მოვიდოდა, გადავწყვიტეთ, დღის განმავლობაში შებრის, ივერდონის, მურტენის ან ნოიენბურგის გავლით წავსულიყავით და პეტრეს კუნძულზე კიდევ ერთი თავისუფალი დღე გაგვეტარებინა. არაჩვეულებრივი ამინდი იყო. მეზობელ ბაღში უკვე ყვაოდა მაგნოლია მთელი თავისი სილამაზით, ფორტისიების ყვითელი ძნები ღობეებზე ეკიდა და ანათებდა, სისხლივით წითელი ფუნიკულიორი ფურისულებით მოფენილ მწვანე გორაკებს შორის, ქვევით ცარიელი

მოსრიალებდა, ზევით კი მოსეირნე ხალხით სავსე ადიოდა. თითქმის ბავშვურად ფერადი ჩანდა სამყარო, ყველაფერი იყო, რაც აღდგომის დღეებს უხდებოდა; ჩიტები გამაყრუებლად ჭიკჭიკებდნენ და ტბაზე თეთრი გემი მიცურავდა შიიონის სასახლისკენ, სადღაც შორს, საკვირაო სასულე ორკესტრი უკრავდა, მატარებელი მიჩუქჩუქებდა. შტილერმა ჯერ კიდევ საუზმეზე მოგვისწრო. შიშნარევი მოუთმენლობით ვკითხეთ, როგორ არისო, და, რასაკვირველია, იულიკას ვგულისხმობდით; მაგრამ თურმე ჩვენი მეგობარი კლინიკიდან კი არ ამოსულიყო, არამედ სარდაფიდან. შტილერს ღამე საერთოდ არ მოეხუჭა თვალი, ეტყობა, დილამდე დრო ბაღში მოეკლა და დილაუთენია სარდაფში ჩასულიყო. ბუნებრივია, გაფითრებული და ღამენათევი იყო. რატომ არ წავიდა ცხრა საათზე კლინიკაში, არ ვიცი, და კიდევ წვერიც არ გაეპარსა. შეეშინდა? თითქოს იმედიანად იყო, რომ იულიკას მალე გამოწერდნენ, რაღას არ მიედ-მოედო. დარეკვითაც არ დაურეკავს. შენ წადი კლინიკაშიო, მითხრა და ჩემს ცოლს უთხარი, რომ თერთმეტზე მივალო. მისი თავის მართლება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ჯერ უნდა გავიპარსოო. მერე გვითხრა, ვიღაც ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნებაა აქ გავლით და ჩემი კერამიკის ნახვა უნდა და ათი საათისთვის მოვაო, რაც მართალი კი აღმოჩნდა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ვერ იქნებოდა. იქნებ ერიდებოდა იაფფასიანი ალკოჰოლის სუნით აქოთებული მისულიყო ავადმყოფის საწოლთან. ჩემი ცოლისგანაც შორს ეჭირა თავი, თვალში საცემად შორს. „ვყარვარ“, – თქვა მან. ალკოჰოლის ოხშივარი კლინიკაში დარეკვას რაში უშლიდა ხელს, მაგრამ შტილერს არც ეს უნდოდა. დაძალების უფლება მე არ მქონდა. ბოლოს ჩემს ცოლთან ერთად წავედი ვალ მონტის კლინიკაში, ცოლი მანქანაში მელოდებოდა; ძალიან ხანმოკლე იქნებოდა ჩემი ვიზიტი, თუკი საერთოდ დამრთავდნენ, როგორც არა ოჯახის წევრს, მისი მონახულების ნებას. მართლა მოთხოვნილება მქონდა, ქალბატონი იულიკა მენახა მაინც, სანამ გავემგზავრებოდით. როგორც კი ვუთხარი, ვისთან მივედი, მაშინვე მივხვდი ყველაფერს. მზიან დერეფანში, სადაც კარების წინ ყვავილების ქოთნები იდგა და ექთნები ჩუმად დადიოდნენ აქეთ-იქით, კიდევ საშინელი თხუთმეტი წუთი მაცდევინეს, სანამ ახალგაზრდა ექიმმა მისი გარდაცვალება მამცნო. დაჟინებით ვთხოვე და შემპირდნენ, რომ შტილერს არავითარ შემთხვევაში არ დაურეკავდნენ. ის ნახევარი საათის წინ მომკვდარიყო, როგორც ჩანს, ექიმისთვის მოულოდნელად. მეორე თხოვნა, მენახა ქალბატონი შტილერი, არ შემისრულეს. თავის პალატაში აღარ ჰყავდათ. მაგრამ შემდეგ, სახეზე რომ შემომხედეს – როგორც ჩანს, ვტიროდი – თუ ჩემი სტატუსის წყალობით? ასე იყო თუ ისე, უფროს ექთანს სთხოვეს, მიცვალებულთან

მივეყვანე.

„წითელი თმა აქვს, დღევანდელ მოდასთან შედარებით, ძალიან წითელიც კი; მაგრამ არა ასკილის კონფიტიურის, უფრო სპილენძის თუ დაფშვნილი აგურისფერი. ძალიან უცხო. ნაზი კანი აქვს, ალებასტრივით, ჭორფლიანი. ასევე ძალიან უცხო, მაგრამ ლამაზი. და თვალები? მე ვიტყოდი: ბრჭყვიალა, წყლიანი, მოლურჯო-მომწვანო, როგორც ფანჯრის შუშის კიდეები. სამწუხაროდ, ისე გაუპარსავს წარბები, რომ ერთი წვრილი ხაზიღა დაუტოვებია, რაც მის სახეს გრაციოზულ სიმტკიცეს კი მატებს, მაგრამ თან ნიღაბივით მიჰკვდომია ზედ გაოცებული გამომეტყველება. ძალიან კეთილშობილი ცხვირი აქვს, განსაკუთრებით გვერდიდან რომ უყურებ და ნაზი ნესტოები. ჩემი გემოვნებისთვის, ტუჩები ცოტა თხელი აქვს, ვნებიანობა კი არ აკლია, მაგრამ ვნება უნდა გააღვიძო, მისი გაშლილი თმა ულამაზესია, სურნელოვანი, აბრეშუმივით მსუბუქი. ლამაზი კბილები აქვს, დაბჟენილი, მაგრამ სადაფივით ბრწყინვალე. როგორც საგანს, ისე ვაკვირდები; ქალი, უცხო, ვიღაც ქალი...“ ზუსტად ასე იწვა სასიკვდილო სარეცელზე და უცებ საშინელმა გრძნობამ შემიპყრო, მივხვდი, რომ შტილერი მას თავიდანვე ისე უყურებდა, როგორც მხოლოდ მკვდარს, პირველად გავაცნობიერე, როგორი ენით აღუწერელი ცოდვა ჩაედინა მის წინაშე.

ისღა დამრჩენოდა, მეგობრისთვის მძიმე ამბავი შემეტყობინებინა. სულ რამდენიმე სიტყვა დამჭირდა; შტილერმა იცოდა. კლინიკას, მიუხედავად იმისა, რომ, რაც იქიდან წამოვედი, თითქმის ერთი საათი გასულიყო, არ დაურეკავს; მაგრამ როგორც კი შემომხედა, მაშინვე მიხვდა და, მგონი, შტილერმა თავად თქვა ჩემი სათქმელი; ვერ ვიტყვი, მშვიდი იყო-მეთქი, რადგან ეს გახლდათ გათიშული ადამიანის შემაძრწუნებელი სიმშვიდე. დიდხანს ველოდე შტილერს, რომ კლინიკაში წამეყვანა. თავის ოთახში ავიდა, პიჯაკს ავიღებო, თქვა. ხმა საერთოდ არ გაგვიგია, არც ნაბიჯის, არც ქვითინის, მხოლოდ გარეთ ხმაურობდნენ ჩიტები და რაც დრო გადიოდა, ჩემს ცოლს, ეტყობა, ეშინოდა, ჩვენმა მეგობარმა თავს რამე არ აუტეხოსო. მე ეს ერთი წამითაც არ მჯეროდა, მაგრამ მაინც ავედი, რახან აღარ ეღირსა ჩამოსვლა და კარზე დავუკაკუნე. რადგან პასუხი არ გაუცია, ოთახში შევაბიჯე. შტილერი ოთახის შუაგულში იდგა, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო, როგორც იცოდა ხოლმე. „მოვდივარ“, – თქვა. კლინიკაში წავიყვანე და გარეთ მანქანაში ველოდებოდი. მიცვალებულის ხატი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი, რისი დანახვაც გახელილი თვალებით შეიძლებოდა; გარდასული არსების ხატი, რომელიც თავის დროზე ვერავინ შეიცნო, ყველაზე ნაკლებად კი მან, ვინც

ადამიანური სიყვარულით ცდილობდა მის მოპოვებას. შტილერი თხუთმეტ წუთში დაბრუნდა და მანქანაში ჩემ გვერდით დაჯდა. „ლამაზია“, – თქვა მან. შვებულება გავიგრძელე და ჩემი ცოლის გამგზავრების შემდეგ კიდევ რამდენიმე დღე დავრჩი გლიონში, რომ მისთვის ყველა საქმე მომეშორებინა, რაც სიკვდილს ახლავს თან. არ მიგრძნია, რომ შტილერს ვჭირდებოდი, აღარც რამეზე გვისაუბრია. სამედიცინო მხარე არ აინტერესებდა და სხვა სათქმელიც აღარაფერი გვქონდა. ყველაფერი გარკვეული იყო. უცხო სასაფლაოზე მოკრძალებული დაკრძალვის შემდეგ, საღამოს, როცა ჩემი წასვლის დრო დადგა, შტილერი თავის სარდაფში მუშაობდა, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა, ემუშავა. იმ პატარა, უცნაურაბრიან რკინის ჭიშკრამდე გამომაცილა, ფიქრებში გაფანტულს, ორჯერ თუ სამჯერ ჩამოვართვი ხელი. იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს; ღამღამობითაც აღარ რეკავდა და მისი წერილებიც სიტყვაძუნწი გახდა. შტილერი გლიონში დარჩა და მარტო ცხოვრობდა.